

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Georgian Source-Studies

XXII

2020

ქართული წყაროთმცოდნეობა

XXII

2020

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი

ტომის რედაქტორი
ზურაბ თარგამაძე

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ეკა კვაჭანტირაძე
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე
გიორგი ჭეიშვილი

Editors
Giuli Alasania & Mariam Chkhartishvili

Editor of the volume
Zurab Targamadze

Editorial Board
Goneli Arakhamia
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
David Merkviladze
Nato Songulashvili
George Tcheishvili

რედაქტორის საკონტაქტო მონაცემები:
ელ–ფოსტა: mariam.chkhartishvili@tsu.ge
მობ. 599 71 40 15
Editor’s contact details:
E-mail: mariam.chkhartishvili@tsu.ge
Mob.: +995 599 71 40 15

© ტექსტი – ავტორები, 2020
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, ზ. თარგამაძე 2020
© Text – authors, 2020
© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, Z. Targamadze 2020

ISSN 1987 – 9563
შპს „პრინტჯეო", 2020

თბილისი, 0131, დემეტრე თავდადებულის ქ.18, ☎: +995 32 222 06 08
E-mail: ichachanidze@mail.ru

შინაარსი
CONTENT

რედაქტორებისაგან 9
EDITORIAL

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები 11
RESERCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ქალაქ ატენისა და ატენის ხეობის მნიშვნელობა X-XII საუკუნეების ქართულ პოლიტიკაში 13
იოსებ ალიმბარაშვილი
The Role of the Town Ateni and Ateni Gorge in Georgian Political Life (10th -12th cc)
Ioseb Alimbarashvili

წალენჯიხის ეტიმოლოგიისათვის 26
პაპუნა გაბისონია
For the Etymology of Tsalenjikha
Papuna Gabisonia

როჯერ ბეკონი: ესქატოლოგიური საკითხები, გეოგრაფიული ცოდნა და
სამეცნიერო მეთოდი XIII საუკუნეში 31
ალექსანდრე თვარაძე
Roger Bacon: Eschatological Issues, Geographical Knowledge and
Scientific Method in the 13th Century
Aleksandre Tvaradze

თემის მმართველობითი ორგანოები გვიანი შუა საუკუნეების
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – „ოლქობა“ 46
ბექა მგელაძე
The Self-Governing Popular Bodies in South Western Georgia
in the Late Middle Ages (Olkoba)
Beka Mgeladze

გოდერძის უღელტეხილის ნამოსახლარები შუა საუკუნეებში
(ნაგებობანი, მეურნეობა და ცხოვრების წესი) 64
ნუგზარ მგელაძე
გოდერძი ნარიმანიშვილი
Settlements around the Goderdzi Pass in Middle Ages
(Buldings, Farming Types, lifestyle of the Populace)
Nugzar Mgeladze
Goderdzi Narimanishvili

რუსეთის პოლიტიკური თამაში სოლომონ I-თან და კაპიტან შტედერის მისია იმერეთში 86
დავით მერკვილაძე
Russian Political Games with Solomon I and Captain Steder’s Mission in Imereti
Davit Merkviladze

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ კიმენურ ვერსიაში შესული
ისტორიული ფაქტები და ტოპოსები 93
ლადო მირიანაშვილი
Historical Facts and Topoi Found in the Premetaphrastic Version of the *Life* of St. Davit Garejeli
Lado Mirianashvili

პროზელიტიზმი ჰაგიოგრაფიულ ტექსტში: კლასიფიკაცია და ნაციონალური თავისებურებები 101
ნინო პოპიაშვილი
Proselytism in a Hagiographic Text: Classification and National Peculiarities
Nino Popiashvili

ნექისძეთა თბილელი საყდრისშვილების საგვარეულო 112
ნიკოლოზ ჟღენტი
Feudal Family of Nekisdze-Sakdrisshvili
Nikoloz Zghenti

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და სანგარი №4 128
დიმიტრი სილაქაძე
პაატა გიგაური
Russian-Georgian War of 1921 and the Trench №4
Dimitri Silakadze
Paata Gigauri

საქართველოში „შავი ჭირის“ გავრცელების ისტორიიდან (XIV-XVIII სს) 140
გიორგი სოსიაშვილი
From the History of the Black Death Spread in Georgia (14th – 18th cc)
Giorgi Sosiashvili

რომელი გიორგის სახელითაა მოჭრილი გიორგისა და თამარის მონეტა? 151
ირაკლი ფაღავა
Who is Giorgi Acknowledged on the Coins of Tamar and Giorgi?
Irakli Paghava

დრამატურგის ისტორიული პიესა და ისტორიკოსის იდეოლოგიური ინტერპრეტაცია:
ნიკო ბერძენიშვილის გამოხმაურება პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ გამო 165
მერაბ ღაღანიძე
Dramatist’s Historical Play and Historian’s Ideological Interpretation:
Niko Berdzenishvili’s Review of “Kakhaber’s Sword” by Polikarpe Kakabadze
Merab Ghaghanidze

თეორიული და ინტერდისციპლინური მიდგომები 185
THEORETICAL AND INTERDISCIPLINARY APPROACHES

ქართული ეროვნული იდენტობის ეთნოსიმბოლისტური კვლევა 187
მარიამ ჩხარტიშვილი
Studying Georgian National Identity: Ethnosymbolist Approach
Mariam Chkhartishvili

არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (სოფელ ქობულეთის 2019 წლის ინტერდისციპლინური არქეოლოგიური ექსპედიციის გამოცდილება) 209
გურამ ჩხატარაშვილი
Archaeology and Natural Sciences (Experience of Interdisciplinary Archaeological Expedition in Kobuleti Village in 2019)
Guram Chkhatarashvili

წყაროთა წარდგინება 217
PRESENTATION OF SOURCES

სოფელი ჭორჭოხი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში 219
დავით ახლოური
The Village of Tchorchokhi in the Early Nineteenth Century
Davit Akhlouri

ბახტრიონის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი როგორც საისტორიო წყარო 225
გულიკო მჭედლიძე
Ecclesiastical Historical Documents as Sources: The Collections of the Confessions by the Perish of the St. John the Baptist's Church in the Village Bakhtrioni
Guliko Mchedlidze

აღმოსავლეთისა და საქართველოს რეცეფცია XVII საუკუნის ევროპელი მეცნიერის მიერ 229
მაია ნაჭყებია
Reception of Orient and Georgia by an European Scholar of the 17th Century
Maia Nachkebia

წმინდა ნინოს „ცხოვრების" ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი 235
დავით ყოლბაია
Manuscript of the *Vita* of Saint Nino in the Bodleian Library
David Kolbaia

წიგნების მიმოხილვა 263
BOOK REVIEWS

გარეჯისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული 265
ლადო მირიანაშვილი
Proccedings of the International Conference Dedicated to Davitgareji
Lado Mirianashvili

ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე 268
ლადო მირიანაშვილი
Bulletin of the Georgian Numismatic Society
Lado Mirianashvili

ჯოზეფ პატრიხის წიგნი „საბა, პალესტინური მონასტიციზმის ლიდერი” (მეორე გამოცემა) 271
ლადო მირიანაშვილი
Joseph Patrich’s Book “Sabas, Leader of Palestinian Monasticism” (Second Edition)
Lado Mirianashvili

ქრონიკა 275
CHRONICLE

ახალი წიგნი საქართველოს დედაქალაქზე 277
ალექსანდრე დაუშვილი
New Book about the Capital City of Georgia
Aleksandre Daushvili

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXI ტომის პრეზენტაცია 282
სოფიო ქადაგიშვილი
მარიამ ჩხარტიშვილი
Presentation of the Scholarly Journal “Georgian Source-Studies” (Volume 21)
Sopio Kadagishvili
Mariam Chkhartishvili

ხსოვნა 287
IN MEMORIAM

ელენე ცაგარეიშვილის ხსოვნას 289
მზია სურგულაძე
In Memoriam of Elene Tsagareishvili
Mzia Surguladze

გოჩა ჯაფარიძის გამოსათხოვარი 291
მარიამ ჩხარტიშვილი
Obituary of Professor Gocha Japaridze
Mariam Chkhartishvili

გზამკვლევი ავტორთათვის 299
GUIDELINES FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXII ტომს.

როგორც ყოველთვის, ჟურნალში წარმოდგენილი მასალა განაწილებულია რამდენიმე განყოფილებაში.

პირველია „ისტორიული-წყაროთმცოდნეობითი კვლევები“. აქ ცამეტი სტატიაა. ეს სტატიები წარმოადგენს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული ფოკუსის გამოკვლევებს და შეეხება ენობრივად (ქართული, უცხოური) თუ ტიპობრივად და სახეობრივად (ნარატიული, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური, ქცევითი, ნივთიერი, ენობრივი) განსხვავებულ წყაროებს. ქრონოლოგიურად ეს გამოკვლევები მოიცავს როგორც წინა მოდერნულ, ისე მოდერნულ ეპოქებს (ახალ და უახლეს პერიოდებს).

მომდევნო განყოფილებაა „თეორიული და ინტერდისციპლინური მიდგომები“. აქ ორი სტატია იბეჭდება. ერთ-ერთ მათგანში აქცენტირებულია ინტერდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობა ისტორიულ კვლევებში, კონკრეტულად, ნივთიერი წყაროთმცოდნეობის ანუ არქეოლოგიური ძიებების შედეგად მოპოვებული წყაროების შესწავლის საქმეში. მეორე მათგანი ერის ფენომენის კვლევისათვის ერთ-ერთი დასავლური სოციალური თეორიის საზრისს და საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაციისათვის მისი გამოყენების მნიშვნელობას განმარტავს, წარმოაჩენს ქართულ სინამდვილეში ამ თეორიის იმპლემენტაციის ისტორიას და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

შემდეგი განყოფილებაა „წყაროთა წარდგინება“. აქ ქვეყნდება ოთხი სტატია. აქედან ერთი წყაროს ტექსტის სრული პუბლიკაციაა, რომელსაც წინ უძღვის მკვლევრის შესავალი; სამი დანარჩენი წყაროების ცალკეული ცნობების პუბლიკაციას წარმოადგენს სამეცნიერო კომენტარებით. ცხადია, სტატიები ისტორიული რეპრეზენტაციასაც გვთავაზობენ, მაგრამ ვინაიდან ისინი ერთ კონკრეტულ წყაროზე არიან ფოკუსირებულნი, უფრო მართებულად ჩანს მათი წარმოდგენა ჟურნალის ამ ნაწილში.

განყოფილებაში „წიგნების მიმოხილვა“ იბეჭდება სამი სტატია. აქედან ერთი საერთაშორისო კონფერენციის მასალებს შეეხება; მეორე ახალი პერიოდული გამოცემის ფაქტს აფიქსირებს და მის აღწერას გვთავაზობს, მესამე კი მონასტიციზმის შესახებ უცხოელი ავტორის ძალიან საინტერესო გამოკვლევის ქართველი მკითხველისათვის გაცნობას ისახავს მიზნად.

„ქრონიკის“ განყოფილება „ქართული წყაროთმცოდნეობის“ წინა ნომრებში ყველაზე მეტი სტატიის მომცველი იყო. ამ ნომერში კი მხოლოდ ორი სტატიით არის წარმოდგენილი. სამეცნიერო აქტივობის ფაქტებს, რომლებსაც ეს სტატიები აღწერს კოვიდ-19 გავრცელების წინა პერიოდში ჰქონდა ადგილი. პანდემიამ მნიშვნელოვნად შეზღუდა ცოცხალი კომუნიკაცია მეცნიერებს შორის და ეს დაეტყო ჩვენი ჟურნალის ამ განყოფილებასაც.

განყოფილებაში „ხსოვნა“ იბეჭდება სტატია ცნობილი ქართველი წყაროთმცოდნის ელენე ცაგარეიშვილის შესახებ. მეცნიერი წარმოჩენილია როგორც მკვლევარი და როგორც პიროვნება. ამავე განყოფილებაში იბეჭდება ასევე ქართველი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის გოჩა ჯაფარიძის გამოსათხოვარი სტატიაც. ჟურნალი თითქმის გამზადებული იყო დასაბეჭდად, როცა ბატონი გოჩას გარდაცვალების ამბავი გახდა ცნობილი რედკოლეგიისათვის. ამიტომ მისი ღვაწლის განზოგადებული შეფასება ვერ მოესწრო, რაც მომავალში უთუოდ მოხდება. გოჩა ჯაფარიძე ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ დიდი გულშემატკივარი გახლდათ.

ჟურნალი სრულდება გზამკვლევით ავტორთათვის.

სტატიების ავტორები არიან პროფესიონალები: ისტორიკოსები, წყაროთმცოდნეები, ეთნოლო-

გები, არქეოლოგები, ფილოლოგები.

ვიმედოვნებთ, რომ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXII ტომი სამეცნიერო წრეების დადებით გამოხმაურებას მოიპოვებს და ხელს შეუწყობს ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეს.

გიული ალასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
თბილისი, 2020 წლის 20 ოქტომბერი

EDITORIAL

In their notes the editors of the journal Georgian Source-Studies Prof. Giuli Alasania and Prof. Mariam Chkhartishvili give a brief description of the contents of the volume XXII. They make emphasis on diversity of material published in the recent issue: in particular, they distinguish papers according to their focus, field of investigation, sources chosen, chronology etc. The papers containing the research are still presented in a relevant quantity, however short informative papers devoted to the description of events of academic life are presented in limited number. Unfortunately, recent pandemic did influence all sides of societal life and this sad reality has been reflected in the recent issue of the journal as well. Despite this editors are expressing hope that the recent volume will provoke interest of the academic circles and help to further development of the history discipline.

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები

RESERCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ქალაქ ატენისა და ატენის ხეობის მნიშვნელობა X-XII საუკუნეების ქართულ პოლიტიკაში

იოსებ ალიმბარაშვილი

ატენს და ატენის ხეობას განსაკუთრებული ადგილი უკავია X-XII საუკუნეების ქართულ პოლიტიკაში. გადატანილი კატაკლიზმების გამო, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის იგი ჯერ კიდევ „მცირე ქალაქს“ წარმოადგენს (ყაუხჩიშვილი 1973: 343), ხოლო XIX ს. დასაწყისისათვის მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია.

ხეობა თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, მუდმივად იყო ხელისუფლების ზრუნვისა და ყურადღების საგანი. ის გამორჩეული იყო ცივი, ანკარა წყაროებით, ადგილობრივი ღვინის თვისებებით, სამკურნალო ადგილებითა და პროდუქტის სიუხვით. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, ატენის ციხის სამხრეთით, არის

> საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული, ჩრდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა და სდის სხუაცა ცივი წყარო [...] ბობნავამდე ხეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი, მას ზეით [...] კოწახური არს ტყედ [...] კიკანათ-ბერი, კლდით მოზღუდული და წყარო შიგ მომდინარე. [...] მდინარესა შინა ატენისასა ზის კალმახნი გემოიანნი, მრავალნი (ყაუხჩიშვილი 1973: 343-344).

წედისის ხეობა „არს ვენახოვან-ხილიანი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 34) და სხვ. სასარგებლო წიაღისეულიდან აქ მოიპოვებოდა კვარცის ქვიშები (მელიქიშვილი 1970: 24), წედისის მახლობლად მეღვინეთხუცესიშვილების მიწებში მოხსენიებულია „ქვის საჭრელი მადანი“ (ალიმბარაშვილი 2016: 202) და სხვ.

ნაყოფიერი მიწების, ტყეებისა და საძოვრების გარდა, ხეობაზე გადადიოდა გზა შიდა ქართლიდან ქვემო ქართლში, სომხეთსა და მესხეთ-ჯავახეთში კლდეკარის საერისთავოზე გავლით (ბერძენიშვილი 1966: 44-45). ატენის გზით აქ უამრავი ბაჟი შემოდიოდა და ეს ეკონომიკური სარგებელი განაპირობებდა სამეფო კარის თუ სხვა ფეოდალთა დაინტერესებას (პავლიაშვილი 2019: 45).

თრიალეთსა და კლდეკარზე გავლით უკავშირდებოდა ატენის ხეობა ძეგვ-ნიჩბის-კავთისხევისა და წალკაზე გადასასვლელ ე.წ. „ცხვრის გზას“ (მუსხელიშვილი 2014: 160).

ხეობაში მოქმედებდა მდინარე ტანადან გამოყვანილი სარწყავი სისტემა, რომელიც, ნ. ბერძენიშვილისა და დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, ატენის სიონის დროინდელი უნდა იყოს (ბერძენიშვილი 1964: 394); (მუსხელიშვილი 1980: 2015).

„დასტურლამალში“ პირდაპირ იყო გაწერილი თუ ვის ევალებოდა ატენის ხეობის გზის (რომელსაც ბათლომის გზასაც უწოდებდნენ) შენახვა და დაცვა: „უნდა შეინახონ სააკაძემ, გლურჯიძემ, და ატენელთ და იმ ხეობამ“ (სურგულაძე 1970: 532).

შიდა ქართლი და თრიალეთი ერთმანეთთან დაახლოების ტენდენციას საკმაოდ ადრინდელი ხანიდან იჩენენ. საქმე ისაა, რომ შიდა ქართლის ეკონომიკისათვის თრიალეთის საზაფხულო საძოვრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ეს გამოიხატა ტანისხევის ცენტრის თრიალეთთან ჩამკეტი გზების საყარზე – დეკციხეში მოთავსებით (გვასალია 1983: 128).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ატენის ხეობა ციხე-სიმაგრეთა და ეკლესიათა სიმრავლითაც გამოირჩევა. ატენის ციხის სიმტკიცეზე მიუთითებს ფარსადან გორგიჯანისძე: „ციხე მაღალს კლდეს ზედ ნაგები იყო და გასაკვირვებელი სიმაგრე ჰქონდა და ქვითკირით ნაშენები იყო“ (კაკაბაძე 1925: 7), ხატოვნად აღწერს ატენის ციხეს ისკანდერ მუნში: „ეს იყო ისეთი მაღალი და ძლიერი ციხე, რომ ფრინველსაც კი

უჭირდა მასზე გადაფრენა და ბედის ტრიალსაც ვერაფერი დაეკლო მისთვის“ (ფუთურიძე 1969: 21).

ამას გარდა, ატენის ხეობაში მდებარეობს ვერეს ციხე, წედისის ციხე, კიკანთბერი, დანახვისი „მჭვრეტი ქართლისა“ და უამრავი ეკლესია-მონასტერი (ყაუხჩიშვილი 1973: 343).

ხეობაში ადამიანის მოსახლეობის ყველაზე ადრეული კვალი შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დასტურდება (გვასალია 1983: 57, 150); (გამყრელიძე 2013: 64). „ტანას ხევი“ უკვე IV-VII საუკუნეებში იყო ცნობილი და სპასპეტის საგამგებლოში შედიოდა. არსებობს ვარაუდი, რომ ის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა (ბერძენიშვილი 1985: 243-244).

მაინც რამ განაპირობა ტანას (იგივე ატენის) ხეობის დაწინაურება VII საუკუნიდან, ეს გზა ხომ მანამდეც არსებობდა? საქმე ისაა, რომ ადრე შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველო, ირან-ბიზანტიის დაპირისპირების, ხანაც მშვიდობიანი კონკურენციის ობიექტი და უშუალო მონაწილე იყო, სავაჭრო გზებიც, ძირითადად, შავიზღვისპირეთიდან (ფაზისიდან) რიონისა და მტკვრის ხეობებისა და კასპიის ზღვის გავლით ჩინეთ-ინდოეთში მიემართებოდა. როგორც სტრაბონი გადმოგვცემს:

> ოქსოსის (მდ. ამუდარია – ი.ა.) დიდი მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის (კასპიის ზღვა – ი.ა.) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინოს (შავი ზღვა – ი.ა.) [ზღვაში] ჩააქვთ (ყაუხჩიშვილი 1957: 148).

არაბთა ბატონობის დამყარების შემდეგ, ამ გზებმა უწინდელი მნიშვნელობა დაკარგა, ან სამხრეთით გადაინაცვლა. აღმოსავლეთ საქართველოში არაბებმა შექმნეს თბილისის საამირო. ამირას ხელისუფლება თბილისზე, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლის ნაწილზე, მათ შორის, ატენის ხეობაზეც ვრცელდებოდა. აქედან გამომდინარე, გზების მიმართულებებიც შეიცვალა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ნაცვლად, შიდა ქართლიდან სამხრეთით, ქვემო ქართლში გადასასვლელ გზებს მიენიჭა უპირატესობა. როგორც ლევან ჭილაშვილი აღნიშნავს,

> არაბების მომძლავრებით, ქართული პროვინციების დახარკვა-დაკავებით და თბილისის საამიროს დაარსებით ყურადღება გადადის სამხრეთისაკენ. ახალ სოციალ-ეკონომიკურ ძალას კი ახალი ქალაქები მოჰყვა. თბილისიდან სახალიფოს ჩრდილოეთის სასაზღვრო პუნქტიდან სამხრეთის მიმართულებით სავაჭრო გზები კვლავ ამოქმედდა (ჭილაშვილი 1970: 83).

ბუნებრივია, არაბთა ბატონობის დროს, ხეობა ხელისუფლების ინტერესების მიღმა ვერ დარჩებოდა. მათი მხარდაჭერის გამო, ბაგრატ აშოტის ძეს (826-876) ბუღა თურქის წინამორბედი სარდლის, მოჰამად ხალიდის, ძისაგან ატენის ხეობა სამართავად მიუღია (ჯანაშია 1942: 253). ბაგრატ I აშოტის ძე ბუღას მხარესაა თბილისის აღების დროსაც.

თბილისის ამირა საჰაკის მიერ ხალიფასადმი წინააღმდეგობის გაწევის მომენტში, ატენის ხეობის მმართველი კონსტანტი-კახაა, რომელიც, 853 წლის 23 აგვისტოს, ბუღა თურქის შემოსევის დროს, მისი სარდლის ზირაქის მიერ იქნა ნაწამები, ძესთან – თარხუჯთან ერთად. მართალია, მის მიერ ატენის მფლობელობის შესახებ პირდაპირი მინიშნება არ გვაქვს, მაგრამ, სიმონ ჯანაშიას მოსაზრებით, „კახასა და მისი შვილის მოხსენიება ატენის წარწერაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთგვარი მოწმობა იმისა, რომ კახა ამ მხარეების მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელია“ (ჯანაშია 1942: 253). ნ. ბერძენიშვილიც საეჭვოდ არ ხდის, რომ ატენი კონსტანტი-კახას „სადგომია“ (ბერძენიშვილი 1979: 78).

კონსტანტი-კახა მარტვილობისას უკვე საკმაოდ ასაკიანი – 85 წლისა ყოფილა (ჯავახიშვილი 1977: 88) ანუ ის დაბადებულა 768 წელს. შესაბამისად, ნაკლებად სარწმუნოა, სტრატეგიული ხეობის მმართველად იგი ამ ასაკში დაენიშნათ. არ გამოვრიცხავთ, მისი მფლობელობა ატენის ხეობაზე საჰაკის – ისჰაკ იბნ-შუაიბის (830-853) თბილისის ამირად გახდომისთანავე, ან მასთან ახლო პერიოდში დაწყებულიყო. როგორც ჩანს, იგი დაახლოებული იყო თბილისის ამირასთან და მხარს უჭერდა მას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი,

რომ კონსტანტი-კახა და მისი ძე თარხუჯი, საჰაკთან ერთად დასაჯეს სიკვდილით.

სიმონ ჯანაშია კონსტანტი-კახის საჰაკის მხარეზე დგომას სწორედ იმ ფაქტს უკავშირებს, რომ არაბთა მიერ ბაგრატ კურაპალატისათვის შიდა ქართლის გადაცემა პირდაპირ ლახავდა კახას ინტერესებს (ჯანაშია 1942: 253).

სარა ბარნაველი არ გამორიცხავს თარხუჯისა (IX ს.) და ატენის ქალაქმშენებლობის ორგანიზატორის მირიან თარხუნის ძის (XI ს.) საგვარეულო კავშირსაც, თუმცა, სახელთა მსგავსების გარდა, სხვა არგუმენტი ვერ მოჰყავს (ბარნაველი 1946: 88).

არაბთა ბატონობის გადავარდნისთანავე დაიწყო ჭიდილი „ქართლსა ზედა“. ბრძოლაში აქტიურად ჩაერთვნენ აფხაზთა მეფე კონსტანტინე და სომხეთის მეფე სუმბატ ტიეზიკარელი, ამ დაპირისპირებაში საბოლოო გამარჯვებული კონსტანტინე დარჩა (ცაგარეიშვილი 1965: 111).

კონსტანტინეს მემკვიდრე გიორგი II (922-957) და მისი ძე ლეონ III (957-967), შიდა ქართლს მთლიანად ფლობენ და სადგომად ატენი გაუხდიათ: „გამოილაშქრა გიორგი აფხაზთა მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწვა და ასწყჳდა, და წარვიდა თჳსადვე ქვეყნად. კუალად დადგა ატენს და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 268).

მოგვიანებით, აფხაზთა მეფეები შიდა ქართლის გაღმამხარს[1] კარგავენ და იგი ადგილობრივ ფეოდალთა ხელში გადადის, რომელთა შორის ტბელთა ფეოდალური გვარი დაწინაურდა და მათ შორის უფროსი „ქართლის უფლად“ იწოდებოდა.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიშვა ერთი ისტორიული „ქვეყანა“ ცენტრით უფლისციხეში, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა“ – რატი ბაღვაშის საერისთავოს სახით, ცენტრით ატენში (მუსხელიშვილი 1980: 222).

ატენის ხეობას საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სამეფო კარი და ეკლესია ფლობდა, თუმცა, IX-XII საუკუნეებში აქ დიდი მამულები ჰქონდათ და ერთმანეთს ედავებოდნენ მამფლები, ბაღვაშები, ტბელები და სხვ. (ალიმბარაშვილი 2020: 197).

VIII-IX საუკუნეებში „ატენის ქუეყანა“ ადგილობრივი მმართველების – მამფლების სამემკვიდრეო დომენია (შმერლინგი 1947: 267), ხოლო სიონის მონასტერი მათ საძვალეს წარმოადგენს. ერისთავთ-ერისთავი „უფალი“ სტეფანოზ მამფალი (+739), ამავე განშტოების წარმომადგენლები – გუარამავრ დედოფალი და სუმბატ აშოტის ძე (+885) სწორედ ატენის სიონში დაუკრძალავთ (აბრამიშვილი 1989: 30-31), რაც ამ მოსაზრებას საეჭვოდ არ ხდის.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, სტეფანოზ მამფალი ნერსეს ძე და ბაგრატიონთა სახლის იმ შტოს წარმომადგენელია, რომლის მამამთავრად მიიჩნეულია გუარამ I (არახამია 1990: 44). იგი ქართველთა და მეგრელთა ერისთავი და უფალია. მისი ეპიტაფია საყურადღებოა „ატენის ქვეყნის“ ისტორიის გასათვალისწინებლადაც, რადგან სიონის კედლებზე აისახა არა მარტო მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი,[2] არამედ მისი საერისმთავრო საყდარზე კურთხევაც (აბრამიშვილი 1989: 34-35).

ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ შტოს წარმომადგენელთა – ვარაზის, ნერსესა და სტეფანოზის მოხსენიება ატენის სიონის წარწერებში, იძლევა მტკიცების საშუალებას, რომ ტაძრის ქტიტორები ისინი იყვნენ. ეს ტაძარი ამიტომაც ამ სახლის საძვალე გამხდარა (აბრამიშვილი 1989: 38).

X საუკუნის 40-იანი წლებიდან „ატენის ქვეყანას“ უკვე ბაღვაშთა უძლიერესი ფეოდალური სახლი ფლობს. ატენის მფლობელ ბაღვაშთაგან, პირველი მიქაელია, რომელმაც ეს ქვეყანა 940 წელს მიიღო სიგელით ბაგრატ I-საგან (937-945) და 945 წელს საკუთარი ხარჯით ატენის ტაძარს ზღუდე აუშენა. მისი გამოსახულება ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ორფიგურიან ქტიტორულ რელიეფზეა დაცული (კავლელიშვილი 2016: 66-67).

ამ დროისათვის აფხაზთა მეფეებს ქართლისათვის აღარ ეცალათ, რადგან ლეონ III მემკვიდ-

რეებს: დიმიტრისა და თეოდოსს შორის დაპირისპირება დაიწყო. დიმიტრიმ ძმას დაასწრო, ღალატით „თვალები დასწვა“ და ციხეში გამოკეტა, მაგრამ დემეტრე თავად უძეო იყო და მისი სიკვდილის (+975) შემდეგ „აღარა დარჩა მკჳდრი აფხაზეთისა და ქართლისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 272). ასეთ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს მესვეურნი იძულებულნი გახდნენ ტახტზე ისევ უსინათლო თეოდოსი (975-978) აეყვანათ (ლორთქიფანიძე 2008: 246).

დასავლეთ საქართველოში არეულობით კახელებმა ისარგებლეს და ქართლის პოლიტიკური ცენტრი უფლისციხე დაიკავეს.

ქვეყნის შინააშლილობის ჟამს გამოჩნდნენ ძალებიც, რომელთა მთავარ მიზანს ქვეყნის გაერთიანება წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო „კაცი ძლიერი და ერმრავალი“ იოანე მარუშისძე, რომელმაც ტაოს მმართველს დავით III კურაპალატს შესთავაზა, რომ ან თვითონ დაეჭირა ქართლი ან მისი შვილობილისათვის – ბაგრატისათვის ებოძა: „ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 272).

975 წელს დავით III დიდი ჯარით გამოემართა ატენის ხეობით და ქვახვრელს დადგა. ამ ცნობისთანავე კახელები, „ვითარცა მეოტნი“, აიყარნენ და ქართლს გაეცალნენ. დავით კურაპალატს ქვახვრელთან იოანე მარუშის ძე მიეგება და უფლისციხე გადასცა. ტაოს მეფემ ქართლელებს ბაგრატისადმი მორჩილება უბრძანა, მისი მცირეწლოვანების გამო „თანაგამგებლად“ მამამისი გურგენი დაუნიშნა, „დღენი მცირედნი დაყვნა“ და უკან გაბრუნდა (ყაუხჩიშვილი 1955: 274).

ქართლელმა დიდებულებმა ახალი პატრონი არ ინებეს და „იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით“,[3] კახეთიდან ლაშქარი მოიწვიეს, უფლისციხეში მყოფი ბაგრატი და მისი მშობლები შეიპყრეს და კახეთს გაგზავნეს.

ამ ამბის შეტყობისთანავე დავით კურაპალატი იძულებული გახდა თრიალეთის გზით დიდი ჯარით კახეთს გადასულიყო, კახელებმა ზავი არჩიეს, გურგენი, გურანდუხტი და ბაგრატი უკან გამოუშვეს და უფლისციხეც დათმეს, მაგრამ წირქოლისა და გრუას ციხეები თავისად დაიჭირეს (ყაუხჩიშვილი 1955: 275).

ბაგრატი მალევე იძულებული გახდა ქართლიდან აფხაზეთს გამგზავრებულიყო, რადგან მისი ბიძის, უსინათლო და უმემკვიდრეო თეოდოს „მწუხარის“ წყალობით „ქვეყანა განირყუნა და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთა განწესებული“ (ყაუხჩიშვილი 1955: 275).

საქმეში ისევ იოანე მარუშისძე ჩაერია, დავით კურაპალატს ბაგრატის აფხაზეთში გამეფება თხოვა. ბიძის გარდაცვალების შემდეგ, 978 წელს, ბაგრატ III აფხაზთა მეფედ ეკურთხა და ქვეყანაში წესრიგის დამყარება ენერგიულად დაიწყო. წასვლამდე მან უფლისციხეში გურანდუხტი დატოვა და ადგილობრივებს დედის მორჩილება უბრძანა. ქართლის დიდაზნაურები ფორმალურად გურანდუხტს მართლაც ემორჩილებოდნენ, თუმცა, „თითეულად განაგებდეს საქმესა ქართლისასა“, ამიტომ ბაგრატს ხელახლა მოუხდა ქართლში გადმოსვლა. ეს ფაქტი მიუღებელი აღმოჩნდა დიდებულთათვის. მათ ქავთარ ტბელი[4] იწინამძღვრეს და მოღრისთან დაუხვდნენ აფხაზთა მეფეს, მაგრამ დამარცხდნენ (ყაუხჩიშვილი 1955: 276).

ბუნებრივია, ქართლელ დიდაზნაურებს ენერგიული და „მტკიცე ხელის“ ბაგრატის მორჩილებას ისევ გურანდუხტის „ხელქვეითობა“ ერჩიათ, ამიტომ დედა-შვილს შორის უთანხმოების ჩამოგდება სცადეს, და, როგორც ჩანს, მიაღწიეს კიდეც, რადგან ამ პერიოდისათვის ბაგრატსა და დედამისს შორის მთლად იდეალური ურთიერთობა არ ჩანს. მხედველობაში გვაქვს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის დიპლომატიურად ნათქვამი ფრაზა: „მოვიდა უფლისციხეს (ბაგრატ III – ი.ა.) და აღიღო ციხე დედისაგან თჳსისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 276). ჩვეულებრივ შემთხვევაში, ალბათ მემატიანე იტყოდა: დედამ „მიუბოძა“, ან „გადასცა ციხე თჳსიო“ და არა „დედისაგან აღიღოო“.

როგორც ზაზა ალექსიძე წერს,

> „მატიანე ქართლისაის“ ავტორი რატომღაც ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს გურანდუხტის ნების გარეშე მოხდა ეს კონფლიქტი, სინამდვილეში ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ქართლის აზნაურობა და გურანდუხტი ერთ ბანაკში არიან (ალექსიძე 1978: 56).

ბაგრატისა და დედამისის ურთიერთობას ნათელს ჰფენს ატენის სიონის გერჯიუმ ერჰასანის ძის სომხური წარწერა, რომელიც ატენის სიონის დასავლეთის ფასადის ცენტრალურ წახნაგზეა ამოკვეთილი და სადაც ნათქვამია, რომ ბაგრატმა აიძულა ქართველთა დედოფალი უფლისციხე დაეთმო[5] (მურადიანი 1985: 107). ისიც გასათვალისწინებელია, რომ გერჯიუმი აღწერილი მოვლენის თანამედროვე და თვითმხილველია.

პარუირ მურადიანი დედა-შვილის დაპირისპირებას 980-988 წლებს შორის ათავსებს ანუ ბაგრატის მიერ აფხაზეთის დაკავებიდან – ბაგრატისა და დავით კურაპალატის დაპირისპირებამდე (მურადიანი 1985: 107).

ზემოთ მოტანილი წარწერიდან ირკვევა, რომ ბაგრატისადმი ქართლის აზნაურთა დაუმორჩილებლობა, გურანდუხტ დედოფლის მიერ ამ უკანასკნელთა მხარდაჭერის გარეშე არ მომხდარა. ნიშანდობლივია, რომ დიდებულთა დამარცხებისა და უფლისციხის დაბრუნების შემდეგ, ბაგრატმა დედას ქართლის „გამგეობა გამოართვა“ და თვითონ დაიჭირა (ჯავახიშვილი 1983: 126), საქმეები მოაწესრიგა და, ამჯერად, დედასთან ერთად, ისევ აფხაზეთს გაეშურა, რითაც დედოფალს მოუსპო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისა და დიდაზნაურთა მხარდაჭერის საშუალება (მინდორაშვილი 2008: 23).

ისიც საგულისხმოა, რომ წარწერაში გურანდუხტი მოხსენიებულია, არა როგორც ზოგადად „დედოფალი“, არამედ, დაკონკრეტებულია, როგორც „ქართველთა დედოფალი“. სავარაუდოდ, სწორედ ეს შეადგენდა ქართლის აზნაურთა პოლიტიკურ მიზანს – ადგილობრივი, და, შედარებით ნაკლები ძალაუფლების მქონე ხელისუფალი ჰყოლოდათ:

> ერთი სიტყვით, ქართლში შექმნილია განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც ფეოდალურ არისტოკრატიას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ნაცვლად სურს ჰყავდეს ადგილობრივი მარიონეტული მთავრობა, რათა ,,თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“ (პაპასქირი 1990: 69).

თუმცა, ქართლის დამორჩილება ასე მარტივი არ აღმოჩნდა. კლდეკარის ერისთავმა და ატენის ციხის მფლობელმა რატი ბაღვაშმა მიიერთა „ქართლისაგან მტკუარს სამხრით-კერძო ყოველივე თრიალეთი, მანგლისის ხევი, სკვირეთი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 276), ატენის ციხე გაამაგრა და მის მახლობლად საგვარეულო ეკლესიაც ააგო.[6]

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, გამომცემელს „ყოველივეს“ შემდეგ ორი წერტილი უნდა დაესვა (ბერძენიშვილი 1975: 321). ასეთ შემთხვევაში „ატენის ქუეყანაში“ ბევრად ვრცელი გეოგრაფიული არეალი შეიძლება მოვიაზროთ, ვიდრე უშუალოდ ტანას ხეობაა.

ბაგრატმა რატი ბაღვაში კლდეკარის ერისთავად შეიწყნარა, მაგრამ გაძლიერებული მთავარი „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 276). როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს:

> საქმე, უეჭველია, იმაში იყო, რომ „კეთილად მორჩილობა“ სულ სხვადასხვანაირად ესმოდათ ბაგრატ მეფესა და ლიპარიტ ბაღვაშს [...] თრიალეთი და ატენი ბაღვაშს წყალობად არ მოუღია ბაგრატისაგან [...] ბაღვაშთა წინაპარმა „ქვეყანანი თრიალეთისანი“ შეიპყრნა და პატრონიც თვითონ შეარჩია. ასე რომ ის თავს მოხელე ერისთავად, დიდებულ მოსაკარგავედ კი არ გრძნობდა, არამედ ყმადნაფიცად და მხოლოდ ამ პირზე ეწადა „მორჩილება“ – ბაგრატი კი მთავრებს, ყმადნაფიცებს არ ითმენდა და მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილებას“ ერისთავ-მოსაკარგავეებს სცნობდა. ეს იყო ახალი, რაც ბაგრატს შემოჰქონდა (ბერძენიშვილი 1975: 319).

მართლაც, ბაგრატ III ჯარის შეკრებას შეუდგა თავგასული ფეოდალის წინააღმდეგ, მაგრამ მისმა მოწინააღმდეგეებმა დავით III კურაპალატი დაარწმუნეს, „ბაგრატს შენი მოკვლა სწადიაო“ და შვილობილის წინააღმდეგ აამხედრეს. შინაურ დაპირისპირებაში შვილის მხარეს დადგა გურგენი, სამაგიეროდ, ბაგრატის პაპა ამავე სახელით – „რეგვენად“ წოდებული, დავით კურაპალატს მიემხრო, რადგან „ეშინოდა ძისა თჳისისა გურგენისაგან წაღებასა მეფობისასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 277).

როგორც ჩანს, დავით კურაპალატს თავისი მხედრობა ეცოტავა და „უჱმო ყოველთა მეფეთა სომხითისასა“.[7] გურგენსა და დავით კურაპალატს შორის ბრძოლა მოხდა „გარდათხრილთა თავსა შავშეთისასა“, გურგენი იძლია და წეფთის ციხეს შეაფარა თავი. კრიტიკულ მომენტში ბაგრატ III დიპლომატიურად გადაწყვიტა კონფლიქტი. იგი მარტოდმარტო ეახლა დავით კურაპალატს, „შენდობა“ სთხოვა და აუწყა: „ვითარმედ სხუასა არა რომლისა თჳს მოვიდე, გარნა არა მორჩილებისათჳს რატისაო“. დავით კურაპალატმა შვილობილს შეცოდება აპატია და რატი ბაღვაშის დამორჩილებაზე დასტური მისცა: „მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დაიმორჩილე ვითარცა სახედ გწადიანო“ (ყაუხჩიშვილი 1955: 277).

989 წელს ანუ მეორე წელს ზამთარშივე, ბაგრატ III „ყოვლითა ძალითა თჳსითა უგრძნეულად“ შემოადგა კლდეკარს. რატი ბაღვაში „გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შეავედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და მისცა ციხე თჳსი (ატენის – ი.ა.) ბაგრატს და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსთა არგუეთს“.

ბაგრატის მიერ რატი ბაღვაშის დამორჩილების „ნებადართვის“ დავით კურაპალატისეული ფორმულირება ერთობ საინტერესოა. როგორც სავარაუდოა, დიდი ფეოდალის მეფისადმი მორჩილების ფორმა იმ დროისათვის სხვადასხვა სახის იყო. ეს ჩანს მემატიანის მინიშნებაში – რატი „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესაო“. ბაგრატის მიერ რატი ბაღვაშის დამარცხების შემდეგ მეფე-ფეოდალს შორის მორიგება შედგა: ერისთავთერისთავმა მეფეს ატენის ციხე დაუთმო, შვილი ლიპარიტიც „პატრონს შეავედრა“, სამაგიეროდ, თავისი სამკვიდრო მამული – არგვეთი უკლებლივ შეინარჩუნა. როგორც ნიკო ბერძენიშვილი წერს:

> ამ გამოთქმაში „შევედრა“ მთელი მოვლენა იგულისხმება. ჩანს პატრონი და ვასალი ისე მორიგდნენ, რომ რატი ხელს აიღებდა თრიალეთზე, მაგრამ ისე, რომ კლდეკარსა და თრიალეთს პატრონი რატის შვილს ლიპარიტს უწყალობებდა. ასე რომ ლიპარიტს საერისთავო კლდეკარ-თრიალეთი ამიერიდან მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული კი აღარ ჰქონდა, არამედ მეფისაგან ნაწყალობევი. გარდა ამისა, ბაგრატ მეფეს ამ თავისი ერისთავთერისთავისათვის საერისთავო ქვეყანა შეუმცირებია. მაინც და მაინც მტკვრის სამხრეთი ქართლი ატენის ციხით XI საუკუნეში კლდეკარის ერისთავს კი აღარ ეპყრა, არამედ საკუთრივ სამეფო იყო (ბერძენიშვილი 1974: 319).

სწორედ ბაღვაშთა მფლობელობის დროს უნდა მოეწვიათ ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოების საწარმოებლად თოდოსაკის სომხურ-ქართული „ამქარი“ (გაგოშიძე 2018: 129); რაც, სათანადოდ აისახა სიონის წარწერებში.[8]

საინტერესოა, რატომ უნდა აერჩია რატი ბაღვაშს თავისი სამფლობელოს უმთავრესი ტაძრის, ატენის სიონის შესაკეთებლად თოდოსაკის არცთუ მაღალი პროფესიონალების ჯგუფი, როდესაც იმ დროისათვის ტაო-კლარჯეთსა თუ იმერეთ-აფხაზეთში არაერთი კირით-ხურო და ოსტატი მოღვაწეობდა?

გიორგი გაგოშიძე თვლის, რომ რატი ბაღვაშს დაზიანებული სიონის აღსადგენად თავის სამეფოში მოღვაწე მშენებელ-მოქანდაკეები ტაშირ-ძორაგეტის მეფე გურგენმა გამოუგზავნა. ამ შემთხვევაში ქტიტორი რატი ბაღვაში ტაშირ-ძორაგეტის მეფის რეკომენდაციებს ითვალისწინებდა და ოსტატთა კონფესიური კუთვნილება მისთვის მეორე რიგის საკითხი იყო (გაგოშიძე 2018: 129).

მეორე მხრივ, შესაძლოა, კლდეკარის ერისთავს და ატენის პატრონს მაღალპროფესიონალი მშენებლების მოწვევის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რადგან ასეთ ოსტატებს სამეფო ხელისუფლება

აკონტროლებდა და მათ დაკვეთებს ასრულებდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რატი ბაღვაშის დაპირისპირებას ბაგრატ III, ნათელი გახდება, თუ რატომ მოიწვია დიდმა ფეოდალმა ქვემო ქართლში მოქმედი თოდოსაკის ამქარი და არა ტაო-კლარჯელი ოსტატები (გაგოშიძე 2018: 130).

ბაღვაშები მამულის დაკარგვას არ შეურიგდნენ. კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ბაგრატ IV ნახევარძმამ (გიორგი I ალდესთან ქორწინებით) დემეტრემ, ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II დახმარებით ისარგებლეს, „მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი“ და ატენის ციხის აღება სცადეს, მაგრამ ვერ აიღეს, „რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 298).

გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა 1057 წელს ლიპარიტი და მისი ძე ივანე შეიპყრეს და ბაგრატ IV მიჰგვარეს, ხოლო მეორე ვაჟმა ნიანიამ გაასწრო. ლიპარიტმა შვილი ბაგრატს შეავედრა, თვითონ ბერად აღიკვეცა და საბერძნეთში წავიდა. მცირე ხნის შემდეგ, მასთან ჩავიდა ივანეც[9] (ჯავახიშვილი 1983: 150).

ძლიერი ოპოზიციის დამარცხებით ისარგებლა ბაგრატ IV და X საუკუნის 60-იან წლებში ატენში ფართო საამშენებლო სამუშაოები წამოიწყო ატენის ციხისთავის – გორგანელ (გურგანელ) თარხონის ძისა და მირიან ერისთავის ხელით.[10]

ამ პერიოდში ატენის „ქუეყანაში“ ქალაქმშენებლობის ფართო მასშტაბებზე მიუთითებს ატენის სიონის არაერთი წარწერა, სადაც გიორგისა და დამიანეს მიერ „ზღუდის შექმნაზე“, ატენის სარქალის მიერ „ზღუდეების ქმნაზე“, ბაგრატის მიერ „კალაპოტის შექმნაზე“ (შოშიაშვილი 1980: 205-208) და სხვა სამუშაოებზეა საუბარი.

ბაგრატ IV ატენზე ზრუნვა სათანადოდ აისახა ატენის სიონის ფრესკულ მხატვრობაშიც, სადაც მას ქტიტორთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია (ხეთაგური, პაპლინსკი 1984: 144, 146).

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ტაძარი 1080 წელს გიორგი II ნოველისიმოსის დროს მოიხატა (შმერლინგი 1947: 267); (ბარნაველი 1956: 201). თეიმურაზ ბარნაველი ტაძრის მხატვრობას ათარიღებს მის დასავლეთ აბსიდში, სამხრეთ ფრთაზე, იატაკიდან, დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე არსებული დაზიანებული წარწერის საფუძველზე[11] (ბარნაველი 1956: 42).

თუმცა, გ. აბრამიშვილმა ინფრაწითელი სხივებით დაკვირვებისა და ფოტოფიქსაციის საფუძველზე დაადგინა, რომ წარწერაში მოხსენიებულია არა მეფეთამეფე გიორგი ნოველისიმოსი, არამედ გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, რომლის განკარგულებით შეუკეთებიათ და ნაწილობრივ გაუცხოველებიათ დასავლეთის აბსიდის მოხატულობის ცალკეული მონაკვეთები (აბრამიშვილი 1969: 32-37).

მართლაც საეჭვოა, საქართველოსათვის უმძიმეს 1080 წელს ატენის სიონის მოხატვა დაეწყოთ, მაგრამ მეფეთა რიგში გიორგი II-ის გამოსახვა, ატენის სიონის წინაშე მის გარკვეულ დამსახურებაზე უნდა მიუთითებდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია ვარაუდი, რომ სიონის მოხატულობა შესრულებულია XI ს. 90-იან წლების შუა ხანებში, ხოლო ქტიტორთა რიგში ჭაბუკის პორტრეტი გაიგივებულია, არა გიორგი II-სთან, არამედ მის ვაჟთან – დავით IV აღმაშენებელთან (ხეთაგური, პაპლინსკი 1984: 6). გ. აბრამიშვილი ამ მოსაზრებას იზიარებს და სიონის მოხატულობას 1094-1096 წლებით ათარიღებს (აბრამიშვილი 1989: 31).

ატენმა კიდევ უფრო დიდი ფუნქცია შეიძინა დავით IV აღმაშენებლის დროს. 1094 წელს მეფემ საბოლოოდ მოუღო ბოლო ბაღვაშთა ბატონობას კლდეკარსა და ატენში და ისინი სამეფო დომენად გამოაცხადა. აქვე განათავსა სამეფო საჭურჭლე, სადაც არა მარტო ადგილობრივ მოჭრილი, არამედ ევროპულ მიმოქცევაში არსებული მონეტები: დუკატი და ბოტინატიც ინახებოდა (ჟორდანია 2018: 52); (გამყრელიძე 2013: 63). მეფე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი მისი სისხლით მოპოვებულია და თავის მემკვიდრეს – დემეტრეს ანდერძს უტოვებს, ფასეულობიდან გამომდინარე, თუ ამ განძს

შეელიოს: დავითის უახლოეს ადამიანს – მის მოძღვარს უბოძოს სრულად: „ხოლო დუკატი და პოტინატი[12] ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა“ (დოლიძე 1965: 20).

სამეფო საჭურჭლის ატენში განთავსება, მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. დავით აღმაშენებლის ატენისადმი ღვაწლის დამადასტურებელი ჩანს მისი ატენის სიონის ფრესკებს შორის საპატიო ადგილას ქტიტორთა რიგში გამოსახვაც (აბრამიშვილი 1989: 29).

სად უნდა ყოფილიყო ატენში მეფის საჭურჭლე? ამასთან დაკავშირებით, შოთა მესხია წერს:

> ატენის სიონის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქის ნაგებობების შენებასთან ერთად, იწყება მეფის დარბაზის შენებაც, რაც, რა თქმა უნდა, საგანგებო ციხეში უნდა ყოფილიყო [...] ატენის ციხეში, მის დარბაზში, რომელიც ქალაქისაგან იყოფოდა და რომელიც ქალაქთან ერთად წარმოიშვა, იყო მეფის (ქალაქის მფლობელის) საჭურჭლეც (მესხია 1983: 123).

ივანე ჯავახიშვილიც მიიჩნევს, რომ მეფის დარბაზი ქალაქისაგან გამოყოფილ ნაგებობას წარმოადგენდა:

> ისე გამოდის, თითქო ამ წარწერაში ქალაქი მოზღუდვილი ადგილის მნიშვნელობითაა ნახმარი და დარბაზი თუმცა ქალაქის მშენებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც მოზღუდულ ადგილის გარეშე ნაგებობად იყო ნაგულისხმევი (ჯავახიშვილი 1949: 34).

მართლაც, ატენის ციხისთავის გორგანელ თარხონის ძის სამშენებლო წარწერაში მკვეთრად გამიჯნულია „სახლნი, ქულბაქნი“ და „დარბაზი და ქალაქი“. აქედან, ბაგრატ IV მირიან ციხისთავისთვის „მკვიდრად“ უბოძებია „სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი“, ხოლო „დარბაზი“ მეფის პრეროგატივად რჩება. იმდროინდელი პირობებიდან და ვითარებიდან გამომდინარე, „დარბაზი“ ციხის გარეთ, ან ციხისგან შორს ვერ იქნებოდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეფო საჭურჭლე სპეციფიკურ ადგილს წარმოადგენდა და განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდა, იგი ატენის ციხისა და დღევანდელი დედათა მონასტერის ტერიტორიაზე უნდა მოვიაზროთ.

საკუთრივ ატენი და მთლიანად ტანას ხეობა ამის შემდეგაც მუდმივად იყო ბაგრატიონთა სამეფო კარისა და დიდი ფეოდალების (ციციშვილების, ორბელიანების, ერისთავების) ყურადღების, ზრუნვისა და დავის საგანი.

როგორც ვხედავთ, ატენის ხეობას X-XII საუკუნის ქართულ სახელმწიფოსა და პოლიტიკაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა.

შენიშვნები

1 „გაღმა მხარში” შედიოდა შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის, გვიანდელი სათავადოები: სათარხნო, საჯავახიანო და საციციანო (ბერძენიშვილი 1937: 68).

2 სტეფანოზ მამფლის ათსტრიქონიან ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „1. [ქ. ზეობას]ა კა ღ(მრ)თ(ი)გჳრგჳნ[ოსანისა] 2. [არჩილისი, კე]თ(ი)ლადმსახურ[ებასა შ(ინ)ა] 3. მ[ე]ფ[ისა] ჩუენისასა, ჴელმწიფო 4. ბასა [სა]რკინოზთასა რკა, აღესრუ 5. ლა კუ[რ]თხეული მ(ამ)ფ(ა)ლი სტეფანოზ, 6. ღ(მრ)თ(ი)სა მ[იერ] ქ(არ)თ(უე)ლთა და მ(ე) გრ(ე))ლთა ერის 7. თავე[რისთა]ესთა უფ(ა)ლი თ(თუეს)ა ოკდომბე 8. რსა [იდ], დღესა ოთხშაბათსა, ჟამს 9. ა ღა[მისას]ა ა. ამას ზ(ედ)ა წელსა დღისა მ 10. თ[ავრობისა მო]ხრდილი კთ“ (აბრამიშვილი 1989: 90).

3 სულხან-საბას მიხედვით, „ზაკვა“ არის „პირით სიყვარულს იჩემებდეს და გულით ბოროტი დაიმარხოს“ (აბულაძე 1991: 275).

4 ტბელთა ფეოდალურ სახლს შიდა ქართლში დიდი გავლენა ჯერ კიდევ X ს. დასაწყისიდან ჰქონდა. ერედვის 914, დოდოთის 914 წლის ახლოს და ტბეთის ბორცვისჯვრის (X ს. შუა წლები) წარწერებიდან ცნობილია ტბელთა რამდენიმე თაობა: ივანე ტბელი, მისი ძე ქავთარი, ქავთარის ძეები: პატრიკი, ოქროპირი და ქავთარი (ოთხმეზური 1996: 135-137).

[5] პ. მურადიანის მიხედვით, წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „მე [დავწერე] გერჯიუმ ერჰასანის ძემ, ვინც წაიკითხავს ამას, იმ ზაფხულს, როდესაც აფხაზთა მეფე ბაგრატმა აიძულა ქართველთა დედოფალი დაეთმო, ხოლო მომდევნო წელს დაიკავა უფლისციხე, რათა [...]“ (მურადიანი 1985: 107). რამდენადმე განსხვავებულად კითხულობს ამ წარწერას ზაზა ალექსიძე: „ეს მე გერგიუმ ერჰასანის ძე, ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკებელი (მოიხსენიეთ). ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა დედოფალს ქართველთა შეედავა და (სატახტო) უფლისციხე დაიკავა“ (ალექსიძე 1978: 52).

[6] წარწერის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობა რატი ლიპარიტისძე ბაღვაშს უწარმოებია: „ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა აქა ხორციელებრ და წინაშე შენისა სულიერებრ რატ ერისთავი ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაი, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭე ცათაი წმინდაი ეკლესია სალოცველათ სულთა მათისა”. წარწერა დათარიღებულია 982-989 წლებით (შოშიაშვილი 1980: 202-203). არსებობს თვალსაზრისი, რომ რატი ბაღვაშმა ეკლესია კი არ ააშენა, არამედ განაახლა (სიკძ 1990: 60).

[7] სომხების (ანისისა და ყარსის მმართველების) დავით კურაპალატისადმი მორჩილება დასტურდება ასოღიკის ცნობითაც (ემინი 1864: 131).

[8] ერთ-ერთი ასეთი ცნობილი წარწერა ეკუთვნის ატენის სიონის სომეხ რესტავრატორს თოდოსაკს, რაც გახდა XIX საუკუნეში საქართველოში მყოფი ზოგიერთი ევროპელი მოგზაურის (დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე) სიონის ტაძრის შეცდომით დათარიღების საფუძველი. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ატენის სიონი X-XI საუკუნეებით დაათარიღა, შესაბამისად, თოდოსაკიც ამ პერიოდის რესტავრატორად მიიჩნია და ჩათვალა, რომ ატენის სიონი VII საუკუნის სომხური არქიტექტურის რიფსიმეს ტაძრის პროტოტიპს წარმოადგენს (დიუბუა დე მონპერე 1839: 213-214). მონპერეს ცნობაზე დაყრდნობით, მარი ბროსემ ატენის სიონი ბაგრატ IV მიერ აშენებულად, და, თოდოსაკიც ამ პერიოდის ხუროთმოძღვრად მიიჩნია (ბროსე 1849: 21-25). მოგვიანებით, ატენის სიონში აღმოჩენილმა VIII-IX საუკუნეების წარწერებმა (აბრამიშვილი 1984: 164-168) საბოლოოდ გააბათილა ეს არგუმენტები.

[9] თედო ჟორდანია ლიპარიტისა და ივანეს დატყვევებას ბაგრატის მიერ 1055 წლით ათარიღებს (ჟორდანია 1892: 200), რადგან საქართველოდან გადახვეწილი ნიანია გარდაიცვალა ანისში 1055 წლის ახლო ხანებში (ყაუხჩიშვილი 1955: 228).

[10] ატენის სიონის ტაძრის სამხრეთ ფასადზე მოთავსებული ცამეტსტრიქონიანი წარწერის მიხედვით, ბაგრატ IV დავალებით, ფართო საამშენებლო სამუშაოები უწარმოებია ატენის ციხის თავს გორგანელ თარხონის ძეს: „1.ქ. სახელითა ღ~თისათა, მე გ~რგ ნლმნ მირიანის ყმამან, 2. თარხონის ძისამან, ატენის ციხის თავმან, ავაგენ ატენს სახლნი 3. და ქოლბაგი მას ჟამსა ოდეს, ადიდენ ღ~ნ ძლიერმან მეფეთ მეფემან 4. ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა 5. სეფესა ზოჯარსა შინა ქალაქისა შენებაჲ. გაუმარჯოვა ღ~ნ 6. და ბედმან მეფეთ მეფობისა მათისამან; ვითა სწადდა მეფობას მათსა, ეგრე 7. ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალა მეფობისამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი 8. მკჯდრად ნებიერობით გჯბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებაჲ 9. შეეძლო, მე ავაგე სახლი და ქოლბაგი და შევსწირე წ~ასა სიონსა ატე 10. ნისასა საყოფელსა წ~ისა ღ~თისმშობლისასა სალოცველად ჰგიანმცა უკუნისამდე ძლიერო მე 11. ფეთა მეფე ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კ~ტი და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა 12. გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჯნ დავსდევ დღე თევდორობაჲ აღა 13. პად, გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისაჲ ვინცა იყოს“ (ჟორდანია 1892: 206).

მიჩნეულია, რომ ვერეს ეკლესიასა და ატენის სიონის სამხრეთის ფასადის ქალაქმშენებლობის წარწერაში დასახელებული მირიან თარხუნის ძე და ატენის ციხისთავი გურგანელი ერთიდაიგივე პიროვნებაა.

რაც შეეხება, ვერეს კიდევ ერთ წარწერაში მოხსენიებულ ნიანიას, ეს უნდა იყოს ნიანია ლიპარიტის ძე, ხოლო წარწერა მას საგვარეულოს ძლიერების ზენიტში, 1054-1055 წლებში უნდა განეთავსებინა, როდესაც ბაღვაშები ქართლსა და მთელ სამხრეთ საქართველოს ფლობდნენ (კავლელიშვილი 2016: 66-67).

[11] თ. ბარნაველი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „1. [ქ. ყოვლ]ად წმიდაო დედ[ოფალო] 2. [ღმრ]თის მშობელო, მარადის [ქალ] 3. წულო მარიამ ..... 4. ადიდე მეფობა ღვთივ დამყა[რე] 5. ბულისა მეფეთ მეფ[ისა] 6. გიორგისა ნო[ვე]ლ[ისიმოსისა] 7. რომლისა მიერ მოიხატა წმიდაჲ [საყდარი[[ესე] 8. [ქ] ორონიკონსა ტ-სა წელ[სა] მეფობისა] 9. [მათისა] ..... (ბარნაველი 1956: 282).

იგივე წარწერა გურამ აბრამიშვილის წაკითხვით: ,,1. [ქ. ყოვლა]დ წ(მიდ)აო დედ[ოფალო] 2. [ღმრ]თის მშ(ო)ბ(ე)ლო, მ[არა]დის 3. ქ[ალ]წ[ულ]ო მ[ა]რ[ია]მ [მფა]რვე[ლ] 4. და მ[ეო]ხ [ე]ქმენ შე(ნი)სა 5. ლოცვ(ი)თა სვ(ი)ა[ნ](ი)თ მყ(ოფელი)სა 6. გრ[ი]გ[ო]ლსა ლ[ი]პ[არი]ტ თორ[ე]ლ(ი)ს [ძესა], 7. რ[ომლ]ისა მ[იე]რ მოიხ[ა]ტა კედელი 8. ესე დასავლეთისაჲ“ (აბრამიშვილ 1969: 34).

[12] ცნობილია, რომ „ბოტინატი“ ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) დროიდან იჭრებოდა ბიზანტიაში და საქართველოში გადახდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, ხოლო ოქროს

დუკატი პირველად კონსტანტინე X (1059-1067) და მიხეილ VII დუკას (1071-1078) მიერ იქნა მოჭრილი (ქებულაძე 1965: 86-87). არ გამოვრიცხავთ, რომ ორივე ეს მონეტა დავითის მამიდის მართა-მარიამის დროს გაჩენილიყო საქართველოში, რადგან იგი ორგზის იყო ბიზანტიის დედოფალი: იყო იმპერატორების მიხეილ VII და ნიკიფორე III მეუღლე (ყაუხჩიშვილი 1966: 64-71, 156, 163-165). ატენის სიონის ფრესკულ წარწერებში ქტიტორთა რიგში გამოსახულ სუმბატ აშოტის ძის შესაწირავში დასახელებულია ბოტანიატიც. სუმბატ აშოტის ძე ბაგრატიონთა რიგის წარმომადგენელი და ატენის ქვეყნის ძირძველი მემკვიდრეა, რომელსაც დავით IV ზეობაში დაუბრუნებია თავისი სამემკვიდრეო დომენი, ხოლო მისი გამოსახვა ატენის სიონში 1094-1096 წლებით თარიღდება (აბრამიშვილი 1989: 31). დასაშვებია, რომ მონეტები დავით აღმაშენებელს მოეჭრა ადგილობრივ ზარაფხანაში. როგორც ცნობილია, იგი თავად ჭრიდა ქართულ-ბიზანტიურ ვერცხლის მონეტებს (ფაღავა 2015: 173). თუმცა, ანდერძში დავით IV გარკვევით მიუთითებს „დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებულიო“, ანუ, ამ საქმეში სხვის მონაწილეობას გამორიცხავს. ზემონათქვამიდან გამომდინარე, დუკატისა და ბოტინატის არსებობა დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

დამოწმებანი

აბრამიშვილი 1969: გ. აბრამიშვილი. ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, *ძეგლის მეგობარი*, N 19.

აბრამიშვილი 1984: გ. აბრამიშვილი. ატენის სიონის სამი გრაფიტი, *მნათობი*, N 9.

აბრამიშვილი 1989: *ფრესკული წარწერები*, ტ., I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბილისი.

აბულაძე 1991: *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული,* მოამზადა ილია აბულაძემ, ტ., I, თბილისი.

ალექსიძე 1978: ზ. ალექსიძე. *ატენის სიონის სომხური წარწერები*, თბილისი.

ალიმბარაშვილი 2020: ალიმბარაშვილი იოსებ. ტანას (ატენის ხეობის მოსახლეობის დინამიკა (დემოგრაფიული, ეთნიკური და სოციალური ცვლილებები), *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*, N 3, თბილისი. ვებ-გვერდი: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321791/1/III%20%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98.pdf (ნანახია: 20.10.2020).

ალიმბარაშვილი 2016: ი. ალიმბარაშვილი. *დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*, თბილისი.

არახამია 1990: *სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი.

ბარნაველი 1956: თ. ბარნაველი. ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ., XVII, N 3.

ბარნაველი 1946: ს. ბარნაველი. ატენის ახალი წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ., VII, N 1-2.

ბერძენიშვილი 1985: დ. ბერძენიშვილი. *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან*, თბილისი.

ბერძენიშვილი 1966: ნ. ბერძენიშვილი. *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, თბილისი.

ბერძენიშვილი 1937: ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ., I, თბილისი.

ბერძენიშვილი 1964: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ., I, თბილისი.

ბერძენიშვილი 1974: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ., VII, თბილისი.

ბერძენიშვილი 1975: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ., VIII, თბილისი.

ბერძენიშვილი 1979: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ., IX, თბილისი.

ბროსე 1851: M. Brosset. *Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie*, exsecute en 1847-1848 sous les auspices du prince Vorontzof, lieutenant de Caucase, T. I.

გაგოშიძე 2018: გ. გაგოშიძე. ატენის სიონის აღდგენითი სამუშაო X საუკუნის მიწურულს (თოდოსაკი და მისი ამქარი), *საქართველოს სიძველენი*, N 21.

გამყრელიძე 2013: *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი*, გელა გამყრელიძის რედაქტორობით, თბილისი.

გვასალია 1983: ჯ. გვასალია. *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი)*, თბილისი.

დიუბუა დე მონპერე 1839: *Fr. Dubois de montpereux*, *Voyage autor du Caucaze*, *chez les Tcherkesses et les Abkases, en Colchide*, *en Georgie en Armenie et en Crimee*, T. III, Paris. ვებ-გვერდი: http://apsnyteka.org/file/Dubua_de_Monpere_Voyage_autour_du_Caucase_III.pdf (ნანახია: 15.09.2020).

დოლიძე 1965: *ქართული სამართლის ძეგლები, (საერო საკანონმდებლო ძეგლები X-XIX სს.)*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, ტ., II, თბილისი.

ემინი 1864: *Всеобщая история Стефаноса Таронского, Асохика по прозванию*, пер. Н.О. Эмина, Москва, ვებ გვერდი: http://www.vostlit.info/Texts/rus17/Asohik/frametext2.htm (ნანახია: 20.10.2020).

კავლელიშვილი 2016: ე. კავლელიშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები, *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული*, N 13.

კაკაბაძე 1925: ს. კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, *საისტორიო მოამბე*, წიგნი II, ტფილისი.

ლორთქიფანიძე 2008: *საქართველოს ისტორია*, რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე, ტ., I, თბილისი.

მელიქიშვილი 1970: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, გ. მელიქიშვილის რედ., ტ., I, თბილისი.

მესხია 1983: შ. მესხია. საქართველოს ქალაქები XI-XIII საუკუნეებში, *საისტორიო ძიებანი*, ტ., II, თბილისი.

მინდორაშვილი 2008: დ. მინდორაშვილი. *უფლისციხე შუა საუკუნეებში*, თბილისი.

მუსხელიშვილი 2014: დ. მუსხელიშვილი. „მთა ქართლის" ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, *სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა*, თბილისი.

მუსხელიშვილი 1980: დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ტ., II, თბილისი.

მურადიანი 1985: П. Мурадян. *Армянская эпиграфика Грузии*, Ереван.

ოთხმეზური 1996: გ. ოთხმეზური. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, *ოსთა საკითხი*, აკაკი ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის რედ., გორი-თბილისი.

პავლიაშვილი 2019: ე. პავლიაშვილი. *ატენი წერილობითი წყაროების მიხედვით*, ნაშრომი შესრულებული ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

პაპასქირი 1990: ზ. პაპასქირი. *ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი*, თბილისი.

ჟორდანია 1892: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა,* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი I, ტფილისი.

ჟორდანია 2018: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, (1213 წლიდან 1700 წლებამდე), წიგნი II, თბილისი.

სიკძ 1990: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, ტ., V, თბილისი.

სურგულაძე 1970: *დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბილისი.

ფაღავა 2015: ი. ფაღავა. *შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.)*, სადისერტაციო ნაშრომი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ფუთურიძე 1969: *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბილისი.

ქებულაძე 1965: რ. ქებულაძე. საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის (XI-XIX სს*), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, N 4.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., IV, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1957: სტრაბონის *გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ,* მთარგმნელი თ. ყაუხჩიშვილი, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1966: *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ., VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

შოშიაშვილი 1980: *ლაპიდარული წარწერები I, (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X სს)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.

შმერლინგი 1947: რ. შმერლინგი. ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ., VIII, N 4.

ცაგარეიშვილი 1965: *იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი.

ჭილაშვილი, პაპლინსკი 1970: ლ. *ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, ტ., II, თბილისი.

ხეთაგური 1984: *ატენის სიონის მოხატულობა*, რედ., გ. ხეთაგური და ვ. პაპლინსკი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1949: ი. ჯავახიშვილი. *მშენებლობის ხელოვნება ძველს საქართველოში, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, რედ., ნ. ბერძენიშვილი, ტ., I, თბილისი.

ჯავახიშვილი 1977: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი*, ტ., VIII, თბილისი.

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი*, ტ., II, თბილისი.

ჯანაშია 1942: ს. ჯანაშია. აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ხელისუფლების საკითხისათვის, *ენიმკის მოამბე*, N 13.

THE ROLE OF THE TOWN ATENI AND ATENI GORGE IN GEORGIAN POLITICAL LIFE (10TH –12TH CC)

Ioseb Alimbarashvili

The Basin of Tana River is located in the central part of the northern slope of the Trialeti Range, between the Trialeti, Satskhenisi and Tsereteli ridges. Tana starts at the east of Jamjama Mountain and joins the Mtkvari River from the right at the intersection of Gori and Khidistavi. Traces of the first inhabitants of the Tana Gorge can already be seen from the Middle Bronze – Late Bronze Age. The "Tana Gorge" was already known in the 4th -7th centuries and was included in the administration of Spaspeti. In addition to strategic importance, this place was attractive for its fertile lands, forests and pastures, and the road from the Shida Kartli to Kvemo Kartli, Armenia and Meskhet-Javakheti which through the Kldekari Saeristavo passed through the Tana Gorge. The Tana Gorge was owned by the Georgian Royal Court and the Church of Georgia for centuries, however at different times the feudal houses of Baghvash, Tsitsishvili, Orbelian and others also had large estates here. In the 10th century, this region – "country of Ateni" was owned by the most powerful feudal house of Bagvash. The first king of the united Georgian kingdom, Bagrat III, confiscated the fortress of Ateni from the Bagvashs and took possession of it. The Bagvashs did not give up the strategic Gorge without a fight, however eventually were defeated. The inscriptions of the Ateni Sioni Church indicate the large-scale construction at the initiative of Bagrat IV in the "country" of Ateni. Ateni became even more important during the reign of David the Builder. The Royal treasury was kept here. The town Ateni and entire Tana Gorge have since been the

subject of constant attention and care from the royal house of Bagrations. Thus, the town Ateni with its fortress as well as entire Ateni (//Tana) Gorge was one of the strategic places of Shida Kartli (region in Eastern Georgia) and played important role in the politics of Georgian state in pre-modern times.

In the present paper the history of this place is studied according to the archival documents and narrative sources. In particular, the period from 10th to 12th cc is concerned.

წალენჯიხის ეტიმოლოგიისათვის

პაპუნა გაბისონია

სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს წალენჯიხის რაიონი, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ზუგდიდის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი ესაზღვრება. დასავლეთით მას გალის, ჩრდილოეთით კი – მესტიის მუნიციპალიტეტი საზღვრავს. საკუთრივ მუნიციპალური ცენტრი – წალენჯიხა – თბილისიდან 343 კილომეტრით არის დაშორებული და ზღვის დონიდან 222 მეტრზეა გაშენებული. ქალაქ ზუგდიდთან წალენჯიხას 25 კილომეტრი აშორებს, რომელთანაც მას ზემო სამეგრელოში მიმავალი გზატკეცილი აკავშირებს. სარკინიგზო ხაზი წალენჯიხის რაიონში შემავალ დაბა ჯვარამდე მიდის. წალენჯიხასა და ჯვარს შორის მანძილი 16 კილომეტრია. მუნიციპალიტეტში 14 სასოფლო თემი შედის.

წალენჯიხის რაიონში, ისევე როგორც მთლიანად სამეგრელოში, კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია: ზამთარი რბილი და ზაფხული ცხელი. რაც შეეხება რელიეფს, რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი განიერი და მთიანია, სამხრეთით ვიწრო პლატოსებრი ვაკეა. მათ შორის გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთია გადაჭიმული. მთიანი ნაწილი მოიცავს ეგრისის და კოდორის ქედების სამხრეთ კალთების შტოქედებს და ღრმა ხეობებს. ეგრისის ქედზე აღმართულია ბევრი მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 3000 მეტრს აღემატება: ჭითაგვალა, თხეიშ დუდი, დიდღალ დუდი, ჭითა ალიში. ასევე შედარებით მომცრო მთები: ყვირა, ოხაჩქუე, ოთეფურა და სხვა. წალენჯიხის რაიონის მთიანი ნაწილი დასერილია ენგურისა და ჭანისწყლის მრავალრიცხოვანი შენაკადების ღრმა ხეობებით. რაიონის სამხრეთ ნაწილში კი ხევ-ხეობებია. მდინარეთა ქსელი ხშირია. მთავარი მდინარეა ენგური, რომელიც წალენჯიხის რაიონში საკმაოდ დიდ მანძილზე მიედინება. მისი მრავალრიცხოვანი შენაკადებიდან აღსანიშნავია: ჩხინა, ეცი, ოლორი (მარჯვენა შენაკადები), ხუბერი, მაგანა (მარცხენა შენაკადები). რაიონის აღმოსავლეთ მხარეს მიედინება მდინარე ჭანისწყალი, რომლის ორივე მხარეს არის წალენჯიხა გაშენებული. მისი შენაკადებია: ინწრა, სკურდილი და სხვა. ამ რაიონშია მდინარე ჯუმისა და ოჩხომურის ზემო დინება. ტბებიდან აღსანიშნავია ალპური ტბა „ტობა ვარჩხილი“, რომელიც ეგრისის ქედზე მდებარეობს. ტბის წყალი ვერცხლისფერია და მისი სახელწოდებაც აქედან მოდის.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროიდან მოსახლეობდა. 1965 წელს სოფელ ენწერში არქეოლოგებმა საცდელი გათხრები ჩაატარეს და ძველი ქვის ხანის ადამიანის ნამოსახლარი – გარე სადგომი გამოავლინეს. იქვე აღმოჩნდა იმ პერიოდის ქვის იარაღები. ასევე, სოფელ ლიაში არქეოლოგებმა ბრინჯაოს ხანის მრავალი ნივთი აღმოაჩინეს, რომელიც ძვ. წ. II-I ათასწლეულებს განეკუთვნება, ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჯვარში გამოავლინა ცნობილმა სიძველეთა დამცველმა და ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებელმა აკაკი ჭანტურიამ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ანტიკური პერიოდიც. სოფელ ლიაში „დიდა ქირსას“ ტერიტორიაზე გათხრების შედეგად არქეოლოგებმა ამ პერიოდის სამარხები გამოავლინეს. რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, ამ სამარხების მიხედვით გაირკვა, რომ ამ რეგიონში ქრისტიანობა უკვე IV საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული, რადგან მიცვალებულები ქრისტიანული წესით იყვნენ დაკრძალული. ადრე და შუა ფეოდალური ეპოქის ისტორიული ძეგლები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად გვხდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეგრისი (ლაზიკის), ეგრის-აფხაზეთის სამეფოს და გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს დროს ეს მხარე ერთ-ერთი დაწინაურებული რეგიონი იყო.

წალენჯიხის სახელწოდების წარმომავლობასთან დაკავშირებით მკვლევრებს შორის აზრთა

სხვადასხვაობა არსებობს. საკითხს პირველი შეეხო იოსებ ყიფშიძე, რომელმაც წალენჯიხის ეტიმოლოგია ჭანებს დაუკავშირა და მიიჩნია, რომ ეს არის ჭანების ციხე: წალენჯიხა-ჭელენჯიხა-წენდიხა – წენი//ჭანი, დიხა-ჯიხა, ჭანების ციხე (ყიფშიძე 1914: 377). წალენჯიხის ეტიმოლოგიას შეეხო არნოლდ ჩიქობავა. იგი არ დაეთანხმა ყიფშიძის მოსაზრებას „წენდიხას“ პირველობის შესახებ და გამოთქვა აზრი, რომ სწორედ ქართულმა შემოგვინახა ამ სახელწოდების უძველესი ფორმა წალენჯიხა. მეგრულ-ჭანურ ენაზე დაყრდნობით ა. ჩიქობავამ „წალენი“ ახსნა როგორც „ქვემო“, ხოლო „ჯიხა“ შეესაბამება „ციხეს“. შესაბამისად „წალენჯიხა“ „ქვემო ციხე“ გამოდის (ჩიქობავა 1937: 40-47).

შოთა მესხია, წალენჯიხას ჭანების//წანების ტომს უკავშირებს. მისი დასკვნით:

> წალენჯიხა და მისი მიდამოები დასავლურ ქართველ ტომთა თავდაპირვანდელი სამოსახლო ადგილი იყო […] უდავოა, რომ „ჭენ-ჯიხა“, „ჭალენ-ჯიხა“ და „ჭან-წყალი“ არის დიალექტური ვარიანტები „წენ-დიხისა“ (წალენჯიხა) და „წენ-წყარის“. „წენ-ჯიხასა“ და „წენ-წყარში“ „ჭ“-ს მაგივრად სიტყვის თავში „წ“-ს გაჩენა ენათმეცნიერებს ახსნილი აქვთ ე.წ. რეგრესული ასიმილაციით. კერძოდ იმით, რომ ქართული „ჭ“ მეგრულში ხშირად გვაძლევს „წ“-ს (მაგ. შეადარე ქართული – ჭირისუფალი და მეგრული – „წირსფალი“). ასე რომ, ყველა ზემოთ დასახელებული სიტყვების – „წენდიხა“, „წენწყარი“, პირველ ნაწილში გაისმის დასავლური ქართული სახელი „წან“//„წენ“, „ჭან“//„ჭენ“-ი. მეცნიერებს სადავოდ არ მიაჩნიათ – სწორედ წანი ტომისაგან მიიღო სახელწოდება ამ ადგილმა და იმ ციხემ, რომელიც მათ ეკუთვნოდათ (წენ-ჯიხა) და იმ მდინარემაც, რომელიც ამ ციხეს ჩაუდიოდა (წენ-წყარი) (მესხია 1961).

ჭანები ერთ-ერთი დასავლურ ქართული მოდგმის ტომია, რომელსაც ყველაზე მეტი სიახლოვე მეგრელებთან აქვთ. ჭანების სამოსახლო სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთშია. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ჭანებმა დასავლეთ საქართველოში ძველი ეგრისის სამეფოს ახალი სიცოცხლე ჩაბერეს და ჰეგემონია მოიპოვეს. ძველი რომაელები და ბიზანტიელები იმ ჭანებს, რომლებიც პონტოს (ჭანეთის) მთებიდან კოლხეთის დაბლობში ჩამოსახლდნენ „ლაზებს“ უწოდებდნენ, ხოლო ახალ სახელმწიფოს – „ლაზიკას“. ჭანები ფართოდ განსახლდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვა მეგრულ ტომებთან ერთად, რასაც მეგრულ-ჭანური დასავლურ-ქართული ეთნოსის სახელით ვიცნობთ. ისტორიოგრაფიაში მათ ზანებს უწოდებენ.

საისტორიო წყაროებში სახელწოდება „წალენჯიხა“ პირველად XIII საუკუნეში გვხვდება. წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში დაბრძანებული ჯვარცმის ხატის წარწერა გვამცნობს:

> ქ. რომელი ხსნისათვის ჩუენისა კაც იქმენ და ჯუარცმაი და სიკვდილი დაითმინე, რაი შევსწიროთ ღირსი წყალობათა შენთა, არამედ სურვილით ვამკობთ ჯუარსა შენსა მაცხოვარო წალენჯიხისაო, მინდობილნი შენნი: მანდატურთუხუცესი დადიანი ბედან და მე ძე მათი მეორედ მამკობი დადიანი გიორგი (თაყაიშვილი 1914: 227).

ბედან და გიორგი დადიანები, მამა-შვილი, სამეგრელოს (ოდიშის), ერისთავთერსთავები არიან. ბედან II დაახლოებით XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან ამ საუკუნის 90-იან წლებამდე მართავდა სამეგრელოს, ხოლო გიორგი I – XIII საუკუნის მიწურულიდან 1323 წლამდე (არახამია 2003: 43-44).

როგორც ვხედავთ, ჯვარცმის ხატზე მოცემულია წალენჯიხა და არა წენ-დიხა ან ჭენ-ჯიხა. ამ კონკრეტული დასახლების სახელწოდება, სადაც მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი აშენდა, იყო წალენჯიხა. ასეთ მნიშვნელოვან წარწერას შეცდომით არ შეასრულებდნენ. ამის თაობაზე ორი აზრი არ არსებობს და მომდევნო საუკუნეებშიც, შესაბამისად, წალენჯიხა გვხდება. ასე მაგალითად, 1648 წლით დათარიღებულ წარწერაში, წალენჯიხელ ეპისკოპოსად იხსენიება ევდემონ ჯაიანი: „ქ. მე ებისკოპოსმან წალენჯიხელმან ევდემონ ჯაიანმან დავახატვინე ეკვდერის კარი ჩვენის ხელმწიფის დადიანის ლევანის სადღეგრძელოთ…“ (თაყაიშვილი 1914: 215-216). ეკლესიის შიგნით, ჩრდილოეთ სვეტზე ევდემონის მეორე წარწერაა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღმრთისაო, შეიწყალე

წალენჯიხელი. ევდემონს ჯაიანს შეუნდოს ღმერთმან“ (თაყაიშვილი 1914: 215).

წალენჯიხის სახელწოდებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1633-1653 წლებში ოდიშის სამთავროში მისიონერული საქმიანობით მყოფი იტალიელი ბერი დონ არქანჯელო ლამბერტიც. ის ასახელებს მდინარე ჭანისწყალს და საინტერესო მოსაზრებასაც გვამცნობს. მისი აზრით, მდინარეს სახელი ეწოდა აქ ნავებით სავაჭროდ მომავალი მეზობელი ხალხისაგან, რომელსაც ჭანები ჰქვიათ. ლამბერტი ცნობებს გვაწვდის წალენჯიხის ეკლესიაზე და საეპისკოპოსოზე. სამეგრელოს საეპისკოპოსოების ჩამოთვლისას აღნიშნავს, რომ: „მეხუთეა წალენჯიხელის, გორაკზე მდებარე, მისი ეკლესია ფერისცვალების სახელობაზეა აშენებული. აქ მარხავენ მთავრებს. მის ეპისკოპოსს ჰქვია წალენჯიხელი“ (ჭყონია 1990: 107). წალენჯიხელ ეპისკოპოსებს: მიტროფანეს და ილარიონს ახსენებენ სამეგრელოში მყოფი კათოლიკე მისიონერი ბერები (თამარაშვილი 1902: 199-200). დასავლეთ საქართველოს 1937 წლის რუკაზე დატანილია „ჭანისწყალი“ და „წალენჯიხის მონასტერი“ (ბურჯანაძე 1957: 178-206). 1639 წელს სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მეფის ელჩები: ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი ეწვივნენ და 8 დეკემბერს ისინი წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში წირვას დაესწრნენ. აქ მათ წინამძღვარი იოანე დახვდათ, რომელმაც სტუმრებს ტაძარი დაათვალიერებინა. წალენჯიხა მათ “Ценажига”-ს ფორმით აქვთ გადმოცემული (გამახარია 2005: 262-263).

საისტორიო წყაროებში წალენჯიხას ჭელენჯიხის ფორმით მარტო XVIII საუკუნეში მოღვაწე ცნობილი სწავლული ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს:

> ამის ჩრდილოთ დის ჭანის-წყალი, წოდებული ჭელენჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად [...] მთის თხემზე არის ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარეს შორის ადგილთა, კავკასიდან ზღვამდე (ყაუხჩიშვილი 1973: 167, 778).

ჩვენთვის უცნობია რა საისტორიო წყაროზე დაყრდნობით გადმოგვცა ვახუშტიმ წალენჯიხის ალტერნატიული ვარიანტი ჭელენჯიხა. ამას ყურადღება თავის დროზე თამაზ ბერაძემ მიაქცია. მისი დაკვირვებით:

> ვახუშტისეული „ჭელენჯიხი“ არც ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში თუ საისტორიო საბუთში არ გვხდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ქართული წალენჯიხაა ამ სახელის უძველესი ფორმა. ამის გამო ვახუშტისეული „ჭელენჯიხი“ მეგრულის გავლენით დამახინჯებულ ფორმად მიგვაჩნია. „ჭელენჯიხი“ ზუსტი მეგრული შესატყვისობისაა ლიტერატურული წალენჯიხის (ბერაძე 1967: 34-35).

წალენჯიხის სახელწოდების წარმომავლობა ჭანებს (ლაზებს) რომ უკავშირდება, ზემოთ მითითებულ მკვლევართა მოსაზრებით მყარდება და ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ არნოლდ ჩიქობავა ბევრად უფრო დამაჯერებელ ახსნას გვთავაზობს, როდესაც წალენჯიხას ეტიმოლოგიას მეგრულ-ჭანურზე დაყრდნობით ხსნის, როგორც „ქვემო ციხეს“. მკვლევარს, მართალია, მაგალითებად სხვა ტოპონიმები არ დაუსახელებია, რომლებიც „წალენით“ იწყება, მაგრამ ისტორიულ ჭანეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, არის რამდენიმე ტოპონიმი, რომელშიც „წალენი“ გვხდება. მაგალითად: წალენ კუტუნითი, წალენ ნაფშითი, წალენ პოტოჯური (ფუტკარაძე 2015: 16). წალე ლივადი (ადგილი თიმსავათში, ართაშენი), წალემჯორე, წალენი გოლა (ღვანდი, ვიჯე), წალენი ძღემი (ართაშენი), წალენი ოფუტე (მოცხორა, ვიწე), წალენღალი (ტრევენდი) (ბუკია 2010: 49-59); (სიხარულიძე 1979: 168); (გოგოხია 2017: 84). დღეისთვის მეგრულში ქვემოს ანუ „თუდოს“ აღმნიშვნელი „წალენი“ არ მოგვეპოვება, მაგრამ ძველ დროში სავსებით შესაძლებელია ეს სიტყვა მიმოქცევაში ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ წალენიდან წალენჯიხის წარმომავლობას იზიარებს გონელი არახამიაც. მისი თქმით, ლაზებს მასთან დაუდასტურებიათ სიტყვა წალენის და ქვემოს ერთიდაიგივეობა (ინფორმაციის მოწოდებისათვის ბატონ გონელს მადლობას მოვახსენებ – პ.გ.).

ადგილობრივი მოსახლეობა წალენჯიხას ზოგჯერ „წენდიხას“ ეძახის, რაც „წენის მიწას“ („დიხა“– მიწა – პ.გ.) შეესაბამება. ტოპონიმი ცარიელ ადგილზე არ იქმნება და მის გაჩენას გარკვეული საფუძველი აქვს. ზეპირსიტყვიერებაში ტოპონიმების უმრავლესობა ხანგრძლივად ნარჩუნდება. ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე „წენდიხას“ შემთხვევაშიც. ზემოთ ნახსენები მკვლევრები „წენს“ ჭანებს უკავშირებენ და, შესაბამისად, თავდაპირველი ფორმა „ჭენდიხა//ჭანდიხა“ ანუ „ჭანების მიწა“ იქნებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში „წენდიხად“ გადაიქცა. ამის ნათელი მაგალითია ჭანისწყალი, რომელიც წალენჯიხას ჩამოუდის. ადგილობრივები მას „წენწყარს“ (წყარი-წყალი – პ.გ.) ეძახიან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს ბარში, კოლხეთის დაბლობში და მთისწინეთში განსახლდნენ ჭანები, იგივე ლაზები. მათი ნაწილი აქ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან, ჭანეთიდან (ლაზეთი) მოვიდა. ამ ერთ-ერთი დასავლურქართული მოდგმის ხალხმა ჭანისწყლის ხეობაც აითვისა. დროთა განმავლობაში მდინარეს მათი სახელი, ჭანისწყალი ეწოდა. ჭანისწყლის ხეობის ნაწილს წენდიხა დაერქვა, ხოლო უშუალოდ ციხეს, რომელიც დღევანდელ მუნიციპალურ ცენტრში იდგა – წალენჯიხა, ანუ „ქვემო ციხე“. დროთა განმავლობაში ხალხურ მეტყველებაში არსებული მიკრო რეგიონის სახელწოდება „წენდიხა“ საკუთრივ წალენჯიხაზე გავრცელდა.

საინტერესოა, რომ მდინარე ჭანისწყლის ხეობაში, სოფელ ჯიხაშკარში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დგას ციხე-სიმაგრე, რომელიც ისტორიულ წყაროებში ჭაქვინჯის ციხის სახელით არის ცნობილი. შესაძლებელია ჭაქვინჯის ციხის სახელწოდებაც ჭანებს უკავშირდებოდეს და ის ჭანების ძირს უნდა აღნიშნავდეს (მეგრული „ქვინჯი“ ძირს ნიშნავს, ხოლო „ჭა“ ჭანი. შედარებისთვის საინტერესოა, ნოქალაქევის ციხე-ქალაქთან დაკავშირებით ცნობილი ისტორიკოსის ილია ანთელავას დასკვნა: „ჯიხან ქვინჯი ციხე-გოჯ//არქეოპოლისის სახელია და „ძირის“ ციხეს ნიშნავს, რაც გაგებული უნდა იქნას, როგორც მთავარი ან თავადი ციხე“ (ანთელავა 1988: 11). ჭაქვინჯთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1949 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება შოთა მესხიამ. მის აზრით, ჭაქვინჯი დამახინჯებული ჯიხა-ქუჯია და ის ეგრის ერისთავ ქუჯის უნდა უკავშირდებოდეს. ციხე-გოჯი არა ნოქალაქევს, არამედ ჭაქვინჯს უნდა მიემართებოდეს. ამ აზრს სავსებით იზიარებს თამაზ ბერაძე (ბერაძე 1967: 209-210). ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვს ავთანდილ თორდიას. ის ჭაქვინჯის უძველეს სახელწოდებად ოდიშს მიიჩნევს, საიდანც ეს სახელი შემდეგ ქვეყანას ეწოდა (თორდია 2012: 75-76). ასევე საინტერესოა ტოპონიმი „ოჭანე“ დაბა ჯვართან ახლოს. ეს სახელწოდება ჭანიების გვარს, რომ უკავშირდებოდეს, მაშინ საჭანიო ან ლეჭანე გვექნებოდა, როგორც ეს ხშირად სამეგრელოში კომპაქტურად დასახლებული გვარების თვითსახელწოდებების შემთხვევაში გვაქვს.

დამოწმებანი

ანთელავა 1988: ი. ანთელავა. *XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები*, თბილისი.

არახამია 2003: გ. არახამია. *ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XIს.-XVIს. I ნახ.)*, თბილისი.

ბერაძე 1967: თ. ბერაძე. *ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.)*, საკანდიდატო დისერტაცია ისტორიაშ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიის ისტორიისა დაეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

ბუკია 2010: მ. ბუკია. რთულფუძიანი ტოპონიმები ლაზურში, *ქართველური ონომასტიკა*, ტ. IV, თბილისი.

ბურჯანაძე 1957: შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე,* ტ. I, თბილისი.

გამახარია 2005: *Посольства Федота Елчина и Павла Захарьева в Менгрелию (1639-1640 гг), Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, изд. Д. Гамахария, Тбилиси.

გოგოხია 2017: ბ. გოგოხია. *ლაზური გვარსახელები, ლაზური ანთროპონიმიის საკითხები*, თბილისი.

თამარაშვილი 1902: მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი.

თაყაიშვილი 1914: ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, *არხეოლოგიური მოგზაუ-*

რობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფილისი.

თორდია 2012: ა. თორდია. სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ოდიში, *შ. მესხის სახ. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, N5, თბილისი.

მესხია 1961: შ. მესხია. მცირე ცნობა წალენჯიხის უძველესი წარსულიდან, გაზ. *კომუნიზმის დროშით*, N4, 8 იანვარი, წალენჯიხა.

სიხარულიძე 1979: ი. სიხარულიძე. *ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები,* ტ. II, თბილისი.

ფუტკარაძე 2015: ტ. ფუტკარაძე. ქართული ენა როგორც თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მდგენელი: პრობლემები, პერსპექტივები, *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები*, ტ. IV, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе. *Граматика мингрелского//иверского языка*, Санкт-Петербург.

ჩიქობავა 1937: ა. ჩიქობავა. წან პრევერების მნიშვნელობისათვის ქართულში, *ენიმკის მოამბე*, ტ. I, თბილისი.

ჭყონია 1990: *დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა,* იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა ი. ანთელავამ, თბილისი.

FOR THE ETYMOLOGY OF TSALENJIKHA

Papuna Gabisonia

Tsalenjikha is located in the northwestern part of the Samegrelo region (western Georgia), in the gorge of the Chanistskali river. The municipal centre is located 343 kilometers from Tbilisi and is located at 222 meters above sea level. The Tsalenjikha municipality consists of twelve rural communities. The climate is subtropical humid. The Tsalenjikha municipality borders the municipality Gali (west), Mestia (north), Zugdidi (south) and Chkhorotsku (east). The main rivers of this microregion are Inguri and Chanistskali with their numerous tributaries. The Egrisi Ridge is located north of the municipality. The territory of the municipality has been inhabited since Palaeolithic times. Archaeological material of the ancient historical period was found here.

In historical sources, Tsalenjikha is first found in the iconography of the thirteen century. Some scientists believe that the toponym Tsalenjikha belongs to the Chan tribe and means the fortress of Chan. Chans in western Georgia settled in the II-I centuries BC. “Tsalen” in Chan (Laz) language means lower, “tsalenjikha” – lower fortress (I. Kipshidze). The Lazian word “tsaleni “ means the lower part, and “jikha“ – a Mingrelian fortress. Locals also called Tsalenjikha “tsendiha”. This toponym means the “land of Chans”. We think that the toponym Tsalenjikha means the lower fortress. This name was applied to the territory of the town itself. And in the middle of the Chanistskal gorge, Tsendikha was called because the Chan tribe settled here. Thus, that the name of this tribe is associated with the name of the Chakvindzhi fortress. This fortress is located in the gorge of the Chanistskali river.

როჯერ ბეკონი: ესქატოლოგიური საკითხები, გეოგრაფიული ცოდნა და სამეცნიერო მეთოდი XIII საუკუნეში

ალექსანდრე თვარაძე

სტატიაში განიხილება ესქატოლოგიურ ხალხებთან, ბოლო ჟამთან და კასპიის კართან დაკავშირებული მასალა ინგლისელი ფილოსოფოსის და თეოლოგის, როჯერ ბეკონის (1214/20 – დაახ. 1292) „დიდი თხზულებიდან“ (დაახ. 1265-1267/68). ძირითადი ყურადღება ეთმობა საკითხს, თუ როგორ განსაზღვრავს ბეკონი სამეცნიერო (ექსპერიმენტული) მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომ კასპიის კარიდან გამოსული ხალხები არ უნდა იყვნენ ანტიქრისტეს დამხმარე ხალხები. იგივე მეთოდოლოგიის დახმარებით ბეკონი მსჯელობს ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი უნდა იყოს მეორედ მოსვლის დროის დადგენა. აღნიშნულ პრობლემებთან ერთად სტატიაში კვლევის საგანია „დიდ თხზულებაში“ კასპიის კარის გეოგრაფიული ლოკალიზების საკითხიც. მასალის ზოგად კონტექსტში მოსათავსებლად თავიდან მოვიტან შესაბამისი მნიშვნელოვანი საკითხების მოკლე მიმოხილვას.

„დიდი თხზულება“ არის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი. ბოლო ჟამის ხალხებზე და კასპიის კარზე ცნობები ძირითადად მოთავსებულია გეოგრაფიის ნაწილში, შედარებით მცირე რაოდენობა – ასტრონომიის და მორალის ფილოსოფიის ნაწილებში (ბეკონის ბიოგრაფიის ძირითადი ნაშრომების, კონკრეტულად და „დიდი თხზულების“ შესახებ იხ. (ჰეკიტი 1997ა: 9-19, 22); (ჰეკიტი 2003: 616-617); (პაუერი 2013: 32-83); (თორნდაიკი 1923: 619-629, 631, 678); (სარტონი 1931: 952-963); (თევზაძე 1996: 309-317); (გოგიბერიძე 1972: 345-346); (ბაქრაძე და *სხვები* 1962: 88-89).[1]

XIX საუკუნეში ბეკონი გარკვეულწილად მიჩნეული იყო თანამედროვე მეცნიერების ფუძემდებლად. თუმცა XX საუკუნეში, სამეცნიერო კვლევების შედეგად, ბეკონის რომანტიულმა სახემ ადგილი დაუთმო მის უფრო მეტად რეალისტურ პორტრეტს: ბეკონი, პირველ ყოვლისა, იყო XIII საუკუნის სქოლასტიკის წარმომადგენელი ფილოსოფოსი, შუა საუკუნეების მეცნიერი, მორალური და რელიგიური საკითხების კომენტატორი. თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰუმანიტარული, ან ზოგადად მეცნიერების განვითარებაში (ჰეკიტი 1997ა: 20); (ჰეკიტი 1997ბ: 303).

ექსპერიმენტული მეცნიერება (*Scientia experimentalis*), როგორც კატეგორია, ბეკონთან გულისხმობს მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება ყველა მეცნიერებაში; ასევე პრაქტიკული ცოდნის გარკვეულ მთლიანობას, რაც მიიღება ექსპერიმენტის ან გამოცდილების (ცდის) საშუალებებით. როგორც მეთოდოლოგია, ის განამტკიცებს რაციონალური არგუმენტით მიღებულ დასკვნებს, უარყოფს ავტორიტეტს. ბეკონის ექსპერიმენტული მეცნიერება გულისხმობს საგულდაგულო დაკვირვებას თვითონ საგნებზე, ემპირეაზე, დოქტრინებზე მსჯელობის ნაცვლად. თუმცა ის არის არა თანამედროვე გაგებით ექსპერიმენტული მეთოდი, არამედ – შუა საუკუნეების ექსპერიმენტული მეცნიერება. ბეკონისთვის მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა სამსახურის გაწევა შეუძლია ექსპერიმენტულ მეცნიერებას ბიბლიური ეგზეგეტიკისთვის, ურწმუნოთა მოქცევისთვის (ლინდბერგი 1987: 533-534); (ჰეკიტი 1997ბ: 278, შენ. 2; 280-283, 314); (თორნდაიკი 1914: 280-282); (სარტონი 1931: 953, 959); (თევზაძე 1984: 221-228); (თევზაძე 1996: 309, 315-317).

გადმოცემა გოგის და მაგოგის ბოლო ჟამის ხალხების შესახებ მომდინარეობს ბიბლიიდან (ეზეკიელი XXXVIII, 1-23, XXXIX, 1-16; გამოცხადება XX: 1-3, 7-10). იუდაისტურ-ელინისტურ წრეებში ის დაუკავშირდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ჩრდილოეთში მომთაბარე ხალხების წინააღმდეგ

კარის (ზღუდის) აგების მოტივს. შემდგომში გადმოცემამ მიიღო ფორმა, რომლის თანახმადაც ალექსანდრე მაკედონელმა ჩრდილოეთში ჩაკეტა გოგის და მაგოგის ხალხები. აპოკალიპტური ხალხები თავისი სამყოფელიდან უნდა გამოსულიყვნენ მეორედ მოსვლის დროს. გოგის და მაგოგის იდენტიფიცირება ხდებოდა, როგორც წესი, იმ მომთაბარე ხალხებთან, ვისგანაც ბინადარი მოსახლეობისთვის შესაბამის პერიოდში მოდიოდა უშუალო საფრთხე. VII საუკუნიდან ლათინურ წყაროებში ალექსანდრე მაკედონელის ბარიერის და აპოკალიპტური ხალხების გადმოცემისთვის განმსაზღვრელი გახდა სირიული ტრადიცია (განსაკუთრებით, ფსევდო-მეთოდიუსის სირიული „აპოკალიფსი“) (ვან დონზელი, შმიდტი 2009: 4-5, 10-30).

სირიულ და იუდაისტურ-ელინისტურ ტრადიციაში, ალექსანდრე მაკედონელის კარი ლოკალიზებულია კავკასიაში. ბერძნულ და ლათინურ გადმოცემაში ის ადგილი, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა, გადმოცემის თანახმად, ჩაკეტა ხალხები, აღინიშნებოდა ტერმინით „კასპიის კარი“. იმპერატორ ნერონის დროს სომხეთში კორბულოს ექსპედიციების შემდეგ (57-67) „კასპიის კარს“ უწოდებდნენ დარიალის გასასვლელს. ალექსანდრე მაკედონელმა იქ ორ მთას შორის ააშენა კარი. ძირითადად იმ პერიოდიდან, რაც ხოსრო ანუშირვანმა (531-579) დერბენტში ააგო რკინის კარი და კავკასიის ზღუდე, ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდა ნაწილობრივ დაუკავშირდა ქალაქ დერბენტსაც. ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკედონელმა ხალხები მოაქცია მთას და ზღვას შორის (ვან დონზელი, შმიდტი 2009: 51-56).[2] ტერმინი „კასპიის კარი“ დასავლურ ტრადიციაში თავდაპირველად ეწოდებოდა გასასვლელს მიდიას და პართიას შორის, დაახლოებით ორმოცდაათი მილის მანძილზე რაგადან (თანამედროვე რაი), სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს გასასვლელი არის ერთადერთი ისტორიული კარი, სადაც ნამდვილად იყო ალექსანდრე მაკედონელი (ანდერსონი 1928: 130-134), თუმცა იქ აგებული არ იყო საფორტიფიკაციო ნაგებობები. ალექსანდრე მაკედონელის მიერ აპოკალიპტური ხალხების, გოგის და მაგოგის წინააღმდეგ აღმართული ბარიერი ლიტერატურული და ისტორიოგრაფიული ტრადიციიდან არის წმინდა ფიქცია და თავსდება ლეგენდის ფარგლებში (შმიდტი 2008: 89).

ბოლო ჟამის განწყობების უფრო გაძლიერებას ლათინურ დასავლეთში ხელი შეუწყო 1236-1242 წლებში დასავლეთის მიმართულებით მონღოლების დიდმა ლაშქრობამ. მონღოლების სურათი ლათინურ ტექსტებში არაერთგვაროვანია და სწრაფად იცვლება პოლიტიკური სიტუაციის კვალდაკვალ. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მონღოლების არმია მიიჩნიეს ქრისტიანთა მხსნელ ძალად (შმიდერი 1994: 24, 248); (ჯეკსონი 2014: 21); (გოგოლაძე და *სხვები* 2015: 236-244, 270, 272-273, 277-287). 1238-1241 წლების სამხედრო ექსპედიციების შემდეგ მოხდა მონღოლების იდენტიფიცირება გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ ხალხებთან. ისინი წარმოდგენილნი არიან როგორც ანტიქრისტეს სატელიტები, რომელთაც თავი დააღწიეს კასპიის მთებში ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებულ ზღუდეებს (შმიდერი 1994: 27, 29, 123, 207, 258-259); (ჯეკსონი 2014: 139, 142, 144-147). მონღოლების შეფასება იცვლება, როდესაც 1245 წლიდან აღმოსავლეთში გაგზავნილი ელჩები და მისიონერები იწყებენ მათ შესახებ ინფორმაციების სისტემურ შეგროვებას. მათივე თანამედროვეებისაგან განსხვავებით ისინი ნაკლებად მიმართავდნენ სპეკულაციებს აპოკალიფსურ თემებზე მსჯელობისას.

XIII საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში კვლავ ვრცელდება ცნობები მონღოლების ქრისტიანობის შესახებ (ჯეკსონი 2014: 74, 98-99); (შმიდერი 1994: 32, 80-84). 1259-1260 წლებში სირიასა და პალესტინაში ჰულაგუს ლაშქრობის შემდეგ მონღოლებს ისევ ათანაბრებენ გოგის და მაგოგის ხალხებთან (შმიდერი 1994: 87). ვითარება იცვლება XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან, მონღოლების ერთიანი იმპერიის დანაწევრების შემდეგ, როდესაც, მონღოლები აღარ ქმნიან უშუალო საფრთხეს ლათინური დასავლეთისთვის. აღნიშნული პერიოდიდან მონღოლების სურათი ლათინურ წყაროებში იღებს შედარებით რეალისტურ ელფერს.

ბოლო ჟამის ხალხები თუ ქრისტიანთა მოკავშირე არმია

ბეკონის მიხედვით, კასპიის კართან (დერბენტში), ერთმნიშვნელოვნად იყვნენ ჩაკეტილნი მონღოლები, რომელთაც დატოვეს ის ადგილები, რადგან კასპიის კარი არის დარღვეული (ბრიჯესი 1897ა: 268-269); (ბერკი 1928ა: 289-290).[3] მაგრამ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ ის მონღოლებს არ განიხილავს, როგორც აპოკალიპტურ ხალხს. ბეკონი საუბრობს მონღოლთა მიერ მუსლიმების დამარცხების და ბაღდადის აღების შესახებ. ამგვარად აღსრულდა ალბუმაზარის (აბუ მაშარის, 787-886 წწ.) წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვითაც, მუჰამედის რჯული 693 წელზე მეტ ხანს ვერ იარსებებდა. სარკინოზთა რჯულს მალე უნდა დაესრულებინა არსებობა (ბრიჯესი 1897ა: 266); (ბერკი 1928ა: 287). მონღოლები აქ წარმოდგებიან, როგორც ქრისტიანთა თავისთავადი მოკავშირეები. გარკვეულ დადებით როლს ასრულებენ ქრისტიანების საკრალურ ისტორიაში ისლამთან დაპირისპირებით. მონღოლების ამგვარი სურათი შეესაბამება პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, როდესაც XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ილხანთა სახელმწიფოს და ლათინებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები მამელუქთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებისთვის.[4] მართალია, ბეკონი აღნიშნავს, რომ მუჰამედის აღმსარებლობის დასრულების შემდეგ ანტიქრისტეს რჯულის მოსვლამდე სხვა სარწმუნოება აღარ უნდა გამოჩნდეს (ბრიჯესი 1897ა: 268-269); (ბერკი 1928ა: 289-290), მაგრამ არ არის დაზუსტებული, რა პერიოდს შეიძლება მოიცავდეს ეს დრო ანტიქრისტეს გამოჩენამდე. იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას კი, რომ კასპიის კარიდან მათი გამოსვლის მიუხედავად, მონღოლები არ არიან აპოკალიფსის ხალხი, ბეკონს, ერთის მხრივ, აძლევს აღმოსავლეთიდან მიღებული ახალი ცნობები.

მეორე მხრივ, აღნიშნული დასკვნის მხარდამჭერ არგუმენტებს ის აგრეთვე იღებს შუა საუკუნეების ტრადიციიდან. ბეკონი იმოწმებს ცნობებს, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებული ზღუდეებიდან ადრეც გამოსულან ხალხები, რომლებიც იყვნენ მონღოლებზე მძლავრნი, სახელდობრ, ჰუნები, რომელთაც დაიპყრეს ეგვიპტეც და დაიკავეს ყველა ქვეყანა საფრანგეთამდე.[5] ამდენად, ზემოხსენებული ზღუდეების გადმოლახვა არ წარმოადგენს აუცილებლობას, რომ ეს ხალხი იყოს აპოკალიპტური, ხოლო მოვლენა – ანტიქრისტეს მოახლოების ნიშანი. ის ფაქტი, რომ კასპიის კარიდან ადრეც დაძრულან ხალხები, ცნობილი იყო ადრე შუა საუკუნეების ავტორებისთვისაც, რომელთაც ემყარება ბეკონი. თუმცა ბეკონი არა მხოლოდ აფიქსირებს აღნიშნულ მოვლენას, არამედ რაციონალურად მსჯელობს მის შესახებ და გამოაქვს გარკვეული დასკვნები. განხილვის დროს მას აქვს გამოცდილების გათვალისწინების საშუალება, რაც მნიშვნელოვანია რწმენასთან დაკავშირებული საკითხის შეფასების დროს. მასალა შუა საუკუნეების ავტორიტეტებისგან, მათი ტექსტებიდან, ადასტურებს ახალ (აღმოსავლეთიდან მიღებულ) ინფორმაციას. კასპიის კარი (ქალაქ დერბენტში), სადაც გამოიარა რუბრუკმა, დარღვეულია (ბრიჯესი 1897ა: 364-365); (ბერკი 1928ა: 381-382), ხოლო ალექსანდრეს ზღუდეები (დარიალის კარი) დაინგრა უკვე ისიდორის დრომდე, როგორც ის წერს ამის შესახებ (ბრიჯესი 1897ა: 302-304, 364-365); (ბერკი 1928ა: 321-323, 381-382). საჭიროა მხოლოდ აღნიშნული მასალის კომბინირებულად განხილვა. ამდენად, ბეკონი აქ არ აუქმებს არსებულ გადმოცემას, რადგან შესაბამისი გადმოცემის საწინააღმდეგო არგუმენტები თავისთავად მოტანილი აქვთ ცალკეულ საეკლესიო ავტორებს. ბეკონს სურს იპოვოს ერთგვარი ახსნა, ტრადიციული გადმოცემის ცნობებს და ახალ ინფორმაციას შორის.

მიხედავად ამისა, წარმოდგენილი არგუმენტაცია და მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე არ არის წინააღმდეგობისგან თავისუფალი. რადგან „დიდ თხზულებაში“ მოცემულია აგრეთვე დებულება, რომ ანტიქრისტე და ბოლო ჟამის ხალხები გამოჩნდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მოიშლება ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებული ბარიერები (ბრიჯესი 1897ა: 303-304); (ბერკი 1928ა: 322). როდესაც ბეკონი განიხილავს ეთიკუს ისტერის (VII-VIII სს) და იერონიმუსის (IV-V სს) ცნობებს, ის წერს, რომ

ალექსანდრეს კარის შემაკავებელი დუღაბის დაშლა შეუძლია მხოლოდ ძლიერ მიწისძვრას (ბრიჯესი 1897ა: 302-304); (ბერკი 1928ა: 321-323), რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ ღმერთის ნებით, ბოლო ჟამის წინ. თუმცა იქვე საუბრობს ალექსანდრეს ზღუდეებზე (დარიალის გასასვლელზე) და აღნიშნავს, რომ ალექსანდრეს კარი ჩამოიქცა დიდი ხნის წინათ, მიწისძვრის ან დროის მიზეზით (ბრიჯესი 1897ა: 364-365); (ბერკი 1928ა: 381-382). კასპიის კარზე დერბენტში ბეკონმა უკვე თავიდანვე აღნიშნა, რომ ის დანგრეულია. შესაბამისად, გადმოცემის ინფორმაციის ნაწილში (ცალკეულ ცნობებში) აპოკალიპტური დატვირთვა უაღრესად შემცირებული (ან გამქრალი) გამოდის, რადგან თუ ალექსანდრეს კარი დროის მიზეზით დაირღვა, მას ესქატოლოგიური დანიშნულება მთლიანად დაკარგული ჰქონდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ წყაროების ინფორმაცია, ფაქტობრივი სურათი და გადმოცემა ბეკონს არ აძლევს ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას. შეიძლება ასევე ვიფიქროთ, რომ ის თავს უყრის მის ხელთ არსებულ მასალას და ღიად ტოვებს რიგ საკითხებს, რომლებიც უნდა განეხილა უშუალოდ რომის პაპს (კლემენტ IV), ვისაც თავისი ნაშრომი გაუგზავნა. ამ მიზეზითაც, შესაძლოა, უცვლელად შეინარჩუნა ცალკეული, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მონაცემები წყაროებიდან. ცნობათა ერთი ნაწილის თანახმად კასპიის კარიდან ადრეც გამოსულან ხალხები; ხოლო სხვა მონაცემებით, ანტიქრისტე მოვიდოდა მაშინ, როდესაც კასპიის კარის ტერიტორიას დატოვებდა ჩაკეტილი ხალხი.

გადმოცემას ბოლო ჟამის ხალხების შესახებ გარკვეულწილად ინარჩუნებდა იუდეველთა ათი დაკარგული ტომის ლეგენდა.[6] ბეკონი აღნიშნავს, რომ იუდეველთა ათი ტომი, რომლებიც ცხოვრობდნენ ჰირკანიაში კასპიის ზღვასთან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებული ბარიერის მიღმა, უნდა გამოსულიყო ბოლო ჟამის წინ (ბრიჯესი 1897ა: 302-304); (ბერკი 1928ა: 321-323). ამდენად, ბეკონი ბოლო ჟამის შესაძლო ხალხად განიხილავს იუდეველთა ათ (დაკარგულ) ტომს. თუმცა, რადგან კასპიის კარიდან (ან ალექსანდრეს ორი კარიდან) სხვადასხვა დროს უკვე გამოვიდნენ ხალხები (დარიალის გასასვლელიდან – ჰუნები, ხოლო დერბენტიდან – მონღოლები), ბოლო ჟამი კი ჯერჯერობით არ იყო მოსული, მისი წინა არგუმენტაციის საფუძველზე, დასაშვები ჩანს ვარაუდი, რომ, შესაძლოა, აღნიშნულ შემთხვევაშიც არ ჰქონდეთ საქმე ბოლო ჟამის ხალხთან (თუმცა შესაბამისი მსჯელობა მოცემული საკითხის შესახებ ბეკონთან მოტანილი არ არის).

ბეკონმა დააფიქსირა გარკვეული კანონზომიერება კასპიის კარიდან გამოსულ ხალხებთან დაკავშირებით: პირველ შემთხვევაში ჰუნები, რომლებიც იყვნენ მონღოლებზე მძვინვარენი, გახდნენ ქრისტიანები და მათმა შთამომავლებმა შექმნეს ლათინთა შორის უნგრეთის სამეფო (ბრიჯესი 1897ა: 366-367); (ბერკი 1928ა: 383-385). მონღოლებმა კი დაამარცხეს ქრისტიანების უშუალო მტრები, მუსლიმები. თათრებს შორის ბევრი იყო ქრისტიანი და ისინი კეთილგანწყობილნი იყვნენ ქრისტიანების მიმართ. ბეკონი, შესაძლოა, ვარაუდობდა, რომ მონღოლთა შორის ქრისტიანობის გავრცელება იქნებოდა წარმატებული. შესაბამისად, ბეკონთან კასპიის კარის გააზრებამ განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია. მართალია, იქიდან გამოდიან მომთაბარე ხალხები, რომლებიც საწყის პერიოდში ემუქრებიან ცივილიზაციას და ქრისტიანულ რწმენას, მაგრამ შემდეგ ეს ხალხები ან იღებენ ქრისტიანობას, ან ებრძვიან ქრისტიანთა უშუალო მოწინააღმდეგეებს. აქედან გამომდინარე, კასპიის კარი კარგავს ესქატოლოგიურ დანიშნულებას. ქრისტიანებისთვის, შესაძლოა, ხსნა არ მოაქვს, მაგრამ თვალწინ აქვთ იქიდან გამოსული ხალხის, პირველ შემთხვევაში, ქრისტიანულ საზოგადოებაში ჩართვის მაგალითი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, – მათი დაპირისპირება ქრისტიანთა იმგვარ მოწინააღმდეგეებთან, ვისთანაც ბრძოლა მათ უაღრესად უჭირდათ.[7]

მოცემულ საკითხებზე ბეკონის მუშაობის ფორმა (მეთოდოლოგია), სავარაუდოდ, თავსდება მისი ექსპერიმენტული მეცნიერების ფარგლებში. ბეკონი კრებს ცნობებს შუა საუკუნეების ტრადიციიდან (საეკლესიო მწერლებისგან). აგროვებს ახალ (ტრადიციის მონაცემებისგან ხშირად განსხვავებულ) ინფორმაციას, მოგზაურთა ჩამოტანილ ცნობებს. რაციონალური მსჯელობის ფარგლებში განიხილავს მონაცემებს ორივე სფეროდან. ამგვარად, ავტორი, ექსპერიმენტული მეცნიერების და რაციონალური

მიდგომის საფუძველზე, ფლობს უპირატესობას ახალ ინფორმაციას და ავტორიტეტული გადმოცემის მასალას შორის. ამავე დროს, ის რაციონალურად მსჯელობს ბოლო ჟამის რწმენასთან დაკავშირებულ საკითხზე. თუმცა აღნიშნული სამუშაო თავსდება სარწმუნოების ფარგლებში თუნდაც იმ მიზეზით, რომ ბეკონი, როგორც ითქვა, არ უარყოფს გადმოცემას. ის ცდილობს იპოვოს რაციონალური ახსნები, რაც შესაძლებელს გახდის გადმოცემის ჩართვას შეცვლილ პოლიტიკურ სურათში.

ბეკონთან, სავარაუდოდ, სირთულეს ქმნიდა აგრეთვე ფაქტი, რომ წყაროების მონაცემების მიხედვით კასპიის კარი არ იყო ერთი და აღნიშნული გარემოება მისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო.

კასპიის კარის გეოგრაფიული ლოკალიზება

რუბრუკის აქტუალური ცნობების საფუძველზე ბეკონი კასპიის კარს ათავსებს დერბენტში (ბრიჯესი 1897ა: 268-269); (ბერკი 1928ა: 289-290).[8] დამატებითი კოორდინატების მეშვეობით კასპიის კარის ადგილმდებარეობა კიდევ უფრო დაზუსტებულია: ის მდებარეობს ალანების და ლეკების საცხოვრებელის აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან (ბრიჯესი 1897ა: 363-364); (ბერკი 1928ა: 380-381). თავიდან ბეკონი წერს, რომ კასპიის კარი არის მთებში. ხოლო შემდეგ ამბობს: კასპიის კარი მოთავსებულია იქ, სადაც მთები ხვდებიან ერთმანეთს. განსაკუთრებით უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ვარაუდი, რომ ამ დროს ბეკონს თვალწინ ჰქონდა დარიალის კარის აღწერილობაც (ორ მთას შორის). აღნიშნულ ვარაუდს ადასტურებს ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებული კასპიის კარის აღწერილობა, რომელიც ბეკონს მოაქვს ქალაქ დერბენტზე საუბრის დროს.[9] ამ შემთხვევაში ბეკონს წყაროებიდან (ეთიკუსისგან და იერონიმუსისგან) გადმოაქვს დარიალის კარის აღწერილობა კასპიის კარისთვის დერბენტში (ღმერთის ნებით ორი მთა მიდის ერთმანეთთან ახლოს).[10]

როდესაც ბეკონი საუბრობს კავკასიის კარზე (დარიალის გასასვლელზე), პლინიუსის ცნობების საფუძველზე, ასხვავებს მას კასპიის კარისგან (დერბენტისგან). ეთიკუსის ცნობების მიხედვით, კვლავ მოაქვს ალექსანდრე მაკედონელის მიერ კარის აღმართვის ცნობა, რომელიც პრაქტიკულად არის დერბენტის კარის აღწერილობის იდენტური (როგორც აღინიშნა, ბეკონმა წყაროებიდან დერბენტის კარზე გადაიტანა დარიალის სიმაგრეების დახასიათება).[11] ორივე შემთხვევაში მთავარი მახასიათებელი ნიშანი, რაც მიუთითებს კარის აგებაზე დარიალის გასასვლელში, არის კარის აღმართვა ორ მთას შორის.

პლინიუსის ცნობების საფუძველზე ბეკონი ცდილობს უფრო ზუსტად განსაზღვროს კასპიის კარის ადგილმდებარეობა. ალექსანდრეს რკინის კარი (კასპიის კარი) განთავსებულია მიდიის და პართიის საზღვარზე (ბრიჯესი 1897ა: 353-355); (ბერკი 1928ა: 372-373). შესაბამისად, აქ ბეკონი უკვე ეხება ისტორიულ კასპიის კარს სპარსეთში, კასპიის ზღვის სამხრეთით (თუმცა ათავსებს მას უშუალოდ კასპიის ზღვის ნაპირზე). ოღონდ აღნიშნული კასპიის კარი მას იდენტიფიცირებული აქვს დერბენტთან. ეს გარემოება, გარდა იმ ფაქტისა, რომ ბეკონი არ საუბრობს ორი სხვადასხვა კასპიის კარის არსებობის შესახებ, აშკარაა შემდეგი დებულებიდან: ეს არის ქალაქი (ბრიჯესი 1897ა: 364-365); (ბერკი 1928ა: 381-382), შესაბამისად, დერბენტი. ამ ქალაქთან აღმოსავლეთის მიმართულებით იწყება ჰირკანია, ჰირკანიის (კასპიის) ზღვის მიღმა; ჰირკანია მდებარეობს კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ვრცელდება ინდოეთის საზღვრებამდე (ბრიჯესი 1897ა: 364-365); (ბერკი 1928ა: 381-382).

ამდენად, ბოლო შემთხვევაში უკვე გათვალისწინებულია არა გაცილებით ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ დერბენტის, არამედ ისტორიული, სპარსეთში მდებარე კასპიის კარის აღწერილობა პლინიუსის მიხედვით (თუმცა მანამდე დერბენტი ავტორმა კორექტულად მოათავსა ალანების და ლეკების საცხოვრებელის აღმოსავლეთით). ბეკონი აღნიშნავს, რომ კასპიის ზღვა იწყება კასპიის კართან, სიგრძეში ის ვრცელდება აღმოსავლეთისკენ, ხოლო სიგანეში – ჩრდილოეთისკენ (ბრიჯესი 1897ა: 365-366); (ბერკი 1928ა: 382-383).[12] შესაბამისად, კასპიის კარის ქალაქი, ალექსანდრეს

რკინის კარი, ანუ დერბენტი, ექცევა კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (ქალაქ დერბენტის რეალური ადგილმდებარეობიდან გაცილებით სამხრეთით და ისტორიული, სპარსეთის კასპიის კარიდან ჩრდილო-დასავლეთით).

რუბრუკთან კასპიის კარი მდებარეობს დერბენტში და სპარსეთის კასპიის კარს მასთან არ ვხვდებით. რუბრუკი საუბრობს კავკასიის კედლის შესახებ, მაგრამ არ იხსენიებს სხვა გასასვლელს მთებში. რუბრუკს არ მოაქვს აგრეთვე ალექსანდრეს კარის დახასიათება. აღნიშნული ნაკლის შესავსებად ბეკონმა მიმართა წყაროებს. გასასვლელებზე საუბრისას ემყარება პლინიუსს (პლინიუსი 1906: VI, 11 [12]; VI, [15]; VI, 14 [17], 15). პლინიუსი აღწერს კავკასიის კარს და ისტორიულ კასპიის კარს სპარსეთში (ვიწრო გასასვლელს მთებში კასპიის ზღვის სამხრეთით), მაგრამ არ იცნობს დერბენტის გასასვლელს. ბეკონმა ალექსანდრეს კარის აშენებასთან დაკავშირებით დაიმოწმა ეთიკუსი და იერონიმუსი.

ისტორიული კასპიის კარის დერბენტთან იდენტიფიცირებისთვის ბეკონისთვის შესაძლოა ამოსავალი წერტილი იყო სპარსეთში მდებარე კასპიის კარის აღწერილობის (პლინიუსის მიხედვით) მსგავსება დარიალის ხეობის დახასიათებასთან. ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა ზოგადად კასპიის კარის სურათისთვის (ვიწრო გასასვლელი მთებს შორის). ბეკონმა სავარაუდოდ შენიშნა, რომ წყაროებში კასპიის კარის დახასიათება არ შეესაბამება დერბენტის აღწერილობას. სწორად განასხვავა ერთმანეთისგან კავკასიის და კასპიის კარი (თუმცა ჩათვალა, რომ პლინიუსთან მოხსენიებული კასპიის კარი არის დერბენტი). მაგრამ გაურკვევლობა სავარაუდოდ ჰქონდა წყაროთა მონაცემებთან, რადგან ალექსანდრეს მიერ კარის აგების (იდენტური) მოტივი დატოვა როგორც დარიალის გასასვლელთან, ასევე ქალაქ დერბენტთან. შესაძლოა, ეს განაპირობა იმ მიზეზმაც, რომ წყაროთა დიდი ნაწილი კასპიის კარს ათავსებდა დარიალის გასასვლელთან.

ბეკონთან ფაქტობრივად მოცემულია ალექსანდრე მაკედონელის ორი კარი. ამასთანავე, პლინიუსის მონაცემების საფუძველზე გაასწორა მომდევნო საუკუნეების მცდარი ცნობა, როდესაც დარიალის გასასვლელში ათავსებდნენ კასპიის კარს. თუმცა შეცდომით მოახდინა დერბენტის იდენტიფიცირება სპარსეთის კასპიის კართან. ბეკონთან ის პუნქტი, რასაც ის კასპიის კარის სახელით იხსენიებს, შედგება როგორც დერბენტის, ასევე სპარსეთის კასპიის კარის გეოგრაფიული მახასიათებლებისგან. ხოლო ზღუდეების აღწერილობა გადმოტანილია წყაროების დარიალის გასასვლელიდან. ბეკონის „დიდი თხზულება“ ერთ-ერთი იშვიათი წყაროა, სადაც ერთდროულად კასპიის სამივე კარის შესახებ არის საუბარი, თუმცა გარკვეული შეცდომებით.[13] ჩემთვის ცნობილ წყაროებში არ ჩანს, რომ კასპიის კარს სპარსეთში უკავშირდებოდნენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ ჩაკეტილი ხალხები, თუნდაც დერბენტთან მისი იდენტიფიცირების შემთხვევაში. ბეკონთან კასპიის კარის საკითხის განხილვა წყაროების მონაცემების და ახალი (ელჩების, მისიონერების, თუ მოგზაურების ჩამოტანილი) ცნობების კომბინირების მაგალითია. სხვადასხვა პერიოდის წყაროების საფუძველზე მოცემულია გარკვეული „შრეებისგან“ შემდგარი სურათი, რაც სხვა შემთხვევებშიც დამახასიათებელია ბეკონის გეოგრაფიისათვის.

სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში ბეკონთან წარმოდგენილია შუა საუკუნეებში პირველი მცდელობა (ანტიკური ეპოქის შემდეგ), როდესაც კასპიის კართან დაკავშირებული წყაროების მონაცემები განიხილება გარკვეული რაციონალური არგუმენტაციის საფუძველზე. შუა საუკუნეების ავტორები, როგორც წესი, მხოლოდ იმეორებდნენ წინა ავტორების მონაცემებს კასპიის კარის შესახებ, როდესაც კასპიის კარს ჰქონდა ესქატოლოგიური დანიშნულება. ეს ფუნქცია კასპიის კარს ბეკონთან (ისევე, როგორც რუბრუკთან) ერთმნიშვნელოვნად დაკარგული აქვს. მაგრამ მას სურს სხვადასხვა წყაროების (ახალისა და გადმოცემულის) შეჯერების საფუძველზე შექმნას გარკვეული მწყობრი სურათი კასპიის კართან დაკავშირებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია პლინიუსის, ანტიკური ხანის ავტორის, ცნობების გამოყენება შუა საუკუნეების ავტორების ცალკეული ცნობების შესწორებისათვის. აღნიშნული

მაგალითიდანაც ჩანს, რომ ანტიკური ხანის ავტორებს ემყარებოდნენ უკვე შუა საუკუნეებშივე და არა მხოლოდ აღორძინების ეპოქაში.

როდესაც ბეკონი ცალკეულ შემთხვევებში კორექტირებას უკეთებს რუბრუკის ცნობებს, მისთვის, შესაძლოა, წყაროებში კასპიის კართან დაკავშირებით მოცემული უხვი აღწერილობების ფონზე, კასპიის კარის ის დახასიათება, რომელიც შემოთავაზებული ჰქონდა რუბრუკს, ბოლომდე საკმარისი, თუ დამაჯერებელი არ იყო. ამდენად, მოგზაურის, უშუალო თვითმხილველის ცნობაც ყოველთვის არ ნიშნავს აუცილებელ უპირატესობას ტრადიციის წყაროსთან მიმართებაში. ავტორიტეტს ამ შემთხვევაში ქმნის გარკვეულწილად რაციონალური მიდგომა საკითხისადმი. მუშაობის ამგვარი ფორმა, როგორც ითქვა, სავარაუდოდ, უნდა თავსდებოდეს ბეკონის ექსპერიმენტული მეცნიერების, ან ექსპერიმენტული მეთოდოლოგიის ფარგლებში. კასპიის კარის ესქატოლოგიური ფუნქციის გაუქმების სანაცვლოდ ბეკონს შემოაქვს ახსნა ხალხების გამოსვლებისთვის (რაც ნაწილობრივ უკვე მის წყაროებშია მოცემული): ალექსანდრე მაკედონელმა ნამდვილად ააგო ზღუდეები არა მხოლოდ კასპიის, არამედ კავკასიის კართან (ასევე სხვა ადგილებშიც). სხვადასხვა დროს ხალხები, მართლაც, გამოვიდნენ იქიდან, თუმცა ეს არ იყვნენ ბოლო ჟამის ხალხები. ამგვარად, აპოკალიპტური ხალხების გადმოცემა ნაწილობრივ კარგავს ძველ მნიშვნელობას.[14]

თუმცა ბეკონთან ინფორმაცია კასპიის კარის შესახებ მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე თავსდება რაციონალური არგუმენტაციის კონტექსტში. სულ მცირე რუბრუკის ყარაყორუმში მოგზაურობის შემდეგ ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ „კასპიის მთები“ მდებარეობს გაცილებით სამხრეთით, ხოლო კასპიის კარი მიქცეულია არა დასავლეთისკენ, არამედ – სამხრეთისკენ. თანამედროვე გეოგრაფიის კატეგორიებით ვერ ავხსნით კავკასიის კართან ჰუნების, ხოლო კასპიის კართან მონღოლების „ჩაკეტვის“ ფაქტებს; ამასთანავე, თუ როგორ გადმოლახავდნენ ისინი ბარიერებს ევროპაზე ლაშქრობისთვის, როდესაც კავკასიის და კასპიის კარი უყურებდნენ სამხრეთს. აღნიშნული ან სხვა ამგვარი კითხვები ტექსტში ფორმულირებული არ არის (და, სავარაუდოდ, შუა საუკუნეების ნაშრომში ისინი არც უნდა ყოფილიყო დასმული).[15]

მოცემული საკითხის შესახებ გარკვეულ ახსნას გვთავაზობს შუა საუკუნეების გეოგრაფია. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ ლონდონის ფსალმუნის რუკა (დაახ. 1260-1265), რომელზეც აზიის კონტინენტი შუა საუკუნეების ლათინური გეოგრაფიისთვის დამახასიათებელი ფორმით არის წარმოდგენილი (მილერი 1895: ტაბ. 3). კასპიის ზღვა აქ არის ოკეანის ყურე. აღმოსავლეთიდან მომავალი მთაგრეხილი წინა აზიასთან აკეთებს რკალს, შემოსაზღვრავს კასპიის ზღვას და მიემართება ჩრდილოეთის ოკეანისკენ. ქვეყნიერების ვრცელი ტერიტორიები დაყვანილია უაღრესად მცირე სივრცეზე. იმგვარად, რომ მთაგრეხილში დატანებული კასპიის კარი ერთდროულად უყურებს წმინდა მიწას, მცირე აზიას, ზოგადად წინა აზიას, რის შემდეგაც არის უკვე რუკაზე მოთავსებული ევროპის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები.[16] აღნიშნული გეოგრაფიის ფარგლებში გასაგებია, თუ როგორ შეეძლოთ ელაშქრათ ჰუნებს, ან მონღოლებს კასპიის კარიდან ერთდროულად ევროპის და წმინდა მიწის მიმართულებით. ბეკონი გარკვეულ დონემდე რჩება შუა საუკუნეების გეოგრაფიის გავლენის ქვეშ (აქ არ ვეხები საკითხს ბეკონთან კავკასიის მთაგრეხილის შესაძლო მოყვანილობის შესახებ). ამგვარი დამოკიდებულება ვრცელდება კასპიის მთების და იქიდან ხალხების გამოსვლის საკითხზეც. რადიკალურად განსხვავებული ტრადიციის გეოგრაფიული სურათი და რეალობა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, რაც ძველ ავტორებში, სავარაუდოდ, აღძრავდა გაურკვევლობის განცდას.

როდესაც კასპიის (კავკასიის) მთებს აქცევენ ჩრდილოეთში (ან ჩრდილო-აღმოსავლეთში), ამ შემთხვევაში მისდევენ ტრადიციას. კასპიის კარის და აპოკალიპტური ხალხების გადმოცემა ლათინურ დასავლეთში გავრცელდა წინა აზიიდან და სირიიდან. ლათინებმა ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, გადაიღეს კონკრეტული გეოგრაფიული კონცეპტიც, რაც გულისხმობდა მთების მდებარეობას ჩრდი-

ლოეთის მიმართულებით (თუმცა ამგვარ ცნობებს ანტიკურ გეოგრაფიაშიც ვხვდებით გოგის და მაგოგის გადმოცემისგან დამოუკიდებლად). გოგის და მაგოგის საცხოვრებელს ჯერ კიდევ ბიბლიური ტრადიცია ათავსებდა ჩრდილოეთში, რაც იქცა გარკვეულ ნიმუშად შემდგომი გადმოცემისთვის. ტრადიციაში ჩრდილოეთში მდებარე მთები ლათინებმა განათავსეს ქვეყნიერების იმ ნაწილში, რომელსაც ნაკლებად იცნობდნენ. თუმცა ამგვარად ასევე ცდილობდნენ გადმოცემის შედარებით მწყობრ გეოგრაფიულ კონტექსტში მოქცევას, რომ ის შესაბამისობაში ყოფილიყო თანადროულ ისტორიასთან.

შუა საუკუნეების კარტოგრაფიულ ტრადიციაში კასპიის კარის მდებარეობასთან დაკავშირებით ვხვდებით განსხვავებულ მონაცემებსაც. გუიდოს მსოფლიოს რუკაზე (1119) (ფონ დენ ბრინკენი 1985: 102) აზიის მთაგრეხილი სრულდება წინა აზიაში, ხოლო კასპიის კარი მიქცეულია სამხრეთისკენ. ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკაზე (დაახ. 1180) (მილერი 1895: ტაბ. 4) კასპიის კარი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. მსგავსი მაგალითების ფონზე, პირდაპირი გაგებით, შუა საუკუნეების გეოგრაფიისთვისაც რთული ასახსნელი იქნებოდა, როგორ უნდა ელაშქრათ კასპიის კარიდან გამოსულ ხალხებს (მაგალითად, მონღოლებთან მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში) ევროპის მიმართულებით.

როდესაც კასპიის კარი კარტოგრაფიულ ტრადიციაში მოქცეულია ევროპიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (სადაც მას ათავსებდა წინა აზიის ტრადიცია, რომლისთვისაც მთები მდებარეობდა ჩრდილოეთში), ამ დროს აღნიშნული მთები ლათინებისთვის, სავარაუდოდ, თავსდება საკრალური გეოგრაფიის სიბრტყეზე. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ტრადიციის საკრალურ ცნობას კასპიის კარიდან ბოლო ჟამის ხალხების გამოსვლის ფაქტის, ზოგადად ამგვარი მთების და კარის არსებობის, შესახებ და არა თუნდაც შედარებით რეალურ გეოგრაფიას. აღნიშნულ შემთხვევაში მიღებულ კონცეპტში მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკრალურ საკითხს, თვითონ გადმოცემას. რეალური გეოგრაფია მსგავსი დამოკიდებულების დროს მოექცა საკრალური გეოგრაფიის, გადმოცემის ფარგლებში. ეს გახლდათ ფიქსირებული საკრალური ცოდნა, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე მდებარეობს ამგვარი მთა, საიდანაც უნდა გამოვიდნენ ბოლო ჟამის ხალხები, რომელთაც შეიძლება ილაშქრონ როგორც წინა აზიის, ასევე ევროპის მიმართულებით. მთების რეალურ გეოგრაფიულ მდებარეობის ფაქტის გათვალისწინება კი აღარ ხდებოდა.[17]

ბოლო ჟამის საკითხი და სამეცნიერო მეთოდი

აქვე მოვიყვან დებულებებს „დიდი თხზულების“ ტექსტიდან, სადაც ჩამოყალიბებულია წინადადებები, თუ რა ღონისძიებებს უნდა მიმართონ, რომ განსაზღვრონ ანტიქრისტეს მოსვლის დრო.[18] მონღოლები ნამდვილად გამოჩნდნენ კასპიის კართან მდებარე ადგილებიდან. თუმცა, რადგან იმ ტერიტორიებიდან გამოსულან სხვა ხალხებიც და მათ ისევე დაიპყრეს ქვეყნები, როგორც თათრებმა (მაგალითად, გუთები და ვანდალები აგრეთვე გამოვიდნენ ჩრდილოეთის რეგიონებიდან), ამიტომ მონღოლების შემოსევა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ დადგინდეს ანტიქრისტეს მოსვლის დრო. საამისოდ საჭიროა სხვა მონაცემებიც (ბრიჯესი 1897ბ: 234-235); (ბერკი 1928ბ: 644-645). უფლის ეკლესიისთვის აუცილებელი უნდა იყოს იმ ფაქტის დადგენა, მოვა ანტიქრისტეს რჯული მალევე მუჰამედის სარწმუნოების დასრულებიდან, თუ გაცილებით მოგვიანებით (ბრიჯესი 1897ა: 268-269); (ბერკი 1928ა: 289-290). თუ ეკლესია განიხილავს წმინდა წერილს და მის წინასწარმეტყველებებს, ასევე სიბილას, მერლინის, აკვილას, სესტონის, იოახიმის წინასწარმეტყველებებს და ბევრ სხვას, მაგალითად, ისტორიის და ფილოსოფიის წიგნებს, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ასტრონომიის მონაცემების შესწავლას და გათვალისწინებას, მაშინ ანტიქრისტეს დროის განსაზღვრა მეტი სიზუსტით იქნება შესაძლებელი (ბრიჯესი 1897ა: 268-269); (ბერკი 1928ა: 289-290).

გარდა ამისა, ბეკონი ასახელებს დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს, რომ დადგინდეს ანტიქრისტეს მოსვლის დრო. ქვეყნიერების ადგილების ცოდნა აუცილებელია, რადგან ეკლესიას უნდა ჰქონდეს ცნობები იუდეველთა ათი (დაკარგული) ტომის განსახლების ადგილის და ვითარების შესახებ. ქრისტიანებმა და რომის ეკლესიამ გულდასმით უნდა შეისწავლონ ის ტერიტორიები (კასპიის კარის, კასპიის ზღვის მიმდებარე). განსაზღვრონ ზემოხსენებული ხალხების მძვინვარება. ამის საშუალებით უნდა შეეცადონ, რომ გამოავლინონ ანტიქრისტეს მოსვლის დრო და ასევე მისი წარმომავლობა, რადგან ეს ხალხები უნდა დაემორჩილონ მას (ბრიჯესი 1897ა: 302-304); (ბერკი 1928ა: 321-323). გოგი და მაგოგი (რომელთა შესახებაც წინასწარმეტყველებებია მოცემული ეზეკიელთან და გამოცხადებაში), მათი ოცდაორი სამეფო, რომლებიც უნდა გამოვიდნენ ანტიქრისტეს დღეებში, ალექსანდრე მაკედონელმა ჩაკეტა ამ ადგილებში (იერონიმუსის, ეთიკუსის მიხედვით). პრელატებს და კათოლიკე მორწმუნეებს ყურადღება უნდა ჰქონდეთ მიპყრობილი აღნიშნული ტერიტორიებისადმი, არა მხოლოდ აქ მყოფი ხალხების გაქრისტიანებისთვის, ან მონღოლების მიერ დატყვევებული ქრისტიანების ნუგეშისცემისთვის, არამედ ანტიქრისტეს მიზეზითაც, რომ იცოდნენ, საიდან მოვა ის და როდის (ბრიჯესი 1897ა: 365); (ბერკი 1928ა: 382).

ამდენად, „დიდ თხზულებაში“ კასპიის კარის რეგიონთან შედარებით ახლოს მდებარე (არა უშუალოდ კასპიის კარის) ტერიტორიები ინარჩუნებენ გარკვეულ ესქატოლოგიურ მნიშვნელობას. ბეკონის მიდგომაში ორიგინალობას ქმნის, რომ ის მოითხოვს შესაბამის ტერიტორიებზე, ასევე იმ ხალხებზე, ვინც შეიძლება კიდევ ჩაკეტილნი იყვნენ, დაკვირვებას და მათ შესწავლას (არა მონღოლების, რომელიც უკვე ერთ-ერთი ხალხია სხვებს შორის, არამედ შესაძლო ბოლო ჟამის ხალხების, რაც არსებით განსხვავებას ქმნის). ამ შემთხვევაში მას უნდა გადმოჰქონდეს ექსპერიმენტული მეცნიერებიდან საშუალება, რომლის გამოყენებასაც აუცილებლად მიიჩნევს რელიგიური გადმოცემის სფეროში.

იმის ნაცვლად, რომ დაელოდონ აპოკალიპტური ხალხების გამოსვლას, ბეკონი მოითხოვს გარკვეულ მოქმედებას (უშუალოდ ადგილზე შესწავლის და დაკვირვების გარდა უნდა გაეთვალისწინებინათ ტრადიციის ამსახველი წყაროების მონაცემები). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, სავარაუდოდ, განაპირობა რეალურმა მოვლენებმაც, სახელდობრ, მონღოლების „გამოსვლამ კასპიის კარიდან“, რის შედეგადაც ლათინები, როგორც დანარჩენი ქვეყნიერება, აღმოჩნდნენ უშუალო საფრთხის წინაშე. ასეთი სახის მოქმედება აუცილებელი ჩანს უფრო მეტი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების საშუალებას მათ აძლევს სამეცნიერო მეთოდი (ან ექსპერიმენტული მეცნიერება). მონღოლების გამოჩენა ადასტურებს მეტი ცოდნის მოპოვების აუცილებლობას. სათანადო მოცემულობების რაციონალური შესწავლით შესაძლებელი უნდა გახდეს ბოლო ჟამის პერიოდის ასევე რაციონალური გამოთვლა.

გარდა ამისა, როდესაც ბეკონი დაკვირვების და შესწავლის (ექსპერიმენტული მეთოდის) გამოყენებას აუცილებლად მიიჩნევს ბოლო ჟამის ხალხებთან მიმართებაში, ამის მიზეზი უნდა გახლდეთ ისიც, რომ დაგროვდა ერთგვარი გამოცდილება. საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ბოლო ჟამის ხალხების გამოსვლის მოლოდინი (ამდენად, გადმოცემას იღებდნენ უშუალო რწმენის სახით). ის ტერიტორიები, საიდანაც ვარაუდობდნენ ამგვარი ხალხების გამოჩენას, რამდენჯერმე დატოვა სხვადასხვა ხალხმა. არცერთი მათგანი არ აღმოჩნდა ბოლო ჟამის ხალხი. ბეკონი, დასაშვებია, თავიდანვე არ გამორიცხავდა შედეგს, რომ დაკვირვება და შესწავლა გააუქმებდა კიდევ კონკრეტული ადგილიდან ერთ-ერთი სავარაუდო ბოლო ჟამის ხალხის, სახელდობრ, იუდეველთა ათი დაკარგული ტომის, გამოსვლის მცდარ მოლოდინს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ექნებოდათ მეტი საშუალება, თავიდან აეცილებინათ ის შესაძლო საფრთხეები, რაც მოჰყვა მონღოლების ლაშქრობებს და რასაც ლათინები მოელოდნენ კასპიის კარიდან, თუ ზოგადად, აღმოსავლეთიდან ხალხების გამოჩენის შემთხვევაში.

როდესაც ბეკონი ითხოვს, დაადგინონ ანტიქრისტეს მოსვლის სავარაუდო დრო (თუნდაც რაციონალური საშუალებებით), ის, პირველ ყოვლისა, არის ფრანცისკანელთა ორდენის წევრი და თეოლოგი. მისი ნაშრომი, როგორც აღინიშნა, გაეგზავნა უშუალოდ რომის პაპს და ამგვარ საშუალებებზე მსჯელობას ჰქონდა პირდაპირი რეკომენდაციების სახე. ექსპერიმენტული მეცნიერების მიერ გასაწევი სამუშაო თავსდება რწმენის კონტექსტში. ის უნდა განხორციელებულიყო, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანობისთვის, რომ მათ არ ეხელმძღვანელათ მცდარი შეხედულებებით შესაძლო მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირების დროს. ამავე მოტივაციით მოითხოვდა ბეკონი ასტროლოგიის ჩართვას ქრისტიანულ სწავლებაში. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა, ემპირეაზე დაკვირვება, ნაწილობრივ პირობითი იყო, რადგან მისი წინასწარი ჩარჩო და კონტურები თავიდანვე გახლდათ მონიშნული. თუმცა ეს გარემოება ბეკონის მისწრაფების მნიშვნელობას, ვფიქრობთ, არ ამცირებს. ამგვარად, იქმნება გარკვეული ნიმუში რწმენის და ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხისთვის XIII საუკუნეში. ამ დროს ბოლო ჟამის მოლოდინი გარკვეუწილად რაციონალურ კალაპოტში თავსდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბეკონთან ფაქტობრივად ორ ცალკე დისკურსს ქმნის ბოლო ჟამის, ანტიქრისტეს მოლოდინის საკითხი და მისი შეხედულებები ტექნიკის, ცივილიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით. ბეკონის მიხედვით, მომავალში დაამზადებდნენ გემებს, რომელთაც მოძრაობაში მოიყვანდა ერთი ადამიანი ნიჩბოსნების გარეშე; მანქანები ცხოველების გარეშე იმოძრავებდნენ დაუჯერებელი სისწრაფით; ააწყობდნენ მფრინავ მანქანებს, ასევე მცირე ზომის მანქანებს დიდი ტვირთების ასაწევად; გამოიგონებდნენ წყალქვეშა მცურავ საშუალებებს (თორნდაიკი 1923: 654-655); (სარტონი 1931: 953). მსგავს ცნობებს უკავშირდება შთაბეჭდილებები აღმოსავლეთის ახლად გახსნილი ქვეყნიერების შესახებ, რომელიც აღმოჩნდა გაცილებით ვრცელი, ვიდრე ეს წარმოედგინათ მანამდე. თუ ზემოხსენებულ ორ სეგმენტს განვიხილავთ კომბინირებულად, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბეკონი ბოლო ჟამის მოსვლის დროს ვარაუდობდა შორეულ მომავალში. თუმცა ასევე დასაშვებია, რომ სხვადასხვა პერიოდის ნაშრომებში მას აღნიშნული შეხედულებები ჩამოეყალიბებინა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გამომდინარე შესაბამისი სიტუაციის კონტექსტიდან, რაც შეიძლებოდა განესაზღვრა მის პირად პოზიციებს, ასევე ცალკეულ პოლიტიკურ მოვლენას, ან ესქატოლოგიური წინასწარმეტყველებების აქტუალიზაციას გარკვეულ პერიოდში.

დასკვნა

როჯერ ბეკონთან კასპიის კარს აღარ აქვს ესქატოლოგიური დანიშნულება. ბეკონი გარკვეული სამეცნიერო მეთოდოლოგიის საშუალებით ახდენს ჯერ მის ლოკალიზებას დერბენტში და შემდეგ მის იდენტიფიცირებას ისტორიულ, სპარსეთის კასპიის კართან. კასპიის კარი მასთან წარმოადგენს წყაროების სხვადასხვა ცნობის საფუძველზე შექმნილ კონსტრუქციას, რომელზეც ბეკონს დამატებით გადმოაქვს დარიალის გასასვლელის აღწერილობა. კასპიის კარის შესახებ წყაროების განსხვავებული მონაცემების ახსნისთვის ბეკონი ავითარებს თეორიას ალექსანდრე მაკედონელის მიერ ბარიერების სხვადასხვა ტერიტორიებზე აღმართვის შესახებ (დარიალის ხეობაში; დერბენტსა და სპარსეთის კასპიის კარში; სავარაუდოდ გორგანში). ახალი ცნობების და ტრადიციის წყაროების საფუძველზე განისაზღვრება, რომ ალექსანდრეს ზღუდეებიდან (დარიალის კარიდან) გამოვიდნენ ჰუნები, ხოლო კასპიის კარიდან (დერბენტიდან) – მონღოლები. სამეცნიერო მეთოდოლოგიის საფუძველზე, შუა საუკუნეებში პირველად, ცდილობს სიცხადე შეიტანოს კასპიის კართან დაკავშირებულ ცნობებში. კასპიის კარის და კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიებს გარკვეული ესქატოლოგიური დანიშნულება შენარჩუნებული აქვთ, რადგან დასაშვებად მიიჩნევა იქიდან კიდევ ერთი ბოლო ჟამის ხალხის გამოსვლა. ბეკონს სურს აღნიშნულ ტერიტორიებზე, ბოლო ჟამის შესაძლო ხალხებზე ექსპერიმენტული მეცნიერების მეთოდოლოგიის საფუძველზე დაკვირვება, რომ განსაზღვრონ ბოლო

ჟამის ხალხის გამოსვლის დრო და ქრისტიანებმა ამგვარად თავიდან აიცილონ სავარაუდო საფრთხეები. ბეკონთან კასპიის კარი და მასთან დაკავშირებული ხალხები თავსდება ესქატოლოგიური მოლოდინების, მათი ნაწილობრივი სახეცვლილების და ექსპერიმენტული მეცნიერების კონტექსტებში. აღნიშნული საკითხების უფრო დეტალურად შესწავლისთვის სასურველია დამატებითი მონაცემების გათვალისწინება XIII საუკუნის სქოლასტიკური ტრადიციიდან, შუა საუკუნეების ექსპერიმენტული მეცნიერებიდან და ასევე XIII საუკუნისთვის დამახასიათებელი ესქატოლოგიური განწყობებიდან თუ მიმდინარეობებიდან.

შენიშვნები

1 „დიდ თხზულებაში“ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ცნობების შესახებ იხ. (კუტალია 1981: 86, 87, შენ. 7, 92-93); (კუტალია 2018: 569-571).

2 კასპიის კარის დარიალის გასასვლელში ლოკალიზებასთან დაკავშირებით იხ. (ანდერსონი 1928: 135-139, 142-152); (შმიდტი 2008: 95-97). მოცემული საკითხებისთვის იხ. ასევე: (ანდერსონი 1932); (ბოილი 1979: 123-136). კასპიის კარის შესახებ საქართველოს ისტორიასთან კავშირში, დარიალის გზის ისტორიისთვის იხ. (გოგოლაძე, გოგოლაძე 2010: 24-42); (მინდორაშვილი 2003: 95-100); (ინაძე 1996).

3 ბეკონი აქ ემყარება გიიომ რუბრუკის ცნობებს. ბეკონის ერთ-ერთი მთავარი წყარო აღმოსავლეთის აღწერილობისთვის არის ფრანცისკანელი გიიომ რუბრუკის „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (ჯეკსონი 1987: 92-97); (შტაინიკე 2013: 488). რუბრუკი კასპიის კარის გარდა აღწერს ასევე ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებულ ბარიერს (კედელს), რომელიც ერთი მთიდან მეორისკენ მიემართებოდა და არ იყო გასასვლელი მთის ქედებს შორის. ბარიერი აკავებდა ბარბაროს ხალხებს, მეჯოგეებს უდაბური მხარეებიდან. რუბრუკი იხსენიებს კიდევ სხვა ზღუდეს, რომელთანაც ცხოვრობდნენ იუდეველთა ტომები, თუმცა მის შესახებ ვერაფრის დანამდვილებით გაგება ვერ შეძლო (ჯეკსონი 1990: 259-261). რუბრუკის მოგზაურობის ქართული თარგმანისთვის იხ. (რუბრუკვისი 1943: 5-186).

4 აღნიშნულ დასკვნას მხარს უჭერს „დიდი თხზულების“ ის ნაწილიც, სადაც ბეკონი განიხილავს სხვადასხვა აღმსარებლობებს. მასთან რელიგიების იერარქიაში მონღოლებს თავიანთი ადგილი აქვთ მიკუთვნებული და არ არიან წარმოდგენილნი, როგორც ბოლო ჟამის ხალხი იხ. მაგ., (ბრიჯესი 1897ბ: 366-367); (ბერკი 1928ბ: 338).

5 ბეკონის მიხედვით, ჰუნები გამოვიდნენ აღმოსავლეთიდან, დიდი უნგრეთიდან, ეხლა მათ ეწოდებათ ჰუნგარები (ბეკონი აქ ნაწილობრივ ითვალისწინებს რუბრუკის ცნობებსაც). გაერთიანდნენ ბულგარელებთან და ჩრდილოეთის სხვა ხალხებთან და გადმოლახეს, როგორც მოგვითხრობს ისიდორი (VI-VII სს.), ალექსანდრეს ზღუდეები (claustra Alexandri). აღნიშნული ტერმინით ბეკონი აღნიშნავს დარიალის კარს (ბრიჯესი 1897ა: 366-367); (ბერკი 1928ა: 383-385). კასპიის კარი, ალექსანდრეს რკინის კარი, ქალაქი დერბენტი, ბეკონთან აღინიშნება ტერმინებით: Portae Caspiae (ბრიჯესი 1897ა: 364), Porta ferrea Alexandri (ბრიჯესი 1897ა: 354).

6 გადმოცემა იუდეველთა ათი (დაკარგული) ტომის შესახებ (ძველი აღთქმის ტრადიციის მიხედვით, აქ უნდა იგულისხმებოდნენ ტომები, რომელთაც უარი თქვეს მოსეს რჯულზე (პირველი ნეშტთა: 5, 25-26) ლათინურ ტრადიციაში გოგის და მაგოგის ლეგენდას დაუკავშირდა პეტრუს კომესტორის „სქოლასტიკის ისტორიაში“ (1169-1173) (შმიდერი 1994: 260); (ჯეკსონი 2014: 22).

7 თუმცა, იმავე დროს, ბეკონს მოჰყავს ეთიკუსის ცნობები, რომ კასპიის კართან ჩაკეტილი მოდგმა გამოვა ბოლო ჟამის დროს და შეხვდება ანტიქრისტეს (ბრიჯესი 1897ა: 268); (ბერკი 1928ა: 289).

8 ბეკონთან კასპიის კარის, მასთან მონღოლების კავშირის შესახებ იხ. (შმიდერი 1994: 261).

9 როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ვერ შეძლო გოგის და მაგოგის ხალხების დაპყრობა, დახმარება შესთხოვა ღმერთს. ღვთაებრივი ძალით მოხდა დიდი მიწისძვრა. მოპირდაპირე მხარეს აღმართული მთები დაუახლოვდნენ ერთმანეთს იმგვარად, რომ მათ შორის დარჩა მანძილი მხოლოდ ერთი ეტლისთვის. ალექსანდრე მაკედონელმა იქ აღმართა გასაოცარი ზომის კარი. და წაუსვა მას უცნობი სახის დუღაბი, რისი დაშლაც არ შეუძლია არც ცეცხლს, არც რკინას, არც წყალს, არც არაფერ სხვას, გარდა ძლიერი მიწისძვრისა (ბრიჯესი 1897ა: 302-304, 363-364); (ბერკი 1928ა: 321-323, 380-381).

10 ალექსანდრე მაკედონელის ზღუდის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მიხეილ (მიქაელ) სირიელის ცნობა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ აღნიშნული სიმაგრეები სირიული

ტრადიციის მიხედვით მოგვიანებითაც, XII საუკუნეში, კვლავ ლოკალიზებული იყო კავკასიაში. მიხეილ სირიელის თანახმად, მხოლოდ ორ ადგილას არის კარი, საიდანაც შეიძლება გამოვიდნენ გოგის და მაგოგის ხალხები. ერთი კარი (დერბენტი) იხსნება აღმოსავლეთისკენ, სპარსეთისკენ, მეორე (დარიალის გასასვლელში) – ჩრდილოეთისკენ, საქართველოს შუაგულისკენ, სადაც მდებარეობდა სიმაგრეები. ეს უკანასკნელი (ნაგებობებია), რომელთა შესახებაც ჰყვებიან, რომ ისინი აღმართეს ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით. მათ აღნიშნული ხალხებისთვის ხელი უნდა შეეშალათ გამოსვლაში (შმიდტი 2008: 95-96).

[11] ბეკონი აღნიშნავს, რომ კავკასიის კარი მდებარეობს საქართველოში. იმ ადგილებს, შემოჭრილი მთებით, ეწოდება ალექსანდრეს ზღუდეები (claustra Alexandri). ამ ზღუდეების საშუალებით ალექსანდრემ შეაკავა ჩრდილოეთის ხალხები. ალექსანდრე მაკედონელმა ღმერთის შემწეობით აღმართა კარი. ამ შემთხვევაშიც საუბარია, თუ როგორ მიიყვანა უფალმა მიწისძვრის საშუალებით მთები ერთმანეთთან ახლოს. კარი ამჟამად დანგრეულია. ის დაირღვა დიდი ხნის წინათ, ან მიწისძვრის, ან დროის მიზეზით (ბრიჯესი 1897ა: 364-365); (ბერკი 1928ა: 381-382).

[12] ბეკონი იმეორებს პტოლემეოსის შეცდომას, რომ კასპიის ზღვა ყველაზე დიდ სიგრძეს აღწევს დასავლეთიდან აღმოსავლეთის და არა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით (ბრიჯესი 1897ა: 365, შენ. 1).

[13] კლასიკური პერიოდის გეოგრაფებიდან სამივე გასასვლელს ერთმანეთისგან მართებულად ასხვავებს მხოლოდ პტოლემეოსი. მათ ის უწოდებს: კასპიის კარს, სარმატიის კარს და ალბანეთის კარს (ანდერსონი 1928: 130).

[14] თუმცა ბეკონი, როგორც ითქვა, საუბრობს იუდეველთა ტომებზე, რომლებიც ცხოვრობენ ჰირკანიაში, სავარაუდოდ, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ბარიერის მიღმა, რომელიც ააგო ასევე ალექსანდრე მაკედონელმა (ბრიჯესი 1897ა: 302-303); (ბერკი 1928ა: 321-322). ალექსანდრე მაკედონელის მიერ ხალხების ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილას ჩაკეტვის კონცეპტი გარკვეულწილად ხსნის წინააღმდეგობას გადმოცემაში, რომ შესაბამისი ხალხები ალექსანდრე მაკედონელის კარიდან უნდა გამოსულიყვნენ ბოლო ჟამის დროს, როდესაც მსგავსი ზღუდეებიდან ხალხებმა ილაშქრეს სულ მცირე უკვე ორჯერ (მართალია, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებული ორი სიმაგრიდან უკვე გამოვიდნენ ხალხები, მაგრამ აღმოსავლეთში კიდევ უნდა იყოს მის მიერ აშენებული ზღუდეები, რომლებთანაც, დასაშვებია, ცხოვრობდეს ბოლო ჟამის ხალხი). შესაძლოა, ამ დროს ბეკონი ითვალისწინებდა „გამოცხადებასაც“ (გამოცხადება 20, 8). მაგრამ „გამოცხადებაში“ საუბარია ქვეყნიერების ოთხივე მხრიდან ხალხების გამოსვლაზე. ბეკონთან ზღუდეები ლოკალიზებულია კასპიის ზღვის რეგიონში და ისინი დაკავშირებულია უშუალოდ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებულ ბარიერებთან. მართალია, ეს ხალხები აქედან გამოსვლის შემდეგ მიდიან სხვადასხვა მხარეს (ჰუნები, მონღოლები), მაგრამ ისინი ერთმნიშვნელოვნად არ არიან ესქატოლოგიური ხალხები. როდესაც ბეკონი საუბრობს ჰირკანიაში მდებარე ალექსანდრეს ზღუდეების შესახებ, დასაშვებია, აქ იგულისხმებოდეს გორგანის კედელი, სიმაგრეები. მის შესახებ ცალკეული ცნობების ჩამოტანა შეეძლო ანდრე დე ლონჟიუმოსაც, რომელიც ყარაყორუმში გაემართა კასპიის ზღვის სამხრეთი მხრიდან (ჯეკსონი 1990: 36, 129). სავარაუდოდ, ლუდოვიკო IX-მ ანდრე დე ლონჟიუმო და გიიომ რუბრუკი ყარაყორუმში რიგი მოსაზრებების გამო, გამიზნულად გაგზავნა ორი განსხვავებული, ჩრდილოეთის და სამხრეთის მარშრუტებით. ამგვარად, რუბრუკმა დაადგინა, რომ კასპიის ზღვა არ უკავშირდება ჩრდილოეთის ოკეანეს. ელჩებს ასევე უნდა ჩამოეტანათ ინფორმაცია ალექსანდრე მაკედონელის მიერ აშენებული სხვადასხვა ბარიერების შესახებ.

[15] ერთადერთი კითხვა ცალკეულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით ბეკონთან, შესაძლოა, ჩამოყალიბებული იყოს დიდ ბულგარეთში (ვოლგისპირეთის ბულგარეთში) მცხოვრები ბულგარელების შესახებ (სადაც ის მისდევს კვლავ რუბრუკს (ჯეკსონი 1990: 130-131). ბეკონი წერს: ეს ქვეყანა დაშორებულია კასპიის კარიდან ოცდაათი დღის მოგზაურობის მანძილზე; ამ დროს მისი მცხოვრებლები არიან სარკინოზები; უაღრესად უცნაურია, რომ მუჰამედის რელიგიამ მიაღწია ამ ხალხამდე, რომლებიც ამგვარად არიან დაშორებულნი სარკინოზებს (ბრიჯესი 1897ა: 366-367); (ბერკი 1928ა: 383-385). შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს კითხვა, რომ თუ ისინი ჩაკეტილნი იყვნენ ალექსანდრე მაკედონელის კარის მიღმა, როგორ გავრცელდა იქ ისლამი.

[16] ის ფაქტი, რომ ფსალმუნის რუკაზე კასპიის კარი მიმართულია როგორც ევროპისკენ, ასევე წმინდა მიწისკენ, შესაძლოა, განაპირობა რეალურმა პოლიტიკურმა მოვლენებმაც (მონღოლების ლაშქრობამ). თუმცა კასპიის კარის მოტივის ყველა შემადგენელი ნაწილი (კარი, მთაგრეხილი, ადგილმდებარეობა) რუკის ავტორს უშუალოდ შუა საუკუნეების ტრადიციიდან აქვს აღებული. ზემოხსენებული შინაარსის აქტუალიზებას, დასაშვებია, განაპირობებდეს რუკის შესაბამის მონაკვეთზე შეტანილი მცირე ცვლილებები.

[17] აქ ასევე არ ვეხები მაგალითებს, როდესაც გოგის და მაგოგის საცხოვრებელს ლათინური ტრადიციაც ათავსებს უკიდურეს აღმოსავლეთში.

[18] „დიდ თხზულებაში“ ესქატოლოგიური ხალხების, ასევე ანტიქრისტეს მოსვლის დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით იხ. (პაუერი 2013: 200-201, 204); (ვუდვორდი, ჰაუ 1997: 212); (შმიდერი 1994: 262, იქვე, შენ. 344); (ჯეკსონი 2014: 152).

დამოწმებანი

ანდერსონი 1928: A.R. Anderson. Alexander at the Caspian Gates, *Transactions of the American Philological Association*, 59.

ანდერსონი 1932: A.R. Anderson. *Alexander's Gate*, *Gog and Magog*, *and the Inclosed Nations*, Cambridge, Massachusetts.

ბაქრაძე და *სხვები* 1962: კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, პ. გუჯაბიძე, ვ. კილაძე, მ. ჭელიძე, მ. ნემსაძე, *ფილოსოფიის ისტორია*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბერკი 1928ა: *The Opus Majus of Roger Bacon*, Transl. by R. B. Burke, Vol. I, Philadelphia, University of Pennsylvania Press.

ბერკი 1928ბ: *The Opus Majus of Roger Bacon*, Transl. by R. B. Burke, Vol. II, Philadelphia, University of Pennsylvania Press.

ბოილი 1979: J.A. Boyle. Alexander and the Mongols, *Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, 2.

ბრიჯესი 1897ა: *The 'Opus Majus' of Roger Bacon*, Ed. by J. H. Bridges, Vol. I, Oxford, Clarendon Press.

ბრიჯესი 1897ბ: *The 'Opus Majus' of Roger Bacon*, Ed. by J. H. Bridges, Vol. II, Oxford, Clarendon Press.

გოგიბერიძე 1972: მ. გოგიბერიძე, *ფილოსოფიის ისტორია*, მისივე, *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი*, ტ. III, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გოგოლაძე, გოგოლაძე 2010: ა. გოგოლაძე, მ. გოგოლაძე. ტერმინ ‚ალექსანდრეს კარის' წარმომავლობის საკითხი, *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, 12.

გოგოლაძე და *სხვები* 2015: ა. გოგოლაძე, თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, ნ. სილაგაძე. *საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით*, თბილისი: მერიდიანი.

ვან დონზელი, შმიდტი 2009: E. van Donzel, A. Schmidt. *Gog and Magog in Early Syriac and Islamic Sources, Sallam's Quest for Alexander's Wall* (Brill's Inner Asian Library, Vol. 22), Leiden, Brill.

ვუდვორდი, ჰაუ 1997: D. Woodward, H.M. Howe. Roger Bacon on Geography and Cartography, *Roger Bacon and the Sciences, Commemorative Essays*, Ed. by Jeremiah Hackett (Studien und Texte zur Geistesgeschichte des Mittelalters, Bd. LVII), Leiden, Brill.

თევზაძე 1984: გ. თევზაძე, ექსპერიმენტის ცნება როჯერ ბეკონის ფილოსოფიაში, *შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები*, ნაწ. II, რედ. გ. თევზაძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თევზაძე 1996: გ. თევზაძე, *შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თორნდაიკი 1914: L. Thorndike. Roger Bacon and Experimental Method in the Middle Ages, *The Philosophical Review*, 23 (3).

თორნდაიკი 1923: L. Thorndike. *A History of Magic and Experimental Science*, Vol. II, New York, Columbia University Press.

ინაძე 1996: მ. ინაძე. კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ. I-VI სს. საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, *ქართული დიპლომატია*, 3.

კუტალია 1981: გ. კუტალია. XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2.

კუტალია 2018: გ. კუტალია. საქართველო XIII საუკუნის ინგლისელ ავტორთა ცნობებში, *შრომათა კრებული, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი*, 15.

ლინდბერგი 1987: D. C. Lindberg. Science as Handmaiden: Roger Bacon and the Patristic Tradition, *Isis*, 78 (4).

მილერი 1895: K. Miller. *Mappaemundi. Die ältesten Weltkarten*, Bd. 3, Stuttgart, J. Roth.

მინდორაშვილი 2003: დ. მინდორაშვილი. დარიალის გზის ისტორიიდან, *ძიებანი*, 11.

პაუერი 2013: A. Power. *Roger Bacon and the Defense of Christendom* (Cambridge Studies in Medieval Life and Thought), Cambridge, Cambridge University Press.

პლინიუსი 1906: C. Plinius Secundus. *Naturalis Historia*, Ed. K. Mayhoff, Vol. I, Leipzig, Teubner.

რუბრუკვისი 1943: გ. რუბრუკვისი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გ. ქიქოძისა, *მსკი*, 4.

სარტონი 1931: G. Sarton. *Introduction to the History of Science*, Vol. II (= Carnegie Institution of Washington, Publication No. 376), Baltimore, Carnegie Institution of Washington.

ფონ დენ ბრინკენი 1985: A. D. von den Brincken. Mundus figura rotunda, *Ornamenta Ecclesiae, Kunst und Künstler der Romanik, 1. Katalog zur Ausstellung des Schnütgen-Museums in der Josef-Haubriech-Kunsthalle*, hrsg. v. A. Legner, Köln, Schnütgen-Museum.

შმიდერი 1994: F. Schmieder. *Europa und die Fremden: Die Mongolen im Urteil des Abendlandes vom 13. bis in das 15. Jahrhundert* (Beiträge zur Geschichte und Quellenkunde des Mittelalters, Bd. 16), Sigmaringen: Jan Thorbecke Verlag.

შმიდტი 2008: A. B. Schmidt. Die "Brüste des Nordens" und Alexanders Mauer gegen Gog und Magog, *Endzeiten: Eschatologie in den monotheistischen Weltreligionen* (Millennium-Studien zu Kultur und Geschichte des ersten Jahrtausends n. Chr., Bd. 16), hrsg. v. W. Brandes, F. Schmieder, Berlin, Walter de Gruyter.

შტაინიკე 2013: M. Steinicke. Zeichen des Antichrist im Fernen Osten: Franziskanische Missionsberichte vom Ende der Welt, *Abendländische Apokalyptik, Kompendium zur Genealogie der Endzeit*, hrsg. v. V. Wieser, Ch. Zolles, C. Feik, M. Zolles, L. Schlöndorff (Kulturgeschichte der Apokalypse, Bd. 1), Berlin, Akademie Verlag.

ჯეკსონი 1987: P. Jackson. William of Rubruck: A Review Article, *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, 1, Cambridge University Press.

ჯეკსონი 1990: *The Mission of Friar William of Rubruck, His Journey to the Court of the Great Khan Möngke 1253-1255*, Ed. and transl. by P. Jackson, London, Hakluyt Society.

ჯეკსონი 2014: P. Jackson. *The Mongols and the West, 1221-1410*, London, Routledge.

ჰეკიტი 2003: J. Hackett. Roger Bacon, *A Companion to Philosophy in the Middle Ages*, Ed. by J. J. E. Gracia and T. B. Noone, Malden (Blackwell Companions to Philosophy, 24), MA, Blackwell Pub.

ჰეკიტი 1997ა: J. Hackett. Roger Bacon: His Life, Career and Works, *Roger Bacon and the Sciences, Commemorative Essays*, Ed. by J. Hackett (Studien und Texte zur Geistesgeschichte des Mittelalters, Bd. LVII), Leiden: Brill.

ჰეკიტი 1997ბ: J. Hackett. Roger Bacon on Scientia Experimentalis, *Roger Bacon and the Sciences, Commemorative Essays*, Ed. by J. Hackett (Studien und Texte zur Geistesgeschichte des Mittelalters, Bd. LVII), Leiden: Brill.

ROGER BACON: ESCHATOLOGICAL ISSUES, GEOGRAPHICAL KNOWLEDGE AND SCIENTIFIC METHOD IN THE 13TH CENTURY

Aleksandre Tvaradze

The purpose of this article is to examine material connected with eschatological peoples, Caspian Gates and the end time in "Opus Majus" of Roger Bacon. By Bacon the concept of Caspian Gates is subject to change. Though nomadic peoples (Huns, Mongols) came from there, who in the beginning threatened civilization and Christian faith, but at the end these peoples either converted to Christianity or they fought imminent adversaries of the Christians. Thus, the Caspian Gates lost its eschatological task. However, Bacon doesn't abolish the tradition of enclosed peoples. Bacon tries to discover rational explanations, by which means he can incorporate the tale in an altered picture of historical and political events.

In "Opus Majus" the Caspian Gates are situated in the city of Derbent. An identical description of the barriers, which were built by Alexander of Macedon, is retained in the text for the Darial pass. Derbent is identified with the Caspian Gates proper in Iran. The Caspian Gates by Bacon are pieced together with characteristic traits of Derbent, the historical Caspian Gates in Persia and the Darial pass. When Bacon talks about Alexander's barriers in Hircania, he possibly had at his disposal the information about the great wall of Gorgan. Bacon provides the first attempt in the Middle Ages (though with some errors) to set in order partly differing statements of the sources with reference to the Caspian Gates.

To calculate the time of the coming of the Antichrist, Bacon considers it appropriate to survey and explore the possible end time people and territories around the Caspian Gates. This practice, in my opinion, represents the experimental science, or experimental method of Bacon. However, the work should be done within the context of the faith. One has to know, from where the Antichrist will come and when. Instead of waiting for the arrival of the apocalyptic peoples, Bacon demands they should act. In different historical times people overcame the barriers of Alexander (the Darial pass) and the Caspian Gates (the city of Derbent). In such way Bacon creates a model in which Alexander's barriers shift in an eastward direction so to speak. Alexander's barriers in Hircania preserved their eschatological function. Eschatological expectations, their partial modification and experimental science provide a framework in "Opus Majus" for the issues of end time peoples and the Caspian Gates.

თემის მმართველობითი ორგანოები გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – „ოლქობა“[1]

ბექა მგელაძე

გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყურადღებას იქცევს ხალხური მმართველობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა „მოყრიანობა“ და „ოლქობა“. უფრო ძველი ტერმინია „მოყრიანობა“ და ქართულ სამართლებრივ გარემოცვაშია განვითარებული, ხოლო „ოლქობა“ შედარებით გვიანდელი, ოსმალთა გავლენის დროინდელი სოციალური ინსტიტუტის აღმნიშვნელი სიტყვაა. ის გვიან შუა საუკუნეებში, ოსმალთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამხედრო-პოლიტიკური დომინირების ხანაში ჩნდება. „ოლქობამ“ „მოყრიანობა“ ჩაანაცვლა, ფუნქციურად მისი ადგილი დაიკავა, თუმცა „მოყრიანობამ“ დიდხანს „ოლქობის“ პარალელურადაც გააგრძელა არსებობა. მართალია, ხალხური მმართველობის ამ ფორმათა ტერმინოლოგიური ჩანაცვლება მოხდა, მაგრამ თავად ინსტიტუტმა ტრადიციული ქართული ბუნება მისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი ელემენტებით გამოკვეთილად შეინარჩუნა. შესაძლოა ამიტომაცაა, რომ ისტორიულ, ეთნოლოგიურ და ფოლკლორულ, ისე როგორც სხვა ტიპის წერილობით-ლიტერატურულ წყაროებში, „ოლქობისაგან“ განსხვავებით ფაქტები „მოყრიანობის“ შესახებ შედარებით ნაკლებად არის შემორჩენილი. მოყრიანობის გვერდით ჩვენ ტერმინ „მოყრილობასაც“ ვხვდებით. „მოყრილობა“, როგორც სათემო თავყრილობა და ხალხური მმართველობის წესი, ჭოროხის აუზის არაერთ კუთხეში, მათ შორის, შავშეთსა და ტაო-კლარჯეთშიც გვხვდება. „ოლქა“ და „ოლქაობა“, გარდა მმართველობის ხალხური ფორმისა, ლექსიკოგრაფთა განმარტებით, უბრალოდ „ერთად შეყრას, შეკრებას, თავყრილობას, საჯარო ქეიფსა და დროსტარებას, ნადიმს, მოლხენას“, ასევე, „ჯარიანობას, ბრბოს, აჯანყებას, ომიანობას, ყდამეთს აღნიშნავს“ (ნიჟარაძე 1957: 151); (ნიჟარაძე 1971: 270).

ტერმინი „ოლქა“ პირველად XVIII საუკუნის 80-იანი წლების აჭარა-სამცხის ურთიერთობების ამსახველ წერილობით წყაროში, ე.წ. „ქრონიკაში“ იხსენიება, რომელიც ხელნაწერის სახით ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივშია დაცული (საქართველოს სიძველენი 1949: 145). გვიანი შუა საუკუნეების ამ ტიპის სხვა წყაროში იგი ჯერჯერობით არ დასტურდება, გარდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა, სადაც ლექსიკონის ქართულ-თურქულ ნაწილში ნათქვამია: „თემი ოლქაა“, ე.ი. თემი ოლქადაა განმარტებული (იორდანაშვილი 1949: 526). უფრო ადრეულ პერიოდში ანუ განვითარებულ შუა საუკუნეებში ეს ტერმინი საერთოდ არ ჩანს, რაც ბუნებრივიცაა, რადგან სიტყვა ქართულში უშუალოდ თურქული ენიდანაა დამკვიდრებული. როგორც ჩანს, განვითარებულ შუა საუკუნეებში მას სხვა ტერმინები ცვლიდა. მართალია, ტერმინი „ოლქა“ საქართველოში თურქული ენის მეშვეობით გავრცელდა, მაგრამ იგი ქართულ ენას ისე შეერწყა, რომ უცხო ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები დაკარგა და, საბოლოოდ, ქართული ოლქა თურქული „ოლქეს” (ölke) გაქართულებულ ფორმად იქცა. ამ ტერმინის ქართულ ენაში დამკვიდრება საქართველოსთან ოსმალეთის მეზობლობითა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქული მმართველობის დამკვიდრებით იყო განპირობებული. თავადაც სიტყვა, რომელიც წარმომავლობით თურქულია, თურქულში „ქვეყანას”, „მხარეს”, „რაიონს” ნიშნავს (ჩლაიძე 2001: 1404). თურქულში იგი „იულქეს“ (ülke) ფორმითაც გვხდება. „ოლქის” სახით ამ სიტყვის ერთ-ერთი ვარიაცია – საქართველოში ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელად ჩამოყალიბდა. თურქულიდან შემოსულმა, თუმცა გაქართულებულმა „იულქემ“, გვიანი შუა საუკუნეების აჭარაში რამდენიმე ფორმით მოიკიდა ფეხი,

რომელთაგან „ოლქი“, „ოლქა“, „ოლქობა“ და „ოლქაობა“ ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. თითოეულ ამ სიტყვას საქართველოში შესაბამისი სოციოპოლიტიკური და სამართლებრივი დატვირთვა ჩამოუყალიბდა. ზეპირსიტყვიერ წყაროებში ტერმინი „ოლქობა“ პირველად ისტორიული ხასიათის ლექსს – „ჰაი გიდი ჩახალ-ოღლში“ გვხვდება, სადაც ჩახალ-ოღლი ზენდიდელზე ნათქვამია: „დილაზედა ფაშამ ნახა, ჩახალ-ოღლიმ დაინახა,/უკან დადგა ოლქისაგან, სწორედ ხელი დაიანა“; ამ ლექსის მეორე ვარიანტში ვკითხულობთ: „შემოიღო ოლქობა, ხომ არ ჰქენი კაი ქარი“ (უმიკაშვილი 1937: 132).

ლექსის შემთხზველი ჩახალ-ოღლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციას ახასიათებს, მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლექსის ამ ორ ვარიანტში სიტყვა „ოლქის“ ორი სახენაცვალი ფორმაა გამოყენებული: „ოლქი“ და „ოლქობა“. ამასთან, „ოლქი“ გვხვდება არა როგორც ადმინისტრაციული უჯრედის მნიშვნელობით, არამედ ადამიანთა, შეკრებილ პირთა ისეთი სოციოპოლიტიკური ერთობის გამოსახატავად, რომელთაც საერთოსთან ერთად, განსხვავებული მიზნებიც გააჩნდათ („უკან დადგა ოლქისაგან“). ამასთან, თავყრილობის წევრთათვის პრობლემა საერთო უნდა ყოფილიყო. ამდენად, აქ „ოლქი“ წარმოგვიდგება არა გეოგრაფიულ ცნებად, არამედ ცოცხალ სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზმად. ლექსის მეორე ვარიანტში ტერმინი „ოლქობა“ სახალხო თავყრილობის მნიშვნელობით პირდაპირაა გამოკვეთილი: „შემოიღო, ოლქობა“.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოლქობის სოციოპოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ შედარებით სრულყოფილი და უფრო კონკრეტული ცნობები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. პეტრე უმიკაშვილიმა, რომელიც აჭარის ზეპირსიტყვიერებითა და ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი გახლდათ, პირველმა შეკრიბა „ოლქობის“ შესახებ ინფორმაცია. მის არქივში შემორჩა გამოუქვეყნებელი მოთხრობა – „პატარა ახმედა“, სადაც იგი „ოლქობის“ სოციოპოლიტიკურ არსზე საუბრობს (არქივი 105).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აჭარაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე გაზეთ „დროების“ ფურცლებზე კორესპონდენციები სისტემატურად იბეჭდებოდა, სადაც როგორც ტერმინი „ოლქა“, ისე „ოლქობა“ არაერთხელ გვხვდება (დროება 1876: №15, №25); (დროება 1879: №7, №12, №19). ამ ინსტიტუტის შესახებ რამდენიმე საყურადღებო ცნობა, აჭარული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებშიცაა დაცული, რომელთაგან, როგორც ზემოთაც ითქვა, განსაკუთრებით „ჰაი გიდი ჩახალ-ოღლი“ გამოირჩევა (უმიკაშვილი 1937: 132-133). საყურადღებოა ასევე პეტრე უმიკაშვილის პირად არქივში დაცული, მის მიერ ჩაწერილი „ქობულეთური ლექსები ოლქობაზედ“, „ქალები ოლქას აწყობენ“ და „ქმარო მე ვკვდები შენ, გიხარია“ (მგელაძე 2014: 181). საგულისხმოა, რომ „ოლქობამ“ ქართულ პროზაშიც ჰპოვა ასახვა. ტერმინი „ოლქა“, როგორც თემობა, თემის, ქვეყნის ყრილობა არაერთხელაა მოხსენიებული ეგნატე ნინოშვილის ისტორიულ რომანში - „ჯანყი გურიაში“ (ნინოშვილი 1959: 59, 80, 48, 104).

„ოლქობის“, როგორც სოციოპოლიტიკური ტერმინის მნიშვნელობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებში არაერთი საინტერესო აზრი გამოითქვა, მაგრამ მისი სამართლებრივი შინაარსი სრულყოფილად ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. როგორც ცნობილია, 1958 წლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხალხური მმართველობისა და ჩვეულებითი სამართლის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, ხოლო უკვე 1961 წლისათვის „ოლქობის“ ინსტიტუტის ეთნოლოგიურ ასპექტებზე კონკრეტულად გამახვილდა ყურადღება, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1962 წელს წარდგენილ ინდივიდუალურ და საექსპედიციო ანგარიშებშიც აისახა. მეცნიერულ დონეზე ტერმინ „ოლქობის“ სოციალური და სამართლებრივი ბუნების შესწავლას ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად ყურადღება ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში რომ მიექცა სავსებით ბუნებრივი მოვლენა იყო, რადგან ინსტიტუტმა 1958 წელს აჭარაში საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია განახორციელა, სადაც

ალექსი რობაქიძის ხელმძღვანელობით ვლადიმერ მგელაძემ ამ სოციალური და სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანმიმართული შესწავლა დაიწყო (მგელაძე 1958); (მგელაძე 1959/1960). მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით 1959 წელს ვლადიმერ მგელაძემ ახლად მიკვლეულ პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებელ მოთხრობას – „პატარა ახმედას" სამეცნიერო ხასიათის საინფორმაციო სემინარი მიუძღვნა, რომლის მოკლე შინაარსი 1960 წლის 11 ივნისს გაზეთ „საბჭოთა აჭარის" ფურცლებზე გამოაქვეყნა (მგელაძე 1960). სტატიაში ნათქვამია, რომ პეტრე უმიკაშვილის ამ გამოუქვეყნებელი მოთხრობის მიხედვით „ოლქობა" სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო. მასში თემის მამრობითი სქესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და მისი გადაწყვეტილებების დამორჩილება აუცილებელი იყო. მართლაც, საველე-ეთნოგრაფიული წყაროები ამ ფაქტებს პირდაპირ ადასტურებს. მოპოვებულ მასალებსა და გამოვლენილ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით არაერთი ნაშრომი მომზადდა, რომლებიც აჭარაში ხალხური მმართველობის სისტემას ეხებოდა. მათ საფუძველზე შემდეგ დაწერილი მოხსენების მოკლე შინაარსიც დაიბეჭდა (მგელაძე 1961: 6; 1964: 76-77). ამდენად, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, საარქივო და წერილობითი წყაროების საფუძველზე გაირკვა ამ ინსტიტუტის არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი და პოლიტიკური ბუნება, დადგინდა მისი ზოგიერთი მანამდე უცნობი ფუნქციაც.

„ოლქობაზე", როგორც სოციოპოლიტიკურ მოვლენაზე, თავის დროზე ყურადღება ხარიტონ ახვლედიანმა გაამახვილა (ახვლედიანი 1943: 38), აზიზ ახვლედიანმა კი თავის წიგნში „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერებაში" „ოლქობას" ცალკე თავიც მიუძღვნა (ახვლედიანი 1970: 82-107).

„ოლქობის" საკითხს ალექსანდრე ქათამაძეც შეეხო, თუმცა ავტორს მისი დაკვირვებები არ გამოუქვეყნებია და თავმოყრილი მასალები ხელნაწერის სახით შემოგვრჩა (ფონდი 250). 1970-იან წლებში ზურაბ ჩიტაძე XVI-XIX საუკუნეების აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობის ხალხური მმართველობის ფორმების, ადათებისა და ჩვევების კვლევისას „ოლქობის" საკითხითაც დაინტერესდა. იგი წერდა, რომ ოსმალობის დროინდელ აჭარაში მმართველობის თურქული სისტემის პარალელურად თვითმართველობის სისტემაც მოქმედებდა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში „ოლქასა" და „ოლქობის" სახელწოდებით იყო ცნობილი. იგი გადმოგვცემდა, რომ მმართველობის ამ ფორმის შესახებ, მონაწილეთა და მომსწრეთა მოგონებების გარდა, სამწუხაროდ, სხვა რაიმე წერილობით საბუთი დღემდე არაა მიკვლეულიო. იქვე, ზურაბ ჩიტაძე მიუთითებდა, რომ „ოლქობის" ტიპის მმართველობის ფორმა და მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ მეცნიერულად დამუშავებული არ იყო. ეს მას მომავლის საქმედ ესახებოდა. არსებული წყაროების საფუძველზე ავტორი პრობლემის კვლევასა და სათანადო დასკვნების გაკეთებას გვთავაზობდა (ჩიტაძე 1978: 36).

„ოლქობის" შესახებ, წერილობით წყაროებსა და ფოლკლორულ მემკვიდრეობაში შემონახული ცნობები, მეტ-ნაკლებად ზოგადი სურათის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. ჩანს, რომ „ოლქობა" აჭარაში თავდაპირველი ბუნებით სათემო მმართველობის ერთ-ერთი ფორმა იყო. ოლქობა, როგორც ტერიტორიული გაერთიანების სათემო სათათბირო, ცნობილი იყო ისტორიული აჭარის ხეობათა ეთნოგრაფიულ ყოფაში. იგი ფართოდ გავრცელებული სოციალური მოვლენა გახლდათ და მას სამოსამართლო, საკანონმდებლო უფლებები და პოლიტიკური ფუნქციებიც კი ჰქონდა (მგელაძე 1961: 6; 1964: 81-84).

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა მნიშვნელოვანია „ოლქობის", როგორც პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური ინსტიტუტის გავრცელების არეალის გარკვევა. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მისი გავრცელების საზღვრების დადგენა მასთან დაკავშირებული რიგი ისტორიული, ეთნოლოგიური და იურიდიული საკითხის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

გასულ საუკუნეში ლაზეთში - სოფელ სარფსა და აჭარაში მცხოვრებ ლაზებში შეკრებილი საველე მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ „ოლქობა" თითქოს მხოლოდ აჭარისათვის დამახასიათებელი

მოვლენა იყო. ასე თვლიდა ლაზური მოსახლეობა, თუმცა გაზეთ „დროების“ 1876 წლის ერთ-ერთ კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ 1873 წელს თურქეთის საადგილმამულო კომისიას ღარიბთა მამულები ძვირად შეუფასებია, ხოლო საპასუხოდ ხალხი არხავეს მთიან სოფელ ორქში და სხვა სოფლებში იოლქეს დაპირისპირებიან (დროება 1876: №23). საადგილმამულო გადასახადების გამწერი კომისიის მუშაობა არა მარტო ორქში, არამედ ხოფას, კისეს და ათინას სოფლებშიც უშედეგოდ დამთავრებულა. ასეთივე ვითარება ყოფილა ქობულეთის მხარეშიც. ეს ცნობა გაზეთ „დროების“ რედაქციისათვის არხავეში მცხოვრებ 80 წლის ვინმე ოსმან-აღა ქელალ-ოღლის მიუწოდებია. ცნობა სანდო უნდა იყოს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ოლქობის“ ინსტიტუტი ლაზეთშიც დასტურდება.

ეგნატე ნინოშვილის რომანში „ჯანყი გურიაში“ დაცულ ცნობებს თუ გავითვალისწინებთ, „თემობა“ სახელწოდებით „ოლქა“ გურიაშიც უნდა ყოფილიყო ცნობილი. თუმც „ოლქობა“ – მოქმედი მმართველობითი ხალხური ორგანო, ეთნოგრაფიული მასალებით, ჯერჯერობით მაინც შედარებით სრული იერსახით აჭარის სინამდვილეში დასტურდება.

„ოლქა“„თემის“ სინონიმი უნდა ყოფილიყო. ამგვარი სემანტიკით იყო ცნობილი იგი სულხან-საბა ორბელიანის დროინდელი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. სულხან-საბა ორბელიანი თემის მნიშვნელობას კიდევ უფრო აკონკრეტებდა და მას „ქვეყნის ერთ ნაწილად“ მიიჩნევდა (იორდანაშვილი 1949: 136, 526), ე.ი. ლექსიკოგრაფს „ოლქა“ ქვეყნის შემადგენლობაში შეჰყავდა. თურქულ ლექსიკონებში, მათ შორის, თურქულ-რუსულ ლექსიკონში ეს ტერმინი განმარტებულია, როგორც „ქვეყანა, მხარე“ (მაგაზანიკი 1945). ძველ საქართველოში, როგორც ქვეყანას, ისე თემს, ვიწრო და ფართო სემანტიკა გააჩნდა. ვიწრო მნიშვნელობით იგი ხეობაში ერთი ანდა რამდენიმე სოფლისაგან შემდგარ დასახლებას – თემს, იგივე, ხევს აღნიშნავდა, ხოლო ფართო მნიშვნელობით – ხეობათა იმ კავშირს, რომელიც ეთნოგრაფიული ჯგუფის განსახლების არეალს წარმოადგენდა. ჩვენ შემთხვევაში თემი მცირე და დიდი ხეობებისაგან შემდგარ აჭარისწყლის იმ ხეობას ეწოდებოდა, სადაც აჭარლები იყვნენ განსახლებულნი, იმავე დროს თემი მცირე დასახლებულ პუნქტთა ერთობლიობასაც ერქვა. იგივე უნდა ითქვას „ ოლქასა“ და „ოლქის“ შესახებაც, გვიანი შუა საუკუნეებისათვის აჭარაში თემსა და მხარეს ვიწრო და ფართო მნიშვნელობებით ოლქა შეესაბამებოდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებშიც აჭარაში დასახლების სათემო ფორმა დასტურდებოდა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს, საქართველოს ცალკეულ კუთხეში თემობრივი განსხვავება არსებობდა და იგი მმართველობაშიც იყო ასახული. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო და მისი წყობილება სათემო გაერთიანებებზე იყო დამყარებული, შესაბამისად, საუწყებო მართვა-გამგეობის გვერდით სათემო ცხოვრების წესიც განმსაზღვრელი იყო. ქართული პროვინციები ამ სფეროში საერთოს გარდა კუთხური, ადგილობრივი ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდა (ჯავახიშვილი 1928ა: 1); (ჯავახიშვილი 1928ბ: 111-112, 115). ოსმალთა მმართველობის დროინდელ აჭარაშიც სხვადასხვა ტიპის ტერიტორიული, სოციალური და სამართლებრივი ინსტიტუტების გვერდით, სიტყვები „ოლქა“ და „ოლქობა“, მართალია, წარმოშობით უცხოური იყო, მაგრამ სოციალური არსით ისინი აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავდა. ტერმინი „თემობა“, რომელიც ოსმალთა მმართველობის პერიოდში „ოლქობით“ შეიცვალა, არსებული სოციოპოლიტიკური გარდაქმნების შედეგი იყო. სათემო ცხოვრების პირობებში „ოლქობა“ ხალხური თვითმართველობის ტრადიციულ ფორმას მოერგო, რომელიც, სხვათა შორის, გვიან შუა საუკუნეებში ოსმალურ ყაიდაზე მოწყობილ აჭარის ადმინისტრაციულ მმართველობას დაუპირისპირდა. საგულისხმოა „ოლქა“ რჩეულ მამაკაცთა მებრძოლ, მოლაშქრე რაზმსა და „ოლქობის“ გადაწყვეტილებით განხორციელებულ აჯანყებას, საკუთრივ ოლქობა კი – თემის წევრთა მამაკაცთა ყრილობას წარმოადგენდა. ამავე დროს, „ოლქობა“ შინაურ და გარეშე მტრის წინააღმდეგ ხალხის ერთიანი, კოლექტიური ბრძოლის ფუნქციებით იყო აღჭურვილი. შესაძლოა ამიტომაც იყო ზოგიერთ ავტორს იგი მხოლოდ გლეხთა აჯანყებად რომ მიაჩნდა (იაშვილი 1948: 97-102).

ოსმალეთის სახელმწიფომ აჭარა იძულებული გახადა ხალხური თვითმმართველობის არსებული ფორმა, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში „ოლქობის“ სახელით გახდა ცნობილი, დაეცვა და ახალ პირობებზე შეეგუებინა. „ოლქობა“ სათემო თუ საქვეყნო საკითხებს ძველქართულ, ადგილობრივ ადათობრივ სამართალზე დაყრდნობით წყვეტდა, თუმცა გვიან მასში შარიათის ელემენტიც შეიჭრა. ფაქტია, რომ სათემო ტრადიციები და, საერთოდ, ხალხური მმართველობა აჭარაში XX საუკუნის გარიჟრაჟამდე იყო შენარჩუნებული, რასაც ხელს უწყობდა დასახლების სათემო ელემენტებისა და საკუთრების სათემო ფორმის დანარჩუნება, ასევე სხვა ტიპის სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური გარემოებები. საკუთრივ თემისა და სათემო ტრადიციების შენარჩუნებას ხელს უწყობდა სარწყავი წყლის საერთო სარგებლობის წესი, სახელმწიფოს წინაშე კოლექტიური პასუხისმგებლობა და ამა თუ იმ სფეროში ჯგუფური მომსახურების აუცილებლობა, ასევე, თვითმმართველობის ტრადიციული ნორმების სიცოცხლისუნარიანობა (მელიქიშვილი 1959: 407). უფრო მეტიც, ოსმალთა მმართველობამ თემისა და ძველი სათემო ნორმების სიცოცხლისუნარიანობასა და ხალხური მმართველობითი სისტემის კონსერვაციას კიდევ უფრო მყარი ნიადაგი შეუქმნა (ახვლედიანი 1962: 76). აჭარის ხეობათა მიუვალმა ადგილმდებარეობამ და გარე სამყაროს დიდი ნაწილისაგან მოწყვეტამ მასზე დიდი გავლენა იქონია. ამიტომაც იყო, რომ „ოსმალობის“ გავლენები აჭარაში ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, მოსახლეობა ოსმალურ კანონებს არ ცნობდა, განსაკუთრებით არ ცნობდა ოსმალურ კანონებს საკუთრების სფეროში. ვ. ლისოვსკის დაკვირვებით, მართალია, აჭარის მოსახლეობამ მიიღო ისლამი, მაგრამ ასე თუ ისე საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობა მაინც შეინარჩუნა და თურქულ ადმინისტრაციას არ აღიარებდა (ლისოვსკი 1878: 2). ოსმალური ადმინისტრაცია ისლამს ნერგავდა, დევნიდა ქართველობას, მაგრამ მოსახლეობა ცდილობდა შეენარჩუნებინა ტრადიციული კულტურული ფასეულობები, ადათები, სახნავსა და სათეს მიწებზე, სათიბებსა და ტყეებზე სათემო საკუთრებასა და თემისათვის დამახასიათებელ ქართულ ტრადიციული ნორმები, სათემო მმართველობის ძველქართული სისტემა, თუმც გვიანი შუა საუკუნეების მიწურულს აჭარაში თემის სოციორელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრი უკვე იყო არა „საყდარი“ („ხატი“) და „სამამასახლისო“, არამედ „ჯამიკარი“ და „სამუხტრო“ – შესაბამისი ადმინისტრაციული ცენტრით, რომელსაც „მუხტარი“ განაგებდა. ნიშანდობლივია სამუხტროს თავყრილობა აჭარის ზოგიერთ ხეობაში სწორედ ოლქობად რომ იწოდებოდა.

ოლქობის ინსტიტუტს, რომლის ძველი ადგილობრივი სახელი „მოყრიანობა“ ყოფილა, სამოსამართლო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, განმკარგულებელი უფლებები ჰქონდა. საზოგადოების ცვლილებებასთან ერთად ოლქობის ბუნებაც იცვლებოდა. დროთა მსვლელობაში მან დემოკრატიული იერსახე თანდათანობით დაკარგა. ოსმალთა მმართველობის პერიოდში აჭარაში არსებულ საქვეყნო თუ ხეობის კრებას – მოყრიანობას თემისა და სათემო მმართველობის შენარჩუნების ახალი საფუძველი გაუჩნდა: მოხდა ხალხური მმართველობის ძველი ფორმების ახალ მოცემულობაში განვითარება. უცხოური და ადგილობრივი სამართლებრივი და სოციოპოლიტიკური ინსტიტუტების ჭიდილში გამოიხატა მცდელობები ქვეყნისათვის სპეციფიკური, ქართული ტრადიციული და ადათობრივი უფლებების დაცვისა. ოსმალური მმართველობის დამყარების შემდეგ აჭარის ოლიგარქიულ წრეებსა და დანარჩენ სოციალურ ფენებს შორის წინააღმდეგობანი გაიზარდა, გაფართოვდა აჯანყების მოქმედების არეები და მიზანდასახულობაც. ოსმალობის დროინდელი გვიანი შუა საუკუნეების აჭარის თემთა აჯანყებები „ოლქაობის“ სახელით დამკვიდრდა, რაც ოლქობის – თემის ანდა თემთა ფართო გაერთიანებების გადაწყვეტილებით ხორციელდებოდა. XIX საუკუნის ათიან წლებში ოლქობის გადაწყვეტილებით განხორციელებული წინააღმდეგობის – ოლქაობის წინამძღოლი „ჩახალ-ოღლი“ უნდა ყოფილიყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარაში ოსმალობისა და ოსმალების წინააღმდეგ ოლქაობას – აჯანყებას, უფრო ადრეც, XVII საუკუნის დამდეგიდანაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, მაგრამ მკაფიოდ იგი ჩახალ-ოღლისადმი მიძღვნილ ხალხურ ლექსშია ასახული, სადაც „ოლქაობა“, როგორც აჭარის სხვადასხვა ხეობაში გაერთიანებულ თემთა წარმომადგენლების გადაწყვეტილებით

მოწყობილი სახალხო აჯანყება იხსენიება.

ხარიტონ ახვლედიანი ლექსის – „ჰაი გიდი ჩახალ-ოღლის“ შემთხზველად ქედის რაიონის სოფელ ვაიოს მცხოვრებ სახალხო მელექსეს ბუჰანა შავიშვილს მიიჩნევდა (ახვლედიანი 1943: 38), თუმცა როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ლექსი 1859 წელს ჩაუწერიათ, ლექსი-სიმღერა, რომელიც ხალხში თქმულების სახითაც იყო შემორჩენილი და აჯანყებას – ოლქობას ეხებოდა. მისთვის თქმულება ქვემო აჭარაში სოფელ ზესოფლის მკვიდრს – ახმედ ბერიძეს მოუყოლია (ჭიჭინაძე 1916: 15). ზაქარია ჭიჭინაძის ცნობებზე დაყრდნობით, ასევე, მიაჩნიათ, რომ ჩახალ-ოღლი სოფელ ზვარედან იყო (ჭიჭინაძე 1916: 15); (იაშვილი 1948: 98). მას აგრეთვე ბერიძე-თურმანიძედაც თვლიან (ახვლედიანი 1943: 40). პეტრე უმიკაშვილის ცნობით, კი იგი ბზუბზუდან ყოფილა (უმიკაშვილი 1937: 33, შენ. 5). ჩახალ-ოღლი დაბალი სოციალური წრიდან იყო გამოსული და, შესაბამისად, ამ წრის დამცველიც გახლდათ. იგი აჭარის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, ჩახალ-ოღლი ქედის ბეგებთან კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რის გამოც იგი ქედიდან ჩაქვში გადასახლებულა, ბოლოს ხიმშიაშვილებსაც დაპირისპირებია და ბეგების ქვითკირით ნაგები სახლების დაქცევა დაუწყია (ჭიჭინაძე 1916: 21-22).

იმ დროს ბეგები თურმე გლეხებს ქვითკირის სახლების აგების ნებას არ აძლევდნენ. ზეპირ-სიტყვიერი წყაროებით ირკვევა, რომ ჩახალ-ოღლი ყველა უსამართლოდ მოქმედსა და ოსმალოს მომხრეებს შიშის ზარს სცემდა, ე.ი. ოლქაობის წინამძღოლი არსებულ მმართველობით სისტემასა და ადმინისტრაციას უპირისპირდებოდა, შესაბამისად, წინააღმდეგობაში იყო მმართველობის ოსმალურ წესთან. ამიტომაც იყო ოსმალოს მოხელეები ოლქაობის, როგორც ხალხური მმართველობიდან აღმოცენებული შეიარაღებული გაერთიანების მომწყობსა და მის თანამგრძნობებსაც რომ სდევნიდნენ. ზენდიდელ „ოლქაბაშს“ აჭარის ყველა ხეობასთან ჰქონდა კავშირი. ხალხურ ლექსში – „ჰაი გიდი ჩახალ-ოღლი“ ასახვა ჰპოვა სელიმ-ფაშასა და ჩახალ-ოღლის შორის ატეხილმა ბრძოლამ. ლექსის მიხედვით ჩახალ-ოღლი თავისი რაზმით – ოლქათი ფაშას თავს დასხმია, რის გამოც, ხარიტონ ახვლედიანის ვარაუდით, მელექსე, ქედის რაიონის სოფელ ვაიოს მცხოვრები ბერჰან შავიშვილი, ოლქაობის – აჯანყების მეთაურს მიმართავს: „ჰეი-გიდი ჩახალ ოღლი, ერთხანაც გიქროდა ქარი,/ შემოყევი ოლქაობა, ხომ არ ქენი კაი ქარი,/ ფაშას ყულე დეუმგვრიე, სასახლე გეუღე მხარი,/ სელიმ-ფაშამ რომ შეიტყვა, რომ შეიქმნა ჰერსით მთვრალი“ (ჭიჭინაძე 1916: 15); (უმიკაშვილი 1937: 132); (ახვლედიანი 1943: 38); (ახვლედიანი 1978: 94); (იაშვილი 1948: 98).

აქედან ჩანს, რომ ჩახალ-ოღლის ფაშისათვის ციხე-კოშკი – „ყულე“ და სასახლე დაუქცევია. ეს ფაშა კი სელიმი იყო. ვუკოლ იაშვილის თანახმად, რადგან ლექსში სელიმია ნახსენები, ამდენად აჯანყების – ოლქობის დაწყების ხანადაც მისი მოღვაწეობის პერიოდი უნდა განისაზღვროს: დაახლოებით 1815-იანი წლები, თუმცა, ზეპირი ნაამბობებიდან ჩანს, რომ თითქოს თეთრი სახლების წინააღმდეგ ოლქობა მუთი აღა თულუმბას დროს მომხდარიყოს, როდესაც აჭარას სელიმის შვილი ახმედ ბეგი განაგებდა. გადმოცემით ჩახალოღლი ახმედ ბეგის ხელით მოკლულა. თქმულების ამ მონაკვეთის საფუძველზე ვუკოლ იაშვილი ასკვნის, რომ ოლქობა სელიმ ფაშის დროს დაწყებულა, ხოლო გაგრძელებულა და დამთავრებულა ახმედ ბეგის დროს. აჯანყების საბაბად მოჩანს გადასახადების ზრდა, რის გამოც უკმაყოფილო გლეხებს ოლქობა დაუწყიათ და მას სათავეში ჩახალოღლი ჩადგომია. როგორც ახასიათებენ იგი გაბედული, გამჭრიახი და მტკიცე სიტყვის კაცი ყოფილა (იაშვილი 1948: 98-101).

ლექსში მოხსენიებულ ოლქაობას პეტრე უმიკაშვილი ჯარიანობად განმარტავს (უმიკაშვილი 1937: 132, შენ. 1). ავტორს ოლქობა ომიანობად (ივერია1877: №13), თედო სახოკიას კი – აჯანყებად მიაჩნდა (სახოკია 1950: 119). ირკვევა, რომ ოლქობა არა მხოლოდ თემებს შორის ატეხილი დავა-ჩხუბის, არამედ აჯანყების სახით უფრო ფართო ხასიათის გამომხატველი ცნება იყო. ლექსში, როგორც დავინახეთ, ოლქაობის – აჯანყების შემომღებად აჭარაში ჩახალ-ოღლია მიჩნეული. ამასთან ისიც დგინდება, რომ საქართველოს ამ კუთხეში – აჭარაში ოსმალობისა და ოსმალების წინააღმდეგ

ოლქაობა, აჯანყებები XVII საუკუნის დამდეგიდან მიმდინარეობდა.

XIX საუკუნის 30-40 წლებში ოსმალეთი აჭარაში რეფორმების გატარებას შეეცადა, რასაც შედეგად ხალხის აქტიური წინააღმდეგობა მოჰყვა. იმდროინდელი ვითარება ნათლადაა აღწერილი პეტრე უმიკაშვილის მოთხრობა – „პატარა ახმედაში“, სადაც თანზიმათის დროინდელ ოლქობის შესახებაცაა საუბარი. ავტორის ცნობით, ოსმალეთის მთავრობას ბრძანება გამოუგზავნია:

> აჭარა ესკერში (ჯარში) უნდა გავიყვანოთო, ბეგებს მამულები აღარ უნდათო, მათ ყმები ჩამოერთვათო. ამის გამო აჭარაში მღელვარება დაწყებულა, ბეგი და გლეხი მხარდახარ დამდგარან: „ოლქობა დიდი ადგა, თოფი-იარაღით გავედით, ბათომამდის მივედით და სულ კახაბრის მთა დავიჭირეთ (უმიკაშვილი 1937: 39).

როგორც ცნობებიდან ჩანს, იმ დროს რეფორმებში გამოხატული ოსმალური მმართველობის დამყარების წინააღმდეგ სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის კომპრომისი მომხდარა, რამაც ოსმალეთის მთავრობა აიძულა რეფორმები დროებით გადაედო. ძმები ჩახალ-ოღლებისა და მათი მებაირახტრის – მედროშის სიკვდილით დასჯამ აჭარის მოსახლეობა ვერ გატეხა, რაც იქედანაც ჩანს რეფორმების ხანაში ოლქობამ და ოლქაობამ მასიური ხასითი რომ მიიღო. ამ პერიოდში ადგილობრივი ადათ-წესებისა და ხალხის თვითმყოფობის დამცველთა რიგებში საღორეთელი ყიზეთ-აღა და ალი-აღა სამბაშოღლები – დვალიძეები იდგნენ. ამ უკანასკნელს ხალხმა ლექსიც კი უძღვნა. ლექსი ზაქარია ჭიჭინაძეს ვინმე მემედ-აღა ქატიკაძისგან (?) ჩაუწერია. ლექსიდან ჩანს, რომ ალი-აღა მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით შერიფ ბეგს დაპირისპირებია. მოსახლეობის ინტერესების დამცველთა რიგებში იდგა კიბელი ახმედ-აღა კიკინოღლი – კიკნაძეც, რომელსაც ახალგაზრდა ჭაბუკებისაგან რაზმიც შეუდგენია. იმ დროს ყოველგვარი უსამართლობის წამომწყები ართვინის მახლობლად სოფელ სვეტში მცხოვრები ათაბაგის შვილი გამხდარა. ახმედ-აღას რჩეული ბიჭებისაგან შემდგარმა რაზმმა – ოლქამ ბეგი აიკლო, სასახლე დაუქცია და ბეგს პირობაც ჩამოართვა, რომ იგი „უსამართლო პირების მომხრე“ აღარ იქნებოდა. ოლქას წევრებმა „მთელი აჭარის ბეგობაც შეაშინეს და ფიცი ჩამოართვეს, რომ სოფლის ფუხარას აღარ დავახრჩობთო“ (ჭიჭინაძე 1916: 21-22).

ოსმალთა მმართველობის უკანასკნელ პერიოდებში დაპყრობილსა და დამპყრობელს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა. 1875 წელს ქობულეთის აჯანყებაც დაიწყო, რომელიც მთელ აჭარას მოედო. ხალხი ოსმალობის, ოსმალური რეჟიმის, მძიმე გადასახადების, თურქულ ნიადაგზე მოწყობილი ადმინისტრაციისა და ჯარში გაწვევის კანონის წინააღმდეგი იყო. ისინი თანახმა იყვნენ მხოლოდ მშობლიური მიწა–წყალი დაეცვათ (დროება 1875: №101, №106, №107, №109, №112, №117, №127); (დროება 1876: №16, №51, №74). 1876 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. კინტრიშის ხეობის მცხოვრებლების ოლქობამ კუთხის მმართველობაში ამჯერად თექვსმეტი კაცისაგან შემდგარი საბჭო აირჩია. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ამის თაობაზე ნათქვამი იყო, რომ ქობულეთის მცხოვრებთ თექვსმეტი კაცისაგან შემდგარი საბჭოსათვის ქობულეთის მართვა დაუვალებიათ (დროება 1876: №15). აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ოლქობათა შორის პერიოდში, ზემო და ქვემო აჭარის ხეობებშიც, მმართველობის უმაღლეს ორგანოდ თექვსმეტი კაცისაგან შემდგარი საბჭო იყო დადგენილი. ამას ისიც მოწმობს, რომ 1879 წლის სექტემბერში, მუჰაჯირობის დროს, ოსმალეთის პროვინციებში გახიზვნის მსურველთათვის საცხოვრებელი ადგილების დასათვალიერებლად ზემო აჭარის ოლქობამაც თექვსმეტი ადამიანისაგან შემდგარი დეპუტაცია გამოყო (დროება 1879: №7).

1878 წლის აჯანყების შესახებ თედო სახოკია შემდეგს მოგვითხრობს:

> ზემო აჭარაში რუსეთის ჯარის შემოსვლის დროს ოლქობა მომხდარა. ოლქობის მთავარი მოქმედი პირი სოფელ ხიხაძირიდან ვინმე ბერიძე ყოფილა. ბრძოლის ასპარეზიც ხიხაძირი გამხდარა. ბერიძეს მოგზაურზე უთქვამს: „მთელი ზემო და ქვემო აჭარა ფეხზე დადგა, ვისაც თოფის აღება შეეძლო სულ ოლქად გავედით“. ოსმალეთის მესვეურებმა მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანეს

და შერიფ-ბეგი კუთხის მოღალატედ გამოაცხადეს. ოლქას მონაწილეებმა ბეგს სხალთაში სახლი დაუნგრიეს, ხოლო ხულოში – კანცელარია და ყველა ქაღალდი გადაუწვეს (დროება 1879: №7).

თედო სახოკიას მიხედვით, ოლქობის დროს ბერიძეც შეუპყრიათ, თუმცა შემდეგ გაუთავისუფლებიათ (სახოკია 1950: 129-130). თედო სახოკიას მონათხრობში მსჯელობაა 1878 წელს რუსეთის არმიის სხალთის ხეობაში შესვლის დროის მომხდარ ოლქობასა და ოლქაობაზე, ასევე, 1879 წლის ბოლოს მომხდარ აჯანყებაზე. აქ ორი ოლქობის ეპიზოდი გაერთიანებულია და ისეა გადმოცემული (მგელაძე 2014: 179).

მუჰაჯირობის საკითხთან დაკავშირებით 1879 წლის აპრილის თვეში შეკრებილმა აჭარის ოლქობამ არაერთი პრობლემა განიხილა. მოსახლეობის სურვილი ყოფილა ოლქობას საქვეყნო საკითხი გადაეწყვიტა: მშობლიურ აჭარაში დარჩენილიყვნენ თუ ოსმალეთში გახიზნულიყვნენ. ოლქობაზე დეპუტაციის ერთ წარმომადგენელს ხალხისათვის ადგილზე დარჩენა უქადაგია. სწორედ ეს ოლქობაა აღწერილი პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებელ მოთხრობაში „პატარა ახმედა“. იმდროინდელი თექვსმეტი მამაკაცისაგან შემდგარი საბჭო ოლქობის წინაშე უნდა ყოფილიყო ანგარიშვალდებული, რასაც ასევე პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებლ მოთხრობაში – „პატარა ახმედაში“ ასახული ცალკეული ეპიზოდიც მოწმობს. მოვიტანთ ამონარიდს ამ მოთხრობიდან:

1879 წლის აპრილის დამდეგს „აჭარის შუა ადგილას, დანდალოს გაშლილ მინდორზე, ზედა და ქვედა აჭარიდამ ჯგუფ-ჯგუფად, სოფელ-სოფელ შეყრილი ხალხი დიდს რჩევაშია და დიდს საგონებელშია ჩავარდნილი. მოხუცებულთაგან ყმაწვილამდე, თავით-ფეხამდე, თოფ-იარღით შეკაზმული ხალხი, გაცხარებული და გულმწყრომარე ისეთი სანახავია, რომ პირველ შემხედვარეს საომრად გამზადებულ ლაშქარსა ჰგავს. ხალხის ხორხორი და მჩქეფარე ლაპარაკი, ბაასი და ქადაგება, წყრომა და ალერსი, ბუზღუნი და მოფერება ემსგავსება ზღვის აღელვებულს ფურთვნასა, რომლისაც ზვირთები ერთმანეთს ებრძვის და იშლება, იშლება, იშლება განზე და ახალს მორთვენ, ზვირთებს ამოაბორცვებს, ერთმანეთს ახლის და გრგვინით [...] გრიალებს და ჰქუხს ... ნუ გეგონებათ, რომ ხალხს ომის წადილი აღელვებდეს. ოლქობაა საომარი ნუ გგონიათ, ერთობა შეყრილია დაასკვნას: დავრჩეთ აჭარაში თუ მუჰაჯირათ წავიდეთ [...] ოსმალომ რუსეთს დაუთმო აჭარა. რა ვჰქნათო [...] საჯარო სჯა და ლაპარაკის შემდეგ ხალხს გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს აქ ყოფნა დარჩითო, ვისაც გნებავს გზა გაქვთ, წადითო. ორი წელიწადი კიდევ ვადა გვაქვს [...] ახლა თქვენზეა საქმე, რასაც იტყვით. ოლქობა უნდა დაიშალოს. სიჩუმე ჩამოვარდა [...] მოლაპარაკე თავკაცებს გარს ეხვივნენ სხვა თავკაცები, ყველა ერთმანეთს უცდიდა“. [...] „ – კაი რაც ბრძანეთ, ბოლოს შეწყვიტა ერთმა./ – არა, არა, მდურვით შეება მეორე, რაღა მთელი აჭარა აქ არის [...] და სხვაობა აზრისა თავს იჩენდა./ უნდა ვიფიქროთ კიდევ, მივიხედ-მოვიხედოთ [...] და თუ მოვეწყოთ, იქნება დავრჩეთ, ჭოჭმანობით თქვა ერთმა [...] დაიშალა ოლქობა, ერობა და ხალხი სოფლებით ჯგუფ–ჯფუფად აიყარა და შინისაკენ წავიდა [...] გზაზე ბაასი და ცლობა მაინც არ დაწყნარებულა [...] ნელ-ნელა ჩნდებოდა ბევრი სხვა აზრი. ოლქობის ამბავი ახმედამ დედას მეორე დღეს უამბო: როგორი ლაპარაკი ჰქონდათ, სოფლების თავკაცებს, მერე როგორ მოვიდნენ ბათუმიდან რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლები და როგორ აუხსნეს ხალხს გახიზვნის ან ადგილზე დარჩენის ნება-ყოფლობა და ბოლოს ხალხის დაშლა და საბოლოო გადაწყვეტილება: გახიზვნა თუ დარჩენა ყველამ სოფელ-სოფელ გადაწყვიტონ თავისი ნებაყოფლობითო (მგელაძე 2014: 139-143).

ამ ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ ოლქობის შეყრა ხალხის სურვილზე იყო დამოკიდებული. გაზეთ „დროების“ ერთ კორესპონდენციაშიც იყო ნათქვამი, რომ ქობულეთში „მოვილაპარაკეთ ერთ ჯუმა (პარასკევი) დღეს და გადავწყვიტეთ, ოლქათ უნდა ავდგეთ“-ო. ხალხს თავისი სურვილი კიდეც განუხორციელებია – „ოლქად ამდგარა“ (დროება 1876: №15). რესპოდენტის თქმით: „გარდა თავდგირიძისა, ყველამ პირი მივეცით ერთმანეთს, რომ არაფერ საქმეში არ უღალატოთ ერთმა მეორეს” (დროება 1876: №15). ამ ოლქობის დროს ქობულეთში ხუთასამდე კაცს მოუყრია თავი. იგივე გაზეთის 4 მარტის კორესპონდენციაში ნათქვამი იყო: „სრულიად ქობულეთი ამჟამად ოლქათ არის ამდგარი“ (დროება 1876: №25).

მოტანილი ცნობებიდან ასევე ირკვევა, რომ ოლქობა როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარას მოიცავდა,

ხოლო თავყრილობის ადგილად შუა ზონა – ქედასთან ახლოს მდებარე დანდალო იყო შერჩეული. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, ოლქობა, როგორც საზოგადოების სამართლებრივი, სოციოპოლიტიკური და სოციოტერიტორიული გაერთიანება მუდმივმოქმედი მმართველობითი ორგანოს სახეს ატარებდა. იგი საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად იმართებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსახლეობას მთავრობისადმი თუ ზოგადად ხალხისადმი სათხოვარი და შესაკითხი ჰქონდა, ასევე, სათემო თუ საქვეყნო – საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხი იქნებოდა გასარჩევი და გადასაწყვეტი. გაზეთ „დროების“ ინფორმაციის თანახმად: „ნაჰიე ქობულეთში გადასახადის თაობაზე „ოლქა (კრება) აქვთ ოთხი ათასამდის კაცს ხან ერთს, ხან მეორე ჯამეზე“ (დროება 1876: №49).

გადასახადის შემცირების თაობაზე კრება მთავრობას ულტიმატუმს უყენებდა. 1879 წლის ინფორმაციით ოლქობის მოწვევის აუცილებლობის აზრი და ოლქობისათვის მზადება, დასახლების ერთ რომელიმე პუნქტში იწყებოდა და ასე თანდათანობით მთელ აჭარაში ვრცელდებოდა, ე.ი. განსაზღვრული პრობლემა აჭარის ამა თუ იმ ხეობის თემში თუ თემებში ყალიბდებოდა, რომელიც შემდეგ განსახილველად ყველა ხეობის თემს გადაეცემოდა. ერთი წერილობითი ცნობის მიხედვით, ზემო აჭარისა და, ნაწილობრივ, ქვემო აჭარის მოსახლეობა:

> სულ ერთიანად არეულია, იყრიან თავს და გაცხარებული მოლაპარაკება აქვთ ერთმანეთში [...] კაი დღეებში შეგროვდებიან ჯერ თითო სოფლობით, შემდეგ რამდენიმე სოფლის ხალხი ერთად და აქვთ მსჯელობა თავიანთი საზოგადო საქმეების თაობაზე (დროება 1879: №12).

აქედანაც ჩანს, რომ ოლქობა ტრადიციული საზოგადოების სათემო, სახეობო და საქვეყნო პრობლემების მოგვარების სამართლებრივი ორგანო იყო და მიზნად ისახავდა ხალხის საერთო ინტერესების, კოლექტიური პრინციპების, ძველი ადათებისა და თვითმყოფადობის დაცვას.

ოლქობას, თემის, თემთა კავშირისა და სამხარეო მასშტაბით აჭარაში განსაკუთრებული თავშესაკრები ადგილები გააჩნდა. სხვადასხვა წყაროდან დგინდება რომ აჭარაში თავყრილობის ასეთი ადგილები იყო: ხინოს თემისათვის – ჭახათი, ხინოს ხევის ქვემო წელში არსებული სოფელი, კინტრიშის ხეობის ხუთი თემისათვის – ჭაინათის მინდორი, ჩაქვის ხეობის ორი თემისათვის – ჩაისუბანი, მაჭახლის ხეობის სოფლებისათვის – ზედა ხერთვისი, აჭარის აღმართი და აჭარისწყალი, წყაროებსა და კორესპონდენციებში დიდ – სამხარეო შესაკრებ ადგილებად კახაბერი, ბათუმი, ქედა – დაბა ქედა, დანდალო და ხულოც დამოწმდა, სადაც მათი შეკრება იმართებოდა და საჭირბოროტო საკითხებიც ხმის უმრავლესობით წყდებოდა (მგელაძე 2014: 185). ზემო ხინოში ჩაწერილ ერთ ლექსში თავშესაყარ ადგილად მუხაესტატეა მითითებული: „ზედა და ქვედა აჭარა მუხაესტატეს შეიყარა“ (მგელაძე 2014: 139-187, 187). როგორც ვხედავთ, თემთა, ხევთა და ხეობათა განლაგების ასეთი მმართველობითი პრინციპი თვალნათლივაა ასახული ლექსში, რომელიც ჩახალ-ოღლზე მოგვითხრობს (უმიკაშვილი 1937: 132). ლექსის ერთი ვარიანტი „საქართველოს სიძველენის“ მესამე ტომშია შეტანილი (საქართველოს სიძველენი 1949: 145). სამხარეო მოყრიანობასა და ოლქობაზე რომ ხალხის დასწრება სავალდებულო ყოფილა, ამას კინტრიშის ხეობაში ჩაწერილი სხვა ტიპის ცნობაც გვიდასტურებს, რომლის თანახმადაც:

> ხალხმა მოაწყო ოლქობა და ყველა სოფლის ხალხი ჭანიათის მინდორზე ვიყრიდით თავს, სადაც სამი ათას კაცამდე იქნებოდა. კრებას ვერავინ ვერ დააკლდებოდა. ხინოდან მოკიდებული ყველა სოფლის კაცები თავს ხუცუბანში, ჭანიათის მინდორზე, მოიყრიდნენ, სადაც თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ (ფონდი 23).

აჭარის ამა თუ იმ თემსა თუ ხეობაში უხუცესებმა კონკრეტულად იცოდნენ მოყრიანობისა და ოლქობისათვის სად უნდა შეკრებილიყვნენ, მაგრამ ხდებოდა მთელი აჭარისათვის განკუთვნილი სამხარეო – თემთა გაერთიანებული შეკრებები, რისთვისაც ერთი ადგილი არ ყოფილა დადგენილი. ასევე, წერილობით წყაროებში გაბნეული ცნობებიდან და ეთნოლოგიური ფაქტებიდან იკვეთება,

რომ მოყრიანობისათვის და ოლქობისათვის შერჩეულ ადგილზე – გამოყოფილ მოედნებზე აჭარის ხეობებიდან წარგზავნილი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, სოფლების მიხედვით სხდებოდა. თემობას ძირითადად ხანში შესული ავტორიტეტული პირები თაოსნობდნენ. აჭარის სახალხო მმართველობის ტრადიციული სისტემისათვის, სვანეთის მსგავსად, თემთა ფედერაციულ გაერთიანებათა პრინციპი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, როდესაც ტერიტორიული ერთიანობის საფუძველზე ლოკალური კავშირები იქმნებოდა. თითოეულ ამ ლოკალურ კავშირს, თემსა თუ ხეობას გამაერთიანებელი ცენტრი ჰქონდა. ოლქობის ბუნების არსში წვდომისათვის, მისი სტრუქტურისა თუ შედგენილობის გაგებაში ყველაზე უკეთ სწორედ „ერთობილ სუანეთის ჴეშ ბედნიერის“ („ერთობილ ჴეშს“) მმართველობის სტრუქტურასთან პარალელების გავლება დაგვეხმარება. ჴეშ ბედნიერის სახელით ცნობილი თემთა კავშირი სვანეთში, როგორც ეთნოლოგიურ ლიტერატურაშია მიჩნეული, ტომობრივი ხასიათის გაერთიანებას წარმოადგენდა, სატომო მმართველობის სისტემა საერთო კრებითა და სატომო საბჭოთი იყო გამოხატული. მას საერთო საჴეო საბჭო განაგებდა. წარსულში ქვემო ჴეშ, „ერთობილ სუანეთის ჴეშ-ი“, დადეშქელიანების აღზევებამდე როგორც ბალს ზემო, ისე ბალს ქვემო სვანეთს აერთიანებდა. ერთობილ ჴეშ’ის ჰქონდა ალამი – ლემ, იგივე, ლომი, ჰყავდა არჩეული საპატიო თანამდებობის პირები – მედროშე (მელომე) და მეჭურჭლე (ხარაძე 1953: 165, 199).

სვანეთს ხალხისაგან არჩეული საბჭო განაგებდა, რომელიც წარსულში, სტრაბონის მოღვაწეობის პერიოდში, 300 მამაკაცისაგან შედგებოდა. ერთობილ სვანეთის ჴეშის შეკრება გარკვეული წესით ხდებოდა: ერთი თემის – ჴეშის ხალხი მეორე ჴეშში მიდიოდა. იქ მახშ’ის დავალებით „მესანყჷირე“ შეკრების საჭიროებას ჴეშს ატყობინებდა. ჴეშს შეკრება, ბალს ზემო ჴეშის გამოყოფის შემდეგ, ლატალიდან იწყებოდა და ლატალის მაცხჷარში ლგთიშ მარენი პირველად ფიცს ქორა მახშებს ადებინებდნენ. ფიცის მიღება ტრადიციული წესით ხდებოდა (ხარაძე 1953: 169).

აჭარაში მოყრიანობისა და ოლქობისათვის სათემო, სახეობო და სამხარეო თავშესაკრები ადგილების იერარქიული შედგენილობა ტიპურად ემსგავსება სვანეთის მმართველობით სისტემაში არსებული თემების, თემთა კავშირებისა და მთელი მხარის ტერიტორიულ აგებულებას. „ჴეშ ბედნიერის“ ყრილობას მუდმივ შესაკრებ ადგილად აღმოსავლეთით – უშგული, ხოლო დასავლეთით – ლალვერი ჰქონდა მიჩნეული, რომელიც ლახამულასა და ფარის თემებს შუა მდებარეობდა. ერთობილი სვანეთის ჴეშს ფიცის დასადებ გამაერთიანებელ ცენტრად კალას თემის ლაგურკას ეკლესია იყო მიჩნეული. საკუთრივ სოფელი ჴე, სადაც ეკლესია მდებარეობდა, ისე როგორც ამავე თემში შემავალი სოფელი ლალხორ’ი, საჴეო შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა (ხარაძე 1953: 166-167, 169-170). სახალხო შეკრებისას დასახლებულ პუნქტთა წარმომადგენლები ლამხუბების მიხედვით იყო განლაგებული. მაგალითად, ლაშხეთის თემის სოფელ ჟახუნდურში, სოფლის შუაგულში უზარმაზარ ცაცხვის ხესთან ერთად გალავან შემორტყმული „სუფი“ მდებარეობდა. „სუფის“ შუაში მოთავსებული იყო პატარა ნიში სახატეთი – ჳითინი“. გალავნის გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო განლაგებული, რომელთა კვალი დღემდეა შენარჩუნებული. სადღესასწაულო პურობა და „ლალხორი“ სწორედ აქ იმართებოდა, სადაც ხალხი ლამხუბებად დაყოფილი სხდებოდა. ასეთ კრებას, ისე როგორც მთელ თემს, ხალხისაგან ამორჩეული „მახშში“ მართავდა (ხარაძე 1953: 181). საკუთრივ თემს ჰქონდა სახალხო კრება, რომელსაც „ლუზორ“ ანდა „ლუხორ“ ეწოდებოდა. სვანეთში, ჩვეულებრივ, ერთობილ ჴეშში შემავალი თემების მმართველობა საჴეო საბჭოს მმართველობის საერთო სისტემაზე იყო აგებული. ჴეშის საბჭო სამი წლით ირჩეოდა, ისე როგორც თითოეული სოფლის წინამძღოლი – „ჴეისთაჳი”. კრებაზე ჴეშს საბჭო სვანეთის ცხოვრებას განაგებდა, თუმცა იყო კიდევ განსაკუთრებული საკრებულო, რომელიც კომლზე კაცის მონაწილეობას გულისხმობდა და მათი შეკრება ხდებოდა მაშინ, როცა არჩეული პირები ხალხს საგანგებოდ იწვევდნენ (ხარაძე 1953: 167-168, 180-181, 185). ყოველგვარ საქმეს, რომელიც ჴეშის საბჭოს განსახილველი უნდა გამხდარიყო, ჯერ სოფლის ჴეისთაჳებს ეცნობებოდა, ხოლო შემდეგ, თუ ეს საჭირო იქნებოდა, ჴეისთაჳები ჴეშიშ მორჳალს თვითონ ატყობინებდნენ, რომლებიც

საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების გამოტანას ახდენდნენ (ხარაძე 1953: 187).

აჭარაში ოლქობასა და ოლქას სოფლის, თემისა და მხარის ავტორიტეტული და ნდობით აღჭურვილი პირები ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც „წიანაᲦ კაცებად" და „თავი კაცებად" იწოდებოდნენ, სოფელ ჭახათის (ქობულეთის რ-ნი) მკვიდრის ხ.ი. ხახუტაიშვილის გადმოცემით, „ოლქობაშათ ეირჩევდნენ იმფერ კაცს", რომელიც გამორჩეული იყო „კლავითაც, ქონებითაც და შეძლებითაც" (ახვლედიანი 1970: 102). საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „ოლქაობაში" ოლქობაზე აირჩეოდა. თავის მხრივ, იგი ოლქას წინაშე იყო ანგარიშვალდებული, თავად ოლქა კი არავის არ ემორჩილებოდა და ანგარიშსაც არავის არ აბარებდა. ამასთან, ოლქობის დროს ოლქაბაში შეკრებილთ თავშეყრის მიზანსა და განსახილველი თემის შინაარს მოახსენებდა, რომლის შემდეგაც აზრთა გამოთქმა და გამოთქმული აზრის გარშემო მსჯელობა მიმდინარეობდა. ჩვეულებრივ, საჭირბოროტო საკითხები ოლქობაზე სოფლის თუ თემის მოწინავე ხალხის მიერ არჩეულ პირს გამოჰქონდა, რომელსაც ძველი ადათობრივი სამართალი და „კანონზე ლაპარაკი" უნდა სცოდნოდა. მოსაუბრე – „წინაი კაცი" მაღალ ხეზე ადიოდა და ხალხს შეკრების მიზეზს და მიზანს იქიდან ამცნობდა. ერთი გადმოცემით, რომელიც აზიზ ახვლედიანის მიერ იქნა დაფიქსირებული, შემდეგი შინაარსისაა: „ოლქობაზე ხალხს ოლქაბაში – ოლქობის წინამძღოლი ეძახდა და თემს ერთად შეყრიდა" (ახვლედიანი 1962: 76, ახვლედიანი 1970: 82-107).

იყო შემთხვევა როცა ოლქობაზე ხალხის მოწვევას მუხტარი უზრუნველყოფდა, თუმცა იგი ოლქობაშად არ ითვლებოდა. ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ ოლქობაშის – ოლქობის მეთაურის – სახელო დროებით ხასიათს ატარებდა და იგი მუდმივი თანამდებობა არ იყო. ამავე დროს, ოლქობის ხელმძღვანელობა არა ერთი პირის, არამედ თემის რჩეულ ადამიანთა ფუნქციას წარმოადგენდა. ოლქობაშიც ხალხს არა ოლქაბაში, არამედ სოფლების მიხედვით თავად ხალხი იწვევდა. ხალხივე ირჩევდა ოლქობაზე ოლქაბაშს. ამ ტიპის წყაროებზე დაყრდნობით დგინდება, რომ წინათ ოლქა სისტემატურად მოქმედი ხალხური მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა. ამასთან, აჭარის თავკაცებისა და ავტორიტეტული უხუცესების ასეთ წარმომადგენლობით ყრილობაზე დასწრება არა მხოლოდ აჭარის ყველა თემთა ინფორმირებულობისათვის, არამედ გადაწყვეტილების მიღებისათვისაც აუცილებელი იყო. სვანეთშიც თემსა და თემის სახალხო კრებას განსაკუთრებულად მათთვის გამოყოფილ ადგილზე თემისავე არჩეული „მახᲮში" მართავდა. მას უვადოდ თემი ირჩევდა. „მახᲮშის" უფლებები საერო ყრილობით იყო შეზღუდული, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას მისი წინადადებების დამტკიცება თუ უარყოფა შეადგენდა. საჴეო საქმეების გადასაწყვეტად შეკრებილი საბჭო ცალკეული ჴეᲮების – თემების, კერძოდ, ცალკეული პატარ-პატარა სოფლებისაგან შემდგარი „სოფლობისა" და „აბუასდის" წარმომადგენელთა – „ჩენილთა" შეკრებას გულისხმობდა: „ჴეᲮე ჩენილნი კაცნი შეიყარა", ანდა „შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები" (ინგოროყვა 1941: 44, 181-182), ე.ი. საჴეო საბჭო, რომელიც ერთობილ ჴეᲮში გაერთიანებული სოფლის თემების – ჴეᲮების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, წერილობით წყაროებში მოხსენიებული „ჩენილების" ანალოგიურად – „ლგთიშ მარენიდ" ანდა „ჴეᲮია ლუთშუდ" იწოდებოდა.

ჴევის კრებაზე სვანეთის თითოეული საზოგადოებიდან მახვშები – მამასახლისები, რამდენიმე დეპუტატი და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეკომურიდან თითო კაცი ესწრებოდა. თემის „ქორა მახᲮშები" თემის საერთო წარმომადგენლებს ირჩევდნენ, რომლებიც საჴეო – სატომო საბჭოში შედიოდნენ და „ჴეᲮის" საერთო საქმეებს განაგებდნენ. იმავდროულად არსებობდა სატომო კრებაც, რომლის წევრად თითოეული „ქორა მახᲮში" ითვლებოდა. საერთო კრება საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებებს და მათ შესრულებას ფიცის ქვეშ სახლეულისა და ოჯახების წარმომადგენლებს ავალებდა (ხარაძე 1953: 166-167, 199). თავყრილობაზე სვანეთში, რომელსაც „ლუხრობი", ასევე, ზოგან, „ჴეᲮობი" ერქვა, თითო ჴეᲮიდან სამი წლით ორი-სამი ანდა მეტი კაცი ირჩეოდა. „ლგთიშ მარენი" წარმოადგენდნენ თითოეული თემიდან საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველობისათვის

საგანგებოდ არჩეულ პირებს. „ლგთიშ მარე’ნი“ სვანეთის ჴეუობისათვის – თემების წარმომადგენელთა სახით შეკრებილნი ერთ უფროსს ირჩევდნენ. ლგთიშ მარე’თა, რომელიც სისტემატურ ხასიათს ატარებდა და სამ წელიწადში ერთხელ დიდი სახლეულების უფროსთა - „ქორა მახუშების“ დაფიცების გზით ირჩეოდა, მთელ ჴეუს ერთგულების ფიცს ადებინებდა (ხარაძე 1953: 168, 171). ამდენად, საბჭო თემთა დეპუტატებისაგან ე.ი. ჴეუს საბჭო საზოგადოებათა მახუშებისა და თემის წარმომადგენლებისაგან – დეპუტატებისაგან შედგებოდა, თემთა კავშირის საერთო კრება კი – კომლზე კაცებისაგან და იგი კრებაზე სახლეულების მეთაურების – ქორა მახუშების მონაწილეობას გულისხმობდა. ჩენილები (ჩენილი) და დეპუტატები – „ლგთიშ მარე,“ „ჴეუი ლუთშუ“ და „მახუში“ სვანთა მმართველობის სისტემაში უმნიშვნელოვანესი პირები იყვნენ. ლგთიშ მარალ’ი, რომლის არჩეულ ხელმძღვანელს „ლგთიშ მარალ თხუიმ“ ეწოდებოდა, მთელ სვანეთს ერთგულების ფიცს ადებინებდა, რომლის განხორციელება ცალკეული ოჯახის უფროსის საშუალებით ხდებოდა. ქორა მახუშები ვალდებულნი იყვნენ ეს ფიცი მიეღოთ. ფიცის მიღების დროს ყველა სახლეულს – ოჯახს თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა (ხარაძე 1953: 167-169).

ოლქობაზე შეიძლებოდა ქალთან დაკავშირებული პრობლემური საკითხიც განხილულიყო. ცოლქმრის დავასთან დაკავშირებითაც, როგორც ჩანს, ოლქობა უფლებამოსილი ყოფილა სასამართლოს როლიც შეესრულებინა. სხვათა შორის, ქალთან მიმართებაში, ოლქობის სამოსამართლო ფუნქციებმა ზეპირსიტყვიერებაშიც ჰპოვა ასახვა. მასზე პეტრე უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი და ვლადიმერ მგელაძის პირად არქივში შემონახული საყოფაცხოვრებო ხასიათის ერთი ლექსის ფარგმენტი მეტყველებს: „ქმარო, მე ვკდები, შენ გიხარია,/ვიცი თვალი გაქვს შენ სხვა ქალზე,/მომე ჩერჩები, ცხენს მე შევჯდები,/წავალ ოლქობაში, იქ გავსწორდებით“ (მგელაძე, 1959/1960; 2014: 181).

მართალია, სვანთა სათემო ყრილობებისაგან განსხვავებით, სადაც ყველა სრულწლოვანს, როგორც მამაკაცს, ისე – ქალს შეეძლო ყრილობაში მონაწილეობის მიღება, ოლქობის მიერ ორგანიზებულ სასამართლოზე, მიუხედავად იმისა, მასზე განიხილებოდა თუ არა ქალთა საკითხი, როგორც წესი, საკუთრივ ოლქას, როგორც მმართველობითი ორგანოს მუშაობაში, ქალები არ მონაწილეობდნენ (ხარაძე 1953: 182). აქვე დავძენთ იმასაც, რომ, მართალია, არის ცალკეული გამონაკლისები, აჭარის ოლქობაში ქალთა მონაწილეობის („ქალები ოლქას აწყობენ“) შესახებ, თუმცა ეთნოგრაფთა შორის მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, მიიჩნევა, რომ ოლქობაში ქალი არ მონაწილეობდა. ამის საპირისპიროდ ოლქობაზე დასწრება ყველა სრულწლოვანი მამაკაცისათვის სავალდებულო იყო და ასეთ შეკრებასაც მათგან ვერავინ დააკლდებოდა. სოფელ ხუცუბნის (ქობულეთის რ–ნი) მცხოვრების, ს.უ. ქათამაძის გადმოცემით, ოლქობას ათი წლის ზევით და სამოცი წლის ქვევით ყველა მცხოვრები ესწრებოდა (ფონდი 250). ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ამ ტიპის ცნობები სარწმუნო არაა შემდეგი მოსაზრებების გამო: უპირველესად, ოლქობა, როგორც სახალხო მმართველობის ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, თავის კომპეტენციაში საკანონმდებლო, აღმასრულებელ და განმკარგულებელ უფლებებსა და ფუნქციებს აერთიანებდა და მისი საქმე თემებსა და მეზობელ ოლქებთან ურთიერთობების მოგვარება იყო (მგელაძე 1964: 84). ამიტომ, სოფლის, თემისა და, მითუმეტეს, მთელი მხარისათვის ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში ათი წლის მოზარდი საქმიან მონაწილეობას ვერ მიიღებდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ამ ასაკში არც ცხოვრების გამოცდილება ეყოფოდა და არც სათანადო მომზადება-განვითარება ექნებოდა. მეორე მხრივ, ასეთი დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხების განხილვა და გადაწყვეტისაგან განზე ვერ დარჩებოდნენ სამოც წლის ასაკს გადაცილებული მცხოვრებლები (ჩიტაძე 1978: 37-38).

ოსმალთა მმართველობის პერიოდში თავდამსხმელი რაზმებს – „ოლქა“ (სხვადასხვა თემის მიხედვით იქმნებოდა), თავად შეირაღებულ გამოსვლას კი „ოლქად ადგომა“ ეწოდებოდა. 1862 წლის 15 ივნისის ერთი ცნობიდან ვგებულობთ, რომ წარსულში რუსეთის სამფლობელოების მოსაზღვრე ქო-

ბულეთისა და აჭარის სანჯაყებში მყოფ „დამნაშავეებსა“ და „ყაჩაღებს“ ოსმალეთის ხელისუფალნი დევნიდნენ, რომელნიც მათი გაგებით სამ „დამნაშავე“ ჯგუფად ნაწილდებოდა. ჯგუფები აჭარისა და ხინოს მთებს აფარებდნენ თავს იმ განზრახვით, რომ ახალციხისა და გურიის საკორდონო ხაზის მოსაზღვრე სოფლებზე მტაცებლური თავდასხმები მოეხდინათ. ხინოს თავდამსხმელ რაზმში – ოლქაში ოცდახუთი, ქობულეთის რაზმში – თხუთმეტი, ხოლო შიდამთიან აჭარისაში – ორასი კაცი ირიცხებოდა. ამ ტიპის რაზმები არა მარტო დევნილთა და „ყაჩაღთაგან“ შედგებოდა, არამედ მათში თემის რჩეულ მებრძოლთა ნაწილიც ერთიანდებოდა, რომელიც ხალხის ინტერესებს იცავდა. ნადავლის ჩაგდებისა თუ პირუტყვის მიტაცების მიზნით იყო შემთხვევები მეზობელ თემებზე თავდასხმისა. ასეთი სახალხო რაზმებისაგან არსებითად ბეგების განკარგულებაში მყოფი ის რაზმები განსხვავდებოდნენ, რომლებიც ძირითადად „ოსმალობას'“ და, ხშირად, ბეგების მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურებოდნენ (მგელაძე 2014: 182-183). როგორც ვხედავთ, ოლქა თემის შეიარაღებული ძალა, თემის რჩეულ მამაკაცთა მებრძოლი რაზმი იყო, რომელსაც ოლქობის გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავდა. ამასთან, ოლქა – თემის რჩეულ მამაკაცთა რაზმი, ქვეყნის დაცვის, მტრის უკუგდების, მეზობელი თემებისა თუ ქვეყნისა დალაშქვრისა და ხალხური ადათ-წესების დამრღვევთა შესაპყრობად მეთემეთა სურვილით იქმნებოდა.

აჭარაში დამსწრეთა უმრავლესობა ოლქობაზე შეიარაღებული მიდიოდა. ამ მხრივ კი ოლქობის ორგანიზაციული სტრუქტურა, სათემო სამხედრო ბირთვის ჩათვლით, მართლაც, ძალიან ჩამოგავს განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სხვა კუთხებში თემთა თავყრილობის აგებულებას, განსაკუთრებით, სვანეთში წარსულში არსებულ თემთა ფედერაციული ტიპის გაერთიანების სამხედრო ორგანიზაციის სტრუქტურას. სამხედრო რაზმისა და ლაშქრის პოლიტიკურ ბუნებასა და არქიტექტონიკაში აჭარული „ოლქა“ სვანურ „სჳიმრას“ ანალოგად წარმოგვიდგება. ოლქასა და სვიმრაში, როგორც თემების შეიარაღებულ ძალასა და, შესაბამისად, მსგავს ინსტიტუტებში, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი „სამხედრო დემოკრატიის“ ნიშნებიც გამოსჭვივის.

ტერმინი „სამხედრო დემოკრატია“ გვაროვნული წყობიდან სახელმწიფოზე გადასვლის პერიოდის პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ხელისუფლების ორგანიზაციის აღსანიშნავად ეთნოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ საფეხურზე ევოლუციონისტის – ლუის ჰენრი მორგანის მიერ იქნა გამოყენებული. სამხედრო დემოკრატია კლასიკური ფორმით პირველყოფილი ეპოქის რღვევის ხანაში არსებობდა, როცა ჭარბი პროდუქციის დაგროვება საზოგადოებრივ ცვლილებებს განაპირობებდა, ამასთან, ხელს უწყობდა ალაფის, მათ შორის, მიწების, მონებისა და მუშახელის მოსაპოვებლად თავდასხმით ბრძოლებს, რის საფუძველზეც ხელისუფლებაში სამხედრო ლიდერები წინაურდებოდნენ და მდიდრდებოდნენ. ასეთ გარდამავალ პირობებში თემში ჯერ კიდევ დიდი იყო სოლიდარობის გრძნობა, რადგან თემი ინარჩუნებდა სახალხო შეკრებებსა და უხუცესთა საბჭოს ძალაუფლებას, თუმცა იგი უკვე ტომის ბელადის ტრადიციულ ავტორიტეტსაც ეყრდნობოდა. თანდათანობით, სახალხო შეკრება მხოლოდ შეიარაღებული მეომრების თავყრილობის ადგილად გადაიქცა. სამხედრო ლიდერები და მისი მეომრები სხვა ბელადთა დამორჩილებით თავიანთ ხელში სულ უფრო და უფრო მეტ ძალაუფლებას უყრიდნენ თავს. სამხედრო ძალაუფლებაზე დაყრდნობით ასეთი გზა წარსულში მსოფლიოს ბევრმა ხალხმა – ძველმა ბერძნებმა, ეტრუსკებმა, რომაელებმა, სკვითებმა, სარმატებმა, კელტებმა, გერმანელებმა, ნორმანებმა, არაბებმა გაირა და, ამ მხრივ, როგორც ჩანს, პარალელი მას ქართულ გამოცდილებაშიც ეძებნება. საზოგადოებრივ განვითარებაში „სამხედრო დემოკრატია“ მიჩნეულია სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ თანმიმდევრული გზის ერთ-ერთ მონაკვეთად, სადაც ევოლუციის შუალედურ რგოლებში სამხედრო-იერარქიული და ოლიგარქიული სტრუქტურები წარმოიქმნებოდა. ზოგიერთი ავტორის მიერ ეს გზა განვითარების უნივერსალურ გზადაცაა აღიარებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ხალხების ერთი ნაწილი „სამხედრო დემოკრატიას“ საერთოდ არ იცნობდა (კოსვენი 1960: 250); (ავერკიევა 1974);

(ბრომლეი 1981: 191); (ბრომლეი, შტრობახი 1986: 47-48).

საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სვანეთში სუიმრა მეზობელი ტომების დასაბეგრად იმ შემთხვევაში ილაშქრებდა თუ ისინი მათზე დაკისრებულ ვალდებულებას დროულად არ შეასრულებდნენ (ხარაძე 1953: 190); (ხარაძე 1960: 121-122). წარსულში საქართველოს სხვა კუთხეების თემებსაც ჰყავდათ ლაშქარი, რომლებიც ერთმანეთის ან სხვა მხარის დასალაშქრად გამოიყენებოდა, თუმცა სათემო შეირაღებული რაზმის პოლიტიკური არსი ყველაზე უკეთ სვანეთის თემთა მოქმედ სადამსჯელო აღმასრულებელ ძალაში – „სუიმრაში” ჩანს. იგი სატომო საბჭოს სამხედრო ძალა – რაზმი იყო, რომელიც მმართველობით აპარატთან ერთად არსებობდა და მას ჯეუის წევრები ინახავდა, განსაკუთრებით, საჯეო შეკრების დროს, როცა მისი გამოკვება აუცილებლობას წარმოადგენდა. არსებობდა „შუანია სუიმრა“ და „ჯეუია სუიმრა“, რომელიც ცალკეული თემის სუიმრას აერთიანებდა. იგი საჯეო საბჭოს მოქმედი სამხედრო ძალისაგან – სუიმრისაგან, სუიმრა თხუიმის ხელმძღვანელობით თითოეული თემის – ჯეუს სუიმრისაგან დგებოდა, რომლისგანაც თავის მხრივ გაერთიანებული „შუანია სუიმრა“ იქმნებოდა. სუიმრა’ს ლაშქრისგან განსხვავებული ფუნქციები ჰქონდა. იგი ცალკეული თემის მიხედვით საუკეთესო ვაჟკაცებისაგან ყალიბდებოდა. სუიმრას ძირითად ფუნქციას შინაგანი საქმეების მოწესრიგება შეადგენდა, რაც საჯეო და სათემო საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებისათვის ყურადღების მიქცევაში მდგომარეობდა. მის მოვალეობას იმ ოჯახის დასჯა წარმოადგენდა, რომელიც თემისა და ერთობილ სუანეთის გადაწყვეტილებას არ შეასრულებდა. ჯეუის დადგენილების დარღვევისას სუიმრას მიერ დამნაშავე თემიდან იდევნებოდა. სასჯელები სხვაგვარიც იყო: აყრა, გადაწვა, დილეგში ჩასმა, რასაც სათემო საბჭო გადაწყვეტდა (ხარაძე 1953: 189-190). თუ ჯეუს შეკრებაზე ლაშქრობა გადაწყდებოდა, მაშინ თითო კომლიდან თითო მამაკაცი მაინც უნდა წასულიყო, უმეტესად კი – იარაღის მატარებელი ვაჟკაცობა მიდიოდა. ერთგულების ფიცის დადების დროს „ლგთიშ მარენი“ ორ კაცს ხელში ჯოხს დააჭერინებდნენ, ჯოხზე ზოგჯერ ხატსაც დაასვენებდნენ და ამ ჯოხის ქვეშ მთელ ჯეუობს გაატარებდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველას ერთი ჯოხი ეჭირა, ე.ი. ერთი პირი ჰქონდა (ხარაძე 1953: 169, 189).

ოლქობა – „ხალხის კრება“, იგივე, მოყრიანობა თავშესაკრები ადგილებითა და წინამძღოლებით, სამხედრო რაზმითა და შეიარაღებული ლაშქრით ძველთაგანვე წესად რომ ყოფილა, ეთნოლოგთა ჩანაწერების მიხედვით გასული საუკუნის 60-იან წლებშიც კი დასტურდება. სოფელ ჩაქვისთავში ჩაწერილი ერთი ცნობით, ოსმალთა შემოსვლის დროს ჩაქვის ხეობაში ოსმალოს მოხელეების ულტიმატუმზე – გამუსლიმანდნენ თუ ებრძოლონ მრავალრიცხოვან მტერს, ხალხს ოლქობა მოუწვევია. ოლქობის გადაწყვეტილებით მოსახლეობას მტერზე დამორჩილება მიზანშეწონილად მიუჩნევია (მგელაძე 1959/1960); (მგელაძე 1960); (მგელაძე 1961); (მგელაძე 1964: 2014). სხვა ცნობებით, ოლქასა და ოლქობაზე – სოფლისა და თემის ან მთელი მხარის ყრილობასა თუ კრებაზე საკითხის დასმა და მისი განხილვა ზეპირი ფორმით ხდებოდა. ნიშანდობლივია და, ამას ეთნოგრაფიულის გარდა სხვა ტიპის წყაროებიც გვისაბუთებს, რომ ოლქა გადაწყვეტილებებს ძირითადად ადათობრივ ნორმებზე დაყრდნობით ახორციელებდა. ოლქაზე გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა და შესაბამისად მას კანონის ძალა ჰქონდა. მისი შეცვლა არავის შეეძლო და ყველას ამ კანონით უნდა ეხელმძღვანელა, მისი სისრულეში მოყვანა ოლქას ყველა მონაწილისათვის სავალდებულო იყო (ჩიტაძე 1978: 36-37). ხალხსა და მთავრობას შორის სადავო საკითხს ჯერ ოლქა განიხილავდა, იქ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებდა მოსახლეობაც (მგელაძე 1964: 81).

ოლქობაში თემის წევრებს შორის ურთიერთვალდებულებათა წესრიგი დადგენილი იყო. ერთ საგაზეთო სტატიაში ზემო აჭარის მცხოვრებლის მიმართ ნათქვამია:

> აქაურები [...] საქმეც, რომ არ ჰქონდეთ, მაინც შეიკრიბებიან და გამოიგონებენ რამეს [...]. რადგან აქ მთელი სოფელი თავის თავს მოვალედ ხდის მონახოს დამნაშავე, ამისათვის მონდომებულნი არიან მოძებნონ, თორემ თვითონ უნდა გადაიხადონ (დროება 1879: №12).

ხინოში, ერგესა და მარადიდში ვლადიმერ მგელაძის მიერ ჩაწერილი საველე მასალებით, მართალია, „თემობა – ოლქობა“ თემის წევრთა სამხედრო ორგანიზაციასთან და პოლიტიკასთან ასოცირებულ საკითხებს წყვეტდა, მაგრამ იგი სისხლისა და სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან სამოსამართლო საქმეებსაც განაგებდა: თუ დაიკარგებოდა რამე, დამნაშავის მოძებნაც მის ფუნქციებში შედიოდა (მგელაძე 1960: 181-182). ამას ასევე სხვადასხვა ტიპის საველე-ეთნოგრაფიული წყაროები და ზეპირსიტყვიერი ტექსტებიც გვიდასტურებს, რომლის თანახმადაც, „ოლქობაზე“ დამნაშავეებს ასამართლებდნენ და სასჯელის უმაღლეს ზომასაც მიმართავდნენ. ერთ-ერთი ინფორმაციით, დამნაშავე ქალი ჯოჭოს თემის „ოლქობას“სიკვდილით დაუსჯია, ხოლო ქვემო მარადიდში გამოვლენილი გადმოცემით ბავშვის ქურდი მამაკაცი „ოლქობის“ გადაწყვეტილებით მდინარეში დაუხრჩვიათ. აქ, სასამართლო პროცესს, ჩხალას ხეობიდან მოწვეული ორმოცდაათი მამაკაციც ესწრებოდა. ბჭეების მოწვევა საქართველოს სხვა თემებშიც, მაგალითად, ხევსურეთშიც წესად ყოფილა.

გვიანი შუა საუკუნეების აჭარაში თემი იყო პიროვნების, მისი თითოეული წევრის მფარველი. „ოლქობა“ თავის მოვალეობად მიიჩნევდა ქურდი, მძარცველი და თემის ადათ-წესების დამრღვევი გამოევლინა, თემიდან გაქცეული ფირალი მოენახა, თემში გაესამართლებინა და საერთო გადაწყვეტილებით გაემართლებინა ან სათანადოდ დაესაჯა (დროება 1879: №19). სოფელ ერგესა და მარადიდში მოპოვებული მასალებით, უმძიმესი დანაშაულის დროს „ოლქობის“ გადაწყვეტილებით ბოროტმოქმედი სიკვდილით ისჯებოდა. სხვა ცნობით, ოლქობაზე დამნაშავეს ასამართლებდნენ და სხვადასხვა ხასიათის სასჯელს დაუდგენდნენ. სიკვდილით დასჯა და თემიდან მოკვეთა სასჯელის უმაღლესი ზომა იყო. საერთოდ, სასამართლოს გზით საკითხის გარჩევისას „ოლქობის“ გადაწვეტილების დამშლელი არავინ იყო. ამაზე არაერთი ფაქტი მიგვანიშნებს. სოფელ ქობულეთსა და ჭახათში ჩაწერილი საველე მასალებიდან ირკვევა, რომ „ქურდს ხალხი დუწყებდა ძებნას“. თუ თემის წევრის დანაშაული მძიმე იყო, მაშინ მას „სოფლიდან გარიცხავდნენ“ (მგელაძე 2014: 182). თემის წევრთა მოკვეთა და თემიდან განდევნა – „სოფლიდან გარიცხვა“ უკიდურეს ზომად და სასჯელის უმაღლეს ფორმად ითვლებოდა და იგი სიკვდილით დასჯის ტოლფასი იყო. ხალხური გადმოცემით, ასეთ დროს „ოლქობის“ მეშვეობით თემის არასანდო პირებისაგან წმენდა ხდებოდა, ე.ი. ხალხური გადმოცემით, „ოლქობა იყო არასანდო პირებისაგან ტერიტორიის წმენდა“ (მგელაძე 1960).

სვანეთშიც „ჯეისთაუები“ ახლომდებარე სოფლების ჯეისთაუებს მომხდარი ქურდობის შესახებ ატყობინებდნენ. ნაქურდალის ძებნაც რამდენიმე სოფელში ერთდროულად იწყებოდა. საერთოდ, სვანეთში თავკაცთა ისეთი საბჭოებიც არსებობდა, რომლებიც სამართალს განაგებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, მესტიაში „ლუშნუდ სამართალ“, სადაც „ლუშნუდ მარე“ იყრიდა თავს. ისინი თვეში ერთხელ სადმე სახლში დასხდებოდნენ, წმიდა გიორგის სახელს ახსენებდნენ და საბჭოს გახსნიდნენ, შესაბამისად, ხალხის საჩივარს გაარჩევდნენ (ხარაძე 1953: 170, 184).

აჭარაში „ოლქობის“ ფუნქციად თემებს შორის დავის მოწესრიგებაც წარმოგვიდგება, რომელიც ადრე „მოყრიანობისათვისაც“ იყო დამახასიათებელი. ასეთი დავები უმეტესად მიწის, განსაკუთრებით, სათემო მიწების, მათ შორის, საზაფხულო საძოვრების საზღვრების გამო მიმდინარეობდა. ეს იმდენად რთულ პროცესს წარმოადგენდა, რომ ზოგჯერ კონფლიქტი სიცოცხლის ხელყოფითაც სრულდებოდა. შესაძლებელი იყო იგი თემებს შორის შეტაკებით დასრულებულიყო და უფრო ფართო კონფლიქტის სახეც მიეღო. ამგვარ კონფლიქტს ზოგჯერ, დღესაც აქვს ადგილი და მის მოგვარებაში ხელისუფლებაც ერთვება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტერმინი „ოლქი“ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საკმაოდ მოზრდილი გეოგრაფიული და საგამგეო-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ცნებას წარმოადგენდა. აჭარაში „ოლქობის“ ინსტიტუტი მხოლოდ გვიანფეოდალურ ხანაში დასტურდება. იგი ძველი „თემობის“ – „მოყრიანობის“ ახალ პირობებთან შეგუებული ხალხური თვითმართველობის

ადგილობრივ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც აღჭურვილი იყო საკანონმდებლო, სასამართლო, განმკარგულებელი და აღმასრულებელი ფუნქციებითა და უფლებებით. „ოლქა“ თავდაპირველი მნიშვნელობით ტერმინ „თემის“ სინონიმი იყო, ზოგჯერ კი იგი თემის კრების მნიშვნელობითაც იხმარებოდა. საჭიროების დროს „ოლქობის“ გადაწყვეტილებით „ოლქა“ – სამხედრო შეიარაღებული ძალა – თავდასხმებს ანდა აჯანყებებს ახორციელებდა, რასაც „ოლქა“ – „ოლქად ადგომა“ ეწოდებოდა, ე.ი. „ოლქა“ რჩეულ მამაკაცთა მებრძოლი და მოლაშქრე რაზმი, ხოლო „ოლქობა“ თემის წევრთა – მამაკაცთა ყრილობა იყო.

შენიშვნები

[1] ნაშრომი გარკვეულწილად გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ვლადიმერ მგელაძის მიერ შეკრებილ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებსა და მკვლევრის საოჯახო არქივში თავმოყრილ სხვადასხვა ტიპის მასალას ეფუძნება (მგელაძე 1958); მგელაძე 1959/1960), რომლებიც წინამდებარე სტატიაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხალხური მმართველობის ისტორიის შესწავლის პრობლემებთან კონტექსტშია წარმოდგენილი.

დამოწმებანი

ავერკიევა 1968: J.P. Averkieva. *On the Role of Military Democracy in the History of Society*, Moscow.

არქივი 105: პეტრე უმიკაშვილის პირადი არქივი, საქმე 105, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი.

ახვლედიანი 1970: ა. ახვლედიანი. *აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება*, ბათუმი.

ახვლედიანი 1962: ა. ახვლედიანი. ოლქა, ოლქობა, *ლიტერატურული აჭარა,* №1, ბათუმი.

ახვლედიანი 1943: ხ. ახვლედიანი. *ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები)*, ბათუმი.

ახვლედიანი 1978: ხ. ახვლედიანი. *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*, ბათუმი.

ბრომლეი 1981: Ю.В. Бромлей. *Современные проблемы этнографии (очерки теории и истории)*, Москва.

ბრომლეი, შტრობახი 1986: *Свод этнографических понятий и терминов*, Выпуск 1, Социально-экономические отношения и соционормативная культура, Ю.В. Бромлей, Г. Штробах (ред.). Москва.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №101.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №106.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №107.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №109.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №112.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №117.

დროება 1875: გაზ. „დროება“, №127.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №15.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №16.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №23.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №25.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №49.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №51.

დროება 1876: გაზ. „დროება“, №74.

დროება 1879: გაზ. „დროება“, №7.

დროება 1879: გაზ. „დროება“, №12.

დროება 1879: გაზ. „დროება“, №19.

იაშვილი 1948: ვ. იაშვილი. *აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში*, ბათუმი.

ივერია 1877: გაზეთი „ივერია”, №13.

ინგოროყვა 1941: პ. ინგოროყვა. *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, ნაკვეთი II, ტექსტები, თბილისი.

იორდანაშვილი 1949: *სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი*, ს. იორდანაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი.

კოსვენი 1960: М.О. Косвен. *К вопросу о военной демократии, Проблемы истории первобытного общества*, Москва.

ლისოვსკი 1878: В.Я. Лисовский. *Чорохский край, (Военно-статистический очерк)*, Тифлис.

მაგაზანიკი 1945: Д.А. Магазаник. *Турецко-русский словарь*, Москва.

მგელაძე 1958: ვ. მგელაძე. *საველე-ეთნოგრაფიული ჩანაწერები*, პირადი საოჯახო არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1959/1960: ვ. მგელაძე. *მასალები ხალხური მმართველობის შესახებ აჭარაში, ხელნაწერები*, პირადი საოჯახო არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1960: ვ. მგელაძე. პ. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა აჭარელთა ცხოვრებიდან, *საბჭოთა აჭარა*, №115, ბათუმი.

მგელაძე 1961: ვ. მგელაძე. ხალხური თვითმართველობის ისტორიიდან აჭარაში („ოლქობა”), *სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები,* ბათუმი.

მგელაძე 1964: ვ. მგელაძე. ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში, *ლიტერატურული აჭარა,* №3, ბათუმი.

მგელაძე 2014: ვ. მგელაძე. *პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის დროინდელი სამხრეთ საქართველო*, ბათუმი.

მელიქიშვილი 1959: Г. А. Меликишвили. *К истории древнеи Грузии*, Тбилиси.

ნინოშვილი 1959: ე. ნინოშვილი. ჯანყი გურიაში, *თხზულებათა სრული კრებული*, ტ. I, თბილისი.

ნიჟარაძე 1957: შ. ნიჟარაძე. *ზემოაჭარულის თავისებურებანი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ*, თბილისი.

ნიჟარაძე 1971: შ. ნიჟარაძე. *ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი*, ბათუმი.

საქართველოს სიძველენი 1949: *საქართველოს სიძველენი*, თბილისი.

სახოკია 1950: თ სახოკია. *მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი*, თბილისი.

უმიკაშვილი 1937: პ. უმიკაშვილი. *ხალხური სიტყვიერება*, თბილისი.

ფონდი 23: აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე 23.

ფონდი 250: აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე, 250, ფურცელი 103.

ჩიტაძე 1978: ზ. ჩიტაძე. *მმართველობისა და თვითმართველობის ფორმები აჭარაში (XVI-XIX სს.)*, ბათუმი.

ჩლაიძე 2001: *თურქულ-ქართული ლექსიკონი*, ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი.

ჭიჭინაძე 1916: ზ. ჭიჭინაძე. *ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება*, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1928ა: ი. ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი I, ქუთაისი. ტფილისი.

ჯავახიშვილი 1928ბ: ი. ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი II, ნაკვეთი 1, თბილისი, ტფილისი.

ხარაძე 1953: რ. ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ., VI, თბილისი.

ხარაძე 1960: რ. ხარაძე. სოფლის თემი ბალყარეთში, *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ., XI, თბილისი.

THE SELF-GOVERNING POPULAR BODIES IN SOUTH WESTERN GEORGIA IN THE LATE MIDDLE AGES (OLKOBA)

Beka Mgeladze

In the Late Middle Ages in one part of Georgian highlands feudal relations were the basis of the country's socio-political structure, while in the other part, the life cycle was built on traditions with appropriate popular institutions. The local popular authorities regulated the social, economic and legal spheres of the settlements and this was especially evident when the influence of the Georgian central authorities on the regions, in particular in Samtskhe and Adjara, was weakened or stopped functioning altogether.

In Adjara valleys since Middle Ages existed popular self-governing organizations. They were leaded by councils of elders. The council of elders previously was called “mokrianoba” (მოყრიანობა), however later on, during the Ottoman rule, the term “mokrianoba” was replaced by the “okloba “(ოლქობა).

“Olkoba” represented judicial, legislative, executive body. Time after time it even assembled military unit called “olka” which consisted of young worriers. Their armed actions were called “upraising of olka”.

Thus, “olkoba” was self-governing social body in the region. It was well marched with the patriarchal way of life and popular stereotypes.

გოდერძის უღელტეხილის ნამოსახლარები შუა საუკუნეებში (ნაგებობანი, მეურნეობა და ცხოვრების წესი)

ნუგზარ მგელაძე
გოდერძი ნარიმანიშვილი

გოდერძის უღელტეხილი არსიანის მთათა სისტემის ერთ-ერთი საუღელტეხილო გადასასვლელია. გოდერძის საუღელტეხილო გადასასვლელი არსიანის ქედზე, ზღვის დონიდან 2025 მეტრის სიმაღლეზე, ერთი მხრივ, ქვაბლიანის ხეობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მდინარე აჭარისწყლის სათავეებთან, კონკრეტულად კი – მდინარე ძინძეს სათავეში მდებარეობს. არსიანის მთის ეს მონაკვეთი ქართველი ხალხის ორი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის მოსახლეობით – სამცხელი და აჭარელი მოიალაღეებითაა დასახლებული, რომლებიც იქ გადარეკვითი მესაქონლეობით არიან დაკავებულნი. უღელტეხილის მთის კალთები მათი სეზონური დასახლებებითა და საძოვრებითაა მოფენილი. სამცხელებისა და აჭარლების ეს საბალახოები სამცხის – უდესა და არალის, ასევე, აჭარის ქვედა ზონის სოფლებს ეკუთვნის, რომელთა დროებითი სადგომები მაღალმთიან ზონაში აჭარა-გურიისა და არსიანის მთათა სისტემის წყალგამყოფ ქედებზეა მოქცეული (ლომოური, ბერძენიშვილი 1941: 134); (ყაზბეგი 1960: 104); (მგელაძე 1973: 5, 7-8, 12).

გოდერძის უღელტეხილსა და მის მიდამოებში მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგებია წარმოდგენილი და იქ ძირითადად ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეებია გავრცელებული. ფლორის სახეობებიდან ცნობილია სამეფო გვიმრა, უთხოვარი, ქართული ნეკერჩხალი, არმაზის ნარჩიტა, წაბლი, მუხა, კაკლის ხე, კოლხური ყოჩივარდა, ფურისულა, ვერხვი და თელა. გოდერძის უღელტეხილის ქვედა ზონები მდიდარია ხილით და სამკურნალო მცენარეებით. ფაუნა წარმოდგენილია კავკასიური ირმით, კავკასიური მურა დათვით, ბეგობის არწივით, დურაჯით, კავკასიური შურთხით, მცირეაზიური ტრიტონითა და კავკასიური სალამანდრით. გოდერძის უღელტეხილი და მისი მიდამოები გამოირჩევა სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებით: სასარგებლო წიაღისეულით – სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებით, გაქვავებული ხის მარაგით, მინერალური წყლებით. ამასთან, გოდერძის უღელტეხილის არეალში განთავსებულია ნამარხი თუ გაქვავებული ტყე, რომელიც „კაჟის ტყის“ სახელითაცაა ცნობილი. ტერიტორია პლიოცენის პერიოდის განამარხებული ფლორისა და ფაუნის უნიკალურ ადგილსამყოფელს წარმოადგენს (ჯანელიძე 2015); (სურმანიძე 1975: 14); (მგელაძე და *სხვები* 2019: 79-84).

გოდერძის უღელტეხილის ფერდობებსა და მდელოებზე მრავლად შეინიშნება ქვაყრილები და ძველი ნამოსახლარები. ისტორია და არქეოლოგიური არტეფაქტები ადასტურებს, რომ გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებს, მდინარეთა აუზის მცხოვრებლებს შორის ბუფერული ზონის როლი უძველესი დროიდან, უკვე ნეოლითის ეპოქიდან უნდა შეესრულებინათ. გადასასვლელების მეშვეობით მოსახლეობას ბარსა და მთასთან ინტენსიური კავშირი ჰქონდა. მოგვიანებით, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდიდან, მაღალმთიანეთზე გავლით ამ მაგისტრალით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა შავ ზღვას, შავიზღვისპირეთის დასახლებები კი – აჭარისწყლის ხეობითა და გოდერძ-წყალსაქციელის უღელტეხილებით, ხოლო შემდეგ ქვაბლიანის ხეობის გავლით მტკვრის აუზს, შესაბამისად, საქართველოს ცენტრალურ პროვინციებსა და ცენტრალურ ადმინისტრაციას უკავშირდებოდა. ამდენად, ზემო ქართლის სამცხე-აჭარის აღნიშნული საუღელტეხილო მონაკვეთი და მიმდებარე მიწა-წყალი საშუალებას იძლეოდა ქვაბლიანისა და აჭარისწყლის ხეობათა მოსახლეობას მჭიდრო და ორგანული კავშირები ჰქონოდათ არა მხოლოდ შიდა ქართლთან და შავიზღვისპირა

ბართან, არამედ სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა თემთან – შავშეთთან, კლარჯეთთან, ტაოსთან, კოლა-არტაანთან და ჯავახეთთან (მგელაძე, ნარიმანიშვილი 2002); (მგელაძე, ნარიმანიშვილი 2007); (ნარიმანიშვილი, მგელაძე 2011).

ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან მტკვრის სათავეები და ჭოროხის აუზის დიდი ნაწილი ქართლის სამეფოში იყო მოქცეული, უფრო ზუსტად, მტკვრის მთელი აუზი ალვანეთის მიჯნამდე, ჭოროხის აუზიც – ქართლის სამეფოში შედიოდა და სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ჭოროხ-მტკვრისა, ერთი მხრივ, და ევფრატ-არაქსის, მეორე მხრივ, წყალგამყოფზე გადადიოდა (მგელაძე და *სხვები* 2019: 51-78). აქედან გამომდინარე, ასე ფართო ტერიტორიაზე ჩვენთვის საინტერესო რეგიონი – სამხრეთ საქართველო საერთო ეთნოსოციალურ და ეთნოპოლიტიკურ სივრცეში გაიაზრებოდა და, ბუნებრივია, სამიმოსვლო გზებიც, მდინარეზე გადასასვლელი ხიდებით, ქარვასლებითა და ღამის გასათევი ნაგებობებითა თუ სასტუმროებით, სწორედ ერთიანი ეთნოსოციალური და ეთნოპოლიტიკური ორგანიზმის ფარგლებში სავაჭრო-საკომუნიკაციო ფუნქციებს ატარებდა, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გზები ციხე-სიმაგრეებითა და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებით იყო დაცული. აჭარის-წყლის ხეობაზე და შენაკად ხევებზე გამავალი გზებიც ქვის თაღიანი ხიდებითა და სხვადასხვა ტიპის სამხედრო, სამეურნეო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებით იყო მოფენილი (ბერძენიშვილი 1964: 128, 311); (ბერძენიშვილი 1966: 14-15, 88); (ბერძენიშვილი 2004); (რუსიძე 1957 : 61-69); (სიხარულიძე 1962); (სიხარულიძე 1963); (ვარშანიძე 1979: 29, 77); (შარაშენიძე 1982: 9-14); (მამულაძე 1991); (მამულაძე 1993: 27-72); (მგელაძე, ფაღავა 1999); (მგელაძე 2000); (მგელაძე, ქურდიანი 2008); (ხალვაში 2011); (გოილაძე 2015: 46-61).

დასახლებები ისეთ ადგილებში ჩნდებოდა, სადაც შესაბამისი სამეურნეო ნედლეული არსებობდა. ნეოლითში კაჟისა და ობსიდიანის, შემდგომში კი მეტალურგიული – სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის კერების არსებობა, ხშირად, დასახლების ადგილს განსაზღვრავდა. როცა ადამიანმა საბადოების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება შეძლო, ბუნებრივია, მათგან წარმოებული პროდუქცია ცხოვრებისეული ციკლის უზრუნველყოფას დაუქვემდებარა და საკუთარი კეთილდღეობისათვის მეზობელ არეალებშიც გაავრცელა. მართალია, გოდერძის უღელტეხილიდან აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი გზის ჩანასახი უკვე ნეოლითის ხანიდან გაჩნდა, მაგრამ მისი სავაჭრო-სატრანზიტო გზად ჩამოყალიბება ბრინჯაოს ეპოქაში უნდა დაწყებულიყო, რაც ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ისტორიულ ხანებში, ადამიანთა დიდ მანძილზე გადაადგილების პროცესში, რასაც ვაჭრობა და აუცილებელი მოხმარების საგნების გაცვლა-გამოცვლაც თან სდევდა, ცხადია, გზების მნიშვნელობაც ერთი-ორად გაიზარდა. ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებშიც სახელმწიფოებრივი სტრატეგიიდან გამომდინარე გზების დიდი ნაწილი ისე ეწყობოდა, რომ მასზე გადაადგილება არა მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფს, არამედ სათანადოდ აღჭურვილ ლაშქარსაც შეძლებოდა. სამიმოსვლო გზებით უზრუნველყოფას, შესაბამისად, საგზაო მშენებლობას, პირველ რიგში, ცენტრალური ხელისუფლების საჭიროებანი განაპირობებდა. ამდენად, გოდერძის უღელტეხილის არეალში დასახლებათა სისტემა და ბინადარი ცხოვრება ინტენსიური მეურნეობით ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ხანაშიც დასტურდება. გოდერძის უღელტეხილი გახლდათ ის ზონა, სადაც განვითარების ყველა ეტაპზე ადამიანთა ბინადრობა უწყვეტად მიმდინარეობდა, რასაც, ფაქტია, მისი განსაკუთრებული სატრანზიტო და სტრატეგიული დანიშნულება განსაზღვრავდა. ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის, კასპიისა და შავი ზღვის აუზების წყალგამყოფ ქედებზე მდებარე გოდერძის უღელტეხილი, უძველესი დროიდან, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი უნდა ყოფილიყო. კასპიისა და შავ ზღვებს შორის არსებული ტერიტორია სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიკური მიზნით ადამიანთა დიდი ჯგუფების ადგილმონაცვლეობის ადგილს წარმოადგენდა. ამ არეალში საქართველოს მიწა-

წყალს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, რომლის ტერიტორიაც, შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო ზონად ითვლებოდა.

ახლო აღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციებსა და ჩრდილოეთის ნომადურ ტომებს შორის მოქცეული ეს რეგიონი, კულტურათა შეხვედრის ადგილსაც წარმოადგენდა. მნიშვნელოვან როლს კავკასიის ქედი თამაშობდა, რომელიც, ბუნებრივთან ერთად, რადიკალურად განსხვავებულ კულტურებს საზღვრავდა. თავის მხრივ, სამხრეთ კავკასია, აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უბნად ითვლებოდა. ისიც უძველესი დროიდან კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რაც ათასწლეულთა მანძილზე ხელს უწყობდა კულტურათა დიფუზიას, ინოვაციურ პროცესებს, მატერიალური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროში სხვადასხვა ტიპის ფასეულობათა დალექვას. გოდერძის უღელტეხილის ანუ სამცხესა და აჭარას შორისი ბუფერული ზონის საკვანძო მდებარეობა განაპირობებდა იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები ამ რეგიონზე მუდმივად აისახებოდა. გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში მიკვლეული სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარები და კულტურული არტეფაქტები ამის ნათელი დასტურია.

გოდერძის უღელტეხილის არეალში განსაკუთრებით ბეშუმი გამოიყოფა. ბეშუმი გოდერძის უღელტეხილიდან შვიდი კილომეტრის მოშორებით მდინარე ფოცხოვის ხეობაში, მდინარე ძინძეს მარჯვენა შენაკადის – „ბეშუმის წყლის“ სათავეებში მდებარეობს. ბეშუმის ტყიანი მასივის ღელე-მდინარეთა აუზებში – ღელე-მდინარეთა სანაპიროების გორაკ-ბორცვებზე სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის ცალკეული ნამოსახლარები და ნამოსახლართა ჯგუფებია წარმოდგენილი. ნამოსახლართა ერთი ნაწილი ადრეული ადამიანის მიერ უნდა ყოფილიყო აგებული, რომლებიც შემდეგ არა მარტო წარმართული, არამედ ქრისტიანული თემების საცხოვრისად გამოიყენებოდა. იგი გვიანი შუა საუკუნეების მიწურულამდე დასახლებული უნდა ყოფილიყო. ამდენად, ბეშუმის შემოგარენის ნამოსახლარებზე წინასწარი დაკვირვებები გვაფიქრებინებს, რომ იქ წარმოდგენილი იყო არა მარტო არქაული, არამედ საკმაოდ დიდი ქრისტიანული სამოსახლოები, მათ შორის, განვითარებული შუა საუკუნეების ნაეკლესიარები, ქრისტიანული სამარხები, ქრისტიანული სიმბოლოები, ქვაჯვარები (მგელაძე 1998); (მგელაძე1999); (მგელაძე, ტუნაძე 2014). მათ გვერდით უძველესი კულტურული ფენებიც შეინიშნება, სადაც ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კულტურული შრეებიც ივარაუდება. ბრინჯაოს ხანაში საქართველოს მთიანეთი, განსაკუთრებით, მისი სამხრეთ ნაწილი, მაგალითად, თრიალეთის ყორღანული კულტურის არეალი, საფუძვლიანადაა ათვისებული. იმ პერიოდში მთაში ინტენსიურ კულტურულ ცხოვრებას ჰქონდა ადგილი. ადრე, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებშიც, აქ სეზონურად თუ მუდმივად მობინადრე მესაქონლეთა უწყვეტ ცხოვრებასთან უნდა გვქონოდა საქმე. შესაძლოა, მართლაც, უზარმაზარი ქვის მონოლითებით ნაგები ნამოსახლარები, რომლებიც მისი მიტოვების მიუხედავად მომდევნო პერიოდშიც უცვლელად იყვნენ შემონახულნი, ბინადარი ცხოვრებისთვის სხვადასხვა დროისა და სარწმუნოებრივი ორიენტაციის მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა.

გოდერძის უღელტეხილის ბეშუმის ზონაში, სადაც ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარები და ძველი ადამიანის ცხოვრების ნაკვალევიც შეინიშნება, განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარები უნდა გამოიყოს. ამ ტიპის ნამოსახლარები მდინარისპირა ბორცვებზეა განლაგებული და სხვადასხვა ფორმისა და ზომის შენობათა კომპლექსს წარმოადგენს. ეს შენობები ძირითადად ღელე-ბეშუმისა და მდინარე ფოცხოვის მარცხენა შენაკადი ღელეების აუზშია გავრცელებული. ისინი საკმაოდ დიდ ნამოსახლართა კომპლექსებს ქმნის, რომელთაც ერთმანეთთან ქვაყრილიანი გზები აკავშირებს (სურათი 1-2). ნამოსახლარები გორაკების სახითაა წარმოდგენილი. თითოეულ ნამოსახლარს აქვს მოედანი. ამასთან დიდ გორაკზე ყველასათვის საერთო ცენტრალური მოედანიც აქვთ. სწორედ გორაკების გარშემოა გამართული საცხოვრებელი კომპლექსები. ბორცვების

ირგვლივ განლაგებული საცხოვრებლები ნახევრად მიწურია და დიდი – მონოლითური ქვებითაა ნაშენი (სურათი 3-4, 6). ჩანს, რომ ადრე გოდერძის საუღელტეხილო ზონა მიმდებარე მიწა-წყლით გარკვეული კულტურის მატარებელი სატომო გაერთიანების ეთნოგრაფიული განტოტებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რადგან სამოსახლოებში თავს იჩენს მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკური არქიტექტურული და კონსტრუქციული ხელწერა, ვლინდება ერთგვაროვანი კულტურის კვალი.

ბეშუმის წიწვოვან ტყეში არსებული განვითარებული შუა საუკუნეების „ნაქალაქარ 1-ის“ შესასვლელის მარცხენა მხარის სენაკის გადახურვა, ოთახის, სადაც შუაცეცხლი – მიწაზე დაძერწილი წრიული კერა, გვერდით კი, ალბათ, მოგვიანებით გაჩენილი, პურეულის ცხობისათვის განკუთვნილი კერის მაგვარი თონე მდებარეობდა, ქვის დიდი მონოლითებით – ბრტყელი გადახურვით იყო წარმოდგენილი (სურათი 3-7). დაძერწილი წრიული კერები და თონეს მაგვარი კონსტრუქციები ნაქალაქარის სხვა ბორცვებზეც არის გამოვლენილი და ისინი მსგავსი იერსახისანი არიან (სურათი 3-6).

ყურადღებას იქცევს კედლის ღუმელები და სხვადასხვა დანიშნულების ქვის კონსტრუქციის სათავსოები (სურათი 8-9). ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ სამცხურ მიწურ სახლებშიც ბრტყელი გადახურვა უცხო არ იყო. იგი მიწურ სახლებად სახელდებულ სამყოფებსაც ახასიათებდათ. შეუძლებელია, აქ არ გავიხსენოთ ისეთი მიწურები, რომლებსაც თეიმურაზ ჩიქოვანი „გომური სახლის“ სახელწოდებით მოიხსენიებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი ხალხური ჩანს და კონკრეტულად დარბაზის რეალობას თითქოსდა არ გამოხატავს („გომური“ სამეურნეო დანიშნულების – პირუტყვის სადგომი იყო), ჩვენთვის იგი მაინც სწორედ ბეშუმის ნამოსახლარებთან მიმართებაშია საინტერესო. სამცხისა და ბეშუმის ნამოსახლართა სამყოფების, ოთახებისა და სენაკების განლაგება, მიწურბანიან გადახურვის კონტექსტში, ერთმანეთს ძალიან ემსგავსება. ამდენად, ბეშუმის ნამოსახლარების მიწური და ნახევრად მიწური დარბაზული ტიპის საცხოვრებლების ძირითადი მახასიათებლების გაგებისათვის, ჩვენი აზრით, საყურადღებოა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული, ე.წ. „გომური სახლების“ კონსტრუქციულ და ფუნქციურ მხარეებზე დაკვირვება, რადგან, ვფიქრობთ, აქ არაერთი საინტერესო ანალოგის დადგენა შეიძლება. თეიმურაზ ჩიქოვანის აღწერილობით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და ზეგანში, დარბაზული სახლების გავრცელების არეალში, ქვითა და ტალახით ნაშენი ბრტყელბანიანი სახლები არსებობდა, რომლებსაც „გომური სახლი“ ეწოდებოდა.

ამ ტიპის სახლი კომპლექსური ნაგებობა იყო. მას ერთიანი ბრტყელი გადახურვა ჰქონდა, ხოლო ბრტყელი სახურავის – ბანის — ქვეშ სამი სხვადასხვა დანიშნულების ოთახი იყო მოქცეული, კერძოდ, ოჯახის საცხოვრისი ოთახი, საქონლის სადგომი – გომური და მათ წინ არსებული კარაპანი. ოჯახის სამყოფ-საცხოვრისი, უპირატესად, კვადრატული მოყვანილობის იყო. ერთ-ერთი კედლის სიახლოვეს – კარის მოპირდაპირე კედელთან ღია კერა იყო განთავსებული, რომელიც ორი ცეცხლგამძლე ქვის პატარა ბლოკისაგან შედგებოდა. კერის გასწვრივ, კედლისა და ჭერის შესაყართან, ერდო იყო გაკეთებული, რომლის საშუალებითაც კვამლი სახლის გარეთ გადიოდა, მაგრამ ერდო მხოლოდ საკვამურის მოვალეობას არ ასრულებდა. წინა საფასადო კედელში გამოჭრილი ორი სარკმელი ოთახის გასაშუქებლად გამოიყენებოდა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ „გომურა სახლი“ დაბალჭერიანი ნაგებობა იყო, რის გამოც კერის თავზე აყარის გამართვა არ შეიძლებოდა. აყარის ნაცვლად კერაზე მოგრძო ოთკუთხედის მოყვანილობის რკინის ზედადგარი იდგა. თეიმურაზ ჩიქოვანის მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ზოგიერთ გომურა სახლში კერა უკვე კედელში იყო გადატანილი და ბუხრის სახეს ატარებდა. ღია კერის კედელში გადატანა იმით ჩანს გამოწვეული, რომ სახლს დაბალჭერიანი იყო. დაბალი და ბრტყელი გადახურვის გამო ერდო კვამლს სათანადოდ ვერ იწოვდა. ბუხარმა კი აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ოთახში გათბობამ იკლო. ამასთან დაკავშირებით თეიმურაზ ჩიქოვანი ფიქრობს, რომ იმგვარ ქვატალახა ნაგებობებში, სადაც კერა კედელთან ფიქსირდებოდა, საფიქრელია, ყველა ბრტყელბანიანი ყოფილიყო. მკვლევრის აზრით, ძველებური ტიპის მიწურიატაკიანი სამყოფ-საცხოვ-

რისისათვის დამახასიათებელი ელემენტების, ვთქვათ, კერისა და გამაგრებული იატაკის ერთ რომელიმე სათავსოში ფიქსირება ყველა ვითარებაში იმის მაუწყებელი ჩანს, რომ ეს ოთახი თავის დროზე ოჯახის უშუალო საცხოვრებელი იყო (ჩიქოვანი 1989: 54-55).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გოდერძის უღელტეხილის ტყიანი მასივის ნამოსახლარების მკვიდრთა კულტურაში მესხური – სამცხური ეთნიკური სუბსტრატის კვალი შეინიშნება, რაზეც საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპები – მიწურბანიანი, ნახევრად მიწური, მონოლითური თლილი და ნახევრად თლილი, ხშირად თარაზული წყობით ნაგები საცხოვრებლები, მათი გეგმარება და კონსტრუქცია მიუთითებს. ისინი იქვე მთებში სეზონურად მობინადრე ადიგენის რაიონის მოსახლეობის (არალი, უდე...) მიწური – დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობებისაგან შემდგარ დასახლებებს ემსგავსება. შეიძლება მათ შორის გარკვეული მემკვიდრეობითობა ვივარაუდოთ. თუმც, ამ ვარაუდის დასაბუთება დამატებით კვლევას მოითხოვს. ერთი რამ ფაქტია: ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობაში ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელ სახლს – „დარბაზს“ გამორჩეული ადგილი უკავია. იგი ხალხური არქიტექტურული შემოქმედების საინტერესო ნიმუშია და მისი ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები ღრმა ისტორიული წარსულიდან იღებს სათავეს.

ეთნოარქეოლოგიური მასალების მიხედვით, მტკვარ-არაქსის კულტურიდან მოყოლებული თითქმის XIX-XX საუკუნეებამდე, შესაძლებელია საქართველოში დარბაზული საცხოვრებლის ისტორიულ განვითარებას მეტ-ნაკლებად უწყვეტად დავაკვირდეთ. ყველა ხალხისა და დროის საცხოვრებელი, მათ შორის, ქართული – სამცხური დარბაზიც სოციალური, სამეურნეო და საკომუნიკაციო ფუნქციების საინტერესო სინთეზს წარმოადგენს. ის გარკვეული კონსერვატულობით ხასიათდება. დარბაზული საცხოვრებლის ცალკეულ ფუნქციურ მახასიათებელს ხანგრძლივი ემპირიული ცოდნა-გამოცდილება ედო საფუძვლად. საცხოვრებელი კონკრეტულ გეოგრაფიულ პირობებთან, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებთან იყო შეხამებული. დარბაზული საცხოვრებელი, ბუნებისა და ადამიანის ეკოლოგიური წონასწორობის პროცესში, საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი ბიოსოციალური ნიშნების – საკვების, უსაფრთხოების, შინამრეწველობის, ეკოლოგიის, სულიერი კულტურის თანაფარდობას ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებდა და ყოველი ინოვაციური ელემენტის ადაპტირებას რადიკალური ცვლილებების გარეშე ახდენდა (ჩიტაია 1997: 184-197); (ჩიტაია 2001ა: 220); (მგელაძე 1963); (ჩიქოვანი 1967: 65); (ჩიქოვანი 1989: 4-5, 39-40; 42, 44-47, 54); (მგელაძე და *სხვები* 2019: 139-177).

მკვლევრის ინტერესს, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად აძლიერებს ის ფაქტიც, რომ, როგორც აღვნიშნეთ, გოდერძის უღელტეხილი წარმოადგენდა აჭარისწყლისა და სამცხის, მათ შორის, ფოცხოვ-ქვაბლიანის ხეობების მოსახლეობისათვის ბუფერულ-საკომუნიკაციო და სატრანზიტო ზონას. ბეშუმის წიწვოვან ტყეში ყველაზე მკაფიოდ გზათა სისტემის ქსელი ადრე და განვითარებული შუა საუკუნეებისათვის იკვეთება, რასაც როგორც ძველი ქართული წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური და უშუალო ვიზუალური დაკვირვებებიც მოწმობს. ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში, როგორც ჩანს, სწორედ ამ გზით ხდებოდა შავი ზღვის და, შესაბამისად, მდინარე ჭოროხის აუზის მოსახლეობას შორის მიმოსვლა. გოდერძის უღელტეხილის მიწისქვეშა ციკლოპური საცხოვრებლების ბინადარნი ამ სავაჭრო-საქარავნო გზებზე მიმოქცევის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი უნდა ყოფილიყვნენ და, ერთგვარად, მოქარავნეთა გამცილებლის როლიც უნდა შეესრულებინათ, თუმცა, ბუნებრივია, დასახლებათა სისტემის შექმნა და იქ მოსახლეთა სიცოცხლისუნარიანობა დამატებით სხვა ფაქტორებსაც უნდა განესაზღვრათ. ნამოსახლარის გზა დასახლების მიმართულებით დამცავ კედლებთან ერთად თანდათანობით მაღლდებოდა და ბორცვის მოედანს უსწორდებოდა. ეს გზა სამოსახლოს მოედანზე შედიოდა, მოედანს გაივლიდა და სამხრეთისაკენ გრძელდებოდა, ჩვენი დაკვირვებით, დაახლოებით ორი კილომეტრის სიგრძეზე (სურათი 1-2). როგორც ჩანს, ეს გზა არა მხოლოდ სოფლების დამაკავშირებელი იყო, არამედ სატრანზიტო გზის ნაწილსაც წარმოადგენდა,

რომელიც ზარზმიდან გოდერძის ნასოფლარის გავლით ბეშუმისაკენ მიემართებოდა და შემდეგ აჭარისწყლის ხეობით ჭოროხის სხვა ხეობებისაკენ და, რაც მნიშვნელოვანია, ზღვისაკენ ეშვებოდა. მთებიდან ხეობებში არსებულ დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებული საცალფეხო მოკლე გადასასვლელებიც არსებობდა, მაგრამ სწორედ ბეშუმის ტერიტორიაზე გამავალი გზა იყო ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო-საქარავნო გზა, რომელიც აჭარისწყლის ხეობით ერთმანეთს მტკვრის ხეობის მოსახლეობას და, შესაბამისად, ქართლს შავიზღვისპირეთის რეგიონებთან აახლოვებდა. საფიქრებელია, რომ ბეშუმის ნამოსახლარები („ნაქალაქარი“, „ვაშლობი“, „ლეკნარი“, „ყვერული“, „პანტნარი“, „ლოდიძირი“...) და მათზე გამავალი გზები საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო სისტემაში ჩართული გზის – „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან განშტოებას წარმოადგენდა.

ნამოსახლარები წიწვოვან და დაბურულ ტყეშია გაფანტული. X საუკუნეში ამ მიდამოებში ასეთი გაუვალი ტყის შესახებ წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაშია“ მითითებული. ხევს, რომელიც გოდერძის სახელს ატარებდა, საკმაოდ დიდი ფართობი უნდა სჭეროდა. გოდერძიც დიდი დასახლება უნდა ყოფილიყო, რომელიც სამცხეში, ქვაბლიანის ხეობაში მდებარეობდა. ამ ნასოფლარისა და იაილის სახელწოდებამ დღემდე მოაღწია. ნამოსახლარები ბეშუმის ტყიან ზონაში არსებულ ღელე-მდინარეთა მახლობლად მდებარე ტერასებსა და ფერდობებზე იყო გაშენებული. თითოეული დასახლება უმეტესად ქვის მონოლითებით ნაგებ ერთი ანდა რამდენიმე საცხოვრებლის ჯგუფს წარმოადგენდა. ამდენად, ამ ტიპის დასახლებები ერთ სახლს, შესაძლოა, რამდენიმე სახლეულსაც მოიცავდა. საერთო ჭერქვეშ თაობებსა და მრავალ საქორწინო წყვილს უნდა ეცხოვრათ. მათ საერთო მეურნეობა, სოციალურად რეგლამენტირებული ცხოვრების წესი და კულტმსახურება ჰქონდათ. ტერიტორიული და სოციორელიგიური კავშირი საკუთრივ ფერდობებზე შეფენილ ნამოსახლარებს შორისაც იგრძნობა, რაც ურთიერთისაკენ მიმავალი, ხშირად, მოკირწყლული გზებით ხორციელდებოდა. ჩვეულებრივ გზები ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში მოედანთან გადიოდა. ამგვარ ნამოსახლართა ახლომდებარე ჯგუფი სათემო დასახლების იერს ატარებდა, თუმცა ეს არ უნდა ყოფილიყო ტიპური სოფელი და თემი, არამედ იგი დიდ ფართობზე ურთიერთდაკავშირებულ გორა-ნამოსახლართა ერთობას წარმოადგენდა.

განსაკუთრებით საინტერესოა გორა-ნამოსახლარების მკვიდრთა სოციალურ ცხოვრებაზე დაკვირვება და მათი სოციალური და სამეურნეო ცხოვრების რეკონსტრუქცია. ეს გორა-ბორცვები ლოკალიზებულ ნათესაურ ჯგუფთა დასახლებები იყო, სადაც თითოეულ გორაზე ერთი ან რამდენიმე ურთიერთმონათესავე სახლეული უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ე.ი. თითოეული ბორცვის ირგვლივ საერთო ჭერით ანუ ბანით რამდენიმე სახლად საცხოვრებელ და სამეურნეო შენობათა კომპლექსი იყო განლაგებული. ამ ტიპის ბორცვის ერთ მხარეს, ცალკე მდებარე საცხოვრებელ კომპლექსში რამდენიმე თაობას უნდა ეცხოვრა და იგი, ალბათ, დაახლოებით თხუთმეტამდე ადამიანს აერთიანებდა. ბორცვის ირგვლივ წარმოდგენილი სხვა შენობა-ნაგებობები კი, რომელიც გაუყოფლად ანდა უკვე ერთი სახლიდან გაყოფილ საქორწინო წყვილებს – ოჯახებს ეკუთვნოდათ, დაახლოებით ამავე რაოდენობის ადამიანს ითვლიდა, რაც ერთიანობაში ერთ ბორცვზე დასაშვებია ორმოცდაათ ადამიანამდე აღწევდა. მეზობელი გორა-ბორცვებიც ასევე ნათესაური ჯგუფებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. მთლიანობაში საერთო ტერიტორიაზე რამდენიმე ბორცვის სახით ერთი დიდი ლოკალიზებული გვარი იქმნებოდა, რომელიც იერარქიულად რამდენიმე გენეალოგიურ სეგმენტად დიფერენცირდებოდა.

თითოეული ასეთი სეგმენტი – გენეალოგიური გაერთიანება კონკრეტული ბორცვის გარშემო სახლობდა. ბორცვზე წარმოდგენილი საერთო და უახლოესი წინაპრიდან წარმომდგარი და ბორცვის ირგვლივ ლოკალიზებული ნათესავების ასეთი ჯგუფი ერთმანეთთან არა მარტო საერთო ჭერით – ბანით, არამედ სამეურნეო, სოციალური ინტერესებისა და კულტმსახურების თანხვედრით იყო დაკავშირებული. ისინი სოლიდარულები იყვნენ სოციალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობებში, რაც

ქონებრივ-უფლებრივ სფეროშიც აისახებოდა, ჰქონდათ უსაფრთხოებისათვის ზრუნვის კოლექტიური განცდა, თავდაცვაზე და თავდასხმაზე ჯგუფური პასუხისმგებლობა, შრომითი დახმარების ვალდებულება, ჰქონდათ უფლებები და მოვალეობები საქორწინო ურთიერთობების, ოჯახის შექმნის პროცესში, ბავშვის დაბადებისას თუ ადამიანის გარდაცვალებისას, დაკრძალვისა და სამგლოვიარო რიტუალის დროს. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდამდე ასე იყო ეს ქართულ ტრადიციულ საზოგადოებებში – გოდერძის უღელტეხილზე გარშემორტყმული სოფლების მოსახლეობაში და, ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისს არც ბეშუმის გორა-ნამოსახლართა მკვიდრნი იქნებოდნენ.

ეს გორა-ბორცვები ბუნებრივი და, შესაძლოა, ხელოვნურად მოზვინულებიც იყო, რომლებიც ზოგან სამმხრივი კედლით ქვის მშრალი წყობით მიწაში იგებოდა ისე, რომ სახურავი ოდნავ ზევით ჰქონოდა აწეული, რითაც ქვაბლიანის ხეობაში არსებულ ე.წ. დარბაზულ სახლებს ემსგავსებოდა. სახურავი ზოგან ქვის ძელებით იყო გადახურული, ანდა ასეთი მონოლითური ძელით მხოლოდ ოთახის შესასვლელი იყო გარდი-გარდმო შეკრული, დანარჩენი სიცარიელე კი, ალბათ, ხის მორებით მიწაში თანმიმდევრულად ასული კედლების სახურავად იკვრებოდა და, საბოლოოდ, ბრტყლად ანდა სხვა სახითაც იხურებოდა, რომელსაც თავზე მიწა ეყრებოდა, იზვინებოდა და იტკეპნებოდა, რის საფუძველზეც ბანი და, შესაბამისად, მოედანი, შესაძლოა, კალოც წარმოიქმნებოდა.

მიწური სახლების მოზვინვის პროცედურა ეთნოგრაფიულ ყოფაში უკვე აღწერილია და ნამოსახლარებზე მიწურებიც, დასაშვებია, მსგავსი ტექნოლოგიებით იქმნებოდა. ბორცვთა ასეთი მოედნები როგორც სამეურნეო, ისე სოციალური ფუნქციის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო. სამეურნეო თვალსაზრისით, ბორცვის ბანზე, საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მსგავსად, უმეტესად მაინც, კალო ეწყობოდა, ხოლო სოციალური ნიშნის მიხედვით იგი გასართობ თუ სადღესასწაულო და, როგორც ეს საქართველოს ზოგიერთ კუთხეშია დამოწმებული, უხუცესთა შეკრების ადგილსაც წარმოადგენდა, სადაც მათ მიერ დასახლების – სოციალური, სამართლებრივი, რელიგიური თუ სამეურნეო ხასიათის საჭირბოროტო საკითხები განიხილებოდა.

ამდენად, შეიძლება წარმოვიდგინოთ ბეშუმის წიწვოვანი ტყის ჩვენთვის ცნობილ ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით დაცილებულ ბორცვებზე მათი მოცულობის მიხედვით დიდი და პატარა ბანი და მოედანი თუ როგორ ეწყობოდა. მათი დატვირთვაც ამის მიხედვით განისაზღვრებოდა. ნაქალაქარის ნამოსახლარები ასეთი „მოძმე ბორცვების“ საუკეთესო ნიმუში უნდა ყოფილიყო, რომელიც ერთობლიობაში საერთო ცენტრალური – მთავარი მოედნითა და კულტმსახურების ადგილით ერთი საგვარეულოს დასახლებად გამოიყურება, ე.ი. ნაქალაქარის გორა-ბორცვები განაყარი ჯგუფებით იყო დასახლებული, სადაც ალბათ ერთი ისეთი ფუძე – ძირი გორა-სამოსახლო არსებობდა, საიდანაც ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილ ახალ გორა-ბორცვებზე სახლეულთა ზრდა-სეგმენტაციის საფუძველზე მონათესავე სახლეულები გაჩნდა.

2018-2019 წლებში ჩვენ მიერ არქეოლოგიურად ნაწილობრივ შესწავლილი ე.წ. „ნაქალაქარის“ სამი სამოსახლო ბორცვისაგან შემდგარი ერთ-ერთი ნამოსახლარი წიწვოვანი ტყით იყო დაფარული. იგი სამი სამოსახლო ბორცვის გარდა მიმდებარე ტერიტორიაზე სამაროვანსაც, ე.წ. „მეზელუღებს“ აერთიანებდა, რომელსაც მდინარე ბეშუმის წყლის მარცხენა შენაკადი ღელე – „დიდეილის წყალი“ ჩამოუდის. დასახლება დიდი კომპლექსებისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთ სწორ ხაზზე განლაგებულ სამ შემაღლებულ ბორცვზე იყო განთავსებული. ეს ბორცვები ერთმანეთისაგან 100-150 მეტრით იყო დაცილებული. ისინიც ქვაფენილიანი გზით იყვნენ დაკავშირებულნი. ეს გზა ნაქალაქარს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით კვეთდა. საველე დაზვერვებმა აჩვენა, რომ ძველი საურმე გზები, გარდა ნაქალაქარისა, ხეობის სხვა მეზობელ ნასოფლარებსაც აერთიანებდა. სამივე ბორცვი თავდაპირველად ბუნებრივი ყოფილა, რომლის ფერდობებში საცხოვრებელი და სამეურნეო სივრცეები იყო ჩაჭრილ-ჩაშენებული და მიწური საცხოვრებელი კომპლექსები მოწყობილი. ნაგებობათა კედლები დიდი ზომის ცუდად დამუშავებული ან დაუმუშავებელი

ქვებით იყო ამოყვანილი. ყველა ნაგებობას ბანური გადახურვა ჰქონდა. ბანის ქვის და ხის კოჭები უშულოდ ქვის კედლებს ეყრდნობოდა. ნაგებობათა გამართვის შემდეგ მიწა ისე იყო მოზვინული, რომ მხოლოდ საფასადო მხარე ჩანდა. ამ ბორცვების სიმაღლე სამიდან ხუთ მეტრს შორის მერყეობდა. ასე წარმოქმნილი ბორცვის ცენტრი დიდ მოედანს წარმოადგენდა, რომელიც ამ ბორცვზე მოსახლეთა საზოგადოებრივი და სამეურნეო საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი.

ჩვენ მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი ბორცვის მოედნის კიდეებში ერდო-საკვამურები ამოდიოდა. თითოეული ბორცვის მოედანზე ზემოთ აღწერილი გზა გადაივლიდა. ამდენად, ცალკეული კომპლექსის გადახურვა ბრტყელი იყო და იგი დასახლების ცენტრალური მოედნის გაგრძელებასაც წარმოადგენდა. ასეთივე სურათს ქმნის ნაქალაქარის ჩვენ მიერ არქეოლოგიურად ნაწილობრივ დამუშავებული მეორე ბორცვიც. ყველაზე დიდი მოედანი სწორედ ამ მეორე ბორცვს ჰქონდა და, ალბათ, სათემო სისტემაში იგი დასახლების ცენტრიც იყო. სხვა სამოსახლოთა მოედნები, როგორც ჩანს, საუბნო ხასიათს ატარებდნენ. მათ გარშემო იყო გამართული საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც ბაზალტის ნატეხი და, ზოგჯერ, დამუშავებული ქვითაც იყო ნაგები. გეგმარება ერთიან პრინციპს უფუძნებოდა. აქედანაც ჩანს, რომ ნამოსახლარების მკვიდრნი მიწურ და ერდო-გვირგვინით მომთავრებულ სახლებში ცხოვრობდნენ. თითქმის ყველგან სამოსახლოდ ბორცვის არჩევა ადამიანებს საშუალებას აძლევდა ფერდობების ვერტიკალურად ჩაჭრით მიწური საცხოვრებლები მოეწყოთ. ბორცვის ირგვლივ, სადაც ქვის შენობა არ იდგა, ბორცვი ვერტიკალურად იყო ჩაჭრილი და ქვის კედლებით ამოყვანილი. მათ სასიმაგრო-თავდაცვითი ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. თითოეული საცხოვრებელი კომპლექსი რამდენიმე დიდი და მცირე სათავსისაგან შედგებოდა. სათავსები სხვადასხვა დანიშნულების ჩანს. აქ როგორც ადამიანთა სამყოფი, ისე სამეურნეო ნაწილები გამოიყოფოდა. კვლევის ამ ეტაპზე გამოვლენილია იატაკზე დაძერწილი მრგვალი ფორმის თიხის კერა, სამი ქვით შედგენილი კერა, პურის საცხობი თონე, კედელში დატანილი ღუმელები თუ სათავსები (სურათი 1-9), საოჯახო-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ხასიათის თანმხლები არტეფაქტები – კერამიკული მასალები: კეცები, ჯამები, დოქები, ქოთნები, მოჭიქული მძივი, რკინის დანის ფრაგმენტი, განუმარხავი – გაქვავებული ხისაგან დამზადებული სალესი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დასახლება შუა საუკუნეების პერიოდში, კერძოდ, XI-XIII საუკუნეებში აქტიურად ფუნქციონირებდა და რეგიონის ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებდა.

ბეშუმის ნაქალაქარზე მოპოვებული მასალები, განსაკუთრებით, მრავალფრად მოჭიქული თიხის ჭურჭელი კიდევ უფრო ამყარებს თვალსაზრისს, რომ დასახლება ძირითადად სწორედ XI-XIII საუკუნეებში არსებობდა. როგორც ჩანს, იგი სეზონურისაგან განსხვავებული მუდმივი საცხოვრებელი იყო, რომლის მოსახლეობა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდა. პალინოლოგიური და ისტორიული მონაცემების მიხედვით სამხრეთ კავკასიაში და, ზოგადად, სამხრეთ ევროპაში განვითარებული შუა საუკუნეების ის პერიოდი, რომელიც X-XII საუკუნეებს მოიცავდა, თბილი კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა. ამ დათბობას „შუა საუკუნეების დათბობას“ უწოდებენ და მისი პიკი X საუკუნეში იყო. განათხარი ტერიტორიის მიმდებარე ადგილებში არსებული სინჯების ლაბორატორიულმა ანალიზმაც დაადასტურა, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში გოდერძის უღელტეხილის არეალშიც იგივე კლიმატური გარემო იყო, რამაც ტყის მოშენებას უღელტეხილის მაღალ ფერდობებზეც შეუწყო ხელი, რის გამოც მიმდებარე ტერიტორიებზე თანდათან ჩნდება ადამიანთა სამოსახლოები (რუსიშვილი 2019: 267-270); (ყვავაძე 2019: 271-273).

საინტერესოა უფრო კონკრეტულად როდის უნდა გაჩენილიყო აღნიშული ნამოსახლარები გოდერძის უღელტეხილზე და ვინ ან რატომ უნდა დასახლებულიყო ამ მიდამოებში. ვფიქრობთ, რომ ისინი არ იყვნენ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდან „შიშიანობას“ („აჭრილობის“) – ომიანობას ან ეპიდემიებს გამორიდებული მოსახლეობა. გურამ გრიგოლიას ვარაუდით, ისინი ყივჩაღთა შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ (გრიგოლია 2007: 110), რასაც ჩვენ დაზვერვითი არქეოლოგიური

ექსპედიციების მონაცემების გათვალისწინებით არ ვიზიარებთ.

ეპიზოდური მიგრაციები გოდერძის უღელტეხილის არეალებში, მათ შორის, ბეშუმის წიწვოვან ტყეშიც, არაბობის ხანაში, შესაძლოა, უფრო ინტენსიურიც ყოფილიყო. მსგავსი ვითარება ძველქართულ წყაროებშიც დადასტურდება:

> სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ილტვოდა ხიზნობად შიშისათჳს ხვარაზმელთაჲსა გამოქცევასა და მოწყუჱდასა და ზედა ლაშქართასა და მრავალთა და კაცისშვილთასა წარწტყუჱნვასა და მოოჴრებ(ა)სა დედა-ქალაქისა ტფილისისა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა საქართველოჲსა [...] დს შუარტყალს (ბუარტყალს?) შინა მყოფი თჳნიერ ნეტარისა იოსებისა და მისთა სახლეულთაჲსა არვინ დარჩა ულტოლველი კერძოდ აჭარისათაცა და [...] (ჟორდანია 1897: 118).

ამა თუ იმ დასახლების ჩამოყალიბებაში არ უნდა გამოირიცხოს ინდივიდუალური და ჯგუფური მიგრაციების როლიც. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში მას სამხრეთ საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. ხშირ მიგრაციებსა და მოსახლეობის მიმოქცევას სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური პროცესები განსაზღვრავდა. ეპიდემიების გვერდით უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო მცირემიწიანობა, რთული სამეურნეო პირობები, სოციალური დაპირისპირება, მესისხლეობა ა.შ. მტრისაგან თუ მოსისხლეთაგან თავდაცვის მიზნით ინდივიდები და ადამიანთა ჯგუფები მთიან, მიუვალ და უშიშარ ადგილებში ეძებდნენ ნავსაყუდელს. ძნელბედობის დროს საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, ერთი ხეობიდან მეორე ხეობაში გადასვლა ყოველთვის ხდებოდა, თუმცა ეს ადგილობრივთა კულტურულ ვითარებას რადიკალურად ვერ ცვლიდა. ჩვენი აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა ამ მიდამოებში ქვაბლიანის ხეობის მცხოვრებთა თანმიმდევრულ განსახლებას. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ხდებოდა მესხური ნაკადის ინფილტრაცია. ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში ქვის ლოდებით ნაგები მიწური და ერდო-გვირგვინიანი დარბაზული საცხოვრებლების მატარებელი კულტურის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სამცხიდან ბუნებრივი განსახლება ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო, რადგან მას ყველგან კულტურული ფასეულობებით ერთმანეთთან ახლოს მდგომი კეთილგანწყობილი მონათესავე და მეზობელი ხეობების მოსახლეობა ხვდებოდა. მკვლევართა შორის კითხვებს ბადებდა საკულტო ნაგებობათა, ნიშნიანი ქვების, ქვაზე ანთროპომორფული, ე.წ. ქვაკაცებისა და სხვა გამოსახულებათა მიმართების საკითხი ნამოსახლართან. ზოგადად ასეთი ზოომორფული და ანთროპომორფული გამოსახულებანი მაღალმთიან და ალპურ ზონებში ხშირად გვხვდება. გოდერძის უღელტეხილის არეალი – მისი მაღალი და ქვედა ზონებიც ამ მხრივ გამონაკლისი არ იყო. გამოვლენილ ფენებში ქრისტიანული და წარმართული შრეების ერთობლივ არსებობის გამო შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, ხომ არ ეკუთვნოდა აღნიშული ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც ადრეფეოდალურ ხანაში, ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულმა, საკუთარი წარმართობის დასაცავად მუდმივ საცხოვრებლად ბარის ცენტრალური რაიონებიდან შედარებით მიუდგომელ და მყუდრო მთაში გადაინაცვლა. ფაქტია, რომ XI-XIII საუკუნეებში გოდერძის უღელტეხილის არეალში ყოველმხრივ გამართული სამოსახლოები არსებობდა, შესაბამისი სამეურნეო ინფრასტრუქტურითა და ცხოვრების წესით განსახლება ბეშუმის ღელე-მდინარეთა სანაპიროებთან და ხევებში ადრე შუა საუკუნეებიდან და გაცილებით უფრო ადრეც უნდა დაწყებულიყო.

ბეშუმის წიწვოვან ტყეში უკვე ადრე შუა საუკუნეებიდან, განსაკუთრებით, X საუკუნიდან როგორც აჭარისწყლის ხეობიდან – ხულოს ზემო დასახლებული პუნქტებიდან, ისე სამცხიდან – ქვაბლიანის ხეობიდან ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ახალი განსახლება იწყება, უფრო ზუსტად კი, სამცხისა და შავშეთის მსგავსად, გოდერძის უღელტეხილის არეალში X საუკუნეში ძველის გვერდით ზოგი ახალი სოფელი – დასახლებული პუნქტი უნდა გაჩენილიყო, ზოგიც კი მოოხრებული იყო და ხელახლა გაშენდა.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ცალკეული კუთხეები ეტაპობრივად თავისუფლდებიან არაბთა ბატონობისაგან, რასაც, როგორც ითქვა, ზოგიერთი უკაცრიელი ადგილის ხელახალი დასახლება მოჰყვა.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიებზე, აღნიშულ პერიოდებში დასახლების არსებობის ფაქტის დასტურად მიგვაჩნია წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დაცული შემდეგი ცნობა: „რამეთუ აღვჰყავით პირსა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების [...] ფრიად ძალით შევედით მას შინა, ვინაცა სიხშირისა მისგან მყოვარ ჟამ ვეღარა ვიხილეთ ცაჲ, ანუ მზისა შარავანდედი“ (აბულაძე 1964: 329).

თავის დროზე, ზარზმის მონასტრის ასაშენებლად მიწისძვრისაგან დაზიანებული ეკლესიის ნანგრევები გამოუყენებიათ, ადგილიც, როგორც ბასილ ზარზმელი გვამცნობს, „უმწაჲს“ სახელით ყოფილა ცნობილი. მკვლევრები „უმწაჲს“ დღევანდელ „უნწასთან“ აიგივებენ, რომელიც (უნწა// უმწა) ოცხისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს (სიხარულიძე და *სხვები* 2013). ბასილ ზარზმელის თხზულებიდან ჩანს, რომ „უმწაჲ“ იმ დროს ჩორჩანის სამთავროს ფარგლებში, ე.ი. სამცხის საზღვრებში იყო მოქცეული. როგორც დადგენილია, ჩორჩანის ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი ღადოს ქედს გასდევდა. წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებიდან“ კი ჩანს, რომ ჩორჩანის ქვეყნის მიჯნები გოდერძისხევის სათავეებთან გადიოდა და, შესაბამისად, გზა აქეთაც მოემართებოდა: ზარზმის მონასტრის მამულს გარეშემომწერნი დიდი „ჭირითა და შრომით დაყოვნებულნი [...] ავიდნენ [...] თავსა მას ხევისასა [...] იხილეს [...] მცირენი რაიმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ“ (აბულაძე 1964: 329). ავტორთა ერთი ნაწილი ასკვნის, რომ აქედან მგზავრებმა მიმართულება სამხრეთით შეიცვალეს, რადგან ეტყობა, ალპური ზონა, რაც იქ იწყებოდა, მონაზვნებს არ აინტერესებდათ, თუმცა ეს მდელოები არსიანის ქედის თხემამდე ჩორჩანის ქვეყანაში შემავალი უნდა ყოფილიყო (სიხარულიძე და *სხვები* 2013).

მიმართულების ასეთი ცვლილება სასულიერო პირთა საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარეობდა და უგზოობასთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში მგზავრობა გოდერძის უღელტეხილზე გასასვლელი გზებითაც შეიძლებოდა. გოდერძისხევის სათავიდან წმ. სერაპიონი და მისი მხლებლები „აღმოსავლით კერძო [...] მიიქცნენ და ტყიანთა რაიმე მაღალთა, ტყიანთა და ღადოიანთა [...] ვიდოდნენ“. როცა მათ ქედის უმაღლეს მწვერვალს – „უმაღლესთა ადგილთა” მიატანეს, წმ. სერაპიონმა მეგზურს, ადგილობრივ მდაბიორს ამ ადგილის სახელი ჰკითხა და მან მეგზურისაგან ასეთი პასუხი მიიღო: „რამეთუ არს შესაკრებელი ნადირთა ველისათა, ბაკთა ეწოდების“. წმ. სერაპიონმა კი „აღიღო ხელითა თვისითა ორთოხი რკინისაჲ და გამოაქანდაკნა ჯვარნი ლოდთა რათმე ზედა დიდდათა“. ვფიქრობთ, გზათა ამ ტოტებში ჩვენ ბეშუმისა და გოდერძის უღელტეხილის გზებიც უნდა მოვიაზროთ, მაგრამ მათ შესახებ ოდნავ განსხვავებულმა დაკვირვებებმა მაინც იჩინა თავი. იური სიხარულიძე, იგორ კეკელია და კახაბერ ქებულაძე ამ ცნობის საფუძველზე მსჯელობენ იმ გზათა მიმართულებების შესახებ, რომელთაც წმ. სერაპიონ ზარზმელი და მისი თანმხლებნი ადგნენ. მათ განიხილეს ხარიტონ ახვლედიანის სტატია და სრულიად მართებულად მასში გარკვეული კორექტივი შეიტანეს. ხარიტონ ახვლედიანი წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ანალიზის საფუძველზე გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ თხზულებაში მოხსენიებული „ბაკთა“ სხალთის ხეობის სათავეში მდებარე სოფელი ბაკოა. ასეთ შეხედულებამდე იგი იმ ჯვრებიან ლოდს მიუყვანია, რომელიც მას ამ სოფლის მდინარისპირა მიდამოებში უნახავს. ეს ჯვრიანი ლოდი ხარიტონ ახვლედიანმა წმ. სერაპიონ ზარზმელის ნახელავად მიიჩნია. იქვე მიუთითა, რომ გიორგი ჩორჩანელსა და წმ. სერაპიონ ზარზმელს ეკლესიის ასაშენებელი ადგილის საძებნელად გზაში – გოდერძის უღელტეხილთან ადგილობრივი მცხოვრები შეხვედრია, სახელად ია. იგი გზის საჩვენებლად წაუყვანიათ, ალბათ, სოფელ თხილვანაში, გოდერძის უღელტეხილიდან გადასულან და იქედან თითქოს ახლანდელი ბაკოს ვაკეზე გასულან, სადაც, როგორც ავტორს მიაჩნდა, ჯვრები ამოუკვეთიათ (ახვლედიანი 1955: 52, 54). ხარიტონ ახვლედიანის ასეთი დაკვირვებები იური სიხარულიძემ, იგორ

კეკელიამ და კახაბერ ქებულაძემ არ გაიზიარეს და არაერთ შეუსაბამობაზე მიუთითეს: 1. ბასილის თხზულებაში საკუთრივ გიორგი ჩორჩანელის „გარეშემოწერაზე“ წასვლის თაობაზე რაიმე ცნობა არ გვხვდება. ხარიტონ ახვლედიანს დიდ მთავარში შეეშალა ის კაცი, რომელიც გიორგი ჩორჩანელმა წმ. სერაპიონ ზარზმელს გააყოლა; 2. ისინი ეკლესიის ასაშენებელ ადგილს კი არ ეძებდნენ, როგორც ეს მკვლევარს ეგონა, არამედ იმ ადგილ-მიდამოს შემოსასაზღვრავად იყვნენ წასულნი, რომელიც მათ ჩორჩანის მთავარმა უბოძა; 3. „ვინმე ია“ მონაზვნებს გოდერძის უღელტეხილთან კი არ შეხვედრია, როგორც ამას მეცნიერი ირწმუნება, არამედ გოდერძისხევის სათავესთან, რომელთა შორის საკმაოდ დიდი მანძილია; 4. გოდერძის უღელტეხილიდან ბაკოში სოფელ თხილვანიდაც შეიძლება მგზავრი მოხვედრილიყო, მაგრამ ბასილ ზარზმელის ცნობების გულდასმითი შესწავლა ამ თვალსაზრისს უარყოფს, კერძოდ, არაა მართებული ვიფიქროთ, რომ მონაზვნებმა ეს გზა თითქოს მაშინ გაიარეს, როცა მათ გოდერძისხევის თავს მიაღწიეს. იური სიხარულიძის, იგორ კეკელიასა და კახაბერ ქებულაძის მიხედვით, მწუხრამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი და ასე „დაყოვნებულთ“ გოდერძის გადასასვლელიდან სხალთის სათავეში გასვლა და შემდეგ თავიანთ სამყოფელში დაბრუნება – მისწრება არ შეეძლოთ. ამასთან, აჭარის ბაკო გოდერძისხევის სამხრეთ-დასავლეთითაა და არა აღმოსავლეთით, როგორც ეს ბასილ ზარზმელის თხზულებაშია მითითებული; 5. არც ადგილმდებარეობით ჰგავს აჭარის ბაკო წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ბაკთას. ეს უკანასკნელი ქედის უმაღლესი ადგილია, ბაკო კი არსიანის კალთაზე – ხიხანის ძირას შეფენილი სოფელია. ავტორთა საბოლოო დასკვნით, წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბაკთა იმ ქედზეა საძიებელი, რომელიც არსიანს ბეშუმის მიდამოებში უცალკავდება და ქვაბლიანისა და შუარტყალის ხეობებს ერთმანეთისაგან ჰყოფს (სიხარულიძე და *სხვები* 2013).

მკვლევრები მსჯელობენ თხზულებაში ნახსენები მთა „თავიშეშეთაის“ შესახებ, რომელიც მონაზონთა მეგზურმა განმარტა როგორც „თავი არს ყოველთა ამათ მაღნართაი“, რომელსაც შეშის-თავი უწოდა და დაახასიათა როგორც „უვალ [არს] კაცთა და პირუტყვთა სიმაღლისა მისისა“ (აბულაძე 1964: 330). შეშის-თავთან მიმართებაში ავტორები, მათი აზრით, დამახინჯებულ ტოპონიმ შაშვიწვერს წარმოგვიდგენენ, რომელსაც ისინი სოფელ ამხერისა და იჯარეთის მიდამოებში ათავსებენ და ამტკიცებენ, რომ მთის - „შაშვიწვერის“ ადგილმდებარეობა იმ მანძილს შეესატყვისება, რაც მონაზვნებს გოდერძისხევის სათავიდან უნდა გაევლოთ (სიხარულიძე 1964: 134). როცა მათ ამ ხევის სათავეს მიაღწიეს, შუადღე გასული იყო, ხოლო როცა ტბასთან მივიდნენ უკვე „მწუხრის“ იდგა და დღე მიდრეკილი იყო. საბოლოოდ იური სიხარულიძე, იგორ კეკელია და კახაბერ ქებულაძე ასკვნიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილთა ლოკალიზებისათვის მწირი მასალები გვაქვს, ერთი რამ ნათელია, იმ დროს ზარზმის სამამულო ქვეყნის საზღვარი სამხრეთით არსიანის ქედის აღმოსავლეთის შტოზე გადიოდა, სადაც ქედზე ჩორჩანის ქვეყნის სამხრეთი მიჯნაცაა საგულვებელი. ამავე ქვეყანაში ქვაბლიანის ზემო წელიც იგულისხმება (სიხარულიძე და *სხვები* 2013). ბასილ ზარზმელის წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ზემოთ წარმოდგენილი ვრცელი მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი დიდი „ქვეყნის“ – ჩორჩანის ფარგლებში და მის გარეთაც ადრე შუა საუკუნეებიდან გზათა ურთიერთდაკავშირებული სისტემა არსებობდა, სადაც ბეშუმისა და გოდერძის უღელტეხილის საგზაო გასასვლელებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ხანგრძლივ და დამქანცველ გზებზე მოგზაურობის პირობებში მექარავნეებს მეგზურები სჭირდებოდათ. ასე იყო საქართველოშიც. მეგზურები საჭირო იყო არა მარტო გზის გასაკვლევად, არამედ უსაფრთხოებისათვისაც. ეს ფაქტი კარგადაა ასახული წმ.სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“. როგორც ცნობილია, წმ. სერაპიონს „ეწადა, რათა ტბაჲ იგი მარჯუნით წარევლოთ [...] და [...] ღელეთა მურ“ წასულიყვნენ, რაც მათ წინ იყო, მაგრამ „ვინმე კაცნი უკეთურნი“ გადაეღობნენ და აიძულეს „დასავლით“ ევლოთ. ამგვარად მათ „თავსა შთასავალსა მას ქედისასა” მიუღწევიათ, იქედან კი „ბაბგენს“, ხოლო შემდეგ „ბობხად“ წოდებულ ადგილს მიდგომიან. ამ დაბაში მცხოვრები გარბანელის

მეგზურობით, ღამით უკან დაბრუნებულან. ასევე, მონაზვნებს ადგილობრივი მცხოვრები სახელად ია შეხვედრიათ. იგი მათ გზის საჩვენებლად წაუყვანიათ (სიხარულიძე და *სხვები* 2013). „უკეთურ კაცთაგან“ ქარავნებზე თავდასხმას – ქარავნის ძარცვას წმ. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ეპოქაშიც ჰქონია ადგილი, რაც, ცხადია, დასჯადი იყო. სისხლის სამართალი მარტო მპარავსა და ქურდს კი არ სჯიდა, არამედ პასუხისმგებლობას ნაპარავის მიმთვისებელსა და შემნახველსაც აკისრებდა (გოგოლიშვილი 2011: 94). ქარავნებზე თავდასხმა განვითარებული შუა საუკუნეების, კერძოდ, XIII საუკუნის სამხრეთ საქართველოშიც არც თუ ისე იშვიათი მოვლენა იყო, რაზეც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 65-ე მუხლიც თვალნათლივ მიუთითებს:

> თუ ქარავანსა ქურდად თავსა ზედა დასხმარა შიგა წაჴდომილი იცნას კაცმან, თუ ესე ფიცოს მან სხვამან, რომე იგი ქურდად არა ყოფილიყოს, თავის მეტს არა ემართლების [...] და თუ ვერ შეფიცოს, რასაც წაჴდომილსა პატრონი იფიცავს, ყველა უზღოს ამან კაცმან [...] თუ თავად კაცი ყოფილიყოს და თავ-ლაშქარი ყოფილიყოს, რაც მისი ალაფისაგან ფიცით მინახვედრებ თქვას, იგიცა ეზღოს უკლებლად (დოლიძე 1953: 316).

შესაძლოა, ბეშუმის ტყიანი ზონის ბინადარნიც იმ დროს ამ გზის მცველები და მექარავნეები ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ნასახლარების მკვიდრნი, ძირითადად, სტრატეგიული მეტალურგიული ცენტრების, მაგისტრალური გზის დაცვითა და სავაჭრო ურთიერთობების საჭიროებათა უზრუნველყოფითაც იფარგლებოდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ გოდერძის არეალში ყოფილა ადგილი, რომელსაც „ჭედელეთი“ ერქვა, სადაც ზოგიერთი მკვლევარი რკინის საბადოების არსებობასაც ვარაუდობს (ჭანტურია 1954: 48-49). ვარაუდობენ იმასაც, რომ ნანგრევების სახით წარმოდგენილი ძეგლები წინაქრისტიანულ ხანას ეკუთვნის, თუმცა ცხადია ისიც, რომ ამ დანგრეული ქალაქის მცხოვრებლებმა ქრისტიანობა ადრევე მიიღეს, რომლის მატერიალურ დასაბუთებად ნაეკლესიარები, არაერთი ქვის ჯვარი გამოდგება (ჭანტურია 1956: 7-9). იმ დროს, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გამომდინარე იქედან, რომ იგი არაბთა მმართველობის გამო უკვე ნაწილობრივ გაუკაცრიელებული იყო, დიდი სამონასტრო მშენებლობები დაიწყო, გაჩაღდა მცირე და დიდ ეკლესიათა აგება (ლორთქიფანიძე 1955: 431-432). ამ დროსვე უნდა აგებულიყო ბეშუმის ტყიან ზონაში ჩვენ მიერ მიკვლეული ეკლესიაც, რომელიც ინტერესს იწვევს შესაბამისი არტეფაქტებით, განსაკუთრებით, ქვაჯვარებით. იმ დროს გოდერძის უღელტეხილის არეალში დათბობის წყალობით დასახლებისათვის და მუდმივი ცხოვრებისათვის კლიმატიც შესაფერისი იყო.

ნამოსახლართა პალინოლოგიური და პალეობოტანიკური კვლევა მრავლისმეტყველია. ველურ მცენარეთა მტვერი როგორც ხეების, ისე ბალახოვნების არსებობაზე მიუთითებს და გვიჩვენებს თუ როგორი იყო იმ დროს გოდერძის უღელტეხილის არეალში გარემოს მცენარეულობა. მოსწორებულ ადგილებზე და მდელოებზე ადამიანს ხორბლეული მოჰყავდა, მაგრამ მთის კალთებზე ტყის მასივები იზრდებოდა, სადაც ნაძვი ჭარბობდა, მეორე დომინანტი – ფიჭვი უნდა ყოფილიყო. სოჭიც იზრდებოდა. ნაპოვნი წიფლის, რცხილას, არყას, თხილისა და მურყნის მტვრის მარცვლები კი იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ფოთლოვანი ტყე საცხოვრისებიდან არც თუ ისე შორს იზრდებოდა. მურყანი, მაგალითად, უფრო ტენიან ხეობებში, ასევე, ღრმა ხეობებში ვრცელდებოდა, რომელიც დაცული იყო ცივი ქარისაგან. აგრეთვე, მიდამოებში არყას, წიფლისა და რცხილას ტყის ფართობები არსებობდა. იქვე ტყის გვიმრა იზრდებოდა, რომლის სპორებიც საველე ნიმუშებში უხვადაა წარმოდგენილი. ნამოსახლართა განათხარ ნაწილში ამოღებული მიწის სინჯების პალინოლოგიური და არქეობატანიკური ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, რაც განსაზღვრული გვარის განსახლების ფარგლებში განხორციელდა, ხის სხვადასხვა ჯიშები, კულტურული სარეველა და ველური მცენარეები იქნა იდენტიფიცირებული, სტანდარტული მეთოდებით დამუშავდა უმაღლესი მცენარეების მტვერი და სპორები.

სხვა წყაროების პარალელურად, პალინოლოგიური სპექტრის მიხედვით, ახ.წ. XI-XIII საუკუნეებში ადამიანი აქ საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე ცხოვრობდა. ამაზე ისეთი სარეველა

მცენარეთა მტვერიც მეტყველებს, როგორიცაა მრავალძარღვა, ავშანი, ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, ასტრა და ბაია. ყველა ჩამოთვლილი მცენარე საცხოვრებელ ეზოებში, ბილიკებსა და გზის პირებზე იზრდებოდა. პალინოლოგიურ სპექტრში ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვრის და ხორბლის ნათესების სარეველა მცენარეთა მტვრის პოვნა ადამიანის არსებობის და მისი მოღვაწეობის ინდიკატორია.

ყანებში ისეთი სარეველა იზრდებოდა, როგორიცაა მატიტელა, ნარი, ნაცარქათამა და ნარშავი. არანაკლები ღირებულებისაა ნამოსახლართა შენობის იატაკზე სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკოს არც თუ ისე მცირე რაოდენობით გამოვლენა, რაც ასევე ადამიანთა ხანგრძლივ ბინადრობაზე მეტყველებს. სათანადო კლიმატის წარმოქმნამ ისეთი სამიწათმოქმედო კულტურის განვითარება განაპირობა, როგორიც მარცვლეულის უძველესი ჯიშები - ფეტვი, ჭვავი და ქერი იყო. მათი მოვლა-პატრონობა ერდო-გვირვინით გამართულ სამოსახლო ბორცვების სახურავზე, ბანზე – მიწით მოსწორებულ მოედნებზე კევრით მარცვლეულის ცეხვას ითვალისწინებდა. ამას ადასტურებს მცენარეული ნარჩენების გამოსავლენად ფლოტაციური მეთოდით ნიადაგის ოთხი ნიმუშის დამუშავება. ორგანული ნარჩენების გაშრობითა და მიკროსკოპის გამოყენებით მცენარეული ნარჩენების ამოკრეფითა და, შესაბამისად, მორფოლოგიურ ნიშანთა კომპლექსით მცენარეთა განამარხებულ ნაყოფთა და თესლთა იდენტიფიკაციით მცენარეულთა რიგი ისეთი სახეობა დადგინდა, რომელთაც ბეშუმის ნამოსახლარების ბინადარნი XI-XIII საუკუნეებში მოიხმარდნენ. ესენია, ხორბალი (Triticum sp.), რბილი ხორბალი (Triticum Aestivum L.), ბარდა (Pisum sp.), ფეტვი (Panicum Miliaceum L.), ოსპი (Lens Culinaris/Lens culinaris Medik), სარეველა ჭვავი (Secale Segetale), კილიანმარცვლიანი ქერი (Hurdeum Vulgare L.), ხოვერა (Galium Spurium L.), ნაცარქათამა (Chenopodium Album L.), კომბოსტურა (Brassica sp.), მჟაუნა (Rumex Acetosa), ფხუწა (Asperula Humifusa), ხვართქლა (Convolvulus Arvensis), ისლი (Carex Leporine), ფუჩფუჩა (Lapsana Communis), თივაქასრა (Poa sp.), მწარა (Chenopodium Album L.), ღოლო (Rumex sp.). აქედან კარგად ჩანს, რომ გოდერძის უღელტეხილის ნამოსახლართა მკვიდრნი განვითარებულ შუა საუკუნეებში კულტურული მცენარეებიდან რბილ ხორბალს (Triticum Aestivum), კილიანმარცვლიან ქერს (Hordeum Vulgare), ფეტვს (Panicum Miliaceum), ოსპსა (Lens Culinaris) და ბარდას (Pisum Sativum) იცნობდნენ (რუსიშვილი 2019: 267-270); (ყვავაძე 2019: 271-273).

პარკოსანი მცენარეებიდან ბარდასა და ოსპის გამოვლენა მნიშვნელოვანი ფაქტია, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ უძველესი ხანიდან სამხრეთ კავკასიაში ისინი უკვე ცნობილნი უნდა ყოფილიყვნენ. საერთოდ, პარკოსნები მცენარეული ცილის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა და ძველი სამყაროს მოსახლეობის საკვებ რაციონში ფართოდ გამოიყენებოდა. ეს სახეობები ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდიდანაა ცნობილი. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ისინი ლობიომ ჩაანაცვლა. საინტერესოა ნიმუშებში სარეველა ჭვავის დაფიქსირება. ჭვავის სამშობლოდ კავკასია არის მიჩნეული. კულტურული ჭვავი შედარებით გვიან, სარეველა ჭვავისაგან ხორბლის ნათესებში წარმოიშვა. ჩვეულებრივ ჭვავი ნათესებში ხორბალს კონკურენციას ვერ უწევდა, ჩრდილოეთის ფერდობებზე და მთიან რეგიონში კი არასაკმარისი სითბოსა და განათების გამო ხორბლის ნათესები ითრგუნებოდა. ჭვავი დაბალ ტემპერატურას კარგად უძლებდა და დომინანტურ მდგომარეობას იკავებდა. მოპოვებულ მასალებში ქერის ნიმუშები რაოდენობრივად ხორბალს, ფეტვსა და პარკოსან მცენარეებს აღემატება.

გოდერძის უღელტეხილის ძველ ბინადართა მაღალ სამიწათმოქმედო კულტურაზე შერეული თესვის წესების სათანადო ფლობაც მეტყველებს. ასეთი ნათესები ორივე კულტურისთვის იყო: ქერი ფესვთა სისტემას კარგად ივითარებდა და ნიადაგის სიღრმიდან წყალს მოიპოვებდა, ხორბალსაც მასში გახსნილი მინერალური და საკვები ნივთიერებებით ამარაგებდა. ასეთი ნათესები უფრო ადრე იღებდა ნაყოფს. მთის მოსახლეობა, სადაც შედარებით მოკლე ზაფხულია, წარსულში თესვის ამ მეთოდს ფართოდ იყენებდა (რუსიშვილი 2019: 267-270); (ყვავაძე 2019: 271-273). საერთოდ,

შერეული თესვის წესები საქართველოში ბოლო პერიოდამდე შემოინახა. უფრო მეტიც, იცოდნენ მიწის დასვენება და მარცვლეული კულტურის წლების მიხედვით შენაცვლებაც. ხორბლისა და ქერის შერეული თესვის შესახებ ცოდნა აჭარის მთის მოსახლეობასაც ჰქონდა. ხდებოდა მიწის დასვენება – შენაცვლებითი თესვა და მარცვლების შერევით თესვაც. მიწის დასვენების და ნიადაგის სტრუქტურის აღდგენის რაციონალური საშუალებანი გოდერძის უღელტეხილის ქვედა სოფლებში ძველთაგანვე გამოიყენებოდა, რომელთაგან ერთი-ერთი კულტურათა თანამონაცვლეობა იყო. მიწის დასვენების მიზნით ძველად სამმინდვრიანი სისტემა იყო წარმოდგენილი და, შესაბამისად, ამ სისტემისათვის თესლის მონაცვლეობაც არ იყო უცხო. თესლთბრუნვა მიწის ხარისხზე იყო დამოკიდებული. საუკეთესო მიწებს ზედიზედ თესავდნენ, მაგრამ მარცვლეულს ცვლიდნენ. მიღებული ტრადიციით, ნაპურალში – სიმინდი, ხოლო ნაქერალში – პური, ასევე, სიმინდი ითესებოდა. ნაპურალსა თუ ნაქერალში ღეროს ძირები, ფესვები და ბალახი ზამთარში ლპებოდა და მიწას ანოყიერებდა (მგელაძე 2013: 143-153). მეზობელი სამცხის – ქვაბლიანის ხეობის მემინდვრეობაშიც თესლშენაცვლება, თესლბრუნვა ძველთაგანვე ყოფილა მიღებული. აქ ორ-სამ წელიწადში ერთხელ პურს სიმინდს და კარტოფილს უნაცვლებდნენ. სიმინდი და კარტოფილი – გაფხეკის გამო სარეველების მოსპობასა და მიწის გაფხვიერებას უწყობდა ხელს. მესხეთის ურწყავ და სათოხნად ვარგის მიწებზე დოლის პურს ქერსაც უნაცვლებდნენ. სარწყავებში შერეული თესლის, ქერისა და დიკას შერევის – „ქერჭრელი“ დათესვის შემთხვევებიც იყო. სიმინდისა და ხორბლის შენაცვლებისას მოჭრილი ძირები მიწაში რჩებოდა, ლპებოდა და ნიადაგს ანოყიერებდა (ბერიაშვილი 1964: 135). პური და სიმინდი მონაცვლეობით საქართველოს სხვა კუთხეებშიც, კერძოდ, რაჭასა და ლეჩხუმშიც ითესებოდა (ბრეგაძე 1959: 88). შერეული თესვის წესები საქართველოში სხვა კუთხეებშიც მიწის დასვენებასა და მარცვლეული კულტურის წლების მიხედვით შენაცვლებას გულისხმობდა. თავის დროზე, არქანჯელო ლამბერტი წერდა, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში „ჩვეულებრივ კარგი მიწა სადაც არის, ასეთ წესს ადგიან: პირველ წელიწადს სთესენ ღომს, მეორეს – ფეტვს (miglio) და მესამეს – პურს. შემდეგ ამისა მიწას სამი თუ ოთხი წლით ასვენებენ“ (ასათიანი 1938: 55).

გოდერძის უღელტეხილის ქვედა ზონის სოფლებში თავდაპირველად ღომი გაზაფხულზე წმინდა სახით ყანებში, ხოლო გასული საუკუნის პირველ მეოთხედში – ბოსტნებში ან წინასწარ შემზადებულ, გაფხვიერებულ ნიადაგში ითესებოდა. იქ, სადაც მესაქონლეობა და მიწათმოქმედება ერთად ვითარდებოდა, ნიადაგი ყველგან ნაკელით ნოყიერდებოდა. ასე იყო ზემო აჭარაში და ზემო აჭარისა და გოდერძის უღელტეხილის მეზობელ სამცხეშიც (ბერიაშვილი 1964: 141). საუღელტეხილო მონაკვეთის ქვედა სოფლებშიც მარცვლეულთა შორის ღომს ყველაზე გრძელი სავეგეტაციო პერიოდი ჰქონდა და მთიან ადგილებში დამწიფებაც უჭირდა. ამიტომაც იყო, რომ მეურნეობიდან ღომი სხვა მარცვლეულმა კულტურებმა ადრიდანვე გამოდევნა. იგი მთიან აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში წამყვან კულტურა აღარ იყო. ერთი ლიტერატურული წყარო გვამცნობს, რომ თურქეთის ქვეშევრდომი ქართველები და მეოტიის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრები მხოლოდ და მხოლოდ ღომით იკვებებაო. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით „პური სამეგრელოში არავის არ შემოაქვს, რადგან მეგრელები ჩვეულებრივ, პურით კი არა, ღომით იკვებებიან“ (ასათიანი 1938: 11, 4-23, 50-51).

აჭარაში ადრე გავრცელებული ღომის სახეობების დადგენა ჭირს. ივანე ჯავახიშვილი საქართველოში ღომის რამდენიმე ჯიშის არსებობის შესახებ მიუთითებდა: „კირჩხელურა“, „ბურჩხა“, „ბაწარა“ და „ჯაშური“ (ჯავახიშვილი 1930: 369). ეთნოგრაფთა შეკრებილი მასალებით, ღორჯომის ხეობაში ღომის შემდეგი სახეობები ფიქსირდება: „ურუშნაირი ღომი“ და „თეთრი წვიტა ღომი“. ღომის გვერდით აჭარის მთიანეთში მნიშვნელოვანი ადგილი პურს, ფეტვსა და ქერს ეჭირა. ღორჯომის მცხოვრებთა სამეურნეო ყოფაში ქერი და პური ერთ-ერთი უძველესი მარცვლეული კულტურა იყო (მგელაძე 2013: 143-153). ეთნოგრაფიული წყაროები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ადრე პური

გვალვიანობის პირობებში დაბალ ადგილებში არ მოდიოდა, რის გამოც ხალხი მთებში ცხოვრობდა და პურსაც იქ თესდა. ამდენად გასაკვირი არაა გოდერძის უღელტეხილის ტერიტორიაზე და ოდნავ ქვედა ზონის სოფლებთან წარსულში პური რომ ითესებოდა.

დადგენილია, რომ უღელტეხილიდან არც თუ ისე შორს, დიდაჭარის თემის მიწებზეც XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე პური და ქერი ითესებოდა და ფეტვსა და ღომთან შედარებით იგი უფრო მაღალმოსავლიანი ყოფილა. მთიან აჭარაში, საკუთრივ კი – ღორჯომის ხეობაში, პური შემოდგომაზე და გაზაფხულზეც ითესებოდა: გაზაფხულზე – „ზაფხულის კაკალი“, ხოლო შემოდგომაზე – „დიკა“. მოსავლიანობით დიკას პირველი აჭარბებდა. ნიკო კეცხოველის დაკვირვებით, დიკა იყო შუამთის ზონისათვის (კეცხოველი 1957: 286), რომელიც ზღვის დონიდან ჩვეულებრივ 1000-დან 2000-სი მეტრის სიმაღლეზე გვხვდებოდა. ღორჯომის ხეობაში მისი ძირითადი სახეობა წითელთავთავიანი მესხური ჯიშის ვარიაცია უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქერისა და ხორბლის თესლი იქ ყოველთვის მესხეთიდან, უმთავრესად – ქვაბლიანიდან გადაჰქონდათ (მგელაძე 2013: 143-153). საერთოდ, გოდერძის უღელტეხილის ქვედა ზოლის სოფლებში მესხური დოლის პურის ვარიაციებიდან „წითელთავიანი ხორბალი“ ყოფილა გავრცელებული. იგი მთის პირობებს საუცხოოდ იყო შეგუებული. საშემოდგომო ჯიშის ამ ხორბალს შედარებით მსხვილი მარცვალი, მკვრივი და მაგარი ღერო ჰქონდა. ხორბალი ზემო აჭარის გრილ და მთიან ადგილებში ითესებოდა, რადგანაც იგი შედარებით დაბალი მთის ჰავის ტემპერატურასა და ნალექების სიჭარბესაც კარგად ეგუებოდა (ლომოური 1946: 151).

ღორჯომის ხეობაში პურეულს ე. წ. „დელიჯი“ ასარევლებდა. მოსახლეობის დაკვირვებით, „დელიჯიანი პური“ მაწყენარი იყო. სარევლიანი ყანა ჯეჯილშივე იმარგლებოდა. იქ, ტოპონიმი „ნაასლევი“ იმის მიმანიშნებელია, რომ წარსულში აქ „ასლი პურიც“ ითესებოდა. შემოდგომაზე ჯერ მიწა მოიხვნებოდა, შემდეგ დათესავდნენ და ზემოდან მიწას ფარცხით გადაუვლიდნენ. დაზამთრებისას ჯეჯილი თოვლის ქვეშ უნდა მოქცეულიყო, რითაც კარგ მოსავალს უზრუნველყოფდნენ (მგელაძე 2013: 143-153).

გოდერძის უღელტეხილის ქვედა ზონის სოფლებში ყანებს ნამგალით მკიდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებიდან თიბვამ ინტენსიური ხასითი მიიღო. პურის თიბვა ივლისის შუა რიცხვებში იწყებოდა. მოთიბულ ყანაში ჯერ პურის ბულულები კეთდებოდა, ხოლო შემდეგ იგი იზვინებოდა. გამომხმარი და გამოქარული პური კალოზე მარხილით, ზოგჯერ, სელით გადაჰქონდათ. პური კარაპანში იყრებოდა. მზეზე გახმობის შემდეგ კი – პურს კევრით კალოზე გალეწავდნენ (ბაქრაძე 1878: 55). საქართველოს მთიანეთში კალო პურეულისათვის ხელოვნურად გასწორებული, დატკეპნილი მოედანი იყო. იგი სახლის წინ, ყანასთან ახლოს ანდა სახლის ბანზე კეთდებოდა (ჩიტაია 1997: 324). ღორჯომის ხეობაში გალეწილ პურს „მერულით“ ჰაერში შეიქნევდნენ იმიტომ, რომ ქარს ბზე მიჰქონდა, ხოლო პური (/ ხორბალი) – ადგილზე რჩებოდა. კალოზე დარჩენილ ხორბალს „ცხავში“ გაატარებდნენ, შემდეგ კი გაცხრილავდნენ და ბეღელის ხაროში ჩაყრიდნენ. ბზე პირუტყვის საკვებად იყო განკუთვნილი და საბძელში ინახებოდა (მგელაძე 2013: 143-153).

საკუთრივ გოდერძის უღელტეხილზე არსებობს კონკრეტული ადგილი – „ბულულასერი“, რაც იქ ოდესღაც პურეულის თესვის ფაქტის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ. „ბულული“ ქართლსა და რაჭაშიც თივის ან გათიბული პურის პატარა ზვინს ნიშნავდა (ჩიტაია 2001ბ: 291). ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარაში ხორბლის გვერდით ადრე ღომი, ოსპი, ფეტვი, ჭვავი, ქერი ითესებოდა. ასე მაგალითად აჭარისწყლის სათავეების, განსაკუთრებით, ღორჯომის ხეობის სოფლების სინამდვილეში ოსპის კულტურის მოყვანის ხსოვნა არავის აღარ აქვს, თუმცა ადგილთა გეოგრაფიული სახელები ოსპის, თუნდაც ფეტვის, ამ და სხვა ხეობაშიც გავრცელებულობის პირდაპირ მანიშნებელია. ადგილთა ამგვარი სახელები სოფლებში არაერთგანაა დამოწმებული, მაგალითად, ფეტვიძირი, ნაოსპარი, ნაოსპისერი, ნაოსპირები, ნაოსპრევი (სიხარულიძე 1958: 47, 82, 92, 111, 115).

ჯავახური სახეობის ფეტვიც იყო ცნობილი. სათეს კულტურებში მნიშვნელოვანი იყო ქერიც.

ქერი არა მარტო სამხრეთ, არამედ მთელ საქართველოში ერთი უძველესი კულტურათაგანი იყო. ის უძველესი ხანიდან მოჰყავდათ. ხორბალთან შედარებით ქერი უფრო დაბალი იზრდებოდა, მოსავალი კი უხვი და ბარაქიანი იცოდა. ეთნოგრაფიული მასალით, გაზაფხულზე ყველაზე ადრე ქერი ითესებოდა. ქერს უმთავრესად სადაც ნოყიერი მიწები იყო, იქ თესდნენ, მაგრამ მაინც სარეველა ბალახი ძალუმად ეკიდებოდა. ნიკო კეცხოველის დაკვირვებით, შუამთისა და მაღალი მთის ნათესებს ჭვავი იმდენად ძლიერად ასარეველებდა, რომ ზოგჯერ ძირეული ნათესი იკარგებოდა (კეცხოველი 1957: 291). სხვა ცნობით, მთის ზედა ზოლში ნათესებში სარეველას შერევის პროცესი უფრო მეტად ჭვავის სასარგებლოდ იხრებოდა და იგი შეუმჩნევლად წმინდა ნათესების მდგომარეობაში გადადიოდა (ლომოური 1946: 270). გოდერძის უღელტეხილის ქვედა სოფლებში, მათ შორის, ღორჯომის ხეობაში უპირატესად ქერი იმიტომ ითესებოდა, რომ იგი ცხენის საკვებად გამოიყენებოდა. ადამიანთა საკვებად ასეთი ქერი უვარგისი ყოფილა. ირკვევა, რომ ქერს საკვებად აჭარელთაგან ის მეკომური გამოიყენებდა, რომელსაც მცირე რაოდენობის ჭირნახული მოსდიოდა და ჯალაბობის გამოკვება უმთავრესად ნაყიდი მარცვლეულით უხდებოდა. ამდენად, ფაქტია, რომ მარცვლეულის, მათ შორის, ხორბლის სახეობათა სიუხვე აქ ჯიშების მრავალფეროვნებასაც გულისხმობს. ამასთან, მარცვლეული კულტურების მრავალსახეობის არსებობა იმის მაუწყებელია, რომ ქართველი ხალხი ხანგრძლივ მუშაობას ეწეოდა ამ დარგში. დადგენილია, რომ ზანდურის, დიკას, იფქლის, დოლის პურის, ასლის, მახას და სხვა მრავალი სახეობის სამშობლო საქართველო იყო (გვრიტიშვილი 1965: 4, 9, 11).

ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის დღემდე დადასტურებული თექვსმეტი ჯიშიდან თერთმეტი ჯიში დიდი სახესხვაობებითაა წარმოდგენილი. ბევრი მათგანი საქართველოსათვის ენდემურია. ამიტომ საქართველოს ხორბლის თავისებურ მუზეუმად შემთხვევით არ მიიჩნევდნენ, სადაც, როგორც ითვლება, კულტურული ხორბლის ევოლუციის საწყისი ჯიშები იყო შემონახული (ჩიტაია 2001ა: 531). ეს ვითარებაც საყურადღებო მინიშნებაა, რადგან სწორედ ამგვარი ეთნოგრაფიული ფაქტების არქეოლოგიურ არტეფაქტებთან შედარების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, მაგალითად, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, განვითარებული შუა საუკუნეების გოდერძის უღელტეხილის – ბეშუმის წიწვოვანი ტყის ბინადართა სამიწათმოქმედო და სამესაქონლეო კულტურასთან დაკავშირებული მეურნეობრივი ცხოვრებისეული ციკლის რეკონსტრუქცია განვახორციელოთ. თუ დავამატებთ იმასაც, რომ ძველ ნამოსახლარებზე აღმოჩენილ მასალებში ქვისაგან ნაკეთები სანაყი და პურის მარცვლის საცეხველი ჩნდება, ასევე, სარწყავი არხებისა და წისქვილების კვალიც შეინიშნება, მაშინ გასაგები ხდება დასახლებაში სტრუქტურულად და ორგანიზაციულად როგორ ჩამოყალიბებულ სამეურნეო სისტემასთან გვქონდა საქმე. ყველაფერს ამას გოდერძის უღელტეხილის განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარებიდან აღებული მიწის ნიმუშების არქეობოტანიკური და პალიონოლოგიური ანალიზიც ადასტურებს. აქედან გასაკვირი არაა გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში საუკუნეების მიღმა ქართველთა წინაპრებს სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული კულტურა რომ ჰქონოდათ, რაც სამხრეთ საქართველოში, მათ შორის, ქვაბლიან-აჭარისწყლის ხეობებს შორის არსებული განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარებზე არქეოლოგიურადაც კიდევ ერთხელ დამოწმდა. ნამოსახლარების განათხარ ადგილებში კულტურული ხორბლეულის ჯიშების ფიტოლიტები და მათი სახამებელი უხვადაა. ხორბლის სახამებლის დიდი რაოდენობა კი ფქვილისა და მისგან დამზადებული პროდუქტის არსებობაზე მეტყველებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ნასახლარის ერთ-ერთი სათავსოს გვერდით კერა და საცხობი თონეა აღმოჩენილი.

ბეშუმის განვითარებული შუა საუკუნეების ბინადარნი საკვებად მაყვალსაც (Rubus fruticosus) მოიხმარდნენ, მაყვალი წიწვოვან ტყეში მაშინ საკმაოდ ყოფილა და ეხლაც ტყეში ბუჩქების სახით სეზონზე მრავლად გვხვდება. სავარაუდოა, ნამოსახლართა ბინადარნი მონადირეებიც ყოფილიყვნენ, განსაკუთრებით, წვრილფეხა ცხოველებზე მონადირენი. ამაზე ნამოსახლართა არქეოლოგიურ ფენებში საშურდულე ქვების მიკვლევაც მეტყველებს. XI-XIII საუკუნეებში აქ არსებული ფაუნა დღევანდელ

გოდერძის უღელტეხილის არეალების ფაუნას ესადაგება. მაგალითად, ფრინველებიდან: შურთხი, როჭო, ტბის გადამფრენი იხვი, ორბი, ყვავი, ყორანი, მიმინო, შაშვი, კოდალა, ოფოფი, შოშია, თეთრი გადამფრენი მერცხალი, ბოლოქანქარა, წითელგულა, ბეღურა, შავი ჩიტი – ქოჩრიანი; დათვი, მგელი, მელა, შველი, კურდღელი, ციყვი; მდინარეში, რომელიც „ჩეგალის“ სახელს ატარებს – კალმახიც არის.

გოდერძის უღელტეხილის განვითარებული შუა საუკუნეების სამოსახლოთა ბინადარნი მიწათმოქმედების პარალელურად მესაქონლეობასაც მისდევდნენ, ამას პალინოლოგიურ სპექტრში იმ სოკოს სპორები მოწმობს, რომელიც მცოხნელთა და ჩლიქოსნების ნაკელზე იზრდებოდა. ესენი იყო სოკო სორდარია, პოდოსპორა, ცერკოპჰორა და ჰაეტომიუმი (რუსიშვილი 2019: 267-270); (ყვავაძე 2019: 271-273).

სამცხეში – ქვაბლიანის ხეობასა და ზემო აჭარაში მემინდვრეობა და მესაქონლეობა ერთდროულად ვითარდებოდა თუმცა პრიორიტეტული მსხვილფეხა მეცხოველეობა იყო. მეურნეობის ეს დარგი მთიან აჭარაში თავისებური სახით იყო წარმოდგენილი. მესაქონლეობის ამ ტიპის ჩამოყალიბებაზე გავლენა არა მარტო ზოგადად გარემომ, რელიეფმა და მცენარეულმა საფარმა, არამედ კლიმატმა და ძირითადმა და დამხმარე სამეურნეო ბაზებმაც მოახდინეს. ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების ხელშეწყობით საიალაღო – ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა ვითარდებოდა. მოსახლეობა მსხვილფეხა პირუტყვის – ძროხისა და კამეჩის მოშენებასთან ერთად მეთხეობასა და მეცხვარეობასაც მისდევდა. მესაქონლეობის ეს თავისებურება დასახლების ფორმათა სისტემაში და საკარმიდამო კომპლექსის ორგანიზაციაშიც აისახებოდა. საკარმიდამო კომპლექსი თანაბრად მესაქონლეობა-მემინდვრეობის ყველა ელემენტს აერთიანებდა. ადგილობრივი მოსახლეობა შინაური პირუტყვის ყოლაში ოჯახის რჩენის წყაროს ხედავდა და ამიტომაც პირუტყვის მოშენება-გამრავლებასა და გამოკვებაზეც ყოველდღიურად ზრუნავდა. აჭარის მაღალმთიან ხეობებში მესაქონლეობის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელიც იყო.

როგორც აღინიშნა, არქეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ძველ ნამოსახლარებზეც განვითარებული უნდა ყოფილიყო როგორც მესაქონლეობა, ისე მიწათმოქმედება, სადაც რბილი ხორბალი და ქერი ითესებოდა. ქერი და ხორბალი ნამოსახლარებიდან აღებულ ნიმუშებში ერთად არის დაფიქსირებული და ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, იქ შერეულ თესვასაც ჰქონოდა ადგილი. პარკოსანი მცენარეებიდან ნამოსახლარის ბინადარნი ოსპსა და ბარდას მოიხმარდნენ. ადგილობრივ მიწათმოქმედებას, ასევე, სარეველა ჭვავის და სარეველა მცენარეთა ფართო ასორტიმენტის გამოვლენა ადასტურებს.

ამდენად, ბეშუმის ნაქალაქარი, რომელიც მოიცავს სამ ბორცვს, რომელიც სავარაუდოდ, XI-XIII საუკუნეების ძეგლია, სამხრეთ საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული.

დამოწმებანი

აბულაძე 1964: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,*(V-XI სს), წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი.

ასათიანი 1938: *არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა*, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და კომენტარებით, თბილისი.

ახვლედიანი 1955: ხ. ახვლედიანი. ხიხანის ციხის და ეკლესიის შესახებ, *ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში*, ბათუმი.

ბერიაშვილი 1964: ლ. ბერიაშვილი. მემინდვრეობის ხალხური წესები მესხეთში, *საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები*, თბილისი.

ბერძენიშვილი 1964: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი I, თბილისი.

ბერძენიშვილი 1966: ნ. ბერძენიშვილი. *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, თბილისი.

ბერძენიშვილი 2004: დ. ბერძენიშვილი. *წმინდა ანდრია მოციქულის ნაკვალევი საქართველოში, ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში*, თბილისი.

ბრეგაძე 1959: ნ. ბრეგაძე. რაჭა-ლეჩხუმის მივლინების ანგარიში, *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, X, თბილისი.

გვრიტიშვილი 1965: დ. გვრიტიშვილი. *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს)*, ტ., II, თბილისი.

გოგოლიშვილი 2011: ო. გოგოლიშვილი. *საქართველოს სამართლის ისტორია (სალექციო კურსი)*, ბათუმი.

გოილაძე 2015: ვ. გოილაძე. *ანდრია პირველწოდებულის მიერ მისიონერული მოღვაწეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში*, თბილისი.

გრიგოლია 2007: გ. გრიგოლია. ქვის ხანა აჭარის აჭარის: ქვედა პალეოლითური ძეგლი აჭარის მაღალმთიანეთში, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა,* (უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე), ტ., I, თბილისი.

დოლიძე 1953: ი. დოლიძე. *ძველი ქართული სამართალი*, თბილისი.

ვარშანიძე 1979: შ. ვარშანიძე. *გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში*, ბათუმი.

კეცხოველი 1957: ნ. კეცხოველი. *კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში*, თბილისი.

ლომოური 1946: ი. ლომოური. *მარცვლეული კულტურები*, თბილისი.

ლომოური, ბერძენიშვილი 1941: *ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1955: მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ., I, თბილისი.

მამულაძე 1991: შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ჭვანის ციხე), *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები*, XIX, თბილისი.

მამულაძე 1993: შ. მამულაძე. *აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები*, ბათუმი.

მგელაძე 1963: ვ. მგელაძე. მესხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, სოფელი უდე (ქვაბლიანის ხეობა), ავტორის პირადი საოჯახო არქივი.

მგელაძე 1973: ვ. მგელაძე. *ზემო აჭარული სოფელი ძველად*, ბათუმი.

მგელაძე 2013: ვ. მგელაძე. სამიწათმოქმედო კულტურის საკითხები აჭარაში, *ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმის მაცნე*, VI, ბათუმი.

მგელაძე 1998: ნ. მგელაძე. ჯვრის გამოსახულებიანი ქვის სტელა გოდერძის უღელტეხილიდან, *ჯვარი ვაზისა*, 1, თბილისი.

მგელაძე 1999: ნ. მგელაძე. ქვა-ჯვარი გოდერძის უღელტეხილიდან, *ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, III, ბათუმი.

მგელაძე, ფაღავა 1999: ანდრია პირველწოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები აჭარაში, *ლიტერატურული აჭარა*, №3, ბათუმი.

მგელაძე 2000: ნ. მგელაძე. ოძრხეს საერისთაოს მოქცევა და ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში, ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი, თბილისი.

მგელაძე, ნარიმანიშვილი 2002: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი. გოდერძის უღელტეხილის ძველი ნამოსახლარები, *ჯავახეთი*, ტ., I, ახალციხე.

მგელაძე, ნარიმანიშვილი 2007: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი. აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ, *იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი)*, 3, თბილისი.

მგელაძე, ქურდიანი 2008: ნ. მგელაძე, მ. ქურდიანი. ანდრია პირველწოდებული და პირველი სამოციქულო ეკლესიის მშენებლობის ისტორია საქართველოში, *წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზით (სამეცნიერო კონფერენციის მასალები)*, ხულო.

მგელაძე, ტუნაძე 2014: ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. სიახლეები ქართული ეკლესიის ისტორიაში (გოდერძის უღელტეხილის – ბეშუმის ნაეკლესიარი), *ჩვენი სულიერების ბალავარი*, VI, თბილისი.

მგელაძე და *სხვები* 2019: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი, მ. ხალვაში, თ. ტუნაძე, ნ. შანშაშვილი, კ. ქამადაძე, ს. ოქროპირიძე. *გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია*, ბათუმი.

ნარიმანიშვილი, **მგელაძე 2011**: გ. ნარიმანაშვილი, ნ. მგელაძე. აჭარისწყლის ხეობა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების სისტემაში, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, II, ბათუმი.

ჟორდანია 1897: თ. ჟორდანია. *ქრინიკები,* ტ., II, ტფილისი.

რუსიძე 1957: შ. რუსიძე. დარჩიძეებისა და შუახევის ციხე-სიმაგრეები, *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები*, ტ., II, ბათუმი.

რუსიშვილი 2019: ნ. რუსიშვილი. „ნაქალაქარის" მეორე ბორცვის არქეობოტანიკური იდენტიფიკაციის შედეგები, გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია (კოლექტიური მონოგრაფია. ავტორები: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი, მ. ხალვაში, თ. ტუნაძე, ნ. შანშაშვილი, კ. ქამადაძე, ს. ოქროპირიძე), ბათუმი.

სიხარულიძე 1958: ი. სიხარულიძე. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა*, წიგნი I, ბათუმი.

სიხარულიძე 1962: ი. სიხარულიძე. *აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები*, ბათუმი.

სიხარულიძე 1963: ი. სიხარულიძე. ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები, IX-X სს. არაბული წყაროების მიხედვით, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი.

სიხარულიძე 1964: ი. სიხარულიძე. მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, II, თბილისი.

სიხარულიძე და *სხვები* 2013: ი. სიხარულიძე, ი. კეკელია, კ. ქებულაძე. ჩორჩანის ქვეყანა და გიორგი ჩორჩანელი, *ქუთაისის* სამეცნიერო *ბიბლიოთეკის დაარსების 140 წლისთავსიდამი მიძღვნილი წელიწდეული,* ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ქუთაისი.

სურმანიძე 1975: რ. სურმანიძე. *ბეშუმი*, ბათუმი.

ყაზბეგი 1960: გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, *გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ*, ბათუმი.

ყვავაძე 2019: ე. ყვავაძე. „ნაქალაქარ I-ის" მეორე ბორცვზე მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევის წინასწარი შედეგები, გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია (კოლექტიური მონოგრაფია. ავტორები: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი, მ. ხალვაში, თ. ტუნაძე, ნ. შანშაშვილი, კ. ქამადაძე, ს. ოქროპირიძე), ბათუმი.

შარაშენიძე 1982: ლ. შარაშენიძე. მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, *ძეგლის მეგობარი*, №59, თბილისი.

ჩიტაია 1997: გ. ჩიტაია. გლეხის სახლი ქვაბლიანში (დარბაზული ტიპი), *ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა*, *შრომები*, I, თბილისი.

ჩიტაია 2001ა: გ. ჩიტაია. XX ს., ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია, *შრომები*, ტ., III, თბილისი.

ჩიტაია 2001ბ: გ. ჩიტაია. საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, *შრომები*, ტ., IV, თბილისი.

ჩიქოვანი 1967: თ. ჩიქოვანი. *ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან*, თბილისი.

ჩიქოვანი 1989: თ. ჩიქოვანი. *ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები*, თბილისი.

ჭანტურია 1954: ვ. ვ. ჭანტურია. გოდერძის მიდამოებში ერთი, დღემდე უცნობი „ნაქალაქევად" წოდებული განსაკუთრებული ნამოსახლარის შესახებ, *საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა VI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები*, ქუთაისი.

ჭანტურია 1956: В. Д. Чантурия. *Просвещение в Аджарии*, Батуми.

ხალვაში 2011: რ. ხალვაში. *ანდრია პირველწოდებული საქართველოში*, ბათუმი.

ჯავახიშვილი 1930: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიური ისტორია*, წიგნი I, თბილისი.

ჯანელიძე 2015: თ. ჯანელიძე. 15 მილიონი წლის წინანდელი ტყე ქვაში (მასალა მომზადებულია თედო ჯორბენაძის მიერ), *ბათუმელები,* ვებ-გვერდი: netgazeti.ge და batumelebi.ge (ნანახია: 26. 09. 2015).



სურ. 1.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის რეკონსტრუქცია ბორცვზე გამავალი გზით, მიწისქვეშა საცხოვრებლებითა და სამეურნეო ნაგებობებით. რეკონსტრუქცია გოდერძი ნარიმანიშვილისა, 2018 წელი



სურ. 2.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის რეკონსტრუქცია ბორცვზე გამავალი გზით, მიწისქვეშა საცხოვრებლებითა და სამეურნეო ნაგებობებით. რეკონსტრუქცია გოგი ტატიშვილისა, 2019 წელი



სურ. 3.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის სამოსახლოს ფრაგმენტი მიწაზე დაძერწილი კერით



სურ. 4.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №1 ბორცვის ერთ-ერთ სამოსახლო ოთახში მიწაზე დაძერწილი წრიული კერა



სურ. 5.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის ერთ-ერთი სამყოფი ოთახის კერა-თონეები



სურ. 6.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის სამოსახლოს ფრაგმენტი მიწაზე დაძერწილი კერითა და თონით



სურ. 7.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №1 ბორცვის სამოსახლო ოთახის კონსტრუქცია და გადახურვის სისტემა



სურ. 8.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის ერთ-ერთი კედლის სათავსო



სურ. 9.
ბეშუმის ნამოსახლარების - ნაქალაქარის №2 ბორცვის ერთ-ერთი კედლის სათავსო

SETTLEMENTS AROUND THE GODERDZI PASS IN MIDDLE AGES (BULDINGS, FARMING TYPES, LIFESTYLE OF THE POPULACE)

Nugzar Mgeladze
Goderdzi Narimanishvili

Goderdzi pass is one of the crossroads of Arsiani Mountain System in Georgia, a key location of the buffer zone between Samtskhe and Adjara territorial-ethnographic groups. The settlements and cultural artefacts of different periods traced around Goderdzi pass are clear evidence of the above-mentioned. Beshumi is especially distinguished in the area of Goderdzi pass. In the river basins of the Beshumi forest massif, on the hills of the rivers, there settlements and groups of settlements of different times and different types are presented. In Beshumi zone of Goderdzi pass, where chronologically different settlements and traces of old human life are observed, especially the settlements of the XI-XIII centuries should be distinguished. These types of settlements are located on the riverbanks and are a complex of buildings of different shapes and sizes.

The settlements were cultivated on terraces and slopes at the rivers near Beshumi forest zone. Each settlement was mostly a group of one or more dwellings built of monolithic stones. Thus, these types of settlements may have included one or several houses. Under the common roof, several generations and many families must have lived. They were connected to each other by the common farm and socially regulated lifestyle, and a cult service. Therefore, socio-religious ties were also felt among the settlements on the slopes, which were often carried out by interconnected paved roads. Usually the roads passed through the square in the central part of the settlement. A close group of such settlements looked like a community settlement; however, it must not have been a typical village, but rather a unity of hill-dwelling settlements interconnected over a large area.

On one side of this type of hill, several generations had to live in a separate residential complex, housing about fifteen people. Other buildings around the hill, which belonged to unmarried or already married couples separated from one house - families, were to have about the same number of people, which together numbered up to fifty people on one hill. Neighboring hills may have been populated by similarly localized, possibly related, groups. In general, one large localized genus was formed in the form of several hills in the common area, which was hierarchically divided into several genealogical segments. Each such segment - a genealogical union lived around its particular hill. Such a group of relatives of the common and closest ancestor, localized around the hill, had a collective sense of danger and security, group responsibility for defense and attack, commitment to labor assistance, rights and responsibilities at the funeral, marriage, family formation, and childbirth and during a funeral ritual.

The findings of archaeobotanical and paleontological analysis also clearly show that both old livestock and farming, where soft wheat and barley were sown, must have been developed in the old settlement. Barley and wheat are recorded together in samples taken from settlements, and given the vertical zoning, it is possible that mixed sowing took place there. The inhabitants of the settlement consumed lentils and peas from legumes. Local farming is also evidenced by discovery of a wide range of weeds. Based on ethno-archaeological research, it can be concluded that the end of the Beshumi forest massif, formed on the river hills and semi-end - residential complexes built of underground monolithic stone boulders were located in the permanent residence of the local population where the social, religious, and economic cycles of life in all sections of the year were of a full traditional nature.

რუსეთის პოლიტიკური თამაში სოლომონ I-თან და კაპიტან შტედერის მისია იმერეთში

დავით მერკვილაძე

როგორც ცნობილია, მიუხედავად სოლომონ I-ის გამოკვეთილი ანტიოსმალური ორიენტაციისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა თავი შეიკავა იმერეთის მფარველობაში მიღებისაგან. თავშეკავების მიზეზად ოსმალეთთან დადებულ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება სახელდებოდა (მერკვილაძე 2017/2018: 148); (დუბროვინი 1886: 55). აღნიშნული შეთანხმება რუსეთმა ყირიმის სახანოს დაუფლებით ერთხელ მანამდე საკმარისად შელახა, მაგრამ ყირიმის ანექსიის შემდეგ, პორტას მოთმინების ფიალა საშიშ დონემდე რომ აღარ ავსებულიყო, ამავე ხელშეკრულებით ფორმალურად ოსმალეთის გავლენის სფეროში აღიარებულ იმერეთის სამეფოსთან ოფიციალური მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმება რუსეთში უფრო ხელსაყრელი მომავლისათვის გადადეს (მერკვილაძე 2018: 113-114); (მერკვილაძე 2019: 30). რუსეთში ამჯერად იმითაც ძალიან კმაყოფილი იქნებოდნენ, თუ მათ მიერ ყირიმისა და ყუბანისპირეთის შეერთებას ოსმალეთი ფაქტობრივად „გადაყლაპავდა“ (მერკვილაძე 2018: 111). სამხრეთ კავკასიის გამო კი თავის ტრადიციულ სამხრეთელ მეტოქესთან ომისათვის რუსეთი იმხანად ჯერ მზად არ იყო. თუმცა იქ არასასურველი, მაგრამ მოსალოდნელი ომისათვის თადარიგს მაინც იჭერდნენ.

ამის მიუხედავად, რუსეთის იმპერიის მესვეურნი დასავლეთ საქართველოში თავის პოლიტიკურ გავლენას გულმოდგინედ უფრთხილდებოდნენ. ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადების შემთხვევაში იმერეთის მეფის ჯარს, ქართლ-კახეთის ჯართან ერთად, ოსმალთა წინააღმდეგ თავიანთ სასარგებლოდ აბრძოლებდნენ და ამით მოწინააღმდეგეს დამატებით თავსატეხს გაუჩენდნენ (მარკოვა 1966: 192). სოლომონ I-ის მფარველობაში მიღების თხოვნაზე გაცემული უარის გამო რუსეთის მთავრობაში ფრთხილობდნენ, რომ მეფის პოლიტიკური სიმპათიები ოსმალეთისაკენ არ გადახრილიყო. მით უფრო, როცა რუსეთთან ომის ზღვარზე მდგარი სულთნის კარი ყოველ ღონეს ხმარობდა, იმერეთის მეფესთან ურთიერთობები მაქსიმალურად დაეთბო.

პ. პოტიომკინი შეშფოთებული იყო მეფის კარზე ოსმალური დიპლომატიის გააქტიურების შესახებ მისი ჯაშუშების მიერ იმერეთიდან მოწოდებული ცნობებით. იგი უკვე ხედავდა სასწრაფო ზომების მიღების საჭიროებას, რომ სოლომონთან ურთიერთობის ინიციატივა არ გადასულიყო ოსმალების ხელში. ნიშანდობლივია, რომ 6 სექტემბერს, იმავე დღეს, როგორც კი მეფე სოლომონის წერილი მიიღო, პ. პოტიომკინმა იმერეთის მეფესთან გააგზავნა დივიზიონის კვარტერმეისტერი კაპიტანი ლეონ ფონ შტედერი (მაჭარაძე 1968: 69, 71).

აღსანიშნავია, რომ შტედერის აღნიშნული მისია საერთოდ ამოვარდნილია XIX ს-ის რუს ისტორიკოს ნ. დუბროვინთან. იგი აღნიშნავს, რომ, როცა სოლომონ I ერეკლე II რუსეთის მფარველობაში მიღების ამბავი შეიტყო და თვითონაც იმავე საფუძველზე მოითხოვა მფარველობაში მიღება, პ. პოტიომკინმა მას გაუგზავნა საჩუქრები და შესთავაზა რწმუნებით აღჭურვილი პირი გამოეგზავნა, ვისაც ქვეშევრდომობის პირობებზე დაელაპარაკებოდა. მაგრამ შემდეგ იგი ასეთი რწმუნებულის გაგზავნას აღარ დალოდებია და საქართველოში მომავალ პოლკ. ტომარასთვის დაუვალებია, რომ თბილისში საქმის მოგვარების შემდეგ ქუთაისში ჩასულიყო იმერეთის მეფესთან (დუბროვინი 1886: 55-56). შტედერის მისიის უგულებელყოფასთან ერთად სხვადასხვა დროს მომხდარი მოვლენები აქ გარკვეულწილად აღრეულიცაა ერთმანეთში. იმერეთში ვ. ტომარას მოგვიანებით შემდგარ ამ მეორე მისიის შესახებ სხვაგან გვექნება საუბარი. რაც შეეხება პოტიომკინის მიერ საჩუქრებისა და წერილის გაგზავნას, დუბროვინი

ამას 24 სექტემბრით ათარიღებს (დუბროვინი 1886: 56, შენ. 1). მაგრამ მის მიერ დასახელებული საჩუქრები (ინგლისური ოქროს საათი, სათუთუნე, ბეწვეული, ქაღალდები, კალენდარი და ა.შ.), პოტიომკინმა გააგზავნა 31 ივლისს, როცა სოლომონ მეფეს ერეკლე II-სთან ტრაქტატის დადების ამბავს ატყობინებდა (მერკვილაძე 2019: 22, შენ.1); შდრ. (დოკუმენტები 2014: 220-221) და არა სოლომონ I-ის საპასუხო წერილის შემდეგ. ხოლო რწმუნებულის გაგზავნის შეთავაზება მეფესთან 7 სექტემბერს უკვე მიწერილი ჰქონდა. ამის თაობაზე ზემოაღნიშნული დღით დათარიღებულ წერილში პ. პოტიომკინი აცნობებდა გრ. პოტიომკინს (მაჭარაძე 1968: 68). ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ სანდო პირის გაგზავნის შეთავაზების შესახებ წერილს კავკასიის ჯარის სარდალი წინა დღით, 6 სექტემბერს გაატანდა იმერეთში კაპიტან შტედერს.[1]

მეორე მხრივ, პ. პოტიომკინმა მითითებები გაუგზავნა თბილისში მყოფ რუსეთის რწმუნებულს. ბურნაშევს, რათა მას თავისი ადგილსამყოფელი მცირე ხნით იმერეთში გადაეტანა, ვინაიდან, როგორც კავკასიის ხაზის სარდლისათვის შეუტყობინებიათ, თურქები ხშირ და მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ სოლომონთან და ცდილობდნენ მეფის მიმხრობას. პ. პოტიომკინი აღნიშნავდა, რომ იმერეთის მეფის გულწრფელობისა და სიჯიუტის გათვალისწინებით, მეფე ერეკლესთან ტრაქტატის დადებას შეიძლებოდა სოლომონ მეფის იმედგაცრუება მოჰყოლოდა ან შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. თვითონ კავკასიის ხაზის სარდალი კი ვერ დაუშვებდა, რომ ამის გამო იმერეთის მეფეს პოლიტიკური ორჭოფობა დაეწყო. ხოლო ვინაიდან ბურნაშევი სოლომონთან ყველაზე ახლო მანძილზე იმყოფებოდა, მას ყველა ღონე უნდა ეხმარა მეფის მიმართ თურქების გეგმების დასამსხვრევად (მაჭარაძე 1968: 68).

რუსეთის ხელისუფლების პოზიცია იმერეთის სამეფოს მიმართ ნათლად იკვეთება პ. პოტიომკინის 7 სექტემბრის ზემოდასახელებულ წერილში გრ. პოტიომკინისადმი: „თქვენი 3 აპრილის მითითების შესაბამისად ძალ-ღონე არ დამიზოგავს, რომ სოლომონ მეფე რუსეთის მფარველობაში შესასვლელად წამექეზებინა, მაგრამ ცდა რად მინდოდა, როცა თვითონ სოლომონიც ამ საქმის დიდი მოსურნეა“ (მაჭარაძე 1968: 68).

კავკასიის ხაზის სარდალს ასევე აინტერესებდა, რამდენად იძლეოდა არსებული პოლიტიკური ვითარება ამ აქტის განხორციელების საშუალებას. განაწყენებულ სოლომონს რუსებზე გული რომ არ აეყარა, პ. პოტიომკინს მისთვის მიუწერია მასთან წარმომადგენელის გამოგზავნის შეთავაზების შესახებ და ამიტომ მეფის წარმომადგენლის მოსვლამდე ითხოვდა საკითხში გარკვევას, რათა შესაბამისად ემოქმედა.

ამ წერილიდან ცხადი ხდება, რომ პ. პოტიომკინს სოლომონისათვის ხელშეკრულების პირობებზე წარმომადგენლის გამოშვების შეთავაზების რწმუნება არ ჰქონია (მაჭარაძე 1968: 80). როცა ამ ნაბიჯს დგამდა, მას იმერეთთან მსგავსი ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილების შესახებ არც შესაბამისი ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული პეტერბურგიდან. მაგრამ გენერალ-პორუჩიკი შიშობდა, რომ იმერეთის სამეფო კარზე ოსმალურ დიპლომატიურ აქტიურობას ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებისა და იმერეთთან ასეთი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის პირობებში, გასაკვირი არ იქნებოდა, რუსეთზე გულაცრუებული სოლომონ მეფე ოსმალებს თავის მხარეზე გადაეხარათ. ამიტომ ამ გზით იგი ოსმალური დიპლომატიისათვის ინიციატივის წართმევას ლამობდა. პ. პოტიომკინი ამ ნაბიჯით სოლომონს უქმნიდა წარმოდგენას, თითქოს მის თხოვნას აკმაყოფილებდა მფარველობაში მიღების საკითხზე მოლაპარაკებების წარმოების დასაწყებად რუსეთში მეფის წარმომადგენლის გაგზავნის თაობაზე, ვინაიდან მორიგი პირდაპირი უარი შეიძლებოდა რუსეთს იმერეთის დაკარგვის ფასად დაჯდომოდა. ამიტომ აღნიშნული ყალბი აქტიურობით მეფეს რუსეთის მხარდაჭერის ცრუ იმედებს რომ უღვივებდა, პ. პოტიომკინი არაფერს კარგავდა და მხოლოდ დროის მოგებას ცდილობდა. დრო კი არ ითმენდა. სანამ ჩრდილო კავკასიიდან მისი გაგზავნილი საგანგაშო სიგნალი პეტერბურგში ჩააღწევდა და შემდეგ იქიდან სათანადო მითითებებს მიიღებდა, შეიძლებოდა

ძალიან გვიანი ყოფილიყო. ამიტომ ჯერ შტედერი გააგზავნა საგანგებო დავალებით და მეორე დღეს, უკვე პოსტ ფაქტუმ – პატაკი გრ. პოტიომკინთან, რათა ახალი სამოქმედო გეგმის მიღება მოესწრო, სანამ სოლომონის წარმომადგენელი გეორგიევსკში მის რეზიდენციას მიადგებოდა.

პ. პოტიომკინისაგან მიღებული უწყების საფუძველზე 13 ოქტომბერს გ. პოტიომკინი ეკატერინე II-ს აცნობებდა სოლომონ I-ის მიერ „უზენაესი პროტექციის“ თაობაზე თხოვნის განახლების ამბავს და უმატებდა, რომ ამის გამო მას პ. პოტიომკინისათვის დაუვალებია, განეგრძო მეფესთან მიწერ-მოწერა და ეზრუნა რუსეთის მიმართ მისი უეჭველი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად (მარკოვა 1966: 193). მაშასადამე, პ. პოტიომკინს, ზემოდან მიღებული მითითებით, სოლომონ I ხშირი კორესპოდენციებით უნდა შეეყოლიებინა და, ამგვარად, იგი „მოკლეზე დაება“, რათა რუსებზე განაწყენებული მეფე ოსმალებისკენ არ შეტრიალებულიყო.

მოვლენებს ცოტა გავუსწრებ და აქვე აღვნიშნავ, რომ რუს მოხელეთა შიში სოლომონ I ორიენტაციის შესაძლო ცვალებადობისადმი იმის შემდეგაც გაგრძელდა, რაც იმერეთის მეფის კეთილგანწყობა რუსეთის მიმართ სხვადასხვა ცნობებით უცილობლად დადასტურდა. ასე მაგალითად, დეკემბრის დასაწყისში მიღებული შტედერის მოხსენებით კვლავ დადასტურდა სოლომონ I-ის „ერთგულება იმპერატორის ტახტისადმი“, მაგრამ პ. პოტიომკინს ეს დამშვიდების საფუძველს მაინც არ აძლევდა: მას აცნობეს, რომ მეფე სოლომონს ოსმალეთიდან ჩამოსული ელჩებიც კეთილად გაუსტუმრებია. მეფის ზოგიერთი მოხელის რუსებისადმი არაკეთილგანწყობილებისა და დადიან-გურიელის მერყეობის, ვაითუ სოლომონი „თურქების ცრუ დაპირებებს წამოგებოდა“, გენერალ-პორუჩიკი კვლავ ავალებდა პოლკოვნიკ ბურნაშევს, გადაბარგებულიყო ქუთაისში, სადაც ძალზე საჭირო იყო ამ დროს მისი ყოფნა. რუს რეზიდენტს სოლომონისათვის უნდა აეხსნა, რაოდენი „სარგებელი“ ნახა ერეკლემ რუსეთთან „მეგობრობით“ და ამ გზით იმერეთის მეფეში „მოშურნეობა გაეღვიძებინა“; ასევე ცდილიყო, გადმოებირებინა ყველა გავლენიანი თავადი, რომელიც ეჭვის თვალით უცქერდა რუსეთისადმი ერთგულებას, ხოლო მფარველობით დაეიმედებინა ის დიდებულნი, ვინც ისედაც ამჟღავნებდნენ იმპერიისადმი ერთგულებას. „ერთი სიტყვით, ამჟამინდელი მდგომარეობა, – წერდა ბოლოს პ. პოტიომკინი, – ითხოვს უზუსტეს ყურადღებას, რათა ერთი უმცირესი შემთხვევაც კი არ გამოგრჩეთ, სადაც თურქები განიზრახავენ, ჩვენგან მეფე სოლომონის წართმევის მცდელობას“ (მაჭარაძე 1968: 76-77).

პ. პოტიომკინი უკვე ისედაც გეგმავდა, სოლომონ I და მის დიპლომატიურ ურთიერთობებზე მუდმივი კონტროლი ჰქონოდა. თუ აქამდე იმერეთის მეფესთან ურთიერთობის დამყარება ქართლის გავლით ხდებოდა, ახლა საჭიროდ ჩაითვალა ახალი გზის გაკვალვა კავკასიის ხაზიდან პირდაპირ იმერეთისაკენ. ამიტომაც გეორგიევსკიდან გამომგზავრებული შტედერი ამ გზის დასაზვერად ალაგირიდან მდ. არდონს ამოუყვა ნარისაკენ (ისტორიულ დვალეთის მხარეში) და მამისონის უღელტეხილით გადმოვიდა რაჭაში, სოფ. გლოლაში. პ. ბუტკოვის სიტყვით, გლოლა მდ. რიონზე მდებარეობს, რომლის სათავე ახლოსაა არდონის სათავესთან (ბუტკოვი 1869: 136). მაგრამ მამისონით შტედერი გადმოვიდოდა მდ. ჭანჭახის ხეობაში, რომელიც რიონის მარცხენა შენაკადია და რომლის ნაპირზეცაა სინამდვილეში გაშენებული სოფ. გლოლა. შემდეგ აქედან უწერა-ონის გავლით შტედერი ჩასულა ქუთაისში (მაჭარაძე 1968: 76-77).

თავის მხრივ, ს. ბურნაშევმა თბილისიდან იმერეთში გაუშვა მთარგმნელი ტამაზინი (თამაზინი). ის იმერეთის სამეფო კარზე არსებულ ვითარებას უნდა გასცნობოდა და ამის თაობაზე ბურნაშევისათვის უნდა მოეხსენებინა.

შტედერსა და ტამაზინს სოლომონ მეფე მძიმედ ავად დახვედრიათ ლომსიათხევში (მხარე იმერეთში, დღევანდელ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში). მეფის ავადობა იმდენად გართულებული ყოფილა, რომ მის კარზე შიშობდნენ, რომ შეიძლებოდა, იგი დღე-დღეზე გარდაცვლილიყო. აკი შტედერისათვის უთქვამთ კიდეც: ის ან მეფის ავადობის შემსუბუქებას უნდა დალოდებოდა, ან მის გარდაცვალებას. შტედერისავე გადმოცემით, გამოჯანმრთელების იმედი აღარც სოლომონს ჰქონია:

მეფეს იგი თავისთან მოუხმია სამეფოს დიდებულთათვის, უბრძანებია, საწოლთან მიეტანათ მისი ხმალ-იარაღი, რომელსაც ცრემლმორეული მთხვევია და ყველა რუსეთის ერთგულებაზე დაუფიცებია. შემდეგ მეფე გამომშვიდობებია ყველა იქ შეკრებილთ, ამ უკანასკნელთა მოთქმა-ტირილის თანხლებით (მაჭარაძე 1968: 74-75).

შტედერს ლომსიათხევში 15 დღე დაუყვია, რის შემდეგადაც სოლომონი გამომჯობინებულა და ქუთაისში გამგზავრება გადაუწყვეტია. მეფეს შტედერიც თან წაუყვანია (მაჭარაძე 1968: 74). ვინაიდან მეფე 20 ოქტომბერს გამოკეთებულა, გამოდის, რომ შტედერს ავადმყოფი მეფისათვის ლომსიათხევში 5 ოქტომბერს მიუკითხავს.

რაც შეეხება ტამაზინს, მას მეფის ავადმყოფობის ხანაში მისთვის ყველა საჭირო ცნობები მოუგროვებია. იგი ეტყობა, დაელოდა მეფის ბედის გარკვევას და როგორც კი ნათელი გახდა სოლომონის გამოჯანმრთელების საკითხი, ტამაზინი იმავე დღეს უკან გამობრუნებულა და ერთ კვირაში, 27 ოქტომბერს ს. ბურნაშევს იმერეთის ცხელ-ცხელი ამბები და სოლომონ მეფის წერილი ჩამოუტანა თბილისში. იმერთა მეფე რუსეთის წარმომადგენელს აუწყებდა, რომ აპირებდა, ერეკლეს კარზე თავისი მოძღვრის გამოგზავნას ორ მეფეს შორის შეთანხმების მისაღწევად (მაჭარაძე 1968: 72).

1 ნოემბერს შტედერს პ. პოტიომკისათვის გაუგზავნია ორი პატაკი (ერთი გერმანულ ენაზე ყოფილა დაწერილი). ამ მოხსენებებში თავისი მგზავრობის შესახებ თხრობის შემდეგ იგი იუწყებოდა იმერეთის მეფის ავადობის თაობაზე, რომ გაჯანმრთელებულმა სოლომონ მეფემ ბრძანა მისი თან წაყვანა ქუთაისში, სადაც შეიტყო, რომ მეფე მასთან ერთად პ. პოტიომკინთან მოსალაპარაკებლად აპირებდა დავით ბეგის (სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს მეფის მდივანბეგი დავით კვინიხიძე (მაჭარაძე 1968: 74, შენ. 1) გაგზავნას. შტედერი იწერებოდა ასევე სოლომონის კარზე ოსმალო ელჩების ვიზიტების შესახებაც და ბოლოს იმედს გამოთქვამდა, რომ ამ მოხსენების გამოგზავნიდან მალევე შეძლებდა უკან გამობრუნებას და თავისი მისიისა და იმერეთში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ გენერალ-პორუჩიკს უფრო დაწვრილებით მოახსენებდა (მაჭარაძე 1968: 74-75).

10 ნოემბერს ტამაზინის მიერ იმერეთიდან ჩამოტანილ ცნობებზე დაყრდნობით პ. პოტიომკინს მოხსენებას უგზავნის ს. ბურნაშევიც. ს. ბურნაშევი საუბრობს იმერეთში ოსმალთა დიპლომატიურ გააქტიურებაზე. ამ კონტექსტში მას საეჭვოდ ეჩვენება მეფის ცოლისძმების, ორი ძმა წულუკიძის რუსებთან ცივი დამოკიდებულება და გამოთქვამს ეჭვს, რომ სამეფო ტახტზე მეფის პირდაპირი მემკვიდრის არარსებობის პირობებში მათ, შესაძლოა, მეფის გარდაცვალების შემდგომ ხელისუფლების დაუფლება ოსმალთა დახმარებით სურდეთ, ვინაიდან ამ მხრივ რუსეთის იმპერატრიცას მართლმსაჯულებამ მათ შეიძლება ძალაუფლება დააკარგვინოს. მათ საპირისპიროდ კი რუსეთის ერთგულებად ს. ბურნაშევი მიიჩნევს ძმებ წერეთლებს, რომელთაგან ერთი სამეფოს სარდალია, ხოლო მეორე – სახლთუხუცესიო. პ. პოტიომკინისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი – მეფის კეთილგანწყობა რუსეთისადმი და მისი სწრაფვა, ესარგებლა იმპერატრიცას იგივე მოწყალებით, რითაც ერეკლემ ისარგებლა – უცვლელი იყო. მეტიც, სოლომონი სიამაყით აღნიშნავდა, რომ უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც თავს რუსეთის იმპერატრიცას სრულ ქვეშევრდომად მოიაზრებდა (მაჭარაძე 1968: 72-73).

პ. პოტიომკინი გაოცებას ვერ მალავდა, რომ მის მიერ იმერეთში გაგზავნილი კაპიტანი შტედერი უკვე მესამე თვე იყო, რაც არ ჩანდა და არც რაიმე სმენოდა მის შესახებ. ამიტომ 16 ნოემბერს, ჯერ კიდევ ს. ბურნაშევის ზემოაღნიშნული წერილის მიღებამდე, იგი ინტერესდებოდა რა, რამდენად სარწმუნო იყო გავრცელებული ხმები ოსმალეთის სამხედრო სამზადისის შესახებ, დასავლეთ საქართველოში რუსეთის წარმომადგენელს შეშფოთებული თხოვდა, ეცნობებინა მისთვის, თუკი რაიმე უწყება მოეპოვებოდა მეფე სოლომონისაგან (ცაგარელი 1901: 14).

ამასობაში ს. ბურნაშევთან მიბრძანდა ქართლში ჩამოსული სოლომონ მეფის მოძღვარი, რომელსაც იმერეთის მეფისაგან ერეკლე მეფესთან შერიგების პირობები ჩამოეტანა. ამის თაობაზე პოლკოვნიკი ბურნაშევი ოთხი დღის შემდეგ ატყობინებდა კავკასიის ხაზის სარდალს (მაჭარაძე 1968: 72-73).

ს. ბურნაშევის 10 ნოემბრის მოხსენება პ. პოტიომკინმა ნოემბრის ბოლოს მიიღო, ხოლო შტედერისა – დეკემბრის დასაწყისში. როგორც ვნახეთ, ორივე ცნობა იმერეთის მეფის რუსეთისათვის მყარად საიმედო პოლიტიკურ განწყობაზე მიუთითებდა. მაგრამ პ. პოტიომკინისათვის ეს გულდამშვიდების საშუალებას მაინც არ იძლეოდა. 6 დეკემბერს იგი ს. ბურნაშევს წერდა, რომ საქმე მოითხოვდა მის გადაბარგებას ქუთაისში. პ. პოტიომკინს, ერთი მხრივ, აშფოთებდა, სოლომონის მიერ სულთნის ელჩების თბილი მიღება და, მეორე მხრივ, ბურნაშევის ჩასვლა უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს დიდებულთა შორის ოსმალეთის შესაძლო მომხრეებისათვის ერთგვარი თითის დაქნევა, რომ მათ მეფის პოლიტიკური ორიენტაციაში რაიმე მერყეობა არ გამოეწვიათ. გენერალ-პორუჩიკს განსაკუთრებით დადიანისა და გურიელის სანდოობაში ეპარებოდა ეჭვი, რომელნიც, მისი აზრით, იოლად შეიძლებოდა, წამოგებულიყვნენ ოსმალთა დაპირებებზე. ს. ბურნაშევს ძალისხმევა არ უნდა დაეშურებინა ოსმალო ელჩების მიერ მეფისათვის მორთმეული წერილების „პირდაპირი შინაარსის“ დასადგენად. მას ასევე უნდა გაერკვია, ეს წერილები ოსმალეთის მთავრობისაგან იყო მოწერილი, თუ – რომელიმე ფაშისაგან. პოტიომკინი იმედოვნებდა, რომ იმპერატრიცასადმი ესოდენი ერთგულების გამომხატველი მეფე მას არაფერს დაუმალავდა. ბურნაშევს ასევე ევალებოდა მეფეში აღეძრა მოშურნეობა ერეკლეს მიერ რუსეთთან პოლიტიკური კავშირის გაფორმების შედეგად მიღებულ სარგებელთა განმარტებით. იმერეთში ჩასვლამდე კი ს. ბურნაშევს ევალებოდა სოლომონ I-თან გაეგზავნა ამ უკანასკნელის მოძღვარი, რომელიც ქართლში იმერეთის მეფეს ერეკლე II-სთან მოსარიგებლად ჰყავდა მოვლინებული. ამ მოძღვრის პირით სოლომონისათვის ბურნაშევს იმედი უნდა მიეცა, რომ მეფის თხოვნა მფარველობის მიღების თაობაზე შეუსრულებელი არ დარჩებოდა. ამას გარდა, რუსეთის რწმუნებულს სოლომონ I-სათვის უნდა ეთხოვა, რომ მეფეს ოსმალეთიდან მიღებული წერილები ან თვითონ, ან ბურნაშევის ხელით გაეგზავნა პ. პოტიომკინთან (მაჭარაძე 1968: 79).

პ. პოტიომკინი იმავე დღეს გ. პოტიომკინის სახელზე წერს მეორე წერილს და უგზავნის შტედერის პატაკთან, ჩრდილოეთ კავკასიიდან ამ უკანასკნელის მიერ იმერეთისაკენ გაკვალული გზის რუკებთან და ს. ბურნაშევისადმი გაგზავნილი წერილის ასლთან ერთად. წერილში გენერალ-პორუჩიკი თავის ზემდგომს ახარებდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, სოლომონი რუსეთისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა. მაგრამ მეფის ავადმყოფობა და სისუსტე მეფის დიდი ხნის სიცოცხლის იმედს არ იძლეოდა. ამიტომ ითხოვდა მითითებებს მეფის გარდაცვალების შემთხვევაში მისაღებ ღონისძიებათა თაობაზე. თან იუწყებოდა, რომ ვინაიდან სამეფო ტახტზე პირდაპირი მემკვიდრე არ არსებობდა, თუ იმერეთთან პოლიტიკური კავშირის საკითხი სოლომონის სიცოცხლეშივე არ გადაიჭრებოდა, შემდგომ „იმერეთისათვის დამღუპველი შედეგები“ იყო მოსალოდნელი. რამეთუ სხვადასხვა მემკვიდრენი თავ-თავიანთ მომხრეების შემოკრებას დაიწყებდნენ, გარდა ამისა, არც დადიანი და გურიელი აღიარებდნენ ხალისით იმერეთის მეფის მორჩილებასო (მაჭარაძე 1968: 75-76).

ნათელია, რომ რუსი დიპლომატ-მოხელეები სოლომონ I-ს საქმეს ისე უხატავდნენ, რომ მისი რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში შესვლა მხოლოდ იმერთა მეფის უცილობელ ინტერესებში შედიოდა, იმპერიისათვის კი ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ისინი უბრალოდ კმაყოფილები იყვნენ იმერეთის მეფის მხრიდან გამოჩენილი ერთგულებით, ხოლო მისი სურვილის განხორციელებისა და სამეფოს ბედ-იღბალის გადაწყვეტის საკითხი ოდენ „გულუხვი იმპერატრიცას“ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

სოლომონისათვის, რასაკვირველია, სრულიად დაფარული იყო იმერეთის მიმართ რუსეთის ნამდვილი ზრახვები, რომელიც ოსმალეთთან დიპლომატიურ-პოლიტიკური ჭიდილის პირობებში იყო ჩამოყალიბებული. ასეთ ვითარებაში უკვე ისედაც ხშირი ავადმყოფობით დასუსტებულ მეფეს გაუჭირდა არსებული პოლიტიკური ვითარებისა და ამის შედეგად ორი ურთიერთმოქიშპე იმპერიისათვის იმ ჯერზე იმერეთის სამეფოს მნიშვნელობის უცდომლად შეფასება. მკაფიოდ გამოხატულმა ცალსახა მიმართულების პოლიტიკურმა კურსმა მეფეს არ მისცა საშუალება, ლავირების საშუალებით ოსმა-

ლეთის მხრიდან იმერეთთან ურთიერთობის დათბობის მცდელობისაგან რაიმე ხელშესახები სარგებელი მიეღო. არადა, შექმნილი განსხვავებული პოლიტიკური ვითარება საამისოდ მეფის წინაშე დიდ ასპარეზს ხსნიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალო ელჩები მეფისაგან სასურველი შედეგის გარეშე ბრუნდებოდნენ უკან. ასევე რუსეთის მიმართ გადაჭარბებული და თან მუდმივი ერთგულების გამოხატვა რუს მოხელეებს უჩენდა განწყობას, რომ სოლომონი თურქების დიპლომატიური აქტიურობის მიუხედავად, მაინც რუსეთის ერთგული რჩებოდა. ამის გამო იმერეთის მეფის მიმართ რაიმე მნიშვნელოვანი სურვილის დასაკმაყოფილებლად, რაც უშუალოდ რუსეთის გეგმებში ჯერ არ შედიოდა, თავს საერთოდ აღარ იწუხებდნენ. ამრიგად, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზების გამო იმერეთის სამეფო კარზე მხედველობიდან გამორჩათ ახალი პოლიტიკური მდგომარეობის შედეგად მათ ხელში აღმოჩენილი შესაძლებლობათა ფართო სპექტრი და, შესაბამისად, იგი სრულიად გამოუყენებელი დარჩათ.

მალე რუსეთის ხელისუფლებამ ოსმალეთის მთავრობასთან არსებული დაპირისპირების საკითხი თავის სასარგებლოდ დიპლომატიური გზით მოაგვარა. 1783 წლის 28 დეკემბერს (ახ. სტილით 1784 წლის 8 იანვარს) ოსმალთა დედაქალაქში ხელი მოეწერა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახალ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას, რითაც პორტამ რუსეთის მიერ ყირიმ-ტამანის ანექსია აღიარა. მართალია, ეს მხოლოდ წინასწარი შეთანხმება იყო, რომლის რატიფიკაცია მოგვიანებით განხორციელდა, მაგრამ ოსმალეთის მხრიდან ყირიმის ანექსიის ოფიციალურმა აღიარებამ რუსეთის საიმპერიო კარზე დიდი აღტაცება გამოიწვია. ეს იმდენად მნიშვნელოვან წარმატებად იქნა განხილული, რომ მიღწეულის უმტკივნეულოდ შენარჩუნების მიზნით გადაწყდა, ამიერიდან, გარკვეულ დრომდე მაინც, ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა შენარჩუნებულიყო (მარკოვა 1966: 161)

ამრიგად, პეტერბურგმა არასასურველი ომი თავიდან აიცილა და იმერეთის ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყენების საჭიროება დღის წესრიგიდან მოიხსნა. შესაბამისად, ზემოხსენებულმა აქტმა იმერეთის მეფესთან რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური თამაშის აქტიურ ფაზას საბოლოო წერტილი დაუსვა.

შენიშვნები

[1] ნ. დუბროვინის ზემოაღნიშნულ შეცდომებზე დაყრდნობით შტედერის მისია საერთოდ გამორჩენილია ზოგიერთი ქართველი მკვლევრის ნაშრომშიც (ცინცაძე 1960: 114); (ბურჯანაძე 1961: 138). შტედერს მხოლოდ ერთხელ და გაკვრით ახსენებს პ. ბუტკოვი. ისიც როგორც იმერეთისაკენ ახალი პირდაპირი გზის გამკვალავს. შტედერის დიპლომატიური დავალების შესახებ კი სიტყვაც არაა დაძრული იხ. (ბუტკოვი 1869: 135-136). უცნაურია, მაგრამ ამ მისიას არ ახსენებს არც ო. მარკოვა თავის ზემოდასახელებულ საყურადღებო ნაშრომში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შტედერის მისიის შესახებ მნიშვნელოვანი საარქივო მასალები სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს ვ. მაჭარაძემ და ო.პ. მარკოვამ, რომელთაც დაწვრილებით შეისწავლეს ეს საკითხი (მაჭარაძე 1968: 69-86); (მარკოვა 1966).

დამოწმებანი

ბურჯანაძე 1961: შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, ტ., III, თბილისი.

ბუტკოვი 1869: П. Г. Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*, ч. 2. СПб.

დოკუმენტები 2014: *Из истории российско-грузинских отношений*, *сборник документов*, Москва.

დუბროვინი 1886: Н. Дубровин. *История войны и владычества русских на Кавказе*, том II, СПб.

მარკოვა 1966: О. П Маркова. *Россия*, *Закавказье и международные отношения в XVIII веке*, Москва, Наука.

მაჭარაძე 1968: ვ. მაჭარაძე. *ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე*, თბილისი, მერანი.

მერკვილაძე 2017/2018: დ. მერკვილაძე. იმერეთის სამეფოს საკითხი ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XIX/XX.

მერკვილაძე 2018: დ. მერკვილაძე. იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების საკითხი (1781-1783 წლის დასაწყისი), *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, N22.

მერკვილაძე 2019: დ. მერკვილაძე. იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების საკითხი (1783 წლის აპრილი-სექტემბერი), *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, N23.

ცაგარელი 1901: Новые Матеріалы для жизнеописанія и дѣятельности С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г., Собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С.Н. Бурнашевъ, подъ редакціей профессора А. А. Цагарели, С.-Петербург.

ცინცაძე 1960: ი. ცინცაძე. 1783 *წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის*, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

RUSSIAN POLITICAL GAMES WITH SOLOMON I AND CAPTAIN STEDER'S MISSION IN IMERETI

Davit Merkviladze

After the annexation of Crimea, in order to avoid irritating the Ottomans, the Russian Imperial court postponed the signing of an official protection treaty with the Kingdom of Imereti.

At the same time, if the Ottomans declared war on Russia, the Russian government planned to use the Imereti army, along with the Kartli-Kakheti army, against the Ottomans. The Russian government therefore feared that Solomon I would change his political orientation due to refusal for the patronage of the King of Imereti.

Commander of Russian troops in the Caucasus Paul Potemkin was concerned about the intensification of Ottoman diplomacy at the court of the King of Imereti. Therefore, on September 6, he immediately sent Captain Leon von Steder to Solomon I.

On December 28, 1783, the Russian ambassador to Constantinople I. Bulgakov and Ottoman Admiral Hasan Pasha signed a new agreement. Under this treaty, the Sultan's government recognized the annexation of Crimea-Taman by Russia. As a result, St. Petersburg avoided an unwanted war. Consequently, the need to use the Kingdom of Imereti against the Ottomans was removed from the agenda and Russian political games with Imereti ended at that stage.

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ კიმენურ ვერსიაში შესული ისტორიული ფაქტები და ტოპოსები

ლადო მირიანაშვილი

საქართველოში ადრექრისტიანული სამონასტრო ცხოვრების შესწავლისას, შესაბამისი პერიოდის წერილობითი წყაროების დეფიციტის პირობებში, მკვლევრები იძულებული ვართ ისტორიული ღირებულების მქონე, თუნდაც მცირედი ინფორმაციის მოსაპოვებლად, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს მივენდოთ. თუმცა, მათში დაცული ინფორმაციის ისტორიული სანდოობის საკითხი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე უნდა იყოს შესწავლილი. საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროებში ჩამოყალიბებული ტრადიციის შესაბამისად, ჰაგიოგრაფიული თხზულებების შექმნისას ზოგად და ტიპურ სიუჟეტებს – ტოპოსებს იყენებდნენ, რომლებიც ერთი თხზულებიდან მეორეში გადადიოდა. ამ მიზნით ფართოდ მოიხმობდნენ ძველაღთქმისეულ და სახარებისეულ სიუჟეტებსაც. ყოველივე ამის გამო, სხვადასხვა წმინდანთა ცხოვრებებში აღწერილი ცალკეული ისტორიები ერთმანეთს ემსგავსება. ამგვარ დამოკიდებულებას წმინდანთა ცხოვრებების შეთხზვისადმი ახსნა მოეძებნება. საქმე ისაა, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულება არ არის ზუსტი საისტორიო ქრონიკა. ჰაგიოგრაფები აქცენტს აკეთებდნენ არა იმდენად მათ მიერ მოხმობილი ცნობების სიზუსტეზე, არამედ წმინდანის პიროვნული თვისებებისა და მისი საქმეების სრულად წარმოჩენაზე. ამიტომაც სარგებლობდნენ ისინი გარკვეულწილად დაკანონებული სტანდარტული ტოპოსებით და ამგვარი მიდგომის წყალობით, უკეთესი კუთხით წარმოაჩენდნენ წმინდანის შინაგან ბუნებასა და მისი მოღვაწეობის შედეგებს. ჯერ კიდევ რ. სირაძემ მიაქცია ყურადღება, რომ წმ. იოანე ზედაზნელისა და თითოეული ასურელი მამის „ცხოვრებაში“ მრავლადაა გამოყენებული ბიბლიური პარადიგმები (სირაძე 1992: 78). სახარებიდან და ძველი აღთქმიდან ნასესხები ლიტერატურული მოდელების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთი მცირერიცხოვანი ქრისტიანი ერისთვის, როგორიც ქართველები ვართ, რათა ეროვნული წმინდანების მიერ ზოგადად ქრისტიანობის ისტორიაში შეტანილი წვლილი უკეთესად წარმოჩენილიყო და ისინი ბიზანტიელი თუ სპარსი წმინდანების თანასწორად ყოფილიყვნენ აღიარებული.

სტანდარტული ტოპოსების ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ჩართვის პროცესი მეტაფრასული ვერსიების შექმნის დროიდან გააქტიურდა. მაგალითად, XI საუკუნეში ამ ხერხს წარმატებით იყენებდა ბიზანტიის სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი მიქაელ ფსელოსი (1018 – 1078/1096). თუმცა, ტოპოსების გამოყენება წინარე პერიოდშიც, კერძოდ, კიმენურ თხზულებებშიც დასტურდება.

წინამდებარე სტატიის მიზანია წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ კიმენური ვერსიის ანალიზი მასში დაცული ისტორიული ფაქტების გასამიჯნად გამონაგონი ამბებისაგან, რომლებიც ჰაგიოგრაფის მიერ ფართოდ ცნობილი ტოპოსების მოხმობითაა შექმნილი. უნდა ითქვას, რომ წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ გამოყენებული ჰაგიოგრაფიული ტოპოსები სპეციალური კვლევის საგანი არასდროს გამხდარა, თუ არ ჩავთვლით ზოგადად ასურელ მამათა „ცხოვრებების“ კონტექსტში გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებას. ამა თუ იმ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოყენებული ტოპოსების დადგენა აუცილებელია ზოგადი ტექსტიდან მათ გამოსახშირად, რაც მკვლევრებს დაეხმარება ისტორიული ფაქტების გამიჯვნაში ისეთი სიუჟეტებისგან, რომლებიც თხზულებაში ჰაგიოგრაფიული, სახარებისეული თუ ძველაღთქმისეული ტოპოსების ზეგავლენითაა შეტანილი.

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ თანახმად, გარეჯის უდაბნოში გასვლის პირველ ეტაპზე, წმ. მამები დავითი და ლუკიანე მძოვრობდნენ, ანუ საკვებად მხოლოდ უმ ბალახეულობასა და

მცენარეულ ფესვებს მოიხმარდნენ. მძოვრობის თემა არის არა ტოპოსი, არამედ ისტორიული ფაქტი. ამ ტრადიციას საფუძველი ეგვიპტის, სირიისა და პალესტინის ადრეულ მეუდაბნოეთა ცხოვრების წესში იძებნება. მძოვრები ცხოვრობდნენ ღია ცის ქვეშ, ან ბუნებრივ მღვიმეებს აფარებდნენ თავს. ისინი უარს ამბობდნენ ცეცხლის გამოყენებაზე, როგორც საჭმლის მოსამზადებლად, ისე საცხოვრისის გასათბობად. მძოვრებს არ ჰქონდათ ეკლესიები, ამიტომ ისინი ღია ცის ქვეშ ლოცულობდნენ. მსგავსად იქცეოდა მამა დავითიც: იგი მარტო გადიოდა ბუნებრივ გამოქვაბულში, ზეპირი გადმოცემით დღევანდელი ორმოცი სებასტიელი მოწამის სამარტვილის ადგილას, და იქ აღავლენდა ლოცვას (აბულაძე 1964: 234). შესაძლოა, რომ წმ. დავითის ლოცვის გულწრფელობის გასამძაფრებლად ჰაგიოგრაფმა გამოიყენა ტოპოსი, რომელიც რეალურ სირიულ ტრადიციას ეფუძნება: ლოცვისას წმ. დავითი ცრემლად იღვრებოდა და მის ცრემლთა ნაკადული უდაბნოს მიწას რწყავდა (აბულაძე 1964: 234).

შემდგომ, ტექსტში გამოყენებულია ფართოდ გავრცელებული ჰაგიოგრაფიული ტოპოსი: წარჩინებული ბერის მოწაფეებისა და მიმდევრების გამოცდა გაჭირვების ჟამს. ამ დროს, მიმდევრები კარგავენ ნებისყოფას და წინამძღვრისაგან დასახული მიზნის შეცვლას მოითხოვენ. წინამძღვარი კი შექმნილ კრიტიკულ სიტუაციას ძმების დასამოძღვრად და ღმერთისადმი მსახურების გზაზე დასაყენებლად იყენებს. მაგალითად, მსგავსი ტოპოსი გამოყენებულია იუდეის უდაბნოში სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი დამფუძნებლის, წმ. ევთვიმე დიდის „ცხოვრებაში“ (377-473): როდესაც ხანგრძლივი გვალვით გამოწვეული წყლის ნაკლებობის გამო ძმობის წევრებმა წმ. ევთვიმეზე ზეწოლა დაიწყეს, რათა მას რაიმე მოემოქმედა, წმ. ეფთვიმემ, თავდაპირველად, ღმერთის სათხოვრით შეწუხებაზე უარი განაცხადა: „სიმრავლისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა არა მაქუს კადნიერებაჲ, რაჲთამცე ვევედრე ღმერთსა ამის საქმისათჳს“. ამის შემდეგ, მან ბერების დამოძღვრა დაიწყო (იმნაიშვილი 1975: 160).

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ იგივე ტოპოსი შემდეგნაირადაა გადმოცემული: როცა გარეჯის უდაბნოში მისვლის პირველ წელს, ზაფხულის ხვატის შემდეგ, მამა დავითი და მისი მოწაფე ლუკიანე უსაზრდოოდ დარჩნენ, რადგან ზაფხულის სიცხეების შემდეგ მათი ერთადერთი საკვები – მინდვრის ბალახი გადახმა, ლუკიანეს სულმოკლეობამ წასძლია და უდაბნოს მიტოვების აუცილებლობაზე დაიწყო საუბარი. წმ. დავითმა კი იგი დამოძღვრა: ნუთუ არ იცი, რომ ქვეყნიერებაზე ყველაფერი წარმავალია? და განა არ გსმენია წმინდა წერილიდან „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“? (ლუკა 21.19). ხოლო შენ კი სულმოკლეობას ამჟღავნებ. ჩვენ ქრისტეს მცნებათათვის წყურვილისა და შიმშილის გამო კიდევაც რომ დავიხოცოთ, ღმერთის წინაში ცხოველ ვიქნებით უკუნისამდე (აბულაძე 1964: 231). როგორც ვხედავთ, ჰაგიოგრაფი ზემორე ეპიზოდში ცნობილ სახარებისეულ ფორმულას მოიხმობს. აქვე ვახსენებ იმ ბიბლიურ პარალელსაც, რომელიც „ცხოვრებაში“ ციტირებულ მონაკვეთამდე გვხვდება. როცა უდაბნოს „იწროებით“ შეშინებული ლუკიანე ეჭვს გამოთქვამს თუ რამდენად შესძლებენ ისინი ამგვარ მკაცრ პირობებში ბერულ მოღვაწეობას, წმ. დავითი მიუგებს:

> ძმაო ლუკიანე, რომელ იგი უდაბნოს გამოზარდა ერი იგი ისრაელთაჲ და კლდისაგან მყარისა წყალი აღმოუცენა და მწყერ-მარჭილი უწვმა შორის ბანაკისა მათისა, და ელია ყორნისა მიერ გამოიზარდა და წმიდასა ანტონის და სხუათაცა მამათა წმიდათა, რომელ დამკჳდრებულ იყვნეს მთათა და უდაბნოთა შინა და მისცა მათ საზრდელი, იგივე ღმერთი და აწცა შემძლებელ არს მოცემად საზრდელისა ნუგეშინის-საცემლად ჴორცთა ჩუენთა უძლურებისა (აბულაძე 1964: 230).

ზემორე ამონარიდში ყურადღებას იპყრობს ადრეული ხანის ქართული მწერლობისთვის სახასიათო ტერმინის „მწყერ-მარხილი“ გამოყენება, რომელიც ბიბლიის მოგვიანო ვერსიებში „მანანა“-თი ჩანაცვლდა.

გვალვისა და ლუკიანეს სულმოკლეობის ჟამს უცბად გამოჩნდა სამი ირემი ნუკრებთან ერთად.

ისინი წმინდა მამების წინაშე მორჩილად, ცხვრებივით დადგნენ. მამა დავითმა ლუკიანეს პინაკის აღება და ირმების მოწველა დაავალა. ცხოველებმაც მორჩილად გაიღეს რძე. მას შემდეგ, ირმები მამებთან ყოველდღე, ოთხაშაბათ-პარასკევის გარდა, დადიოდნენ და თავს მორჩილად აწველინებდნენ (აბულაძე 1964: 231). ოდნავ მოგვიანებით, აღწერილია კიდევ ერთი ამბავი, როცა ქორისაგან დევნილი კაკაბი თავშესაფარს მამა დავითთან პოულობს (აბულაძე 1964: 234).

წმინდანების მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ცხოველებთან გავრცელებული ტოპოსია. მას ვხვდებით დათვის ეპიზოდის სახით წმ. იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაში“ და ვირისა და მგლის ეპიზოდის სახით წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“. ამ ტოპოსის მრავალი ნიმუში გვხვდება ბიზანტიურ და დასავლეთევროპულ ჰაგიოგრაფიაში. ამ უკანასკნელიდან გამორჩეულია ფრანცისკო ასისელის მეგობრობა ცხოველებთან.

გრიგოლ ფერაძე წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრებაზე“ მსჯელობისას ვარაუდობდა, რომ ცხოველების მოტივი ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. სვიმეონ უმცროსის „ცხოვრებიდან“ უნდა ყოფილიყო გადმოღებული. ამის საბუთად, გარდა სიუჟეტური მსგავსებისა, მოჰყავდა ისიც, რომ გადაჩეხილი სახედრის პატრონის სახელი – ბერი კონონი, რომელმაც წმ. შიოს მიერ მონასტრის სახედრების მწყემსად განწესებულ მგელს პირუტყვის შეჭმა დააბრალა, წმ. სვიმეონის ცხოვრებიდან იყო ნასესხები (ფერაძე 2004: 34, შენ. 55). შესაძლოა, რომ ეს ასეც იყოს, მაგრამ ზოგადად ბუნებისა და ყოველი სულიერის სიყვარული წმ. მამების მიერ, ფართოდ გავრცელებული ტოპოსია, რომელიც სირიელი ასკეტების ცხოვრების წესიდან მომდინარეობს. ადრეული პერიოდის სირიელი ასკეტები ბუნებასთან სიახლოვით მონანიების მიღწევას ცდილობდნენ. ეფრემ ასურის (IV ს) ცნობით, ისინი უმი ბალახეულობით იკვებებოდნენ და გარეული ცხოველების გარემოცვაში ცხოვრობდნენ. ამ გზით, ასკეტი ბერები დედამიწაზე ქმნიდნენ ერთგვარ სამოთხეს სახებად ციური სამოთხისა, სადაც ყველა სულიერი არსება ერთმანეთთან სიამტკბილობით ცხოვრობდა. წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ ჰაგიოგრაფი ნახსენებ ტოპოსს მექანიკურად არ იმეორებს და წმ. დავითის განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად, მასში გარკვეული დეტალი შეაქვს. კერძოდ, ცხოველები წმ. დავითს კი არ მორჩილებდნენ, როგორც სხვა წმინდანთა შემთხვევებშია, არამედ საკუთარი ნებით უწევდნენ სამსახურს. ეს ჩანს წმ. დავითის დამოკიდებულებიდან ირმებთან, რომლებიც მას და მის მოწაფე ლუკიანეს საკუთარი ნებით კვებავდნენ.

ირმის რძით გამოკვებაც გავრცელებული ჰაგიოგრაფიული ტოპოსია. ჯუანშერისეული ტექტსის გვიანდელ ჩანართში, იქ სადაც გარეჯელ მამებზეა საუბარი, ნათქვამია: „ვითარცა მამა დიდისა ბასილისა, ირემთა მიერ გამოიზარდეს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 209). იგივე ტოპოსი დასავლეთის ეკლესიის წმინდანის წმ. ჯაილსის (650 – დაახლ. 710) „ცხოვრებაშიც“ არის გამოყენებული: როცა წმინდანი ნიმის (ქალაქია სამხრეთ საფრანგეთში) მახლობლად მდებარე უღრან ტყეში მრავალი წლის განმავლობაში სრულიად მარტო მოღვაწეობდა, მისი ერთადერთი ამხანაგი ირემი იყო, რომელიც წმინდანს საკუთარი რძით კვებავდა. წმ. ჯაილსს, წმ. დავითის მსგავსად, ირემთან ერთად გამოსახავენ. არსებობს სხვა მაგალითებიც.

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ კიმენურ ვერსიაში გვხვდება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტოპოსი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობამ და ფეოდალებმა არაფერი იციან მათ მამულზე წმიდა მამების დასახლების შესახებ. ისინი მათ შემთხვევით, ნადირობისას აღმოაჩენენ ხოლმე, რის შემდეგ მამების მთავარი შემწირველები ხდებიან. ასე იყო წმ. დავით გარეჯელის შემთხვევაშიც. კახეთიდან გარეჯში სანადიროდ გადმოსული მონადირეები იყვნენ პირველნი, ვინც უდაბნოში დავითისა და ლუკიანეს ყოფნა შეიტყვეს და შემდეგ სხვებსაც გააგებინეს (აბულაძე 1964: 233). მამა დავითს შემთხვევით გადაეყარა რუსთავიდან გარეჯში სანადიროდ ამო სული ვინმე „ბარბაროზი“ დიდებულიც.

იგივე ტოპოსია გამოყენებული წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაშიც“. დიდებულმა გიორგი ჩორჩანელმა ნადირობისას შეამჩნია, რომ მისი კუთვნილი მამულის ერთ-ერთი ბორცვიდან კვამლი

ამოდიოდა და ამბის შესატყობად მსახური გააგზავნა. რომლისგანაც იქ სერაპიონის დასახლების ამბავი გაიგო. იგივე ტოპოსს ვხვდებით წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრებაშიც“. წარჩინებულმა დიდებულმა ევაგრემ ორდღიანი ნადირობისას ორჯერ შენიშნა მტრედი, რომელსაც წმ. შიოსთვის საზრდო მიჰქონდა. ევაგრე დაინტერესდა, თუ სად მიფრინავდა მტრედი, უკან გაჰყვა მას და წმ. შიოსთან მღვიმეში აღმოჩნდა. ასე შემთხვევით გაიცნო ევაგრემ მის სანახებში მოღვაწე ბერი.

არაერთი მსგავსი მაგალითი იძებნება ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებშიც.

„ცხოვრებაში“ კიდევ ერთი ტოპოსია გამოყენებული, რომელიც უკავშირდება სუბიექტის არასწორ ქმედებას წმინდანის, რაიმე სიწმინდისა თუ კეთილი საქმის მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვება ღვთიური სასჯელის მოვლინება ავადმყოფობის სახით. დასჯილი შეცდომას ინანიებს და წმინდანს განკურნების თხოვნით მიმართავს. განკურნებას თან სდევს დასჯილის მიერ უხვი შეწირულების გაღება. სწორედ ეს ტოპოსია გამოყენებული მამა დავითისა და „ბარბაროზის“ პირველი შეხვედრის სცენაში, როცა ამ უკანასკნელმა წმინდა მამის მოკვლა განიზრახა, მაგრამ ეს ვერ შეძლო, რადგან მოსაკლავად აღმართული ხმლიანი ხელი განუხმა. შეინანა რა თავისი საქციელი, „ბარბაროზმა“ წმინდანს ხელის განკურნება თავმდაბლად სთხოვა. მამა დავითი შეეხო მის გამხმარ ხელს და მყისვე განუკურნა. მანვე, თავისი ლოცვით, „ბარბაროზის“ ორივე ფეხით კოჭლი ვაჟიც ფეხზე დააყენა. მადლიერმა ფეოდალმა მამა დავითის მიერ შეკრებილ ძმობას სურსათ-სანოვაგე შესწირა, ოჯახითურთ ქრისტეს სჯულზე მოექცა და სპეციალურად წამოყვანილ „მუშაკნს“ მონასტრის ძმებისთვის პირველი შესაკრებელი ეკლესია გამოაკვეთინა (აბულაძე 1964: 235).

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ გვხვდება კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული ტოპოსი. ესაა ვეშაპის, ანუ გველის განდევნის ამბავი. გარეჯში მოსახლე ვეშაპმა ერთი ნუკრთაგანი გადაყლაპა. წმ. დავითმა, ირმების ჩივილის შემდეგ, ვეშაპი ძალის გამოყენების გარეშე, სიტყვით განდევნა. „ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ჩემითა ამით კუერთხითა მუცელი შენი განვხეთქო და საჭმელ მატლთა გყო შენ“. ოტებულ ქვეწარმავალს მეხი დაეცა და დაიწვა (აბულაძე 1964: 231-232).

წმ. იპატიუსის „ცხოვრებაში“ აღწერილია ამბავი, რომლის თანახმად ვეშაპი სამეფო საგანძურს დაეპატრონა. მისი მოკვლა ან განდევნა ვერავინ შეძლო. მაშინ, წმ. იპატიუსმა მეფეს საჭმილის დანთება სთხოვა, რის შემდეგ ვეშაპს სამღვდელო კვერთხი პირში ლაგამივით ამოსდო და უბრძანა იესო ქრისტეს სახელით უკან გაჰყოლოდა. ვეშაპიც მორჩილად გაჰყვა წმინდანს. წმ. იპატიუსმა გველი საჭმილთან მიიყვანა და ცეცხლში შესვლა უბრძანა. ვეშაპი მსწრაფლ ცეცხლში შევარდა და დაიფერფლა.

არის ვეშაპთან დაკავშირებული სხვა ტიპის (არა უბრალოდ განდევნის, არამედ შებრძოლების) ისტორიებიც, რომლებიც წმ. გიორგისა და წმ. დემეტრეს სახელებს უკავშირდება. წმ. იულიანე საბამ უზარმაზარი გველი ჯვრის ნიშნის გადასახვით მოაკვდინა. V საუკუნის ჰაგიოგრაფიული თხზულებაში წმ. სილვესტერზე ნახსენებია უზარმაზარი გველი, რომელიც რომში ტარპეის კლდის ქვეშ მდებარე გამოქვაბულში ცხოვრობდა და თავისი შხამიანი ამონასუნთქით დღეში 300 ადამიანს ანადგურებდა. წმინდანმა ბაწრით, ცვილითა და ჯვრის ნიშნის გადასახვით ურჩხულს პირი დაუხშო. წმ. პანტელეიმონის ცხოვრებაში არის ეპიზოდი, როცა ის გველის მიერ დაგესლილ, გარდაცვლილ ბავშვს წააწყდა. მან დაიწყო ლოცვა, შესთხოვდა რა ბავშვის გაცოცხლებასა და გველის მოკვლას. ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და ორივე სასწაული მოახდინა.

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“, ვეშაპის განდევნის სცენაში მოხმობილია ტოპოსი, რომელიც მოქმედი პირის ძლიერი შიშისაგან გულის წასვლას უკავშირდება: „ხოლო სვლასა მას ვეშაპისასა ლოდნი იგი მის ადგილიანი ირყეოდეს; და იხილა რაჲ ესე ლუკიანე, შეეშინდა და დაეცა პირსა ზედა და იდვა ვითარცა მკუდარი” (აბულაძე 1964: 232).

კიდევ ერთი გავრცელებული ტოპოსი: წმინდა მამები სიკვდილის მოახლოებას წინასწარ გრძნობენ. ასე მოხდა წმ. დავით გარეჯელთან მიმართებაშიც. იგრძნო რა მამა დავითმა ამქვეყნიური

ცხოვრებიდან გასვლის მოახლოება, ძმობის წევრები დამოძღვრა, ეზიარა და მშვიდად განუტევა სული (აბულაძე 1964: 239-240).

არსებობს ზეპირი გადმოცემა წმ. დავითის თბილისში მოღვაწეობის შესახებ, სადაც ერთმა ნამუსგარეცხილმა ქალმა წმინდანი მრუშობაში და მუცლად მყოფი ნაყოფის მამობაში დაადანაშაულა. წმ. დავითი ქალის მუცელს კვერთხით შეეხო და ნაყოფს ჰკითხა თუ ვინ იყო მამამისი, რაზეც პასუხი მიიღო, რომ მამამისი მჭედელი იყო. ესაც ჰაგიოგრაფიული ტოპოსია, რომელიც ანტიოქიურ-ასურული წარმომავლობისაა. მსგავსი ამბავი გვხვდება ეფრემ ასურის ცხოვრებაში. ერთმა მოშურნე მნათემ და ფეხმძიმე ქალმა წმ. ეფრემს ბავშვის მამობა დასწამეს. წმ. ეფრემმა, წმ. დავითის მსგავსად, მუცლად მყოფ ნაყოფს მიმართა:

> შენ გეტყვ ყრმაო, და გაფუცებ სახელსა ღმრთისა ცხოველისასა, რომელ არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისაი [...] აღაღე პირი შენი და უთხარ სამართალი „ვინ არს მამაი შენი?“. მიუგო ყრმამან მან ჴმითა მაღლითა: „ეფრემ, მნათე არს მამაჲ ჩემი [...] (გარიტი 1957: 83).

მსგავსი ამბავი აღწერილია, აგრეთვე, ანტიოქიის ეპისკოპოსის წმ. ევსტათის (გარდაიცვალა დაახლოებით 340 წელს) „ცხოვრებაში“. წმ. ევსტათი იყო ნიკეის კრების თავმჯდომარე და არიანელობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მოწინააღმდეგე. 331 წელს მწვალებლებისაგან შემდგარმა სინოდმა იგი ეპისკოპოსობიდან განაყენა და გადაასახლა. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდეს არიანელების მიერ მოსყიდული მეძავის კრებაზე ჩვილთან ერთად გამოცხადება და ევსტათისთვის ბავშვის მამობის დაბრალება.

ანალოგიურ ტოპოსებს ვხვდებით წმინდანების მაკარი დიდი ეგვიპტელის, დანიელ ეგვიპტელისა და მავრიანეს „ცხოვრებებში“. შესაბამისი მონაკვეთები ზემორე ცხოვრებებიდან მიმოხილული აქვს დავით მერკვილაძეს (მერკვილაძე 2012).

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ იძებნება კიდევ ერთი ტოპოსი, რომელიც ძველი აღთქმის ტექსტებიდან მომდინარეობს. ერთხელ, როცა მამა დავითი ერთ-ერთ განშორებულს ესტუმრა და მოიკითხა, ამ უკანასკნელმა იმ სასმელი წყლის სიმწარეზე დაიჩივლა, რომელიც კლდიდან მოწვეთავდა. წმ. დავითი წყლის დატკბობას ღმერთს შეევედრა, რის შემდეგ აღავსო სარწყული, ჯვარი გარდასახა და ბერს მიაწოდა. წყალი, მართლაც, დამტკბარიყო (აბულაძე 1964: 239). ანალოგიური სასწაული აღწერილია ბიბლიაში, კერძოდ წიგნში „გამოსლვათაჲ“:

> მოვიდეს იგინი წყაროსა ერთსა, რომელსა სახელი ერქუა მერათ და ვერ სუმიდეს მისგანსა, რამეთუ იყო იგი მწარე, ამისთჳს სახელ-ედვა ადგილსა მას სიმწარე. დრტჳნვად დგა ერი იგი მოსესა და ჰრქუეს: აწ უკუე სადა არს წყალი? რა ვსუათ?ღაღად-ყო მოსე უფლისა მიმართ და უჩუენა მას ღმერთმან ძელი ერთი და შთაჴ[ა]და იგი თუალსა მის წყაროსასა და დაატკბნეს წყალნი იგი მწარენი (გამოსვლა 15:23-25).

იგივე სასწაულის აღწერას ვხვდებით „ივდითში“: „მუნ წყალნი მწარენი დაუტკბნა სასმელად მათდა და ზეცით საზრდელი უწჳმა ორმეოცთა წელთა“ (ივდითი 5:15).

წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ შესულია ცნობები სამონასტრო ცხოვრების თავისებურებების შესახებ მონასტრის ფუქნციონირების სხვადასხვა ეტაპზე. ჰაგიოგრაფის ცნობით, როცა მამა დავითმა მიმდევრები შემოიკრიბა, მათი ნაწილი „დაეყუდნის ნაპრალსა კლდეთასა“ (აბულაძე 1964: 239). ანუ ბერების ერთმა ნაწილმა ბუნებრივ გამოქვაბულებში მარტომყოფელობის წესით დაიწყეს მოღვაწეობა. მამა დავითი ყოველდღიურად დადიოდა განშორებულ ძმათა მოსანახულებლად, ნუგეშის საცემად და მათში რწმენის განსამტკიცებლად. ოდნავ ადრე, ჰაგიოგრაფი გვეუბნება იმასაც, რომ „ბარბაროზმა“ მისი გამხმარი მარჯვენის განმრთელებისა და ვაჟის განკურნების შემდეგ, მადლიერების ნიშნად, მამა დავითს „შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა“, ანუ გარეჯის ძმობას საკრებულო ტაძარი გამოუკვეთა ერთობლივი ლოცვის აღსავლენად. ამ დროისთვის სამონასტრო ცხოვრებას გარეჯში

უკვე საკმაო ხნის ისტორია ჰქონდა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ „ბარბაროზის“ მიერ ლავრისთვის შესაწირად მიტანილი სურსათის ნაწილი, მამა დავითმა წმ. დოდოს მიერ დაარსებულ მონასტერში გაატანა. მაშასადამე, გარეჯში პირველი მონასტრის დაარსებიდან საკმაო ხანი იყო გასული. მონათხრობიდან ჩანს, რომ წმ. დავითის ლავრის მრავალწლიანი ფუნქციონირების მანძილზე (როცა გარეჯში მეორე მონასტერიც უკვე დაარსებული იყო), ძმებს საკრებულო ტაძარი არ ჰქონდათ: წმ. დავითის ლავრაში ერთადერთი, ადრეული ხანის საკრებულო ტაძარია – ფერისცვალების ეკლესია. სავარაუდოდ, საკრებულო ტაძარი არ ჰქონდათ წმ. დოდოს მიერ დაარსებულ მონასტერშიც, თუმცა „ცხოვრებაში“ ეს ფაქტი პირდაპირ არ არის ნახსენები. ზემორე იმაზე მიგვანიშნებს, რომ მამა დავითის მიერ დაფუძნებული ძმობა ორივე მონასტერში ანაქორეტული ტიპისა იყო. ჰაგიოგრაფის მიერ მოწოდებული ამ ცნობის სისწორე ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურის ნაშთების ანალიზით დასტურდება. უკვე დიდი ხანია, რაც მკვლევართა ჯგუფი ლადო მირიანაშვილის, დავით ჩიხლაძისა და თემო ჯოჯუას შემადგენლობით ვმუშაობთ დოდორქის მონასტრის სამონასტრო ქვაბების აღწერასა და მათ სტრუქტურულ ანალიზზე. კვლევის დროს VI-VIII საუკუნების დროინდელი მონასტრის მატერიალური ნაშთები არ გამოვლენილა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრეული პერიოდის მღვიმეები თუ ქვაბები IX საუკუნეში საფუძვლიანად გადააკეთეს. IX-XI საუკუნეებით დათარიღებული ბერების საცხოვრებელი ქვაბების სტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შედარებით გვიანდელ ეტაპზეც კი დოდორქა ანაქორეტულ მონასტრად რჩებოდა. ამაზე მიანიშნებს ის, რომ გამოკვლეული და გაანალიზებული ქვაბოვანი კომპლექსები (რეალურად, ყველა არსებული ქვაბოვანი კომპლექსი, მიწაში ჩამარხული ქვაბების გამოკლებით, რომელთა შესწავლა ვერ მოხერხდა) ავტონომიურია, რაც მათში მცხოვრები ბერების სრულ იზოლირებულობას უზრუნველყოფდა: ქვაბოვანი კომპლექსები განლაგებულია მიწის ზედაპირიდან მნიშვნელოვან სიმაღლეზე და მათში მოხვედრა მხოლოდ შვეული შახტის მეშვეობით შეიძლება. კომპლექსები რამდენიმე ქვაბისგან შედგება, რომლებიც კომპლექსის ბირთვის – საცხოვრებელი ქვაბის ირგვლივაა განლაგებული. ამ უკანასკნელში ხშირად სამლოცველოა ინტეგრირებული. ზოგჯერ, სამლოცველო დამოუკიდებელ ქვაბადაც გვევლინება. ხშირ შემთხვევაში ბერი საცხოვრებელ ქვაბს საძინებლის ფუნქციითაც იყენებდა, რაც კლდეში ნაკვეთი საძინებელი მერხის არსებობით დასტურდება, ზოგჯერ კი საძინებელი ცალკე ქვაბში იყო მოწყობილი. კომპლექსს აქვს წყლისა და პროდუქტების შესანახი საკუჭნაო (ზოგ კომპლექსს წვიმის წყლის შესაგროვებელი, გასაფილტრი და შესანახი საკუთარი სისტემაც კი გააჩნია). რიგ შემთხვევებში ცალკე გამოიყოფა სამზადი და დერეფნის მეშვეობით კომპლექსის შორეულ კიდეში გატანილი ფეხისადგილი. სათავსების მრავალფუნქციურობა კომპლექსში დაყუდებული ბერის ხანგრძლივი დროის განმავლობაში იზოლირებულ ცხოვრებას უზრუნველყოფდა. დოდორქის ერთ-ერთი ტიპური ქვაბთა კომპლექსის აღწერილობა ახლახან გამოქვეყნდა (ჩიხლაძე 2020). ამჟამად მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა დოდორქის მონასტრის ინტერდისციპლინური კვლევის შედეგებისადმი მიძღვნილი წიგნის მომზადებაზე.

ჩემი აზრით, მატერიალურ ნაშთებთან ერთად, წმ. გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაც“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ IX საუკუნეში, ანუ იმ დროს, როცა წმ. გრიგოლმა ტაო-კლარჯეთის მიწაზე მონასტრები დაარსა, გარეჯის სავანეები ანაქორეტული იყო. ამის ვარაუდს მიჩენს გიორგი მერჩულეს სრული დუმილი გარეჯის მონასტრებთან დაკავშირებით. იმ დროს, როცა იგი აღფრთოვანებით წერს ტაო-კლარჯეთში მიმდინარე სამონასტრო მშენებლობასა და ადგილობრივ ბერთა მოღვაწეობაზე, ჰაგიოგრაფი გაკვრითაც კი არსად ახსენებს გარეჯის მონასტრებს, არაფერი რომ ვთქვათ ამ სახელგანთქმულ სავანეებთან ტაო-კლარჯეთის მონასტრების რამენაირ შედარებაზე. ამგვარ დუმილს იმ ახსნას ვუძებნი, რომ გრიგოლ ხანცთელმა, წმ. დავით გარეჯელისაგან განსხვავებით, ზოგადსაცხოვრებელი მონასტრები (კვინობები) დააარსა. ამ მონასტრების სიახლოვეში მცირე რაოდენობის მარტოდმყოფებიც მოღვაწეობდნენ. წმ. გრიგოლ ხანცთელი მკაცრად მოითხოვდა,

რომ თავად მონასტრებში ერთობლივი ლიტურგიის წესი ყოფილიყო დაცული და ბერებს კერძო სამლოცველოები არ აეშენებინათ: „ამას მონასტერსა შინა სენაკებსა თანა ეგუტერსა ჟამის-საწირვად ნუვინ აღაშენებს, რამეთუ უჯეროვება არს, უკეთუ ერისა ნებაჲ არ იყოს, თვინიერ დიდისა მის საეროისა ეკლესიისა ამის მიზეზისათვის“ (აბულაძე 1964: 307).

ამ მოთხოვნისაგან განსხვავებით, ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მიერ შესწავლილი დოდორქის მონასტრის საცხოვრებელი კომპლექსების უმრავლესობას თავისი კერძო სამლოცველო (ეგვტერი) აქვს, თანაც თითოეულ მათგანში კლდისაგან განუცალკევებლად ნაკვეთი ტრაპეზის ქვაა აღმართული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დოდორქის კერძო სამლოცველოები იმთავითვე ჟამისწირვის აღსასრულებლად იყო გამოკვეთილი. გრიგოლ მერჩულე სრულად იზიარებდა წმ. გრიგოლ ხანცთელის ხედვას და, ჩემი აზრით, ანაქორეტულ სავანეებს სრულფასოვან მონასტრებად არ მიიჩნევდა. სწორედ ამიტომაც, მან საჭიროდ არ მიიჩნია თავის თხზულებაში იმ დროისთვის სახელგანთქმული გარეჯის მონასტრების რაიმე სახით მოხსენიება, მით უფრო მათთვის კლარჯეთის სავანეების შედარება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ კიმენური ვერსია არის სარწმუნოებისა და დროის მოთხოვნების შესაბამისად სტრუქტურირებული ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელშიც დიდი ქართველი წმინდანის შინაგანი ბუნებისა და მოღვაწეობის უკეთესი კუთხით წარმოჩენის მიზნით, ჰაგიოგრაფმა ტექსტი დაკანონებული სტანდარტული ტოპოსებით გაამდიდრა. ტოპოსების უხვად მოხმობასთან ერთად, თხზულების ავტორი ობიექტურად, რაიმე შელამაზების გარეშე გადმოგვცემს სამონასტრო ყოფის დეტალებსაც და ამ კუთხით წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია სანდო ისტორიული წყაროა შესაბამისი პერიოდის სამონასტრო ცხოვრების რეკონსტრუქციისთვის, რაც სამონასტრო ტიპიკონისა და სხვა წერილობითი წყაროების არარსებობის ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია.

დამოწმებანი

აბულაძე 1964: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.)*, დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი.

გარიტი 1957: *G. Garitte.* Vie géorgienne de S. Syméon Stilite l’Ancienet de S. Ephrem: *Corpus Scriptorum Chtistianorum Orientalis, Scriptores Iberici*, vol. 171 , Louvain.

იმნაიშვილი 1975: *მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბილისი.

მერკვილაძე 2012: დ. მერკვილაძე. *წმ. მამა დავით გარეჯელი და მისი სავანეები*, თბილისი.

სირაძე 1992: რ. სირაძე. „შატბერდის კრებულის“ შედგენილობისათვის, *ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა*, წ., 1, თბილისი.

ფერაძე 2004: *გრიგოლ ფერაძე, ქართველი თეოლოგი ევროპაში*, სემინარი, 18 თებერვალი, 2004 გოეთეს ინსტიტუტი, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი.

ჩიხლაძე 2020: D. Chikhladze. Architecture of the Dodorka Monastery of Gareji, *Proceedings of the International Conference “Multidisciplinary Study and Development Strategy”*, April 18, 19, 20, 2019, Georgia.

HISTORICAL FACTS AND TOPOI FOUND IN THE PREMETAPHRASTIC VERSION OF THE *LIFE* OF ST. DAVIT GAREJELI

Lado Mirianashvili

When composing hagiographic narratives, the aim of the hagiographers was not to compose an exact biographical record of the saint, but rather to portray the saint as a learned ascetic, exemplary hermit and wonderworker. To score the goal, the hagiographers employed the literary models found in the Bible and earlier hagiographic works. These common themes were known as topoi which passed from one work to another. The use of widely accepted topoi was especially important for Georgian hagiographers who were eager to establish importance of the national saints to the Christian history, and to place them on an equal footing with Byzantine and Persian saints.

Examples of the topoi used in the Life of St. Davit Garejeli are given in the paper. They are compared with examples from the lives of other saints.

Certain features of monastic life in Gareji described in the Vita are compared with the results of recent material culture studies in Gareji. The conclusion is made that despite of the abundant use of topoi in the Vita, they all concern only personal portrait of the saint. Details of the monastic life described in the narrative are reliable. They are supported by material evidence. Namely, the studies show that anachoretic style of life in Gareji described in the Vita was favoured for long. It is attested in the structure of living caves dating to the 9th-11th centuries. Monks in Gareji lived in multi-cave, self-sustained complexes which were accessed through communication shaft. The larger dwelling cave used for everyday life activities of the monks was a focal point of a complex. It was simultaneously used as a bedroom, as suggested by existence of a rock-cut sleeping bench in the cave. Sometimes a separate cave was used as a bedroom. Majority of dwelling rooms had a private liturgical space: a naveless altar apse cut into the east wall. Sometimes a complex had a detached private chapel. The dwelling complex also had a small storage cave for storing water and food. At a remote edge of the multi-cave complex was located an individual latrine accessed by means of a corridor.

პროზელიტიზმი ჰაგიოგრაფიულ ტექსტში: კლასიფიკაცია და ნაციონალური თავისებურებები

ნინო პოპიაშვილი

პროზელიტიზმი ბერძნული სიტყვაა. თანამედროვე მნიშვნელობით აღნიშნავს სარწმუნოების შეცვლას, ერთი რელიგიური მიმდინარეობიდან სხვა რელიგიურ მიმდინარეობაზე გადასვლას: „1. მისწრაფება თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისაკენ. 2. მხურვალე ერთგულება ახლად მიღებული მოძღვრებისა, რწმენისა“ (ჭაბაშვილი 1989).

ბიბლიაში „პროზელიტი“ გულისხმობს ადამიანს, რომელიც არ არის წარმოშობით იუდეველი, ანუ ებრაელი, მაგრამ ცხოვრობს იუდეველთა შორის (მოციქულთა 2: 10-11).

კორნელი კეკელიძე საქართველოში ებრაული და ქრისტიანული საზოგადოებების ურთიერთმიმართებისა და პროზელიტიზმის შესახებ აღნიშნავს, რომ ქრისტიანული პროზელიტიზმი საქართველოში ებრაელ მოსახლეობას უკავშირდებოდა:

> ებრაელობის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა, საქართველოში, კერძოდ, მცხეთაში, ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ისინი არამცთუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ქრისტიანობას, პირიქით, ნიადაგიც კი მოუმზადეს მას: პირველი პროზელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში პოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც, მაგალითად, აბიათარი, სიდონია და სხვები (კეკელიძე 1980: 472).

პროზელიტიზმზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული და თანამედროვე პროზელიტიზმი განსხვავებულ კონტექსტებს ქმნის. შეიძლება ვისაუბროთ „ბუნებრივ“ და „არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმზეც“. თუ ბუნებრივი პროზელიტიზმი ჩვეულებრივი, ეგზისტენციური მოვლენაა, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი განისაზღვრება, როგორც ინდივიდის იძულების ფორმა. მაგალითად, ბერძნული კანონმდებლობა პროზელიტიზმს განმარტავს როგორც პიროვნების რელიგიურ რწმენაში ჩარევის ნებისმიერ, პირდაპირ თუ არაპირდაპირი მცდელობას, რაც მიზნად ისახავს რწმენის დაკნინებასაკენ მიმართულ ნებისმიერი სახის ცდუნების ან მორალური თუ მატერიალური დახმარების დაპირების მეშვეობით, ცრუ საშუალებით ან შესაბამისი პირის გამოუცდელობის, ნდობის, საჭიროების, დაბალი ინტელექტისა და გულუბრყვილობის გამოყენებით (აბაშიძე და *სხვები* 2002).

ამგვარად, პროზელიტიზმს აქვს ზოგადი ხასიათი და ეფუძნება რწმენის, აზრის თავისუფლებასა და მის გავრცელება-გადაცემას; რწმენის, როგორც ფუნდამენტური შეხედულებების, მოსაზრებების გაზიარებას. ამასთან, პროზელიტიზმი თავის თავში მოიცავს თანამოაზრეობას, შთაგონებასა და გაზიარებას, შეხედულებების, მოსაზრებების მიღებას. რელიგიური შეხედულებებისა და წარმოდგენების თანაზიარობას.

> რელიგიურ, ისევე როგორც ეთნიურ სფეროში, პროზელიტიზმი სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. არაბუნებრივი სწორედ ის იქნებოდა, რომ რომელიმე სარწმუნოების ადეპტს არ ჰქონოდა სურვილი საკუთარი მრწამსის გადაცემისა პიროვნული შთაგონებისა თუ საჯარო ქადაგების ძალით. რწმენის ბუნება ისეთია, რომ იგი ვერ ეტევა ერთი ადამიანის ცნობიერებაში, შეგნებაში, და როგორც ადიდებული მდინარე, გადადის ნაპირებზე. ადეპტი გრძნობს მოწოდებას და მას არ შეუძლია არ გაუზიაროს სხვას თავისი რწმენა, როგორც წინასწარმეტყველს, რომელიც ატარებს ღვთის სიტყვას, არ შეუძლია არ იქადაგოს (აბაშიძე და *სხვები* 2002: 10).

პროზელიტიზმის გავრცელებას რამდენიმე მიზეზი აქვს. აქ შეიძლება დასახელდეს პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური ფაქტორები.

პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორები ხელს უწყობდა პროზელიტიზმის მასობრივ გავრცელებას სხვადასხვა ეტაპზე. ფსიქო-სოციალური და კულტურული ფაქტორები კი პროზელიტიზმის გავრცელების ინდივიდუალურ შემთხვევებზე აქტიურად მოქმედებს.

პროზელიტიზმის მეორე სახეობა, ე.წ. „არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი“, იძულებითი, ძალდატანებითი პროზელიტიზმი, სხვა რეალობაში აღმოცენდება. ამ შემთხვევაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ საფუძველს, სარგებლიანობას. შესაძლებელია ვისაუბროთ უტილიტარულ და პრაგმატულ დამოკიდებულებებზე:

> ვნახოთ, რა პირობები კვებავს არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმს? მას გასავალი აქვს, ის ფეხს იკიდებს მოსახლეობის გაჭირვებულ ფენებში, სადაც შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმევინება ადამიანისთვის მატერიალური დაინტერესების მოტივით, რაც მოსყიდვის ზოგად კვალიფიკაციაში ერთიანდება; იმ ფენებში, სადაც დაბალი ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული დონე შესაძლებელად ხდის რწმენისმიერი ღირებულებებისადმი პრაგმატულ დამოკიდებულებას; ადამიანებში, რომელთა განუვითარებელი პიროვნული საწყისი, პრიმიტიული შინაგანი სამყარო, შინაგანი თავისუფლების, ნებელობის და საკუთარი პიროვნული ღირსებისადმი პატივისცემის დეფიციტი შეუძლებელს ხდის თავსმოხვეული წარმოდგენებისა თუ ღირებულებების მიმართ წინააღმდეგობას (აბაშიძე და *სხვები* 2002).

ჰაგიოგრაფიის წარმოშობის მნიშვნელოვან მიზეზად შესაძლებელია დასახელდეს ქრისტიანული პროზელიტიზმი და წარმართობასთან ბრძოლა, ვინაიდან ქრისტიანობის დევნის ეპოქაში პროზელიტიზმის ფაქტების აღწერა და წარმართობის საწინააღმდეგო პოზიციების პოპულარიზაცია იყო ქრისტიანობის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი.

ქრისტიანული პროზელიტიზმი ხშირად იყო მარტვილოლოგიური თხზულებების ან მოკლე მარტვილოლოგიური ჩანაწერების, „მოწამეთა აქტების“ (Acta Martyrum) წყარო. ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე აღინიშნება აქტიური პროზელიტიზმი და ამგვარ ფაქტებს მასიური ხასიათი აქვს. როგორც წესი, ახლადმონათლული ქრისტიანი მონათვლისთანავე იღებს სრულფასოვანი ქრისტიანის სტატუსს. ქრისტიანულ სამყაროში პირველი პროზელიტები პირველი ქრისტიანები იყვნენ, ვინც კერპთაყვანისმცემლობიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოინათლა. ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ეტაპის შემდეგ პროზელიტიზმი აღარ არის აქტიური მოვლენა, რადგან დამკვიდრებულ რელიგიაში სარწმუნოების შეცვლა ძირითადად უცხოელთა მიერ იყო შესაძლებელი.

ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც ბიზანტიური და აღმოსავლეთის ჰაგიოგრაფიის ტრადიციების ერთ-ერთი მემკვიდრე და გამგრძელებელი, იცნობს და ეყრდნობა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების შექმნისა და ასახვის მეთოდებსა და თავისებურებებს. ამასთან, ქმნის ახალ, ორიგინალურ მიმართულებებს, რაც საქართველოს ისტორიის, ეთნიკურ და სოციალურ, ასევე, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოსთან არის კავშირში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროზელიტიზმის ფაქტები და მისი ასახვის თავისებურებები ქართულ ისტორიოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში, ვინაიდან პროზელიტიზმი, როგორც მოვლენა, ძირითადად, ადრეული ქრისტიანობის ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა საქართველოს ისტორიის თავისებურებებიდან გამომდინარე, გვხვდება განსხვავებული პროზელიტიზმიც, რაც ლიტერატურული ასახვის წინაპირობად იქცა.

პროზელიტიზმი ისტორიულად სხვადასხვა ფორმას იღებდა. წყაროებზე დაყრდნობით და ისტორიული განვითარების კვალდაკვალ შეგვიძლია ვიმსჯელოთ პროზელიტიზმის ფაქტების რაოდენობრივ მხარეზე, კერძოდ, მასობრივ, ჯგუფურ და ინდივიდუალურ პროზელიტიზმზე. ამასთან, შესაძლებელია გამოვყოთ პროზელიტიზმის თვისებრიობის რამდენიმე სახე**,** პროზელიტიზმის განვითარების ეტაპები, რომლებიც ვლინდება საქართველოს ისტორიული და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად და ასახულია წერილობით ძეგლებში – ისტორიოგრაფიულ წყაროებსა და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.

1. ნებადართული პროზელიტიზმი. ეს არის საქართველოში ქრისტიანული პროზელიტიზმის პირველი ეტაპი. პირველი ქართველი ქრისტიანები და ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება. აღნიშნული ეტაპი, შესაძლოა, დათარიღდეს ქართლში ქრისტიანობის პირველი ქადაგებიდან ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე და მას გავრცელებული, მასობრივი ხასიათი აქვს; 2. იძულებითი პროზელიტიზმი. როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე პროზელიტიზმს იძულებითი ხასიათიც ჰქონდა. მაგალითად, ამგვარ ფაქტს წყაროები აღწერენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში; 3. აკრძალული პროზელიტიზმი ქართველთა შორის. საქართველოში ქრისტიანობის შემოღების დასაწყისში შეინიშნება წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირება, ქართველთა აკრძალული ქრისტიანობა. ეს ხდებოდა საქართველოში ქრისტიანობის ქადაგებისა და გავრცელების ადრეულ ხანაში, მათ შორის, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების დროს და შემდეგაც, ვიდრე ქრისტიანობა საბოლოოდ არ დამკვიდრდებოდა ოფიციალურ რელიგიად; 4. აკრძალული პროზელიტიზმი უცხოელთა შორის. აქ იგულისხმება უცხო სარწმუნოების, საქართველოს მაგალითზე, დამპყრობლის პროზელიტიზმი, უცხოელთა აკრძალული ქრისტიანობა. პროზელიტიზმის აღნიშნული ტალღა უშუალო კავშირშია პოლიტიკურ მოვლენებთან, კერძოდ, ქართლის დაპყრობებთან სპარსეთისა და არაბების მიერ. პროზელიტიზმის ეს ტალღა, უცხო რჯულისა და ეთნოსის წარმომადგენლის პროზელიტიზმი, წარმოადგენს ერთგვარ გამონაკლის შემთხვევებს და აქვს მნიშვნელოვანი ფუნქციური, იდეოლოგიური და ზოგადქრისტიანული მნიშვნელობა.

ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ისტორიოგრაფიულ ძეგლებში პროზელიტიზმის ოთხივე ტალღის შესახებ მრავალრიცხოვანი ცნობებია დაცული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ისტორიოგრაფიაში დადასტურებული პროზელიტიზმის კლასიფიკაცია სრულად ემთხვევა საქართველოში ქრისტიანობის განვითარების ისტორიულ ეტაპებს.

განვიხილოთ ქრისტიანული პროზელიტიზმის გავრცელების ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაცია ჰაგიოგრაფიულ და ისტორიოგრაფიულ თხზულებებში დადასტურებული ცნობების მიხედვით.

1. ნებადართული პროზელიტიზმი.

პროზელიტიზმის ეს სახე, ნებადართული ქრისტიანული პროზელიტიზმი, საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისში აღინიშნება, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების პერიოდში და მას ძირითადად მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამ ეტაპმა განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვა საკითხები საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიისათვის.

ნებადართულ პროზელიტიზმში შესაძლებელია ვიმსჯელოთ აგრეთვე ნებაყოფლობით პროზელიტიზმზე ანუ ქრისტიანობის გავრცელების პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად, ინდივიდუალურ ინტერესებზე, რაც მეტად ადამიანური და ჰუმანურია. სწორედ ნებაყოფლობით პროზელიტიზმს ვხვდებით პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანისა და მისი ოჯახის მონათვლის ისტორიაში, რომელიც, ერთი მხრივ, დედოფლის, ხოლო, მეორე მხრივ, მირიანის პირად ნებაზე, პირად გამოცდილებაზე, ინტერესსა და სურვილზეა დამოკიდებული. აღნიშნულ ფაქტს დიდი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის განვითარების შემდგომი პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და სხვა ასპექტები. სამეფო ოჯახის ნებაყოფლობითი პროზელიტიზმი ასახულია წმ. ნინოს „ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეულ“ რედაქციაში:

> მაშინ ნათელ-იღო მეფემან ჴელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფალმან და შვილთა მათთა ჴელსა ქუეშე მათ მღდელთა და დიაკონთასა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკუარი, და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი, მიწურვით ჴიდისა კარსა მოგუეთისასა, სადა ყოფილ იყო სახლი ელიოზ მღდელისა, და მუნ ნათელს-ცემდა წარჩინებულთა თჳთოსა და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლო. ხოლო ქუემოთ მისსა, მდინარისა-ვე პირსა, ორგან, ორნი იგი მღდელნი და დიაკონნი ნათელს-ცემდეს ერსა. და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთას

მოსწრაფებით და ევედრებოდეს მღდელთა, რათა პირველად მას ვის-მე ნათელს-ცეს. და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლის-ღებისათჳს, რამეთუ ესმინა ქადაგება წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყჳნ: „ყოველმან რომელმან არა ნათელ-იღოს, არა პოვოს მან ნათელი საუკუნო“ და ამისთჳს მოსწრაფე იყვნეს ნათლის-ღებად ყოველნი იგი. და ესრეთ სახედ ნათელ-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თჳნიერ ხოლო არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიანთა, არ-ცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რა-ოდენ-მე. და ჰურიათა მცხეთელთა არა-ვე ნათელ-იღეს, გარნა ბარბიანთა ნათელ-იღეს ორმოცდაათამან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ. ამისთჳს-ცა დიდ იქმნეს იგინი წინაშე მეფისა; და მიუბოძა მათ დაბა, რომელსა ჰქჳან ციხე-დიდი. არამედ არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან; არ-ცა ერმან მისმან ნათელ-იღო, არამედ ჴორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა. მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთის-მოყუარესა ელენე დედოფალსა. და ითხოვნა მღდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელს-ცემდენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-იღოს ყოველმან სულმან ქართლისამან. და ითხოვნა ქვით-ხურონი აღშენებისათჳს ეკლესიათა. ვითარ მიიწივნეს წინაშე კოსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერჴნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ჴელთანი. და წარმოგზავნნა მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: რამეთუ კოსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდ-ძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადა-ცა ჴერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დაამკჳდრენ ქალაქთა ქართლისათა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 116-117).

ქართლის გაქრისტიანების პირველი პერიოდის შესახებ „წმ.ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში აღნიშნულია, რომ წარმართთა მონათვლას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მოწყობილი იყო მოსანათლი ადგილი მტკვარზე, აღმართული იყო ჯვარი და იაკობ მღვდელი და მთავარდიაკონი ნათლავდნენ მთავართა შვილებს. ამ ადგილს ამიტომ მთავართა სანათლო ადგილი დაერქვა. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ რედაქციაში ვკითხულობთ:

ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალისა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკვარსა ზედა, და იყო მცირჱ ბაგინი სამარხვოჲ მათი, რომელსა ზედა აღმართა წმიდამან ნინო ჯუარი ქრისტესი, და ერთი ერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა ჴელითა იაკობ მღდელისაჲთა და პროსილა მ[თა]ვარ-დიაკონისაჲ მთავართა შვ[ილებსა] წი[აღთა] ქა[ლა]ქ[ისათ]ა. დაერქუა ადგილსა-მას მთავართა სანათლოჲ, და ფრიად დიდებულ იყო ადგილი იგი დღეთა ჩუენთა, რამეთუ დგა იგი ველსა თჳნიერ ნაშენებისა. და მათ დღეთა შემეშურვნეს ფრიად ჰურიანი მცხეთელნი ჩემ ზედა, და დასცეს ხჱ იგი კალამოჲ, რომელი დგა კარსა ზედა ბაგინისასა, რომელი განაშუენებდა ადგილსა-მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი ყოველსა-მას სტოვასა ბაგინისასა, და იწყეს სადაჲთვე წარსლვად თჳნიერ ხოლო ბარაბეანთასა, რომელნიცა მოინათლნეს ორმეოცდა ათი სული სახლისა მათისაჲ და მკჳდრ იქმნეს მცხეთასა შინა, და მიუბოძა მირეან მეფემან დაბაჲ ერთი, რომელსა ჰრქჳან ციხჱ-დიდი. და იყვნეს დიდ წინაშე მეფისა და [ყოველთა] ქრისტიანეთასა მადლითა ნეტარისა ნინოჲსითა და მოძღურებითა მისითა (თაყაიშვილი 1891: 53-54).

იგივე ეპიზოდი „მოქცევაი ქართლისაის“ სინური რედაქციის მიხედვით ანალოგიურად არის გადმოცემული:

ხოლო სახლი ელიოზისი [ი]ყო ქალაქსა დასავალით, კარსა დასავ[ა]ლით მოგუთისასა, მტკუარსა ზედა. და იყო მცირჱ ბაგინი სამარხოჲ მათი, რომელსა ზედა აღმართა ჯუარი ქრისტჱსი ნინო, დედამან ჩემმან. ერთიერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა ჴელითა იაკობ მღდელისაჲთა და პროსილა მთავარდეაკონისაჲთა მთავარ[თა] შვილებსა წიაღ ქალაქისათა. და ერქუა ადგილსა მას მთავართა სანათლო. და ფრიად დიდებულ იყო ადგილი იგი დღეთა ჩუენთა, რამეთუ დგა იგი ველსა თჳნიერ ნაშენებისა. და მათ დღეთა შეჲშალნეს ჰურიანი ჩემ ზედა მცხეთით და დასცეს ხჱ იგი კილამოჲ, რომელი დგა კარსა ზედა [რ]ბაგინისასა, რომელი განაშუენებდა ადგილსა მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი ყოველსა მას სტოასა ბაგინისასა. და იწყეს წარსლვად საჲდაჲთვე თჳნიერ ბარაბიანთასა, რომელ მოინათლა ორმოცი სული სახლისა მათისაჲ და მკჳდრ იქმნეს

მცხეთას შინა. და მიუბოძა მეფემან დაბაჲ, რომელსა რქუან ციხე-დიდი და იყუნეს დიდ წინაშე მეფისა და ქრისტეანე ჭეშმარიტად მადლითა ნეტარისა ნინოჲსითა და მოძღურებითა მისითა (ალექსიძე 2007: 365).

ნებადართულ ქრისტიანულ პროზელიტიზმში შესაძლებელია ვიმსჯელოთ აგრეთვე მაგალითის ძალის ფენომენზე, რაც ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში გამოყენებული ასახვის წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. „წმ. ნინოს ცხოვრება“ მოგვითხრობს დედოფლის გაქრისტიანებას და ამ მაგალითით სამეფო კართან დაახლოებული პირების პროზელიტიზმის შესახებ.

და იყო, მათვე ჟამთა შინა მირიან მეფისათა, რაჟამს მოინათლა დედუფალი ესე სუჯი და მის თანა მთავარნი მრავალნი ჴელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა, აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და სურვილითა წმიდისა სიონისა კათოლიკე ეკლესიჲსაჲთა, რომელ-იგი წმიდისა ნინოჲს მიერ მოენიჭა სოფელსა ცნობად ნათელი ჭეშმარიტი (ალექსიძე 2009: 334).

„წმ. ნინოს ცხობრებაში“ მრავალგან არის მითითებული, რომ ცალკეული შემთხვევების, სასწაულების მოხდენის შემდგომ მორწმუნეთა რაოდენობა იზრდება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნებადართული მასობრივი პროზელიტიზმი, რომელსაც თავისი პოლიტიკურ-კულტურული და ფსიქო-სოციალური მოტივები აქვს. მმართველი ძალა ხელს უწყობს მასობრივ პროზელიტიზმს და ახალი რელიგიის მშვიდობიან გავრცელებას. მასობრივ პროზელიტიზმში იკარგება ინდივიდუალობა და ფაქტს აქვს მასობრივი ლეგიტიმაციის ფუნქცია.

[...] ვითარცა სასწაული იგი დასცხრებოდა, ეგრეცა ძრვა იგი დასცხრებოდა. ვითარცა იხილეს სასწაული იგი, დაუკვრდა ყოველთა, და უფროსად და უმეტესად ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა იქმნებოდეს წლითი-წლად სასწაულნი იგი, და ყოველი ერი ხედვიდეს შიშით და ძრწოლით; მოვიდოდეს თაყუანისცემად გულსმოდგინედ (ყაუხჩიშვილი 1955: 122).

მეფის ძის, რევის სნეული შვილის მორჩენის შემდეგ, მორწმუნეთა რაოდენობა კვლავ იზრდება:

მას ჟამსა რევის, ძესა მეფისასა, ესუა ყრმა-წული. მცირე, და იყო სნეულ, და მიწევნულ იყო სიკუდილად. რამეთუ იგი ოდენ მხოლო ესუა მათ, მოიღო და დადვა იგი წინაშე ჯუარისა და ცრემლით იტყოდა: „უკეთუ მომიბოძო ყრმა ესე ცოცხალი, აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“. და მუნქუეს-ვე განიკურნა ყრმა იგი, და განკურნებული და განცოცხლებული წარიყვანა. მერმე მოვიდა აღნათქუამისა აღმასრულებელად და ყო მადლისა მიცემა დიდითა სიხარულითა. და გულ-მოდგინებით აღაშენა კუბო ჯუარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან, და წლითი-წლად მოვიდის და აღასრულის აღნათქუამი იგი მსხუერპლისა. და მიერითგან უფროს მოვიდოდეს ყოველნი უძლურნი და სნეულნი, განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჯუარსა წმიდასა ქრისტესსა (ყაუხჩიშვილი 1955: 123).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტში წარმოდგენილ „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციაში ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანობის გავრცელების, ნებადართული პროზელიტიზმის როგორც მასობრივ, ისე ინდივიდუალურ შემთხვევებზე. ინდივიდუალური შემთხვევების პერსონიფიკაცია მიზნად ისახავს ადამიანური, ჰუმანური ისტორიების პოპულარიზაციას და გავრცელებას: „იყო ვინმე მამაკაცი ჭაბუკი, და ორნი-ვე თუალნი დასდგომოდეს. ჯდა იგი წინაშე ჯუარსა ქრისტესსა, და შემდგომად შჳდისა დღისა აღეხილნეს თუალნი: ხედვიდა და ადიდებდა პატიოსანსა ჯუარსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 123).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნებადართული პროზელიტიზმის მასობრივი და ინდივიდუალური შემთხვევების გარდა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ პროზელიტიზმის გენდერულ ასპექტებზე. ინდივიდუალურ პროზელიტთა შორის არიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები:

მერმე დედაკაცი ვინმე იყო, მარადის გუემული სულისაგან უკეთურისა ეგეოდენ, რომელ ძალი და გონება მისი მიეღო რვასა წელსა, და სამოსელსა თჳსსა დაიპებდა. და ვითარ მოიყვანეს და პატიოსანსა ჯუარსა შეამთხჳეს, შემდგომად თორმეტისა დღისა განიკურნა და თჳსითა ფერჴითა წარვიდა. და ადიდებდა ღმერთსა და თაყუანის-ცემდა პატიოსანსა ჯუარსა (ყაუხჩიშვილი 1955: 123).

ნებადართული მასობრივი პროზელიტიზმის ფაქტების შესახებ აღნიშვნისას ხაზგასმულია ახლად მონათლულთა დადებითი განწყობა:

> იხილეს რა სასწაული და კურნება ყოვლად წმიდისა ჯუარისა, მრავალნი უშვილონი მოვიდოდეს და ითხოვდეს შვილიერებასა, და შვილ-მრავალ იქმნებოდეს, და შესაწირავთა და მადლთა ჰყოფდეს. არა თუ რომელნი მოვიდიან მათ ოდენ მიიღიან კურნება, არამედ რომელნი შორით ილოცვიდიან წმიდასა ჯუარსა, მუნქუეს-ვე შეწევნითა მისითა მიიღიან მადლი, მძლე ექმნებიან მტერთა და მოსწრაფედ მოვიდიან შეწირვად მადლისა. მრავალნი უკუე უღმრთონი ჭირსა შთაცვივიან, და რაჟამს ხადოდიან წმიდასა ჯუარსა, მუნქუეს-ვე განერიან ჭირისაგან და მოვიდოდიან შემთხუევად პატიოსნისა ჯუარისა, და მსწრაფლ ნათელ-იღიან და ადიდებდიან პატიოსანსა ჯუარსა. მრავალნი უკუე, მრავალსა ჭირსა შთაცვენულნი, ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა განიკურნებოდეს პირად-პირადთაგან სატანჯველთა, მოივლტიედ ვედრებად და მყის განიკურნებიედ მოდღენდელად-დღედმდე და ადიდებდეს მამას, და ძესა, და წმიდასა სულსა (ყაუხჩიშვილი 1955: 124).

2. იძულებითი პროზელიტიზმი.

იძულებითი ქრისტიანული პროზელიტიზმი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. და ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ახალ სარწმუნოებაზე მოქცევა სავალდებულო ხდება. პროზელიტიზმის ეს ტიპი ასახულია წმ. ნინოს „ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეულ“ რედაქციაში:

> და წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი. მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლის-ღება. მაშინ ერის-თავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვლი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი. გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება. ამისთჳს წარკრბეს იგინი და შესცთეს, და რომელნი-მე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნი-მე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდე (ყაუხჩიშვილი 1955: 125-126).

იძულებითი პროზელიტიზმის ილუსტრირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მირიან მეფის ანდერძიც, რომელიც, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მემკვიდრეებს დაუტოვა შესასრულებლად: „და სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ, და ნაცარი შეასუ რომელნი მათ ესვიდენ. და ესე შვილთაცა შენთა ამცენ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 130).

3. აკრძალული პროზელიტიზმი ქართველთა შორის.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში აღწერილია ქრისტიანობის წარმართობასთან დაპირისპირებების შემთხვევები და აკრძალული პროზელიტიზმი, რომელიც მოწამეობრივი აღსასრულით მთავრდება. ეს არის მარტვილობის ერთგვარი ლეგიტიმაცია, სადაც მარტვილობა, მოწამეობრივი აღსასრული ლეგიტიმურია.

> ცნობილი ფაქტია, რომ მოწამეთა გადაკეთება უნდა მოხდეს, რომ გახდეს „მოწამე“... ჰაგიოგრაფმა უნდა წარმოადგინოს (ნამდვილი ან მოჩვენებითი) ადამიანის (ნამდვილი ან წარმოსახვითი) გარდაცვალება, როგორც ქრისტესთვის განხორციელებული გმირული მოქმედება. მოწამე, როგორც ახალი ქრისტიანული გმირი, მოწოდებული იყო, ჩაენაცვლებინა ყველა მანამდე არსებული მეწამეობრივი მაგალითი (პესტი-სიმონი 2017: 157).

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვიმსჯელოთ აკრძალული პროზელიტიზმის ორ მოდელზე: ქართველი ქრისტიანი პროზელიტებისა და უცხოელი ქრისტიანი პროზელიტების მაგალითზე.

აკრძალული პროზელიტიზმი ქართველთა შორის გადმოცემულია უცნობი ავტორის „წმ. კოლაელ

ყრმათა მარტვილობაში“. ტექსტის არქიტექტონიკა, ასევე, ქრისტიანული წესებისა და ღვთისმსახურების აღწერა მიუთითებს, რომ იგი ადრექრისტიანულ ხანაშია შექმნილი. ტექსტში გადმოცემულია ქრისტიანობის დამკვიდრების პირველი პერიოდი, როდესაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ აღიარებული. აკრძალული ქრისტიანული პროზელიტიზმის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკე და დაუნდობლობა ვლინდება. ჩანს, რომ გაბატონებული რწმენა, წარმართობა, ძლიერია, მკვიდრად ფესვგადგმულია მოსახლეობაში, ამასთან, ჩანს, რომ ქრისტიანობასაც აქვს უკვე გარკვეული გავლენა მოპოვებული, სოფელ კოლაში მოქმედი ეკლესიაა, სადაც ქრისტიანები წირვა-ლოცვას აღასრულებენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა ახალი რელიგიაა და ძველი სარწმუნოება მას წინააღმდეგობას უწევს. წმ.კოლაელ ყრმათა „მარტვილობა“ შემორჩენილია გვიანდელი ხელნაწერებით და ამჟღავნებს რედაქციული გადამუშავების ნიშნებს. ტექსტის დაწერის თარიღთან დაკავშირებით გამოთქმულია არაერთი განსხვავებული თვალსაზრისი. ბოლო ხანს გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, ტექსტი დაწერილია, სავარაუდოდ, IV-V საუკუნეებში დეტალურად იხ. (კუჭუხიძე 2003); (გრიგალაშვილი 2012). ბიძინა ჩოლოყაშვილის აზრით, წმ. კოლაელ ყრმათა „მარტვილობა“ უნდა იყოს შექმნილი 260-303 წლებს შორის თანამედროვეს მიერ. კერძოდ, თხზულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ იმ პერიოდში კოლა, სამხრეთ საქართველო უნდა ყოფილიყო რომის გავლენის ქვეშ. ნაწარმოებში ჩანს რომაული კანონები, რომლითაც მამებს შვილის დასჯის, მოკვლის უფლება ჰქონდათ (319 წლამდე), თანაც სასამართლოს გარეშე; 313 წლიდან, მილანის ედიქტის მერე, ქრისტიანების სიკვდილით დასჯა შეუძლებელი იყო (ჩოლოყაშვილი 2003). ი. გრიგალაშვილის აზრით, წმ. კოლაელ ყრმათა „მარტვილობა“ დაწერილია II საუკუნის ბოლოს და არაუგვიანეს III საუკუნის შუა წლებისა. დედანი არაერთხელ გადაუწერიათ, სავარაუდოდ, IX-X საუკუნეებშიც“ (გრიგალაშვილი 2016: 317).

წმ.კოლაელ ყრმათა „მარტვილობა“ ჩვენი კვლევისათვის მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებაა. ტექსტი ეხება ჯგუფური პროზელიტიზმის შემთხვევას. ასევე, თხზულებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ბავშვთა პროზელიტიზმი, რომელიც გამორჩეული ფაქტია. როგორც უკვე აღინიშნა, პროზელიტიზმი არის სულიერი მისწრაფებების, იდეების, მოსაზრებების გადაცემა და გაზიარება. ასევე, პროზელიტიზმს ხშირ შემთხვევაში აქვს მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური ან ეკონომიკური საფუძვლები. კორნელია ჰორნი ჰაგიოგრაფიულ ტექსტში მცირეწლოვანი პერსონაჟების ასახვასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

> ბავშვები ოჯახისა და მათი გარემომცველი საზოგადოების ყველაზე სუსტი წევრები არიან. ამასთან, ბავშვებს ყველაზე მეტად აქვთ ზრდისა და განახლების შესაძლებლობა. კავკასიის ძველ და შუა საუკუნეების ეპოქების ჰაგიოგრაფიაში უპირატესად ასახავდნენ თავიანთ გზავნილებს წარმართული, ან შემდგომში, ისლამის ქრისტიანული რელიგიით შეცვლასთან დაკავშირებით, ბავშვი პერსონაჟების გამოყენებით (ჰორნი 2007: 262).

ბავშვთა პროზელიტიზმი და მათი მოწამეობრივი აღსასრული აღწერილია აგრეთვე უცნობი ავტორის „წმ. დავითისა და ტირიჭანის მარტვილობაში“ და უცნობი ავტორის „აბდალ მესიას მარტვილობაში“.

4. აკრძალული პროზელიტიზმი უცხოელთა შორის.

აკრძალული ქრისტიანული პროზელიტიზმი უცხოელთა შორის საინტერესო ისტორიულ კონტექსტს ქმნის. თუ ნებადართული პროზელიტიზმის აღწერას ჰქონდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მიზანი, უცხოელი პროზელიტის ცხოვრებასა და მოწამეობრივი აღსასრულის აღწერას ქრისტიანობისათვის ჰქონდა სარწმუნოების შენარჩუნებისა და განმტკიცების მნიშვნელობა.

ქრისტიანობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანობისათვის თავგანწირვა. საქართველოს მაგალითზე იმ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობა ოფიციალური რელიგიაა, მორწმუნისათვის ქრისტესთვის სიკვდილი აქტუალური ხდება გადატანითი მნიშვნელობით: ქრისტიანული წესების დაცვით ცხოვრებით, მათ შორის, სამონასტრო ცხოვრებით. თუმცა სწორედ ასეთ

ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობის გავრცელებას ხელი არ ეშლება და არ ისჯება დაბადებით ქრისტიანი, იკრძალება და იდევნება უცხო ეთნოსისა და სარწმუნოების პირთა ქრისტიანული პროზელიტიზმი.

საქართველოში მყოფს უცხოელთა შორის აკრძალული პროზელიტიზმის მაგალითებს ვხვდებით უცნობი ავტორის „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“, იოანე საბანისძის „წმ. აბო თბილელის მარტვილობაში“ და ასევე, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის „წმ. რაჟდენ პირველმოწამის წამებაში“. უცხოელთა პროზელიტიზმი და მოწამეობრივი აღსასრული ისტორიული მოცემულობის შედეგია, რომელიც თავდაპირველად ქრისტიანული ქვეყნების მაზდეანური სპარსეთის ჰეგემონიის პირობებში შეინიშნება:

> სპარსული კანონებით მაზდეიანის გაქრისტიანება იყო მხოლოდ აკრძალული და, თუ ბრალდებული დაბადებიდანვე თავის ქრისტიანობას დაამტკიცებდა, ის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებული იყო ხოლმე. მაგრამ მაზდეიანური სარწმუნოების მცნებათა ასასრულებლად გამოცემული საერთო ხასიათის განკარგულებანი ქრისტიანებს მაინც აწუხებდნენ და ცუდ მდგომარეობაში აგდებდნენ (ჯავახიშვილი 1977: 248).

სპარსელების მიერ სპარსი ქრისტიანი პროზელიტების წამება აღწერილია ქართულ და სომხურ ჰაგიოგრაფიაში.

საქართველოში პროზელიტიზმთან დაკავშირებით კ. კეკელიძე უცნობი ავტორის „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაზე“ დაყრდნობით აღნიშნავს:

> სარწმუნოებრივი მდგომარეობაც ქართლისა საკმაოდაა დახასიათებული ამ მარტვილობაში. აქედან, პირველ ყოვლისა, ჩვენ ვგებულობთ, რომ ჩვენში პროზელიტიზმი ძლიერი ყოფილა: ქართლის ეკლესიას იმდენი ძალა ჰქონია, რომ ქრისტიანობას ხშირად ღებულობდნენ, მთელი ჯგუფებით, სხვა სარწმუნოების მიმდევარნი, მაგალითად, ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროზელიტიზმი სპარსეთის უზენაესი გამგისაგან აკრძალული ყოფილა. ეს რომ ასეა, იქიდანა ჩანს, რომ ევსტათის გარდა მარტვილობა სხვა შვიდ ქრისტიანს იხსენიებს სპარსთაგან, რომელთა სახელებია: გუშნაკ, ბახდიად (ბახტიარ), ბურზო, პინაგუსნასპ, პეროზაკ, ზარმილ (სამოელ) და სტეფანე. უკანასკნელის, სტეფანეს, ცოლშვილი, დედმამა და დაძმანიც ქრისტიანები ყოფილან. ამათ სტანჯავენ და აწვალებენ იმიტომ, რომ მიატოვეს „მამული რჯული“, ქრისტიანობა მიიღეს, მაშასადამე, ქრისტიანობის მიღება და გავრცელება აკრძალული ყოფილა (კეკელიძე 1980: 507).

„წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, ერთ-ერთი უძველესი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია. მეცნიერთა აზრით, იგი იაკობ ცურტაველის „წმ.შუშანიკის მარტვილობის“ შემდეგ ჩვენამდე მოღწეული მეორე თხზულებაა. კ. კეკელიძისა და ი. ჯავახიშვილის აზრით, VI საუკუნეში (კეკელიძე 1980); (ჯავახიშვილი 1977). მ. ჩხარტიშვილის აზრით, VII საუკუნეში (ჩხარტიშვილი 1994). ტექსტში გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, ცეცხლთაყვანისმცემლობასთან ბრძოლის, ქრისტიანობისა და ზოროასტრიზმის დაპირისპირების თეორიული და იდეოლოგიური ასპექტები.

იოანე საბანისძის „წმ. აბოს მარტვილობა“ VIII საუკუნის თხზულებაა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არაბთა ბატონობასთან და აკრძალული ქრისტიანული პროზელიტიზმის გამო ქრისტიანთა დევნასთან.

„წმ. აბოს მარტვილობა“ ჟანრული თვალსაზრისით წარმოადგეს ჰაგიოგრაფიული და სხვა ქრისტიანული ლიტერატურული ჟანრების (ჰიმნოგრაფიის, ჰომილეტიკის) ერთგვარ სინკრეტიზებას. თხზულების მთავარი ღერძი არაბი აბო თბილელის მოწამეობრივ აღსასრულთან ერთად არის ქართლის მაშინდელი პოლიტიკურ-სოციალური და რელიგიური ვითარება, ის ისტორიული კონტექსტი, რომელიც მოქმედების განვითარების ერთგვარი წინაისტორია და ამასთან, საფუძველიც არის. ავტორი ახერხებს ჰაგიოგრაფიული გმირის ასახვასთან ერთად წარმოაჩინოს VIII საუკუნის ქართლის

პოლიტიკური სურათი, რომელსაც ერთვის სოციალური, კულტურული, რელიგიური, ფსიქოლოგიური და სხვა საკითხები.

„წმ. რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი, როგორც უკვე ითქვა, ეკუთვნის ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს, XVIII საუკუნის სასულიერო მოღვაწეს, გარეჯის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელს.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასლის ისტორიაშიც აღნიშნულია ვახტანგ მეფის დამსახურებები და, მათ შორის, ნიქოზის ეკლესიის აშენების ამბავი, მოხსენიებულია წმ. რაჟდენ პირველმოწამე და გაკვრით არის მოთხრობილი წმ. რაჟდენის ამბავი ვახტანგ გორგასლის ისტორიასთან კავშირში:

> შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა. და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა. ესე რაჟდენ იყო მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი-იგი პირველ მოეყვანა სპარსთა მეფისა ასული; და მოიქცა იგი ქრისტიანედ, და იქმნა იგი დიდად მორწმუნე; და იყო იგი ბრძოლასა მას შინა ძლიერ, შეიპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდეს, რათამცა უარყო ქრისტე. ხოლო მან წმიდამან აღირჩია წარუვალი იგი დიდება და იწამა ქრისტესთჳს (ყაუხჩიშვილი 1955: 199).

ეთნიკურად სპარსი რაჟდენის პირველმოწამეობას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ის იყო პირველი პროზელიტი მარტვილი, პირველმოწამე. ვფიქრობთ, წმ. რაჟდენის პროზელიტიზმი და მოწამეობრივი აღსასრული აღწერილი იქნებოდა მოწამის გარდაცვალებიდან ახლო ხანებში, ხოლო ტექსტის დაკარგვის გამო, ბესარიონ ორბელიშვილმა გადაამუშავა იმ მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც მას იმ დროისათვის ხელთ ექნებოდა, მათ შორის, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებებისა, პროზელიტიზმის ფაქტებს ვხვდებით ქართულად ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაშიც, მაგალითად, უცნობი ავტორის „წმ. დავითისა და ტირიჭანის მარტვილობაში“, რომელიც შემორჩენილია მხოლოდ ქართული რედაქციით; პროზელიტიზმია აღწერილი უცნობი ავტორის „წმ. აბდალ მესიას მარტვილობაში“, რომელიც ასევე მხოლოდ ქართული რედაქციის არის შემორჩენილი, პროზელიტი გმირის მარტვილობაა აღწერილი უცნობი ავტორის „წმ.ივლიანე ემეწელის წამებაში“. ეს ძეგლიც მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ქართულად ნათარგმნ ტექსტებს ორიგინალის ფუნქცია აქვს. მათში სრულად არის წარმოადგენილი ქართული ჰაგიოგრაფიის ტრადიციები, როგორც ლიტერატურული მოდელები, ისე ენობრივი ასპექტები. უძველესი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ტექსტები, შეიძლება ითქვას, რომ ერთ ენობრივ სისტემას ქმნის. ქართულ ენაზე უთარგმნიათ ბიზანტიური პროზელიტური ძეგლი „წმ.გულანდუხტ სპარსის წამება“. აღსანიშნავია, რომ ქართული თარგმანი ბერძნულ დედანთან შედარებით რედაქციულ სხვაობას ამჟღავნებს (კეკელიძე 1955). ქართულ ენაზე სამი თარგმანითა და განსხვავებული რედაქციებით არის შემორჩენილი „წამებაჲ პირველმოწამისა და მოციქულთა სწორისა თეკლაჲსი“. ამ თხზულების ქართული მოკლე, კიმენური რედაქცია სომხურიდან არის თარგმნილი. ვრცელი, მეტაფრასული რედაქცია, რომელიც სვიმეონ მეტაფრასს განუვრცია ბერძნულ ენაზე, ქართულად ორი თარგმანით არის შემონახული: თეოფილე ხუცესმონაზონს XI საუკუნეში უთარგმნია ბერძნულიდან და ასევე, ანონიმ მთარგმნელს, შესაძლოა, ეფრემ მცირეს, XI საუკუნეში უთარგმნია ასევე ბერძნული პირველწყაროდან. ბერძნულიდან არის თარგმნილი წმ.თეკლას „მარტვილობის“ მოკლე, სვინაქსარული საკითხავიც (აბულაძე 1974); (გოგუაძე 1986); (დოლაქიძე 2002).

ამრიგად, პროზელიტიზმი, როგორც რელიგიის გავრცელების გზა ქართულ ჰაგიოგრაფიულ და ისტორიულ ტექსტებში მრავალგან არის აღწერილი. პროზელიტური თხზულებების ქართული თარგმანები, მათ შორის, ერთი ტექსტის რამდენიმე თარგმანი მოწმობს, რომ პროზელიტიზმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების მიზნით და პროზელიტიზმის მიმართ არსებობდა დიდი ინტერესი.

ქრისტიანული პროზელიტიზმის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ხდებოდა ჰაგიოგრაფიული სტერეოტიპებისა და კანონის სრული დაცვით, ამასთან, რეგიონალური და ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით. პროზელიტიზმის აღნიშნული სახეობები, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების („ცხოვრებების“ და „მარტვილობების“) ლიტერატურულ დიზაინზე. ამის მიხედვით შეგვიძლია დავაკვირდეთ როგორც პროზელიტიზმის ფენომენს მთლიანობაში, ისე მისი გამოვლინების ცალკეულ შემთხვევებს.

შენიშვნები

[1] საბერძნეთის კონსტიტუციაში ჩანაწერი „პროზელიტიზმი აკრძალულია“ (მუხლი 13, პარაგრაფი 3) ეხება არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმს, ძალისმიერ გადაბირებას, პროზელიტიზმს იძულებითი მეთოდებით.

დამოწმებანი

აბაშიძე და *სხვები* 2002: ლ. აბაშიძე, ზ. კიკნაძე, თ. ქალდანი. *რელიგიურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი (პროზელიტიზმი)*, რედ., ელგუჯა დადუნაშვილი, თბილისი, კავშირი "ჰუმანური საზოგადოებისათვის", ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

აბულაძე 1974: ი. აბულაძე. *შრომები*, ტ., I, თბილისი.

ალექსიძე 2009: *მოქცევაი ქართლისაი*, შატბერდული რედაქცია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზ. ალექსიძემ, *წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა, ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი*, თბილისი, ვებ-გვერდი: http://literaturatmcodneoba.tsu.ge/cminda%20nino.pdf (ნანახია: 15.04.2020)

ალექსიძე 2007: *ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები*, გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი.

გოგუაძე 1986: ნ. გოგუაძე. *ძველი მეტაფრასული კრებულები*, თბილისი.

გრიგალაშვილი 2012: ი. გრიგალაშვილი. უძველესი გალობა „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“, *ქართველოლოგი*, N2, ვებ-გვერდი: http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/2/7 (ნანახია: 15.04.2020)

დოლაქიძე 2002: მ. დოლაქიძე. სვინაქსარული საკითხავი, *საეკლესიო კალენდარი 2003 წლისათვის*, თბილისი, 2002 (24 IX).

თაყაიშვილი 1891: *ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა*, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, ტფილისი, სტამბა ი.ა. მანსვეტოვისა.

კეკელიძე 1955: კ. კეკელიძე. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ., III, თბილისი.

კეკელიძე 1980: კ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება.

კუჭუხიძე 2003: გ. კუჭუხიძე. „ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“, „წამება დავითისა და ტირიჭანისა“ (დათარიღების საკითხისათვის), *ლიტერატურული ძიებანი*, N 24.

პესტი-სიმონი 2017: M. Pesthy-Simon. “The Models of the Martyr”. *In Isaac, Iphigeneia, and Ignatius: Martyrdom and Human Sacrifice*, 157-70. Budapest; New York: Central European University Press.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიმხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ჩოლოყაშვილი 2003: ბ. ჩოლოყაშვილი. *უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება*, რედ., რ. ბარამიძე, თბილისი.

ჩხარტიშვილი 1994**:** მ. ჩხარტიშვილი. *„მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“, „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)*, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989: მ. ჭაბაშვილი. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*, შეადგინა და წინასიტყვა დაურთო მიხეილ ჭაბაშვილმა, მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, განათლება.

ჯავახიშვილი 1977: ი. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. 1,

თხზულებანი 12 ტომად, ტ., 8. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ჰორნი 2007: C. Horn. The Lives and Literary Roles of Children in Advancing Conversion to Christianity: Hagiography from the Caucasus in Late Antiquity and the Middle Ages, *Church History*, 76(2).

PROSELYTISM IN A HAGIOGRAPHIC TEXT: CLASSIFICATION AND NATIONAL PECULIARITIES

Nino Popiashvili

This work addresses the theoretical and methodological aspects of proselytism, the causes and peculiarities of the spread of proselytism, the specifics of historical and modern proselytism. Taking into account the views received on proselytism, a different classification of proselytism is given based on Georgian historical and hagiographic sources.

Four types of proselytism are distinguished:

Permitted proselytism, which is observed at the first stage of the spread of Christianity, from preaching and introducing Christianity to Kartli to its declaration as an official religion, and it has a widespread, mass character;

Forced proselytism that appears in the early stages of the introduction of Christianity, especially in the highlands of eastern Georgia;

Forbidden proselytism among Georgians – a confrontation between paganism and Christianity, forbidden Christianity of Georgians. This period can be dated to the early period of the preaching and spread of Christianity in Georgia, including during and after the declaration of Christianity as an official religion, until Christianity was finally established as an official religion;

The fourth stage of proselytism – a forbidden proselytism among foreigners, the proselytism of a different faith, of the conqueror, the forbidden Christianity of foreigners. This wave of proselytism is directly connected with political events, in particular, with the conquest of Kartli by Persia and Arabs. This wave of proselytism, proselytism of a representative of a different faith and ethnos, is a kind of exceptional cases and has important functional, ideological and common Christian significance.

When classifying proselytism, the corresponding historiographic and hagiographic material is used, the peculiarities of the forbidden proselytism and the regional and national aspects of the martyric death of Christian proselytism of foreigners are marked out.

In conclusion, it is noted that the reflection of Christian proselytism in Georgian hagiography occurred in full compliance with hagiographic models and canons, while taking into account regional and national peculiarities. These types of proselytism, in turn, create hagiographic models of the Lives and Martyrdom genre, according to which we can observe a single model of proselytism and its individual types.

ნექისძეთა თბილელი საყდრისშვილების საგვარეულო[1]

ნიკოლოზ ჟღენტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ნექისძეების საგვარეულოს, რომელიც შუა საუკუნეების რამდენიმე ქართულ წერილობით ძეგლში გვხვდება. ეს ძეგლები საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა როგორც უშუალოდ ამ გვარის, ასევე თბილისის საეპისკოპოსოსა და ქართული დიპლომატიის ისტორიის რიგ ეპიზოდებთან მიმართებაში.

ნაშრომი წარმოადგენს ნექისძეთა თბილელი საყდრიშვილების საგვარეულოს ისტორიის შესწავლის პირველ მცდელობას.

გარეჯის ორი ეპიგრაფიკული ძეგლი.

დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის სამარტვილეში, სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ კუთხეში ამოკაწრულია, სავარაუდოდ, ვინმე ნექის სავედრებელი წარწერა. წარწერა გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთხელ ზ. სხირტლაძისა და დ. კლდიაშვილის მიერ და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII-XIV სს-ითაა დათარიღებული (კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999: 248). ქვემოთ მოყვანილია წარწერის წაკითხვა ამ გამოცემის მიხედვით:

> უფალო [ი(ესო)ჳ] ქრისტე, [შ(ე)ნ(ი)თა] მ(ა)დლით[ა] |[2] და ლოცვი[თა შეიწყა]|[3]ლე [_ _]ველი ნ(ე)ქი (?) [ფრ]|[4]იად ცოდვილი [...]|[5]რ[_ _] სშ[_]ს[_]ნ[_ _]ვი[_]|[6]თა [_ _ _ _ _]თა [_ _ _] [შე]|[7]ნდობა თქუას შე(უ)ნ(დვა)ს [ღ(მერ)თ(მა)ნ, ამ(ი)ნ].

დაზიანების გამო, ბევრი სიტყვა, მათ შორის წარწერის ავტორის სახელის აღდგენა, ვერ იქნება ეჭვმიუტანელი. თუმცა, სახელ ნექის ვხვდებით ასევე ამავე მონასტრის ხარების ეკლესიის სამხრეთ კედლის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში ამოკაწრულ სამ სტრიქონიან მხედრულ მოსახსენებელ წარწერაში. ეს წარწერაც, ზემოთ მოყვანილი წარწერის მსგავსად, მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნდა და დათარიღებულია (სავარაუდოდ, პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე) XV საუკუნის პირველი ნახევრით (კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999: 274):

> „წმიდ[ა] დავით, მიოხე |[2] ცოდვილსა დანიელს, |[3] ძესა ნექისს[ა].“ (ტექსტის ამგვარი წაკითხვა და პუნქტუაცია ჩემია – ნ. ჟ.).

გამომცემელთა მიერ წარწერა განსხვავებული სახითაა ამოკითხული: ტექსტის ავტორად მიჩნეულია არა დანიელი, ძე ნექისა, როგორც ამას მე ვკითხულობ, არამედ ნექი, ძე დანიელისა: „წმიდ[ო] დავით, მიოხე | ცოდვილსა დანიელ(ი)ს | ძესა ნექისს“ (კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999: 274). ჩემი წაკითხვა ძირითადად ემყარება XV საუკუნის ორ საისტორიო საბუთს, რომელშიც გვხვდება პიროვნება მსგავსი სახელით – დანიელ ნექისძე. თუმცა, სანამ ამ საბუთების განხილვაზე გადავალ, ვფიქრობ, ჩემეული წაკითხვა მაინც უფრო მართებულია თუ გავითვალისწინებთ, რომ წარწერაში ყველა სიტყვა სრულადაა ნაწერი. შესაბამისად, ტექსტის მეხუთე სიტყვა უნდა იყოს „დანიელს“, და არა „დანიელ(ი)ს“. გარდა ამისა, წარწერის ბოლოს, სიტყვა „ნექისს“ დამატებითი ბოლოსართი „ს“, ჩემი აზრით, მიანიშნებს უფრო ამ სახელის კუთვნილებით ფორმაზე, და არა სახელის ნათესაობით ბრუნვაზე (ვგულისხმობ, იკითხება ნექის ძე, და არა დანიელის ძე).

ამგვარად, სამარტვილეს წარწერაში კითხვის ნიშნით აღდგენილი სახელი ნექის მართებულობა უფრო მყარდება იმავე მონასტრის ხარების ტაძრის წარწერაში სახელი ნექის არსებობით.

სახელი ნექი ძალზედ იშვიათი აღმოჩნდა ქართულ ონომასტიკონში, რადგან ეს სახელი ისტორიულ წყაროებში, მხოლოდ ამ ოჯახთან მიმართებაში გვხვდება.[2]

როგორც ვნახეთ, პალეოგრაფიული ნიშნებით ნექის წარწერა XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება, ხოლო დანიელ ნექის ძის წარწერა – XV ს-ის პირველი ნახევრით. ამ ორ წარწერაში მოხსენიებული უიშვიათესი სახელისა და ერთი სამონასტრო სივრცის გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ამ ორ პიროვნებას ერთმანეთს დავუკავშირებ. შესაბამისად, ორივე წარწერის შემოთავაზებული ქრონოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, სამარტვილეს XIII-XIV საუკუნეების წარწერის ავტორი ნექი უნდა იყოს ხარების ეკლესიის XV საუკუნის პირველი ნახევრის წარწერის ავტორის – დანიელ ნექის ძის მამა, ან, შუა საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული მამის სახელის შვილისათვის დარქმევის ტრადიციის მიხედვით, დანიელის დიდი პაპა მამის მხრიდან.

პირველი წარწერა საკმაოდ დაზიანებულია, ხოლო მეორე – ძალზე ლაკონიური. ეს წერილობითი ძეგლები, ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ძალიან ღარიბია. პირველ წარწერაში, უშუალოდ სახელ ნექიმდე, გვხვდება დაზიანეული სიტყვა „[...]ველი“, რომელსაც, ჩემი აზრით, ახლავს გეოგრაფიული წარმომავლობის ამსახველი ბოლოსართი „ელი“. შესაბამისად, ამ სიტყვის აღდგენა მოგვაწვდიდა დამატებით ინფორმაციას ნექის წარმომავლობის შესახებ. თუმცა, სამწუხაროდ, წარწერის ეს დაზიანებული ადგილი ვერც გამომცემლებმა ამოიკითხეს, და კვლევის ამ ეტაპზე ვერც მე აღვადგინე. ამის გამო ნექისთან დაკავშირებული ეს მნიშვნელოვანი გარემოება უცნობი რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელების მსგავსების და ერთი სამონასტრო სივრცის გამო ეს ორი წარწერა ერთმანეთთან დავაკავშირე და ვივარაუდე მათი ავტორების ნათესაური კავშირი, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნექიც და დანიელ ნექის ძეც, ზემოთ განხილული მონაცემებით, გარეჯის უდაბნოს მონასტრის უბრალო მომლოცველები იყვნენ. თუმცა, საბედნიეროდ ჩვენამდე შემორჩა ორი XV საუკუნის საისტორიო საბუთი, რომლებიც ძვირფას ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან გარეჯის ამ წარწერებში მოხსენიებული პირების საგვარეულო კუთვნილების, ოჯახის სხვა წევრებისა და მათი მაღალი სოციალური სტატუსის შესახებ.

1442 წლის წყალობის წიგნი გრიგოლ მანგლელ-თბილელისა ნექისძეებისადმი.

1442 წლის 3 თებერვალს გაცემული ყოფილა წყალობის სიგელი, რომლითაც მანგლელ-თბილელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა ქორეპისკოპოს[3] დანიელ ნექისძეს და მის შვილებს – მირიანს და საბას – განუახლა თბილისში მთაწმინდის ხევის წყალობა და ეს მიწები კვლავ სავენახედ განაწესა. ამ წყალობის სანაცვლოდ ნექისძეებს ორი საპალნე (დაახლ. 300-450 ლიტრი) საზედაშე ტკბილი ღვინო სიონის საკათედრო ტაძრისათვის უნდა მოეხმარათ. ამ საბუთს ახლდა თვით გრიგოლისა და ორი მოწმის – დიმის და იოსების ხელმოწერა. საბუთის დედანი დღეისათვის დაკარგულად ითვლება, თუმცა, მის შინაარსს ვიტყობთ 1818 წელს შედგენილი საბუთის აღწერილობიდან[4] (სურგულაძე და *სხვები* 2014: 17).

ვფიქრობ, არ შევცდები თუ ქრონოლოგიის თანხვედრის და სახელების არსებითი იდენტურობის ფაქტის გათვალისწინებით დავასკვნი, რომ გარეჯის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში შესრულებულ XV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ნაკაწრ წარწერაში მოხსენიებული დანიელი ძე ნექისა და 1442 წლის 3 თებერვალს გაცემული საბუთის ადრესატი დანიელ ნექისძე, ერთი და იგივე პიროვნებაა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ხარების ეკლესიის ნაკაწრ წარწერაში დანიელი უბრალოდ ნექის ძედ იხსენიებს თავს, ხოლო 1442 წლის საბუთში იგივე დანიელი მანგლელ-თბილელის ქორეპისკოპოსია და თბილისში საკმაოდ დიდ ტერიტორიას – მთაწმინდის ხევს ფლობს. ამ მოცემულობას მივყავართ ლოგიკურ ვარაუდამდე, რომ ხარების ეკლესიის წარწერა დანიელის ქორეპისკოპოსად დადგენამდეა შესრულებული, ხოლო ვინაიდან დანიელის ქორეპისკოპოსობა, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, ყველაზე ადრე სწორედ ზემო განხილულ საბუთში გვხვდება, ნაკაწრი წარწერის შესრულების ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც 1442 წელი უნდა იყოს.

ამასთანავე, დ. ფურცელაძეს გამოქვეყნებული აქვს 1442 წლის კიდევ ერთი საბუთის მოკლე

აღწერილობა, რომლის გამცემი ასევე თბილელი გრიგოლი იყო. აღწერილობის მიხედვით გრიგოლს თბილისი „ოთხს საეკლესიოდ“ გაუყვია და სასულიერო პირებზე უშუალო ზედამხედველობა ქორეპისკოპოს დავითს დაავალა (ფურცელაძე 1881: 52). თუ ქორეპისკოპოსის სახელი (დავითი) სწორად არის ამოკითხული და აქაც დანიელი არ იხსენიებოდა, გამოდის, რომ 1442 წელს გრიგოლ თბილელის ქორეპისკოპოსი იყო ვინმე დავითი, ხოლო 1442 წელსვე, 3 თებერვალს ქორეპისკოპოსად გვევლინება უკვე დანიელი. ლოგიკურად, დანიელ ნექისძეს ქორეპისკოპოსი დავითი შეუცვლია 1442 წელსვე (მიმდინარე წლის 3 თებერვლამდე).[5] დიდი ალბათობით, დანიელი მემკვიდრეობით მიიღებდა „ოთხს საეკლესიოდ“ დაყოფილი დედაქალაქის სამღვდელოებაზე უშუალო ზედამხედველობის პასუხისმგებლობასაც.[6]

ბუნებრივია შეგვეძლო დაგვეშვა, რომ გარეჯის ნაკაწრი წარწერა დანიელ ნექისძის ქორეპისკოპოსობაშივეა შესრულებული, ხოლო წარწერაში მისი ტიტულის გამოტოვება დანიელის თავმდაბლობის გამოხატულება იყო. თუმცა, წარწერა რომ დანიელის ცხოვრების უფრო ადრეულ ეტაპზე უნდა იყოს შესრულებული ვიდრე 1442 წელია, ამაზე მიუთითებს კიდევ ერთი გარემოება: ნაკაწრ წარწერაში დანიელი თავს უწოდებს ნექის ძეს, ხოლო 1442 წლის საბუთში ნექის ძეობა უკვე გვარის ფორმით – ნექისძედაა ქცეული, რადგან ნექისძეებად იწოდებიან ასევე დანიელის ვაჟები – მირიანი და საბა.

ამგვარად, გამოდის, რომ დანიელი იყო ნექისძეთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი, რომელმაც გვარის ფუძედ მამის სახელი აიღო. თუ უდაბნოს მონასტრის სამარტვილეს XIII-XIV საუკუნეების წარწერაში მოხსენიებულ ნექის გავაიგივებთ არა დანიელის მამასთან, არამედ მამის პაპასთან (დანიელის დიდ პაპასთან), მივიღებთ, რომ უიშვიათესი სახელი ნექი იყო იმ საგვარეულოში გავრცელებული სახელი, რომელსაც დანიელი ეკუთვნოდა. ხარების ეკლესიაში წარწერის შესრულებისას და გვარის ახალი განშტოების – ნექისძეების დაარსებამდე (ზედა ზღვარი – 1442 წელი). ამ ძველი საგვარეულოს სახელი, სამწუხაროდ, უცნობია.

1442 წლის 3 თებერვლის საბუთის აღწერილობა საკმაოდ მდიდარია ცნობებით და კიდევ ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. თუმცა, მანამდე საჭიროა განვიხილოთ კიდევ ერთი წყარო, რომელიც დანიელის ბიოგრაფიის შესახებ უფრო მეტ ცნობას მოიცავს და საბოლოო დასკვნები თუ დაკვირვებები ყველა მონაცემის საფუძველზე გამოვიტანოთ.

1462 წლის წყალობის წიგნი იოანე მანგლელ-თბილელისა ნექისძეებისადმი.

1462 წ-ის 20 მარტს მანგლელ-თბილელმა ეპისკოპოსმა იოანემ ქორეპისკოპოს დანიელ ნექისძეს მისცა წყალობის წიგნი.[7]

ქვემოთ მოყვანილია საბუთის ფრაგმენტი, რაც აღნიშნული კვლევისთვისაა საჭირო:

> ...ესე წიგნი და სიგელი მოგეცით ჩუენ, ქრისტეს მიერ მანგლელ თბილელმან იოვანე, თქუენ ნექისძეთა საყდრის შვილთა, ქ(ო)რებისკოვზსა დანიელს და შენსა შვილსა საბას და მირიანს, მოგეცით ქაშოეთანა მკუიდრი საყდრის მიწა სავენაჯე და აშენო, ასრე და ამა პირსა ზედა, როგორაცა საყდრისა მკუიდრსა მართებს აგრე ვერავინ გამოგენახოს, გაჰყიდო თუ გაზითო. ამად, რომე ორჯელ პატრონსა სულ კურთხეულსა მეფესა კოსტანტინეს ურდოს ხლებოდი და თბილელობა შეცლილიყო და მოგეჭირვა პატრონსა წ(ინა)შე და სულ კურთხეულსა მეფესა კოსტანტინეს ახლად გაეჩინა. გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ თქუენ საყდრის შვილთა, ქ(ო)რებისკოვზსა დანიელს და შენსა შვილსა საბას და მირიან|[2]ს. ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან|[3] შეგიცვალოს, რისხავსმცა დაუსაბამო |[4] მამა, ძე და სული წმიდა და ამა წმიდათა |[5]... დაიწერა |[13] ქ(ორონი)კ(ო)ნსა რკლ, თუესა მარტსა ოცსა, ჯელითა |[14] აბაზაზძისა ჯუარისმტუირთველისა ბართ|[15]ლომესითა, და მოწამეცა ვარ.
>
> |[16] წ. მე, ქ(რისტ)ეს მიერ თბილელი ი(ოან)ე |[17] ვამტკ(ი)ცებ.

წყალობის წიგნის მიხედვით, საბუთის გამცემია მანგლელ-თბილელი მღვდელმთავარი იოანე, წყალობის მიმღები კი კვლავ ქორეპისკოპოსი დანიელ ნექისძე და მისი ძეები – საბა და მირიანი არიან. ეს ნექისძეები ამავე დროს ყოფილან საყდრისშვილები.[8] წყალობის ობიექტი იყო თბილისში, ქაშუეთთან

მდებარე მკვიდრი საყდრის სავენახე მიწა. ეს მიწა დანიელს, როგორც თბილისის საყდრისშვილს, ადრიდანვე ეკუთვნოდა, თუმცა, მოგვიანებით სიტუაცია შეცვლილა. დანიელ ნექისძე კოსტანტინე მეფეს ორჯერ თან ხლებია ურდოში. ამის შემდეგ თბილელის ეპარქიაში გარკვეული პრობლემები შექმნილა („თბილელობა შეცლილიყო“). როგორც ჩანს დანიელის კუთვნილ ამ სავენახე მიწასაც საფრთხე დაემუქრა. დანიელს მეფე კოსტანტინესთვის უთხოვია დახმარება, რომელმაც ძველი ამაგის (ურდოში ორჯერ თანხლების) გათვალისწინებით განუახლა ადრე ნაწყალობევი ქაშუეთთან მდებარე სავენახე მიწა. ეს უნდა მომხდარიყო 1407-1412 წლებს შორის პერიოდში, კოსტანტინეს მეფობისას. ხოლო 1462 წლის 20 მარტს იოვანე თბილელ-მანგლელმა, სწორედ ამ 1407-1412 წლის საბუთის საფუძველზე, ასევე განუახლა დანიელ ნექისძეს მათი ძველი წყალობა.

დანიელ ნექისძისა და ზოგადად ნექისძეების შესახებ აღნიშნული 1442 წლისა და 1462 წლის დიპლომატიკური აქტებიდან საკმაოდ დიდი და საინტერესო ინფორმაციის ამოღებაა შესაძლებელი. ამ მხრივ უნდა გაირკვეს რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი, რითიც აღდგება საბუთში ასახული კონკრეტული ისტორიული სურათი.

ვინ იყო საბუთში ნახსენები მეფე კოსტანტინე?

1462 წლის საბუთის მიხედვით, დანიელ ნექისძე ორჯერ ახლდა მეფე კოსტანტინეს ურდოში.

XV საუკუნეში მეფობდა ორი კოსტანტინე – კოსტანტინე I, ბაგრატ V-ის ძე (1407-1412) და კოსტანტინე II, დიმიტრის ძე (1465-1505). მიჩნეულია, რომ საბუთში უნდა იხსენიებოდეს კოსტანტინე I (შარაშიძე 1954ა: 248); (კლიმიაშვილი 1961: 103); (კლდიაშვილი და *სხვები* 1991: 317); (ბერიძე 2001: 11). საბუთში საუბარი, მართლაც, კოსტანტინე I-ზე უნდა იყოს, რადგან საბუთში მეფე კოსტანტინე ორჯერ იხსენიება და ორივეჯერ სულკურთხეულად. ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ 1462 წლისთვის იგი უკვე გარდაცვლილი იყო. კოსტანტინე II კი ამ დროისთვის ცოცხალი იყო, ხოლო მეფედ, საისტორიო საბუთების მიხედვით, 1464 წლიდან იწოდება (სურგულაძე და *სხვები* 2014: 137).[9]

გავარკვიეთ რა საბუთში მოხსენიებული კოსტანტინე მეფის ვინაობა, საჭიროა გადავიდეთ შემდეგ საკითხზე და დავადგინოთ თუ რას ნიშნავს ტერმინი ურდო ამ კონკრეტულ შემთხვევაში და რა იგულისხმება დანიელ ნექისძის მიერ ურდოში კოსტანტინესთან ორჯერ „ხლებაში“.

„ორჯელ... ურდოს ხლებოდი“.

1462 წლის საბუთში წყალობის მთავარი საფუძველი, ზნეობრივი მიზეზი, კოსტანტინე მეფის ერთგული სამსახურია, რაც გამოიხატა დანიელ ნექისძის მიერ ურდოში ორჯერ კოსტანტინეს თანხლებით.

ტერმინი „ურდო“ შუა საუკუნეების ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში, შემორჩენილი ტექსტების მიხედვით, XIV საუკუნის მეორე მეოთხედში ჩნდება. ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“ეს ტერმინი მხოლოდ მონღოლებთან მიმართებაში გამოიყენება და აღნიშნავს მონღოლი ყაენისა თუ სარდლების სამხედრო ბანაკს, სადაც ქართველი მეფეები და სხვა დიდებულები დიპლომატიური მისიით ჩადიან. ქართულ იურიდიულ ენაში ეს ტერმინი, ჟამთააღმწერლის თხზულების შედგენის პერიოდშივე იგივე მნიშვნელობით მკვიდრდება და მონღოლთა ჯარის შემადგენელ ქართველთა ლაშქართან მიმართებაში გამოიყენებოდა. „ურდო“ შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანს. იგი აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა უცხო ენიდანაა შემოსული და ქართულად მეფის ჯარს ნიშნავს (აბულაძე 1993: 166). ქართულ დიპლომატიკაში ურდოში ყოფნა გამოიყენებოდა ორი მნიშვნელობით:

1. მოწინააღმდეგის სამხედრო ბანაკში დიპლომატიური მისიით ყოფნა;
2. დამპყრობლისადმი ნაკისრი სამხედრო ვალდებულების ფარგლებში მათ ლაშქარში ყოფნა (ვრცლად ამ ტერმინის შესახებ, იხ. (ჟღენტი 2019: 83-84).

ამგვარად, დანიელ ნექისძის შემთხვევაში, კოსტანტინე I-თან ერთად ურდოში მისი ორჯერ ყოფნა შეგვიძლია გავიგოთ ორი განსხვავებული მნიშვნელობით:

1. დანიელ ნექისძე ორჯერ იყო კოსტანტინე მეფის სამხედრო ბანაკის წევრი (ურდოს ლაშქრის ფარგლებში, რისი ანალოგებიც ქართულ იურიდიულ აქტებში გვხვდება);
2. დანიელ ნექისძე ახლდა კონსტანტინეს მეფეს მისი მოწინააღმდეგის სამხედრო ბანაკში - მტრის ურდოში, დიპლომატიური მისიის ფარგლებში (რისი ანალოგებიც უხვადაა ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“).[10]

იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რომელია უფრო რეალური ამ ორი შესაძლო ვარიანტიდან, საჭიროა თვალი გადავავლოთ კოსტანტინე I-ის ბიოგრაფიის იმ მონაკვეთებს, სადაც ასახულია მისი სამხედრო და დიპლომატიური მოღვაწეობა.[11]

კოსტანტინე I-ის სამხედრო მოღვაწეობა.

პირველად კოსტანტინეს აქაც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა ჩანს 1387 წლის მოვლენებისას, როდესაც ის, თემურ-ლენგის მიერ დატყვევებული მამის – ბაგრატ V-ის საიდუმლო დავალებით, უფროს და უმცროს ძმებთან – გიორგი და დავით უფლისწულებთან ერთად უსაფრდება თემურის გამოგზავნილ 12 ათასიან ლაშქარს და ამარცხებს მათ (ტაბატაძე 1974: 75-86). ეს ცნობა თომა მეწოფეცს ეკუთვნის. თუმც არსებობს მოსაზრებაც, რომ მსგავსი ფაქტი საერთოდ არ მომხდარა (კაციტაძე 1975: 138).

ამის შემდეგ კოსტანტინე 1398 წლის სამხედრო მოვლენებში ჩანს. თემურ-ლენგის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე – უფლისწული თაჰერი – ნახჭევანში მდებარე ალინჯის (იგივე ერნჯაყის) ციხეში იყო გამაგრებული, რომელსაც თემურის ჯარი რამდენიმე წლის განმავლობაში ალყაში ამყოფებდა. ციხეზე განხორციელებული იერიშები კი უშედეგოდ მთავრდებოდა. მეფე გიორგი VII-მ ჩათვალა, რომ თემურ-ლენგის წინააღმდეგ უფლისწული თაჰერი შესაძლოა მისი მთავარი მოკავშირე გამხდარიყო და გადაწყვიტა მისი დახმარება. 1398 წელს ქართველი მეფე მოულოდნელად დაესხა თავს თემურის ჯარს, რომელსაც ალინჯის ციხე ალყაში ჰქონდა მოქცეული, დაამარცხა ის და გაათავისუფლა თაჰერი. მეფემ მისი მოკავშირე საქართველოში წამოიყვანა, ხოლო ციხეში საკუთარი მეციხოვნეები დატოვა (ტაბატაძე 1974: 98-101); (კაციტაძე 1975: 142). ერთი თანადროული სომხური ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, ამ უმნიშვნელოვანეს სამხედრო ოპერაციაში უფროს ძმასთან ერთად უფლისწული კოსტანტინეც იღებდა მონაწილეობას (აბდალაძე 1978: 130).

ამის შემდეგ, 1400 წელს, კოსტანტინე, უმცროს ძმასთან – დავითთან ერთად კვლავ ეხმარება უფროს ძმას, მეფე გიორგი VII-ს, ქვემო ქართლში შემოსეულ თემურ-ლენგის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში (ტაბატაძე 1974: 128).

საისტორიო წყაროებით, ამის შემდეგ კოსტანტინე კიდევ ერთხელ და ბოლოჯერ ჩანს ბრძოლის ველზე. კოსტანტინე მეფემ, შაქისა და შარვანის გამგებლებთან ერთად შექმნა სამხედრო კოალიცია და დაუპირისპირდა შავბატკნიან თურქმანებს. 1412 წელს მდ. მტკვართან (ჩალაღასთან) მომხდარ ბრძოლაში მოკავშირეები დამარცხდნენ ყარა-იუსუფთან. კოსტანტინე მეფე და ქართველთა 2000 კაციანი ლაშქარი, მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერას გახდა მრავალრიცხოვან მტერთან და დამარცხდა. ტყვედ ჩაგდებული მეფე და 300-მდე აზნაური თურქმანებმა დახოცეს. ყარა-იუსუფის შვილმა ფირ-ბუდაყმა საკუთარი ხელით მოაჭრა კოსტანტინეს თავი (ტაბატაძე 1974: 221-223); (კაციტაძე 1975: 162-163).

შემორჩენილი წყაროებით, კოსტანტინეს სამხედრო კარიერის მხოლოდ ეს ფაქტები შემორჩა. როგორც ზემოთ ვნახეთ, კოსტანტინე ოთხჯერ თუ არა, სულ მცირე სამჯერ მაინც იღებდა მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში – 1387 წელს (?), 1398 წელს, 1400 წელს და 1412 წელს. თუმცა, ყველა შემორჩენილი ცნობა ეხება საქართველოს სამეფოს მიერ დამოუკიდებლად წარმოებულ სამხედრო მოქმედებებს და არა დამპყრობლისადმი ნაკისრი სამხედრო ვალდებულების ფარგლებში მათ ლაშქარში ყოფნას, რაც, როგორც ზემოთაც ითქვა, ნარატიულ წყაროებსა და იურიდიულ აქტებში გამოყენებულ ტერმინ „ურდოში“ ყოფნის ერთ-ერთი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო. შესაბამისად,

1462 წლის საბუთში ნახსენები ფაქტი – დანიელ ნექისძის მიერ კოსტანტინესთან ერთად ურდოში ხლება – არ უნდა გულისხმობდეს ზემო ჩამოთვლილ სამხედრო ოპერაციებში მის მონაწილეობას.[12]

სულ სხვა სურათს მივიღებთ ამ მხრივ, თუ 1462 წლის საბუთში ნახსენებ „ურდოს“ მნიშნელობას გავაიგივებთ არა კოსტანტინეს დაქვემდებარებულ ლაშქართან ერთად დამპყრობლის წინაშე ნაკისრ სამხედრო ვალდებულებასთან, არამედ მტრის სამხედრო ბანაკთან, სადაც დიპლომატიური მისიით წასულ კოსტანტინეს ორჯერ თან ახლდა დანიელ ნექისძეც.

კოსტანტინე I- ის დიპლომატიური მოღვაწეობა.

1401 წელს უფლისწული კოსტანტინე, უფროსი ძმის – გიორგი VII-ის დავალებით, ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან ელჩობას, რომელიც საქართველოსკენ მომავალ თემურ-ლენგს შამქორში ესტუმრა. გიორგი მეფემ ბოდიში შეუთვალა თემურს ურჩობის გამო, ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა და გადასახადების (ჯიზიას და ხარაჯას) გადახდა იკისრა. ასევე მან აღუთქვა დამპყრობელს ლაშქრით დახმარება საჭირო დროს.[13] თემური დათანხმდა ზავის პირობებს და ქართველთა ელჩობაც კოსტანტინეს ხელმძღვანელობით წარმატებით დასრულდა (ტაბატაძე 1974: 155-160); (კაციტაძე 1975: 150-151).

მსგავსი სცენარი განმეორდა 1403 წელსაც, როდესაც ყარსის გავლით საქართველოსკენ წამოსულ და კოლას ველზე დაბანაკებულ თემურ-ლენგს კოსტანტინე შეხვდა. კოსტანტინეს ახლდა ასევე ივანე ათაბაგი, რომლის უშუალო სამფლობელოსაც ემუქრებოდა თემურისგან საფრთხე. წყაროთა ერთი ნაწილის მიხედვით კოსტანტინეს ელჩობა, რომელიც გიორგი VII-ს დავალებით მოქმედებდა, წარუმატებლად დასრულდა. თემურმა იგი უკან დააბრუნა და გიორგი მეფესთან მუქარა დააბარა (ტაბატაძე 1974: 163-165). წყაროთა მეორე ნაწილი კი გვამცნობს, რომ კოსტანტინე ამ დროს გამდგარი იყო ძმისგან, ისევე როგორც ივანე ათაბაგი, და რომ ისინი თემურთან მივიდნენ არა როგორც გიორგი VII-ს ელჩები, არამედ დამორჩილდნენ მას და დახმარებაც აღუთქვეს. გარდა ამისა, ისინი თან ახლდნენ თემურს ბირთვისის ციხის აღებისას (კაციტაძე 1975: 121-123, 131, 153-157). არსებულ წყაროთა მონაცემებით რთულია სიღრმისეულად გავერკვეთ 1403 წლის მიმდინარე მოვლენებში, თუმცა, კოსტანტინე ერთ დროს რომ მართლაც შერისხული იყო ძმისგან და თავს სამცხე-საათაბაგოს აფარებდა, დოკუმენტურად დასტურდება. შემოგვრჩა მორჩილაძეებისადმი გაცემულ საბუთი(1407-1412 წწ), რომელშიც კოსტანტინე აღნიშნავს:

> ...[მას] ჟამსა ოდეს მეფემან გ(იორგ)ი მამული[საგან გან]გაყენა და სამცხეს წავე... და თქუენთანა... მრავალნი ნამსახურნი [შინანი] და გარენი და... [ჩუ]ენზედა ჴმელზედაცა და ზღუაშიგანცა. რა... ინება ღმერთმან და მეფემან ჩუენი მამული კუ[ალად] ჩუენვე გუიბოძა... (ენუქიძე და სხვები 2013: 98).

თუმცა, ამას წინამდებარე ნაშრომისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, იმის მიუხედავად თუ რა სტატუსით იყო კოსტანტინე თემურ-ლენგთან – ქართველთა მეფის ელჩის თუ მისი ოპოზიციის სახით, ორივე შემთხვევაში, მისი ვიზიტი თემურის ურდოში ატარებდა დიპლომატიურ ხასიათს.

კოსტანტინეს დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ სხვა ცნობები არ შემონახულა.

როგორც ვნახეთ, კოსტანტინეს დიპლომატიური მოღვაწეობიდან ცნობილია მხოლოდ ორი, თუმცა, ორივე შემთხვევაში ძალზედ მნიშვნელოვანი ეპიზოდი – 1401 წლის წარმატებული ელჩობა მისი ხელმძღვანელობით, როდესაც ქართველების დიპლომატიური მისია ეწვია საქართველოსკენ მომავალ თემურ-ლენგის სამხედრო ბანაკს შამქორში და 1403 წლის ელჩობა იგივე კოსტანტინეს ხელმძღვანელობით, როდესაც ქართველების დიპლომატიური მისია ეწვია საქართველოსკენ მომავალი თემურ-ლენგის სამხედრო ბანაკს კოლას ველზე. ისტორიაში ასახული ეს *ორი* ელჩობა და 1462 წლის საბუთის ცნობა დანიელ ნექისძის მიერ ურდოში კოსტანტინეს *ორჯერ* თანხლება არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა. ჩემი აზრით, არსებული წყაროების მონაცემების შეჯერების საფუძველზე, 1462

წლის საბუთში დაფიქსირებული ფაქტები სწორედ 1401 და 1403 წლების ელჩობებში მონაწილეობას უნდა ასახავდეს. ამ პერიოდში დანიელ ნექისძე ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, რადგან 1462 წლის ელჩობებიდან დაახლოებით 60 წლის შემდეგაც ის ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს.

საინტერესოა, დანიელ ნექისძის სტატუსი ამ ელჩობების ფარგლებში. იყო ის უშუალოდ ელჩობის წევრი თუ კოსტანტინე მეფის ამალის წევრი? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას გასათვალისწინებელია დანიელ ნექისძის სოციალური სტატუსი – საყდრისშვილობა.

თბილისის საყდრისშვილობა.

საყდრისშვილობა შუა საუკუნეების საქართველოში წარმოადგენდა კონკრეტულ საეპისკოპოსო საყდართან არსებულ საეკლესიო ყმათა ინსტიტუტს, რომელიც აერთიანებდა აზნაურთა პრივილეგირებულ ჯგუფს. საყდრისშვილებში გადანაწილებული იყო საეპისკოპოსოს სამამულო-ორგანიზაციული (სამეურნეო) მოვალეობები (ხოშტარია-ბროსე 1984: 109-110). ბ. ლომინაძის აზრით, საყდრისშვილები არ მოქცეულან ეკლესიის კერძო საბატონო დამოკიდებულებაში და მეფის უშუალო დასაყრდენ სამხედრო და სოციალურ ძალას წარმოადგენდნენ (ლომინაძე 1979: 779-780). საყდრისშვილების სამხედრო ვალდებულებებზე ყურადღება გაამახვილა ასევე ა. კლიმიაშვილმა. მისი აზრით, ლაშქარი საეკლესიო მამულებიდან მეფეს გაჰყავდა, თუმცა ისინი მაინც ეკლესიის განმგებლობაში იყვნენ (კლიმიაშვილი 1961: 97).

როგორც ვნახეთ, 1462 წლის საბუთში ნექისძეები პირდაპირ იწოდებიან საყდრისშვილებად. წლის დაკარგული საბუთის აღწერილობაში იგივე არ იკითხება, თუმცა, იმავე აღწერილობაში დანიელი უკვე ქორეპისკოპოსია, ხოლო მისი სახლი ფლობს მთაწმინდის ხევს. ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ უფრო ადრე თუ არა, 1442 წელს ნექისძეები უკვე თბილისის კათედრის (სიონის) დაწინაურებული საყდრისშვილები იყვნენ.[14]

1462 წლის საბუთით, მანგლელ-თბილელმა იოვანემ ნექისძეებს უბოძა სავენახე მიწა ქაშუეთთან, რომელიც საყდრის მკვიდრი მიწა ყოფილა. ეს მიწა მათ იმ პირობით ჰქონდათ, რომ აქ მხოლოდ ვენახი უნდა გაეშენებინათ და, როგორც საყდრის მკვიდრს მართებდა, ეს მიწა ვერც გაიყიდებოდა და ვერც გამზითვდებოდა. ამის შემდეგ იოვანე ახსენებს ძველ ამბავს, რომლის მიხედვითაც დანიელ ნექისძე კოსტანტინე მეფეს ორჯერ ახლდა ურდოში. ამავე პერიოდში „თბილელობა შეცლილიყო“. ამ ფრაზაში მკვლევრები ვარაუდობენ თბილელის საყდრის დროებით მოშლას (შარაშიძე 1954ა: 248); (კლიმიაშვილი 1961: 103); (კლდიაშვილი და *სხვები* 1991: 317); (ბერიძე 2001: 11). ბუნებრივია, ისეთი ფაქტი, როგორიც სამეფოს დედაქალაქის საყდრის გაუქმება იყო ძალზე დიდი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კატაკლიზმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ასეთ მოვლენად კი კონკრეტულ პერიოდში, თემურ-ლენგის 1400 წლის გამანადგურებელი შემოსევა უნდა ჩაითვალოს, რა დროსაც მან თბილისიც აიღო (ტაბატაძე 1974: 113-130). როგორც ზემოთ ვივარაუდე, საბუთში ნახსენები მეფე კოსტანტინესა და დანიელ ნექისძის ურდოში მისვლა ორჯერ, 1401 და 1403 წლებში უნდა მომხდარიყო.[15] საბუთში მოცემული ქრონოლოგიის მიხედვით, თბილელობის მოშლა ამ თარიღების ახლო პერიოდშივე მომხდარა.[16] 1400 წლის შემოსევის დროს თბილისს თავს აფარებდა კათალიკოსი ელიოზიც (1399-1419), რომელიც იძულებული გამხდარა თბილისიც დაეტოვებინა და საეკლესიო სიწმინდეებთან ერთად გახიზნულიყო. ამ სიწმინდეებს შორის ყოფილა ქაშვეთის წმ. გიორგის ხატიც (ცინცაძე 1994: 16, 128).

ჩემი აზრით, იმავე მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს თბილისისა და მანგლისის საყდრების დროებითი გაერთიანებაც. ჯერ კიდევ 1402 წლის ერთ საბუთში მანგლელი ეპისკოპოსი (იოსები) ცალკე იხსენიება (ენუქიძე და *სხვები* 2013: 87). ხოლო 1427-1438 წლების და უფრო გვიანი პერიოდის იურიდიულ აქტებში ვხვდებით თბილელ-მანგლელ, ასევე მანგლელ-თბილელ ეპისკოპოსებს (ენუქიძე და *სხვები* 2013: 148, 223). როგორც ჩანს, თემურ-ლენგის შემოსევების გამო გაუქმებული თბილელობა დროებით მანგლელმა მღვდელმთავარმა შეითავსა.[17]

თბილელობის მოშლა, ბუნებრივია, უარყოფითად აისახა ამ საყდრის მეურნეობაზე, რომელსაც თბილელი საყდრისშვილები განაგებდნენ. ამის გამო საჭირო გამხდარა დანიელ ნექისძის მიწის მფლობელობის განახლება მეფის მიერ. 1462 წლის საბუთის ეს ცნობა პირდაპირი მოწმობაა, რომ ნექისძეები 1401-1403 წლებამდე უკვე თბილელის საყდრისშვილები იყვნენ, რომლებიც მეფის მიერ წყალობის განახლებამდე უკვე ფლობდნენ სავენახე მიწას ქაშუეთთან. ამგვარად, ფაქტია, რომ დანიელ ნექისძე კოსტანტინე მეფეს ურდოში ახლდა როგორც სამეფოს დედაქალაქის საყდრისშვილი. ახლა კი გასარკვევია, რა სტატუსი ექნებოდა დანიელს როგორც უფლისწულ კოსტანტინეს თანმხლებ პირს.

დადგენილია, რომ საყდრისშვილების მოვალეობაში, გარდა საეპისკოპოსოს სამეურნეო ვალდებულებებისა, შედიოდა ლაშქრობის ვალდებულებაც (იხ. ზემოთ). შესაბამისად, დასაშვებია, რომ დანიელ ნექისძე უფლისწულ კოსტანტინეს პირად ამალაში ყოფილიყო. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია დანიელის ასაკი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დანიელ ნექისძე ქორეპისკოპოსად 1442 წელს (3 თებერვლამდე) უნდა დაედგინათ.

საეკლესიო სამართლით ქორეპისკოპოსად კათალიკოსს ან ეპისკოპოსს სჯულისა და საღმრთო წიგნთა მცოდნე მღვდელი ან დიაკონი უნდა დაედგინა. ამასთანავე, მღვდლად შეიძლებოდა ეკურთხებინათ პირი, რომლის ასაკი 30 წელზე ნაკლები არ იქნებოდა, ხოლო დიაკონის შემთხვევაში – 25 წლის (გაბიძაშვილი 1978: 185-188).

ამგვარად, თუ დანიელი 1442 წელს დაადგინეს ქორეპისკოპოსად, ხოლო 1401-1403 წლებში იგი უკვე ზრდასრული პირი იყო, რომელიც უფლისწულს ურდოში ახლდა, გამოდის, რომ იგი დაახლოებით 1470/80-იან წლებში დაიბადა და 1462 წელს, როდესაც ის ბოლოჯერ იხსენიება საისტორიო წყაროში, სავარაუდოდ, 85/6 წლის იქნებოდა.

ამგვარად, დანიელ ნექისძე კოსტანტინე I-ს ურდოში ნამდვილად ახლდა როგორც თბილისის საყდრისშვილი. საყდრისშვილების სამხედრო მოვალეობის ხასიათისა და დანიელ ნექისძის ახალგაზრდა ასაკის გათვალისწინებით, უფრო მეტად ვიხრები იმ აზრისკენ, რომ ურდოში დანიელი უფლისწულ კოსტანტინეს ახლა უფრო როგორც პირადი სამხედრო ამალის წევრი, და არა როგორც ელჩი. თუმცა, დასაშვებად მიმაჩნია ასევე შესაძლებლობა, რომ იგი ყოფილიყო ქართველთა ერთ-ერთი ელჩი. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ნიზამ ად-დინ შამის ცნობას, რომლის მიხედვითაც 1401 წელს ქართველთა ელჩობა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ყოფილა (ტაბატაძე 1974: 155).

მიწათმფლობელობა.

როგორც აღინიშნა, საყდრისშვილ ნექისძეებს თბილისში ქაშუეთთან მდებარე სავენახე მიწა ჯერ კიდევ თბილელობის მოშლამდე და კოსტანტინეს მიერ წყალობის განახლებამდე ეკუთვნოდათ. გაურკვეველი მიზეზების გამო, 1462 წელს კიდევ ერთხელ გამხდარა საჭირო ამ მიწის ნექისძეებისადმი წყალობის განახლება.

1442 წლის საბუთით კი ვიტყობთ, რომ ნექისძეებს ასევე ეკუთვნოდათ მთაწმინდის ხევი, რომლის წყალობაც განუახლებია გრიგოლ მანგლელ-თბილელს. ეს ნაწყალობევი მიწაც, ქაშუეთთან მდებარე საყდრის მკვიდრი მიწის მსგავსად, თბილელს სავენახედ განუწესებია.

როგორც აღინიშნა, საყდრისშვილებში გადანაწილებული იყო საეპისკოპოსოს მამულები სხვადასხვა დანიშნულებით. ბუნებრივია, საყდრისშვილების რიცხვი შეზღუდული იქნებოდა. სამწუხაროდ, უცნობია თბილელის საყდრისშვილების რაოდენობა. სავარაუდოდ, თბილისის საყდარი იმეორებდა მცხეთის საყდრისშვილების მოდელს, სადაც, მცხეთიშვილების საერთო რაოდენობა 12 იყო.[18] ზემოთ მოყვანილი საბუთებიდან ჩანს, რომ ნექისძეები განსაკუთრებით დაწინაურებული საყდრისშვილები არიან, რადგან ამ საგვარეულოს წარმომადგენელი დედაქალაქის ქორეპისკოპოსად დაუდგენიათ. გარდა ამისა, ნექისძეების, როგორც საყდრისშვილების მოვალეობა ყოფილა მევენახეობა და მეღვინეობა. ეს დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ ორივე საბუთში საუბარია

სავენახე მიწებზე, რომლებიც ნექისძეებს უნდა გაეშენებინათ.[19] გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, 1442 წლის საბუთით პირდაპირაა განსაზღვრული მთაწმინდის ხევის სავენახედ წყალობის საპასუხო ვალდებულება – ნექისძეებს ყოველწლიურად თბილისის სიონის საკათედრო ტაძრისათვის უნდა შეეწირათ ორი საპალნე (დაახლ. 300-450 ლიტრი) საზედაშე ტკბილი ღვინო.

მთაწმინდის ხევიც და ქაშუეთიც ძველი თბილისის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მდებარეობდა, რომელსაც ვახუშტის მიხედვით „გარეთუბანი“ ეწოდებოდა (ყაუხჩიშვილი 1973: 337-338). სავენახე მიწის ზუსტი ადგილმდებარეობა, რომლის წყალობაც 1462 წელს ნექისძეებს განუახლეს, ამ საბუთის მიხედვით ვერ დგინდება. თუმცა, ეგზარხოსი ევსევის 1872 წლის 6 ივლისის წერილის მიხედვით, ქაშუეთთან მდებარე ეს სავენახე მიწა ყოფილა დღევანდელი რუსთაველისა და ჯორჯაძის ქუჩების კუთხეში (ქაშუეთის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს). საბედნიეროდ, იმავე წერილით ცნობილი ხდება ამ სავენახე მიწის ფართობიც – 106 საჟენი (ცინცაძე 1994: 16, 52, 70-72, 129-130, 186).[20]

უფრო რთულადაა საქმე „მთაწმინდის ხევთან“ მიმართებაში. თბილისის გეგმით, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის შედგენილია, მთაწმინდა ეწოდება ეკლესიას, რომელიც დღეისათვის მამა დავითის ეკლესიის სახელწოდებითაა ცნობილი. ზოგადად, მთის აღმოსავლეთ ფერდობი ხევებითაა დასერილი, თუმცა, ძველი „მთაწმინდის ხევის“ ლოკალიზება ამ ხევებს შორის სწორედ იმ ხევთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლის თავზეც ეს ეკლესია მდებარეობს.[21] ამასვე უნდა მიუთითებდეს ის, რომ ამ ხევის ბოლოს მდებარეობს ასევე ქაშუეთის ეკლესია. ნექისძეთათვის დაქვემდებარებული თბილისის საყდრის სავენახე მიწები – მთაწმინდის ხევი და სავენახე მიწა ქაშოეთთან – დიდი ალბათობით, ერთმანეთს ესაზღვრებოდა.

მთაწმინდის ეკლესია, გადმოცემით ჯერ კიდევ VI საუკუნეში აუგია ასურელ მამა დავით გარეჯელს. გვაქვს ცნობები აქ ივირონის პორტაიტის ღმრთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის შესახებ შუა საუკუნეებში. XVI საუკუნეში აქვე მოღვაწეობდნენ შემონაზვნებული ქართლის მეფე დავით X (დამიანეს სახელით) და მროველი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ყაუხჩიშვილი 1973: 399); (იოსელიანი 1866: 52); (შოშიაშვილი 2019: 43-44). აქ ეკლესიის არსებობა დოკუმენტურად დასტურდება 1542 წელს. ორ მონაზონს – დავითს და ნიკოლოზს – ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსისა და იოანე თბილელის ნებართვით, აუშენებიათ (ან აღუდგენიათ) ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია და შეუწირავთ „ორსა ხრამსა შორის უდაბნოსა“, რომელსაც მთაწმინდა ეწოდებოდა. შეწირულობა მოიცავდა ასევე მთის ფერდობს ბოლომდე „ვიდრე შარამდის“ (სურგულაძე 2016ბ: 167). 1442 წლის საბუთში მოხსენიებული მთაწმინდის ხევის სავენახე მიწები რომ მართლაც მამა დავითის ეკლესიასთან უნდა ყოფილიყო კავშირში, ადასტურებს ასევე 1556 წლის შეწირულობის საბუთი ლუარსაბ და სვიმონ მეფეებისა მთაწმინდის წმ. დავითის მონასტრისადმი, რომლითაც ეკლესიას ამ შემთხვევაშიც ვენახები შესწირეს (სურგულაძე 2016ბ: 224-225). ამგვარად, მთაწმინდის ეს მიდამოები თბილისის ეპარქიის მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით ქაშუეთთან მდებარე სავენახე მიწისა, ამ შემთხვევაში ვერ ხერხდება მთაწმინდის ხევის ისეთივე ზუსტი ლოკალიზება, შესაძლებელი ხდება მთაწმინდის ხევში გაშენებული ვენახ(ებ)ის სახეობის მიახლოვებითი დადგენა. ამ მიდამოებში ნექისძეებს გაშენებული ჰქონიათ წითელი ფერის ჯიშის ყურძენი, რადგან 1442 წლის საბუთის მიხედვით, ამ წყალობის სანაცვლოდ მათ სწორედ ტკბილი საზედაშე ღვინო უნდა მიერთმიათ სიონისათვის. საზედაშე ღვინო კი, უმეტეს შემთხვევაში, წითელი უნდა ყოფილიყო (გოცირიძე 2006: 61). [22]

აქვე, სანამ კვლევის შემდგომ ეტაპზე გადავალ, მინდა ყურადღება გავამახვილო ნექისძეებთან დაკავშირებულ ერთ ძალზედ საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიულ დეტალზე. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ვინმე ნექი და დანიელ ძე ნექისა გვხვდებიან გარეჯის უდაბნოს მონასტრის XIII-XIV და XV საუკუნეების ნაკაწრ წარწერებში. ხოლო XIV-XV საუკუნეებში, იმავე დანიელ ნექისძისა და მისი შვილების მიწები,

რომლებიც მათ ეკუთვნოდათ როგორც თბილისის საყდრიშვილებს, დაკავშირებულია თბილისის ორ ისტორიულ-გეოგრაფიულ პუნქტთან – მთაწმინდასთან და ქაშუეთთან. ამგვარად, ზემოთ განხილული ოთხივე წერილობითი წყარო ნექისძეების მოხსენიებით, გარკვეული სახით უკავშირდება წმ. დავით გარეჯელს.

არსებობს ცნობები, რომ გარეჯში დამკვიდრებამდე ეს ასურელი მამა სწორედ თბილისში, იმ მთაზე მოღვაწეობდა, სადაც მოგვიანებით წმ. მამა დავითის ეკლესია აიგო. წმ.დავით გარეჯელის თბილისში მოღვაწეობასვე უკავშირდება ქაშუეთის ამბავიც (ცინცაძე 1994: 9-15, 118). ეს ცნობები საკმაოდ დამაჯერებელია ზემო ხსენებული 1556 წლის ლუარსაბ და სვიმონ მეფეების შეწირულობის საბუთის ფონზე, სადაც მთაწმინდის მონასტერი პირდაპირ იხსენიება წმ. დავითის მონასტრად (სურგულაძე 2016ბ: 224-225). ამ მონასტერს ასევე უდაბნო ეწოდებოდა (სურგულაძე 2016ბ: 167), ისევე როგორც დავით გარეჯის უდაბნოს მონასტერს, სადაც ნექიმ და დანიელ ნექის ძემ სავედრებელი წარწერები შეასრულეს.

ბუნებრივია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს მსგავსებები მხოლოდ დამთხვევებია. თუმცა, ამავე დროს სავსებით დასაშვები მგონია, რომ ამ წერილობით ძეგლებში აისახა კანონზომიერი კავშირები ნექისძეებსა და წმ. დავით გარეჯელს სამოღვაწეო ადგილს შორის. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1442 წელს თბილელს დედაქალაქი „ოთხს საეკლესიოდ“ დაუყვია და ზედამხედველობა ქორეპისკოპოსისათვის დაუვალებია. არსებული მონაცემებით, მიახლოვებითაც, ვერ ზუსტდება ამ საეკლესიო-ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპები და საზღვრები. არაა გამორიცხული, ერთ-ერთ ასეთ ერთეულად გამოეყოთ თბილისის „გარეთუბანი“, სადაც მთაწმინდა და ქაშუეთი მდებარეობდა.

სიონის მგალობელი პეტრე ნექაძე.

ზემოთ განხილული წყაროების მიხედვით ცნობილი ხდება ნექისძეების თბილელი საყდრის-შვილების XIV-XV საუკუნეებში მოღვაწე სამი წარმომადგენელი – დანიელი ძე ნექისა (ნექისძეების გვარის პირველი წარმომადგენელი), თბილისის ქორეპისკოპოსი, და მისი ძეები – საბა და მირიანი. მათ გარდა ცნობილია კიდევ ერთი ან ორი, ერთი და იგივე სახელის მატარებელი პირი – ნექი, რომელიც/რომლებიც ამ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ (ნექისძეების განშტოების ცალკე გამოყოფამდე). თუ დანიელის მამას და გარეჯის უდაბნოს სამარტვილეს წარწერაში მოხსენიებულ ნექის ერთ პირად მივიჩნევთ, ამ საგვარეულოს ოთხი წარმომადგენელის შესახებ იქნება ცნობილი, ხოლო თუ მათ ორ სხვადასხვა პირად მივიჩნევთ – დანიელის მამად და მამის პაპად – ეს რიცხვი ხუთამდე გაიზრდება.

სხვა ცნობები ნექისძეების შესახებ წერილობით ძეგლებში XVII საუკუნემდე არ მოიძებნა.

XVII საუკუნეში კი ჩანს ერთი წარჩინებული პირი, რომელიც ასევე ამ საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყო. XIX საუკუნის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება ცნობები ვინმე პეტრე ნექაძეზე, სიონელ მგალობელზე და თბილისის მოქალაქეზე („ტფილისის ქალაქელი“), რომელიც გამოჩენილი პოეტი ყოფილა (შარაშიძე 1954ბ: 215-220); (ბრეგაძე და *სხვები* 1986: 192-193); (ბრეგაძე და *სხვები* 2004: 239-241); (ბაქრაძე და *სხვები* 1961: 261, 306); (ბრეგაძე და *სხვები* 1967: 201-202); (ქუთათელაძე, კასრაძე 1946: 394-395); (შარაშიძე 1948: 45). აღნიშნულ ხელნაწერებში მისი ბიოგრაფიის შესახებ სხვა ცნობები არ გვხვდება. პეტრე მგალობელს ასევე ეკუთვნის არჩილ მეფისადმი (1647-1713) მიძღვნილი ქება, რის გამოც ამ მეფის თანამედროვედ ითვლება (კეკელიძე 1952: 263, 482).[23] ამ შემთხვევაში, ჩემი ყურადღება მიიქცია არა მარტო გვარმა (ნექისძე – ნექაძე), არამედ მისმა სტატუსმა და წარმომავლობამაც (სიონელი მგალობელი და „ტფილისის ქალაქელი“). ეს მსგავსებები ნამდვილად არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა და საქმე უნდა გვქონდეს ნექისძეების საგვარეულოს შთამომავალთან, რომელიც ასევე თბილისის საყდრისშვილი უნდა ყოფილიყო. არც პეტრე ყოფილა რიგითი საყდრისშვილი – იგი თავისი დროის გამორჩეული მგალობელი (რაზეც მისი მეტსახელი მიუთითებს) და მეფესთან დაახლოვებული პოეტი ყოფილა. ეს გვაჩვენებს, რომ თბილელი საყდრისშვილი ნექისძეების საგვარეულო XIV-XV საუკუნეების მერეც არ წყვეტს არსებობას და XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზეც კი ინარჩუნებენ მაღალ სტატუსს თბილისის ეპარქიაში.

შენიშვნები

[1] მოხსენება განსხვავებული სახელწოდებით წავიკითხე საერთაშორისო კონფერენციაზე „დავით გარეჯი: მულტი-დისციპლინარული კვლევა და განვითარების სტრატეგია“ (18, 19, 20 აპრილი, 2019). მოხსენების შედარებით მოკლე ვარიანტი ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ამავე კონფერენციის მასალებში (ჟღენტი 2020: 71-76).

[2] კახთა მეფე ალექსანდრე II-ის 1594 წლის შეწირულობის წიგნში შუამთის მონასტრისადმი, ჩამოთვლილ პირებს შორის იხსენიება „ნექასშვილი ობლები ორი“ (ხარშილაძე 2014: 64). ს. კაკაბაძე ამ ადგილს განცალკევებულად კითხულობს „ნექას შვილი ობლები ორი“ (კაკაბაძე 1913: 59). საბუთის პუნქტუაცია არ იძლევა ზუსტ მონაცემებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს ეს ადგილი – როგორც ვინმე ნექას შვილები თუ როგორც გვარი ნექაშვილი. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ნექისძეების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც საქმე უნდა გვქონდეს სახელი ნექის ოდნავ განსხვავებულ ვარიანტთან.

[3] სულხან-საბას მიხედვით ქორეპისკოპოსი აღნიშნავდა „უსამწყსო ეპისკოპოსს“. ვრცლად მის შესახებ იხ. (გაბიძაშვილი და *სხვები* 2007: 919).

[4] საბუთის მოკლე შინაარსი გამოაქვეყნა პ. იოსელიანმა 1866 წელს, თუმცა საბუთის ადრესატების გვარი მან ამოიკითხა როგორც Некладзе (იოსელიანი 1866: 210). იოსელიანის აღწერილობა გაიმეორა თავის ნაშრომში მ. ტყემალაძემაც (ტყემალაძე 1904: 109). საბუთის მოკლე შინაარსი გამოქვეყნებული აქვს კ. ცინცაძესაც, თუმცა ავტორი, ეგზარხოს ევსევის ერთი წერილის მიხედვით, საბუთის თარიღად 1432 წელს უთითებს (ცინცაძე 1994: 16, 129-130).

[5] ის რომ 1442 წელსვე დანიელმა შეცვალა დავით ქორეპისკოპოსი და არა პირიქით, ნათელია ქვემოთ განხილული 1462 წლის საბუთის მიხედვით, სადაც დანიელ ნექისძე კვლავ ქორეპისკოპოსის პატივით იხსენიება.

[6] საბუთის ლაკონიური აღწერილობა არ გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ თუ რა საეკლესიო-ადმინისტრაციული პრინციპით მოხდა ასეთი დაყოფა.

[7] ამჟამად საბუთის დედნიდან შემორჩენილია მხოლოდ ბოლო 17 სტრიქონი (ეს ფრაგმენტი ინახება ცენტრალურ საისტორიო არქივში, შიფრით 1448-5240), თუმცა საბუთი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში: მისი მოკლე აღწერილობა შეტანილი აქვს 1462 წლის ქვეშ სიონის გუჯრების სიაში პ. იოსელიანს (იოსელიანი 1866: 216). ძალზე მოკლე აღწერილობა გამოაქვეყნა დ. ფურცელაძემ 1881 წელს. თარიღად გამომცემელმა 1462 წელი განსაზღვრა (ფურცელაძე 1881: 53). 1897 წელს საბუთის აღწერილობა და ტექსტის ფრაგმენტი გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ, თუმცა არ გაიზიარა ქორონიკონის დედნისეული მოცემულობა და თარიღად 1432 წელი მიიჩნია. თ. ჟორდანია უთითებს, რომ მ. ბროსე საბუთს 1434 წლით ათარიღებდა (ჟორდანია 2018: 239, 0025). საბუთს ახსენებს თავის ნაშრომში მ. ტყემალაძეც, რომელიც ავტორმა თბილისის სიონის ეკლესიას მიუძღვნა. საბუთის აღწერილობა ავტორს მოყვანილი აქვს პ. იოსელიანის მიხედვით (ტყემალაძე 1904: 110). საბუთის მოკლე აღწერილობა შეადგინა ასევე კ. ცინცაძემ, თუმცა საბუთის მიმღების გვარი ავტორმა ამოიკითხა როგორც ნექსიძე (ცინცაძე 1994: 16). საბუთის სრული ტექსტი გამოცემულია 1913 წელს, ს. კაკაბაძის მიერ „ისტორიული საბუთების“ II ტომში და 1970 წელს ი. დოლიძის მიერ „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში (კაკაბაძე 1913: 6-7); (დოლიძე 1970: 186-187). როდის და რა გარემოებებში დაიკარგა საბუთის მნიშვნელოვანი ნაწილი, უცნობია. ი. დოლიძის გამოცემა იმეორებს ს. კაკაბაძისეული გამოცემის ტექსტს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დედნის დიდი ნაწილი 1913 წლის შემდეგ დაიკარგა, ხოლო 1970 წელს, საბუთის გამოცემისას, ი. დოლიძე დაეყრდნო არა საბუთის დედანს, არამედ ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემას. ამას ადასტურებს ისიც, რომ ს. კაკაბაძე, დედნის ზომაში უთითებს 105X181/2 სანტიმეტრს, ხოლო ი. დოლიძე საბუთის დღეისათვის შემორჩენილი ფრაგმენტის ზომებს – 24,5X18 სანტიმეტრს (დოლიძე 1970: 1150). აღსანიშნავია, რომ ორივე გამოცემაში გაპარულია შეცდომა – ქორონიკონად ამოკითხულია არა ქორონიკონი რკლ, როგორც ეს დედნის შემორჩენილ ფრაგმენტზეც გარკვევით იკითხება, არამედ ქორონიკონი რკჱ. როგორც ჩანს, მეცნიერები (ან მხოლოდ ს. კაკაბაძე) შეცდომაში შეიყვანა ქორონიკონში ათეულების აღმნიშვნელი ორი გრაფემის – კ-ანის (20) და ლ-ასის (30) ერთდროულად გამოყენებამ, ხოლო ერთეულების აღმნიშვნელი გრაფემის საერთოდ გამოტოვებამ. სავარაუდოდ, ამის გამო, გარკვევით დაწერილი ქორონიკონის მესამე ასო ლ-ასი, რომლის ადგილზეც უმრავლეს შემთხვევაში ერთეულების აღმნიშვნელი ასო წერია (ა-ნიდან (1) თ-ანის (9) ჩათვლით), მეცნიერებმა, მოხაზულობის მიხედვით, ჱ-ად მიიჩნიეს. ამის გამო, ორივე გამოცემაში საბუთის თარიღად შეცდომით მითითებულია 1440 წელი. აღსანიშნავია, რომ საბუთის თარიღად, ქორონიკონში ათეულების აღმნიშვნელი ორი გრაფემის ერთად გამოყენება არ იყო ხშირი მოვლენა, თუმცა, პრაქტიკაში მაინც საკმაო რაოდენობით გვხვდება. მაგალითად იხ. (სურგულაძე და *სხვები* 2014: 166, 205, 210, 217, 241, 243, 245). წყალობის წიგნის ზუსტ თარიღთან დაკავშირებული ეს ხარვეზი გამოსწორდა 2014 წელს გამოცემულ

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ III ტომში, სადაც ქორონიკონის მესამე ასოდ მართებულად იქნა ამოკითხული 30-ის რიცხვითი მნიშვნელობის მქონე გრაფემა ლ-ასი და, შესაბამისად, წყალობის წიგნის ქორონიკონი რკლ-ით (100+20+30=150), ანუ 1462 წ-ით (1312+150=1462) განისაზღვრა. თუმცა, ამ გამოცემაშიც გაიპარა შეცდომა – გამოქვეყნებულია მხოლოდ შემორჩენილი ფრაგმენტის ტექსტი, ბოლო 17 სტრიქონი. არ არის მითითებული არც წინა გამოცემები და აღნიშნულია, რომ საბუთი პირველად ქვეყნდება (სურგულაძე და *სხვები* 2014: 127).

[8] საყდრისშვილების შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

[9] ამის მიუხედავად, კოსტანტინე მეფე, სხვა საბუთების მიხედვით, თავის მეფობის ინდიქტიონს ითვლის ხან 1471/2, ხან კი 1477/8 წლიდან (სურგულაძე და *სხვები* 2014: 205, 272, 281, 295)

[10] ა. კლიმიაშვილი დანიელ ნექისძეს საერო პირად თვლიდა, რომელიც საყდრისშვილის სამხედრო მოვალეობას ასრულებდა და კოსტანტინე მეფეს შორეულ ურდოში ლაშქრობისას ახლდა (კლიმიაშვილი 1961: 103). ქ. შარაშიძე კი ამ საბუთის მიხედვით უფრო განსხვავებულ სურათს აღადგენდა: მისი აზრით, საყდრისშვილები თბილელი მიტროპოლიტის დავალებით მეფესთან ურდოს გამგზავრებულნი მისთვის მეფესთან მოციქულობენ და მოშლილი თბილელობის აღდგენას ახერხებენ (შარაშიძე 1954ა: 249). ვფიქრობ, ის მოსაზრება, რომ საბუთში იგულისხმება არა დანიელ ნექისძის მიერ კოსტანტინე მეფის ორჯერ ურდოში თანხლება, არამედ დანიელი თვით ეახლა კოსტანტინეს ურდოში ორჯერ, მისაღები არაა, რადგან წყალობის საბუთში უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული წყალობის ადრესატის პირადი ამაგი წყალობის გამცემისადმი, „ურდოს ლაშქარში“ მეფის ხლება კი წყალობის საბუთებში გამოყენებული ერთგულების გამოხატულება იყო (სურგულაძე 2006: 124). საბუთით არც თბილელობის აღდგენა ჩანს. 1462 წლის საბუთის კონტექსტიდანაც ვიტყობთ, რომ დანიელ ნექისძის ამაგი, რისთვისაც მას კუთვნილი მიწების წყალობა განუახლეს, კოსტანტინე მეფის ურდოში ორჯერ თანხლებაა და არა კოსტანტინე მეფესთან თბილელის მოციქულის სახით ურდოში ორჯერ სტუმრობა.

[11] როგორც ცნობილია, კოსტანტინე I-ის მეფობის ამსახველი ქართული საისტორიო ნარატიული ძეგლი, რომელიც ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიხედვით ნამდვილად არსებობდა (ყაუხჩიშვილი 1959: 326), ჩვენამდე არ შემორჩენილა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ასახულია მოგვიანო ქართულ წყაროებში: ფარსადან გორგიჯანიძესთან (XVII ს.), ქართლის ცხოვრების სწავლულ კაცთა კომისიის შედგენილ მატიანეში (XVIII ს.) და ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.). ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლური წყაროები, რომლებიც ქრონოლოგიურად უფრო ახლოსაა კოსტანტინეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდთან, ხშირ შემთხვევაში კი თანადროულ წყაროსაც წარმოადგენს ვრცლად იხ. (ტაბატაძე 1974: 5-26); (კაციტაძე 1975: 7-26).

[12] თუ არ ჩავთვლით ქვემოთ განხილულ ცნობას, რომლის მიხედვითაც კოსტანტინე მეფე თან ახლავს სამხედრო ბანაკში თემურ-ლენგს 1403 წლის ბირთვისის ციხის აღებისას.

[13] სწორედ ამაში უნდა იგულისხმებოდეს ტერმინი „ურდოს“ მეორე მნიშვნელობა ქართულ დიპლომატიკურ აქტებში.

[14] რადგან ორივე საბუთის გამცემი ორივე შემთხვევაში მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსია შეიძლება დაიბადოს სამართლიანი კითხვა: კონკრეტულად რომელი საყდრისშვილები იყვნენ ნექისძეები – მანგლისის თუ თბილისის? ვფიქრობ პასუხი ნათელია. ორივე საბუთის მთავარი თემა (Arenga) ნექისძეებისადმი ნაწყალობევი თბილისური მიწათმფლობელობის (სავენახე მიწა ქაშუეთთან, მთაწმინდისხევი) განახლებაა. 1462 წლის საბუთის მიხედვით ნექისძეებს ქაშუეთთან მდებარე მიწათმფლობელობის პრობლემები დაკავშირებული იყო თბილელობის მოშლასთან. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ნექისძეები თბილისის საყდრისშვილები იყვნენ.

[15] 1462 წლის საბუთში დანიელის ურდოში ხლებისას კოსტანტინე მეფედ იწოდება, თუმცა, 1401 და 1403 წლებში იგი ჯერ მეფე არ ყოფილა. ეს ანაქრონიზმი უნდა აიხსნას იმით, რომ 1462 წელს თბილელი მღვდელმთავარი ხელმძღვანელობს უშუალოდ კოსტანტინეს მეფის მიერ 1407-1412 წლებში გაცემული წყალობის აქტით, რომლითაც ნექისძეებს, ერთგული სამსახურის სანაცვლოდ მან პირადად განუახლა წყალობა.

[16] თბილელობის მოშლის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად, ჩემი აზრით, 1400 წელი უნდა განისაზღვროს, ხოლო თბილელობის აღდგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ვერ დგინდება. ბუნებრივია, სამეფოს დედაქალაქის ეპარქიის აღდგენა ძალზე მნიშვნელოვანი საქმე იყო. შესაბამისად, ეს მალევე უნდა მომხდარიყო. თუმცა, დოკუმენტურად თბილელობის აღდგენა არ დასტურდება 1427-1438 წლებამდე, როდესაც თბილელობის მოშლის შემდეგ, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, პირველად ვხვდებით თბილელ ეპისკოპოსს. ამ პერიოდით თარიღდება იოვანე მანგლელ-თბილელის ერთგულების წიგნი კათალიკოს თეოდორესადმი (ენუქიძე და *სხვები* 2013: 148). აღსანიშნავია, რომ პ. იოსელიანი თბილელ ეპისკოპოს იოანეს (მისი ნუმერაციით იოანე I-ს) მოქმედად მიიჩნევს ჯერ კიდევ 1413 წელს, ხოლო 1429 წელს თბილელად მიიჩნევს

მეფე ალექსანდრე I-ის ძეს დავითს, რომელიც მოგვიანებით კათალიკოსი გახდა (იოსელიანი 1866: 171). მ. ტყემალაძე კი ეპისკოპოს იოანეს (მისი ნუმერაციით იოანე III-ს) მოღვაწეობას 1405-1427 წლებით განსაზღვრავს, ხოლო დავითის თბილელობას, რომელსაც ავტორი კოსტანტინე მეფის ძედ მიიჩნევს, 1427-1430 წლებით (ტყემალაძე 1904: 142). თ. ბერიძე თავის ნაშრომს ბოლოში ურთავს თბილელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილ სიას, სადაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მოხსენიებული ჰყავს ორი თბილელი მღვდელმთავარი – იოანე II (1413-1422) და დავითი (მეფე ალექსანდრე I-ის შვილი – 1429). პ. იოსელიანი და მ. ტყემალაძე იოანე თბილელის მოღვაწეობის დასათარიღებლად ეყრდნობიან მეფე ალექსანდრე დიდის საბუთს მალის ამოკვეთის შესახებ, რომლის ერთ-ერთი დამამტკიცებელია იოვანე თბილელიც. თუმცა, საბუთი 1440 წელსაა დაწერილი (ენუქიძე და *სხვები* 2013: 219-221). როგორც ჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები იოანე თბილელის მოღვაწეობის პერიოდის დადგენისას შეცდომაში შეიყვანა ამ საბუთის შინაარსმა, სადაც მეფე ალექსანდრე ქრონოლოგიურად ჩამოთვლის მანამდე მომხდარ მოვლენებს სხვადასხვა ქორონიკონის მიხედვით. რაც შეეხება უფლისწულ დავითის თბილელობას, ეს არც ერთი შემორჩენილი საბუთით არ დასტურდება და ჩემთვის უცნობი რჩება ავტორთა ამ მოსაზრების კონკრეტული საფუძველი. შესაბამისად, თბილელობის მოშლის შემდეგ პირველად თბილელი ეპისკოპოსი დოკუმენტურად 1427-1438 წლამდე არსად გვხვდება. საერთოდაც, თბილისის ეპარქიის ისტორიის ეს კონკრეტული ეპიზოდი უაღრესად საინტერესო საკითხია და ძირეულ კვლევას საჭიროებს. გასარკვევია, ზუსტი მიზეზი თუ რატომ გაერთიანდა თბილისის ეპარქია მაინც და მაინც მანგლისის საყდართან. ამასთანავე, პირველი საბუთი, რომელშიც თბილისის საყდრის აღდგენის შემდეგ გვხვდება თბილელი მღვდელმთავარი, წარმოადგენს ზემოხსენებულ ერთგულების ფიცის წიგნს მცხეთის კათალიკოსისადმი. ერთგულების ფიცის წიგნები უცხო არაა ამ პერიოდისათვის, რადგან სამცხის ათაბაგები ცდილობდნენ მაწყვერელი ეპისკოპოსის იერარქიულ გათანაბრებას მცხეთის კათალიკოსთან. უცნაურია ამ აქტის ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპი, რადგან ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან შემორჩენილი ფიცის წიგნების უმეტესობა სწორედ სამცხე-საათაბაგოს მღვდელთავრების მიერაა გაცემული. ასევე გარკვეული ახსნა შეიძლება მოეძებნოს ფიცის წიგნებს შორის ალავერდელი ეპისკოპოსის ფიცის წიგნსაც (ფიცის წიგნი დაიწერა კახეთის ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბების პროცესში). თუმცა, თბილელ-მანგლელის ფიცის წიგნი მცხეთის კათალიკოსისადმი სწორედაც რომ ბევრ კითხვას ბადებს. ამ საბუთში მიზეზი მითითებული არაა, თუმცა აღნიშნულია, რომ ამ მღვდელმთავრის ქცევა იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა კათალიკოსისათვის, რომ მას დროებით ომფორიც კი ჩამოართვა, რაც მღვდელმსახურების შეჩერებას ნიშნავს. ისმის კითხვები: ხომ არ ჩანს ამ პროცესებში ათაბაგების კვალი და ხომ არ ცდილობდა ათაბაგი მანგლისის ეპარქიის აწყურისადმი დაქვემდებარებას, რაც ამ პერიოდში ავტომატურად თბილისის ეპარქიის სტატუსზეც აისახებოდა? თუმცა, როგორც აღვნიშნე, ეს საკითხები ცალკე სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

[17] განსხვავებული მოსაზრება აქვთ ამის შესახებ პ. იოსელიანს და თ. ბერიძეს. ავტორები მანგლელისა და თბილელის საყდრის დროებით გაერთიანებას ასევე უკავშირებენ მტრების შემოსევას, თუმცა, მათი აზრით ეს გამოწვეული იყო მანგლისის ეპარქიის გაუქმებით (იოსელიანი 1866: 171-172); (ბერიძე 2001: 13).

[18] შუა საუკუნეების საქართველოში საყდრისშვილთა ყველაზე ძლიერი ინსტიტუტი სვეტიცხოველს, როგორც მცხეთის საკათედრო და საკათალიკოსო ტაძარს, ჰქონდა. ამ ინსტიტუტს „მცხეთისშვილები“ ეწოდებოდა. ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა საეპისკოპოსოს საყდრისშვილებიდან მცხეთისშვილები ყველაზე კარგადაა შესწავლილი (ლომინაძე 2010); (სურგულაძე 2016ა: 72-151). ლოგიკურად, შუა საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა საეპისკოპოსოს, ყოველ შემთხვევაში მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარებული კათედრების, საყდრისშვილების ინსტიტუტიც მცხეთის-შვილების მოდელზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. შესაბამისად, საინტერესო იქნება მცხეთისშვილებსა და თბილისის საყდრისშვილების ამ კონკრეტული შემთხვევას შორის პარალელების გავლება.

[19] საინტერესო დამთხვევაა, რომ საისტორიო საბუთებმა შემოგვინახეს XV საუკუნეში მეღვინეობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პირი, რომელმაც თავი ასევე ურდოში უფლისწულის თანხლებით გამოიჩინა. ეს იყო საღვინის მოლარე ახალციხელი ქავთარისძე, რომლის ოჯახიც მეფე კოსტანტინე II-მ 1487 წელს, მის ძესთან ურდოში თანხლებისათვის უხვად დააჯილდოვა. სხვათაშორის, ნაწყალობევ მამულებს შორის იხსენიება ქაშუეთი თავისი ეკლესიით, თუმცა, ეს არა თბილისის, არამედ შიდა ქართლის სოფ. ქაშუეთია (სურგულაძე და *სხვები* 2014: 272-274).

[20] ამ პერიოდში 1 საჟენი უდრიდა 213, 36 სანტიმეტრს. ამ მონაცემით ქაშოეთთან მდებარე სავენახე მიწა გამოდის 229, 3416 მეტრი თუმცა, ბუნებრივია, სავენახე მიწა გაზომილი იქნებოდა არა სიგრძით, არამედ ფართობით. ამიტომ, ვვარაუდობ, რომ საბუთში უნდა იგულისხმებოდეს 106 კვ. საჟენი. ამავე პერიოდში 1 კვ. საჟენი იყო 9 კვ. არშინი, 1 არშინი კი 71,12 სანტიმეტრს უდრიდა. შესაბამისი გამოთვლებით და თანამედროვე მეტრულ სისტემაზე მორგებით მივიღებთ, რომ თუ ქაშუეთთან მდებარე სავენახე მიწის ფართობად ვიგულისხმებთ 106

კვ. საჟენს, მისი ფართობი იქნებოდა დაახლ. 482,53 კვ. მ. (106 x 9 = 954; 0,7112[2] = 0,5058; 954 x 0,5058 = 482,53).

[21] აღსანიშნავია, რომ თბილელს ჰქონია ბაღი მთაწმინდასთან, იმ ხევში, რომელიც ვახუშტის თბილისის გეგმაზე დატანილი აქვს როგორც „სალალაკის“ (დღევ. სოლოლაკის) ხევი (ბერიძე 2001: 13). არაა გამორიცხული, 1442 წლის საბუთში ნახსენებ მთაწმინდის ხევში სწორედ მოგვიანო პერიოდის სალალაკის ხევიც იგულისხმებოდეს. თბილელის ბაღის შესახებ ასევე იხ. (იოსელიანი 1866: 272).

[22] აღსანიშნავია, რომ სიონის ეკლესიას ჰქონია საკუთარი საზედაშე მარანი, რომელიც აუშენებია ან აღუდგენია („აღვაშენე“) თბილელ ქრისტეფორე თუმანიშვილს (1756-1766) (ტყემალაძე 1904: 149). საზედაშე ღვინოს ცალკე ქვევრებში ასხამდნენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვენახშივე ყოფილა დაფლული (გოცირიძე 2006: 60). საფიქრებელია, რომ მთაწმინდის ხევის არქეოლოგიური შესწავლა ძალზედ საინტერესო მასალას გამოავლენს საკვლევი თემის ირგვლივ.

[23] არსებობს მოსაზრება, რომ პეტრე ნექაძე სხვა გამოჩენილ ქართველებთან ერთად რუსეთში გადაიხვეწა და იქ მოღვაწეობისას 1751 წელს ქართულად თარგმნა პიესა „სინავ და ტრუვორი“ (რუხაძე 1938: 4). თუმცა, ეს მოსაზრება მცდარადაა მიჩნეული, რადგან ეს პიესა არა პეტრე ნექაძემ, არამედ პეტრე ქებაძემ თარგმნა (მიქაძე 1968: 77); (კასრაძე 1997: 396-400); (ტატიშვილი 2000: 216-227), იხ. ვებ-გვერდი http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000629/.

დამოწმებანი

აბდალაძე 1978: *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1993: *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული*, ტ. II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, მერანი.

ბაქრაძე და *სხვები* 1961: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა*, ტ. II, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მ. შანიძის მიერ. ე. მეტრეველის რედაქციით. თბილისი, მეცნიერება.

ბერიძე 2001: თ. ბერიძე. თბილელი, *ძეგლის მეგობარი*, №1 (112).

ბრეგაძე და *სხვები* 1967: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა*, ტ. V, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული: თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა. ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

ბრეგაძე და *სხვები* 1986: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, ტ. II_1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა. ელენე მეტრეველის რედაქციით. თბილისი, მეცნიერება.

ბრეგაძე და *სხვები* 2004: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, ტ. II_2, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, ელ. მეტრეველმა, მ. ქავთარიამ, ც. ჭანკიევმა. ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი.

გაბიძაშვილი 1978: ე. გაბიძაშვილი. *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა)*, თბილისი, მეცნიერება.

გაბიძაშვილი და *სხვები* 2007: *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე. თბილისი.

გოცირიძე 2006: გ. გოცირიძე. ზედაშეს კულტურა საქართველოში, *ქართველური მემკვიდრეობა*, X, თბილისი.

დოლიძე 1970: *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ., III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, მეცნიერება.

ენუქიძე და *სხვები* 2013: ქართული ისტორიული საბუთები, XIV-XV საუკუნეები, *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ., II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ.

იოსელიანი 1866: *Описаніе древностей города Тифлиса*, сочиненіе Платона Іосселіани, Тифлис.

კაკაბაძე 1913: ს. კაკაბაძე. *ისტორიული საბუთები*, წიგნი II, ტფილისი.

კასრაძე 1997: ო. კასრაძე. *ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის ძველი ოსტატები ძველ საქართველოში, ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან*, თბილისი, მეცნიერება.

კაციტაძე 1975: დ. კაციტაძე. *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*, თბილისი, მეცნიერება.

კეკელიძე 1952: კ. კეკელიძე. *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*, ტ., II, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კლდიაშვილი და *სხვები* 1991: *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი, მეცნიერება.

კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999: დ. კლდიაშვილი, ზ. სხირტლაძე. *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები*, ტ. I, ნაკვ. I (წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი – XI-XVIII სს.), თბილისი.

კლიმიაშვილი 1961: ა. კლიმიაშვილი. საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, III, თბილისი, მეცნიერება.

ლომინაძე 1979: ბ. ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XV, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ., III. თბილისი, მეცნიერება.

ლომინაძე 2010: ბ. ლომინაძე. *საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა*, თბილისი, ნეკერი.

მიქაძე 1968: გ. მიქაძე. *ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია*, ტ., 2. თბილისი, მეცნიერება.

ჟორდანია 2018: თ. ჟორდანია. *ქრონიკები*, ტ., II, თბილისი, არტანუჯი.

ჟღენტი 2019: ნ. ჟღენტი. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და XV საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის საკითხებიდან: მეფე კოსტანტინე II-ის მიერ იმერეთის მეოთხედ შემოერთება (მთის წმ. გიორგის მონასტრის 1491 წლის საბუთის ისტორიულ – წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). *საისტორიო კრებული*, ტ., 7, თბილისი, მხედარი.

ჟღენტი 2020: N. Zhgenti. Identifying Neki and Daniel Nekis Dze (son of Neki), Authors of the 13th-14th cc. Scratched Inscription, made in the Davit Gareji Udabno Monastery's Martyrium and the Scratched Inscription of the first half of the 15th c., made in the Annunciation Church, *International Conference "Davit Gareji –Multidisciplinary Study and Development Strategy"*, *Proceedings*, Tbilisi.

რუხაძე 1938: თ. რუხაძე. უძველესი ქართული დრამატიული თხზულება, *ლიტერატურული საქართველო*, № 23, თბილისი.

სურგულაძე 2006: მ. სურგულაძე. *ქართული საისტორიო აქტები (XI-XV) სს*, თბილისი, არტანუჯი.

სურგულაძე 2016ა: მ. სურგულაძე. *„მცხეთის სახლი"*, თბილისი, უნივერსალი.

სურგულაძე 2016ბ: ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის პირველი ნახევარი, *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ., IV, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბილისი.

სურგულაძე და *სხვები* 2014: ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის მეორე ნახევარი, *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ. III, შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბილისი.

ტაბატაძე 1974: კ. ტაბატაძე. *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე*, თბილისი, მეცნიერება.

ტატიშვილი 2000: ლ. ტატიშვილი. *„ვეფხისტყაოსნის" გადამწერნი*, თბილისი.

ტყემალაძე 1904: П. М. Ткемаладзе. *Тифлисскій Сіонскій Кафедральный Собор*, Тифлись.

ფურცელაძე 1881: *Грузинскіе Церковные Гуджари (Грамоты)*, составиль Д. П. Пурцеладзе, Тифлись.

ქუთათელაძე, კასრაძე 1946: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიის საერთო რედაქციით, ტ. I, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი 1959: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., II, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ყაუხჩიშვილი 1973: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., IV, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ცინცაძე 1994: კ. ცინცაძე. *ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში*, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბილისი, კანდელი.

შარაშიძე 1948: *ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ., III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

შარაშიძე 1954ა: ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), *მასალების საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ., 30, თბილისი, მეცნიერება.

შარაშიძე 1954ბ: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ. თბილისი, მეცნიერება.

შოშიაშვილი 2019: ქ. შოშიაშვილი. *თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურის ძეგლები*, თბილისი.

ხარშილაძე 2014: ნ. ხარშილაძე. *კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის წერილობითი მემკვიდრეობა (ისტორიული საბუთები და ეპიგრაფიკა)*, თბილისი.

ხოშტარია [ბროსე] 1984: ე. ხოშტარია [ბროსე]. *ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები*, თბილისი, მეცნიერება.

FEUDAL FAMILY OF NEKISDZE – SAKDRISSHVILI

Nikoloz Zghenti

The information about the Nekisdzes' feudal family is preserved in several Georgian historical sources of 13th-19th centuries. These are: two scratched inscriptions of 13th-14th cc. and 15th c. written by Neki and Daniel son of Neki from Davit Gareji Udabno Monastery; two deeds of donation of 1442 and 1462 years granted by the bishops of Manglisi-Tbilisi to Daniel Nekisdze and his sons; identical brief information about the chorister of Sioni Cathedral Petre Nekadze who is mentioned in the several manuscript books of 19th c.

These sources are well-known in scientific literature. However, their information was not related to each other and the facts mentioned in them were often interpreted differently: the researchers provided different dates for these documents and their evidences. Even the name Nekisdze was often read incorrectly (Neksadze, Nekladze).

In the present paper all available data about the feudal family under the consideration are gathered and grouped according the source's type, content and chronology. As a result of the research the history of Nekadzes' family is represented in general outlines:

Neki, mentioned in the 13th-14th cc. scratched inscription of Gareji's Udabno Monastery, according to the rarest name and chronology, should be considered as father, or great grandfather of Daniel (son of Neki), mentioned in the scratched inscription of the first half of 15th c., made in the same Monastery. In later period Daniel took his father's name as a new family name Nekisdze. The former family, the member of which was Daniel before, even at the edge of 14th-15th cc. had the title of "Sakdrisshvili" – an institution of the noblemen of the Tbilisi Sioni Cathedral and Eparchy.

The duty of Nekisdzes, as the privileged "Sakdrishvili" family, was related to the viticulture and wine-making. They governed the lands of the eparchy in Tbilisi's "Garetubani" – vineyards at Kashueti and Mtatsmindis Khevi.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და სანგარი №4

დიმიტრი სილაქაძე
პაატა გიგაური

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდია – ეპიზოდი, რომელმაც პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია და ქვეყნის მომავალი საგრძნობლად შეცვალა. ამიტომ ამ ომის ისტორიის მრავალმხრივი შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანი, აქტუალური და ამავდროულად საინტერესოა ქართული ისტორიოგრაფიისა და მთელი საზოგადოებისათვის. 2017 წლის სექტემბერში გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის ინიციატივითა და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დახმარებით არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ზურაბ ბრაგვაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა სოფელ ტაბახმელასთან მდებარე №4 სანგრის პირველი ზოლის მარჯვენა ფრთა. რუსეთ-საქართველოს ომის დროს ეს სანგარი თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორში მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაღლეს წარმოადგენდა და მის დასაუფლებლად დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა 19-24 თებერვლის განმავლობაში.

ჩვენ კვლევაში მოგითხრობთ თუ როგორ წარიმართა საბრძოლო მოქმედებები სანგარ №4-ზე, ასევე გავაანალიზებთ რამდენად ემთხვევა სანგრის გათხრისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საარქივო დოკუმენტებსა და სხვა ტიპის წერილობით წყაროებში არსებულ ინფორმაციას ქართული არმიის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების შესახებ.

№4 სანგრის აღწერა, მიმდინარე ბრძოლები და მისი როლი თბილისის დაცვის მარჯვენა სექტორში

თბილისის შემოგარენში, მათ შორის, კოჯორ-ტაბახმელაში თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობები 1914-15 წლებში ნაჩქარევად მოეწყო. ნაჩქარევად, რადგანაც პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე ოსმალურმა არმიამ სარიყამიშის ბრძოლის დასაწყისში დიდი საფრთხე შეუქმნა რუსულ არმიას და წარმოშვა საშიშროება რუსული არმიის ალყაში მოქცევისა და განადგურებისა. რაც შემდეგ კავკასიის ცენტრს – თბილისსაც – უქმნიდა საფრთხეს. თუმცა რუსები ამ გამოწვევას მალევე გაუმკლავდნენ და, პირიქით, სარიყამიშის ბრძოლის მეორე ეტაპზე დიდი მარცხი აგემეს ოსმალურ არმიას. ამის შემდეგ, თბილისის თავდაცვის ზოლში სანგრების და სხვა თავდაცვითი ნაგებობების გაფართოება, ან კიდევ სრულყოფილი რესტავრაცია აღარ მომხდარა. თუ არ ჩავთვლით 1920 წლის მაისს, როდესაც გენერალ გიორგი კვინიტაძის ცნობით საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის საქართველოში შემოჭრის მცდელობის პარალელურად 10 მილიონი მანეთი გამოიყო თბილისის გასამაგრებლად (კვინიტაძე 1954: 14). გამოყოფილი თანხის მიუხედავად 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომისათვის, კოჯორ-ტაბახმელას მონაკვეთზე არსებული სანგრები ცუდ მდგომარეობაში იყო. ამას ადასტურებს 1921 წლის ომში სამხედრო სკოლის მეთაურის, იმ დროისათვის პოლკოვნიკისა და შემდგომში პოლონური არმიის ბრიგადის გენერლის ალექსანდრე ჩხეიძის და ასევე იუნკრების (მომავალში კი ფრანგული და პოლონური არმიის ოფიცრების) ნიკოლოზ თოხაძის, მიხეილ დადიანის, ნიკოლოზ მათიკაშვილისა და მიხეილ კვალიაშვილის მოგონებები. ისინი წერდნენ, რომ როდესაც სანგრებზე ავიდნენ, რეალურად მათ დახვდათ ნიაღვრებისაგან გავერანებული თხრილები, რომლებიც მხოლოდ მცირედით თუ ფარავდა მებრძოლებს და დიდად არ განსხვავდებოდა მეომარი იქ იჯდა თუ ტრიალ მინდორზე იწვა (ბრაგვაძე 2018ბ: 161). თუმცა ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი

მოგონებებში წერდნენ, რომ მტრის პირველ შემოტევამდე[1] – „გულდასმით ვმუშაობდით და სანგრების, სადარაჯო პუნქტების, ტყვიამფრქვევთა სადგომების მოწყობა და შენიღბვა მოვასწარით“ (მათიკაშვილი, კვალიაშვილი 1990: 13).

თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორის ტაბახმელის მონაკვეთზე ქართული ქვედანაყოფები 1921 წლის 17 თებერვლის საღამოს 17:00 საათზე ავიდნენ, მოწინააღმდეგემ კი ამ მონაკვეთზე იერიში 19 თებერვლის დღის პირველ ნახევარში მიიტანა (ჩხეიძე 1933: 32, 35). ქართველებს თავდაცვითი ზოლის წესრიგში მოსაყვანად ერთ დღეზე ცოტა მეტი დრო ჰქონდათ, რაც გარკვეული სამუშაოების მოსასწრებად და თავდაცვითი ზოლის ნაწილობრივ მოსაწესრიგებლად საკმარისი იყო. პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მიერ შედგენილი რუკის მიხედვითა და გამოთვლით ტაბახმელის მინიმუმ 8 ვერსიან[2] მონაკვეთზე განლაგებული იყო ცხრა სანგარი – № 000; 00; 0, 1, 2, 3, 4, 5, 6. თავად №4 სანგარი, ჩხეიძის შედგენილი სქემის მიხედვით, შედგებოდა თავდაცვის სამი ზოლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მათი შემაერთებელი ხაზისაგან (ჩხეიძე 1933: 32-33, 44, 51).

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდეც სანგრის კონტურები, კერძოდ, მისი თავდაცვის პირველი ზოლის კონტური კარგად იყო გამოკვეთილი. გამომდინარე იქიდან, რომ სანგრის მეორე და მესამე ზოლი და ასევე პირველი ზოლის მარცხენა მონაკვეთი კერძო საკუთრებაშია, არქეოლოგებმა გათხარეს მხოლოდ თავდაცვის პირველი ზოლის მარჯვენა 116 მეტრიანი მონაკვეთი. არქეოლოგიურმა გათხრებმა, როგორც ეს არქეოლოგიური ანგარიშიდან ჩანს, დაადასტურა, რომ ტრანშეები გათხრილი იყო კლდოვან ქანში და ღრმა არ იყო. სანგრის თხრილი ზიგზაგისებურად მიემართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სანგრის სიღრმე 30 სანტიმეტრს, ხოლო სიგანე – 1-1.2 მეტრს და ზოგან კი 2 მეტრს აღწევდა. პოზიციის თავსა (აღმოსავლეთი) და ბოლოში (დასავლეთი) დაფიქსირდა ბლინდაჟის ტიპის ჩაღრმავება. ცენტრში განთავსებული იყო სადამკვირვებლო პოსტი საველე ტელეფონით, რისი ვარაუდის საშუალებასაც იძლევა ამ ადგილას აღმოჩენილი გალვანური ელემენტების ნაწილი, რაც საველე ტელეფონის კვების წყაროს წარმოადგენდა. სადამკვირვებლო – სატალეფონო წერტილიდან 18 მეტრით დასავლეთით ტრანშეაში ამოთხრილი იყო ორმო, სადაც ეყარა პოზიციაზე შეგროვებული, სხვადასხვა კალიბრის ვაზნებისთვის განკუთვნილი 120-ზე მეტი მჭერი (მჭიდი), ასევე ვაზნები, უნიფორმის ნაფლეთები და სასიგნალო მაშხალის ნაწილი. სანგარი გათხრილია სტრატეგიულ სიმაღლეზე – ბორცვზე, საიდანაც კარგი ხილვადობის შემთხვევაში ადვილად კონტროლდება რამდენიმე ათეულ კილომეტრიანი მონაკვეთი (ბრაგვაძე 2018ა: 159-160). ამავდროულად, ბორცვის ციცაბო ფერდები სანგარს უკიდურესად რთულად ასაღებს ხდიდა. შემტევი მხარის მიერ სანგრის აღების შემთხვევაში, დამცველთა მიერ კონტრშეტევის განხორციელებისას მოწინააღმდეგეს სანგრის შენარჩუნება და ფეხის მოკიდება გაუჭირდებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ რთული იქნებოდა პოზიციის შენარჩუნება ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან კონტრშეტევის განხორციელებისას, რადგანაც ამ მიმართულებაზე სანგარს შემაერთებელი ზოლი არ ჰქონდა. შემტევი მხარის მიერ პოზიციის შენარჩუნების შემთხვევაში კი, მოწინააღმდეგეს შეეძლო არტილერიით დაებომბა თბილისის ცენტრალური უბნები და იქ არსებული სამთავრობო დაწესებულებები, ან განევითარებინა შემდეგი შეტევა თბილისისაკენ. სანგარი №4 ტოპოგრაფიულ რუკებზე დატანილია როგორც სიმაღლე 1046 (ზოგჯერ კი 1045.5).

რუსეთ-საქართველოს ომის პირველ ეტაპზე, 11-16 თებერვლის ბრძოლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტზე განლაგებულმა ქართულმა ჯარმა დიდი მარცხი განიცადა და 17 თებერვლიდან მოწინააღმდეგე უკვე თბილისისაკენ მოიწევდა. გენერალ ილია ოდიშელიძის ნაცვლად დანიშნულმა ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამი თავდაცვითი სექტორის შექმნა დაიწყო, აქედან მარჯვენა სექტორი მოიცავდა კოჯორ-ტაბახმელის სიმაღლეებს. მარჯვენა სექტორს მეთაურობდა გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ხოლო უშუალოდ ტაბახმელის მონაკვეთს კი პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. ჩხეიძის მოგონებების

მიხედვით 1921 წლის 17-18 თებერვალს №4 სანგარი სამხედრო სკოლის ნაცვალთა (სერჟანტთა)[3] ათასეულის (ბატალიონის), პირველმა გუნდმა (ასეულმა)[4] დაიკავა, ხოლო მისი მიმდებარე №5 და №6 მცირე ზომის სანგრები კი – თითო ათეულმა (ჩხეიძე 1933: 32-33).

მოწინააღმდეგემ თბილისზე, მათ შორის, ტაბახმელის მონაკვეთზე იერიში 19 თებერვალს დაიწყო. ამ დროს №4, №5 და №6 სანგრები ეკავა ნაცვალთა ათასეულის მეორე ასეულს, ხოლო პირველი ასეული კი მათ უკან რეზერვში იდგა. მოწინააღმდეგის მიერ საარტილერიო დაბომბვის დაწყების შემდეგ, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე ნაცვალთა სასწავლებლის ახალგაზრდა ჯარისკაცების გასამხნევებლად მივიდა. ათასეული ომის დროს სამი ასეულისაგან შედგებოდა და ჯარში რამდენიმე დღით ადრე გაწვეულთაგან იყო დაკომპლექტებული:[5]

> №4 სანგრებს უკვე უშენდა მტრის არტილერია, ჩამოვქვეითდი და გავიარე სანგრებში; ძალიან მაინტერესებდა ახალგაზრდა ჯარისკაცების სულისკვეთება; შთაბეჭდილება მივიღე პირდაპირ სასიხარულო! არავითარი შიში მათ სახეზე! გამომეტყველება ჰქონდათ გონიერი; თუმცა დაჭიმული, მაგრამ სრულიად მშვიდი. როდესაც კი ვინმეს რაიმე შევეკითხე, მოინდომა ფეხზე ადგომა. ძალაუნებურად გავიფიქრე: – ეხ ამაცადინე ესენი ერთი წელიწადი! მაშინ პირდაპირ ლომები იქნებიან! [...] სანგრებიდან მაშველ გუნდში გამოვედი. ამ მომენტში დაეცა ყუმბარა გუნდის მარცხენა ფრთაზე, განაპირა ჯარისკაცმა კონტუზია მიიღო და ერთიც დაიჭრა. მალე მეორე ყუმბარა დაეცა გუნდიდან 15 ნაბიჯის მანძილზე (გრანატები); პირდაპირ საკვირველებაა! არცერთი ჯარისკაცი არ დაძრულა ადგილიდან, არც სხვანაირად გამოუჩენია თავისი საშიში მდგომარეობა! მივუბრუნდი და ვუთხარი მაიორ შერვაშიძეს, რომელიც თან მახლდა: – ეხლა კი მაგათი ჯავრი აღარა მაქვს, ნამდვილი გმირები არიან! (ჩხეიძე 1933: 34-35).

19 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში ტაბახმელაში №1-დან №5 სანგრის ჩათვლით, მათ შორის, №4 სანგარზე შეტევები არ შეწყვეტილა, მაგრამ მოწინააღმდეგემ ამ სანგრების აღება ვერ შეძლო (ჩხეიძე 1933: 37). 20-23 თებერვალს №4 სანგარზე მნიშვნელოვანი შეტაკება არ მომხდარა, პოზიცია პერიოდულად საარტილერიო ცეცხლით იბომბებოდა.

თბილისის დაცვის ბოლო დღეს – 24 თებერვალს ფრონტის ხაზის ყველა სექტორში დიდი ბრძოლები გაიმართა, მათ შორის, კოჯორ-ტაბახმელის სიმაღლეებზე. ტაბახმელის მონაკვეთზე სანგარი №4, იგივე სიმაღლე 1046 გახდა მნიშვნელოვანი შეტაკებების ადგილი. 24 თებერვალს ამ სანგარს იცავდა რეგულარული არმიის პირველი ათასეული (ჩხეიძე არ აკონკრეტებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, პოზიციის ზომებიდან გამომდინარე, უშუალოდ სანგრებში, სავარაუდოდ, ერთი-ორი ასეული იყო განთავსებული, ხოლო ათასეულის დანარჩენი ნაწილი კი რეზერვში იდგა). სანგრის უკან მარჯვენა მხარეს კი, 23 თებერვლიდან, განლაგდა საარტილერიო ბატარეის ერთი მწყობრი (ოცეული) ლეიტენანტ მესხიშვილის მეთაურობით. მთელი ტაბახმელის მონაკვეთზე კი იმ დროისათვის განლაგებული იყო არმიის სამი: პირველი, მეხუთე და მეათე ათასეული, სამხედრო სკოლა (იუნკერთა ასეული და ნაცვალთა ათასეული) და გვარდიის ერთი ბატალიონი (ჩხეიძე 1933: 46; 49-50). რაც შეეხება ტაბახმელის მომიჯნავე კოჯრის მონაკვეთს, 24 თებერვლისათვის, იქ განლაგებული უნდა ყოფილიყო გვარდიის სამი და არმიის ერთი – მეოტხე ათასეული.[6]

საერთო ჯამში, 24 თებერვლისათვის, კოჯორ-ტაბახმელის თავდაცვის სექტორს იცავდა არმიისა და გვარდიის რვა ბატალიონი და სამხედრო სკოლა იუნკერთა ასეულითა და ნაცვალთა ათასეულით. ტაბახმელის მონაკვეთზე ქვეით ნაწილებს ზურგს უმაგრებდა არტილერიის ორნახევარი ბატარეა (მაიორ ბახუტაშვილის ბატარეა; მაიორ ჩრდილელის ბატარეა; მაიორ მახარაძის ბატარეის ერთი მწყობრი ლეიტენანტი მესხიშვილის მეთაურობით) ათი ქვემეხით[7] (ჩხეიძე 1933: 35;45). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული არმიის საარტილერიო პარკი ძირითადად მცირე კალიბრიანი 76.2 მმ. საველე და სამთო ქვემეხებისაგან შედგებოდა (ფონდი 1836ა).

თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორს, 24 თებერვალს, პირდაპირ უტევდა და პარალელურად მანგლის-დიღმის მიმართულებით გვერდს უვლიდა წითელი არმიის 54-ე მსროლელი ბრიგადის

ერთი ნაწილი,[8] 96-ე მსროლელი ბრიგადა, აღმოსავლეთის კურსანტთა ბრიგადა, ერთი ცალკეული ქვედანაყოფი, აჯანყებულთა რაზმი (უნდა იგულისხმებოდეს ლაზიანის სომხური რაზმი, რომელთაც 11/12 თებერვლის ღამეს ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში წითელი არმიის ქვედანაყოფების შეტევასთან კოორდინირებული „აჯანყება“ დაიწყეს), მეოცე მსროლელი დივიზიის ცხენოსანი პოლკი, სომხური ცხენოსანი ბრიგადა, ორი საარტილერიო ბატარეა (კადიშევი 1960: 393), ასევე ბაქოს სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები (ფონდი 1969ბ). ამ სამხედრო ნაწილებიდან ბრძოლაში პირველად ებმებოდა აღმოსავლეთის კურსანტთა ბრიგადა (ბრიგადა საქართველოში შემოვიდა ორი პოლკით, ცხენოსანი ესკადრონითა და კავშირის ასეულით) და ბაქოს სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები (ფონდი 1969ბ). დანარჩენი რუსული და სომხური ჯარების პირადი შემადგენლობა, წინა დღეების ბრძოლებში განცდილი მარცხის შედეგად, ისევე როგორც ქართული ნაწილებისა შეთხელებული იქნებოდა. ამავდორულად, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ბრიგადები, როგორც წესი, სრულად არ იყო დაკომპლექტებული. მოწინააღმდეგის საბრძოლო ჯგუფის დავალება იყო კოჯორ-ტაბახმელის სიმაღლეების დაკავება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა 1046 -ე სიმაღლეს და 1496-ე სიმაღლეს (ესაა იგივე სიმაღლე 3150),[9] რომელიც კოჯრის სიახლოვეს მდგებარეობდა. 1496-ე სიმაღლის აღება კოჯრისა და წყნეთისაკენ გაუხსნიდა გზას წითლების დაჯგუფებას.

ჩვენთვის საინტერესოა თუ როგორ განვითარდა მოვლენები 24 თებერვალს სტრატეგიულ 1046-ე სიმაღლეზე (იგივე სანგარ №4-ზე). არქეოლოგიური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სანგარზე ნაპოვნი 38 მასრა და 5 გაუსროლელი ვაზნა (ბრაგვაძე 2018ა: 161) არ გვიხატავს ინტენსიური ბრძოლის სურათს, მაგრამ სულ სხვა რამეს ამბობს ქართული და რუსული წერილობითი წყაროები. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ გაითხარა სამზოლიანი სანგრის მხოლოდ პირველი ზოლის ერთი ნაწილი, რაც მთელი პოზიციის, რომელიც შედგება სამი ზოლისა და ამ ზოლებს შორის არსებული სივრცისაგან, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს. ამავდროულად არ გამოირიცხება გასროლილი მასრების მოგროვება ბრძოლის შემდეგ ხელახლა დასატენად, რაც იმ დროისათვის მიღებული პრაქტიკა იყო ან დამტვრეულ-დაზიანებული იარაღის აკრეფა ბრძოლის ველიდან შეკეთების მიზნით. ამიტომ მოპოვებული მწირი მასალა ვერ გამოდგება იმის მტკიცებულებად, რომ სანგარზე დიდი შეტაკება არ მომხდარა.

ქართული მხრიდან სანგარზე 24 თებერვლის შეტაკება, ტაბახმელაში მებრძოლთაგან აღწერილი აქვს პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძეს, იუნკერ ნიკოლოზ თოხაძეს და იუნკერ ალექსანდრე ხიმშიაშვილს.

ალექსანდრე ჩხეიძის მტკიცებით, ბოლშევიკები გათენებიდან ჯიუტად ხან ერთ სანგარს უტევდნენ, ხან მეორეს. მათი შეტევები ქართველებმა მოიგერიეს, მაგრამ ნაშუადღევს №4 სანგარზე შეტეხეს პირველი ათასეულის წინააღმდეგობა, აიღეს სანგარი და გავიდნენ სანგრის ბოლოს მდგომ საარტილერიო ბატარეასთან (ჩხეიძე 1933: 49-50). იუნკერ თოხაძის მონათხრობის მიხედვით, რუსებმა 24 თებერვლის დილიდანვე გახსნეს საარტილერიო ცეცხლი. შემდეგ ამას მოჰყვა მათი შეტევები, მაგრამ ქართველებმა შემოტევა მოიგერიეს. საღამო ხანს კი ახალი ძალით გაძლიერებულმა მოწინააღმდეგემ მძლავრი იერიშით, რომელიც ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა, პირველი ათასეულის წინააღმდეგობა გატეხა და მეოთხე სანგარი აიღო, შემდეგ განაგრძო წინსვლა და გავიდა მესხიშვილის ორ სამთო ზარბაზანთან. ამ ყველაფერს კი თოხაძე თავისი თვალით უყურებდა ერთ-ერთი საარტილერიო ბატარეიდან (თოხაძე 1981: 61).[10] იუნკერი ხიმშიაშვილის მონათხრობი ბოლომდე ზუსტი არ არის, რადგანაც ის წერს, რომ რუსმა კურსანტებმა ტყვიის გაუსროლელად დაიკავეს, იუნკერთა მარცხნივ, გვარდიელების მიერ მიტოვებული პოზიცია და ნისლში ჩუმად დაიძრნენ იუნკრებისაკენ. ხიმშიაშვილი არ აკონკრეტებს პოზიციის ნომერს, მაგრამ ის რომ სანგარ №4-ს გულისხმობს, ჩანს მის მიერვე აღწერილი მოვლენების განვითარებიდან, კერძოდ, იუნკერთა კონტრშეტევიდან, რომელსაც კაპიტანი ჩოჩუა მიუძღოდა და იუნკერი შალვა ერისთავი შეეწირა (ხიმშიაშვილი 2001: 485-488). ჩვენ კი ზუსტად

ვიცით, რომ იუნკერი ერისთავი, მართლაც, სანგარ №4-ის დაბრუნებას შეეწირა და ამ იერიშს კაპიტანი ჩოჩუა მიუძღოდა. ასევე ვიცით, რომ იუნკერთა სამმა ოცეულმა განახორციელა კონტრშეტევა სანგარ №4-ზე. ამავდროულად ჩხეიძისა და თოხაძისაგან ზუსტად ვიცით, რომ სანგარს არა გვარდიელები, არამედ არმიის პირველი ათასეული იცავდა, და მოწინააღმდეგემ პოზიცია არა უბრძოლველად, არამედ ბრძოლის შედეგად აიღო. ხიმშიაშვილის მოგონებაში საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ნისლიანი დღე იყო, თუმცა იუნკერთა კონტრშეტევისას ნისლი გაიფანტა (ხიმშიაშვილი 2001: 486). ის, რომ 24 თებერვალი ნისლიანი დღე იყო, ადასტურებს კიდევ ერთი იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილიც:

> 24 თებერვალი ჟანღითა და ზარბაზნის გრიალით გათენდა. ოც ნაბიჯს იქით აღარაფერი სჩანს. ბოლშევიკები სარგებლობენ სიბნელით, ტაბახმელას წინამდებარე ქედებით ხევებში წითელი კურსანტები ჩამოჰყავთ და მოულოდნელად ხელჩართულზე გადმოდიან (მათიკაშვილი 1934: 95).

ნისლის, როგორც ფაქტორის, აღნიშვნა ერთ-ერთი ახსნაა იმისა თუ როგორ მოახერხეს რუსებმა ძალიან რთულად ასაღები სიმაღლის პოზიცია №4-ის აღება 24 თებერვლის ნაშუადღევს. პირადი გამოცდილებიდანაც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სტრატეგიულ 1046-ე სიმაღლეზე არცთუ იშვიათია ძლიერი ნისლი, რომლის დროსაც ერთი-ორი მეტრის მიღმა არაფერი არ ჩანს. როგორც ზემოთ ვწერდით, პოზიციის აღების შემდეგ რუსები შეიჭრნენ სანგრის უკან მარჯვენა მხარეს მდგარ ქართველ არტილერისტთა განლაგებაში, საარტილერიო მწყობრის მეთაურმა ლეიტენანტმა გოგი მესხიშვილმა სხვა არტილერისტებთან ერთად ხმალი იძრო და ბატარეის ირგვლივ მოწინააღმდეგესთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ამ დროს, ბატარეასა და №4 სანგრის მარჯვნიდან, ბაღში, რეზერვში მყოფი იუნკერთა სამი ოცეული დაიძრა კონტრშეტევის განსახორციელებლად, ოფიცრების: შავდიას, ხოშტარიას და ჩოჩუას მეთაურობით. იუნკრებმა ბატარეიდან განდევნეს რუსი კურსანტები, რომელთაც მეოთხე სანგრის მიმართულებით დაიხიეს. პოზიციაზე დადგეს ტყვიამფრქვევი და ქართველების კონტრშეტევის შეფერხებას შეეცადნენ. ამ დროს იუნკერმა შალვა ერისთავმა, როგორც ყოფილმა ფეხბურთელმა და ყველაზე მუხლმარდმა პირველმა შეძლო ტყვიამფრქვევამდე მანძილის სირბილით დაფარვა, ტყვიამფრქვევს გადაეფარა და მემიზნე ოფიცერი ხიშტით მოკლა. „ამ ბრძოლაში იუნკრების რაინდობისა და მისი დიადი სილამაზის სამარადისო სიმბოლურ სურათად დარჩება ტყვიამფრქვევზე მწოლარე, განგმირული შალვა ერისთავი!“ (ჩხეიძე 1933: 52). კონტრშეტევას შეეწირა სამი იუნკერი: შალვა ერისთავი, ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი. დაიჭრა სამი ოფიცერი და ათეულზე მეტი იუნკერი (ჩხეიძე 1933: 49-52); (თოხაძე 1981: 61). ხელჩართული შეტაკების სცენას საკმაოდ დეტალურად აღწერს და ბრძოლის ველის ატმოსფეროს ძალზე ზუსტად გადმოსცემს იუნკერი ხიმშიაშვილი:

> გიჟური ყიჟინა ორივე მხრიდან: ვაშაა! ვაშააა! და მტრის ურა! ურაა!-ს და ჩვენ მკერდით მკერდს შევეჯახეთ ერთმანეთს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა – ხიშტების ხმაური, თოფების კონდახით თავში ცემა, დროგამოშვებით თოფის გასროლაც ერეოდა სისხლისაგან დაცლილ-დაჭრილთა კვნესას და უკანასკნელ ამოძახილს. ვიბრძოდით გამხეცებული, თავდავიწყებით. ბრძოლის ველი წითლად შეიღება და დაჭრილ-დახოცილებით დაიფარა ბრძოლის ველი […] ისე, რომ დახოცილთა გვამები ფეხებში გვებანდებოდნენ და თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აფერხებდა (ხიმშიაშვილი 2001: 487).

ქართველებმა მოწინააღმდეგეს კონტრშეტევის შედეგად სანგარი №4 უკან გამოგლიჯეს:

> ქვევით, დაღმართზე მოსჩანან მტრის შემცირებული ნაწილები, რომელნიც ჩვენი გმირულ შეტევისგან უწესრიგოდ გარბოდნენ. დავიკავეთ რა გასავალი, ჩვენ სასწრაფოდ გავიშალეთ ნახევარ წრეთ და მივეცით თოფებიდან ცეცხლი (ხიმშიაშვილი 2001: 487).

ის, რომ სანგარი ქართველებმა უკან დაიბრუნეს, ჩანს გენერალ მაზნიაშვილის ერთი ირიბი ცნობიდანაც. მაზნიაშვილის თანახმად, 24 თებერვალს საღამოს თბილისის თავდაცვის ცენტრალურ

სექტორში, რომელსაც თავად მეთაურობდა, საღამოს 6 საათზე მოწინააღმდეგემ სოფელ თელეთიდან გაარღვია პოზიცია და დაიკავა ტრიგონომეტრიული სიმაღლე. გენერალმა მომიჯნავე სექტორის სარდალს გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს თხოვა პირველი ათასეულის[11] ერთი ასეული პოზიციის დასაბრუნებლად. ანდრონიკაშვილმა მას მაშინვე ამ ათასეულის ორი ასეული გაუგზავნა, მებრძოლთა ამ ჯგუფმა საღამოს 6:40 წუთზე პოზიცია დაიბრუნა (მაზნიაშვილი 1927: 171-172). როგორც ჩანს, ამ დროისათვის ქართველებს თავდაცვის მარჯვენა სექტორში სანგარი № 4, იგივე ტრიგონომეტრიული სიმაღლე 1046, უკვე დაბრუნებული ჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ანდრონიკაშვილს არ ექნებოდა საშუალება ორი ასეული მაზნიაშვილის სექტორში გადაესროლა.

ვნახოთ რა ინფორმაციას გვაძლევს რუსული ისტორიოგრაფია და დოკუმენტური წყაროები 1046-ე სიმაღლესათვის 24 თებერვალს წარმოებულ ბრძოლებზე. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომზე რუსული ისტორიოგრაფიის ყველაზე დეტალური კვლევის ავტორი კადიშევი წერს, რომ 24 თებერვალს განსაკუთრებულად სასტიკი ბრძოლები გაიმართა 1046-ე სიმაღლისათვის. შემდეგ ავტორს აღწერილი აქვს პოზიციის მიუდგომლობა და თოვლიანი გარემო, წერს გამუდმებულ იერიშებსა და კონტრიერიშებზე ქართველების მხრიდან. ბოლოს კი დასძენს, რომ რუსებმა 25 თებერვალს დილის 8 საათზე ღამის შეტევის შემდეგ დაიკავეს სიმაღლე 1046 (კადიშევი 1960: 394). კადიშევის ეს ცნობა ადასტურებს იმას, რომ 24 თებერვალს მოწინააღმდეგის ხელში არ დარჩენილა სანგარი №4 და ისინი მხოლოდ 25 თებერვალს დილის 8 საათზე დაეუფლნენ მას. რეალურად 25 თებერვალს მოწინააღმდეგეს არანაირი შეტევა არ დასჭირდებოდა სიმაღლის ასაღებად, რადგანაც თბილისის შესაძლო ალყაში მოქცევის საფრთხის გამო მთავარსარდლის გენერალ გიორგი კვინიტაძის ბრძანების თანახმად, 24 თებერვლის 24 საათზე ქართულ ჯარს თბილისიდან უკანდახევა უნდა დაეწყო (ბახტაძე 2013: 86), ამიტომ 25 თებერვლის დილას რუსებს სანგარში არც არავინ დახვდებოდა. ის, რომ რუსებმა 1046-ე სიმაღლისათვის ბრძოლა 24 თებერვალს ვერ მოიგეს, ასევე ჩანს მეთერთმეტე წითელი არმიის საველე შტაბის 1921 წლის 28 თებერვლის ცნობაში. სადაც აღნიშნულია, რომ 24 თებერვლის 24 საათისათვის 96-ე ბრიგადა აკონტროლებდა 3150-ე სიმაღლეს,[12] ხოლო სრულიად უშედეგო გამოდგა აღმოსავლეთის კურსანტთა ბრიგადის ბრძოლა კოჯრის სიმაღლეებისათვის (ბელოვი და *სხვები* 1961: 530-531). აქ კოჯრის სიმაღლეები ზოგადად უნდა იყოს ნახსენები და უნდა გულისხმობდეს კოჯორ-ტაბახმელას სიმაღლეებს, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ კურსანტებს მოწინააღმდეგე იყენებდა ტაბახმელაშიც, მათ შორის, 1046-ე სიმაღლისათვის ბრძოლაში.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ მოწინააღმდეგემ 19-24 თებერვლის ბრძოლებში სანგარი №4, იგივე ტრიგონომეტრიული სიმაღლე 1046, ხელში ვერ ჩაიგდო და მას მხოლოდ ქართველების მიერ პოზიციების დატოვების შემდეგ დაეუფლა 25 თებერვალს. ასევე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად, არქეოლოგიური მასალის სიმწირისა (რასაც, როგორც ითქვა, თავისი ლოგიკა აქვს), როგორც რუსული, ასევე ქართული წერილობითი წყაროები ადასტურებს 24 თებერვალს სანგარზე გამართულ დიდ შეტაკებებს.

სანგარში აღმოჩენილი არტეფაქტების შეჯერება წერილობით წყაროებთან

როგორც არქეოლოგიური გათხრების ანგარიშიდან ჩანს, სულ აღმოჩენილ იქნა 182 არტეფაქტი: მასრა – 38 ცალი; გაუსროლელი ვაზნა – 5 ცალი; მჭიდი – 115 ცალი; საველე ტელეფონის ელემენტი – 16 ცალი; შინელის ღილი – 1 ცალი; შაშხანის ჩამკეტი – 1 ცალი; სასიგნალო მაშხალის მასრა – 2 ცალი; უნიფორმის 3 ნაჭერი; სამხედრო ჩექმის ნალი – 1 ცალი. ყველა არტეფაქტი ჩაბარდა რუსთავის ისტორიულ მუზეუმს (ბრაგვაძე 2018ა: 161).

მასრების უმეტესობა ეყარა მიწაყრილზე სამხრეთის ფერდზე, ანუ ძალიან დიდი ალბათობით გასროლილი იყო ქართველი ჯარისკაცების მიერ. ვაზნები ამერიკული, ბრიტანული, გერმანული,

ავსტრიული და რუსული წარმოებისაა. ასევე, აღმოჩენილი იაპონური „არისაკას“ მჭიდის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრძოლაში ქართველები იყენებდნენ იაპონურ ვაზნებსაც, მჭიდების უმეტესობა კი ბრიტანული „ლი ენფილდის“ ფირმისაა (ბრაგვაძე 2018ა: 160).

რუსული კალიბრის 7.62X5.4 მმ. ვაზნები დამზადებულია პეტერბურგისა და ლუგანსკის ქარხნებში, ასევე ამერიკულ ქარხნებში და სპეციალური პროგრამით For Russia პირველი მსოფლიო ომის დროს მიეწოდა რუსულ არმიას. რუსულ კალიბრს ასევე განეკუთვნება გერმანულ და ავსტრიულ ქარხნებში დამზადებული ვაზნები, ბრიტანული კალიბრის 7.7X5.6 მმ. ვაზნები კი, რამდენიმე ბრიტანულ ქარხანაშია ნაწარმოები. ვაზნები გამოშვებულია 1905-1917 წლებში და აღსანიშნავია მათი მარკერთა მრავალფეროვნება (ბრაგვაძე და *სხვები* 2017: 6-7).

აღმოჩენილი მასრების, ვაზნებისა და მჭიდების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ №4 სანგარზე ქართველები იყენებდნენ სამი სხვადასხვა კალიბრის ქვეითთა ნაწილების იარაღს:

1) 7.62×5.4 მმ. (რუსული „მოსინის“ შაშხანა, „მაქსიმის“ დაზგის ტყვიამფრქვევი და ამერიკაში რუსული არმიისათვის დამზადებული „ლუისის“ ხელის ტყვიამფრქვევები);

2) 7.7×5.6 მმ. იგივე 303 Britrish (ინგლისური „ლი ენფილდის“ შაშხანა და ინგლისში რუსული არმიისათვის დამზადებული „ლუისის“ ხელის ტყვიამფრქვევი);

3) 6.5×5.0 მმ. (იაპონური. „არისაკას“ შაშხანა).

რუსული არმიის ძირითადი შაშხანა – მოსინის 1891 წლის ნიმუში და მაქსიმიმ 1910 წლის ნიმუშის დაზგის ტყვიამფრქვევი, საქართველოს, რუსეთის საიმპერიო არმიის კავკასიური საწყობებიდან დარჩა და ეს მოდელები წარმოადგენდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითად შაშხანასა და ტყვიამფრქვევს დამოუკიდებლობის პერიოდში (სილაქაძე 2017: 6). ბრიტანული „ლუისის“ ხელის ტყვიამფრქვევი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მიეწოდებოდა რუსეთის არმიას, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კავკასიური რუსული არმიის „ლუისები“ ქართულ არმიას დარჩა. მაგალითად, 1918 წლის 21 ივლისის მონაცემებით, საქართველოს რესპუბლიკის საარტილერიო საწყობებში ინახებოდა 222 ერთეული ლუისის ტყვიამფრქვევი 203 768 ვაზნით (ფონდი 1836ბ). „ლი ენფილდის“ შაშხანები, დიდი ალბათობით, საქართველოს დარჩა 1920 წლის „სომხური ტრანზიტის“ წილიდან. ბრიტანელებმა 1920 წლის ივლისში შეირაღების მოზრდილი პარტია გაუგზავნეს სომხეთის რესპუბლიკას: 25 000 შაშხანა; 56 მილიონი შაშხანის ვაზნა; 400 ტყვიამფრქვევი და 40 000 კაცის აღკაზმულობა. ამ იარაღის 27 პროცენტი კი საქართველოს დარჩა საკუთარ ტერიტორიაზე იარაღის პარტიის გატარების საფასურად (ფონდი 371); (ფონდი 1864ბ). ცნობილია, რომ ამ ტიპის ბრიტანული შაშხანებით შეიარაღებული იყო 1921 წლის 16 თებერვლის შემდეგ მობილიზაციის დროს ფორმირებული არმიის თბილისის მეშვიდე ათასეულის მოხალისე სტუდენტ-მოსწავლეთა რამდენიმე ასეული (დაახლ. 250 კაცი), რომლებიც ფონიჭალის სიმაღლეებზე იდგნენ (ღამბაშიძე 2017: 15). იაპონური არისაკას შაშხანები ასევე რუსული არმიისაგან დარჩა ქართულ არმიას მემკვიდრეობით. 1918 წლის 21 ივლისის მონაცემებით, საქართველოს საწყობებში ინახებოდა არისაკას 157 შაშხანა – 3 686 900 ვაზნით (ფონდი 1836ბ).

ვაზნების მრავალფეროვნება და ის ფაქტი, რომ ვაზნები ერთი ყუთიდან არ არის და სხვადასხვა მარკერები აქვს, მათ კატასტროფულ სიმცირეზე, ქაოტურ განაწილებაზე, ან სულაც მათი ნაწილის თბილისის არსენალის სახელოსნოში კუსტარულ დამზადებაზე მიუთითებს. აღმოჩენილი მასალა ადასტურებს საარქივო დოკუმენტებსა და მემუარულ ლიტერატურაში ცნობილ ფაქტს, ქართული არმიის ვაზნების სიმცირის შესახებ. პოლკოვნიკ გიორგი გედევანიშვილის მიერ 1920 წლის თებერვლის დასაწყისში პარიზში ქართული მისიისადმი წარდგენილი მოხსენებიდან ირკვევა, რომ იმ დროისათვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ 2.5 მილიონი ვაზნა ჰქონდა დარჩენილი, მაშინ, როდესაც გედევანიშვილისავე ცნობით, საჭირო იყო 100 მილიონი ვაზნა (ფონდი 1864ა). 1920 წლის მაისისათვის კი, თუ გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის, მოგონებებს

ვერწმუნებით, ვაზნების რიცხვი საერთოდაც 1,8 მილიონზე ჩამოვიდა (ზაქარიაძე 2003: 260). ვაზნების ნაკლებობა იმდენად დაუძლეველი პრობლემა იყო, რომ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ 1920 წლის 23 ივნისის სხდომაზე ტრაგიკომიკური ხასიათის რეკომენდაციაც კი გასცა: კომისიის აზრით, საჭირო იყო ბრძოლის ველზე გასროლილი ვაზნების მოგროვება და შენახვა, ვაზნების მოგროვება ნაყოფიერად რომ წარმოებულიყო, მომგროვებლებს უნდა დანიშვნოდათ პრემია (ფონდი 1833).

მიუხედავად იმისა, რომ 1920-1921 წლებში ქვეყანაში იარაღის და საბრძოლო მასალის რამდენიმე მცირე პარტია შემოვიდა, პარალელურად კი თბილისის არსენალში გასროლილი ვაზნების მასრებს თავიდან ტენიდნენ, პრობლემა მაინც ვერ აღმოიფხვრა. საქართველოში რუსეთის სამხედრო ატაშე პავლე სიტინი, რომელიც ამავდროულად საქართველოში რუსულ დაზვერვასაც უძღვებოდა 1920-1921 წლების მიჯნაზე საიდუმლო ანგარიშებში წერდა, რომ ქუთაისის საწყობებში ქართველებს 8-8.5 მილიონი ვაზნა ჰქონდათ (ფონდი 1874ა), ხოლო თბილისში 10 მილიონი (ფონდი 1874ბ). ეს რაოდენობა კი საკმარისი არ იყო. საქართველოს არმიის გენერალური შტაბის 1920 წლის დეკემბრის ცნობით ქართული ჯარის დანაკლისის შესავსებად და კიდევ 75 000 კაცის გამოსაყვანად 100-150 მილიონამდე ვაზნა სჭირდებოდა შაშხანებისათვის და 25 მილიონი კი ტყვიამფრქვევებისათვის, ასევე 60-75 000 შაშხანა; 470 ტყვიამფრქვევი; 126 საარტილერიო დანადგარი 342 000 ჭურვით (ფონდი 1864გ). რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს, ვაზნების ნაკლებობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შეტაკებებს შორის შესვენებისას მებრძოლები სანგრებიდან ამოდიოდნენ და მიწიდან იღებდნენ გასროლილ მასრებს და ზურგში აგზავნიდნენ, რათა თავიდან დაეტენათ (ღამბაშიძე 2017: 36).

ამრიგად, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არქეოლოგიურმა მასალამაც დაადასტურა საარქივო დოკუმენტებსა თუ სამხედროების მოგონებებში არსებული ცნობები საბრძოლო მასალის დეფიციტისა და ამავდროულად ქართული არმიის შაშხანებისა თუ ტყვიამფრქვევების ტიპების მრავალფეროვნების შესახებ. ეს მრავალფეროვნება კი სულაც არ წარმოადგენდა სახარბიელო ფაქტს და იარაღის ნაკლებობის პრობლემას წარმოაჩენდა.

შენიშვნები

1 მათიკაშვილი და კვალიაშვილი მოგონებაში შეცდომას უშვებენ, როდესაც ვარაუდით წერენ, რომ მოწინააღმდეგემ ტაბახმელაში შეტევა მათ წინააღმდეგ 14 თებერვალს დაიწყო, რაც სინამდვილეში 19 რიცხვში მოხდა.

2 სიგრძის და მანძილის საზომი ძველი რუსული ერთეული. 1 ვერსი უდრის 1.06 კილომეტრს.

3 სამხედრო სკოლაში იუნკრებთან ერთად, რომლებიც მომავალ ოფიცრებად მზადდებოდნენ, არსებობდა ნაცვალთა ანუ სერჟანტთა მოსამზადებელი სკოლაც.

4 საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარულ არმიაში ოცეულის შესატყვისი სახელწოდება იყო – მწყობრი; ასეულის – გუნდი; ბატალიონის – ათასეული; პოლკის კი – ლეგიონი.

5 ალექსანდრე ჩხეიძე წერს, რომ ნაცვალთა ათასეულის სამი ასეული მთლიანობაში შედგებოდა 350 ახალწვეულისაგან (ჩხეიძე 1933: 31; 33-34), ხოლო სამხედრო გაწვევის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 6-13 თებერვალს ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათაგან 487 ჩარიცხეს ნაცვალთა სკოლაში (ფონდი 1969ა). საფიქრებელია, რომ ყველა მათგანი ვერ მოხვდებოდა ბრძოლის ველზე.

6 18-21 თებერვლის მონაკვეთში გენერალმა გიორგი კვინიტაძემ კოჯორ-ტაბახმელას სექტორში გადაისროლა გვარდიის ოთხი და არმიის სამი ბატალიონი. ამ ბატალიონების მისვლამდე კოჯორ-ტაბახმელაში მხოლოდ არმიის ერთი მეოთხე ბატალიონი და სახმედრო სკოლა იდგა (ბახტაძე 2013: 46, 55-58, 61, 72). შესაბამისად, თუ 24 თებერვლისათვის ტაბახმელაში განლაგებული იყო სამხედრო სკოლა, არმიის სამი და გვარდიის ერთი ბატალიონი, კოჯორში იქნებოდა არმიის ერთი (მეოთხე) და გვარდიის სამი ბატალიონი.

7 ბატარეაში შედიოდა ოთხი ქვემეხი, ნახევარბატარეაში ანუ ერთ მწყობრში (ოცეულში) ორი ქვემეხი.

8 თბილისის შემტევი რუსული დაჯგუფება 24 თებერვლისათვის დაყოფილი იყო მარჯვენა და მარცხენა ჯგუფად. თავის მხრივ, მარცხენა ჯგუფი იყოფოდა მარჯვენა და მარცხენა საბრძოლო უბნად. აქედან მარცხენა უბნის

ძალები უტევდნენ თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორს, ხოლო მარჯვენა უბანი კი ძირითადად თბილისის თავდაცვის ცენტრალურ სექტორს, თუმცა ამავე უბნის ჯგუფის დავალებაში შედიოდა 1046-ე სიმაღლის აღების ამოცანაც, რომელიც თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორს განეკუთვნებოდა. მარჯვენა საბრძოლო უბნის შემადგენლობაში შედიოდა 26-ე; 54-ე და 58-ე მსროლელი ბრიგადები და მძიმე არტილერიის დივიზიონი. ჩვენი მტკიცება იმის შესახებ რომ ამ სამი ბრიგადიდან 54-ე მსროლელი ბრიგადის ნაწილი იღებდა ტაბახმელაში განლაგებული ქართული ნაწილების წინააღმდეგ იერიშში მონაწილეობას დაფუძნებულია ორ ფაქტზე: ერთი ის, რომ მარჯვენა უბნის ამოცანაში შედიოდა სიმაღლე 1046 (№4 სანგარი) და მეორე ის, რომ სწორედ ამ ბრიგადის ძალები უტევდნენ შავნაბადას სიმაღლესა და 1046-ე 19 თებერვალს (კადიშევი 1960: 391).

[9] სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთ შემთხვევაში სიმაღლე 1496 გვხვდება როგორც სიმაღლე 3150, რადგანაც იმ პერიოდში სიმაღლეებს ძირითადად ჯერ კიდევ საჟენებში ზომავდნენ. ერთი მეტრი საჟენებში უდრის 213.36 სმ-ს, შესაბამისად, 1496 =3150.

[10] მეოთხე სანგრის შეტაკების ამბავი საკუთარ მოგონებაში აღწერა იუნკერმა მიხეილ დადიანმაც, მაგრამ, როგორც თავადვე წერს, ის თოხაძის მოხსენებაზე დაყრდნობით აღწერს 24 თებერვლის ბრძოლას, რადგანაც, მას თავად არ უნახავს ეს ბრძოლა. 24 თებერვალს ავადმყოფობის გამო დადიანს ფრონტი დაატოვებინეს და თბილისში გაუშვეს (დადიანი 2007: 21).

[11] მაზნიაშვილი ათასეულს უწოდებს ლეგიონს. ომის დროს ათასეულები ლეგიონებიდან ანუ პოლკებად უნდა გაშლილიყვნენ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და პირველი ათასეული ბატალიონის ზომის ქვედანაყოფს წარმოადგენდა ომის მიმდინარეობისას.

[12] 3150-ე სიმაღლის მოწინააღმდეგის მიერ დაკავებას, გარდა მეთერთმეტე არმიის საველე შტაბის 28 თებერვლის ცნობისა, სხვა რუსული დოკუმენტიც ადასტურებს, რომელიც წარმოადგენს კავკასიის ფრონტის სარდლის გიტისის მიერ 25 თებერვლის 2:45 წუთზე მეთერთმეტე არმიისადმი გაცემულ ბრძანებას. ბრძანებაში წერია, რომ რუსებმა დაიკავეს სიმაღლე 3150 და კოჯრის სიმაღლეები, მაგრამ ამ ბრძოლებში გამოწვეული დანაკარგების გამო სარდლობა შიშობდა რომ მეორე დღეს ქართველები უკან წაართმევდნენ დაკავებულ სიმაღლეს რუსებს (აზოვცევი და *სხვები* 1974: 379). ვფიქრობთ, რომ 28 თებერვლის დოკუმენტი უფრო სანდოა, რადგანაც 25 თებერვლის დამდეგს რუსულ სარდლობას ფრონტის ყველა მონაკვეთზე ვერ ექნებოდა ზუსტი სურათი, თუმცა, ამის მიუხედავად, სიმაღლე 3150-ის აღებას ორივე ცნობა ადასტურებს. კადიშევი საკუთარ კვლევაში კი წერს, რომ ცხენოსანმა ჯგუფმა ვერ აიღო სიმაღლე 1496 (ანუ იგივე 3150) და ამის შემდეგ ცხენოსნებმა გადაწყვიტეს პოზიციისათვის მოევლოთ დასავლეთიდან და მდინარე ვერეს ხეობით ჩასულიყვნენ წყნეთში (კადიშევი 1960: 394). გენერალი კვინიტაძეს კი საკუთარ მემუარებში 3150-ე სიმაღლის მდებარეობა საერთოდ ეშლება და კოჯრის სიახლოვის ნაცვლად, სოღანლუღის (თელეთის) ქედზე ათავსებს (გოგიჩაიშვილი, ქაჯაია 1999: 81-82). როგორც ჩანს, კვინიტაძე მემუარებში 3150-ე სიმაღლეს და მაზნიაშვილის სექტორში მოწინააღმდეგის მიერ აღებულ სიმაღლეს ერთმანეთში ურევს.

დამოწმებანი

აზოვცევი და *სხვები* 1974: Н.Н. Азовцев. П.Н. Дмитриев. В.В. Душенькин. С.Ф. Найда. Директивы Командования фронтов Красной Армии (1917-1922), *Сборник Документов в 4 Томах*, Т., III, Москва, Воениздат.

ბახტაძე 2013: მ. ბახტაძე. *1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან,* თბილისი, არტანუჯი.

ბელოვი და *სხვები* 1961: Г.А. Белов, Н.Ф. Кузьмин, Г.Г. Алахвердов, Л.М. Данилова. Из Истории Гражданской Войны В СССР, *Сборник Документов и Материалов В Трех Томах*, Том 3, Москва, Советская Россия.

ბრაგვაძე და *სხვები* 2017: ზ. ბრაგვაძე, დ. სულხანიშვილი, ნ.კაპანაძე, თ. ჩეკურიშვილი. *ტაბახმელის № 4 სანგარზე 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში*, თბილისი.

ბრაგვაძე 2018ა: ზ. ბრაგვაძე. 2017 წელს ტაბახმელის № 4 სანგარზე განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, *2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული*, მთავარი რედაქტორი, ნ. ანთიძე, თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

ბრაგვაძე 2018ბ: ზ. ბრაგვაძე. პირველი რესპუბლიკის ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის (ტაბახმელის № 4 სანგრის არქეოლოგიური კვლევა), *ახალი ეპოქის დასაწყისი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)*, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი, 1-2 ივნისი, 2018, შრომების კრებული, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

დადიანი 2007: მ. დადიანი. რაც მახსოვს. პუბლიკაცია მოამზადა გიორგი მამულიამ, *თანამემამულე*, N 3 (24), პარიზი.

ზაქარიაძე 2003: ა. ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, *გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*, ტ., IV, თბილისი, მეცნიერება.

თოხაძე 1981: ნ. თოხაძე. წარმოთქმული სიტყვა, ქართული სათვისტომოს კრებაზე, პარიზში, 1971 წლის 19 მარტს, *დაპყრობის 60 წლისთავი*, რედ., გ. ურატაძე, ლ. ფაღავა, გ.წერეთელი, პარიზი.

კადიშევი 1960: А.Б. Кадишев. *Интервенция и Гражданская Война в Закавказе*, Москва, Воениздат.

კვინიტაძე 1954: გ. კვინიტაძე. *ჩემი პასუხი*, პარიზი, ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა.

გოგიჩაიშვილი, ქაჯაია 1999: *გ. კვინიტაძე. მოგონებანი*, წ. II, რუსულიდან თარგმნეს ნ. გოგიჩაიშვილმა და ნ. ქაჯაიამ, თბილისი, ლომისა.

მაზნიაშვილი 1927: გ. მაზნიაშვილი. *მოგონებანი*, თბილისი, სახელგამი.

მათიკაშვილი 1934: ნ. მათიკაშვილი (ნ-მალი). ტაბახმელა, *მხედარი*, N17, პარიზი.

მათიკაშვილი, კვალიაშვილი 1990: ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი. *იუნკრები*, თბილისი, მეცნიერება.

სილაქაძე 2017: დ. სილაქაძე. *საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და გვარდიის შეიარაღება*, თბილისი, სეზანი.

ღამბაშიძე 2017: გ. ღამბაშიძე. *ომის დღეები, მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ*, თბილისი, სეზანი.

ჩხეიძე 1933: ა. ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. *მხედარი*, N13, პარიზი.

ხიმშიაშვილი 2001: ა. ხიმშიაშვილი. ტაბახმელა-კოჯორის უკანასკნელი დღეები. *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*, *ტ.*, *1*, თბილისი, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.

ფონდი 371: დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, FO 371/4945/1/E10762/58

ფონდი 1833: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №1081: 10.

ფონდი 1836ა: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე №184: 22; 26.

ფონდი 1836ბ: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე №184: 22.

ფონდი 1864ა:საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №129: 189.

ფონდი 1864ბ:საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №312: 38-40.


ფონდი 1864გ:საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №534: 2; 5.

ფონდი 1874ა: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1874; აღწერა 1, საქმე №3: 27.


ფონდი 1874ბ: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,ფონდი 1874; აღწერა 1, საქმე №5: 20.

ფონდი 1969ა: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე №173; 169-170.

ფონდი 1969ბ: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე №287*: 6; 44.



პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მიერ შედგენილი ტაბახმელის სანგრების რუკა და 19 თებერვლის მდგომარეობა



პოლკოვნიკ ჩხეიძის მიერ 1921 წლის 24 თებერვალს ტაბახმელის სანგარ №4-ზე მომხდარი ბრძოლის შესახებ შედგენილი რუკა



№4 სანგრის პირველი ზოლის მცირე მონაკვეთი და ხედი ქვემო ქართლზე სტრატეგიული სიმაღლიდან. დამრეცი ფერდობის გამო რთულად ასაღები სიმაღლიდან კარგი ამინდის შემთხვევაში ვიზუალურად კონტროლდებოდა რამდენიმე ათეულ კილომეტრიანი სივრცე (დ. სილაქაძისა და პ. გიგაურის ფოტო).

RUSSIAN-GEORGIAN WAR OF 1921 AND THE TRENCH №4

Dimitri Silakadze
Paata Gigauri

The Russian-Georgian War of 1921 is one of the most important and tragic episodes in Georgia's modern history, an episode that ended the existence of the First Democratic Republic of Georgia and plunged the country into a 70-year Soviet experiment. For Georgian historiography, a comprehensive study of this war is a very important issue, this applies equally to the political and diplomatic components of this war, as well as its culmination - the military component. In 2017, an archeological expedition lead by Zurab Bragvadze explored the right section of one of the most important positions of the Tbilisi battle during the Russian-Georgian war of 1921, the Tabakhmela's trench №4. We compared the materials obtained by archaeologists with the archival documents and memoir sources obtained by us. The research paper consists of two parts.

In the first part, based on Georgian and Russian written sources, the ongoing combat operations on the Trench №4, (the same strategic height 1046) including February 19-24, are investigated. This part of the paper shows that a particularly large battle for the trench took place on 24 February, as described by Georgian soldiers who took part in the battle, also this is confirmed by Russian historiography and documents. This information contradicts a small amount of ammunition found during archeological excavations; however, it is noteworthy that only one part of the first strip of the three-lane trench was excavated, which is only a small insignificant part of the entire position (Consisting of a three-lane defensive line and the space between these lanes). At the same time, it is not excluded that the collected masses will be reloaded after the battle, which was an adopted practice at the time, as well as the collection of broken and damaged weapons for repair from the battlefield. Therefore, the obtained scarce material cannot be used as an evidence that there was no major clash on the trench. The second part of the study summarizes the relevance of the information obtained by archaeologists to the archival information or memoirs we have found about the lack of ammunition and types of ammunition. Despite the scarcity of firearms obtained in this regard, their diversity clearly confirms the information preserved in written sources the shortage of ammunition and the diversity of rifles and machine guns systems.

საქართველოში „შავი ჭირის“ გავრცელების ისტორიიდან (XIV-XVIII სს)

გიორგი სოსიაშვილი

კაცობრიობის ისტორიას რამდენიმე მძიმე პანდემია ახსოვს. მომაკვდინებელი დაავადებები კონტინენტიდან კონტინენტზე ვრცელდებოდა და განსხვავებული წარმომავლობის და რელიგიური აღმსარებლობის მქონე ხალხებს მუსრს ავლებდა. შუა საუკუნეებში არსებული ეპიდემიები საეკლესიო წრეების წარმომადგენლებს ადამიანთა ცოდვების გამო მოვლენილ ღვთიურ სასჯელად მიაჩნდათ. განსაკუთრებული სისასტიკით დაატყდა მსოფლიოს „შავი ჭირი“, რომელსაც „მეორე პანდემიასაც“ უწოდებენ.[1] როგორც მკვლევრები მიუთითებენ, „შავი ჭირის“ ეპიდემიის გავრცელება მონღოლეთ-ჩინეთის საზღვარზე არსებული გობის უდაბნოდან დაიწყო (კელი 2005: 6). ინფექციის სწრაფ აღმასვლას ხელი შეუწყო მონღოლთა ჯარის გადაადგილებამ, მათ მიერ ჩატარებულმა საბრძოლო ოპერაციებმა და აბრეშუმის გზაზე არსებულმა სავაჭრო ტვირთბრუნვამ. XIV საუკუნეში ევროპაში გენუელი ვაჭრების მიერ იქნა შეტანილი „შავი ჭირი“, რომელსაც მოგვიანებით „შავი სიკვდილი“ უწოდეს (კელი 2005: 23). ცნობილია, რომ ეპიდემიას სახელწოდება დასნებოვნებულთა სხეულზე გაჩენილი შავი, ან მუქი მეწამული ლაქების გამო დაერქვა (ვოზიანოვა 2002: 152).

XIV საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს „შავი ჭირის“ ეპიდემია სწრაფად გავრცელდა აზიის და ევროპის კონტინენტებზე. ცენტრალური აზიიდან ეპიდემია შევიდა დონის ვოლგის ქვემო წელზე, შემდეგ კი ფართო გავრცელება ჰპოვა ყირიმის ნახევარკუნძულზე, კონსტანტინოპოლში, ახლო აღმოსავლეთში, საბერძნეთში, დასავლეთ რუმინეთსა და ბულგარეთში. ეპიდემიის კერები გაჩნდა ასევე კვიპროსში. განსაკუთრებული მასშტაბი ეპიდემიამ ევროპის ქვეყნებში მიიღო. აზიიდან წამოსულ მომაკვდინებელ დაავადებას მოსახლეობის დიდი ნაწილი შეეწირა: იტალიაში, საფრანგეთში, სამხრეთ და დასავლეთ ინგლისში, ირლანდიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და რუსეთში, სადაც „შავმა ჭირმა“ ათეულობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა (ენციკლოპედია 1998: 197).[2]

„შავი ჭირის“ გავრცელებამ ევროპაში განსაკუთრებით დიდ მასშტაბს 1397-1534 წლებში მიაღწია. ამ პერიოდში ევროპის კონტინენტზე ეპიდემიის ჩვიდმეტი მასობრივი გავრცელების შემთხვევა დაფიქსირდა.

„შავი ჭირის“ ეპიდემია კაცობრიობისთვის უცნობი არც მანამდე იყო. მას ჯერ კიდევ შუმერულ-ბაბილონურ სამყაროში იცნობდნენ. აღნიშნულ ეპიდემიაზე ცნობებს ვხვდებით ბიბლიაშიც. „შავი ჭირი“ გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთშიც, ბიზანტიაში აღნიშნულმა დაავადებამ განსაკუთრებული გავრცელება VI საუკუნის 40-50-იან წლებში ჰპოვა (სამუშია 2015: 89-90).

ევროპაში შეღწეულმა ეპიდემიამ XIV-XV საუკუნეებში არაერთი სამეფო ოჯახის წევრი შეიწირა. მათ შორის: ბიზანტიის იმპერატორის მანუელ II პალეოლოგოსის ორი შვილი – მიხეილი და დიმიტრი. 1417 წელს „შავ ჭირს“ ემსხვერპლა იმპერატორ იოანე VIII-ის მეუღლე, მოსკოვის დიდი მთავრის ვასილ I-ის ასული ანნა და სხვ. (სამუშია 2015: 92); (სამუშია 2020ა: 12).

საქართველოში „შავი ჭირი“ 1346 წლიდან გავრცელდა (სამუშია 2015: 102). ამას ადასტურებს ერთ-ერთი რუსული თხზულება, ე.წ „ერმოლინის მატიანე“. რუსული წყაროს მიხედვით საშინელი სენი აღმოსავლეთის ქვეყნებში, „თათრებში“, „ორმენებში“ და „ობეზებში“ გავრცელდა. „ობეზების“ სახელით XII-XIV საუკუნეების რუსული წყაროები ქართველებს იხსენიებდნენ (კიკნაძე 2016/2017: 219). თუმცა, „შავი ჭირის“, როგორც ავადმყოფობის, შესახებ ცნობებს უფრო ადრეული პერიოდის ქართულ წყაროებშიც ვხვდებით. კერძოდ, XI საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლში „უსწორო კარაბადინში“

– „შავი ჭირი“ – „ავი ჟამის“, „ტყააღუნის“ სახელწოდებით არის ცნობილი (კუხიანიძე 1997: 520). XIII საუკუნის სამედიცინო ტრაქტატში „წიგნი სააქიმო“, ჟამის სახელად არაბული სიტყვა „ტააუნი“ გამოიყენება (სამუშია 2020ბ: 10). აღნიშნულ დაავადებას XVI საუკუნეში დავით ბატონიშვილის მიერ შექმნილი სამედიცინო-სამკურნალო წიგნი „იადიგარ დაუდიც“ იცნობს: „ამა ვისა ჟამისა შეყრა და მიზეზი ავისა ჰავისაგან, ავისა სულისაგან, და ხმელისა და ავისა საჭმლისგან შეექნების ესე სენი“ (ბაგრატიონი 1992: 585).

თუმც მაინც საქართველოში გავრცელებული ე.წ. მეორე პანდემიის – „შავი ჭირის“ შესახებ ცნობები მწირია. ზუსტად არ ვიცით მომაკვდინებელმა სენმა რა ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეპიდემიის შედეგად გარდაიცვალა გიორგი V ბრწყინვალე (კიკნაძე 1989: 115). XIV საუკუნეში საქართველოში პანდემიის შედეგად არსებული სიკვდიალიანობა დაფიქსირებული აქვს ქსნის ერისთავების კარზე მოღვაწე მწიგნობარს – ავგაროზ ბანდაისძეს. 1348-1365 წლებში მის მიერ გადაწერილ პარაკლიტონზე არსებულ მინაწერში ვკითხულობთ:

> სახელითა ღვთისაითა და თანა შეწევნითა წმიდის თევდორე ლარგვისისაითა ღირსთ ვიქმენ არაღირსი მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა [...] ხელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვრესა და შფოთსა უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა. ქორონიკონი იყო ლვ (1348) [...] ოდეს ვიწყე წერად ყრმა ვიყავ და აქა მიმხცოვანებულმან სრულვყავ ქორონიკონსა მიგ (1365) (მესხია 1954: 319).

ავგაროზ ბაინდაისძის ტექსტში ხაზგასმული „სიკუდილობა“, ეპიდემიას უნდა უკავშირდებოდეს. ვ. კიკნაძის აზრით, „შავი ჭირი“ ქსნის ხეობის ზედა წელზე კავკასიის ქედის ჩრდილოეთიდან, „ოქროს ურდოს“ ტერიტორიიდან უნდა შემოსულიყო (კიკნაძე 2016-2017: 221, 224). XIV საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოში შავი ჭირის გავრცელებას ადასტურებს სვანეთში, კერძოდ, სეტის და ლაღამის თემების მიერ შედგენილი საბუთები. ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ თუ ვინმე თემის უკითხავად ოსეთში წავიდოდა, სადაც ეპიდემია მძვინვარებდა, „ორასი თეთრის იბარა“ უნდა გადაეხადა. თუ ვინმეს დაავადება „ჰავი სენი“ დაუდასტურდებოდა და მისი ოსეთში ყოფნის ეჭვი გაჩნდებოდა, ისიც „ორასი თეთრის იბარით“ დაჯარიმდებოდა (კიკნაძე 2016-2017: 221). როგორც ვ. კიკნაძე განმარტავს, „იბარა“ ეს იყო სვანეთში არსებული ადგილობრივი გადასახადი, რომელსაც თემი ვინმეს განსაკუთრებულ შემთხვევაში აკისრებდა და როგორც ფულადი, ისე ნატურის სახით გადაიხდებოდა (კიკნაძე 2016-2017: 222). სვანეთში შედგენილ ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ დაავადება ოსეთიდან შვიდ მოსახლეს შემოუტანია: „შუიდმან მოსახლემან სნეულობა ოსეთით მოიღეს ამოსწყვიდა ქვეყანაჲ“ (კიკნაძე 2016-2017: 222). დასნებოვნებულ ადამიანებს სვანეთში, კერძოდ, სეტის თემში სპეციალურად მოწყობილ დიდ საკირეში კრძალავდნენ (კიკნაძე 2016-2017: 223-224).

XVIII საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი „შავი ჭირის“ მომაკვდინებელ ეპიდემიას უკავშირებს საქართველოს მეფის ბაგრატ V (1360-1393) მეუღლის – ელენეს გარდაცვალებას: „ამას ჟამსა იქმნა მომსვრელი ჟამი, სვრა და სიკვდილი ძლიერი და მოისპნენ სულნი ურიცხუნი და მოკუდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე“ (ყაუხჩიშვილი 1973: 262). როგორც ვახუშტის სიტყვებიდამ ჩანს, მეორე პანდემიამ ჩვენს ქვეყანაში ბევრი ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის, დედოფალიც. „ჟამიანობამ“, იგივე „შავი ჭირის“ ეპიდემიამ საქართველოში მომდევნო საუკუნეებშიც არა ერთხელ იჩინა თავი. „შავი ჭირის“ გავრცელება დასტურდება XVI საუკუნის 60-იან წლებშიც. 1661 წლის „ჟამნ გულანის“ მინაწერში ვკითხულობთ: „1566 აქა დიდი ჟამი შეიქმნა“. 1566 წელს, საქართველოში „შავი ჭირის“ არსებობა XVII საუკუნის „ჟამნის“ მინაწერითაც ჩანს: „დიდი ჟამი გაჩნდა“. ამავე ფაქტს ადასტურებს XVII საუკუნის გულანზე არსებული მინაწერიც: „1566, აქა ჟამი შეიქმნა“ (ოდიშელი 1968: 30, 33 ,48). ორიოდე წლის შემდეგ, „ჟამი“ დასავლეთ საქართველოშიც დაფიქსირებულა. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის II ნახევრის კინკლოსი: „1568

აქა იყო დიდი ჟამი იმერეთს“ (ოდიშელი 1968: 56).

მინაწერებში არ ჩანს, რა შედეგით დასრულდა ეპიდემია. სავარაუდოდ, მას სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლები მსხვერპლი უნდა მოჰყოლოდა, დიდი სიკვდილიანობის შემთხვევაში ცნობების ავტორები ამაზე უსათუოდ მიუთითებდნენ. გვაქვს ინფორმაცია საქართველოში „შავი ჭირის“ გავრცელების შესახებ 1683 წელსაც: „იკორთის ძილისპირის“ მინაწერში ვკითხულობთ: „1683 წ-ქკ-ს: ტოა: აქა: მარიამ დედოფალი მიიცვალა: ჯ-ი(ჯვარი?) ა[ქა] თამარ დედოფალი მიიცვალა და ჟამი გაჩნდა“ (ჟორდანია 2018: 497). ეპიდემია საქართველოში მომდევნო წელსაც მძვინვარებდა, რის გამოც თბილისიდან მოსახლეობა გახიზნულა (ჟორდანია 2018: 498). 1636 წლის „ჟამნ გულანზე“ არსებული მინაწერების მიხედვით საქართველოში „შავი ჭირის“ ეპიდემიამ XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისშიც იფეთქა: „1694 წ. აქა ამილღაბარ მიიცვალა ჟამითა [...] 1718 აქა ჟამობა, ელენე მიიცვალა“ (ჟორდანია 2018: 64). მინაწერიდან არ ჩანს, ვინ იყო ამილღაბარი, ან ელენე, შესაძლოა, ისინი სამეფო ოჯახის, ან წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში „ჟამის“ გაჩენას ადასტურებს ერთი ცნობა, რომელიც პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილ XVII-XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთის ქრონიკებშია შეტანილი: „1716 წ. ჟამს ამას იყო ჟამი მომსვრელი თბილისში“. ჩანს, რომ დაავადებას საქართველოს დედაქალაქში მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა (იოსელიანი 1980: 50).[3]

საქართველოში ეპიდემიის შემთხვევები XVIII საუკუნის 20-იან წლებშიც დაფიქსირდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს:

> არამედ კუალად იყო მათგანვე უფროსად ტყუევნა და ოჴრება და ბრძოლისაცა უმეტეს იგინი მრე ექმნებოდიან, ვინაითგან განმრავლდა სიძვა-მრუშება, სოდომია, ტყვეს ყიდვა, შური, სვრა, ურთიერთთა და სხუანი ბოროტნი, და ამისთჳსცა მოუშვა ღმერთმან ბოროტი, რამეთუ მხეცნიცა მოეტევნენ და სჭამდენ ურიდად მრავალთა. კუალად მოვიდა სირი ჭივჭავი, რომელთა დააბნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმულ არს საუკუნით. კუალად იყო სვრაცა მომსვრელი, ჟამი ძლიერი, გარნა არავინ შეიშინებდა ღუთისასა (ყაუხჩიშვილი 1973: 512-513).

„შავი ჭირი“ ამით არ ჩამცხრალა. დაავადება თბილისში 1770 წელს კვლავ გაჩნდა. პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილ „ქართლ-კახეთის XVII-XVIII საუკუნეების ქრონიკებში“ მოყვანილი ცნობით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ეპიდემიისაგან თავის დაღწევის მიზნით პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ბელოთში გაიხიზნა:

> 1770 წ. 6 ივნისს გაჩნდა დიდი ჭირიანობა თბილისში, ერეკლე გაიხიზნა ქართლში ნოემბერში ბელოთს.[4] მეჯვრისხევიდან გორში ჩამოიბარგა დედაწულით, 1771 წ. აპრილში გაჩნდა ჭირი თბილისში, სამი თვე მძვინვარებდა, ოთხი ათასი კაცი დაიხოცა სოფლებს გარდა. ერეკლე გაიხიზნა არტოზანში 28 ივნისს. რაკი თელავშიაც იყო ჭირი, გორში წაბრძანდა, მოურავიც აქ იყო. ჭირი მძვინვარებდა ქართლში, კახეთში, იმერეთში (იოსელიანი 1980: 126).

1770 წელს თბილისში გაჩენილი ეპიდემიის გამო ერეკლე II პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ბელოთში გახიზვნას ადასტურებს იესე ბარათაშვილიც, რომელიც მეფის ოჯახს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა. მისი ცნობით, ქართლ-კახეთის მეფემ მცირე ხნის შემდეგ ბელოთიდან მეჯვრისხევში გადაინაცვლა:

> ქორანიკონსა 458 (1770 წ.), ივნისს 6, დიდი ჭირვება გაჩნდა ქალაქში. ბატონი აიყარა, წაბძანდა. იოანე ავამდმყოფი მყვანდა, ბატონს ვერ ვიახელ, ავადმყოფი სად მეტარებინა! ღმერთს ვადიდებ, რომელმან მომცა ძალი. ორი ურემი და ხუთი ცხენი ვიყიდე, აღვიტვირთენი და წაველ ზემო ქართლს. მომეგება ქსნის ერისთავი დავით, ტყვიავს დამაყენა დიდის ხელის შეწყობით. რომ დაცხა, ბელოთს წავედით [...] ბელოთით მეჯვრისხევს მიგვიპატიჟეს და ყოელსა ამას სლვასა გვქონდა ნებიერობა, სიხარული, განსვენება, ცხენთაზე თამაშა, წყალთა წურვა და ყოელი განცხრომა (ბარათაშვილი 1983: 633).

იმავე წლის ნოემბერში ერეკლე II ოჯახთან ერთად გორში ჩავიდა: „გიორგობისთვეში ბატონი (ერეკლე II – გ.ს), დედაწულით გორს მობძანდა“ (ბარათაშვილი 1983: 633). დედაქალაქიდან გახიზნული იესე ბარათაშვილი თბილისში 1771 წლის აპრილში დაბრუნდა და ძალზე მძიმე სურათი დახვდა. მისი ყმების ერთი ნაწილი ეპიდემიის შედეგად გარდაცვლილიყო, ნაწილს კი კახეთისთვის შეეფარებინა თავი: „ქორანიკონს 459 (1771 წ.), აპრილს, ქალაქს ჩამოვედით. რაც ყმა დავაგდე, ზოგი ამოწყვეტილი იყო, ზოგი კახეთს წასულიყო, და ვარ ღვთის წყალობით ჯერეთ ცოცხალი“ (ბარათაშვილი 1983: 634). 1770 წლის ივნისში თბილისში „შავი ჭირის“ გავრცელებას შესახებ ინფორმაციას გვაწვდის პ. კარბელაშვილის „ქრონიკებში“ შემონახული სხვა ცნობაც: „ქკ-ს უნცჱ დიდი ჭირი რომ გაჩნდა ქალაქსა თიბათვის იდ“ (ბარათაშვილი 1983: 353); (ჟორდანია 1967: 317). 1770 წელს „შავი ჭირს“ თბილისში საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ამას ადასტურებს თ. ჟორდანიას მიერ მიკვლეული კიდევ ერთი ცნობა: „ქ-კს უნც პირველ რომ რუსები მოვიდნენ-ქალაქში დიდი ჭირიც ამ თარიღში იყო, ქალაქში რომ მრავალი გაწყვიტა“ (ჟორდანია 1967: 316). XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში გავრცელებულ „შავი ჭირის“ ეპიდემიას წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებიც ემსხვერპლნენ. პერიოდი, როდესაც ქვეყანაში მომაკვდინებელი ინფექცია მძვინვარებდა, „ჭირიანობის“ დროდ იყო მიჩნეული 1775 წლის 20 აპრილს შედგენილ დოკუმენტში: „არზა გაბაშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, ვკითხულობთ:

> ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს გაბაშვილის ქაიხოსროვის შვილს გოგიას და რევაზის შვილს ანდრიას. ზემოთ კარზედ მამად შარიფისაგან ნაყიდი მამული გვაქვს; ნახევარი ჩვენია, ნახევარი იედიგარას შვილის სადუხასი, იედიგარას შვილს მთლად ზავთი უქნია, წილს აღარ გვიდებს. ამას წინათაც ელაპარაკნათ რევაზთან. ნეტარხსენებულს ჴელმწიფეს მამათქვენს ოქმი უბოძებია და ჩვენ გვეჭირა. *ჭირიანობას* რევაზ თქვენის ჭირი სანაცვლოდ შეიქმნა; ჩვენ ობლები დავრჩით. და იედიგარაშვილმა გვიბრიყვა, თითონ ზავთი ქნა. ხუთის წლისა ქირას ვედა[ვ]ებით და ის მამულსაც არ გვანებებს. ამის მეტი აღარსად ყმა გვყავს და აღარსად მამული. გევედრებით ცხებულის ჴელმწიფის ნაბოძები ოქმი და ნასყიდობის სიგელიც და სამართალი გვიბოძოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის ივ, ქორონიკონს უჲგ (დოლიძე 1981: 284).

ეპიდემიის გავრცელების დროს ერეკლე II რამდენჯერმე შეუცვლია ადგილსამყოფელი, ბოლოს ის გორში გახიზნულა. როგორც ჩანს, მეფის ოჯახი თავს იქ შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდა. „შავმა ჭირმა“ XVIII საუკუნის 70-იან წლებში განსაკუთებით დააზარალა თბილისი. ამ ფაქტს ადასტურებს ალექსანდრე ამილახვარი. როგორც ცნობილია, ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო მან ხუთი წელი პატიმრობაში გაატარა. სწორედ ამ დროს გაჩნდა ქალაქში მომაკვდინებელი დაავადება. სახლს, სადაც ეპიდემია აღმოჩნდებოდა, ა. ამილახვრის გადმოცემით, ცეცხლს უკიდებდნენ და თოფს ესროდნენ:

> როცა მსახური დაბრუნდა, გვიამბო, თქვენი დამბეზღებელი, ახლად მოვლენილი „ევანგელისტის“ სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ, მთელი ქალაქის მცხოვრებთ იქ მოუყრიათ თავი და თოფის სროლა აუტეხიათო“. საქმე ისაა, რომ შავი ჭირი პირველად იმ სახლში გაჩენილიყო, ქართველებს კი, საუკეთესო ღონისძიებად, ამ სენის გავრცელების წინააღმდეგ, ცეცხლის წაკიდება და თოფის სროლა მიაჩნიათ (ამილახვარი 1997: 88-89).

ცეცხლის წაკიდება დაავადების კერის მოსპობას ისახავდა მიზნად, ხოლო თოფის სროლა გარკვეულ ცრუ რწმენასთან იყო დაკავშირებული. მოსახლეობას სჯეროდა, რომ ტყვიის სროლით ეპიდემიას შეაჩერებდნენ.

თბილისში სამეფო ხელისუფლების დავალებით გასასვლელი კარი მკაცრად კონტროლდებოდა. თუმცა, ალექსანდრე ამილახვარს გაღწევა მაინც მოუხერხებია. როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, ქართლის სოფლების მოსახლეობა ეპიდემიის გამო პანიკაში იყო ჩავარდნილი და ხალხი შედარებით უსაფრთხო ადგილებში იხიზნებოდა. მოსახლეობას უცხო ადამიანების დანახვისას შიში უმძაფრდებოდა.

ალექსანდრე ამილახვარი წერს:

> ურმების გავლის შემდეგ წამოვდექი და მახლობელ სოფელში მივედი, რომელიც წინათ ჩვენ გვეკუთვნოდა. მაგრამ როგორც კი, იქაურმა მცხოვრებლებმა მეტეხის მხრიდან მომავალი დამინახეს, საშინელი ღრიანცელი ასტეხეს და ჩემსკენ გამოიქცნენ. მე გზიდან გადავუხვიე და სოფელს გავშორდი. ჩემს გამოდევნებას თავი დაანებეს, მაგრამ თოფის სროლა ამიტეხეს, ვინაიდან ჭირით დაავადებული მეტეხის მცხოვრები ვეგონე (ამილახვარი 1997: 98-99).

ალექსანდრე ამილახვრის გადმოცემით, ეპიდემიას ხალხი ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად მიიჩნევდა:

> მწუხრის ზარები დარეკეს, როცა ქალაქის კარიბჭესთან მივედი. მცველებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ასე გვიან შორ გზას გავუდგებოდი. ლაპარაკი ჩამოვაგდე შავ ჭირზე, რომელიც ქალაქში მძვინვარებდა. ჩვენი ცოდვების დასასჯელად, ესეც ცოტააო, მიპასუხეს (ამილახვარი 1997: 92).[5]

თბილისიდან გამოპარული ალექსანდრე ამილახვარი გორში ჩავიდა. იმ დროისთვის ქართლის შუაგულ ქალაქში, ეპიდემიის კერები არ იყო. „შავ ჭირს“ გორი XVIII საუკუნის ბოლომდე გადაურჩა. იულონ ბატონიშვილის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ ამილახვრები გორში შემოსული მგზავრების გადაადგილებას მკაცრად აკონტროლებდნენ (ფონდი 1448); (ალიმბარაშვილი 2007: 55). პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილ „ქართლ-კახეთის XVII-XVIII საუკუნეების ქრონიკებში“, გვხვდება ასეთი ცნობა: „ქ. ესე პირი, ჭარისაგან რომ ავიყარენით, მაშინ ვსწერე აქა იქ სოფლებში და თელავს. ხოლო სრულ იქმნა წელსა ჩღჟთ წ უპზ ქკს, ოქტომბერს ლ“ (იოსელიანი 1980: 213). „ქრონიკების“ გამომცემელი პროფ. ა. იოსელიანი სქოლიოში აღნიშნავს: „ჭარიდან აყრის ცნობა ქრონიკების შემდგენელს თითქოს უადგილოდ აქვს მოტანილი. ვტოვებთ უცვლელად, როგორც ეს ხელნაწერებშია დაცული“ (იოსელიანი 1980: 213).

ვფიქრობთ, რომ აქ პ. კარბელაშვილის მიერ ტექსტი არასწორად იქნა გადმოწერილი, შემდეგ კი გამომცემელმა არასწორად წაიკითხა. ჩვენი აზრით, საუბარი უნდა იყოს არა ჭარიდან აყრაზე, არამდენ „ჭირისაგან აყრაზე“. ტექსტის ავტორი, სავარაუდოდ, გავრცელებული ეპიდემიისაგან თავის დაღწევის მიზნით გახიზვნაზე საუბრობს. როგორც ჩანს, იგი ჩანაწერებს სხვადასხვა ადგილზე, მათ შორის, თელავში ქმნიდა.

1797 წელს, „შავმა ჭირმა“ ჩვენს ქვეყანას კვლავ შეახსენა თავი. ერეკლე II დედოფალთან ერთად კახეთში გაიხიზნა. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს პლატონ იოსელიანი:

> 1797 წელსა გაჩნდა ჭირი თფილისისა ქალაქსა. მცხოვრებნი გაიხიზნენ და მოედვნენ სოფლებსა. განსრულთა სოფლებად, განთესეს მომსვრელი სენი ქართლსა და კახეთსა; მეფის ძე გიორგი და მეფის რძალნი განვიდენ ავჭალასა და შეჰკრეს იგი ყოვლისა მხრით. ესე დრო იყო სეკდემბრის თთვისა და განსრულთა ქალაქიდამ მცხოვრებთა ადგილათ ჰპოვეს ბინა ტყეთა შინა, მთის ძირთა და ხეობებთა ახლოს თფილისისა. დიდი იყო დღეთა ამათ ტყება და ვაება დიდთა და მცირეთა, ობოლთა და ქვრივთა. მონასტერნი და უდაბნონი, რომელთაცა წინა უძღოდა ევთიმი მოძღვარი მეფისა[6] მოეშველენ განბნეულთა პურითა და ღვინითა (იოსელიანი 1978: 119-120).

1797 წლის სექტემბერში ეპიდემიის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდა და ინფექცია ქართლ-კახეთს მოედო. მეფის ძე გიორგი და სამეფო ოჯახის წევრები ავჭალას შეეფარნენ. გახიზნულმა მოსახლეობამ თბილისის სიახლოვეს არსებულ ხეობებსა და მთებს მიაშურა. მძიმე მდგომარეობაში მყოფ, პანიკაში ჩავარდნილ ხალხს მეფის მოძღვრის ევთიმის წინამძღოლობით სხვადასხვა მონასტერში მყოფი ბერები საკვებით ეხმარებოდნენ. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II გარდაცვალება „შავი ჭირის“ ახალი ტალღის გავრცელებას დაემთხვა. როგორც პლატონ იოსელიანი წერს: „დროთა შფოთისა დღეთა ამათ იყო ჭირი დიდსა ქალაქსა თფილისს და გარემო სოფლებთა“ (იოსელიანი 1978: 51). პლატონ იოსელიანის ცნობას, ერეკლე II გარდაცვალების დროს საქართველოში „შავი ჭირის“ გავრცელების შესახებ იულონ ბატონიშვილის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილიც ადასტურებს:

წელიწადსა 1798, ქორონიკონს უპვ(486), გარდაიცვალა იანვრის ია(11), სანატრელ სახსოვარი, მეფე ირაკლი. მოგვივიდა ჰამბავი ესე გორს. განუცხადეთ ძესა მისსა იულონს და ფომილიასა მისსა. გარდიხადა კვირა რაოდენიმე შესაბამის გლოვით. შემდგომად შემოეყარა ქართველნი, სამღუდელონი და საერონი; წარვიდა თელავს სატირლად წმიდისა. ორმეოცისა დაწყებასა შინა ამ ჟამს, იყო ტფილისში სენი მომსვრელი ცოდვათა ჩუენთა ძლით და განბნეულ იყო ხალხი მუნებური (იოსელიანი 1952: 79).

ერეკლე II ცხედარი გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ გადაასვენეს მცხეთაში: „ჭირი დასცხრა და ამისთვის შემდგომად 40 დღისა წაასვენეს გვამი მცხეთას დასასაფლავებლად და თვით მეფე მობრძანდა ქალაქსა თფილისსა, სადაცა არღა იყო ჭირი და დაბინავდა მუნ“ (იოსელიანი 1978: 51). თელავიდან გადმოსვენებული პატარა კახი სვეტიცხოველში დაკრძალეს. პლატონ იოსელიანი ერეკლე II დაკრძალვის შესახებ მოგვითხრობს:

ოდეს მეფე ირაკლი მწუხარე გარდაიცვალა თელავს, ჭირი ესე იყო მიზეზი, რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გარდაიტანეს გვამი მეფისა მცხეთასა დასასაფლავებელად. არაგვისა პირსა დადებული კუბო მეფისა მიიღეს მცხეთელთა და დაასაფლავეს და კახნი, არღარა გასრულნი არაგვსა, უკუიქცნენ კახეთად (იოსელიანი 1978: 120).

ერეკლე II უკანასკნელ განსასვენებლამდე მიაცილა მღვდელმა ქრისტეფორე ბადრიძემ. 1798 წელს გამეფებულმა გიორგი XII-მ თბილისში, სიონის ტაძარში, სომეხთა კათალიკოსისაგან ეჩმიაძინის ტაძრიდან გამოგზავნილი ქრისტიანობის ერთ-ერთი სიწმინდე, „ქრისტეს ლახვარი“, დააბრძანა, რომელსაც მოსახლეობის რწმენით, მომაკვდინებელი სენის შეჩერება შეეძლო. ამის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს:

გამეფებულმან მეფემან გიორგი 1798 წელსა მოინება, რათა ძველთა ჩვეულებათა გამო მოსთხოვონ[7] სომეხთა კათალიკოსსა ლუკას, მოსვენება ლახვრისა. წარგზავნეს კაცნი და მოსცეს იგი გარნა სიფრთხილითა დიდითა და შიშითა, რათა ქართველთა მეფემან არ მიითვისოს თვისად საუნჯე ესე ეჩმიაწინისა (იოსელიანი 1978: 121).

1798 წლის თებერვალში, თბილისში „შავი ჭირის“ ახალი ტალღის შესახებ გვამცნობს პ. კარბელაშვილი „ქრონიკებიც“. ამ დროს ალექსანდრე ერეკლეს ძეს დედაქალაქის დაკავება ჰქონია გადაწყვეტილი, მაგრამ ეპიდემიამ მას ხელი შეუშალა: „1798 წლის თებერვალში, ალექსანდრე ბატონიშვილი შეეცადა თბილისის დაპყრობას, მაგრამ კახეთში გამძვინვარებულმა ჭირიანობამ აიძულა უკანვე გაბრუნებულიყო“ (იოსელიანი 1980: 209). მცირე ხნის შემდეგ ეპიდემიამ გადაირა. გიორგი XII თბილისში დაბრუნდა (იოსელიანი 1980: 122).

XVIII საუკუნის ბოლოს, საქართველოში „შავი ჭირის“ გარდა სხვა გადამდები დაავადებებიც იყო გავრცელებული, მათ შორის, „სახადი“, რომლითაც დასნეულებულა გიორგი XII-ის ვაჟი ილია ბატონიშვილი. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ექიმებს ბატონიშვილის გამოჯანმრთელების იმედი აღარ ჰქონიათ. მეფის ბრძანებით სიონის ტაძარში არსებული ლუსკუმიდან წმ. იოანე მანგლელის ნაწილები ამოუღიათ და ავადმყოფი მისი მეოხებით განკურნებულა. მეორე წელს წმინდანის ნაწილები მეფის დასნეულებული ასულის განასკურნადაც ამოუსვენებიათ (იოსელიანი 1980: 160).[8]

გიორგი XII-ის მმართველობის დროსაც „შავი ჭირს“ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ეპიდემიის შედეგები განსაკუთრებით მძიმედ აისახა დაბალი სოციალური ფენის ცხოვრებაზე. წარჩინებული საგვარეულოს ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთაც კუთვნილი ყმა-გლეხები დაეხოცათ, მეფის ხელისუფლებისაგან საგადასახადო შეღავათს ითხოვდნენ. ამას ადასტურებს ვახუშტი ჯავახიშვილის მიერ გიორგი XII-ისადმი 1799 წლის 11 აპრილს შედგენილი არზა:

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯავახიშვილი ვახუშტი მდივანბეგისაგან. ჭირისაგან სამოცდა ცამეტი სული დამეხოცა ყმა და ჩემოდენი ჩემს სახლის კაცებს არ დახოციათ. ამას გევედრებით, როგორც ჩემის ძმის წულებისათვის წყალობა

მიგიღიათ, ის ჩემზე მოიღოთ. აპრილის ია, ქ-კს უპზ. ოთხიოდ კომლი კაცი მამირჩა და ისინიც ასე, ზოგს ძმა და ზოგს შვილი მოუკვდათ (ბერძენიშვილი 1953: 199).

ირკვევა, რომ ეპიდემიისაგან დაზარალებულ ვახუშტი ჯავახიშვილს გიორგი XII-მ გადასახადზე შეღავათი გაუწია:

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ სალთუხუცესს მუხრანის ბატონს იოანეს და მდივნებს ასე ეუწყოსთ, მერმე ამ მდივანბეგს ვახუშტის ამისთანა ზარალი მოსვლია და ამდენი სული დახოცია. ოთხი კომლი კაცი გადარჩენია, ამისი ოთხი კომლი კაცი ორს წელიწადს გაგვიაზატებია. ამის კაცებს ნუღარაფერს შეაწერთ ამ ვადის შესრულებამდინა და მასუკან, როცა შეძლება ექმნებათ, თავიანთის შეძლებით იმსახურებენ. რომელნიც იასაულები მიხვიდეთ, თქვენც ასე იცოდეთ. აპრილის იბ, ქ-კს უპზ. (ბერძენიშვილი 1953: 199).

გიორგი XII მეფობის დროს ეპიდემიის შემთხვევები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში არ იყო. 1800 წელს, „ჟამი“ გავრცელდა რაჭაში: „რაჭას ჟამი იყო ჩყ-1800“ (ჟორდანია 1967: 635). თუმცა, წარმოდგენილი ცნობიდან არ ჩანს, მსხვერპლის შესახებ. „შავი ჭირის“ ეპიდემია მძიმედ დაატყდა პირიქითა ხევსურეთსაც. დაავადებამ შეიწირა შატილიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არსებული სოფელ ანატორის მოსახლეობა. ეპიდემიის მსხვერპლთა ოსტეოლოგიური ნაშთები დღემდეა შემორჩენილი ე.წ. ანატორის აკლდამებში. გადმოცემის თანახმად ერთ-ერთმა მკვიდრმა შეურცხყო „ანატორის ჯვარი“, რომელიც დასახლების მფარველ სალოცავად ითვლებოდა და ამის გამო ღმერთმა სოფელი დასაჯა. ეპიდემიის გავრცელება რომ შეეჩერებინათ, დასნებოვნებული ხევსურები თავისი ნებით შედიოდნენ წინასწარ ფიქალის მშრალი წყობით აგებულ აკლდამებში და სიკვდილს იქ ელოდნენ (ენციკლოპედია 1975: 432); (სიკძა 2008: 335).

ანატორში გავრცელებულ ეპიდემიასთან და „შავი ჭირის“ შედეგად პირიქითა ხევსურეთში არსებულ მსხვერპლთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს პროფესორ გ. თევზაძეს. მკვლევარი მომაკვდინებელი სენით გარდაცვლილ ადამიანებს XIV საუკუნეში ევროპიდან საქართველოში შემოსულ ტამპლიერებთან აიგივებს. მისი აზრით, 1307 წელს პორტ როშელიდან ფილიპე IV „ლამაზს“, რომელიც ფრანგი რაინდების მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდა, ტამპლიერთა 18 ხომალდი გამოექცა. ხომალდებზე დაახლოებით 2000 ტამპლიერი იმყოფებოდა. მსახურებთან ერთად ისინი საქართველოს შემოეხიზნენ და ხევსურეთში დასახლდნენ. სწორედ მათ სახელს უკავშირდება პირიქითა ხევსურეთში აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი (თევზაძე 2018: 77-78). მკვლევრის აზრით, შესაძლოა, სახელი „ხევსურეთიც“ ტამპლიერებთან კავშირზე მიუთითებდეს. ზოგიერთი ვერსიით, ტამპლიერები თავს იმ უხუცეს ებრაელთა შთამომავლებად თვლიან, რომლებიც რომაელებს ახ.წ. 70 წელს, იერუსალიმის აღების შემდეგ გაექცნენ ევროპაში და Rex Deux ოჯახებს დაუდეს სათავე: „ამიტომ შესაძლებელია, რომ ახალი სამშობლოსთვის სახელის დარქმევისას, საკუთარი მითიური სამშობლო გამოეყენებინათ: „ხევის ურიები“, „ხევის ურიეთი“ (თევზაძე 2018: 78-79). გ. თევზაძის აზრით, პირიქითა ხევსურეთში დამკვიდრებული ტამპლიერები „შავი ჭირის“ ეპიდემიამ გაანადგურა:

2005 წელს გენეტიკოსებმა საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს: აღმოჩნდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ იმუნური წინააღმდეგობა შავი ჭირისადმი. მეცნიერებმა იპოვეს გენი CCR5-V 32, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვს შავი ჭირისადმი იმუნურ წინააღმდეგობასთან. შუა საუკუნეების ევროპაში ასეთი გენი 20000 კაცში ერთს ჰქონდა. მაგალითად, დღესდღეობით რუსების და ფინელების 16% აქვს ეს გენი, მაშინ როდესაც სარდინიელების მხოლოდ 4 %-ს. შავ ჭირს იმიტომაც ჰქონდა ასეთი დამანგრეველი გავლენა ცენტრალურ ევროპაზე, რომ იქ ძალიან ცოტა იყო ამ გენის მატარებელი (განსხვავებით ჩრდილო ევროპისგან). მეცნიერების ჰიპოთეზით, ამ იმუნური წინაღმდეგობის წარმოშობა უკავშირდება ყვავილის ეპიდემიას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვრცელდებოდა ევრაზიაში და, ძირითადად, კლავდა პუბერტატის ასაკს მიუღწეველ მოზარდებს. ისტორიულად ასევე ცნობილია, რომ სავაჭრო გზებზე და მოგზაურობის ადგილებში მცხოვრებ პოპულაციებს ჰქონდათ ყვავილის აცრის საკუთარი ვერსია: იმდენად, რამდენადაც

ყვავილი შინაურ ცხოველებსაც ემართებოდათ, ისინი ყვავილის მსუბუქ ფორმას (მაგ. ყვავილიანი ძროხის რძის ხელებზე გადავლებით ან ინექციით) შეჰყრიდნენ მოზარდებს, რათა მათ ორგანიზმს ანტისხეულები გამოემუშავებინა ყვავილის მძიმე ფორმის მიმართ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შუა საუკუნეებში ცენტრალური აზიიდან უმოკლესი გზა ევროპისკენ ხევსურეთზე გადიოდა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ შავი ჭირის ეპიდემიაც ამ გზით შევიდა ევროპაში. ქართველებს, როგორც იმუნიტეტის (შეძენილი, „აცრით“, ან მემკვიდრეობით მიღებული) მქონეთ, არაფერი არ დაემართებოდათ, მაშინ, როდესაც ამ გენის არმქონე ფრანგებს და მათ შთამომავლობას – აუცილებლად შეეყრებოდა, ისევე როგორც ეს მოხდა ცენტრალურ ევროპაში (თევზაძე 2018: 81-82).

გ. თევზაძე პირიქითა ხევსურეთში არსებულ ტოპონიმს – „ანატორს“, „სანატორიუმს“ უკავშირებს და მიიჩნევს, რომ ანატორის აკლდამებში ტამპლიერების ძვლებია:

როგორც ჩანს, ის ფრანგები, ვისაც შავი ჭირი ემართებოდა, სანატორიუმში გადაჰყავდათ და იქვე იხოცებოდნენ. სავარაუდოა, რომ მე-14 საუკუნის შუა წლებისათვის (1350 წელი, ევროპაში შავი ჭირის დასასრული), პირიქითა ხევსურეთში არცერთი ფრანგის შთამომავალი აღარ დარჩა (თევზაძე 2018: 82).

როგორც მკვლევარი მიუთითებს, პირიქითა ხევსურეთში ტამპლიერების მიერ არის დამკვიდრებული ტოპონიმები: „შატილი“, „გურო“, „ქაჩუ“, „არხოტი“, „არდოტი“, რომელთა ახსნა ფრანგული ენით არის შესაძლებელი (თევზაძე 2018: 75-76).

1800 წელს თბილისში კვლავ გაჩნდა „შავი ჭირი“. ეპიდემიის საფრთხე თურქეთიდან მოდიოდა. პლატონ იოსელიანის ცნობით, გიორგი XII საკარანტინო წესების შემოღება ვერ მოახერხა, თუმცა თურქეთთან, ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა აკრძალა:

1800 წელსა გაჩნდა ჭირი ქალაქსა: შემოიტანეს ესე ახალციხის მხრითა. რუსთა ჯარისა შეფთა და თვით კოვალენსკიმ სთხოვა მეფესა, მიიღოს ზომა და ღონე კარანტინებისა. მეფემან წერილითა უწყებულმან წერილითვე აცნობა: ყარანთინსა უნდა ყარაულებიო და ძნელია შოვნა ესოდენთა ყარაულისა რიცხვთა, რომ ვერვინ შემოვიდეს მუნით აქეთ ჩემს სამეფოშიო. ამისთვის კმარა ეს ზომაო: მე მივსწერე ახალციხის ფაშასა გამოუცხადოს ვაჭართა ყოველგან აქეთ მავალთა: თუ შემოვა ვინმე ჩემს სამძღვრებში, არავის მივიღებთო, სავაჭროსა წავართმევთო და თვით მასცა თოფსა ჰკვრენო. გაიცინეს შეფთა ესრეთსა პასუხზედ; გარნა მეფემან ჰქმნა ესე; აცნობა ფაშასა ბრძანება თვისი და ნამდვილ აღარავინ შემოვიდა და ექვსსა თვეზედ ჭირიცა გაჰქრა და შემდეგ ვაჭრობაცა კვალად გაიმართა. იტყვიან მომსწრენი დღეთა ამათ მწარეთა: მართლად ერთმანცა კაცმან ვერ გაბედა შემოსვლა სოფლებშიაცო; მიწერილი ბრძანება ესრეთ აღსულდა მტკიცედ, რომელ არავინ უნახავთ არავისა მისრული სამძღვრებისა სოფლებში კაცი ოსმალთა ადგილებიდამ (იოსელიანი 1978: 167).

გიორგი XII-ის მოხელეები მეფის მიერ გამოცემული ბრძანების აღსრულებაზე საგანგებო მონიტირინგს ახორციელებდნენ. ისინი სოფლებს ამოწმებდნენ, რომ ახალციხის მხრიდან არავინ შემოსულიყო:

გაგზავნილთა ამ სოფლებში კაცთა აზნაურთა მოხელეთა აღსულებისათვის ბრძანებისა, მოახსენეს მეფესა: „ვხედავდით მხოლოდ ლეკთა გუნდ-გუნდათ მიმავალთა შორის ტყისა და მთებისა გზებითა ანუ ახალციხეს, ანუ მუნით დაღესტანსა (იოსელიანი 1978: 167).

როგორც ჩანს, ლეკთა მარბიელი რაზმების მოძრაობას ეპიდემიაც ვერ აფერხებდა. გადაადგილების შეზღუდვის მიუხედავად, თბილისიდან ახლციხეში 4 რუსი ჯარისკაცი გაქცეულა, რომლებიც მეფის მოხელეებმა შეიპყრეს და გიორგი XII-ეს მიჰგვარეს (იოსელიანი 1978: 168).

გიორგი XII-ე ეპიდემიისადმი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა. მეფის დავალებით ფულის დეზინფექციაც კი ხდებოდა, რათა ის დაავადების წყარო არ გამხდარიყო. ეპისკოპოს იოანე ავალიანის (1782-1858) ცნობით:

ფული თეთრი, რომელიცა მუშაობდა დროთა ამათ ქალაქსა, და რომელიცა მიერთმეოდა მეფესა,

ყოველთვის ჩაჰყრიდნენ ადუღებულს ნაცრიანს წყალში და ესრეთ ფულსა განწმენდილსა და ჩირქიდამ მოშორებულსა, მიართმევდნენ მეფესა (რეხვიაშვილი 2020).

შენიშვნები

1 პირველ პანდემიად ითვლება ბიზანტიის იმპერატორის იუსტიანიანე დიდის (527-565) მმართველობის პერიოდში გავრცებული ჭირი, ხოლო მესამე პანდემიად კი XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში რამდენიმე კონტინენტზე მოდებული „ისპანკა“, რომელმაც მსოფლიო მოსახლეობის 3% (50-70 მლნ ადამიანი) იმსხვერპლა (სამუშია 2015: 84). „ისპანკას“ შესახებ იხ. (გრიშიკაშვილი 2020: 38).

2 „შავი ჭირის“ შესახებ უამრავი გამოკვლევაა დაწერილი. აღნიშნულ პანდემიასთან დაკავშირებით იხ. (ენციკლოპედია 2012).

3 აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში გავრცელებულ ეპიდემიას თან დაერთო კალიების შემოსევა. ამის შესახებ ინფორმაცია შემონახულია XVII-XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთის ქრონიკებში: „1750 წ. თიბათვეში მოვიდა მკალი ურიცხვი, ყანები მოჭამა, კაბდოებით ხვეტდნენ, ვერა გააწყვეს რა“ (იოსელიანი 1980: 94).

4 როდესაც ერეკლე II-მ 1777 წელს, ქსნის საერისთავო გააუქმა, ბელოთი და პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული რამდენიმე სოფელი იულონ ბატონიშვილს უბოძა. XVIII საუკუნის ბოლოს იულონ ბატონიშვილი გარკვეული პერიოდი ბელოთში სახლობდა (სოსიაშვილი 2011: 140). ბელოთში იყო ქსნის ერისთავების სასახლეც (სოსიაშვილი 2011: 133-134).

5 ალექსანდრე ამილახვარი თავის თხზულებაში ეპიდემიის გავრცელებას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ამის შესახებ იხ. (შენგელია 1981: 231-236).

6 პლატონ იოსელიანი მეფის მოძღვართან დაკავშირებით განმარტავს, რომ ევთიმი მჭედელაშვილი დავით გარეჯის უდაბნოში, სერაპიონის შემდეგ იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა. ერეკლე მეფის მოძღვარი გიორგი XII-ის დროს გარდაცვლილა (იოსელიანი 1978: 119).

7 საქართველოში ეპიდემიების გავრცელების დროს ქრისტეს ლახვარი ადრეც ჰქონიათ ჩამობრძანებული ეჩმიაძინიდან.

8 საქართველოში გავრცელებულ მომაკვდინებელ დაავადებად ითვლებოდა ყვავილი, რომლითაც ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟი ვახტანგ ბატონიშვილი დაინფიცირდა. მეფის ძე გამოკეთდა, მაგრამ დაავადება ხელახლა შეეყარა და გარდაიცვალა: „მორჩენილი სენისაგან, წარიყვანეს აბანოდ შემდგომად 40 დღისა. ესრეთმან გაუფრთხილებელმან ბანვამან, შეაქცია და გარდაიცვალა თფილისს“ (იოსელიანი 1978: 164). ვახტანგ ბატონიშვილი ამ დროს 16 წლისა ყოფილა. ერეკლემ მისი სახელი დაარქვა მესამე ცოლთან შეძენილ ვაჟს, რომელსაც ალმასხანადაც მოიხსენიებენ (იოსელიანი 1978: 164).

დამოწმებანი

ამილახვარი 1997: ა. ამილახვარი. *ბრძენი აღმოსავლეთისა*, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვაჟა კიკნაძემ, თბილისი.

ალიმბარაშვილი 2007: ს. ალიმბარაშვილი. *ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე*, რედ., გ. სოსიაშვილი, თბილისი.

ბაგრატიონი 1992: დ. ბაგრატიონი. *იადიგარ დაუდი*, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ი. ქურჩიშვილმა და ბ. ქურჩიშვილმა, თბილისი.

ბარათაშვილი 1983: ი. ბარათაშვილი. ცხოვრება-ანდერძი, *ქართული პროზა*, ტ., V, თბილისი.

ბერძენიშვილი 1953: *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან*, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორი, ტ., II, თბილისი.

გრიშიკაშვილი 2020: ა. გრიშიკაშვილი. ესპანური გრიპი, ახალი დროის ყველაზე დიდი პანდემია, *ისტორიანი*, N4 (12).

დოლიძე 1981: *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, ტ., VII, თბილისი.

ენციკლოპედია 1975: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ., 1, თბილისი.

ენციკლოპედია 1998: *The Cambridge Encyclopedia of Human Paleopathology*, Cambridge University Press.

ენციკლოპედია 2012: Encyclopedia of the Black Death, vol. I, By Joseph Patrick Berne, Santa Barbara California, Denver Colorado, Oxford England.

ვოზიანოვა 2002: Ж.И. Возианова. *Инфекционные и паразитарные болезни*, т. 3, Киев.

თევზაძე 2018: გ. თევზაძე. *სხვა ისტორია*, თბილისი.

იოსელიანი 1978: პ. იოსელიანი. *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, თბილისი.

იოსელიანი 1952: ი. ქართველიშვილი, *მემუარები*, ა. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი.

იოსელიანი 1980: *საქართველოს ისტორიის ქრონიკები*, ა. იოსელიანი რედაქტორი, თბილისი.

კელი 2005: J. Kelly. The Great Mortality, An Intimate History of the Black Death, the Most Devastating Plague of All Time. New York, Toronto, Sydney, London.

კიკნაძე 1989: ვ. კიკნაძე. *საქართველო XIV საუკუნეში*. თბილისი.

კიკნაძე: 2016/2017: ვ. კიკნაძე. ახალი მასალა XIV საუკუნეში საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების შესახებ, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, ტ., XIV-XV, თბილისი.

კუხიანიძე 1997: *უსწორო კარაბადინი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. კუხიანიძემ, თბილისი.

მესხია 1954: ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ., 30, თბილისი.

ოდიშელი 1968: *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები)*, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბილისი.

ჟორდანია 1967: თ. ჟორდანია. *ქრონიკები*, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, ტ., III, თბილისი.

ჟორდანია 2018: თ. ჟორდანია. *ქრონიკები*, ტ., II, თბილისი.

რეხვიაშვილი 2020: ჯ. რეხვიაშვილი. ქრისტეს ლახვარი ეპიდემიის წინააღმდეგ, ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/ქრისტეს-ლახვარი-ეპიდემიის-წინააღმდეგ/30512850.html (ნანახია: 28.08.2020).

სამუშია 2015: ჯ. სამუშია. შავი ჭირის ეპიდემია საქართველოში, 1802-1804 წლებში გენერალ სერგეი ტუჩკოვის ცნობების მიხედვით, *საისტორიო კრებული*, *წელიწდეული*, ტ., 5.

სამუშია 2020ა: ჯ. სამუშია. შავი ჭირი, ეპიდემიები მსოფლიოსა და საქართველოში, წერილი I, *ისტორიანი*, N 4 (112).

სამუშია 2020ბ: ჯ. სამუშია. შავი ჭირის ეპიდემია საქართველოში, *ისტორიანი*, N5 (113).

სიკძა 2008: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, ტ., 2, თბილისი.

სოსიაშვილი 2011: გ. სოსიაშვილი. *ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან*, თბილისი.

ფონდი 1448: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, საბ. 3534.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება,* ტესტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., IV, თბილისი.

შენგელია 1981: მ. შენგელია. ალექსანდრე ამილახვარი და მისი მოგონებები ქოლერისა და შავი ჭირის შესახებ, *ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდამ*, თბილისი.

FROM THE HISTORY OF THE BLACK DEATH SPREAD IN GEORGIA (14TH – 18TH CC)

Giorgi Sosiashvili

Many pandemics are known in the world history. They spread from country to country, from the continent to the continent and terrified people of all social classes and adherents of all confessions. In the Middle Ages there was believed that the mortal diseases were God's punishment. Among the pandemics, the most dangerous was so called second pandemic – Plague ("Black Death"). The "Black Death" is known since the Sumer-Babylonia period. It is also mentioned in the Bible. The "Black Death" was spread in the ancient Greece. It had taken the form of pandemic during the middle sixth century. The pandemic had taken the lives of many royal family members in Europe. In total the "Black Death" had taken the lives of the tens of millions.

In Georgia the "Black Death" had spread from 1346. This is attested in one Russian source.

In the present paper on a ground of various historical sources and academic literature are considered evidences showing spread of this disease in Georgia. There are described the measures undertaken during the centuries by Georgian authorities to stop the outbreak of the epidemy and also economic and social outcomes of it. The special attention is paid to the facts of stigmatization of those who were infected.

რომელი გიორგის სახელითაა მოჭრილი გიორგისა და თამარის მონეტა?

ირაკლი ფაღავა

გაერთიანებული საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორია მონეტათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით სათანადოდ არის შესწავლელი (პახომოვი 1970: 74-111); (პატარიძე, ფაღავა 2013); (ფაღავა 2011); (ფაღავა 2012); (ფაღავა და *სხვები* 2017); (ფაღავა 2015ა); (ფაღავა 2018: 50-63); გაანალიზებულია ამ პერიოდში სახელმწიფოში სამონეტო მიმოქცევის საკითხი (ფაღავა 2018: 66-86). თუმც, ცხადია, არის საკითხები, რომლებზეც პასუხები დაზუსტებას და, შესაბამისად, შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ასეთად, პირველ რიგში, გვესახება ე.წ. თამარ-გიორგის[1] მონეტა, თამარის და გიორგის სახელით მოჭრილი. ვინ არის ეს გიორგი? თამარის მამა გიორგი III? თამარის პირველი მეუღლე გიორგი რუსი? თუ თამარის ძე გიორგი IV ლაშა?

ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება აღნიშნული მონეტის ატრიბუციასთან დაკავშირებით (ემიტენტ გიორგიდ გიორგი III-ის მიჩნევა), და ჩვენი ანალიზის შედეგები წარმოვადგინოთ.

საკითხის გასარკვევად თანადროულ საარქივო დოკუმენტებს, ნარატიულ წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. შესაბამისად, ჩვენი დასკვნები ეყრდნობა თავად ნუმიზმატიკური მასალის ანალიზს. კერძოდ, ვითვალისწინებთ: 1. გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს სხვადასხვა ტიპის მონეტათა მონაცემებს მიმოქცევის, დადამღვისა და გადაჭედვის შესახებ; 2. გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი IV-ის საფასის ტიპოლოგიას; 3. წინამორბედთა არგუმენტების კრიტიკულ განხილვას.

ამგვარი მასალის ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნების მტკიცებულებითი ძალა შედარებით შეზღუდულია. თუმც მონაცემების ერთობლიობას, რიგ შემთხვევაში, საკმაო ვალიდურობა შეიძლება ჰქონდეს.

1. პირველ რიგში შევეცდებით გავარკვიოთ არის თუ არა ჩვენთვის ამჯერად საინტერესო მონეტის ერთ-ერთი ემიტენტი მეფე გიორგი IV.

მსჯელობის დაწყებამდე მოგვყავს სამონეტო ტიპის აღწერილობა იხ. (პახომოვი 1970: 87-88); (კაპანაძე 1944: 191); (კაპანაძე 1949: 59).

შუბლი:[2] ოთხღერძიანი ვარდულის ცენტრში თამარის სახელი დაქარაგმებით (სხვადასხვა ვარიანტად):

Ⴇ ან Ⴡ ან Ⴡ჻ ან Ⴇ჻

თ(ამარი) ან თ(ამა)რ(ი) ან თ(ა)მ(ა)რ(ი) ან თ(ა)მ(არი)

ირგვლივ, ვარდულის რვა ბუდეში:

ᲠᲫᲫᲨ / ᲩᲘᲩ / ᲭᲥᲨ / ᲫᲠ / ᲫᲨ / ᲫᲣ / ᲧᲠ / ᲬᲨ

ად(ი)დე- / ნ ღ(მერთმა)ნ / მ(ე)ფე / და / დე- / დო- /ფა- / ლი

ზურგი: ექვსღერძიანი ვარდულის ცენტრში გიორგის სახელი დაქარაგმებით

ᲨᲨ

გ(იორგ)ი

ირგვლივ, ვარდულის ექვს ბუდეში:

ᲠᲒᲘ / ᲒᲩ / ᲘᲩ / ᲨᲥ / ᲦᲣ / ᲨᲥᲘ

ადი- / დ(ე)ნ / ღ(მერთმა)ნ / მ(ე)ფ- / ეთ / მ(ე)ფე

სამონეტო ტიპის კვლევის ისტორია განხილული აქვს ევგენი პახომოვს (პახომოვი 1970: 88-89). ამიტომ პირდაპირ გადავდივართ საკითხის გარკვევაზე.

თავიდანვე ვიტყვით, ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ გიორგი IV-ის თამარ-გიორგის მონეტების ემიტენტად მიჩნევის შესახებ აზრი ნაკლებად სარწმუნოა.

აღნიშნული აზრის დასასაბუთებლად ტრადიციული არგუმენტია, რომ ამ ქართველი მონარქის სამივე ცნობილ სამონეტო ტიპზე (მაგრამ არა თამარ-გიორგის მონეტაზე), მითითებულია თამარისგან მისი წარმომავლობა: „ძე თამარისაი“ (პახომოვი 1970: 89). აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ კიდევ ერთ, ორიგინალურ, მეოთხე სამონეტო ტიპზე, გიორგი თამარის ძეს ეს ფორმულა არ გამოეყენებინა. თუმცა, ამის ალბათობა ნაკლებია: მხოლოდ მისი სახელით (საფიქრებელია, დედის გარდაცვალების შემდეგ) მოჭრილ მონეტებზე გიორგი IV „თამარის ძეა“. ასე რომ, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ დედის სიცოცხლეში გამოშვებულ ერთობლივ ემისიაზე მას ეს ეპითეტი არ ეტარებინა.

აღნიშნულის შესამაგრებლად დავამატებთ ორ არგუმენტს.

იმ შემთხვევაში თუ მივიჩნევთ, რომ მონეტაზე მოხსენიებული გიორგი არის გიორგი IV, შეუძლებელი ხდება მოვიაზროთ ქრონოლოგიური პერიოდი, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს თამარ-გიორგის საფასის მოჭრის ფაქტი. 1210 წლით (თამარის გარდაცვალების წლით?) არის დათარიღებული გიორგი IV ლაშას გამოსახულებიანი წესიერი ჭედვის უნიკალური მონეტა (პატარიძე, ფაღავა 2013), და, ასევე, მისი უკლებლივ ყველა სხვა უწესო ჭედვის მონეტა (პახომოვი 1970: 96-97). 1210 წლის შემდგომ თამარის სახელით მონეტა ვეღარ მოიჭრებოდა. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ ამ მონეტის გამოშვება დედა-შვილის სახელით 1210 წლამდე? ამის დაშვება, ცხადია, შესაძლებელია, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში, გიორგი IV ლაშას გამეფებამდე უკვე იჭრებოდა მისი, როგორც ჯავახთ უფლის, წესიერი ჭედვის მონეტა (ფაღავა 2011). ეს ფაქტი, ცხადია, ვერ გამორიცხავს მის მიერ კიდევ ერთი, უწესო ჭედვის სამონეტო ტიპის, გამოშვებას, თუმც ალბათობას კი ამცირებს.

საყურადღებოა თბილისის 1857 წლის განძიც, რომელიც შეიცავდა დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარისა და თამარ-გიორგის მონეტებს; მათი პროცენტული წილი, სამწუხაროდ, უცნობია (ფაღავა 2018: 68), მაგრამ, საყურადღებოა, რომ, განძში, როგორც ჩანს, არ შედიოდა გიორგი IV-ის მონეტები. ეს დიდი ალბათობით იმაზე მიუთითებს, რომ განძის ტეზავრაცია მოხდა 1210 წელს გიორგი IV-ის მონეტების ემისიის დაწყებამდე. განძში თამარ-გიორგის მონეტების არსებობა ზრდის იმის ალბათობას, რომ ამ ტიპის მონეტების ემისია 1210 წლამდე განხორციელდა.

2. ამის შემდეგ ისმის საკითხი უკვე ასე: გიორგი III თუ გიორგი რუსი? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში დისკუსია წარიმართა. ევგენი პახომოვი იხრებოდა იმ აზრისკენ, რომ მონეტაზე მითითებული – გიორგი – გიორგი რუსი იყო (პახომოვი 1970: 89-90); მას დაეთანხმა თამარ ლომოურიც და ალექსი ბიკოვიც (ლომოური 1938: 288); (ბიკოვი 1938: 83); დავით კაპანაძემ კი სცადა, დაემტკიცებინა, რომ გიორგი რუსი ვერ იქნებოდა და სინამდვილეში გიორგი III იყო; არგუმენტაცია ავტორს ორ, თითქმის იდენტურ, ქართულ და რუსულენოვან სტატიებში აქვს მოყვანილი (კაპანაძე 1944); (კაპანაძე 1949); შემდგომში, მკვლევარმა თავისი დასკვნა უფრო განავრცო (კაპანაძე 1969: 74-75, 77) და საბოლოოდ მისი შეხედულება დამკვიდრდა ისტორიოგრაფიაში (ლენგი 1955: 23); (დუნდუა, დუნდუა 2006: 205); (ბერიკაშვილი, პატარიძე 2019: 52, 56, 118).

აუცილებლად მიგვაჩნია როგორც ევგენი პახომოვის, ასევე დავით კაპანაძის არგუმენტაციის მიმოხილვა.

ევგენი პახომოვმა მონეტის გიორგი ჩათვალა გიორგი რუსად ორი ფაქტის საფუძველზე (პახომოვი 1970: 89-90):

1) მონეტაზე თამარი გიორგის სწორუფლებიან პიროვნებად არის წარმოსახული (ორივეს მონეტის თითო მხარე ეთმობა); თამარის დაქვემდებარებული სტატუსი არ არის რამენაირად ხაზგასმული; და არც მისი წარმომავლობაა მითითებული (ორივე, დავუშვათ, ფრაზით, „თამარი ასული გიორგისა“ – გიორგი IV ლაშას მონეტების მსგავსად, სადაც მისი წარმომავლობა ხაზგასმულია ფორმულით „გიორგი ძე თამარისა“).

ეს ნუმიზმატიკური თანასწორობა ნაკლებად უდგება ახალგაზრდა ქალიშვილის, თამარის, გიორგი III-ის თანამეფედ ფორმალურად გამოცხადებას; მაგრამ, შესანიშნავად შეესაბამება გიორგი რუსის ვერსიას – მეუღლეების რეალურ თუ დეკლარირებულ თანასწორუფლებიანობას, რომლის ფარგლებშიც უცხოეთიდან მოწვეული მამაკაცი (გიორგი რუსი) „მეფეთა მეფედ“ გამოაცხადეს, ხოლო ქალი (თამარი, საკუთარი, ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენელი) კი „მეფე და დედოფალია“.

თამარის წარმომავლობა არ არის მითითებული, რაც ლოგიკური იქნებოდა გიორგი III-ისათვის, რომელსაც სურვილი ექნებოდა, ხაზი გაესვა ერთადერთი ქალიშვილისთვის ტახტის გადაცემის ლეგიტიმურობისათვის;

2) საქართველოში არ არსებობდა მონეტაზე (თანა)მეფედ ნაკურთხი მემკვიდრის სახელის აღნიშვნის ტრადიცია; შესაბამისად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს გიორგი III-ს გაეკეთებინა.

ორივე არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებლად გვეჩვენება (დავით კაპანაძის კრიტიკასა და კონტრ-არგუმენტაციას ქვემოთ წარმოვადგენთ).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევგენი პახომოვმა თავის ძირითად ნაშრომში მაინც, კატეგორიული მტკიცებისგან თავი შეიკავა; გიორგი რუსის ვერსიაში, მისივე სიტყვებით, დარწმუნებული კი არ იყო, არამედ მისკენ „იხრებოდა“ და ამ მოსაზრებას ვარაუდად გამოთქვამდა (პახომოვი 1970: 89). საყურადღებოა, რომ, შემდგომშიც, 1920-იან წლებში, არ იყო ბოლომდე დარწმუნებული ამგვარი ატრიბუციის სისწორეში (პახომოვი 1926: 94); თუმცა, ცხოვრების ბოლოსკენ, კაპანაძის სტატიების მიუხედავად, მონეტის გიორგი უკვე ცალსახად გიორგი IV მიიჩნია (პახომოვი 1957: 42, N1791).

ახლა შევეხოთ დავით კაპანაძის არგუმენტაციას. მკვლევარმა სცადა გაებათილებინა ევგენი პახომოვის არგუმენტები; ამასთან გიორგი III-ის ვერსიის სასარგებლოდ საკუთარი არგუმენტიც მოიყვანა. მსჯელობა ხუთ ნაწილადაა ჩამოყალიბებული.

1) მკვლევარი ცდილობს გააბათილოს ევგენი პახომოვის თვალსაზრისი, კერძოდ ის, რომლის თანახმადაც, გიორგისა და თამარის მონეტის სხვადასხვა მხარეს თანასწორუფლებიან პირებად მითითება[3] არ შეესაბამება მამის მიერ თანამეფედ ნაკურთხი თამარის დაქვემდებარებულ სტატუსს. დავით კაპანაძის აზრით, გიორგი III და მისი ასული თამარიც იმდენად სახელგანთქმული პირები იყვნენ, რომ მათ სახელებს კარგად იცნობდნენ საქართველოშიაც და მის საზღვრებს გარეთაც. ამიტომ, რაიმე განმარტების დართვა საჭიროებას არ წარმოადგენდა. დავით კაპანაძის შეხედულებით, პირიქით, გიორგი III-ის მიზანი იყო თამარი ტოლად წარმოეჩინა, მისი წოდებაც მეფე და დედოფალი ამ მიზანს ემსახურებოდა; გიორგი III-ს სურდა, „კიდევ ერთხელ და ხაზგასმით აღენიშნა ისეთ გავრცელებულ საბუთზე, როგორიცაა მონეტა, ის გარემოება, რომ მისი ასული მემკვიდრე კი არა, არამედ სრულუფლებიანი თანამოსაყდრე და მეფის ბადალი დედოფალია“ (კაპანაძე 1944: 192-193); (კაპანაძე 1949: 60-61).

2) ქართულენოვან სტატიაში დავით კაპანაძე ევგენი პახომოვს მიაწერს მოსაზრებას, რომ თამარი „მეფის“ ტიტულს მხოლოდ „მშობლის სიკვდილის შემდეგ მიიღებდა“ და, ამგვარად, აჩვენებს ხარვეზს მის მსჯელობაში, რადგან ევგენი პახომოვმა იცოდა შუა საუკუნეების საქართველოში მემკვიდრის კურთხევისა და მისთვის სამეფო წოდების მინიჭების ფაქტების შესახებ (კაპანაძე 1944: 193); სტატიის გვიანდელი, რუსული ვერსიის მიხედვით, პახომოვის მოსაზრება, რომ რეალურად თამარი ტიტულს მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღებდა, ეწინააღმდეგება თანამეფობის ცნებას (კაპანაძე

1949: 61). როგორც ჩანს, დავით კაპანაძეს მსჯელობა იქითკენ მიჰყავს, რომ თუ თამარს მეფის წოდება მამის სიცოცხლეშიც ჰქონდა, მონეტის წარწერაშიც ეს აისახებოდა, რომ თამარის სახელთან მეფის წოდების მითითება ვერ გამორიცხავს ამ სამონეტო ტიპის ემიტირებაში გიორგი III-ის მონაწილეობას (კაპანაძე 1949: 61).

ვფიქრობთ, დავით კაპანაძის მსჯელობა მოკლებულია სიზუსტეს.

სინამდვილეში ევგენი პახომოვი არ ამტკიცებს, რომ თამარმა „მეფის“ ტიტული მამის სიკვდილის შემდეგ მიიღო; ევგენი პახომოვის მიხედვით, თამარს „მეფის“ ტიტული მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ დაუმკვიდრდებოდა (პახომოვი 1970: 89). ევგენი პახომოვი აშკარად იმისაგან განსხვავებულ ვითარებას გულისხმობდა, ვიდრე ეს წარმოდგენილი აქვს დავით კაპანაძეს; კერძოდ, მეტ-ნაკლებად რეალური ძალაუფლების და არა მეფის ფორმალური წოდების მიღებას; და ამ შემთხვევაში ევგენი პახომოვი მართალია: კარგად ვიცით, რომ თანამეფედ კურთხევა არ აღმოჩნდა საკმარისი გიორგი III-ის ქალიშვილისთვის მამის სიკვდილის შემდეგ ტახტის უმტკივნეულოდ მისაღებად, და გამეფებისთანავე თამარს საკმაოდ სერიოზულ ოპოზიციასთან მოუწია კონფრონტაცია, მათ შორის, დაქორწინების საკითხშიც (ჯავახიშვილი 1983: 245-256); (პაპასქირი 1982: 124-127).

როდესაც ევგენი პახომოვი შუა საუკუნეების საქართველოში მემკვიდრის (თანა)მეფედ კურთხევის წესზე წერს, განავრცობს: მიუხედავად საქართველოში მემკვიდრის (თანა)მეფედ კურთხევის ტრადიციის არსებობისა, საქართველოში არ არსებობდა მონეტაზე (თანა)მეფედ ნაკურთხი მემკვიდრის სახელის აღნიშვნის ტრადიცია. ეს არგუმენტი დავით კაპანაძესთან იგნორირებულია.

საკამათო არაა, რომ თამარმა მიიღო მეფის წოდება მამის სიცოცხლეშივე, და აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ფაქტი მონეტის წარწერაშიც ასახულიყო. მაგრამ იგივე ვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ გიორგი რუსთან ერთობლივი ემისიის შემთხვევაშიც. ამრიგად, აშკარაა, რომ მსჯელობა თამარის ტიტულთან დაკავშირებით ვერ დაგვეხმარება საკითხის გარკვევაში;

3) დ. კაპანაძე ევგენი პახომოვს ასევე მიაწერს განზრახვას თითქოს მკვლევარს სურს „ამ ფულადი ტიპის გამოშვებაში გიორგი III მონაწილეობა სრულებით გამოთიშოს“, და, ამ მიზნით, განაცხადოს, რომ „შეუძლებლად სთვლის ერთი მთავრობის მიერ ორი სხვადასხვა ტიპის სიქის ხმარებას“ (კაპანაძე 1944); შემდეგ, რომ დაამტკიცოს, რომ ევგენი პახომოვი „აქაც სცდება“, დავით კაპანაძე მიუთითებს, რომ ამ ეპოქის საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიიდან ცნობილია შემთხვევები, „როდესაც ერთი და იგივე მთავრობა, ფულის მოჭრის დროს ორსა და მეტ სიქას ხმარობდა“; იგი შემდეგნაირად მსჯელობს:

> უდავოდ თვით გიორგი III სახელით მოჭრილ ფულთა შორის ოთხი სხვადასხვა სიქით მოჭრილი ტიპია ცნობილი და ამიტომ კიდევ ერთი ზედმეტი ტიპის გამოშვება, რომელზედაც მის სახელთან ერთად მისი თანამოსაყდრის სახელიც იქნებოდა აღბეჭდილი, არ უნდა გვეუცნაუროს და სრულებით ნორმალურ და ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ თანამოსაყდრეობის გამოცხადება მთავრობის შემადგენლობის ერთგვარი ცვლილება არის (კაპანაძე 1944: 193-194), (კაპანაძე 1949: 60-61).

შემდეგ დავით კაპანაძე განიხილავს ევგენი პახომოვის მსჯელობას, თუ რა დროს შეიძლება გამოეშვათ თამარისა და გიორგი რუსის მონეტა და ცდილობს გააბათილოს ყველა შესაძლებლობა (ევგენი პახომოვის მოსაზრება და დავით კაპანაძის კრიტიკა წილადის ხაზებით გვაქვს გამოყოფილი): 1. თამარის ქორწინებიდან 1187 წლით (ქორონიკონის 407) დათარიღებული უწესო სპილენძის ემისიამდე / 1187 წელს მომხდარი ქორწინებიდან და იმავე წელს მხოლოდ თამარის სახელით უწესო სპილენძის გამოშვებამდე იმდენად მოკლე შუალედია, რომ ეს ვარიანტი, „როგორღაც, თავისით გამოირიცხება“ (კაპანაძე 1949: 61); 2. 1187 წლიდან 1192 წლამდე (გიორგი რუსის საქართველოდან გაძევებამდე) შუალედში / ამ პერიოდში თამარ-გიორგის მონეტის ემისია წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად ევგენი პახომოვის მიერ პოსტულირებულ პრინციპთან – ერთი და იგივე მთავრობის მიერ

ერთდროულად ორი განსხვავებული ტიპის გამოშვების შეუძლებლობა (კაპანაძე 1949: 61); 3. გიორგი რუსის გაძევებამდე და თამარის მეორე ქორწინებამდე – გიორგი რუსის აჯანყებული მომხრეების მიერ / აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ ტახტის პრეტენდენტი, რომლის უფლებებიც მხოლოდ თამართან კავშირს თუ ეფუძნებოდა, თავის თავს *მეფეთ მეფეს* უწოდებდა, თამარს კი მეფესა და დედოფალს უწოდებდა – ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ბრძოლაში ეს „რამდენადმე ნაადრევი იქნებოდა“ (კაპანაძე 1949: 61);

რა შეიძლება ითქვას ამ არგუმენტაციასთან დაკავშირებით?

ევგენი პახომოვი არ ცდილობს სამონეტო „ტიპის გამოშვებაში გიორგი III მონაწილეობა სრულებით გამოთიშოს“, როგორც ამას დავით კაპანაძე მას მიაწერს; ევგენი პახომოვის შესაბამისი პასაჟი ამოღებულია ნაშრომის იმ ადგილიდან, სადაც მკვლევარი მსჯელობს სამონეტო ტიპის ემისიის ქრონოლოგიაზე, იმ შემთხვევაში, თუ ის ნამდვილად გიორგი რუსის სახელით მოიჭრა (პახომოვი 1970: 90).

ევგენი პახომოვი გახლავთ ავტორი ჯერ კიდევ 1910 წელს გამოცემული წიგნისა, რომელშიც სრულყოფილად და დაწვრილებით არის განხილული ქართული ემისიები დაწყებული დემეტრე I-დან რუსუდანის ჩათვლით); ამ ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, და მასზე ქართველ ნუმიზმატთა მრავალი თაობა გაიზარდა. რთულია ევგენი პახომოვის დადანაშაულება იმის არცოდნაში, რომ ამ პერიოდის საქართველოში ერთი და იგივე მონარქი სხვადასხვა სამონეტო ტიპს უშვებდა. ევგენი პახომოვს ეს არცოდნა არც გამოუმჟღავნებია – დავით კაპანაძის ქართულენოვან სტატიაში მოყვანილი ციტატა ორიგინალის არაზუსტი თარგმანია – აკლია ერთადერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც აზრს ძირეულად ცვლის: დავით კაპანაძის თარგმანშია „შეუძლებლად სთვლის ერთი მთავრობის მიერ ორი სხვადასხვა ტიპის სიქის ხმარებას“, დედანში კი არის „შეუძლებლად ვთვლი ერთი მთავრობის მიერ ორი სხვადასხვა ტიპის სიქების *ერთდროულ* (კურსივი ჩვენია – ი.ფ.) გამოყენებას“.

ცდება დავით კაპანაძე, როდესაც საუბრობს გიორგი III-ის „ოთხ“ სამონეტო ტიპზე (თამარ-გიორგის საფასის გარდა); პახომოვს კი ცალ-ცალკე აქვს აღწერილი, მაგრამ წესიერი ჭედვის მონეტების ორ ტიპად დაყოფა ძალდატანებითია (პახომოვი 1970: 80-86) – უფრო ქვე-ტიპებია.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც თამარის პირველი ქორწინება 1185 და არა 1187 წლით თარიღდება (პაპასქირი 1982: 130), შესაბამისად, 1187 წლამდე რჩება საკმარისი დრო, რომ ამ პერიოდში ცალკე სამონეტო ტიპი გამოეშვათ.

ზოგი მკვლევარი გიორგი რუსის საქართველოდან გაძევებას 1187 წლით ათარიღებს (პაპასკირი 1982: 133). ასე რომ, ორი სამონეტო ტიპის ემისია (თამარ-გიორგისა და თამარის) დროში თანმხვედრი აღარაა; მაგრამ, კიდეც რომ იყოს, ეს არ იქნებოდა გადაულახავი წინაღობა. დავით კაპანაძე მართალია, როდესაც წერს, რომ გიორგი III-ს შეეძლო გამოეშვა ახალი სამონეტო ტიპი, თანამოსაყდრესთან ერთად, მით უფრო „რომ თანამოსაყდრეობის გამოცხადება მთავრობის შემადგენლობის ერთგვარი ცვლილება არის“; მაგრამ ამის გაკეთება ასევე შეეძლო გიორგი რუსსაც. დავით კაპანაძე ისევ ცდება, როდესაც წერს, რომ გიორგი რუსის პერიოდში თამარ-გიორგის, და ცალკე თამარის მონეტების გამოშვების შემთხვევაში „აქაც ერთი და იმავე მთავრობის ორი სხვადასხვა ტიპის სიქასთან გვექნებოდა საქმე“; თუკი „თანამოსაყდრეობის გამოცხადება მთავრობის შემადგენლობის ერთგვარი ცვლილება არის“, და ამიტომ შესაძლებელია დავუშვათ ცალკე გიორგი III-ის მონეტების, და ცალკე გიორგი III-ისა და თამარის მონეტების ემისია, მაშინ თამარის გათხოვება და მეფედ გიორგი რუსის გამეფება ასევე „მთავრობის შემადგენლობის ერთგვარი ცვლილება არის“, და ამიტომ ასევე შესაძლებელია დავუშვათ ცალკე თამარის მონეტების, და ცალკე გიორგი რუსისა და თამარის მონეტების ემისია. ამრიგად, ამ არგუმენტით შეუძლებელია ჩვენთვის საინტერესო მონეტაზე დაფიქსირებული გიორგის გიორგი რუსთან გაიგივების გამორიცხვა და გიორგი მესამესთან გაიგივების ვერსიის დადასტურება;

4) დავით კაპანაძე მიაწერს ევგენი პახომოვს „ამ ჩვენი მონეტის გიორგი რუსისათვის მიკუთვნების ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად“ იმის მტკიცებას, რომ ასეთი მონეტები არასოდეს არ იდამღებოდნენ „Ⴇ“-ით, როგორც ეს თამარის დანარჩენ უწესო მონეტებზეა, და ეს ვითომ იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი ცენტრალური ხელისუფლების მიერ არ ყოფილა მოჭრილი და მთავრობის მოხელეთა ხელში არ გაუვლიათ“ (კაპანაძე 1944: 194); (კაპანაძე 1949: 62-63). დავით კაპანაძის აზრით, ეს დამღა „არც გიორგი III დროს ყოფილა ხმარებაში“ (კაპანაძე 1944: 194); (კაპანაძე 1949: 63). ანუ, იგულისხმება, რომ თამარ-გიორგის მონეტებზე დამღების არარსებობა ადასტურებს გიორგი III-ის ვერსიას; გარდა ამისა, აჯანყებულებს რომ მოეჭრათ თამარ-გიორგის მონეტები, არ გაუჭირდებოდათ დამღის ფალსიფიცირებაცო (კაპანაძე 1949: 63). რამდენად სარწმუნოა ეს არგუმენტები?

მონეტებზე დაფიქსირებული გიორგის ვინაობაზე მსჯელობისას პახომოვს საერთოდ არ მოუხმია ის ფაქტი, რომ თამარ-გიორგის მონეტებზე „Ⴇ“-დამღა არ გვხდება; მხოლოდ ცალკე თავში, რომელიც ამ ეპოქის ქართულ მონეტებზე დარტყმულ დამღებს ეძღვნება, გამოთქვა ძალიან ფრთხილი ვარაუდი, რომლის თანახმადაც, „არის შესაძლებლობა თამარისა და გიორგის მონეტების გამოშვება მივაწეროთ – გიორგი რუსს“, რაკი ზარაფხანის მოხელეთა ხელში არ გაუვლია, ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლების (ხელისუფლებისგან ზარაფხანის) მოიჯარადეების მიერ არ იყო მოჭრილი (პახომოვი 1970: 113). [4] ევგენი პახომოვი აქ აშკარად იხრება იმ მოსაზრებისკენ, რომ თამარ-გიორგის მონეტებს გიორგი რუსის აჯანყებული მომხრეები ჭრიდნენ.

თუ დავუშვებთ, რომ თამარ-გიორგის სახელით, განსხვავებული ტიპის მონეტას აჯანყებულები ჭრიდნენ, საერთოდ, რატომ უნდა გაეყალბებინათ დამღა, რომლითაც მხოლოდ თამარის სახელის მატარებელი, განსხვავებული ტიპის მონეტები იდამღებოდა? აქ დავით კაპანაძის მსჯელობის არსი გაუგებარია.

დავით კაპანაძე მართალია, როცა თვლის, რომ თამარ-გიორგის მონეტებზე დამღების არარსებობა არ გამორიცხავს გიორგი III-ის ვერსიას; მაგრამ ის არ გამორიცხავს გიორგი რუსის ვერსიასაც, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ მონეტას გიორგი რუსის აჯანყებული მომხრეები ჭრიდნენ; ან, თუნდაც, მისი ემისია 1185-1187 წლებში წარმოებდა, თამარ-გიორგის ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ამრიგად, დავით კაპანაძის ეს არგუმენტი ასევე ვერ გამოდგება გიორგი რუსის ვერსიის გამოსარიცხად;

5. ე. პახომოვის დასაბუთების კრიტიკის გარდა დავით კაპანაძეს მოჰყავს საკუთარი არგუმენტიც, ფაქტი, რომლისთვის, მისი აზრით, „ე. პახომოვს სრულებით არ მიუქცევია ყურადღება“. კერძოდ, ის აღწერს თამარისა და მისი მეორე მეუღლის, დავით სოსლანის ერთობლივ (წესიერი ჭედვის) მონეტას (დათარიღებულს ქართული ქრონიკონის 420, ანუ, ქრისტეშობიდან 1200 წლით), და, სამართლიანად აღნიშნავს, რომ მონეტის შუბლის ქართულ ზედწერილებში ორივე მეუღლეა დასახელებული, რაიმე ტიტულის გარეშე (დავამატებთ, რომ მმართველების ჩამოთვლა თითქოს თამარით იწყება, რომლის სახელიც დაქარაგმებულად მარცხნივ არის მითითებული, ანუ, პრიორიტეტი თამარს აქვს მინიჭებული); ზურგის არაბულ ზედწერილში კი მხოლოდ თამარია, თანაც აღნიშნულია თუ ვისი ასულია, „წინ უძღვის სათანადო წოდებულებაც და შესაფერისი ეპიტეტებიც“ (კაპანაძე 1944: 194-195); (კაპანაძე 1949: 62-63). ამის საფუძველზე დავით კაპანაძე ამტკიცებს:

> თუ თამართან კეთილგანწყობილებაში და მეუღლეობაში მცხოვრები დავით სოსლანი არ ითვლებოდა მის თანაბარ მეფედ და ისიც მაშინ, როდესაც მისგან თამარს უკვე ჰყავდა ტახტის მემკვიდრე (რაც დავით სოსლანის მდგომარეობას კიდევ უფრო განამტკიცებდა), ეს მით უფრო მოსალოდნელი უნდა იყოს პირველი მეუღლის მიმართ, რადგან ჩვენ ვიცით, რომ რუსი თავადის მდგომარეობა თავიდანვე ფრიად მერყევი იყო. ამნაირ მდგომარეობაში, გიორგი რუსს „მეფეთა მეფის“ წოდებულებას რას უბოძებდნენ იმ დროს, როდესაც საქართველოს ნამდვილი საჭეთმპყრობელი, ბრწყინვალე თამარი აქვე მოხსენიებულია მხოლოდ „მეფე და დედოფლად“ (კაპანაძე 1944: 195); (კაპანაძე 1949: 63).

სხვაგან დავით კაპანაძე იგივე აზრს უფრო მოკლედ აყალიბებს:

> იქ, სადაც თამარი მხოლოდ „მეფე და დედოფლად“ არის ნახსენები, შეუძლებელია, რომ მის მეუღლეს გიორგი რუსს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ prence consord[5] იყო, „მეფეთა მეფის“ პრეტენზიები ქონოდა [...] თუ თამარის მეორე მეუღლეს დავით სოსლანს, რომელთანაც ის სრულ თანხმობაში იყო, საქართველოს მეფისა და დედოფლის თანასწორობის პრეტენზია არ ჰქონია, მისი პირველი მეუღლე ამაზე ვერც იოცნებებდა (კაპანაძე 1969: 75, 77).

მაგრამ შეცდომაა 1200 წელს არსებული სიტუაცია, თამარის მეორე მეუღლის, დავით სოსლანის იმდროინდელი სტატუსი ავტომატურად გადავიტანოთ 1185-1187 წლების მდგომარეობაზე, როდესაც ისტორიული ვითარება საკმაოდ განსახვავებული იყო. „ფრიად მერყევი“ ხომ თავისი ზეობის დასაწყისში სწორედ თამარის მდგომარეობა გახლდათ და არა მარტო გიორგის რუსის. თავად გიორგი რუსის ჩამოყვანაც ხომ პარტიათა შორის ბრძოლას უნდა დავუკავშიროთ (პაპასქირი 1982: 123-127); რის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თამარის პრიორიტეტის წარმოჩენის ნება, რომელიც ასე აშკარაა თამარ-დავითის წესიერი ჭედვის 1200 წლის მონეტებზე, ძალაში უნდა ყოფილიყო თამარის ზეობის დასაწყისშიც? შიდა-პოლიტიკური სიტუაცია სახელმწიფოში საკმაოდ განსხვავებული იყო; ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია, რომ სამონეტო პოლიტიკაც განსხვავებული იქნებოდა.

რაკი თამარ-დავითის მონეტაზე თამარის უფრო მაღალი სტატუსით წარმოჩენაზე ჩამოვარდა საუბარი, უადგილო არ იქნებოდა აღნიშვნა, რომ არსებობს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც წესიერი ჭედვის ამ მონეტებზე ზოგიერთი დამღის დატანით ხელისუფლება ცდილობდა აემაღლებინა დავით სოსლანის სტატუსი, ყოველ შემთხვევაში, მონეტის ორივე მხარეს ის უფრო მეტად წარმოეჩინა, ქართულადაც და არაბულადაც (ფაღავა 2017).

მაშ, რის საფუძველზე ამტკიცებდა დავით კაპანაძე, რომ იქ, სადაც თამარი მხოლოდ „მეფე და დედოფლად“ არის ნახსენები, შეუძლებელია, რომ მის მეუღლეს გიორგი რუსს მეფეთა მეფის პრეტენზიები ჰქონოდა თუ არ გამოირიცხა, რომ ეს სამონეტო ტიპი გიორგი რუსის აჯანყებულმა მომხრეებმა გამოუშვეს, რომელთაც სულ არ ექნებოდათ მოტივაცია, სამონეტო ტიპზე თამარის უზენაესობისათვის გაესვათ ხაზი?

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ დავით კაპანაძის ხუთი არგუმენტიდან თამარ-გიორგის მონეტის გიორგი III-ისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ ოთხი მოკლებულია ლოგიკას, ისინი ფაქტობრივ უზუსტობებზეა აგებული, და ვერანაირად ვერ გამორიცხავს გიორგი რუსის კანდიდატურას.

მეტ-ნაკლებად საფუძვლიანია პირველი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, თამარის ავტორიტეტის ასამაღლებლად, გიორგი III-ს შეიძლება ჰქონოდა სურვილი მონეტაზე ქალიშვილი წარმოეჩინა როგორც „სრულუფლებიანი თანამოსაყდრე და მეფის ბადალი დედოფალი“. ამის საწინააღმდეგოდ, ევგენი პახომოვი იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ მონეტაზე გიორგისა და თამარის თანასწორად წარმოჩენა ნაკლებად უდგება ახალგაზრდა თამარის მამასთან თანამოსაყდრეობას და უფრო შეესატყვისება თამარის მეუღლესთან ერთად მონეტის გამოშვების ვარაუდს.

ორივე მკვლევრის მოსაზრება ჰიპოთეტურია. რომელია უფრო სარწმუნო, უფრო ლოგიკური? ჩვენ უფრო ევგენი პახომოვის მოსაზრებისკენ ვიხრებით, თუმცა, გადაჭრით რაიმეს მტკიცება, მხოლოდ ამ მსჯელობის საფუძველზე მართებული არ ჩანს.

ევგენი პახომოვი დამატებით ასევე ითვალისწინებდა ეპოქის ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში მონეტაზე უმცროსი თანამოსაყდრის სახელის მითითების ტრადიციის არარსებობას. ეს გასათვალისწინებელი ფაქტია, თუმცა მაინც საფრთხილოა მამტკიცებელ საბუთად მისი მოხმობა: ერთხელ ტრადიციაც ხომ შეიძლებოდა დაერღვიათ.

მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით ჩვენ პირადად გარკვეულ უპირატესობას მაინც გიორგი რუსის ვერსიას მივანიჭებდით, თუმცა, ამის გადაჭრით მტკიცებისგან, თავს

შევიკავებდით. მაგრამ, კვლევამ საშუალება მოგვცა დამატებითი არგუმენტები ჩამოგვეყალიბებინა. ისინი მონეტაზე წარმოდგენილი გიორგის გიორგი რუსთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს.

პირველი დამატებითი არგუმენტი უკავშირდება გიორგის სახელის დაქარაგმებას. კერძოდ, გიორგი რუსის სასარგებლოდ და გიორგი III-ის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ თამარ-გიორგის უწესო ჭედვის ცნობაში მოყვანილ ყველა ცალზე გიორგის სახელი ყოველთვის დაქარაგმებულია როგორც ⴗⴖ / გ(იორგ)ი;[6] ხოლო გიორგი III-ის უწესო ჭედვის მონეტებზე კი აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში მხოლოასოიანი დაქარაგმებაა ⴗ / გ(იორგი). წვრილმანად ამას ვერ ჩავთვლით, ვინაიდან საუბარია საფასეზე, იმდროინდელი მასობრივი კომუნიკაციის პრაქტიკულად ერთადერთ საშუალებაზე, სახელმწიფოებრივ დეკლარაციაზე, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა სწორედ მონარქის სახელს ჰქონდა, და რომლის გადასხვაფერებაც არასასურველი იქნებოდა, თუნდაც საფასის სანდოობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუ ეს სამონეტო ტიპი გიორგი III-მ საკუთარი და ქალიშვილის სახელით მოჭრა, საკუთარი სახელის დაწერილობა რატომ უნდა შეეცვალა? სახელის ალტერნატიულად დაქარაგმება გასაგები ხდება, თუ დავუშვებთ, რომ მონეტის ემიტენტი გიორგი რუსია. ისიც და მისი სიმამრიც გიორგი III – ორივე ხომ გიორგია და ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ მიზანშეწონილად იქნებოდა მიჩნეული მათი განსხვავებულად დასახელება; მდგომარეობას ისიც არ ცვლის, რომ გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტებზე მისი სახელი ასომთავრული ან მხედრული გრაფემებით დაქარაგმებულია როგორც ⴗⴖ ან გი / გ(იორგ)ი; ვინაიდან, გიორგი რუსს წესიერი ჭედვის მონეტები არ გამოუშვია, და იდგებოდა გამოწვევის წინაშე, განესხვავებინა თავისი და გიორგი III-ის უწესო ჭედვის მონეტები; გიორგი III-ეს კი, პირიქით, თავისი და ქალიშვილთან ერთად მოჭრილი მონეტების მემკვიდრეობითობა-მსგავსება უნდა უზრუნველეყო.

მეორე დამატებითი არგუმენტი უკავშირდება თამარის სახელის დაქარაგმების ფაქტს. თამარის სახელი თამარ-გიორგის მონეტებზე სხვადასხვანაირად არის დაქარაგმებული: ⵃ ან ⵃⵜ ან ⵃⵐⵜ ან ⵃⵐ. მსგავსი რამ ქართული სამონეტო ტრადიციისთვის უჩვეულოა: დემეტრე I-სა და გიორგი III-ის უწესო ჭედვის მონეტებზე ყველგან სტანდარტული მხოლოასოიანი დაქარაგმებაა (Ⴇ ან ⴗ); თამარის უწესო მონეტებზე ყოველთვის მისი ხელრთვაა, წესიერი ჭედვის მონეტებზე კი სახელი დაქარაგმებულია, როგორც ⵃⵜ; გიორგი IV-ის ყველა ტიპის მონეტაზე მისი სახელი დაქარაგმებულია როგორც ⴗⴖ; რუსუდანის როგორც ვერცხლის, ასევე სპილენძის მონეტებზე სახელი დაქარაგმებულია სტანდარტულად, როგორც ⵐⵙⵀ (ფაღავა 2018: 53-61); (პატარიძე, ფაღავა 2013: 204).

თამარის სახელის არასტანდარტულად დაქარაგმება ერთი და იმავე ტიპის მონეტაზე ექსტრა-ორდინალური მოვლენაა. თამარის მონეტის გარდა განსხვავებული დაქარაგმების მაგალითი მხოლოდ გიორგი III-ის წესიერი და უწესო ჭედვის მონეტებზე გვაქვს, წესიერი ჭედვის მონეტებზე ყოველთვის არის ⴗⴖ და გი / გ(იორგ)ი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მონეტები, გარკვეული ალბათობით, მოკლე დროის განმავლობაში მოიჭრა. ეს უჩვეულობა, ჩვენი აზრით, უკეთ შეიძლება აიხსნას დაშვებით, რომ გიორგისა და თამარის სახელით საფასე მოიჭრა გიორგი რუსის აჯანყებული მომხრეების მიერ და არა სამეფო ზარაფხანის მიერ.

დიდი რაოდენობით თამარ-გიორგის მონეტის გამოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს საზიარო სიქებით მოჭრილი მონეტები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მსჯელობა, თამარ-გიორგის ყველა მონეტა ერთი ზარაფხანის ნამზადია, თუ რამდენიმესი. აქ ყურადღება უნდა მიექცეს საზიარო სიქებით ყველა მონეტას ახასიათებს თუ საზიარო სიქებით გაერთიანებული, მაგრამ ერთმანეთისგან იზოლირებული მონეტების ორი ან მეტი ჯგუფი გამოვლინდება.

ჩვენი მესამე დამატებითი არგუმენტი უკავშირდება თამარ-გიორგის სამონეტო ტიპის ქართულ-ენოვნობას.

ეს ფაქტი ასევე შეიძლება მიუთითებდეს გიორგი რუსსა თუ მის მომხრეებზე. საქმე ისაა, რომ ექსკლუზიური ქართულენოვნობა ამ ეპოქის ქართული სინამდვილისათვის უცხოა. ყველა დანარჩენ

სამონეტო ტიპზე არაბული ზედწერილები თუ არ დომინირებს, თანაბრად მაინც არის ქართულთან. ზოგად მონახაზს გავაკეთებთ: თბილისის აღების შემდეგ დავით აღმაშენებელმა მოჭრა ექსკლუზიურად არაბულენოვანი საფასე; დემეტრე I-ის რიგით პირველი სამონეტო ტიპი ასევე ექსკლუზიურად არაბულენოვანია, მომდევნოებზე კი ჩნდება მისი სახელის ასომთავრული მხოლოასოიანი დაქარაგმება; გიორგი III-ის უწესო ჭედვის სპილენძის მონეტაზე ასევე, მხოლოდ სახელის ასომთავრული მხოლოასოიანი დაქარაგმებაა – მხოლოდ წესიერი ჭედვის მონეტებზე ცოტა მეტი ქართული ტექსტია; თამარისა და გიორგი IV-ის, ასევე რუსუდანის მონეტების შემთხვევაში პარიტეტი მეტადაა დაცული: ცალი მხარე ქართულია, მეორე – არაბული; თუმცა, არაბული ტექსტი მაინც ბევრად მეტია, ვიდრე ქართული (ფაღავა 2012: 242-243).

ტეხილს მონეტებზე ქართულენოვანი ზედწერილის ხვედრითი წილის მკვეთრად ზრდის თვალსაზრისით წარმოადგენს გიორგი III-დან თამარზე ხელისუფლების გადაცემის დრო. ამიტომ, ამ კრიტერიუმით შეუძლებელია გაიმიჯნოს, თამარ-გიორგის მონეტა გიორგი III-ის ზეობაშია მოჭრილი და მის სახელს ატარებს, თუ თამარის ზეობაში, და გიორგი რუსის სახელს ატარებს.

ჩვენი აზრით, სამონეტო ტიპის ექსკლუზიური ქართულენოვნობა მაინც უფრო გიორგი რუსის ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს. ეს სამონეტო ტიპი რომ გიორგი III-ისა და თამარის სახელით ყოფილიყო მოჭრილი, მემკვიდრედ ქალიშვილის დასახელების აღსანიშნავად, მაშინ გიორგი III ზედწერილს გააკეთებინებდა არაბულადაც, რომ გზავნილს მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებშიც შეეღწია. გიორგი რუსისათვის კი, მთავარი იქნებოდა სწორედ შიდა, ქართულენოვანი აუდიტორია და იმ გარემოების ხაზგასმა, რომ, როგორც ევგენი პახომოვიც მიუთითებდა, თამარიც რჩებოდა მეფე და დედოფლად და მისი მეუღლეც მეფეთ მეფე იყო. გარდა ამისა, აჯანყებულთა განკარგულებაში შეიძლება არც ყოფილიყო არაბულის მცოდნე ხელოსანი.

გიორგი რუსის კანდიდატურის სასარგებლოდ და გიორგი III-ის საწინააღმდეგოდ მიუთითებს მონეტების ტექნიკური მახასიათებლებიც. სწორედ ამას უკავშირდება ჩვენი მეოთხე არგუმენტი.

ამ ეპოქის კავკასიაში უწესო ჭედვის მონეტების წარმოების ტექნიკური მხარე თავის დროზე განხილული აქვს ევგენი პახომოვს, რომელიც თვლიდა, რომ „გამდნარი ლითონი ჩამოისხმება საკმაოდ მსხვილ ნამზადებად [...] სიბრტყეზე და მიღებული ფირფიტების საბოლოო დამუშავება, სავარაუდოდ, ხდება გამოჭედვით“ (პახომოვი 1969: 259-260).

ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, სამონეტო ნამზადების გამოკვერვა-დაბრტყელება საქართველოში ყველა შემთხვევაში როდი ხდებოდა. ერთი და იგივე მონარქის უწესო ჭედვის მონეტებში გვხვდება როგორც დაბრტყელებული, აშკარად გამოკვერილი ცალები, ნაკლებ მომრგვალებული გურტით; ასევე, უფრო სქელი, მომრგვალებული კიდეების მქონე, ანუ, საფიქრებელია, გამოუკვერავ სამონეტო ნამზადზე სიქების ზემოქმედებით მოჭრილი ცალები; მაგალითად, დავით IV აღმაშენებლის არაბულენოვანი ტიპის საფასესა და დემეტრე I-ის სამონეტო მემკვიდრეობაში ორივე ტიპის მონეტები გვხდება; გიორგი III-ის უწესო ჭედვის სპილენძის მონეტებში ხშირია დაბრტყელებულ-გამოკვერილები; ხოლო მისი მემკვიდრეების, თამარისა და გიორგი IV ლაშას საფასე კი, უპირატესად, პირიქით, გამოუკვერავია; მათი უმრავლესობა შედარებით სქელ ნამზადზე სიქების ზემოქმედებითაა მოჭრილი და მომრგვალებული კიდეები აქვს. ასეთია თამარ-გიორგის მონეტების უმრავლესობაც. ამ ეპოქის ქართულ მონეტებთან მუშაობის გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ვფიქრობთ, დაგვეთანხმებიან, რომ ცუდად შენახული უწესო ჭედვის ცალების გარჩევისას, საგანგებოდ დაკვირვების გარეშე, თითქმის შეუძლებელია განასხვავო თამარ-გიორგის მონეტა, თამარისა და გიორგი IV-ის მონეტებისგან; გიორგი III-ის მონეტები კი შემთხვევათა უმრავლესობაში ადვილად გაირჩევა ხოლმე – დამზადების ტექნოლოგიით თამარ-გიორგის მონეტები სამონეტო საქმის შედარებით მეტად იმ ტენდენციას შეესაბამება, რომელიც საქართველოში უფრო წამყვანი ხდება თამარის დამოუკიდებელი ზეობის დაწყების შემდეგ; ანუ, იმ დროისთვის, როდესაც გიორგი III ცოცხალი აღარაა, გიორგი რუსი კი

პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოდის.

რასაკვირველია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონეტების მოჭრის ტექნიკა უკვე გიორგი III-ის ზეობაში შეიცვალა, ზუსტად მაშინ, როდესაც მისი ბრძანებით დაიწყო თამართან ერთობლივი მონეტების ემისია. და, შემდგომ, ეს ტექნოლოგია შენარჩუნდა თამარის დამოუკიდებელი მმართველობის პერიოდში. მაგრამ, ამის საწინააღმდეგო არგუმენტის მოყვანაც შეიძლება.

მეტ-ნაკლებად თანადროულ განძებში თამარ-გიორგის მონეტების ფარდობით სიხშირეზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ისინი გიორგი III-ის უწესო ჭედვის საფასეზე ბევრად უფრო იშვიათია (იხ. ქვემოთ), რაც, ჩვენი აზრით, დიდი ალბათობით გამორიცხავს მათ ემისიას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგალითად, 1179 წლიდან (თამარის თანამეფედ კურთხევა) 1184 წლამდე (გიორგი III-ის გარდაცვალება). ამდენად, თუ ეს მონეტები ნამდვილად გიორგი III-ის ბრძანებით მოიჭრა 1179 წელს, მათი ემისია დიდხანს, საფიქრებელია, არ გაგრძელდებოდა, და მხოლოდ იმ წლით შემოიფარგლა, შემდეგ კი კვლავ გაგრძელდა გიორგი III-ის გვიანდელი ტიპის უწესო ჭედვის მონეტების ემისია (ძლიერი სამეფოს აყვავებული ეკონომიკის პირობებში მოთხოვნილება საფასეზე მცირე არ იქნებოდა). ასეთ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ უნდა შეცვლილიყო ეს ანუ გამარტივებული წარმოების (ინტენსიური გამოკვერვის გარეშე) პრაქტიკა გიორგი III-ის მონეტების ხელახლა მოჭრის განახლებისთანავე.

ჩვენი მეხუთე დამატებითი არგუმენტი უკავშირდება თამარ-გიორგის მონეტების გადაჭედვის ფაქტებს.

ამ შემთხვევაშიც მონეტაზე მოხსენიებული გიორგის გიორგი რუსთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს ევგენი პახომოვის მიერ შემჩნეული ერთი გარემოება, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას, რომ მივიწყებას მიეცა; თავად ევგენი პახომოვსაც კი არ გამოუყენებია ეს არგუმენტი თამარ-გიორგის მონეტის ატრიბუციაზე მსჯელობისას. მას შენიშნული აქვს, რომ თამარ-გიორგის რამდენიმე მონეტა გიორგი III-ის მონეტებიდანაა გადაჭედილი (პახომოვი 1970: 90). ამ შეხედულების დამადასტურებელი ცალები პირადად ჩვენ არ შეგვხვედრია, თუმცა, ევგენი პახომოვის სამეცნიერო ავტორიტეტის გათვალისწინებით ჩვენ მას ვენდობით. რამდენადაც იშვიათი არ უნდა იყოს ასეთი ცალები, ცხადია, რომ მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია. გარდაცვლილი გიორგი III-ის შემორჩენილი ეგზემპლარების საკუთარ საფასედ ქცევა, ლითონისგან ახალი ცალების მოჭრის პარალელურად, დასაშვებია ვიფიქროთ თამარისა და გიორგი რუსის ერთობლივ ზეობაში, განსაკუთრებით კი აჯანყების კონტექსტში.

გიორგისა და თამარის სახელით მოჭრილი მონეტები საკმაოდ იშვიათია. ჩვენი მეექვსე არგუმენტი სწორედ ამ ფაქტით არის განპირობებული.

უკვე ჩატარებული გვაქვს გაერთიანებული ქართული სამეფოს სამონეტო მიმოქცევის ანალიზი (ფაღავა 2018: ტაბ. 2). ამ პერიოდის განძებში რამდენიმე ჯგუფი გამოვყავით. ამჯერად უნდა უგულებელყოფთ I ჯგუფის განძი, რომლის ზუსტი შემადგენლობა უცნობია და II და V ჯგუფის წესიერი ჭედვის მონეტებისგან შემდგარი განძები. ჩვენთვის საინტერესოა განძები, რომელთა შემადგენლობა ცნობილია; ესაა III ჯგუფის განძები ახალგამოქვეყნებულ სამშვილდის განძთან[7] (ბერიკაშვილი, პატარიძე 2019) ერთად, რომელიც ტეზავრირებულია ჯალალ ედ-დინის გამოჩენამდე, გარდა ნახიდურის 2012 წლის ანომალური განძისა,[8] და IV ჯგუფის, რომელიც უკვე ჯალალ ედ-დინის გამოჩენის შემდეგაა ტეზავრირებული და დიდი რაოდენობით შეიცავს წინამორბედი ეპოქის ქართულ უწესო ჭედვის მონეტებსაც.

III (სამშვილდის განძის ჩათვლით) და IV ჯგუფის განძებში, თამარ-გიორგის მონეტების ხვედრითი წილია საშუალოდ 0.2% (მერყეობა 0.2-1.0%; 11-დან 5 განძში ისინი საერთოდ არ არის წარმოდგენილი); გიორგი III-ის 15.2% (7.4-25.3%; ყველა განძშია), თამარის 34.9% (25.6-46.7%; ყველა განძშია); გიორგი IV-ის 33.7% (28.9-41.2; ყველა განძშია) (თამარისა და გიორგი ლაშას

მონეტების წილი, სინამდვილეში, როგორც ჩანს, მეტია. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მონეტის ზუსტი ატრიბუცია – მიკუთვნება თამარისა თუ გიორგი IV-ისადმი – გაძნელებულია.

მეტა-ანალიზი ცხადჰყოფს, რომ განძებში თამარ-გიორგის მონეტები გვხდება გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე გიორგი III-ის (დაახლოებით 70-ჯერ), თამარის (161-ჯერ), გიორგი IV-ის (155-ჯერ) უწესო სპილენძები.

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები საშუალებას გვაძლებს ვივარაუდოთ თამარ-გიორგის სამონეტო ემისიის არსებითი შეზღუდულობა – მოჭრის ხანგრძლივობისა თუ ინტენსიურობის მხრივ, ან, თამარ-გიორგის მონეტების შემდგომ ხელოვნურად (სახელისუფლებო ღონისძიებათა შედეგად) ამოღება მიმოქცევიდან.

ნებისმიერ შემთხვევაში მსჯელობას უფრო გიორგი რუსამდე მივყავართ:

როგორც ცნობილია, ქართველ მონარქთა უწესო ჭედვის სპილენძის მონეტები (დავით IV აღმაშენებლიდან მოყოლებული) ინარჩუნებდა ვალიდურობას რუსუდანის 1227 წლის რეფორმამდე, მათ მიმოქცევიდან არ იღებდნენ (ფაღავა 2018: 83); და თუ მაინც მიმოქცევიდან ამოიღეს (ან შეეცადნენ სრულად ამოეღოთ) გიორგისა და თამარის სახელთა მატარებელი მონეტები, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. მიუღებელი კი შეიძლება ყოფილიყო გიორგი რუსისა და თამარის ქორწინების პერიოდში მოჭრილი ან გიორგი რუსის აჯანყებული მომხრეების მიერ მოჭრილი საფასე, მაგრამ არა გიორგი III-ის მონეტები.

იმ შემთხვევაში თუ ამ მონეტების იშვიათობა იმითაა გამოწვეული, რომ ისინი მცირე რაოდენობით იჭრებოდა დროის მოკლე პერიოდში, მაშინ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, ამგვარი ვითარება როდის შეიძლება ყოფილიყო: გიორგი III-ის მიერ ქალიშვილის სახელითაც მონეტის მოჭრის (1179-1184?) დროისათვის თუ გიორგი რუსის და თამარის ქორწინების ხანმოკლე პერიოდისთვის (1185-1187?) და გიორგი რუსის აჯანყებული მომხრეების მიერ საფასის მოჭრის (1191?) დროისათვის. ვფიქრობთ, თამარისა და გიორგის ქორწინების და გიორგი რუსის აჯანყების პერიოდები უფრო სავარაუდოა.

რასაკვირველია, შეიძლება დავუშვათ, რომ აღნიშნული მონეტები გიორგი III-ის განკარგულებით მხოლოდ (თანა)მეფედ კურთხევის წელს მოიჭრა (1179), როგორც ერთგვარი მემორიალური ემისია (გაბაშვილი 2008); (ფაღავა 2015ბ: 154-155); შემდეგ კი გაგრძელდა თუნდაც ისევ გიორგი III-ის უწესო სპილენძის გამოშვება. მაგრამ ეს წინააღმდეგობაში მოდის სამონეტო ტიპის ქართულენოვნობასთან, თამარ-გიორგის მონეტების ტექნოლოგიურ თავისებურებებთან, გიორგისა და თამარის სახელების დაქარაგმების თავისებურებებთან და გიორგი III-ის მონეტებიდან გადაჭედვის ფაქტთან ანუ ყველა იმ ფაქტთან, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამგვარად, ერთის მხრივ, ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ განსახილველ მონეტაზე დაფიქსირებული გიორგის გიორგი რუსთან გაიგივების თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ დავით კაპანაძის მიერ მოხმობილი არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი. მეორე მხრივ, ჩვენ თავი მოვუყარეთ როგორც ევგენი პახომოვის გამოთქმულ, ისე ჩვენ მიერ მოძიებულ ფაქტებს, რომლებიც მხარს უჭერს სწორედ მონეტაზე მოხსენიებული გიორგის გიორგი რუსთან გაიგივების თვალსაზრისს. ეს ფაქტები თუმც ირიბი მტკიცებულებებია და ცალკე-ცალკე აღებული რაიმეს გადაწყვეტით მტკიცების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ერთიანობაში ისინი მეტ ძალას იძენს და გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ თამარ-გიორგის მონეტებზე დასახელებული გიორგი არის გიორგი რუსი და არა გიორგი III ან გიორგი IV.

შენიშვნები

[1] ის რომ თამარს პირველს ვასახელებთ არ ნიშნავს თავისთავად იმას, რომ მას მივიჩნევთ მონეტის წამყვან ემიტენტად.

[2] არაა ცალსახა, თუ რომელი მხარეა შუბლი და რომელი ზურგი. მონეტების ტექნიკური მახასიათებლები არ

იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ, რომელი სიქა იყო ქვედა, გრდემლის, ანუ, შუბლის, და რომელი – ზედა, უროსი, ზურგის. შინაარსობრივად კი, რომელი მხარეა შუბლი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მეფესთან გავაიგივებთ ერთ-ერთ მხარეზე დასახელებულ გიორგის. თუ ეს არის გიორგი III, თამარის მამა, მაშინ მისი სახელის მატარებელი მხარე შუბლია; თუ გიორგი IV, თამარის ძე, ან, გიორგი რუსი, მაშინ, დამოკიდებულია იმაზე, უფროსობას გიორგის მივანიჭებთ თუ თამარს; ანუ, დამოკიდებულია იმდროინდელ ისტორიულ გარემოებებზე (და მათ ინტერპრეტაციაზე).

[3] დავით კაპანაძე ცდილობს აჩვენოს ევგენი პახომოვის თვალსაზრისის ალოგიკურობა, როდესაც ეს უკანასკნელი თამარ-გიორგის მონეტასთან მიმართებაში ჰიპოთეტურ ფრაზას „თამარი ასული გიორგისა“ თამარის მეორეხარისხოვან მმართველად აღნიშვნის მაჩვენებლად თვლის, თავად კი, ანალოგიური ფრაზით „გიორგი ძე თამარისა“. უკვე გიორგი IV ლაშას მონეტასთან მიმართებაში წერს, რომ მასზე პირველ ადგილას გიორგი IV გამოდის. სინამდვილეში, ლოგიკურობის პრობლემა აქვს თავად დავით კაპანაძის მსჯელობას და ანალოგიას, ვინაიდან თამარ-გიორგის მონეტაზე ორი მმართველია, და სწორედ ამიტომ ხდება გასარკვევი, მონეტაზე მითითებული გიორგი და თამარი თანასწორუფლებიანები არიან თუ არა; გიორგი IV-ის მონეტაზე კი მონეტის ორივე მხარეს მხოლოდ გიორგია მითითებული.

[4] მკვლევარი საინტერესო, მაგრამ, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელ ჰიპოთეზას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ზარაფხანა იჯარით გაიცემოდა.

[5] ციტირებისას ორიგინალის ორთოგრაფიას ვტოვებთ უცვლელად.

[6] ზურაბ ღვინჯილიას კოლექციაში ნანახი გვაქვს თამარ-გიორგის მონეტა, რომელზედაც გიორგის სახელი დაქარაგმებული იყო როგორც Ⴗ, ანუ, ისევე, როგორც გიორგი III-ის მონეტებზე. აწ განსვენებული ნუმიზმატი ამ მონეტის შესახებ სამეცნიერო ნაშრომის დაწერასაც გეგმავდა, თუმცა, მას ეს არ დასცალდა. პატინისა და ზედწერილების კალიგრაფიის, ისევე როგორც წარმომავლობის გათვალისწინებით დიდი ალბათობით აღნიშნული მონეტა ყალბი უნდა იყოს.

[7] გიორგი III-ის ადრეული ტიპის 6 მონეტა, გვიანდელი ტიპის 39 მონეტა, თამარის 93 მონეტა, თამარ-გიორგის 1 მონეტა, თამარის ან გიორგის 4 მონეტა, გიორგი IV-ის 75 მონეტა (აქედან 53 რუსუდანის დამღით). სულ, არაქართული და გაურკვეველი (სავარაუდოდ, ქართული) მონეტების ჩათვლით, 256 ეგზემპლარი.

[8] ამ განძში (№14) თამარ-გიორგის მონეტების ხვედრითი წილი უჩვეულოდ მაღალია - 28.6%, რაც აჩენს ეჭვს იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად სწორად ასახავს სამონეტო მიმოქცევას პუბლიკაცია, რომელშიც ისაა წარმოდგენილი. განძი ძალიან მცირერიცხოვანია, შედგება სულ 21 მონეტისგან (პატარა ციფრების შემთხვევაში მეტია შემთხვევითი დევიაციის რისკი, რომელიც ზოგად სურათში სტატისტიკურ ხარვეზს შეიტანს); მეორეს მხრივ, მასში შემავალი 21 მონეტიდან მოცემულია მხოლოდ 8 ცალის გამოსახულება, ისიც მდარე ხარისხის (ღვაბერიძე 2012), რაც, ბუნებრივია, ართულებს მონაცემების ობიექტურობის გადამოწმებას. ამიტომ ამ განძის მონაცემებს ნაშრომში არ ვითვალისწინებთ.

დამოწმებანი

ბერიკაშვილი, პატარიძე 2019: დ. ბერიკაშვილი, მ. პატარიძე. სამშვილდის განძი, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბიკოვი 1938: А. Быков. Грузинские монеты XII-XIII вв. *Памятники эпохи Руставели*, Ленинград, Издательство Академии наук СССР.

გაბაშვილი 2008: მ. გაბაშვილი. შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები (XII ს.), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, ტ., V.

დუნდუა, დუნდუა 2006: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. *ქართული ნუმიზმატიკა*, ნაწილი I, თბილისი, არტანუჯი.

კაპანაძე 1944: დ. კაპანაძე. „გიორგისა და თამარის“ სახელით მოჭრილი ფულის შესახებ, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ., XII-B.

კაპანაძე 1969: დ. კაპანაძე. *ქართული ნუმიზმატიკა*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კაპანაძე 1949: Д. Капанадзе. О медной монете с именем Георгия и Тамары. *Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры АН СССР*, вып., XXIV.

ლენგი 1955: D. Lang. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, New York.

ლომოური 1938: თ. ლომოური. *ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური*

ძეგლები, თბილისი, ტექნიკა და შრომა.

პაპასქირი 1982: З. Папаскири. *У истоков грузино-русских политических взаимоотношений*, Тбилиси, Издательство ТГУ.

პატარიძე, ფაღავა 2013: მ. პატარიძე, ი. ფაღავა. გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა, *საისტორიო კრებული, ტომი 3*.

პახომოვი 1970: Е. Пахомов. *Монеты Грузии*, Тбилиси, Мецниереба.

პახომოვი 1969: Е. Пахомов. О технике чеканки медных монет в Закавказье в конце XII – начале XIII вв. *Советская Археология*, N 3.

პახომოვი 1926: Е. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья, *Труды о-ва обследования и изучения Азербайджана*, вып., 3, Баку, Издание Общества обследования и изучения Азербайджана.

პახომოვი 1957: Е. Пахомов. *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа*, Выпуск VII. Баку, Издательство Азербайджанской академии наук.

ფაღავა 2011: ი. ფაღავა. ჯავახთ უფლის მონეტები – კომპლექსური ანალიზი. *საისტორიო კრებული, ტომი 1*.

ფაღავა 2012: I. Paghava. The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah. *3rd Assemani Symposium on Islamic Coins, Roma, 23-24 September 2011, Eds. Bruno Callegher and Arianna D' Ottone,* Trieste.

ფაღავა 2015ა: I. Paghava. An Irregular Copper Coins of Queen Tamari of Georgia with no Wreath of Rosettes, *Journal of Oriental Numismatic Society*, 222.

ფაღავა 2015ბ: I. Paghava. Art, Court Culture and Economy in the Epoch of Queen Tamari: Monetary Implication, *Pro Georgia,* N25.

ფაღავა 2017: И. Пагава. Возможное значение некоторых надчеканок, наносившихся на медные монеты неправильного и правильного чекана царицы Тамар, *Нумизматические чтения Государственного исторического музея 2017 года. Москва, 23 и 24 ноября 2017 г. Материалы докладов и сообщений. Памяти Татьяны Юрьевны Стукаловой (17.12.1958-16.01.2017),* Москва, РИА Внешторгиздат.

ფაღავა 2018: И. Пагава. Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии, Тбилиси, Артануджи.

ფაღავა და *სხვები* 2017: ი. ფაღავა, რ. სპანდერაშვილი, გ. გოგავა, დ. მიქელაძე, ე. ჭანიშვილი, თ. გაბრიაძე. რუსუდან მეფის ვერცხლის ემისია (მასალა კორპუსისთვის, მოჭრის ადგილი, მემორიალური ბუნება, მიმოქცევა, დადამღვა, შენადნობის შემადგენლობა), *საისტორიო კრებული, ტომი 6*.

ღვაბერიძე 2012: ც. ღვაბერიძე. ნახიდურის განძი, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, 3 (48-B).*

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, *თხზულებები თორმეტ ტომად*, ტომი II. თბილისი, მეცნიერება.



უწესო ჭედვის მონეტა თამარისა და გიორგის სახელით

WHO IS GIORGI ACKNOWLEDGED ON THE COINS OF TAMAR AND GIORGI?

Irakli Paghava

The attribution of certain medieval Georgian coin type, minted in the name of Giorgi and Tamar is disputable. Who was this Giorgi: the King Giorgi III, Queen Tamar's father and predecessor, who could issue this coin type in 1179 or 1179-1184 time period, having crowned his daughter in 1179; Giorgi the Russian, Tamar's first husband and co-ruler, during their short (1185-1187) marriage or later while being the nominal leader of rebellion (1191); or King Giorgi IV Lasha, Tamars son and co-ruler first (approximately, second half of the 1200s), then successor (after 1210)? Yevgeniy Pakhomov argues that the coin type was issued in the name of Giorgi the Russian), while David Kapanadze attempts to demonstrate that it could be issued only by Giorgi III. With the first point agree Tamar Lomouri and Alexey Bykov, with second one − David Lang, Giorgi and Tedo Dundua, Maia Pataridze .

Having reviewed the arguments of both researchers Yevgeniy Pakhomov and David Kapanadze, as well as additional evidences, we concluded, that the coin type under the consideration was probably issued in the name of Giorgi the Russian, either in 1185-1187 or 1191. We have demonstrated that David Kapanadze's criticism of Yevgeniy Pakhomov is unsubstantiated and irrelevant, whereas Kapanadze's additional argument (considering the legends on the coin type issued in the name of Tamar and her second husband, David) is methodologically wrong as well. Additional arguments (like technical peculiarities of the coins, how the names of Giorgi and Tamar are shortened, the rarity of the coin type, the fact that some specimens were re-struck from the coins of Giorgi III) convince us that Giorgi mentioned in the coin's legend should be identified with Giorgi the Russian's with more probability than with Giorgi III.

დრამატურგის ისტორიული პიესა და ისტორიკოსის იდეოლოგიური ინტერპრეტაცია: ნიკო ბერძენიშვილის გამოხმაურება პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ გამო

მერაბ ღაღანიძე

1954 წელს გამოიცა დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის (1895-1972) „რჩეულ თხზულებათა“ თითქმის ოთხასგვერდიანი კრებული, რომელშიც, სხვა პიესებთან ერთად, შესული იყო პირველად დაბეჭდილი „დავით მერვე“ (კაკაბაძე 1954: 131-228).[1]

1955 წლის გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილის სტატია-რეცენზია „დავით მერვის“ გამო (ბერძენიშვილი 1955). [2]

მოულოდნელი დამთხვევა აღმოჩნდა, რომ 1971 წელს ორივე ტექსტი განმეორებითი და საბოლოო გამოცემისას ორივე ავტორის კრებულებში შევიდა.

პიესა, რომელსაც თავდაპირველად „ბახტრიონი“ ერქვა, ხანგრძლივად იწერებოდა, 1929 წლიდან მოყოლებული, მაგრამ მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახე მან, როგორც ჩანს, სწორედ 1954 წელს მიიღო.[3] თუმცა თხზულებამ მანამდეც და შემდგომაც არაერთი ცვლილება განიცადა, რაც საგანგებო საარქივო-ტექსტოლოგიურ კვლევასა და შესწავლას იმსახურებს. მაინც, ნაწარმოების საბოლოო ავტორისეულ ვერსიად მიჩნეული უნდა იქნეს ტექსტი, რომელიც დრამატურგმა „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით შეიტანა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოცემულ საკუთარ თხზულებათა ორტომეულის პირველ ტომში (კაკაბაძე 1971: 104-251). ამავე დროს, არსებობს პიესის საოპერო ვერსიაც – ლიბრეტოს სახით, რომელსაც „ბახტრიონი“ ეწოდება და რომელიც, თავად კაკაბაძის მიხედვით, 1934 წელსაა შესრულებული. ამ ლიბრეტოს ტექსტი იმავე ორტომეულის მეორე ტომშია შესული (კაკაბაძე 1973: 503-540).

„კახაბერის ხმლის“ მოკლე ლიტერატურული, სასცენო და მუსიკალურ-სასცენო ისტორია ამგვარია: მუშაობა პიესაზე, რომელსაც იმჟამად „ბახტრიონი“ ეწოდებოდა, პოლიკარპე კაკაბაძეს დაუწყია „ყვარყვარე თუთაბერის“ დამთავრებისთანავე, 1929 წელს, ხოლო 1934 წელს მისი დადგმა რუსთაველის თეატრში ჩაუფიქრებია სანდრო ახმეტელს, თუმცა ის მაშინ სცენამდე აღარ მისულა. იმავე, 1934 წელს პიესის მიხედვით დრამატურგს შეუქმნია საოპერო ლიბრეტო, რომლის საფუძველზე კომპოზიტორ გრიგოლ კილაძეს დაუწერია ოპერა „ბახტრიონი“, მაგრამ, გენერალურ რეპეტიციაზე მისი ჩვენების შემდეგ, იმჯერად არც ის დადგმულა. გამოუქვეყნებელი პიესა 1936 წლის ოქტომბერში განუხილავთ საქართველოს მწერალთა კავშირში, თუმცა ნაწარმოები, გამართული მსჯელობის შედეგად, დაუწუნებიათ გამოსაქვეყნებლად. 1940-იანი წლებიდან ავტორი მას უცვლის სახელწოდებას და არქმევს „კახაბერის ხმალს“. 1946 წელს მარჯანიშვილის თეატრში ჩატარებულა მის საფუძველზე მომზადებული სპექტაკლის გენერალური რეპეტიცია, მაგრამ საბოლოოდ ისიც აღარ წარმოდგენილა სცენაზე. როგორც ითქვა, პირველად პიესა, სახელწოდებით „დავით მერვე“, გამოქვეყნდა დრამატურგის საავტორო კრებულში 1954 წელს. „კახაბერის ხმალი“ პირველად, გიგა ლორთქიფანიძის რეჟისორობით, დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში, 1965 წელს, ხოლო მომდევნოდ, თეატრის გაყოფის შემდეგ, 1968 წელს, – სპექტაკლი გადატანილი იქნა რუსთავის თეატრში (კაკაბაძე 2011: 171, 174-176); შდრ. (კაკაბაძე 2003: 326-335).

მიუხედავად იმისა, რომ პიესის მოქმედება შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოს და, კონკრეტულად, მეფე დავით მერვის (სახელისუფლო მმართველობა: 1293-1311) – მეფე დიმიტრი მეორე

თავდადებულის ძის – ხანას უკავშირდება, კომედია[4] მაინც ავტორისეულ წარმოსახულ გარემოში ვითარდება და არანაირად არ აღწერს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებსა და გარემოებებს, არ ეფუძნება და არ გაშლის ისტორიულად დამოწმებულ მოვლენებს და, მით უმეტეს, არანაირად არ ასახავს – თუნდაც მცირედად – დავით მერვის მეფობას, რომელიც საკმარისადაა ცნობილი ისტორიული წყაროებით.[5] საყურადღებოა, რომ კაკაბაძის საოპერო ლიბრეტოს „ბახტრიონის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, სიუჟეტურად იგივე მეფე, საერთოდ, უსახელოა, ხოლო პიესასთან შედარებით ეს ბევრად მოკლე (ან შემოკლებული) ტექსტი საერთოდ არ უკავშირდება საქართველოს წარსულის რომელიმე განსაზღვრულ, გარკვეულ პერიოდს.

აღსანიშნავია, რომ დავით მერვის მეფობა გამორჩეული იყო მძაფრი, მრავალწლიანი დაუმორჩილებლობით მონღოლი დამპყრობლების მიმართ და ამ ბრძოლებს პირადად ხელმწიფე მეთაურობდა (ლომინაძე 1979: 609-612), მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება დრამატურგის ჩანაფიქრისათვის და ისინი სრულიადაც არ მიიქცევს მწერლის ყურადღებას.

ზოგადად, შესაძლოა ითქვას, რომ, მწერლის მხრივ, „კახაბერის ხმალში“ არსად მჟღავნდება რამენაირი მცდელობა, რამდენადმე მაინც აღწერილი იქნეს რომელიმე კერძო დრო ან დაცული იქნეს კერძო დროისეული ყოფითი სიზუსტე. პიესაში ქვეყნის წარსული წარმოდგენილია მხოლოდ მითოსურ-ფოლკლორულად, მითოსურ-ფოლკლორული სახეებით, თუმცა ნაწარმოების მოქმედების ქრონოლოგია თითქოს უნდა განისაზღვრებოდეს მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნით, დავით მერვის მეფობით, რაც ნაწარმოების ზოგიერთი ვერსიის სათაურითაცაა გაცხადებული.

პიესის მიხედვით, ამბის მსვლელობის დასაწყისშივე საქართველო დაპყრობილია მტრის მიერ, რომელსაც ტექსტში განუსაზღვრელად „თათრები“ ეწოდება, ხოლო ქვეყნის მდგომარეობა ყოველმხრივ და უკიდურესად ბედკრულია: გლეხი არ შრომობს და არაფერს ქმნის, მეომარი არ იბრძვის და არ იცავს სამშობლოს, ცოლ-ქმარი დაუძლურებულა და არ ზრდის შთამომავლობას, ბრძენი მიმალულა და არავის ასწავლის რასმე სასარგებლოს, მეფე დამფრთხალია და არც ცდილობს სახელმწიფოებრივ საქმეთა წარმართვას, ქვეყნის ძლიერების საყრდენი – ბახტრიონის ციხესიმაგრე – მტერს უკავია, ქვეყნის მხსნელად ნაგულვები კახაბერი დატყვევებულია და ორმოშია ჩაგდებული, ხოლო მისი უძლეველი ხმალი – „კახაბერის ხმალი“ – უსარგებლოდ აგდია უსაქმური გლეხის კერაზე.

ნაწარმოებში მოქმედებათა განვითარებისას, მოულოდნელად და უცაბედად, მაინც ჩამოყალიბდება მოხალისე მებრძოლთა ლაშქარი, რომელიც სხვადასხვა ხრიკის გამოყენებით გაათავისუფლებს ბახტრიონს, შიგნით მყოფთა ნებსითი თუ უნებლიე დახმარებითაც, თუმცა ამ ბრძოლას მეთაურად არც მეფე უდგას და არც კახაბერი, რომელიც, სამშობლოს გადამრჩენად არის მიჩნეული, მხოლოდ პიესის ბოლოს, მხოლოდ სახილველის სიღრმეში გამოჩნდება ბუნდოვანი აჩრდილის სახით, როცა მას მის საკუთარ ხმალს გადასცემს სახალხო მეომართა მეთაურის განთავისუფლებული ცოლი, სულ ცოტა ხნით ადრე გამოხსნილი ბახტრიონის ტყვეობიდან.[6]

როგორც ჩანს, დრამატურგს მიზნად არ დაუსახავს, „კახაბერის ხმალს“ ჰყოლოდა ერთი წამყვანი მოქმედი პირი, რომელიც ნაწარმოების მთელ ქმედებასაც იტვირთავდა, დამუხტავდა, განაპირობებდა, და ავტორის სათქმელსაც შეძლებისდაგვარად ცხადად გადმოსცემდა. ამ შემთხვევისას, პიესის თავისთავად მითოსურ-ფოლკლორულმა სულისკვეთებამ, მაგრამ არა იმდენად ეპიკურმა ჩარჩო-საფუძველმა, რამდენადაც უფრო საერთო-ხალხურმა მდინარებამ და მისწრაფებამ, ან საერთო-სახალხო გამოხატულებამ განსაზღვრა, რომ თხზულების განფენილობაში ქცევათა თუ საქციელთა სიმძიმე გადანაწილებულიყო სხვადასხვა მოქმედ პირთა მთლიანობაზე, – ერთი რომელიმე გამორჩეული გმირის გამოკვეთის გარეშე. საქმე ისაა, რომ მოლაშქრეთა მეთაური გოსტაშაბი პიესის განმავლობისას ხანგამოშვებით, იშვიათად გამოჩნდება ხოლმე; მეფე დავით მერვე, რომელიც პიესის სასათაურე პერსონაჟადაც კი ჰქონდა არჩეული ავტორს ერთ დროს (ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა პიესას რეცენზიით გამოეხმაურა ნიკო ბერძენიშვილი), საერთოდ, ფერმკრთალად გაიელვებს

პიესის განმავლობაში და, ფაქტობრივად, არავითარი განსაკუთრებული ქმედებით არ გამოირჩევა; დაბოლოს, კახაბერი, რომელიც პიესის საბოლოო ვერსიაში სასათაურე პერსონაჟი ხდება, ხილულად სულაც არ ჩნდება პიესის განმავლობაში და მისგან მკითხველი თუ მაყურებელი ერთ სიტყვასაც ვერ მოისმენს.[7]

ღირსშესანიშნავია ისიც, რომ თავად გოსტაშაბიც ირეკლავს ნაცარქექიას ფოლკლორულ სახეს,[8] რომელიც სრულიადაც არ ხასიათდება რამენაირი ეპიკური თვისებებით და, როგორც ზღაპრის პერსონაჟი, უფრო საკუთარი მოხერხებულობით, მოტყუებითა და მოწინააღმდეგის სიბრიყვის მეშვეობით აღწევს გამარჯვებას.[9] ჩვეულებრივ, ნაცარქექიას მთავარი თვისება უსაქმურობა და უმოქმედობაა, მაგრამ თუკი იგი რასმე საქმეს ან ქმედებას შეუდგება, სინამდვილეში ესეც უთუოდ თვალმაქცობა და თვითმარქვიობაა.

საერთოდ, „კახაბერის ხმლის“ მოქმედ პირებს გაუფერულებული, ხშირად წაშლილიც აქვთ საკუთარი პიროვნული სახე, რადგან ისინი განუწყვეტლად ფარავენ ან გაურბიან თავის ვინაობასაც და მეობასაც, ერთთავად თვალმაქცობენ და თვითმარქვიობენ, მუდამ ირგებენ თუ იცვლიან ნიღაბს: გოსტაშაბი ქვეყნის გადასარჩენ საქმეს ჩაუდგება წინამძღოლად, თუმცა საამისოდ შესაფერისი თვისებები მას არანაირად არ გამოუვლენია მანამდე, როცა შინ მყოფი, მეუღლის გვერდით, მხოლოდ მუქთახორობით გამოირჩეოდა, მაგრამ რაკი გასაჭირის ჟამი ჩამოდგა, რაკი მეუღლე წაჰგვარეს, რაკი სამშობლოს გამოხსნა ცოლის გამოხსნას განუყოფლად გადაეჯაჭვა, მან ბრძოლა წამოიწყო, მოლაშქრენი დარაზმა და გამარჯვება მოიპოვა, თუმცა უმეტესწილად კახაბერის ფუჭი, ტყუილი სახელის დახმარებითა და გამოყენებით; ლიპარიტე კიკოტე, რომელიც, ზოგადად, თაღლითი და ყალთაბანდია, ჯერ ბახტანგ ხანის უფლისწული ასულის აღმზრდელად გამოაცხადებს თავს, თუმცა კარგად იცის, რომ გულქანა არავითარი ბატონიშვილი არაა, შემდგომ – მოღალატე თავადების სინდისის გამაღვიძებლად წარმოჩენას ლამობს, ბოლოს კი მეფის იდუმალ წარმოგზავნილობას მიიწერს, რათა თითქოს თავად ჩასდგომოდა სათავეში ბახტრიონის აღებას; შოშკობა დააჯერებს ბახტანგ ხანის ცოლს, ფატის, რომ მის მიმართ მგზნებარე ტრფიალებით აღენთო, თუმცა მისი გული გულქანას ეკუთვნის, ხოლო საბოლოოდ იგიც მიითვისებს თითქოსდა გადამწყვეტ მნიშვნელობას ციხესიმაგრეში გამაგრებული ბახტანგ ხანის დასამორჩილებლად; როსტომი, რომელიც ბრძენად და ერის გონიერ დამრიგებლადაა მიჩნეული, თანამემამულეთა თვალიდან გაუჩინარებულა და გლეხის ქოხს შეჰფარებულა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, მაგრამ იქაც ვერასოდეს ახერხებს რამე გონივრული რჩევის მიცემას და ნებისმიერ შემკითხველს, შეგონების მაგივრად, – მაცდური იდუმალებით, – ყოველთვის უშინაარსო ანდაზური გამონათქვამებით ისტუმრებს; გულქანა სამეფო ოჯახის წევრობას ადვილად იჯერებს, და სხვასაც აჯერებს, თუმცა უღატაკესი გლეხის ქალია; მეფე დავით მერვე ან მისი ძმა ბახტანგ ხანი თითქოს სრულიად განუსჯელად და შეუმოწმებლად დარწმუნდებიან, რომ გულქანა მათი ძმისშვილი ან ქალიშვილია, თუმცა ისინი, როგორც შემდგომ თავადვე აცხადებენ, უმალვე ხვდებოდნენ მათთვის ამ ხელსაყრელ სიცრუეს და მხოლოდ სარგებლობდნენ ამ გაცნობიერებული სიყალბით, რაკი მათი ნამდვილი მიზანი, ცბიერების მეშვეობით, მხოლოდ მტრის ნების აღსრულება იყო; დასასრულ მეფე ქვეყნის მხსნელი ბრძოლის მეთაურად წარმოაჩენს თავს, თუმცა თავდაპირველად აპირებდა ჩაჰბარებოდა მოღალატე ძმას და მის ყველა სურვილს დაჰმორჩილებოდა; სასტიკი და დაუნდობელი ბახტანგ ხანი თითქოს გულწრფელად დაჰყვება მორჩილ მლიქვნელთაგან შეპარებულ ფლიდობას, რომ ქვეყანაში ბარტყებდაკარგული დედა ჩიორას უბედურებაზე უფრო დიდი განსაცდელი არ მომხდარა და გულმხურვალედ დასტირის ჩიტის უბედურებას; ქვეყნის მოღალატე თავადები მოღალატე ბახტანგ ხანის წინააღმდეგ აჯანყებულებად აჩვენებენ თავს და სხვების დარწმუნებასაც ცდილობენ, რომ ისინი სამშობლოს საქმეს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან.

ზოგადად, ნაწარმოების პერსონაჟები სულ იტყუებიან და ატყუებენ ერთმანეთს, საკუთარ თავს მიწყივ სხვად წარმოაჩენენ, პიროვნულად სრულიად მოუხელთებელნი ხდებიან, ხოლო ნაწარმოების

მთავარი თუ სასათაურე პერსონაჟი – კახაბერი ჯერ, უბრალოდ, შეკერილი ტიკინაა, ანუ მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბს წარმოადგენს, როგორი იერითაც, არარსებული პიროვნული სახით, დააფრთხობს ქვეყნის მტერს და გამარჯვებას მოაპოვებინებს ამ უსულო თოჯინათი შეგულიანებულ ქვეყნის მოყვარეთ, თუმცა ნაწარმოების მიწურულს თითქოს ცოცხლად, მაგრამ მაინც სრულიად უსახურად და სრულიად უმეტყველოდ წარმოდგება.

ნამდვილი საქმე, სამშობლოს გადარჩენის საბოლოო და გადამწყვეტი საქმე, – რაკი თხზულება ისე მთავრდება, რომ მტრის საფრთხე მაინც დაუძლეველ-გარდაუვალია, – მხოლოდ ტექსტის მიღმა უნდა აღსრულდეს, ნაწარმოების დასასრულს იქით, „ესქატოლოგიურ“ მოლოდინში: მას შემდეგ, რაც კახაბერი დაბრუნდა და მას თავისი ხმალი სამოქმედოდ და საბრძოლველად დაუბრუნდა.

კომედიის მსვლელობისას იკვეთება, რომ მისი პერსონაჟები, ფოლკლორულ-მითოსურ პერსონაჟთა მსგავსად, ცხადად იცვლიან სახესაც და დანიშნულებასაც, რითაც ისინი პიროვნულად მეტად საძნელოდ მოსახელთებელნი ხდებიან: მუქთახორა მამაც მეომრად გადაიქცევა, მუსუსი – თავგანწირულ მეტრფედ, მოღალატე – მონანიე აღმსარებლად, კერას მიჯაჭვული ქალი – სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლად. მაგრამ არა მხოლოდ ისინი, არამედ ნივთებიც კი, ისევ ფოლკლორულ-მითოსური ნივთების მსგავსად, იცვლიან თავიანთ ჩვეულებრივ ბუნებას და ჯადოსნური ან თითქმის ჯადოსნური ძალით აღიჭურვებიან, რითაც ხშირად განსაზღვრავენ კიდეც იქ მყოფ ადამიანთა ქმედებებს: ამგვარია ხმალი, მარგალიტი, ბეჭედი, თუმცა პიესაში ამ ნივთების ნამდვილი არსებობაც ისევე სათუო და გაურკვეველია, როგორც მათი ძალმოსილების უნარი.

რაც შეეხება თვით კახაბერის სახეს, – ისევ ფოლკლორულ-მითოსურ სახეს, – თხზულებაში ითქმება, რომ „კახაბერობას ყველა ვერ იქმს“ (კაკაბაძე 1971: 249), თუმცა თავად მისი არანაირი გმირობა ნაწარმოების ფურცლებზე არსად ჩანს. მისი თავდადების შესახებ კი, რომელიც კერძოდ არსად განისაზღვრება და ბოლომდე უშინაარსოდ რჩება, მხოლოდ პერსონაჟები ლაპარაკობენ, – უმეტესად, გადმოცემათა მეშვეობით. ისიც სათქმელია, რომ პიესის თითქმის დასასრულამდე (თუკი გამოირიცხება გვიან დამატებული ავტორისეული პროლოგი), იგი ორმოშია ჩაგდებულ-დატუსაღებული, ხოლო მტერს აფრთხობს არა თავად ნამდვილი კახაბერი, არამედ მხოლოდ მისი სახელი და მისი ტიკინა. ამასთანავე, მკაფიოდ განუმარტავია, როგორ გათავისუფლდა იგი ტყვეობიდან, რის შესახებ ვრცელდება განსხვავებული თქმულებანი, რომელთაც თავად პერსონაჟებიც კი არ იჯერებენ: „მასეთი [...] ზღაპრები არ მწამს“ (კაკაბაძე 1971: 229) .

უნდა ითქვას, რომ ქართულ ფოკლორულ წყაროებშიც კახაბერის ვინაობა მეტისმეტად ბუნდოვანია და, ფაქტობრივად, მხოლოდ დავით გურამიშვილის მიერ მის ასევე ბუნდოვან მოხსენიებას ეყრდნობა: „მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გაჭდეს გასაბერად, // ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“ (გურამიშვილი 1955: 50), ხოლო ის, თუ, საკუთრივ, ვის გულისხმობს აქ პოეტი, ან რატომ ახსენებს მას, საგანგებო კვლევით ლიტერატურაშიც კი, შეიძლება ითქვას, აუხსნელი და განუმარტავია.[10] ამდენად, კახაბერის პიროვნებაც – თუნდაც ისტორიულად და თუნდაც დრამატურგიულად – სრულიად გაურკვეველი, დაუდგენელი და სიცხადეს მოკლებულია.

შემდგომში – პიესის სტრუქტურული ცვლილებისას – დრამატურგმა „კახაბერის ხმლის“ მოქმედება კიდევ უფრო ან საერთოდ მოაშორა ისტორიულ გარემოს (თუმცა სიუჟეტურად ამბავი ასევე სრულებით მოწყვეტილი იყო ისტორიულ კონკრეტულობას უფრო ადრეულ „ბახტრიონშიც“), როცა ნაწარმოების საბოლოო ვერსიაში თხზულების ოთხ მოქმედებას (განსხვავებით პიესის დანარჩენი ტექსტის პროზაული გადმოცემისაგან) წინ წაუმძღვარა პოეტური, ლექსითი პროლოგი (კაკაბაძე 1971: 107-112). ეს პროლოგი გათამაშდება მეფე გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, სასახლის მოედანზე, სადაც მეფის, პატრიარქის, კახაბერის, დიდებულთა წინაშე ბერიკები, მსახიობები ემზადებიან, წარმოადგინონ ის ქმედებები, რაც პიესაში ხდება. ეს გვიანდელი ავტორისეული გადაწყვეტილება იმას მეტყველებს, რომ დრამატურგმა საერთოდ უარყო ტექსტში აღწერილ მოვლენათა მიმართ ისტორიული

ნამდვილობის პასუხისმგებლობა, ხოლო ის, რაც პიესაში აისახება, მოხეტიალე ხელოვანთა მიერ წარმოდგენილ სახიობად წარმოჩნდება. კახაბერის ხმლის ამბავი, ამ დამატებული პროლოგის მიხედვით, საერთოდ, გადასცდება ისტორიული სანდოობის ჩარჩოებს და გადაიქცევა „თეატრონის“ მსახიობთა მიერ, ევაგრის მეთაურობით, გიორგი ბრწყინვალის კარზე, მეფის თვალწინ წარმოსახულ წარმოდგენად.

სათქმელია, რომ ის გამოხმაურება, რომლითაც ნიკო ბერძენიშვილი შეეგება პოლიკარპე კაკაბაძის პიესის – „დავით მერვის“ – გამოქვეყნებას, შეეხებოდა ნაწარმოების უპროლოგო ვერსიას, ხოლო ამ ვერსიაში კომედიის ისტორიული გარემო არ იყო ასე შეგნებულად თუ გაცხადებულად უგულებელყოფილი, რაც სწორედ პროლოგის შინაარსმა განაპირობა. მიუხედავად ამისა, მაინც უჩვეულოა ნიკო ბერძენიშვილის, პროფესიული ისტორიკოსის, მხრივ საგანგებო შეფასება-განხილვა პიესისა, სადაც, – ასეა თუ ისე, – ისტორიული თვალსაზრისით, მეტად მქრქალად, სიცხადის გარეშე, სრულიად არამკაფიოდაა აღწერილი საქართველოს წარსულის ერთი სურათი. ბერძენიშვილის ეს გამოძახილი და თავად ეს გამორჩევა, მით უმეტეს, გასაკვირველია იმ დროს, როცა ქართულ საბჭოურ ლიტერატურაში უხვად იქმნებოდა გარდასული ჟამის ამსახველი სხვადასხვა შინაარსისა და სხვადასხვა ღირებულების მხატვრული ნაწარმოებები, ხოლო არცერთ მათგანს ათწლეულების განმავლობაში არასოდეს მოჰყოლია მისეული რამეგვარი შეფასება. ამდენად, ხომ არ იყო ეს რეცენზია ნიკო ბერძენიშვილისათვის შესაძლო საბაბი, – რაკი თავად პოლიკარპე კაკაბაძის კვაზიისტორიული კომედია გარიდებული იყო კონკრეტული ისტორიული მოვლენების აღწერას, – გამოეთქვა თავისი შეხედულება ან შეხედულებანი არა რომელიმე კერძო, განცალკევებულ ამბავთა გამო ქვეყნის წარსული ცხოვრებიდან, არამედ გადმოეცა საკუთარი ზოგადი თვალსაზრისი შუა საუკუნეთა საქართველოს ერთიანი ისტორიის მსვლელობის, მისი სახეცვლილების ძირითადი ხაზის შესახებ? საფიქრებელია, რომ მკითხველის წინაშეა მცდელობა, ესკიზურად დაიხატოს ისტორიკოსის ხედვით წარმოდგენილი ის გრძელი და გარდამტეხი ეპოქა, – წინმსწრებ და მომდევნო ეპოქებთან ერთად, – რომელსაც იგი გამოხმაურების დასაწყისშივე, გამოკვეთილად, „გვიანფეოდალურ ხანას“ (ბერძენიშვილი 1971: 283) უწოდებს; ხოლო მსჯელობა ამ ხანის უმთავრეს დინებათა შესახებ კი ავტორს ასპარეზს აძლევს, გააზრებული იქნეს ქვეყნის ისტორიის განმსაზღვრელ-განმაპირობებელი ათასწლოვანი მიმართულება: ტექსტში დასახელებელია ორი უკიდურესი ქრონოლოგიური წერტილი: იოანე საბანის-ძიდან ნიკოლოზ ბარათაშვილამდე.

გასათვალისწინებელია, რომ ნიკო ბერძენიშვილს თავისი კვლევითი საქმიანობის განმავლობაში არასოდეს დაუწერია ფართო, ერთიანი ნაშრომი საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათის აღსაწერად თუ გამოსანაკვთავად, ხოლო მისი შეხედულებანი, – გამორჩეულად გააზრებულ-ჩამოყალიბებული, მეთოდურად განსაზღვრული, უაღრესად ნაყოფიერი, – სწორედ ამგვარად იყო გაფანტული მის ცალკეულ წვრილ ნარკვევებსა თუ სულაც ცალკეულ შემფასებელ გამოხმაურებებში (ვთქვათ, კოლეგათა გამოკვლევების გამო). როგორც ჩანს, საკუთარ შემოქმედებით გარემოებათა გამო, რაკი, სავარაუდოდ, მონუმენტურობა არ ყოფილა მისთვის ახლობელი და ჩვეული სტილი (თუნდაც პიროვნულად, თუნდაც აკადემიურად), იგი არცთუ იშვიათად სარგებლობდა ეროვნული ისტორიის არსებითი საკითხების შესახებ საკუთარ მოსაზრებათა გამოხატვის ამ ირიბი საშუალებით (ისტორიკოსის მემკვიდრეობის კიდევ განკერძოებული ფენაა სიცოცხლისას გამოუქვეყნებელი მრავალრიცხოვანი ჩანაწერ-მინაწერები).[11]

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ბერძენიშვილმა „კახაბერის ხმალი“ განიხილა მარქსისტული იდეოლოგიის საფუძველზე და განსჯის საგანგებო საყრდენად გამოიყენა მარქსიზმის (ან მარქსიზმ-ლენინიზმის) იმ ნაწილის პოსტულატები, რომელიც ისტორიული მატერიალიზმის სახელით იყო ცნობილი საბჭოთა კავშირში. მისი ამგვარი მეთოდური არჩევანი იმ დროს სრულებით არ იყო არც მოულოდნელი და არც უჩვეულო, მაგრამ ვერც იმის მკაფიოდ დადგენა მოხერხდება,

რამდენად ნებაყოფლობითი იყო მკვლევრის გადაწყვეტილება.[12] კომუნისტურ ქვეყანაში ისტორიკოსის უპირველეს საქმედ და მოვალეობად თანდათანობით იქცა საკუთარი კვლევის ჩაყენება მმართველი ძალაუფლების იდეოლოგიურ საჭიროებათა მოსამსახურებლად, როცა მოვლენები უნდა ახსნილიყო არა იმდენად ცოდნისა თუ გამოცდილების, რამდენადაც „მართალი რწმენის“ საფუძველზე. ამჟამინდელი სწორი და ზუსტი ფორმულირებით, ბოლშევიკურ სახელმწიფოში „ისტორია ხდებოდა იდეოლოგიის ნაწილი, ხოლო იდეოლოგია, რომელსაც ახლა ოფიციალურად 'მარქსიზმ-ლენინიზმი' ერქვა, საერო ფორმის რელიგიურ ცნობიერებად გადაქცევას იწყებდა“ (მედვედევი, მედვედევი 2011: 166). შდრ.: „ქმედებებმა, დამოკიდებულებებმა ოფიციალური მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სფეროში [...] შეიძინეს თითქმის რომ რელიგიური ნიშნები“ (მოტროშილოვა 2012: 15).

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული მატერიალიზმის უმთავრესი თეზისები და, შესაბამისად, ისტორიის ზოგადი განვითარების მარქსისტული სქემა უწინარესად და ყველაზე საფუძვლიანად მოცემულია კარლ მარქსის ვრცელ ნარკვევში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859) და ფრიდრიხ ენგელსის წიგნში „ანტიდიურინგი“ (1878), მაინც, ისტორიის სპეციფიკურად საბჭოურ-ბოლშევიკური კონცეფცია სრულიად უკამათო (შეუკამათებელი!) სახით ჩამოყალიბებულია იოსებ სტალინის მოკლე ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ (1938),[13] რომელიც მსოფლიო ისტორიის „განვითარების“ ერთადერთ უცდომელ გადმოცემად იყო მიჩნეული და რომლის ქარგაზე უნდა დალაგებულიყო თუ ახსნილიყო ნებისმიერი ადგილობრივი ისტორიული ვითარება და გარემოება. სტალინის ამ თხზულებაში, – კლასთა ბრძოლის ზოგადმარქსისტული თვალსაზრისის გათვალისწინებით, – ცალკეულად იყო გამოყოფილი „საზოგადოებრივი განვითარების პერიოდები“, რომელთა შორის იყო ფეოდალური წყობა, ხოლო მას მოჰყვებოდა ბურჟუაზიული, ანუ კაპიტალისტური წყობა. შესაბამისად, უკვე ამ რიგობითობის მიხედვით, „ბურჟუაზიული კლასი“ უფრო მეტად „პროგრესული“, უფრო მეტად „რევოლუციური“ იყო „ფეოდალურ კლასთან“ შედარებით, რომელიც – ბურჟუაზიის წარმოშობა-გაჩენასთან ერთად – თანდათანობით „რეაქციული“ ხდებოდა. იმდროინდელი, ეპოქის თანადროული მკვლევრის სიტყვებით, ყოველ საბჭოელ ან თუნდაც საბჭოთა-კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში ოფიციალურად მომუშავე ისტორიკოსს ევალებოდა, ამ საყოველთაო სქემის მიხედვით შეეფასებინა (არა მხოლოდ აღეწერა ან განეხილა, არამედ სწორედ შეეფასებინა!) თავისი თუ სხვა ქვეყნის ისტორია: „ისტორიკოსი მოვალეა, უსიტყვოდ დადგეს რევოლუციური კლასების მხარეს მათი ბრძოლისას რეაქციულ კლასებთან“ (ვალენსკი 1954: 85).

„განვითარების“ ეტაპების იმ თანამიმდევრობას, რასაც აღიარებდა და ამკვიდრებდა სტალინური ისტორიული მატერიალიზმი, – და რის აღიარებასაც მტკიცედ მოითხოვდა საბჭოთა სახელმწიფო, სხვა დარგის მკვლევრებთან ერთად, კერძოდ და განსაკუთრებით, ისტორიკოსთაგან,[14] – მისდევს ბერძენიშვილისეული ხედვაც, ისევე, როგორც ცხადი და უეჭველია თანხვედრა „კლასთა“ „პროგრესულობის“ განსაზღვრა-გამორჩევისას.

> მე-13 საუკუნის დამდეგისათვის ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო (ბერძენიშვილი 1971: 283),

ასე იწყებს პოლიკარპე კაკაბაძის პიესის განხილვას ნიკო ბერძენიშვილი. მაგრამ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ თავს დამტყდარმა სხვადასხვა ძნელბედობამ არ მისცა ქვეყანას საშუალება, ლოგიკურად მალევე გადასულიყო „საზოგადოებრივი განვითარების“ შემდგომ ეტაპზე, ანუ ბურჟუაზიულ ხანაში, რაც, მისი თვალსაზრისით, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა: „ეს გვიანფეოდალური ხანა საქართველოში მეტისმეტად ხანგრძლივი იყო და ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ ის მხოლოდ XIX საუკუნეში შეცვალა“ (ბერძენიშვილი 1971: 283).

თუმცა, მკვლევრის აზრით, ქვეყანას მანამდეც არაერთგზის გამოუვლენია საკუთარი სწრაფვაც

და შესაძლებლობაც, – თუნდაც იმჟამად ან განუხორციელებელი, ან ბოლომდე მიუყვანელი, – ის უფრო ადრე განვითარებულიყო „პროგრესული“ მიმართულებით, ხოლო ეს დაბრკოლება განპირობებული იყო მხოლოდ გარემოებათა და არამც და არამც არანაირი შინაგანი მიზეზების გამო, რადგან „ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობა თავის შიგნით შეიცავდა პროგრესულ ელემენტებს, რომელნიც უმალვე ზრდას იწყებდნენ, როგორც კი საამისო ხელსაყრელი პირობები ჩნდებოდა, მაგალითად, მესხეთი XIV საუკუნეში, კახეთი XVI საუკუნეში, ქართლი XVII საუკუნეში“ (ბერძენიშვილი 1971: 284).

ღირსშესანიშნავია, რომ ისტორიკოსი ძველი და შუასაუკუნეობრივი საქართველოს ისტორიული განვითარების საბოლოო უმაღლეს წერტილად მონიშნავს მეცამეტე საუკუნის დასაწყისს. მართლაც, არანაირ კამათს არ იწვევს, რომ სწორედ ამ დრომდე ქართული პოლიტიკური, საჯარო, რელიგიური თუ კულტურული ცხოვრება უმეტესწილად გაბედულად მიაბიჯებდა მსოფლიო ცივილიზაციის, – და, მით უმეტეს, არსისეულად მონათესავე ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციის, – წინამავალ, მეწინავე რიგებში, ხოლო ზოგჯერ უსწრებდა კიდეც ამ საერთო მდგომარეობასა თუ სულისკვეთებას, მაგრამ ტრაგიკული ზღვარი, რომლის შემდეგაც საქართველო ან მისი დაფანტული ნაწილები იშვიათად თუ აღწევდა თავს ჩამორჩენილობასა და ჩაკეტილობას, სწორედ ამ დროს, 1220-იანი წლებისათვის, დაიდო.

ცნობილია, რომ იმჟამად ძლიერი და ფართო ქართული სამეფო, მონღოლთა გამაჩანაგებელი შემოტევების შედეგად, შეირყა და, ფაქტობრივად, ჩამოინგრა, რის შემდგომაც თანდათანობითი სახელმწიფოებრივ-კულტურული რღვევა უკვე შეუჩერებელი გახდა, მაგრამ ნიკო ბერძენიშვილი, – მას მერმე, რაც ბუნებრივად ახსენებს მრავალ უცხოელ დამპყრობელს, მარბიელსა თუ ყაჩაღს, – ქვეყნის განვითარების იმჟამინდელ წინაღობად უწინარესად წარმოაჩენს ფეოდალურ წყობილებას, ანუ ბატონყმობას (ამ ორ ცნებას სრულიად აიგივებდა საბჭოური ისტორიოგრაფია), რომელმაც, მისი თვალსაზრისით, იმ დროისათვის უკვე სავსებით ამოწურა საკუთარი რესურსი. შექმნილი მდგომარეობის ნათელსაყოფად ისტორიკოსი ამგვარ შთამბეჭდავ სურათს ხატავს:

> ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთეულ ბატონყმობას, რომელიც გაუდაბურებით ემუქრებოდა ქართულ სოფელსა და ქალაქს. ტყვის სყიდვა, დასავლეთ საქართველო რომ ამოაგდო, და ლეკიანობა, აღმოსავლეთ საქართველო რომ გაანადგურა, კანონზომიერი მოვლენები იყო, ხანმოთეული ბატონყმობის ნიადაგზე რომ განვითარდნენ ოსმალურ-ყიზილბაშური გარემოცვის პირობებში (ბერძენიშვილი 1971: 283).

მკვლევარი საქართველოს შეჭირვებას ბატონყმობის ბუნებრივ შედეგად ხედავს, – მის ნიადაგზე წარმოშობილ გამოვლინებად, – ხოლო ბატონყმობას საგანგებოდ, ორგზის უწოდებს „ხანმოთეულს“, ანუ მიიჩნევს, რომ იმხანად ამ წყობას უკვე აღარ გააჩნდა არავითარი „პროგრესული“ შესაძლებლობანი და მხოლოდ ხელს უშლიდა ყოველგვარ წინსვლას. ამ თვალსაზრისით, ამ შემთხვევისას, მტრების შემოსევებსაც კი არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა და უცხოტომელების თარეში, – ნამდვილად შემმუსვრელი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრებისათვის, – მხოლოდ „გარემოცვად“ არის მოხსენიებული. ამდენად, ნიშანდობლივია დაბრკოლების („დახუთვის“) მიზეზთა ჩამონათვალის თანმიმდევრობაც: ჯერ – და უმთავრესი – ბატონყმობა, რომელიც ანადგურებს ირგვლივ ყოველივეს: სოფელსაც და ქალაქსაც; შემდგომ, საქართველოს დასავლეთისათვის – ადამიანებით ვაჭრობა, რომელიც უთქმელად, მაგრამ სამართლიანად, ისევ, საზოგადოდ, თავადაზნაურობას, ბატონყმობის წარმმართველ „კლასს“, ბრალდება, ხოლო საქართველოს აღმოსავლეთისათვის – მთიელ მარბიელთა მიერ მიწათა თუ მოსახლეთა აკლება-აოხრება, სადაც უკვე უცხო ძალაა შენიშნული და აღნიშნული; კიდევ ერთხელ მიბრუნება „ხანმოთეული ბატონყმობის“ გამანადგურებელი ძალის გამოსაკვეთად; დაბოლოს, – მხოლოდ ბოლოს, – მეზობელი დამპყრობლების გარემო („გარემოცვა“), თუმცა ამ მომხდურთა ქმედებანი არაა სახელდებული და ეს ქმედებანი არცაა მიჩნეული საქართველოს გაჩანაგების გადამწყვეტ გარემოებად.

მკვლევარი ეროვნული უბედურების უწინარეს და უმთავრეს მიზეზად ასახელებს არა იმდენად უცხოელთა შემოჭრებს (ბერძენიშვილი 1974: 245). რამდენადაც ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის მორყევას. სავარაუდოდ, სახელმწიფოებრივ-საჯარო ცხოვრებაში შიდა ბზარების გაჩენამ, ღირებულებათა უგულებელყოფამ, პასუხისმგებლობათა მიმართ მოთხოვნების დაქვეითებამ, განვითარება-განახლების ძალთა დაშრეტამ ჯერ თამარისდროინდელი იმპერიის განადგურება მოიტანა, ხოლო შემდგომ – იმგვარი მდგომარეობა, როცა უკვე გავერანებული „ქვეყანა 'ჩიხში' მოქცეულიყო" (ბერძენიშვილი 1971: 283). ჟამთააღმწერლიდან დაწყებული, არაერთი ქართველი ისტორიკოსი ცდილობდა, იმპერიის ასე უცაბედად ჩამოშლის საწყისები, ანუ ხრწნის თავდაპირველი წყარო ქვეყნის შინაური ცხოვრების დასნეულება-დაწყლულებაშიც ეძებნა და ეპოვა. მაგრამ თუ ჟამთააღმწერლის პროვიდენციული ხედვისათვის ქვეყნის დაქცევის სათავე ზნეობრივ განზომილებაში იდო, – სამეფოს მეთაურთა თუ ქვეშევრდომთა წესთა, ჩვევათა და ქცევათა გადაგვარებაში, – რასაც, კანონზომიერად, განგების სასჯელი მოჰყვა,[15] ხოლო ივანე ჯავახიშვილის პოზიტივისტური თვალსაწიერისათვის ამგვარი მიზეზი მმართველთა ადამიანური, პირადი მანკიერებანი და ცდომილებანი იყო, მათი პოლიტიკური სიბეცე თუ გამოუცდელობა-მოუმზადებლობა: „ეტყობა, თავიანთი თავი მათ დავით აღმაშენებელისა და თამარის დროინდელ ხანის მსგავსად წინანდებურად მახლობელ აღმოსავლეთში პირობების მოკარნახე, უძლეველ ბატონ-პატრონად მიაჩნდათ" (ჯავახიშვილი 1982: 10). ნიკო ბერძენიშვილისათვის კანონზომიერი ახსნა საზოგადოების კლასობრივ განვითარებაშია, ან, უფრო ზუსტად, ამ განვითარების შეფერხებაში, რისი ბრალიც უწინარესად ფეოდალთა ფენას ეკისრება. კიდევ მეტი, „ჩამორჩენილი" „ფეოდალური კლასის" თავისთავად არსებობაც კი უკვე დაბრკოლებად ქცეულა საქართველოსათვის, რადგან ხელს უშლის ახალი, „განვითარებული კლასის" წარმოშობას, – შესაბამისად, იწვევს „საზოგადოებრივი წინსვლის ძლიერ შეფერხებას" (ბერძენიშვილი 1971: 283). რაკი ნათქვამია, რომ ბატონყმობა „ემუქრებოდა ქართულ სოფელსა და ქალაქს", ამდენად, ის საფრთხეს წარმოადგენდა როგორც მიწათმოქმედებისათვის, ისე ხელოსნობა-ვაჭრობისათვის და, შესაბამისად, არა მარტო მიწათმოქმედთათვის, არამედ ხელოსან-ვაჭართათვისაც, ანუ იმ „კლასისათვის", ვინც სათავეში უნდა ჩასდგომოდა და გასძღოლოდა საქართველოს გადასვლას „განვითარების" მომდევნო, „ბურჟუაზიულ" საფეხურზე. ამ მეგზურთაგან, ვისაც უნდა ეწინაძღვრა ქვეყნისათვის და ვისაც საკუთარ ხელთ უნდა აეღო პასუხისმგებლობა ქვეყნის გარდასაქმნელად, ისტორიკოსის მიერ სახელდებულია ოდენ ერთი: ქართველი ხელოსანი, ანუ „ბურჟუაზიული კლასის" პირველ მესაფუძვლედ დასახელებულია ხელით მშრომელი (თუმცა არა მიწაზე მშრომელი) და ისიც ეროვნებით ქართველი (რადგან იმხანად ქართველი ვაჭრის – ბურჟუაზიული ფენის კიდევ სხვა წარმომადგენლის – არსებობა, როგორც ჩანს, არ დასტურდება). ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ მხოლოდ ხელოსნის „მშვიდობიან შრომას" შეეძლო საფუძველი დაედო და გზა გაეკვალა ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ იმჯერად მისი შრომის ნაყოფი განიავებული აღმოჩნდა დამპყრობელთა და მომთაბარეთა მიერ: „ვინ მოსთვლის რამდენი მომთაბარე და რამდენი აბრაგი საუკუნეთა მანძილზე ანიავებდა ქართველი ხელოსნის მშვიდობიან შრომას" (ბერძენიშვილი 1971: 283).

როგორც ჩანს, ბერძენიშვილის შეხედულებით, რომ არა უცხოელთა შემოსევები, რომლებიც მაინც (ისტორიკოსისეული ჭოჭმანის მიუხედავად!) მნიშვნელოვან შემაფერხებელ მიზეზადაა აღიარებული, სამეფო განვითარდებოდა შინაგანი – „კლასობრივი" – დაპირისპირების მუხტით, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ქართველი ფეოდალების ჩანაცვლება ქართველი ბურჟუაზიის მიერ, მათი ჩადგომა ქვეყნის წინამძღოლად, და მაშინ კი ქართული სახელმწიფო ისევ მსოფლიო ცივილიზაციის მეწინავე მონაბიჯეთა რიგებში აღმოჩნდებოდა.

რა თქმა უნდა, ნიკო ბერძენიშვილს შესანიშნავად ახსოვდა თავისი უმცროსი, მაგრამ სახელმწიფოებრივ-იერარქიულად მასზე უფრო დაწინაურებული კოლეგის, სიმონ ჯანაშიას ნაშრომი „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში" (ჯანაშია 1935); (ჯანაშია 1949: 1-127), სადაც, მეტ-ნაკლებად

მარქსისტული თვალსაზრისით (განსაკუთრებით ნარკვევის „საერთო დასკვნებში“), აღწერილია ფეოდალური „რევოლუციური“ ძალების გამარჯვება ძველ საქართველოში; სავარაუდოდ, ბერძენიშვილს თავადაც წარმოდგენილი ჰქონდა, – შესაძლოა, იდეოლოგიურად უფრო მეტად გამართულადაც, – თუ როგორ ღვივდებოდა „ბურჟუზიული რევოლუცია საქართველოში“, ან როგორ უნდა დაწერილიყო ამგვარი შინაარსის წიგნი,[16] მაგრამ, როგორც ჩანს, თუკი ამგვარი რევოლუცია მას მართლაც ეგულებოდა საქართველოს ისტორიაში, ის უკვე სცილდებოდა მისი უშუალო კვლევის ფარგლებს – შუასაუკუნეობრივი საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.[17]

ამდენად, ისტორიკოსის თვალსაზრისით, საქართველოს მეცამეტე საუკუნემდელი წინამავლობა განპირობებული იყო ქვეყანაში გაბატონებული წყობის – „სოციალურ-ეკონომიკური წყობის“ – უპირატესობით, რის გამოც ეს ქვეყანა უკვე შინაგანად სრულიად მზად იყო, გადასულიყო კიდევ უფრო უპირატეს წყობაში: „იმ დროის საქართველოს სიმტკიცე და გამძლეობა მისი სოციალურ-ეკონომიკური წყობის უპირატესობაში, უფრო პროგრესულობაში იყო აზიური ფეოდალიზმის ქვეყნებთან შედარებით“ (ბერძენიშვილი 1971: 284). ამგვარად, მკვლევარი მკაფიოდ მიჯნავს საქართველოს განვითარების საფეხურს მეზობელი ქვეყნების განვითარების საფეხურისაგან: საქართველო ცხადად წინ უსწრებს თავის გარემოს ზოგადად, საბჭოური ისტორიოგრაფიის და, კერძოდ, შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის ამოცანა იყო, მეზობელი, ანუ არასაბჭოთა (ან არაკომუნისტური) ქვეყნები ყოველთვის წარმოდგენილი ყოფილიყო უფრო განუვითარებელ, ჩამორჩენილ სახელმწიფოებად და „პროგრესულობის“ პრიორიტეტი ყოველთვის მინიჭებოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ან საბჭოურ-კომუნისტური ბლოკის შემადგენლობაში იყო მოქცეული: „მედიევისტი უნდა იყოს სსრკ-ის ხალხთა თუ მის სატელიტთა ისტორიის ვითარცა ადვოკატი და, ამავე დროს, ვითარცა პროკურორი იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ამჟამად საბჭოთა ბლოკის მიღმა იმყოფება“ (ვალენსკი 1954: 85).

აქვე წამოიჭრება ერთაშორისი ურთიერთობის საკითხი – საქართველოს დამოკიდებულება სხვა ქვეყნების მიმართ – და ნიკო ბერძენიშვილი ამგვარად გამოკვეთილად აყალიბებს თავის შეხედულებას: „საქართველო აზიაში იყო და აზიას ებრძოდა, საქართველო პროგრესისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლით მივიდა ის პროგრესულ რუსეთთან“ (ბერძენიშვილი 1971: 284).

ამდენად, ნათქვამია, რომ საქართველო თავისი განვითარების მდგომარეობით აღემატებოდა ირგვლივ მყოფ სახელმწიფოებს, რითაც არღვევდა საკუთარ გეოგრაფიულ ფარგლებს: ქვეყანა გეოგრაფიულად იმყოფებოდა აზიაში, მაგრამ წინსვლით უსწრებდა ირგვლივ მყოფ აზიურ გარემოცვას, ხოლო ეს აღმატებული ვითარება მან განიმტკიცა და საბოლოოდ დაიმკვიდრა კიდევ უფრო აღმატებულ – „პროგრესულ“ – რუსეთთან კავშირით: „პროგრესისთვის მებრძოლმა საქართველომ თავის დამხმარედ (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია“ (ბერძენიშვილი 1971: 179). ამ თვალსაზრისით, ისტორიკოსი მხარს უჭერს და ადასტურებს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, დამკვიდრებულს ჯერ კიდევ გვიანდელი ქართული სამეფო კარიდან – რომანტიკოსებისა და „თერგდალეულების“ გამოვლით – ლამის ბოლო ხანებამდე, რომ საქართველო რუსეთთან ერთიანობით უპირისპირდებოდა ან სწყდებოდა აზიას და, შესაბამისად, უკავშირდებოდა ევროპას,[18] მიუხედავად იმისა, რომ ამ გამონათქვამში ნიკო ბერძენიშვილი არსად ახსენებს ლექსიკურად „ევროპას“, მაგრამ მაინც – უთქმელად – გულისხმობს მას (რაკი „აზიას“, ჩვეულებრივ, უპირისპირდება „ევროპა“). რა თქმა უნდა, აღმავლობის ხანის საქართველო, რომელიც „აზიას ებრძოდა“, თავისი განვითარების საფეხურებით შეესაბამებოდა სწორედ ევროპას (და არა ჯერ ისევ განუვითარებელ რუსეთს), თუმცა მასთან თუნდაც ტიპოლოგიურ შედარებას ისტორიკოსი თავს არიდებს.[19]

გასათვალისწინებელია, რომ ეს სტრიქონები იწერება იმ დროს, როცა სტალინური ბრძოლა „კოსმოპოლიტიზმის“ წინააღმდეგ ჯერ კიდევ სავსებით არ ჩამცხრალა,[20] და ყველანაირი საკაცობრიო პროგრესის სათავედ, საწყისად, დასაბამად, იმჟამინდელი საბჭოურ-სტალინური იდეოლოგიის მიხედვით, აღიარებულია რუსეთი და რუსი ხალხი (და არა ევროპა ან, ფართოდ, „დასავლეთი“).

ამიტომ, პროგრესი განიზომება მხოლოდ რუსეთით: შესაბამისად, ბერძენიშვილისეული ხედვით, საქართველოს განვითარების მიზანი იქნებოდა და იყო, გაერღვია „არაპროგრესული“ გარემოცვა და საკუთარი „პროგრესული“ მონაცემებით ბოლოს და ბოლოს დაკავშირებოდა „ყველაზე პროგრესულ“ რუსეთს.

საერთოდ, ეროვნების შესახებ სტალინის შეხედულება ძირითადად გადმოცემულია მის ორ 1913 და 1929 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში: „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“ (სტალინი 1946: 290-367) და „ეროვნული საკითხი და ლენინიზმი“ (სტალინი 1949: 333-355), რომლებშიც, თავად ეროვნებისა და მისი ღირებულების აღიარების მიუხედავად (რაც არსებითად ეწინააღმდეგება უშუალოდ მარქსიზმის ფუძემდებელთა შეხედულებას, რომელიც ყურადღებას მიაპყრობს საერთაშორისო კლასობრივ სოლიდარობას და ამგვარი შეკავშირების საფუძვლად მიიჩნევს ყველა ერის ჩაგრული, ექსპლუატირებული კლასების შეერთებას მჩაგვრელ, ექსპლუატატორ კლასთა წინააღმდეგ), მაინც გაცხადებულია, რომ მხოლოდ მშრომელთა საერთაშორისო (ინტერნაციონალური) გამთლიანება მოაგვარებს ეროვნულ (ნაციონალურ) საკითხს (სტალინი 1946: 367); შესაბამისად, კერძო, ადგილობრივ ეროვნულ ბრძოლას მხოლოდ დაქვემდებარებული, ნაკლებად ღირებული ყადრი ენიჭება საერთაშორისო, საკაცობრიო განვითარებისა და პროგრესის მიღწევის საქმეში. უნდა ითქვას, რომ ნიკო ბერძენიშვილის ამ გამოხმაურებაში პოლიკარპე კაკაბაძის პიესის გამო თითქმის არ გამოვლენილა ეროვნებისა და ეროვნული ბრძოლის მიმართ ზუსტად ამგვარი მარქსისტული დამოკიდებულება – ან თავდაპირველი, ან სტალინურად გადამუშავებული სახით; ისიც სათქმელია, რომ სტალინისეული „მოძღვრება ეროვნების შესახებ“, რომელიც საბჭოურ-კომუნისტურ იდეოლოგიაში უცდომლად იყო აღიარებული სტალინის გარდაცვალების შემდგომაც (კომუნიზმის დაცემამდეც კი!), უპირობოდ არც სხვაგან ასახულა ქართველი ისტორიკოსის შემოქმედებაში, მაგრამ მაინც, იმის ერთიანი წარმოდგენა, თუ როგორ აღიქვამდა იგი თავის ისტორიოგრაფიულ ნააზრევში ეროვნების რაობას, მნიშვნელობასა თუ ჩამოყალიბებას, უფრო მეტად მოითხოვს მთელი მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის საგანგებო შესწავლასა და განხილვას.[21]

ერთი, რაც ამ ტექსტში შეინიშნება, არის გამოყოფა „ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილისა“, რომელიც „იბრძოდა ამ წყობის დაცვა-განვითარებისათვის“ (ბერძენიშვილი 1971: 284): „ამ წყობაში“, რა თქმა უნდა, იგულისხმება „პროგრესული წყობა“, ხოლო „ბრძოლაში“ – „ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილის განუწყვეტელი ბრძოლა პროგრესის ძალთა განვითარების უზრუნველყოფისათვის“ (ბერძენიშვილი 1971: 284). შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ერი იყოფა კლასობრივ საფუძველზე: ქართველობაში გამოიყოფა „პროგრესული ნაწილი“, რომელიც ქმნის „პროგრესულ კლასს“ და ჯერ საფუძველს უყრის, შემდგომ კი ავითარებს „პროგრესულ წყობას“, რითაც, ის უპირისპირდება ქართველობის „რეაქციულ ნაწილს“, „რეაქციულ კლასს“ და „რეაქციულ წყობას“ (ბერძენიშვილი 1971: 284).[22]

რაც შეეხება კაკაბაძის „დავით მერვის“ ბერძენიშვილისეულ შეფასებას, რეცენზენტი გაცხადებულად იწონებს და მხარს უჭერს დრამატურგის გადაწყვეტილებას, რომ ეპოქის მძიმე მდგომარეობის აღსაწერად მწერალმა ჟანრობრივად არჩია კომედია და არა დრამა, რომელთა ადრეული, დაუზუსტებელი წყება შეუფარავადაა დაწუნებული მკვლევრის მიერ: „ასეთი დრამა ჩვენში არა ერთი მოიპოვება; სამწუხაროდ, ჩვენი დროისათვის ყველა მოძველებულია“ (ბერძენიშვილი 1971: 284). ამ შემოქმედებით არჩევანში დანახულია მკაფიო შესაბამისობა გამოხატულებასა და ჟანრს შორის, რადგან, ბერძენიშვილის სიტყვებით, „პ. კაკაბაძემ სწორი ალღოთი მიაგნო, რომ კომედიის ხერხებით არანაკლები დამაჯერებლობით შეიძლება აღნიშნული ეპოქის დუხჭირი ვითარების დახატვა“ (ბერძენიშვილი 1971: 284).

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი პროგრესისტული და, მათ შორის, მარქსისტული თვალსაზრისი (განსხვავებით, ვთქვათ, რომანტიზმისაგან) თითქმის მთლიანად გამორიცხავდა „წარმავალი კლასების“ გადაშენების ტრაგიკულ თუ დრამატულ ასახვას და ამ „კლასების“ „უკანასკნელ

წარმომადგენელთა“ საბჭოურ-კომუნისტური იდეოლოგიურ-მხატვრული პორტრეტები უმეტესად იუმორისტულად ან სარკასტულად იხატებოდა. როგორც ჩანს, ნიკო ბერძენიშვილი ამიტომაც მიესალმა, რომ დრამატურგმა ისტორიული თემატიკის წარმოჩენა, ჩვეულებრივ-გაცვეთილი დრამატული პათოსის ნაცვლად, კომიკური „ხერხებით“ სცადა.

პიესის მთავარი, თუმცა უჩინარი გმირი – კახაბერი – ისტორიკოსს ქვეყნის არა იმდენად ეროვნული მხსნელის სახედ მიაჩნია, რამდენადაც იმჟამად ხელფეხშეკრული, მაგრამ მომავლის მაცნე, „პროგრესული კლასის“ განსახიერებად, – ფაქტობრივად, მხსნელადაც და წინამძღოლადაც, ოღონდ სწორედ „კლასობრივი“, კოლექტიური გაგებით და თან მხოლოდ პოტენციური, მოსალოდნელი განზომილებით. რა თქმა უნდა, მარქსისტული შეხედულებიდან გამომდინარე, იმთავითვე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა კონკრეტული ადამიანის საგანგებო, პირადული, პიროვნული წარმოჩენა, რაკი ნებისმიერი გმირის, – ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანის, – სახე ყოველთვის რომელიმე კოლექტივის სწრაფვასა და მიზანდასახულებას გამოხატავს, და მხატვრულ ნაწარმოებში აუცილებლად უნდა გამოხატავდეს კიდეც.

ის, რომ გმირი თითქმის მთელი ნაწარმოების განმავლობაში დამალული და დატყვევებულია, ბერძენიშვილისათვის ასახავს იმგვარ მდგომარეობას, როდესაც „პროგრესისათვის მებრძოლი კლასი“ დამონებული ჰყავს ფეოდალურ „კლასს“, რომელიც, ერთი მხრივ, უფრო „პროგრესულ“ გლეხობას გასაქანს არ აძლევს, რის გამოც: „თავადების საკუთრებად ქცეულს, დამონებულ, დაქსასულ გლეხობას გმირის წარმოშობა არ შეუძლია“ (ბერძენიშვილი 1971: 285), ხოლო, მეორე მხრივ, ასევე უფრო „პროგრესულ“ ბურჟუაზიას ჯერჯერობით აღმოცენების პირობებსაც კი უხშობს: „გვიანფეოდალური საქართველო კი ჩიხშიაც იმიტომ იმყოფებოდა, რომ იქ ფეოდალური ურთიერთობის დამანგრეველ რევოლუციურ კლასს განვითარების საშუალება არ ეძლეოდა“ (ბერძენიშვილი 1971: 285). შესაბამისად, „ვიდრე ქვეყანა ჩიხშია, გმირი კახაბერი ‘ორმოშია’“ (ბერძენიშვილი 1971: 285). კახაბერის დატყვევებულობა, გამოხმაურების ავტორის თვალსაზრისით, „კლასობრივი“ განვითარების შებორკილობას, ამგვარი განვითარების ძალის უქონლობას ასახავს:

> კახაბერი კი, ჩვენი ისტორიული კონცეფციით, „ორმოში“ მაშინ „ჩააგდეს“, როცა ფეოდალურ საქართველოში პროგრესის მედროშე კლასის წარმოშობა შეფერხდა. ამ თვალსაზრისით კახაბერი მეტნაკლებად „ორმოშია“ მთელი გვიანფეოდალური ხანის განმავლობაში (ბერძენიშვილი 1971: 286).

სხვათა შორის, თვალსაჩინოა, ისტორიკოსი ამ შემთხვევისას თითქოს სასხვათაშორისოდ, მაგრამ მაინც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პიესის შემოთავაზებული ინტერპრეტაცია სწორედაც მისეულია („ჩვენი ისტორიული კონცეფციით“), რაც არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია, შესაძლოა, მთლიანად არც ემთხვეოდეს დრამატურგისეულ ხედვას.

საერთოდაც და ზოგადადაც, გმირი ვერც იქნება ირგვლივ, რადგან „გმირს წარმოშობს პროგრესისთვის მებრძოლი კლასი, მოწინავე კლასი“ (ბერძენიშვილი 1971: 285), ხოლო „საზოგადოებრივ სარბიელზე არა ჩანს შემოქმედი კლასი, რომ ხალხს უთავოს, წინ წაუძღვეს მას და პროგრესის გზით წაიყვანოს“ (ბერძენიშვილი 1971: 284). რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც, პიესის მიხედვით, კახაბერს ელიან ან კახაბერის სახელის (მხოლოდ სახელის!) ირგვლივ დარაზმულან, ისინი, ძველ „კლასობრივ“ ჩარჩოებში ჩარჩენილნი, მოკლებულნი არიან ყოველგვარ ნაყოფიერებას, ყოველგვარ წარმომშობ უნარს და, ამდენად, ვერც წარმოშობენ, ვერც დაბადებენ ახალ გმირს, ანუ ახალ „კლასს“: „ის ხალხი, ორმოდან ამოსულ კახაბერს რომ მისვლია, გმირის წარმომშობი და ქვეყნის დამხსნელი კლასი არ არის, რადგან ის არაა ძველის წინააღმდეგ აჯანყებული კლასი, ახლის შემოქმედი კლასი“ (ბერძენიშვილი 1971: 286).

ისტორიკოსის მსჯელობის გაშლა-გააზრებითა და იდეური კონტექსტის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ბერძენიშვილი გულისხმობს იმჟამინდელ საქართველოში ბურჟუაზიის გამოუჩენლობას,

ხოლო ამ „კლასის“ გაჩენის გარეშე კი, მისი შეხედულებით, ქვეყნის წინსვლა შეუძლებელი გამხდარა. გამოხმაურების ავტორს მიაჩნია, რომ ქვეყნის განსაცდელის საფუძველი სწორედ ახალი „კლასის“ დაუბადებლობა იყო (ანუ კახაბერის ორმოში ყოფნა, ორმოდან ამოუსვლელობა), რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ასევე, უცხოელთა ძალმომრეობაც განაპირობებდა, ხოლო ქვეყნის განვითარება, და, მათ შორის, უცხოელების ბატონობის დაძლევა კი მხოლოდ ამ ახალ „კლასს“ (ანუ იმჟამად და ჯერჯერობით ორმოდან გაუთავისუფლებელ კახაბერს) უნდა ეკისრა.

საქართველოს ისტორიის მკვლევრის შეხედულებით, საერო-სახალხო ცხოვრებისა თუ სახელმწიფოებრივი წარმატებული სვლის დამამუხრუჭებელი ძალაა „ხალხის და ქვეყნის მოღალატე მთავრები“ (ბერძენიშვილი 1971: 287), რომელთა მისეული შეფასება სრულიად ულმობელია:

> ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის მოღვაწენი, ხალხის უწყალო მძარცველები, ტყვის მსყიდველები, ღალატის ვირტუოზები, დაუნდობლობის, სიცრუისა და მლიქვნელობის ოსტატები, ეს „ბრწყინვალე“ საძაგელნი [...] (ბერძენიშვილი 1971: 285).

დახასიათების სიტყვიერი გამოხატულება იმდენად დაუფარავად მგზნებარე და ცხადად პიროვნულია, გაჭირდება ოდნავ მაინც ეჭვის შეტანა, რომ ავტორის დამოკიდებულებაც, განწყობაც, შეფასებაც სრულიად გულწრფელია. მაგრამ თავადთა თუ მთავართა გადამწყვეტი დანაშაულია, რომ ისინი „რეაქციულ“ „კლასს“ განეკუთვნებიან, რომლის გარემოს დაძლევაც მათ სულაც არ სწადიათ, რითაც ხელს უშლიან „პროგრესული“ „კლასის“ ასპარეზზე გამოსვლასა და სამომავლო გზის გაკვალვას:

> თავად-მთავრები გვიანფეოდალურ საქართველოში საზოგადოებრივი განვითარების შეფერხების ნაყოფნი არიან, საზოგადოებრივი რეაქციის ნაშობნი არიან, თავს ღვიძლ სტიქიონში გრძნობენ და მასვე (რეაქციას) ემსახურებიან (ბერძენიშვილი 1971: 285).

რეცენზენტს არანაირად სადავოდ არ მიაჩნია, რომ იმ ხანად სწორედ ამ შემაფერხებელ-დამაბრკოლებელი „კლასის“ მმართველობის გამო აღმოჩნდა ქვეყანა ჩიხში, რაც მხატვრულად – დრამატურგის მიერ – კახაბერის ორმოში ყოფნით გადმოიცა: „დღეს ამ თავად-მთავრების ამინდია და ასე დარჩება, ვიდრე ქვეყანა ჩიხშია მოქცეული. და ვიდრე ქვეყანა ჩიხშია, გმირი კახაბერი ორმოშია“ (ბერძენიშვილი 1971: 285).

ქართველ ფეოდალთა უმოწყალო დაგმობის შემდგომ ისტორიკოსის დაუნდობელი შეფასება სწვდება, ასევე, ქართულ ინტელექტუალურ ფენასაც, – „ამ უქნარა ნაცარქექიათა ბანაკს, რომლის იდეური გამომხატველი არის როსტომ ბრძენი“ (ბერძენიშვილი 1971: 285), და სწორედ ისინი, რომლებიც პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში დრამატურგისათვის ასე ჩვეული ნაცარქექიების სახით იხატებიან, გამოხმაურების ავტორის სიტყვებით, ირგვლივ ამკვიდრებენ ყოვლისგამჭოლ უიმედობასა და ცხოვრების უშინაარსობის განცდას:

> ყველაფერი ეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნების, უმოძრაობის ნიადაგზე შექმნილი ფილოსოფიაა, [...] რომელიც ბრძოლა-შრომისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ უშრომელობას, უქმად გდებას ამართლებს. ეს ჩივილი წუთისოფლის დაუნდობლობაზე, მის ეფემერულობაზე და ამაოებაზე ლეიტმოტივად მოჰყვება გვიანფეოდალური ხანის ქართულ აზროვნებასა და მის ნიშანდობლივ მხარეს შეადგენს (ბერძენიშვილი 1971: 287).

სავარაუდოა, ისტორიკოსის თვალსაზრისი, რომელიც ტექსტში მაინც ნაკლებად მკაფიოდაა გამოთქმული, წარმავალობის თუ განწირულობის ეს მძაფრი განცდა განპირობებულია არა სამყაროს საერთო-საზოგადო აღქმით, მოაზროვნისეულ-ხელოვანისეული ხედვის კუთხით, პირადი დამოკიდებულებით ან პირადი არჩევანით, არამედ მომაკვდავი „კლასის“ ისტორიული უსასოობის, უმომავლობის გრძნობით, რადგან, მარქსისტული თვალსაზრისით, ინტელექტუალურ-სახელოვნო ფენა ყოველთვის ასახავს იმ „კლასის“ განწყობებს, რომელმაც ის წარმოშვა და რომელიც მას კვებავს.[23] ამ

განწყობებს ნიკო ბერძენიშვილი ფართო გაგებით უწოდებს რომანტიზმს, მაგრამ, მისი აზრით, ის, რაც მან აღწერა, არის „რომანტიზმი არა რევოლუციური, არამედ რეაქციული“ (ბერძენიშვილი 1971: 287). ერთი მხრივ, „პროგრესული“, ანუ „რევოლუციური“ და, მეორე მხრივ, „რეაქციული“ რომანტიზმის ამგვარი გამიჯვნა ჩვეული იყო მარქსისტული ლიტერატურისმცოდნეობისათვის ან, ზოგადად, მარქსისტული კულტურის კვლევებისათვის: ამგვარი მეთოდურ-იდეოლოგიური განასერით, ქართულ ლიტერატურაში პირველის მაგალითად მიჩნეული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, მეორის ნიმუშს კი ვახტანგ ორბელიანი წარმოადგენდა.[24] ნიშანდობლივი და მოსალოდნელია, რომ „პროგრესული“ რომანტიზმის წარმომადგენლად ნიკო ბერძენიშვილიც ასახელებს სწორედ ბარათაშვილს, რომლის „რევოლუციური“ უწყება მას ბუნებრივად მიაჩნია, „იმიტომ, რომ ამ დროს ქართული ცხოვრება უკვე გამოსული იყო ინერტული უმოძრაობიდან და ახლის შენება იწყებოდა“ (ბერძენიშვილი 1971: 287), ბუნებრივად იმდენად, რამდენადაც, ისტორიკოსის შეხედულებით, რომელიც ადრეც გამოითქვა ამ გამოხმაურებაში, ქართულ ნიადაგზე სწორედ ამ დროს, ანუ მეცხრამეტე საუკუნიდან ისახებოდა „ბურჟუაზიული ურთიერთობა“ (ბერძენიშვილი 1971: 283), რაც იმ დროსა და გარემოში „პროგრესულ“ მოვლენად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

მაგრამ მანამდელ, „გვიანფეოდალურ“ ჩივილს წუთისოფლის ამაოებისა თუ მუხანათობის გამო, როგორც ბერძენიშვილი გულისხმობს, განაპირობებდა წარმავალი „კლასის“ უნუგეშობა, ხოლო შემდგომდროინდელ მოწოდებას „ახლის მშენებლობის“ (ბერძენიშვილი 1971: 287) დასაწყებად საფუძვლად ედო მომავალი „კლასის“ წარმატებისა და გაფურჩქვნის იმედები. ეს დამოკიდებულება, ეს კავშირი კი, ისტორიკოსის აზრით, მხოლოდ მარქსიზმმა – სახელდებით მარქსიზმმა – ახსნა (სხვათა შორის აქ, გამოხმაურების მთელი ტექსტის მანძილზე, ერთადერთხელაა ღიად დასახელებული „მარქსიზმი“): საზოგადოების განვითარების სწორი პასუხიც და მისი ასახვა-გამოხატულების კანონზომიერებანიც, „ცის გასაღები“, ყოველგვარი „მისტიკური გამოუცნობლობის“ უკუგდებით, „დიდი ხანია, აღმოაჩინეს მარქსიზმის კლასიკოსებმა და იქ გამოუცნობი ამ მხრივ აღარა არის რა“ (ბერძენიშვილი 1971: 287).

იმ ეტაპზე, როცა ფეოდალიზმი „პროგრესული“ წყობა იყო, მაშინ ხელოვნებასაც საფუძვლად ედო „დაუღალავი შრომის, მედგარი ბრძოლის და უდრეკი წინსვლის ფილოსოფია“ (ბერძენიშვილი 1971: 287), რისი გამოხატულების მაგალითებადაც დასახელებულია იოვანე საბანისძისა და გიორგი მერჩულის, გიორგი ათონელისა და გიორგი მცირის ნაწარმოებები, და მკითხველიც „სწორედ იქ იპოვის შემოქმედ საზოგადოებას, იპოვის გმირებს“ (ბერძენიშვილი 1971: 287). ფეოდალიზმის ეს აღმავლობა საქართველოში, როგორც ითქვა, გრძელდება მეცამეტე საუკუნის დასაწყისამდე, – ამდენად, ეპოქა გმირულია და „არც კომედიის სარბიელია ქართული ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ეს ხანა“ (ბერძენიშვილი 1971: 287-288), მაგრამ ეს წყობა „ჩიხში“ აღმოჩნდება და თანდათანობით ის „რეაქციული“ ხდება, და მაშინ ასპარეზზე გამოდიან „როსტომ-გოსტაშაბ-ლიპარიტები“ (ბერძენიშვილი 1971: 287), რის გამოც ამ ხანის დასახატავად პოლიკარპე კაკაბაძე, შემფასებლის აზრით, გონივრულად ირჩევს კომედიას.

აღსანიშნავია ისიც, რომ „გვიანფეოდალური ხანის“ გამო მსჯელობისას, რომლის ქრონოლოგიური საზღვრებად ისტორიკოსი საქართველოში მეცამეტე-მეთვრამეტე საუკუნეებს მიიჩნევს (ბერძენიშვილი 1971: 283), იგი ცნება „რომანტიზმს“ საკმაოდ ფართო გაგებით – თითქოს ანაქრონისტულად – იყენებს და არ უკავშირებს კონკრეტულად ევროპულ ან ქართულ კულტურაში რომანტიზმად აღიარებულ მიმდინარეობას, რომელიც კონკრეტულად უფრო მოგვიანო ხანის ნაკადს აღნიშნავს.[25]

ამავე დროს, ნიკო ბერძენიშვილი წამოჭრის საკითხს მეფის ადგილის გამო ისტორიასა და პიესაში, და გაცხადებულ ეჭვს გამოთქვამს, რამდენად მართებულია პიესის სახელწოდებად მეფის სახელის არჩევა. უნდა ითქვას, რომ მარქსიზმის სტალინურ ინტერპრეტაციაში – განსაკუთრებით,

მის იდეოლოგიურ-კულტურულ გამოვლინებაში – მეტად მნიშვნელოვანია ლიდერის („ბელადის“) ფიგურა, რომელსაც ისტორიულ განზომილებაში მეფე განასახიერებდა. თითქოს უცნაურია, რომ მეფე, ამ შეხედულებით, მოწყვეტილი იყო თავის „კლასს“ (არცთუ იშვიათად დაპირისპირებულიც კი იყო მასთან) და – თუ უმეტესად არა, ხშირად – ხალხის „პროგრესულ“ მეთაურს წარმოადგენდა. თუმცა, ბერძენიშვილის აზრით, „საზოგადოებრივი შეფერხების, საზოგადოებრივი ჩიხის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ მეფეს გვიანფეოდალურ საქართველოში ხალხი არ ჰყავდა“ (ბერძენიშვილი 1971: 285), რის გამოც, მარქსისტული თეორიის მიხედვით (თუ საწინააღმდეგოდ?!), „მეფე გვიანფეოდალურ საქართველოში ქვეყნის პროგრესულ ძალთა შემკრების როლში (ენგელსი რომ აღნიშნავს) ვერ გამოდიოდა“ (ბერძენიშვილი 1971: 285). ამდენად, ისტორიკოსი ეთანხმება პიესის ავტორს, როცა იგი ვერაფრისმქმნელ „დავით მერვეს ტრაგიკომიკური სითბოთი ხატავს და არსებითად ნაცარქექიათა წრეში ათავსებს“ (ბერძენიშვილი 1971: 285). გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს, როცა ნიკო ბერძენიშვილი წერდა თავის გამოხმაურებას, პოლიკარპე კაკაბაძის პიესას ეწოდებოდა „დავით მერვე“, რაც ავტორის არასწორ გადაწყვეტილებად მიაჩნდა ნაწარმოების შემფასებელს და ამიტომაც მოუწოდებდა დრამატურგს, არ დაეკავშირებინა პიესის შინაარსი კონკრეტული მეფის სახელთან:

> სჯობდა, რომ ასეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც საქართველოში გვიანფეოდალური ხანის მთელს ეპოქას შეეხება, არ ყოფილიყო მიმაგრებული რომელიმე მეფის სახელთან და ამ ნაწარმოებს იგივე ძველი სახელი „კახაბერის ხმალი“ აღდგენოდა (ბერძენიშვილი 1971: 288).

ძნელი სათქმელია, რამდენად გაითვალისწინა დრამატურგმა ისტორიკოს-რეცენზენტის ეს რჩევა, მაგრამ უეჭველია, რომ ნაწარმოებს შემდგომში, მართლაც, დაუბრუნდა ადრეული სახელწოდება – „კახაბერის ხმალი“. ამ სათაურით გამოიცა ის საბოლოოდ ავტორის სიცოცხლეში და საბოლოოდ ამგვარი სახელდებითვე დამკვიდრდა მწერლობაშიც და თეატრშიც.[26]

თუმცა ამ რჩევის გამოთქმამდე მკვლევარი სწორედაც პიროვნულად მეფეს, – ამ შემთხვევისას, ერეკლე მეორეს, – მიაწერს განსაკუთრებულ ღვაწლს „პროგრესული ძალების“ მეთაურობისა და საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საქმეში:

> ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა გმირი ერეკლეს მეთაურობით პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა: ბარბაროსული გარემოცვის გარღვევით გვიანფეოდალური ჩიხის მთავარი ბურჯი მოიშალა და პროგრესულ ძალთა წინსვლა-განვითარების გზა პროგრესულ რუსეთთან კავშირით უზრუნველყო (ბერძენიშვილი 1971: 288).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეთა საბჭოური ისტორიოგრაფია ყოველთვის გამოაცალკევებდა „პროგრესულ მეფეებს“, რომელთა პორტრეტებში (მაგალითად, რუსეთში – ივანე მრისხანე და პეტრე დიდი, საქართველოში – დავით აღმაშენებელი და ერეკლე მეორე) უმეტესწილად ადვილი ამოსაცნობი უნდა ყოფილიყო (ანუ წინასწარ „ნაწინასწარმეტყველები“!) კომუნისტი ბელადის, იოსებ სტალინის, სახე.

ღირსშესანიშნავია, რომ ბერძენიშვილისეული გამოხმაურება კაკაბაძის პიესის გამო გამოქვეყნდა მაშინ (1955 წლის 8 აპრილს), როცა სტალინი უკვე ორი წლის გარდაცვლილია (მისი გარდაცვალების ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1953 წლის 5 მარტი), მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ მმართველობას ჯერ არ დაუგმია ეგრეთ წოდებული „პიროვნების კულტი“, რაც 1956 წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე (14-25 თებერვალი) მოხდა, რის შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში ყურადღება მახვილდებოდა არა ბელადებსა და მათს საქმიანობაზე, არამედ მხოლოდ „კოლექტიურ მმართველობაზე“. ამდენად, მკვლევრის მსჯელობანი პიროვნების მნიშვნელობის შესახებ ისტორიულ მოვლენათა განვითარებისას მაინც ორჭოფულია. ბერძენიშვილი მკაფიოდ იწონებს იმას, რასაც პიესის შინაარსში თავად ხედავს: რომ ისტორიულ პროცესებს, – რასაც

იგი „ისტორიული პროგრესის“ თვალსაზრისით განიხილავს, – წარმართავს არა ერთი კონკრეტული ისტორიული პიროვნება, არა რამეგვარი მეთაური, წინამძღოლი, „ბელადი“, არამედ „პროგრესული ძალები“ (ანუ „პროგრესული კლასი“), რაც განაპირობებს იმას, რომ მითოსური კახაბერი „კახაბერის ხმალში“, ფაქტობრივად, არც კი ჩანს, – იგი, ვის ირგვლივაც თითქოს უნდა დარაზმულიყვნენ აჯანყებულები, პიესის ბოლომდე, საერთოდ, უხილავად რჩება (თუ არ ჩავთვლით მოგვიანებით გაჩენილ „პროლოგს“, რომელსაც არც შეეხება რეცენზენტისეული გამოხმაურება). თუმცა თავად პიესის მიზანსწრაფვისათვის მნიშვნელოვანია კახაბერის არა ისტორიული, არამედ სწორედ მითოსური სახე, რაც იმითაცაა განპირობებული, რომ იგი მართლაც არაა ისტორიული პერსონაჟი. „პ. კაკაბაძე მართალია, როცა კახაბერს ნახევრად რეალურ, სანახევროდ სიმბოლურ პირად წარმოგვიდგენს, როცა ამ გმირთან დაკავშირებული ყველა მოვლენა არც დასაჯერებელია, არც დაუჯერებელი“ (ბერძენიშვილი 1971: 286), – მიაჩნია ნიკო ბერძენიშვილს. მაგრამ, მისივე შეხედულებით, კახაბერი იმიტომ არაა რეალური არსება, რადგან ჯერ არც დაბადებულა, არ წარმოშობილა ის „კლასი“, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ქვეყნის განვითარებას:

> კახაბერი ასეთი კლასის შვილი არ იყო, რადგან ასეთი კლასი ქართულ საზოგადოებრივ სარბიელზე ჯერ კიდევ არ გამოსულიყო. ამდენად, გმირი კახაბერი არარეალურია და ჩვენი ავტორისათვის ალღოს არ უღალატნია, როცა კახაბერი რეალურ მოქმედ პირად არ გამოიყვანა თავის კომედიაში (ბერძენიშვილი 1971: 288).

ხოლო ეს მდგომარეობა, – გმირის უჩინარობა, – ისტორიკოსის შეხედულებით, ასეც გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაბადებულა ახალი, „პროგრესული“ კლასი, „ვიდრე გმირი კლასი, ახლის შემოქმედი კლასი არ წარმოიქმნება და კახაბერს არ შობს“ (ბერძენიშვილი 1971: 287).

ისევ და ამჯერადაც, რა თქმა უნდა, ძნელია, გადაჭრით და უეჭველად განისაზღვროს, თუ რამდენად ეთანხმება ერთმანეთს ან თუნდაც ახლოსაა ერთმანეთთან, ერთი მხრივ, ავტორისეული წარმოდგენა და შეხედულება, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერპრეტატორისეული აღქმა და გაგება.

საყურადღებოა, რომ პიესის დასასრულს შორიდან გამომკრთალ კახაბერს, ხალხის სახითა და სახელით, ხმალი გადაეცემა, მაგრამ ამ სცენას რეცენზენტი განზე ტოვებს და არც კი ცდილობს მის ისტორიულ-იდეოლოგიურ ახსნას.

როგორც უკვე ითქვა, „კახაბერის ხმალში“ დახატული წარმოსახვითი წარსული სამყარო, ავტორის ჩანაფიქრით, მოწყვეტილია ისტორიულ გარემოს და ის სინამდვილეში მითოსური სამყაროა, ხოლო მითოსური თვალსაწიერი ყოველთვის და ყველგან უყურადღებოდ ტოვებს ერთადერთს, განუმეორებელს, ინდივიდუალურს, პიროვნულს. მარქსისტული იდეოლოგიაც, რომელიც ნიკო ბერძენიშვილმა პიესის ანალიზის იარაღად თუ ხერხად გამოიყენა, მთლიანად უგულებელყოფს ცალკეული ადამიანის პიროვნულ ღირებულებას, თუკი მას არ გააჩნია „კლასობრივი“ განზომილება. ამ მხრივ, დრამატურგისა და ისტორიკოსის ხედვები ერთმანეთს დაემთხვა, – მთლიანისაგან („კოლექტივისაგან“) გამოცალკევებული, ერთეული პიროვნება არ იმსახურებს, არ მიიპყრობს განსაკუთრებულ გულისყურს, – თუმცა, ამგვარი თანამთხვევისას, როგორც ჩანს, მაინც სავსებით განსხვავებული იყო დრამატურგისა და ისტორიკოსის იდეური საყრდენები, ყალიბები, ბიძგები.

შეიძლება საჩინოდ გამოითქვას, რომ საბჭოთა საქართველოში – ისევე, როგორც ყველგან, სადაც კომუნიზმი ბატონობდა – ტექსტების იდეოლოგიური ტყვეობა გამოიხატებოდა არა მარტო იმით, როცა თავად ტექსტს, მეტად თუ ნაკლებად, განაპირობებდა კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც მას ყოველთვის მოაქცევდა ხოლმე იდეოლოგიის ტყვეობაში (და ეს იყო ტყვეობის ერთი სახეობა!), არამედ იმითაც, როცა უკვე არსებული ტექსტები, – მათ შორის, კლასიკური ნაწარმოებები, – ექცეოდნენ მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიური ინტერპრეტაციის ტყვეობაში (და ეს ტყვეობის მეორე სახეობა იყო!), რაც ამ ტექსტებს ხშირად თუ უმეტესად აცლიდა, დააშორებდა ან თუნდაც უფერმკრთალებდა მათ ნამდვილ ავტორისეულ შინაარსს. თუმცა პატიოსნად და გამოკვეთილად უნდა

გაცხადდეს, რომ ეს ბრალდება, ზოგადად, არ შეიძლება წაეყენოს მხოლოდ მარქსიზმს, რაკი თითქმის ნებისმიერ ინტერპრეტაციას, – შესრულებულს თუნდაც ნებაყოფლობით, თუნდაც სახელმწიფოებრივი იძულება-დათრგუნვის პირობებში, – ისეც ყოველთვის და ყველგან დასდევს ამგვარი გარდაუვალი საფრთხის აჩრდილი.

საბოლოოდ ისიც სათქმელია, რომ ნიკო ბერძენიშვილის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში ერთადერთი ტექსტი, რომელიც ისტორიულ თემაზე შექმნილ თანამედროვე მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავს და აფასებს, მაინც გამოირჩევა მარქსისტული თვალსაზრისის შეძლებისდაგვარად საქმიანი, გააზრებული და გათავისებული გამოყენებით, რაც ამ ტექსტს, – რომელშიც თვალსაჩინოდაა შერწყმული ხედვის სიცხადე და გამოხატულების შთამბეჭდაობა, – ლიტერატურულ-კულტურული ანალიზისას მარქსისტული მეთოდის გამოყენების ლამის ერთადერთ ნაყოფიერ და წარმატებულ ნიმუშად აქცევს ქართულ აკადემიურ-სააზროვნო გარემოში. მაგრამ არ უნდა დაიმალოს ისიც, რასაც ეს მცირე ტექსტიც მკაფიოდ მეტყველებს: ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენელთა ნააზრევიც კი, თუკი საქმე განმაზოგადებელ მსჯელობას მოითხოვს და დაისაჭიროებს, ყოველთვის – მეტად ან ნაკლებად – აღბეჭდილია იმჟამად ქვეყანაში შეუზღუდავად გაბატონებული მარქსისტული ან, კიდევ უფრო ხშირად და კიდევ უფრო ზუსტად, მარქსისტულ-სტალინური იდეოლოგიის ანარეკლით.[27]

შენიშვნები

1 ავტორის სიცოცხლეში საბოლოო ვერსია უკანასკნელად გამოქვეყნდა „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით (კაკაბაძე 1971: 104-251).

2 შემდგომში ეს გამოკვლევა შევიდა ავტორის შრომათა კრებულში, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდგომ გამოიცა (ბერძენიშვილი 1971: 283-288).

3 ავტორი პიესას სწორედ ამგვარად ათარიღებს: 1929-1954 (კაკაბაძე 1954: 228); (კაკაბაძე 1971: 251).

4 ჟანრობრივად ასე განსაზღვრავს ნაწარმოებს თავად ავტორი: „კომედია ოთხ მოქმედებად“ (კაკაბაძე 1971: 103).

5 დავით მერვის მეფობის შესახებ მოკლე, დაუნჯებული გადმოცემისათვის იხ.(მეფეები 2007: 156-160).

6 პიესის ტექსტი ასე მთავრდება: „სიღმეში ჩრდილივით გამოჩნდება ცხენი და ზედ მხედარი კახაბერი, რომელსაც გულქანა ხმალს გადასცემს“ (კაკაბაძე 1971: 251).

7 პიესის საბოლოო ვერსიაში, რომელიც ავტორის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ანუ 1971 წელს გამოქვეყნდა, კახაბერი ცოცხლად ჩნდება (და მეტყველებს კიდეც) ოდენ პროლოგში, რომელიც პირველად და მხოლოდ ამ გამოცემაში ჩნდება (კაკაბაძე 1971: 107-112); ამგვარ ვერსიას, სავარაუდოდ, არ იცნობდა ნიკო ბერძენიშვილი, რაკი ეს პროლოგი არ შესულა პიესის პირველ, 1954 წლის გამოცემაში, რომელსაც რეცენზია უძღვნა ისტორიკოსმა.

8 ფოლკლორული, ზღაპრისეული ნაცარქექიას დასახასიათებლად იხ. (კიკნაძე 2008: 108-110).

9 ისევე როგორც კაკაბაძისეული ყვარყვარე თუთაბერი (პიესიდან „ყვარყვარე თუთაბერი“, 1928-1929), რომელშიც არა მარტო ნაგულისხმებია ნაცარქექიას სახე, არამედ მას ასეც მოიხსენიებენ პიესის ტექსტში, ხოლო თხზულების ადრეულ ვერსიებში (მაგალითად, 1936 წლის გამოცემაში ცალკე წიგნად: კაკაბაძე 1936) ეს პერსონაჟი რემარკებში, საერთოდაც, მხოლოდ ამგვარად იწოდება; მოქმედ გმირთა ჩამონათვალშიც ამ პერსონაჟთა მეტსახელებიც სრულიად ემთხვევა ერთმანეთს: „ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია“ (კაკაბაძე 1971: 7), „გოსტაშაბი, ცნობილი ნაცარქექიად“ (კაკაბაძე 1971: 105).

10 კორნელი კეკელიძისეული განმარტებით კახაბერი ქვეყნისათვის თავდადებული გმირის ზოგადი სახეა. გ. ლეონიძის გამოკვლევით, კახაბერნი გადმოსულან გურიიდან და ქართლის მეფეების კარზე მსახურობდნენ (კეკელიძე 1972: 289); ეს კომენტარი პირველად გამოქვეყნდა 1955 წელს. იხ. (გურამიშვილი 1955: 314).

11 იხ. ჩვენი გამოხმაურება ნიკო ბერძენიშვილის ბოლო საარქივო გამოცემის შესახებ (ღაღანიძე 2011: 335-344).

12 ზოგიერთი ზეპირი გადმოცემა მეტყველებს, რომ ქართული შუასაუკუნეობრივი საბუთების მრავალწლიანი, თითქმის ამომწურავი შესწავლის შედეგად ნიკო ბერძენიშვილმა ძალდაუტანებლად მართებულად

მიიჩნია ისტორიის მარქსისტული ახსნა; გამოთქმულია ამგვარი შეხედულებაც, რომელიც მისი უმცროსი თანამშრომლების წრიდან მომდინარეობს: „ნიკო ბერძენიშვილი ორთოდოქსი მარქსისტი იყო და, ამდენად, სავსებით გულწრფელად სჯეროდა კომუნისტური იდეალებისა“ (ხოშტარია-ბროსე 1998: 96).

[13] თავად ეს ნაშრომი („О диалектическом и историческом материализме“) შეტანილი იყო უავტოროდ გამოსულ ოფიციალურ საყოველთაო სახელმძღვანელოში: „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ისტორია: მოკლე კურსი“ (როგორც ამ წიგნის მეოთხე თავის მეორე ქვეთავი), რომელიც წიგნად პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა: (ისტორია 1938: 99-127); ნაშრომი შესულია სტალინის ტომეულებში: (სტალინი 1997: 253–282). არსებობს ქართული ცალკე გამოცემაც: (სტალინი 1940). ამ წიგნის საგანგებო და სავალდებულო შესწავლა, რომელსაც სტალინის პერიოდის ყველა საბჭოურ დაწესებულებაში ყოველკვირეული „პოლიტიკური განათლების“ საგანგებო დღე ეთმობოდა, მხატვრულად (სარკასტულად!) ასახული აქვს ა. სოლჟენიცინს თავის რომანში „პირველ გარსში“: (სოლჟენიცინი 2006: 527-536); რომანის ოთხმოცდამერვე, საგანგებო თავს, სადაც აღწერილია ერთი ამგვარი „მეცადინეობა“ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, სახელად ჰქვია „მოწინავე მსოფლმხედველობა“ („Передовое мировоззрение“).

[14] სტალინთან პირადი შეხვედრისას მკაფიო მეთოდურ თუ კონკრეტულ მითითებებს იღებდა თავად ნიკო ბერძენიშვილიც (სიმონ ჯანაშიასთან ერთად), რაც აღწერილია კიდეც ისტორიკოსის ჩანაწერებში: (ბერძენიშვილი 1998: 97-107).

[15] იხ. თუნდაც: „ამისთვს აღმოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოჴრებისანი“ (მეტრეველი 2008: 527); „იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და გაწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათჳს უსჯულოებათა ჩუენთათჳს. და იქმნა უკუქცევა სუესჳანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა“ (მეტრეველი 2008: 533).

[16] საფიქრებელია, რომ ამგვარ საფუძველთა მომზადების აღწერასა და განხილვას უნდა მიძღვნოდა ნიკო ბერძენიშვილის დაუმთავრებელი ნაშრომი, რომელსაც თავად ავტორი საარქივო წყაროებში „ყუთლუს“ უწოდებს და რომელსაც მისი ტომეულების გამომცემლებმა – ისტორიკოსის გარდაცვალების შემდეგ – პირობით სახელად დაარქვეს „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“: (ბერძენიშვილი 1974: 25-242).

[17] ალბათ ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ისტორიკოსი შუა საუკუნეების განხილვით არ იფარგლებოდა და საკუთარი ხედვით, სიღრმისეულად განხილული აქვს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაც, მაგალითად, – მეტად შთამბეჭდავად, – აბელ კიკვაძის ნაშრომის რეცენზიაშიც: (ბერძენიშვილი 1971: 250-277).

[18] ამ მხრივ, ალბათ, იშვიათი გამონაკლისია საქართველოს ნამდვილი ადგილის (ყოველ შემთხვევაში, კულტურული ადგილის) განაზრებითი ძიება არა ევროპაში, არამედ აზიაში, – შესამჩნევი ანტირუსული ელფერით, – როგორც ის გამოიხატა ვახტანგ კოტეტიშვილის პუბლიცისტიკაში: ვახტანგ კოტეტიშვილი, „უკან, აზიისაკენ“ (1920) (კოტეტიშვილი 2016: 162-163); ამგვარი განწყობა, სხვათა შორის, გამოვლინდა ჟურნალ „ლეილას“ (1920-1924) ირგვლივ თავმოყრილ ინტელექტუალურ-კულტურულ წრეში (იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, აკაკი პაპავა, ვახტანგ კოტეტიშვილი).

[19] საგულისხმოა, რომ სწორედ საქართველოს ევროპული ორიენტაციის გამო – თუნდაც რუსეთის გზით – საუბრობს ბერძენიშვილი პირადად სტალინთან 1945 წლის 20 ოქტომბერს და სტალინი ეთანხმება კიდეც ისტორიკოსს: „სწორად მიაჩნია ჩემი ფორმულა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა იყო და რომ ის [რუსეთთან შეერთებით] კვლავ დაუბრუნდა ევროპული განვითარების გზას“ (ბერძენიშვილი 1998: 99).

[20] სტალინური ბრძოლა „კოსმოპოლიტიზმის“ წინააღმდეგ ასახულია იმდროინდელი საბუთების კრებულში: (სტალინი 2005); ამ იდეოლოგიური შეტევის კონკრეტულ ეპიზოდებს ქართულ სამეცნიერო-სალიტერატურო გარემოში ასახავს მონაწილის მოგონება (ბარამიძე 1987: 140-149).

[21] კლასობრივი სოლიდარობა დაყენებულია უფრო მაღლა ეროვნულ სოლიდარობასთან შედარებით ბერძენიშვილის ამ ჩანაწერში: „კლასთა ბრძოლაში ამა თუ იმ კლასის მიერ ბრძოლის საშუალებად უცხო ძალისათვის მიმართვა, უცხო ძალის მოშველიება პრინციპულად დაუშვებელი სრულიადაც არაა და ჩვენის მხრით დაგმობას ყველგან და ყოველთვის სრულიადაც არ ხვდება. თუ ასეთი რამ ისეთ მიზანს ემსახურება, რომელიც საზოგადოებრივ პროგრესს ჰგულისხმობს (კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავებას), ის დასაშვებია“ (ბერძენიშვილი 1998: 107).

[22] კიდევ მეტი, სხვაგან, თავის ჩანაწერში, ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ქვეყანას განასახიერებს მხოლოდ „პროგრესული კლასი“: „ქვეყანას, ჩვენი თვალსაზრისით, კლასობრივი ურთიერთობის პირობებში ის კლასი ასახიერებს, რომელიც უპირატესად პროგრესის მატარებელია“ (ბერძენიშვილი 1998: 108).

[23] დაწვრილებით იხ. (ლიფშიცი 1978: 293-331).

[24] ამგვარი თვალსაზრისითაა განმსჭვალული ქართულ აკადემიურ სივრცეში ყველაზე გავრცელებული

მიმოხილვითი ნაშრომი რომანტიზმის შესახებ, რომელიც საქართველოში კომუნისტური მმართველობის პერიოდში ხუთჯერ გამოქვეყნდა და რომელიც პირველად სწორედ სტალინურ ხანაში გამოიცა (მახარაძე 1948); ბოლო გამოცემა (მახარაძე 1990).

[25] თუმცა ამ ცნებას – „რომანტიზმს“ – სხვებიც და სხვაგანაც ამგვარადვე ფართო მნიშვნელობას ანიჭებდნენ: მაგალითად, კიტა აბაშიძე – ქართულ კულტურაში („პოლიტიკური რომანტიზმი“, 1905), ან კარლ შმიტი– ევროპულ კულტურაში („Politische Romantik“ – „პოლიტიკური რომანტიზმი“, 1919).

[26] დრამატურგის შემოქმედებით მემკვიდრეობაში მაინც დარჩა რამდენიმე სხვა პიესა, რომელთა სათაურები უკავშირდება მეფეთა სახელებს: „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1939-1946), „დემეტრე მეორე“ (1945-1971), „მეფე ბაგრატ მეშვიდე“ (1912-1968; საბოლოო სახელწოდებით: „ბაგრატ მეშვიდე, ქეთევანი და კირიონი“).

[27] ნარკვევის საკითხის გამო ავტორის მოხსენება წაკითხული იქნა კონფერენციაზე „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა: 1941-1956“, რომელიც ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 2019 წლის მაისში; მოხსენების ტექსტი – სათაურით „ისტორიული პიესის იდეოლოგიური ინტერპრეტაცია: ნიკო ბერძენიშვილის გამოხმაურება პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ გამო“ – გამოქვეყნდა კონფერენციის მასალების კრებულში: (ბოლშევიზმი 2019: 489-507).

დამოწმებანი

ბარამიძე 1987: ა. ბარამიძე, „კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან“, წიგნში: ა. ბარამიძე, *ახლო წარსულიდან (მოგონებანი),* თბილისი, მეცნიერება.

ბერძენიშვილი 1955: ნ. ბერძენიშვილი. „პ. კაკაბაძის ‘დავით მერვე’“, *ლიტერატურული გაზეთი,* N 14, 8 აპრილი.

ბერძენიშვილი 1971: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები,* წიგნი V, თბილისი, მეცნიერება.

ბერძენიშვილი 1974: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები,* წიგნი VII, თბილისი, მეცნიერება.

ბერძენიშვილი 1998: ნ. ბერძენიშვილი. „შეხვედრა სტალინთან“, *ცისკარი,* N 1.

ბოლშევიზმი 2019: *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა: მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956),* თბილისი, მწიგნობარი.

გურამიშვილი 1955: დ. გურამიშვილი. *თხზულებათა სრული კრებული – დავითიანი,* თბილისი, სახელგამი.

ვალენსკი 1954: Ю. Валенский. *Академик Е. А. Косминский и вопросы интерпретации истории Средних веков в советской школе,* Мюнхен: Единение.

ისტორია 1938: *История Всесоюзной коммунистической партии (большевиков): Краткий курс*, Москва, Партиздат, 1938.

კაკაბაძე 1936: პ. კაკაბაძე. *ყვარყვარე თუთაბერი,* ტფილისი, ფედერაცია.

კაკაბაძე 1954: პ. კაკაბაძე. *რჩეული თხზულებანი: პიესები,* თბილისი, სახელგამი.

კაკაბაძე 1971: პ. კაკაბაძე. *დრამატული პოეზია:* ორ ტომად, ტომი I, თბილისი, ხელოვნება.

კაკაბაძე 1973: პ. კაკაბაძე. *დრამატული პოეზია:* ორ ტომად, ტომი II, თბილისი, ხელოვნება.

კაკაბაძე 2003: მ. კაკაბაძე. „პოლიკარპე კაკაბაძე“, წიგნში: *ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა,* ნაკვეთი მეორე, თბილისი, ციცინათელა.

კაკაბაძე 2011: მ. კაკაბაძე. „ეროვნული გმირის იდეა პოლიკარპე კაკაბაძის ‘ვახტანგ გორგასალსა’ და ‘კახაბერის ხმალში’“, *ლიტერატურული ძიებანი,* 24, თბილისი.

კეკელიძე 1972: კ. კეკელიძე. „დ. გურამიშვილის თხზულებათა კომენტარები“, წიგნში: კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* XI, თბილისი, მეცნიერება.

კიკნაძე 2008: ზ. კიკნაძე. *ქართული ფოლკლორი,* თბილისი, თსუ გამომცემლობა.

კოტეტიშვილი 2016: ვ. კოტეტიშვილი. *წერილები,* თბილისი, არტანუჯი.

ლიფშიცი 1978: М. А. Лифшиц. *Карл Маркс: Искусство и общественный идеал,* Москва: Художественная литература.

ლომინაძე 1979: ბ. ლომინაძე. „მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე“, წიგნში: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები:* რვა ტომად, ტომი III, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

მახარაძე 1948: ა. მახარაძე. *ქართული რომანტიზმი,* თბილისი, სტალინის სახ. თსუ გამომცემლობა.

მახარაძე 1990: ა. მახარაძე. *ქართული რომანტიზმი,* თბილისი, განათლება.

მედვედევი, მედვედევი 2011: Р. А. Медведев, Ж. А. Медведев. *Неизвестный Сталин,* Москва, Время.

მეტრეველი 2008: *ქართლის ცხოვრება,* რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, მერიდიანი/არტანუჯი.

მეფეები 2007: *საქართველოს მეფეები,* თბილისი, ნეკერი.

მოტროშილოვა 2012: Н. В. Мотрошилова. *Отечественная философия 50-80-х годов XX века и западная мысль,* Москва: Академический Проект.

სოლჟენიცინი 2006: А. Солженицын. *В круге первом,* Москва: Наука.

სტალინი 1940: ი. სტალინი. *ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ,* თბილისი, სახელგამი.

სტალინი 1946; И. В. Сталин. *Сочинения,* том 2, Москва: Государственное издательство политической литературы.

სტალინი 1949: И. В. Сталин. *Сочинения,* том 11, Москва: Государственное издательство политической литературы,

სტალინი 1997: И. В. Сталин. *Сочинения,* том 14, Москва: Писатель,

სტალინი 2005: *Сталин и космополитизм.* 1945-1953: Документы Агитпропа ЦК, Москва: Материк.

ღაღანიძე 2011: მ. ღაღანიძე. „ათონის ქართული მონასტრის აღაპების დაგვიანებული გამოცემა“, *წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული,* 3, თბილისი, მემკვიდრეობა.

ხოშტარია-ბროსე 1998: ე. ხოშტარია-ბროსე. „სტუმრად სტალინთან“, *ცისკარი,* N 1.

ჯავახიშვილი 1982: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებათა სრული კრებული:* თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

ჯანაშია 1935: ს. ჯანაშია. *ფეოდალური რევოლუცია საქართველოში: ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში,* ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,

ჯანაშია 1949: ს. ჯანაშია, *შრომები,* I, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

DRAMATIST'S HISTORICAL PLAY AND HISTORIAN'S IDEOLOGICAL INTERPRETATION: NIKO BERDZENISHVILI'S REVIEW OF "KAKHABER'S SWORD" BY POLIKARPE KAKABADZE

Merab Ghaghanidze

In 1954 play "David VIII" by Polikarpe Kakabadze was published, finally named by the author as "Kakhaber's Sword".

Niko Berdzenishvili's review and comment regarding the play was published in 1955.

The topic of the play is historical and, at first glance, it describes the life in Georgia in the Middle Ages. However, the action of the play is not very much based on real historical events. It may be said that the historical setting given in the play is somewhat generalized, or has a more mythic-folklore character. Thus, the comments of a famous historian regarding the play of the famous playwright seemed unexpected, moreover as Berdzenishvili had never commented about fiction before even if it described more or less real historical events.

In his review Niko Berdzenishvili put forward much topical and essential issues of the history of medieval Georgia from approximately the 8th century to the beginning of the 19th century in

particular, what is much valuable and important, as in his life, he had never written an extensive, thorough or summarizing work about the history of Georgia. It is noteworthy that the play was analysed by the historian in the context of the Marxist-Leninist ideology and the researcher tried to see the history of Georgia on the background of the class struggle and oppositions between the progressive and the reactionary classes. Berdzenishvili's discourse about the progress of feudal Georgia is interesting, when in really the country was at the brink of demolition at the beginning of the 13th century, the reason for which, in the historian's view, was passive development and inactivity of bourgeois class.

The historian also commented about the issues of nationality and personality in the play and here, again, he founded his views on the Marxist-Leninist ideology. The researcher showed the same approach to the cultural questions and associated them to the class concept of the history as well.

It is biographically important that after the World War II, Niko Berdzenishvili received the directions personally from Joseph Stalin as to how to write the history of Georgia and how to evaluate the events.

As the spirit of play "Kakhaber's Sword" is mythic, neglecting a person or a person's value or importance, and as the historian viewing the play in the context of Marxism, clearly prioritizes a collective to a person, the approaches of the playwright and the historian to this question seem to be the same. However, such a coincidence does not mean that the two had the same views and ideological fundamentals.

თეორიული და ინტერდისციპლინური მიდგომები

THEORETICAL AND INTERDISCIPLINARY APPROACHES

ქართული ეროვნული იდენტობის ეთნოსიმბოლისტური კვლევა

მარიამ ჩხარტიშვილი

წინათქმა

„იდენტობის“ მრავალი დეფინიცია არსებობს. ჩემი აზრით, ყველაზე არსობრივია ამ სოციალური ფენომენის შემდეგი განსაზღვრა: იდენტობა ნიშნავს ამა თუ იმ ჯგუფის წევრობის ცნობიერებას.

იდენტობათა უმნიშვნელოვანესი ტიპი კოლექტიური-კულტურული იდენტობაა. ნაციონალური // ეროვნული იდენტობა სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება.

ეროვნულ იდენტობას ეფუძნება ისეთი დიდი სოციალური ჯგუფები, როგორიც ერებია. ვინაიდან თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ეს ერთა მსოფლიო წესრიგია. ეროვნული იდენტობის კვლევას აქვს დიდი სამეცნიერო ინტერესი. მართლაც, დღეს ეს თემა ძალიან პოპულარულია ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა შორის. ისტორიკოსები გამონაკლისნი არ არიან. მათთვის აუცილებელია მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეთ ეროვნული იდენტობის რაობის შესახებ. წყაროთა ინტერპრეტაციის, ისტორიული ფაქტების დადგენის თუ მათი ურთიერთდაკავშირების დაწყებამდე ისტორიკოსები სპეციალური ინტელექტუალური ინსტრუმენტარიუმით უნდა აღიჭურვონ.

ისტორიკოსის პროფესია არ გულისხმობს სოციალური თეორიების შექმნას. ამიტომ, აღნიშნული დარგის სპეციალისტების ამოცანას მათი კვლევისათვის რელევანტური სოციალური თეორიების მოძიება და სამეცნიერო პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენს.

რომელია ის თეორიული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული იდენტობების და ერების ისტორიების წარმატებულ რეპრეზენტირებას?

არ მაქვს ამბიცია, რომ აღნიშნულ კითხვას საზოგადო პასუხი გავცე. ქვემოთ მხოლოდ ჩემ სამეცნიერო ძიებათა შედეგების შესახებ მოგახსენებთ: ქართული იდენტობის ისტორიის აღსაწერად მე ეთნოსიმბოლისტური თეორია გამოვიყენე. სწორედ პერსონალური გამოცდილების მკითხველისათვის გაზიარება არის ამ სტატიის მიზანი.

თეორიის გაცნობა და მისი იმპლემენტაციისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები

იდენტობრივი კვლევებით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდეგ ანუ ჩემი სამეცნიერო კარიერის მოწიფულ ეტაპზე დავინტერესდი. მანამდე წყაროთმცოდნეობითი კუთხით ვიკვლევდი მედიევალურ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიას. ამ გამოკვლევების როგორც ფოკუსი, ისე შედეგები სავსებით თავსდებოდა ისტორიოგრაფიის ემპირიცისტული პარადიგმის ჩარჩოებში და ფართო სოციალური პერსპექტივის მქონე თეორიას ნაკლებად საჭიროებდა.

გასული საუკუნის 90-ანი წლების მიწურულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაფინანსებულ ერთ პროექტში შემომთავაზეს მონაწილეობის მიღება. პროექტი ქართველთა თვითცნობიერების ანუ იდენტობის ფორმირების ისტორიის კვლევას ისახავდა მიზნად. ეს იყო გამოწვევა, რომელიც ჩემ წინაშე აყენებდა კვლევისათვის რელევანტური თეორიის შერჩევის საკითხს. პანორამული რეპრეზენტაციის მიღწევა, რომელსაც პროექტის მოსალოდნელი შედეგები გულისხმობდა, თეორიის გარეშე შეუძლებელი გახლდათ. მე კი მარქსისტული სოციოლოგიისა და ერის სტალინისეული დეფინიციის გარდა არაფერი მსმენოდა. წარმოდგენა არ მქონდა დასავლური

სოციალური თეორიების არსისა და მრავალფეროვნების შესახებ.

საბედნიეროდ, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პროფესორმა გიული ალასანიამ მათხოვა დიდ ბრიტანეთში გამოცემული რიდერი „ნაციონალიზმი“ (ჰათჩინსონი, სმითი: 1994), რომლის შემდგენლები და რედაქტორები იყვნენ ბრიტანელი მეცნიერები ენტონი დევიდ სმითი და ჯონ ჰათჩინსონი. დიდი მოცულობის წიგნი სულმოუთქმელად წავიკითხე და გაოცებული დავრჩი: თურმე დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერის არაერთი დეფინიცია არსებობდა და ერების ჩამოყალიბების პროცესი სხვადასხვა მეცნიერის მიერ სხვადასხვაგვარად გაიაზრებოდა.

მალე აღმოვაჩინე, რომ ერის ფენომენის და ნაციათმშენებლობის პროცესების შესახებ არსებულ ნაშრომთა სიმრავლეში შეიძლებოდა გამოგვეკვეთა ორი, დიამეტრალურად განსხვავებული, პოზიცია: მეცნიერთა ერთი ნაწილი ერებს ოდითგანვე არსებულ, თითქმის ბიოლოგიური სახეობის მსგავს, ფენომენებად წარმოადგენდა; ხოლო მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ერები ახალ დროშია კონსტრუირებული (შექმნილი) პოლიტიკურად მოტივირებული ინტელექტუალების მიერ, რომლებიც შესაბამისი იდეებით მსჭვალავენ მასებს და ამით აღწევენ სოციალურ კოჰეზიას ჩვენ-ჯგუფის შიგნით. პირველებს პრიმორდიალისტებს უწოდებდნენ, უკანასკნელთ – მოდერნისტებს. პრიმორდიალისტების მიდგომით, ცხადია, ელიტების რაიმე როლი ერების ფორმირებაში უარყოფილი იყო, კონსტრუქციონისტები, პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ ეს როლი ერების შექმნაში გადამწყვეტია.[1]

შესამჩნევი იყო მესამე, შუალედური, პოზიციაც. ამ პოზიციაზე მყოფნი ერებს რეალურად არსებულ ფენომენებადაც მიიჩნევდნენ და, გარკვეული აზრით, სოციალურ კონსტრუქტებადაც: კულტურული ელიტა, მათი შეხედულებით, ახდენდა ჩვენ-ჯგუფის ვერნაკულურ მობილიზაციას და ეროვნული იდენტობრივი მარკერების დადგენას, მაგრამ ამას აკეთებდა არა ეროვნული კულტურის „გამოგონებით“, არამედ ადრე რეალურად არსებული ეთნიკური კულტურის სელექციური რეინტერპრეტაციის გზით. ასე მიღებული ეროვნული კულტურა, ცხადია, არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო ზუსტად ის, რაც ეთნიკური, მაგრამ არც მისგან სრულიად მოწყვეტილი ან სხვა. ანუ ერებს ეთნიკური ფესვები ჰქონდათ. ამ პოზიციის მიმდევრები ყველაზე ცოტანი იყვნენ. მათ ეთნოსიმბოლისტებად // ეთნიცისტებად მოიხსენიებდნენ. საინტერესოა, რომ ჩემ ხელთ არსებული რიდერის შემდგენლები სწორედ ეთნოსიმბოლისტები იყვნენ.

მე ეს შუალედური მიდგომა მომეწონა, რადგან ჩავთვალე, რომ მისი საშუალებით კარგად შეიძლებოდა ქართველთა თვითცნობიერების // იდენტობის ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესის აღწერა. ის არ იყო პრიმორდიალისტურ მიდგომასავით ნაივური და აისტორიული, არც ერის ფენომენის სუბსტანციურობის სავსებით უარმყოფელი და ერის მარტოოდენ თანამედროვე დისკურსის ფორმად წარმომაჩენელი თეორია.

ეთნოსიმბოლისტების მიხედვით, თუმც ერების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ელიტებს, ელიტები მოქმედებენ არა სრულიად ვოლუნტარისტულად, არამედ წინარე არსებული ეთნიკური კულტურის ფარგლებში. ამგვარად, ერთი მხრივ, ინტელექტუალთა აქტივობას და მათ მიერ ინიცირებულ დისკურსს და, მეორე მხრივ, რეალურად არსებულ კულტურას და მასებს თანამედროვე ერების შექმნაში აქვთ მნიშვნელობა. ერები მოდერნული ფენომენებია, მაგრამ ისინი წინამოდერნული ერთობების მემკვიდრეობაზე არიან აღმოცენებულნი.

ამ მიდგომას აქვს ძალიან ბევრი საინტერესო სხვა დებულებაც, რის გამოც მე ის თავიდანვე ანგარიშგასაწევად მეჩვენა, მაგრამ ახლა რამდენიმეს აღვნიშნავ მხოლოდ.

ნაციონალიზმს ეთნოსიმბოლიზმი განიხილავს როგორც კულტურის შემადგენელს, ნაციონალისტურ მოძრაობებს უკავშირებს კულტურულ რენესანსებს და გამორჩეულ ნაციონალისტ ლიდერებს ერების დამფუძნებელ მამებად თვლის. თუ გავიხსენებთ როგორ ესმოდათ საბჭოთა კავშირში და კარგა ხანს მისი დაშლის შემდგომაც ნაციონალიზმი – როგორც დესტრუქციული პოლიტიკური ან რეაქციული ბურჟუზიული იდეოლოგია – მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა დიდი ინსპირაცია უნდა მოეცა ჩემთვის ნაციონალიზმის კულტურული შინაარსით გააზრების შესახებ

მტკიცებულებას.

ეთნოსიმბოლისტური ინტერპრეტაციით, როგორც ითქვა, ერები მოდერნული ფენომენებია (ამით ეს მიდგომა არ განსხვავდება არც მოდერნისტებისაგან და არც, სხვათა შორის, მარქსისტების თვალსაზრისისაგან), მაგრამ მათ ეძებნებათ წინამოდერნული პრეფიგურაციები, რომელთაც ნაციის იდეალურ ტიპთან დიდი მიახლოების გამო შეიძლება ეწოდოთ ერები. თუმც პრემოდერნული ერები იგივე არაა, რაც მოდერნული ერები: პირველები უკანასკნელთ მხოლოდ ემსგავსებიან და მოგვაგონებენ.

ეს ყველაფერი ჩემი კონკრეტული ისტორიული ძიებებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ პრობლემა ის გახლდათ, რომ ზემოთ ხსენებული რიდერის გარდა, სხვა არაფერი გამაჩნდა. ის კი ეთნოსიმბოლისტური მიდგომის სრულად გასაგებად საკმარისად არ მეჩვენებოდა. იმ ხანად ანუ გასული საუკუნის 90-იან წლებში საინტერნეტო რესურსები, დღევანდელთან შედარებით წარმოუდგენლად უფრო მწირი იყო, ხოლო ახალი წიგნები, მითუმეტეს, აღნიშნული პროფილისა, საქართველოში თითქმის არ მოიპოვებოდა.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში ნამდვილ მაშველ რგოლად მომევლინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხაზით დიდ ბრიტანეთში მივლინება. გაცვლითი ხელშეკრულება იყო დადებული ჩვენსა და ბრიტანეთის აკადემიებს შორის (Exchange Agreement between the British Academy and the Georgian Academy of Sciences for the exchange of scholars of post-doctoral status to carry out research) და სადოქტოროს დაცვის შემდგომ ქართველ მეცნიერს ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსებით შეეძლო გამგზავრება და დიდ ბრიტანეთში მუშაობა. ამის სანაცვლოდ საქართველოს ბრიტანელი მეცნიერისათვის უნდა ემასპინძლა. აპლიკაცია მრავალი პირობის დაკმაყოფილებას მოითხოვდა. ერთი ყველაზე ძნელი იყო: მოწვევა უნდა მქონოდა ბრიტანელი მეცნიერისაგან. ასეთს არავის ვიცნობდი იმხანად. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მე კონკრეტულად ე.დ. სმითთან შეხვედრა მინდოდა. ინტერნეტით მოვიძიე მისი მისამართი და სრულიად უიმედოდ მივწერე წერილი თხოვნით, გამოეგზავნა ჩემთვის შესაბამისი მოწვევა. ჩემდა გასაოცრად და სასიხარულოდ ორიოდ კვირაში ე.დ. სმითის ასისტენტის წერილი მივიღე, რომელშიც იგი მამცნობდა, რომ ე.დ. სმითს სურს ჩემთან შეხვედრა და შეხვედრის დრო უკვე უნდა განვსაზღვრო, რადგან ის მალე ერთწლიან შემოქმედებით მივლინებაში აპირებს წასვლას. ამ მიწვევის წარდგენის შემდგომ ჩემი აპლიკაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დააკმაყოფილეს და 2001 წელს ერთთვიანი შვებულებით გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში. ე.დ. სმითს ვესტუმრე მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში – ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში. მისი მიწვევით აქ ვესწრებოდი სემინარს, რომელსაც ე.დ. სმითის უმცროსი კოლეგა ჯონ ჰათჩინსონი ხელმძღვანელობდა, მაგრამ რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა თავად ე.დ. სმითიც. ეს ძალიან დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის. ამის პარალელურად დავდიოდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში და ინტენსიურად ვმუშაობდი სპეციალურ ლიტერატურაზე ნაციათმშენებლობის სფეროში. უკვე იმ დროისათვის საკმაოდ ბევრი ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული ე.დ. სმითს ჩემთვის საინტერესო თემაზე.

2002 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაფუძნდა ინტერდისციპლინური ინსტიტუტთაშორისი სემინარი „ეთნიკურობა და ნაციონალიზმი“. აკადემიკოსი გურამ თევზაძე ამ სემინარის ხელმძღვანელი გახლდათ, მე – მისი კოორდინატორი. სწორედ ამ სემინარზე წავიკითხე პირველი მოხსენება, რომელშიც საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთის რეპრეზენტირებას შევეცადე ეთნოსიმბოლისტური მიდგომის საფუძველზე. მოხსენება სემინარის მასალების კრებულში მალევე გამოქვეყნდა. ეს იყო ქართლის მოქცევის დროინდელი ქართული ერთობის, როგორც გამოკვეთილი ეთნიკური იდენტობის მქონე კოლექტივის, შესახებ გამოკვლევა (ჩხარტიშვილი 2002). ამ სტატიას მე ქვემოთ დავუბრუნდები, როგორც ქართულ სინამდვილეში დასავლური სოციალური თეორიით ისტორიული რეპრეზენტაციის პირველ ცდას.[2] ახლა კი მინდა კვლავ დიდ ბრიტანეთში

სამეცნიერო მივლინების შესახებ გავაგრძელო საუბარი.

2003 წელს იგივე გრანტის მეშვეობით მე კიდევ მოვახერხე ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. კვლავ ვმუშაობდი ბიბლიოთეკაში და ვხდებოდი პროფესორ ე.დ. სმითს. ამჯერად მოხსენებაც („ქართული იდენტობა: განვითარების საფეხურები“) გავაკეთე ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის ასოციაციის (ASEN) საერთაშორისო სემინარზე (ჩხარტიშვილი 2009ა: 41-65). წამოსვლისას ე.დ. სმითს ვთხოვე ნება მოეცა მეთარგმნა მისი ერთ-ერთი პირველი ფუნდამენტური ნაშრომი ეთნოსიმბოლისტური მიდგომის შესახებ: „ნაციების ეთნიკური წარმომავლობა“ (სმითი 1986). მან მითხრა, რომ ეს დიდი წიგნი ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც ეთნოსიმბოლიზმის შესახებ არაფერი სმენია, აღსაქმელად ძნელი იქნებოდა. ამიტომ მაჩუქა ორი მომცრო მოცულობის წიგნი, რომლებშიც მისი კონცეფციის კომპაქტური გადმოცემაა მოცემული (სმითი 2000); (სმითი 2003).

რამდენადაც მეორედ დასახელებულ წიგნზე ე.დ. სმითის საავტორო უფლება ჰქონდა და ამ მხრივ გამომცემელთან პრობლემა არ მექმნებოდა, ამიტომ საქართველოში დაბრუნების შემდგომ მალევე ვთარგმნე და გამოვეცი. პირველზე შესაბამისი უფლება ავტორს არ ეკუთნოდა, და ამიტომ დღემდე არ მითარგმნია.

ზემოხსენებული თარგმანი (ჩხარტიშვილი 2004ა) უსასყიდლოდ შევასრულე, გამოცემა კი დააფინანსა ქართული ენის საერთაშორისო ცენტრმა. რამდენადაც ამას ჩემი გამოცდილება წვდება, ეს თარგმანი პოსტსაბჭოთა სივრცეში ე.დ. სმითის შემოქმედების შემოტანის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო. ე.დ. სმითის სხვა ნაშრომი რუსულ ენაზე პირველად ჩემი თარგმანის სინქროულად ანუ 2004 წელს გამოვიდა. ეს იყო მონოგრაფიის „ნაციონალიზმი და მოდერნიზმი“ თარგმანი (სმირნოვი 2004).

ჩემი თარგმანის გამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ იდენტობრივი კვლევების სფეროში ჩემმა კოლეგამ და თანამოაზრემ ლელა პატარიძემ გამოსცა ე.დ. სმითის ნაშრომის „ნაციონალური იდენტობა“ ქართული თარგმანი (პატარიძე 2008).

ჩემეულ თარგმანს აქვს ე.დ. სმითის ძალიან საინტერესო წინათქმა. მომყავს ამ წინათქმის თარგმანი სრულად:

> საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, ყოველთვის იპყრობდა დასავლელი მეცნიერების ყურადღებას. თანამედროვე საქართველოც მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუმცა ინფორმაცია, რომლის მოძიებაც შეიძლება შესაბამის ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძალზედ მწირია. თემები, რომელთა გარშემოც, ჩვეულებრივ, თავს იყრის ისტორიული აღწერილობანი თუ განზოგადებანი ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევს, რადგანაც მათში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სოციალური მეცნიერების თეორიული მიღწევები. ყოველივე ეს ხელს უშლის იმ ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობის ღრმა წვდომას, რომელიც ოქროს საწმისთან, უფლის კვართთან და ვარდების რევოლუციაში ნაშობ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსთან ასოცირდება. ამის მიზეზი, უეჭველია, დასავლელ კოლეგათაგან ქართველი მეცნიერების ხანგრძლივი იზოლაციაა, ის ფაქტია, რომ მრავალი წლის განმავლობაში მათთვის არ არსებობდა მარქსისტული სოციალური მეცნიერების რაიმე ალტერნატივა. როცა გასულ წელს პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა მომმართა ჩემი წიგნების ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით, ამ მიზნისათვის ორი ბოლოდროინდელი პუბლიკაცია შევურჩიე: „ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია“ და „ნაცია ისტორიაში. ისტორიოგრაფიული დებატები ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის შესახებ“. წინამდებარე ტომი პირველი მათგანია და მიზნად ისახავს ნაციონალიზმის კონცეფციის მოკლე მიმოხილვას. მე ორგვარი ამოცანა დავისახე: პირველი, შეძლებისდაგვარად, სრულად გადმოვცე ამ დარგში მიმდინარე კამათის ძირითადი არსი; და მეორე, მკითხველს საკუთარი ეთნოსიმბოლისტური თვალსაზრისი შევთავაზო. მადლიერება მინდა გამოვხატო პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილისადმი წიგნის თარგმანზე გაწეული ძალისხმევისათვის. აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ქართული ენის საერთაშორისო ცენტრის დირექტორს ქალბატონ რუსუდან ამირეჯიბ–მალენს, რომელმაც, როგორც პროფესიონალმა ლინგვისტმა, თავს იდო ქართული ტექსტის რედაქტირება. როგორც შევიტყვე, ეს პუბლიკაცია კონფერენციის „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“ მონაწილეთა საჩუქრად არის გამიზნული. მე მივესალმები მათ და ნამდვილად ბედნიერი ვიქნები, თუ ეს თარგმანი ქართველ მეცნიერებსა და

სტუდენტებს მათ პროფესიულ საქმიანობაში წაადგება (ჩხარტიშვილი 2004ა:14-15).

მართლაც, ეს წიგნი ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩემი ინიციატივით 2004 წელს ჩატარებული კონფერენციის „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“ მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ. დარჩენილი ტირაჟიც საჩუქრად დავარიგე, რადგან თარგმნისა და გამოქვეყნების უფლება ავტორმა, როგორც უკვე ვთქვი, უანგაროდ მომანიჭა, მეც, ცხადია, თარგმანის არცერთი ეგზემპლარი არ გამიყიდია.

ეთნოსიმბოლისტური მიდგომის საქართველოს ისტორიის რეპრეზენტირებისათვის გამოყენების მაგალითები

ახლა მინდა შევჩერდე ზოგ ჩემს გამოკვლევაზე, რათა მკითხველს დავანახო ეთნოსიმბოლისტური თეორიის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლო გზები.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი პირველი გამოკვლევა, რომელშიც ეთნოსიმბოლიზმის პოზიციებიდან შევეცადე ისტორიის რეპრეზენტირებას, შეეხებოდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ხანას. ძირითადი წყარო იყო „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. ეს ქართველთა განმანათლებლის ჰაგიობიოგრაფიის ის რედაქციაა, რომელიც დღეს „მოქცევაი ქართლისაის“ მეორე ნაწილის სახით შემოგვრჩა. მე ამ ტექსტის არქეტიპს IV საუკუნის შუა ხანებით ვათარიღებ (ჩხარტიშვილი 1987) და, ამდენად, მასში აღწერილი ეპოქის რეპრეზენტირებისათვის ავთენტურ წყაროდ მივიჩნევ. არც ამ ძეგლის, არც საკვლევი ეპოქის არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა.

ა) რელიგია კოლექტიური კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანესი მარკერია, ამიტომ რელიგიური მოქცევის ფაქტი იდენტობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს; ბ) აღნიშნული თხზულება, როგორც ითქვა, ავთენტური წყაროა, და ის ასახავს მოვლენის თანამედროვე ავტორის პერცეფციებს; გ) ამ წყაროს რელევანტურობის განმსაზღვრელი ოღონდაც მარტო ეს არაა. თავად ამ ძეგლის ჟანრობრივი კუთვნილებაც გასათვალისწინებელია: საქმე ისაა, რომ ჰაგიოგრაფია საეკლესიოდ საკითხავი ლიტერატურული ჟანრია. ანუ მისი იდეები საეკლესიო მსახურების გზით აღწევს კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს: როგორც პოლიტიკურ ელიტას, ისე მის რიგით წევრებს ანუ დაბალ სოციალურ ფენებს. აქედან გამომდინარე, ჩემ მიერ წყაროდ გამოყენებული ძეგლი ასახავს არა მხოლოდ მისი ავტორის შეხედულებებს, რომელიც, უეჭველია, კულტურული ელიტის წარმომადგენელი იყო, არამედ ირიბად ამ თხზულების მსმენელი აუდიტორიის მსოფლხედვასაც ანუ ის ასახავს კოლექტივის სხვადასხვა სოციალური ფენის მსოფლხედვას. ამიტომ იყო აღნიშნული ძეგლის წყაროდ შერჩევა ჩემი კვლევისათვის მრავალმხრივ მიზანშეწონილი.

მე ეს თხზულება ე.დ. სმითის მიერ იდენტიფიცირებულ ეთნიკური მარკერების მიხედვით გავაანალიზე: ენა, ტერიტორია, რელიგია, თვითსახელწოდება. ეთნიკურობასთან აღნიშნულ მარკერთა დაკავშირება არც საბჭოური სოციოლოგიისათვის იყო უცხო, მაგრამ მათი გააზრება ხდებოდა ობიექტივისტურად. ეთნოსიმბოლიზმში კი ამ მარკერთა გააზრება სუბიექტივისტურია. ამას კარგად აჩვენებს თუნდ ის დამატებითი მარკერი, რასაც ვერ ვნახავთ მარქსისტული მიდგომით კვლევისას. ესაა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. ჩემი ზემოთ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებამდეც ვსაუბრობდი ქართულ მესიანურ იდეოლოგიაზე, რომელიც აღმოცენდა ქართლის მოქცევის ეპოქაში (ჩხარტიშვილი 1998); (ჩხარტიშვილი 1999). მე ვამტკიცებდი, რომ არსებობდა ქართული მისიონისტური იდეოლოგია, რომელიც მრავალი საუკუნით წინ უსწრებდა ქართველოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურაში მანამდე ასეთად მიჩნეულ რჩეულობის იდეოლოგიას, რომლის საფუძველს ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობა წარმოადგენდა. ახალი თეორიული მიდგომის გამოყენების შედეგად ის შეიცვალა, რომ

აღნიშნულ ფაქტს მე უფრო ადექვატური ტერმინით – რჩეულობის იდეოლოგია – აღვნიშნავდი და, რაც მთავარია, მას იდენტობრივი პერცეფციების ფართო კონტექსტში ვიაზრებდი.

კოლექტიური-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ეთნიკურ ჩვენ-ჯგუფებს ახასიათებთ ჯგუფური სოლიდარობის წარმოსახვითობა, რაც გულისხმობს სოციალურ შეჭიდულობას არა მარტო ჯგუფის რეალურად კონტაქტში მყოფ ან თანამედროვე წევრებს შორის, არამედ ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაცილებულ ან საერთოდ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ წევრებს შორისაც: კოლექტივში მოაზრებიან ქვეყნიდან გასულნიც, გარდაცვლილნიც და ჯერ არშობილნიც. მე ამ კუთხითაც განვიხილე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ყველა აღნიშნული მარკერის მიხედვით IV საუკუნის შუა ხანებში ქართული ერთობა ავლენდა გამოკვეთილ თვითცნობიერებას. ეს მიუთითებდა, რომ ქართული ერთობა გაქრისტიანებამდეც ეთნიკური ნიშნებით მკაფიოდ მარკირებული ჩვენ-ჯგუფი იყო. ქრისტიანობამ ქართველთა ეთნიკურობა უფრო საჩინო გახადა. საქმე ისაა, რომ ტრანსეთნიკური რელიგიის მიღების შედეგად ქართული ერთობა აღმოჩნდა ჰომოგენურ იდეოლოგიურ სივრცეში. ქრისტიანული ოიკუმენის სხვა ბინადართა პირისპირ საკუთარი მეობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო იდენტობის უნიკალური მარკერების გამოკვეთა. სწორედ ამის შედეგია აღნიშნულ ვითარებაში ეთნიკურ თავისებურებებზე ხაზგასმა და ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიის შექმნაც. ქართულ ერთობაში გლობალური მისიის მითის კულტივირება იყო კოლექტივის ერთგვარი თავდაცვითი რეაქცია, პასუხი იმ გამოწვევაზე, რომელიც მოჰქონდა ქართველთა ექსკლუზიური რელიგიის ანუ არმაზის კულტის ტრანსეთნიკური ქრისტიანობით ჩანაცვლებას.

ამ სტატიაში აღძრული საკითხები უფრო გავრცობილად იქნა წარმოდგენილი ჩემს მონოგრაფიაში „ქართული ეთნიე რელგიური მოქცევის ეპოქაში“, რომელიც 2009 წელს გამოიცა და რომელიც შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (ჩხარტიშვილი 2009ბ).

ამის პარალელურად ცალკეულ სტატიებში მე სათითაოდ ვეხებოდი ქართული იდენტობის სხვა-დასხვა მარკერს: ქართველთა თვითსახელწოდებას (ჩხარტიშვილი 2005: 227-241); (ჩხარტიშვილი 2006ა: 204-218) ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიას (ჩხარტიშვილი 2009გ: 376-385), ენობრივ (ჩხარტიშვილი, მანია 2010: 472-483) და რელიგიურ მარკერებს (ჩხარტიშვილი 2007: 15-24); (ჩხარტიშვილი 2008: 223-227), კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობის საკრალურ ასპექტს (ჩხარტიშვილი 2011ა: 72-91). ვმსჯელობდი საკითხის შესწავლისათვის რელევანტური წყაროების (მაგალითად, ჰაგიოგრაფიის) შესახებ (ჩხარტიშვილი 2003: 53-57); (ჩხარტიშვილი 2004ბ); (ქადაგიშვილი, ჩხარტიშვილი 2014: 413-421). არ ვიფარგლებოდი მხოლოდ ქართლის ოფიციალურად გაქრისტიანების ხანით და ამ მარკერთა განვითარებას ვუკვირდებოდი სხვადასხვა საუკუნეში ანუ დინამიკაში.

წინამოდერნის ეპოქის რეპრეზენტირებას მე კიდევ ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლის საშუალებით შევეცადე. ესაა წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება“. გამოკვლევა აღნიშნულ ძეგლზე დაფუძნებით, რომელიც თავიდან იკითხებოდა სამეცნიერო კონფერენციებზე, რამდენიმე ენაზე გამოვაქვეყნე მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით (ჩხარტიშვილი 2006ბ: 87-101); (ჩხარტიშვილი 2011ბ: 312-331); (ჩხარტიშვილი 2015: 401-409); (ჩხარტიშვილი 2017: 73-89). ამ ეპოქისადმი ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს განაპირობებდა ის ფაქტი, რომ მეთერთმეტე საუკუნე – საქართველოს ოქროს ხანის დასაწყისი, მე ქართული პრემოდერნული ნაციის კონსოლიდების ეპოქად მივიჩნიე. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ე.დ. სმითი გარკვეული პირობითობით სხვა ხალხების მაგალითების მოშველიებით საუბრობს იმგვარ ფენომენზე, როგორიც პრემოდერნული ნაციებია. მე ჩავთვალე, რომ ეს აზრი პროდუქტიული შეიძლება ყოფილიყო ქართული შემთხვევისათვისაც და საქართველოს ისტორიის ერთი ეპოქის რეპრეზენტირებას შევეცადე ამ მიდგომით.

ქართული იდენტობის ისტორიაში ჩემი კვლევების მეორე ნაწილი ეროვნული კონსოლიდაციის

ეტაპს ეხება. ეს კვლევები წარმოდგენილია ასევე მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი თუ უცხოენოვანი სტატიებით და მოხსენებებით ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. ამ საკითხს მიეძღვნა ჩემი დიდტანიანი მონოგრაფია, რომელიც ასევე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში შესრულდა (ჩხარტიშვილი, მანია 2011).

ყველა ეს ნაშრომი მრავალი ფაქტის მომცველია. მე ახლა მხოლოდ სქემატურად აღვწერ მათში წარმოდგენილ ჩემს თვალსაზრისს ქართული იდენტობის ისტორიაზე.

ქართული იდენტობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს და მრავალი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად დღემდე თვითიგივური რჩება. მისი განვითარების წინამოდერნულ და მოდერნულ პერიოდებს შორის წყვეტილი არაა. ამის საფუძველია კულტურული ბირთვის უცვლელობა. ეს განვითარება ემსგავსება ენის განვითარებას და ანალოგიურია იმისა, რასაც ფილოლოგიურ მეცნიერებაში ენის „მოქნილ სტაბილურობას“ უწოდებენ: ფენომენი ვითარდება, იცვლება, მაგრამ მაინც მისი განვითარების პერიოდები ერთი ფენომენის განვითარების პერიოდებია და არა სხვადასხვა რამ. ქართული იდენტობის ამგვარი განგრძობადობა ქართველთა თვითსახელწოდებაშიც – „ქართველი“ – აისახება: ის ცვალებადობს საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ არასოდეს ისე არ იცვლება, რომ შეუძლებელი იყოს საბოლოო ფორმაში ამოვიცნოთ განვითარების წინა ეტაპი.

სპეციალისტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ნაციების წარმოშობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მოდერნიზაციამ: ერების ნაწილი უშუალოდ მოდერნიზაციის პროცესის პროდუქტია. მათგან მოხდა ერის იდეის გადაცემა სხვა კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ერთობებში. ამ ერთობების კულტურულმა ელიტებმა აიტაცეს ნაციონალური იდეა და მოახდინეს ამ იდეით თავიანთი მშობლიური ეთნიკური კოლექტივების გამსჭვალვა და მათი კონსოლიდება ერებად.

მე ვთვლი, რომ ქართველი ერი განეკუთვნება ერების სწორედ ამ მეორე ტიპს. მის კონსოლიდებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის კულტურულ ელიტას და ამ ინტელექტუალთა მიერ შექმნილ ეროვნული სოლიდარობის იდეოლოგიას ანუ ნაციონალიზმს (ჩხარტიშვილი, ქადაგიშვილი 2011: 426-435); (ჩხარტიშვილი და *სხვები* 2011: 256-278); (ჩხარტიშვილი 2011გ: 426-447); (ჩხარტიშვილი 2013ა); (ჩხარტიშვილი 2014ა: 290-302).

ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიები, ცხადია, წინამოდერნის ეპოქაშიც არსებობდა. ამის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის არსებობა. ასეთი სოლიდარობის იდეოლოგია იყო თუნდაც ზემოთ აღნიშნული ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია, რომელიც ახლადმოქცეული ქართული ერთობის კონსოლიდებას ისახავდა მიზნად.

რა განასხვავებს მოდერნული ეპოქის შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიას ანუ ნაციონალიზმს წინამოდერნული ეპოქების შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიებისაგან?

ჯერ ერთი, როგორც ახალ დროში შექმნილი დისკურსი, ნაციონალისტური იდეოლოგია განუზომლად მეტი თემის მომცველია, ვიდრე მისი წინამოდერნული პრეფიგურაციები; მეორე, ნაციონალიზმის შეღწევადობა საზოგადოებრივ ფენებში გაცილებით ღრმაა, ხოლო ცირკულირება – გაცილებით ინტენსიური. აღნიშნული სრულიად ლოგიკურია გამომდინარე იქიდან, რომ ახალი დროის საზოგადოება სოციალურად უფრო ჰომოგენურია, ვიდრე ძველი დროის საზოგადოება; ახალ დროში შესუსტებულია ან სრულიად წაშლილია სოციალური სტრატიფიკაცია, მაღალ კულტურაზე კოლექტივის წევრების სრულიად თანაბარი ან თითქმის თანაბარი წვდომაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა სოციალური მექანიზმებით. ახალი მედია საშუალებები მეტ გასაქანს აძლევს შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეებით მასების ინსპირირების პროცესს, კულტურის საჯაროობა კი ძალზე ფართო, თითქმის ყოვლისმომცველია.

ხაზი მინდა გავუსვა: როგორც მედია, ისე საჯარო კულტურული სივრცეები წინამოდერნის

დროსაც არსებობდა, მაგრამ ახალ დროში ეს ყველაფერი თვისებრივად სხვაგვარი ხდება. სწორედ ეს ანუ აღნიშნული ფენომენების სხვაგვარობა ქმნის კაცობრიობის ისტორიაში გარკვეული ეპოქის „ახალ დროდ“ სახელდების საფუძველს.

ახალ დროში სოციალური ჰომოგენურობისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი გამოხატულებაა „ხალხის“ ახლებური კონცეპტუალიზებაც: წინამოდერნის დროს მარგინალიზებული „ხალხი“, ახალ დროში თანდათან სოციუმის ფასეულობათა შკალაზე იკავებს უმაღლეს ნიშნულს (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 27-29). იგი საკრალური ხდება და საბოლოოდ ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდაც კი გაიაზრება. წინამოდერნული ეთნიკური ერთობების შემთხვევა კი სულ სხვაა: ისინი ცენტრირებულნი იყვნენ მონარქის პიროვნებაზე, რომლის ხელისუფლებას საღვთო ლეგიტიმაცია ჰქონდა. ამგვარად, ცვლილება „ხალხის“ კონცეპტუალიზებაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი იმისა, რომ წინამოდერნის საზოგადოებიდან გადავედით მოდერნულ საზოგადოებაში.

XIX საუკუნის საქართველოში მე მოდერნული დროსათვის დამახასიათებელი ზემოთ აღწერილი ვითარება დავინახე (ჩხარტიშვილი 2019ა: 183-186). ამ საუკუნის დასაწყისში ანტირუსულ გამოსვლებში ხალხი მოგვევლინა ისტორიის მნიშვნელოვან აქტორად. მერე უკვე მისი ახალი დროის შესატყვისი კონცეპტუალიზებაც მოხდა. ამავე დროს იწყება ეროვნული ნარატივის შექმნის პროცესი ანუ იმის გააზრება, თუ ვინაა ქართველობა: საიდან მოდის, რას წარმოადგენს, მომავალში საით უნდა წავიდეს. ცხადია, ზოგ ამგვარ საკითხს ადრეც განიხილავდნენ ქართული კულტურული ელიტის წარმომადგენლები, მაგალითად, XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი (თარგამაძე 2018), და კიდევ უფრო ადრე ნიკოლოზ გულაბერიძე თუ წმ. გიორგი მთაწმინდელი, მაგრამ შეუძლებელია უარვყოთ, რომ იმგვარად ყოვლისმომცველი განსჯა ქართველობის რაობისა და ბედისა, როგორსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნეში, მანამდე არასოდეს ყოფილა.

ქართული ნაციონალური იდეის შექმნა არის ახალი დროის შესატყვისი კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესი. ამ პროცესს წარმართავდა ქართული კულტურული ელიტა, რომლის სათავეში ამ დროს ჩვენ ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს. ილია ქმნიდა ქართველი ერის ნარატივს და პრაქტიკულად ახერხებდა კიდეც ქართული ერთობის მნიშვნელოვანი ნაწილის გამსჭვალვას ამ ნარატივის იდეებით. სწორედ ამიტომ ილია არის „ქართველი ერის მამა“ და ეს სახისმეტყველებითი[3] თქმა დიდი სიმართლის დამტევია: მშობლიური ერთობის წევრები ილიამ შეადუღაბა (მისივე ტერმინი რომ გამოვიყენო, „შემსჭუალა“) საზიარო ფასეულობებით, ქართული ერთობის ეთნიკურ სხეულს მან შთაბერა ეროვნული სული.

ილიასი და მისი თანამოღვაწეების მიერ შექმნილი ქართველი ერის ნარატივის შინაარსი ქართული სინამდვილის ამსახველი იყო, ხოლო ფორმა ანუ მატრიცა, რომელსაც ქართული ინტელიგენცია ამ შინაარსის რეპრეზენტირებისათვის იყენებდა – ევროპული (ჩხარტიშვილი 2014ბ: 59-67); (ჩხარტიშვილი 2014გ: 202-213). საინტერესოა, რომ აღნიშნული ფაქტი ანუ ქართული ეროვნული ნარატივის ევროპული ყალიბი, ეროვნულ მოღვაწეთა ამ თაობას სავსებით გაცნობიერებული ჰქონდა. აშკარად ამიტომ აღა-ფრთოვანებდა თავად ილიას ერის მისეული გაგების თანხვედრა ცნობილი ფრანგი ერუდიტის ერნესტ რენანის შეხედულებასთან (ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: 72-89). თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ილიას „ივერია“ იყო ეროვნული იდეების გავრცელების მთავარი საშუალება. „ივერიამ“ მისი მკითხველი საზოგადოება ჩამოაყალიბა მოდერნულ ერად (ჩხარტიშვილი 2012: 188-211).

ქართველი ერის ილიასეული კონცეფცია ორგანიცისტულად გააზრებული ერთობის ანუ ეთნო-ერის გამოხატულ ნიშნებს ატარებდა, მაგრამ ამავე დროს მას სამოქალაქო ერთობის ნიშნებიც აშ-კარად ჰქონდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო დასტურია თუნდაც ის, რომ ქართულ ერთობას ილიასეულ დისკურსში წინამოდერნული დისკურსისათვის დამახასიათებელი ტერმინი „ნათესავი“ კი არ ეწოდებოდა, არამედ „ერი“. ორივე მათგანი ანუ „ნათესავიც“ და „ერიც“, ჯგუფის აღმნიშვნელი, ოღონდაც განსხვავებული შინაარსის მქონე, სიტყვებია: „ნათესავი“ ისეთი ჯგუფია, რომლის წევრები

თავიანთ საერთო წარმომავლობას აღიარებენ. ანუ იდენტიფიკაციის საფუძველი დაკონკრეტებულია, როგორც საერთო თესლი. ჯგუფის „ერად“ სახელდების შემთხვევაში კი საერთო წარმომავლობა თუმც არ გამოირიცხება („ერი“ ხომ ადამიანთა კრებულის, ჯგუფის, აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვაა), მაგრამ არც აუცილებლობით იგულისხმება.[4]

ამგვარი ანუ ნეიტრალური ტერმინის შერჩევა ერთობის სახელდებისათვის უკვე იმას მიანიშნებს, რომ XIX საუკუნის ქართველი ეროვნული მოღვაწენი, ყოველ შემთხვევაში, ილია, ქართულ ჩვენ-ჯგუფს აღარ მოაზრებოდა მხოლოდ სისხლის ერთობაზე დაფუძნებულ ექსკლუზიურ კოლექტივად, არამედ ინკლუზიურადაც ანუ ერად. ამით ქართული ერთობის რაობის ილიასეული გააზრება უახლოვდება მოქალაქეობრივი ერთობის იდეას.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ინტენსიურად გრძელდებოდა ქართული ეროვნული იდენტობის წრთობა. კულტურული ნაციონალიზმის საფუძველზე მკაფიოდ გამოკვეთილი ერთობას გაუჩნდა პოლიტიკური ჯავშანიც. ასეთი კულტურულ-პოლიტიკური „შენადნობი“ გახლდათ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (ჩხარტიშვილი და *სხვები* 2015: 75-86). ქართულ ერ-სახელმწიფოში ქართული იდენტობა გამოკვეთილ მოქალაქეობრივ ნიშნებს იძენს.

საბჭოთა იმპერიაში ყოფნამ ქართული იდენტობას დიდი ზიანი მიაყენა. მას სახელმწიფოებრივი მოქალაქეობრივი ნიშნულიდან ეთნიკურობისაკენ დაახევინა. საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან ქართველობა გამოვიდა როგორც ეთნიკური ექსკლუზიურობით აღბეჭდილი ერთობა. სხვაგვარად იმპერიისაგან თავის დაღწევა შეუძლებელიც იყო. შესაბამისად, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას ეროვნული ნარატივი ქართველი ეთნო-ერის ნარატივია (ჩხარტიშვილი 2019ბ: 138-146). 2003 წლიდან „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ქართული იდენტობა ნელ-ნელა იბრუნებს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მიერ ნაგულისხმევ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს კი სრულად რეალიზებული მოქალაქეობრივი ერის მახასიათებლებს.

ასეთია, ძალიან მოკლედ, ჩემ მიერ ქართული იდენტობის ისტორიის ხედვა ერის რაობისადმი დასავლური თეორიული მიდგომის გათვალისწინების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღნიშნული ჩემი ნაშრომების (აქ მათი მხოლოდ ნაწილი იყო დამოწმებული) ქრონოლოგია აჩვენებს. ამ მიმართულებით ინტენსიურ კვლევას მე თითქმის ორი ათეული წელი მივუძღვენი. ეთნოსიმბოლიზმმა საშუალება მომცა ქართული იდენტობის ისტორიის რეპრეზენტირებისას მომეცვა ეთნიკური განვითარების პერიოდი, ხოლო ეროვნული კონსოლიდების პროცესი წარმომედგინა, როგორც წინამოდერნული ეთნიკურობისა და კულტურის გაგრძელება და რეინტერპრეტაცია.

ამგვარად, ქართული იდენტობის ისტორიის ჩემეულ რეპრეზენტაციაში ქართული ეროვნული ერთობა არც ადრე არსებული ეთნიკური ერთობის ზუსტი ასლია, მაგრამ არც მისგან მოწყვეტილი და სრულიად განსხვავებული რამ.

ეთნოსიმბოლიზმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ სამეცნიერო სივრცეში

ახალი სოციოლოგიური თეორიის გამოყენება ისტორიული წარსულის რეპრეზენტირებისათვის საბჭოთა მენტალობითა და საბჭოთა სამეცნიერო მემკვიდრეობით იმგვარად დამძიმებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ცხადია, უმნიშვნელო ფაქტი არ გახლავთ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდეს კითხვა: როგორია ზემოთ წარმოდგენილი პრაქტიკისადმი სამეცნიერო წრეების, კონკრეტულად, სხვა ისტორიკოსების, დამოკიდებულება?

საზოგადოდ ისტორიკოსები სოციალური თეორიებისადმი, მეთოდოლოგიური ინოვაციებისადმი ხშირად იჩენენ სკეპტიციზმს და ეს კითხვა ზოგადი კონტექსტის თვალსაზრისითაც რელევანტურია.

პასუხი მოითხოვს არაერთი ფაქტის მოხმობას და მცირე სოციალური ხასიათის ანალიზის

ჩატარებასაც კი. ამგვარ კვლევას ჩემი მომავალი სამეცნიერო მუშაობის ამოცანად ვისახავ პოსტსაბჭოთა საქართველოში დასავლური სამეცნიერო თეორიისადმი დამოკიდებულების აღწერისათვის.

ამჯერად კი მოკლედ ვუპასუხებ: დასავლური თეორიის ჩარჩოებში საქართველოს ისტორიის გარკვეული ფაქტების რეპრეზენტირების ჩემეული ცდისადმი საქართველოს ისტორიის დარგში მომუშავე ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის დამოკიდებულება აგრესიულად არაპოზიტიურია.

მეცნიერთა ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩემ მიერ დასავლური სოციალური თეორიის მისადაგება საქართველოს ისტორიის ფაქტებისადმი ხელოვნურია და, შესაბამისად, არამართებულია ამ თეორიის გამოყენება. ამ პოზიციის დამცველების ნაშრომებს ვერ დავიმოწმებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ აღნიშნული თვალსაზრისი სამეცნიერო მედიაში არა აქვთ გამოქვეყნებული. ისინი თავიანთ დამოკიდებულებას აფიქსირებენ ზეპირად. ეს კოლეგები საკითხის კვლევაში ღრმად არ შედიან და ამის მიზეზი ისაა, რომ ერის შესახებ თანამედროვე დასავლურ თეორიებს არ იცნობენ. მიუხედავად ამისა, ისინი არ იღლებიან იმის ხაზგასმით, რომ ისტორიული სურათის რეპრეზენტირებისათვის მე ვიყენებ თეორიას, რომელიც ქართული სინამდვილისათვის „არ გამოდგება“.

თუმც აღნიშნულ სფეროში ჩემი სამეცნიერო ძიებებისადმი კრიტიკულად განწყობილ მკვლევართა შორის მაინც არის ერთი, რომლის დამოწმება შემიძლია. ესაა ისტორიის დოქტორი გ. მაჭარაშვილი. გ. მაჭარაშვილიც ბევრ ნეგატიურ ზეპირ კომენტარს აკეთებს ჩემ შემოქმედებაზე კოლეგებთან კერძო საუბრებში, მაგრამ მას გამოარჩევს, ჯერ ერთი, ის, რომ ამ მხრივ სოციალურ მედიაშიც აქტიურობს (ფეისბუკის მისეულ სტატუსებს და კომენტარებს ვგულისხმობ) და, მეორე, ქართული იდენტობის ისტორიის საკითხებზე მოხსენებებს აკეთებს სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნებული აქვს კიდეც რამდენიმე ნაშრომი. მოცულობით მთელი ეს ნაღვაწი, მართალია, ძალიან მცირეა (ჯამში არ აღემატება ოთხ ათეულ გვერდს), მაგრამ ჩემთვის მაინც ხელმოსაჭიდია: არსებობს რაღაც, რის მიმართაც პოზიციის დაფიქსირება შეიძლება.

გ. მაჭარაშვილის ნაშრომები კონკრეტულად შემდეგია: ერთი სტატია ქართულ სამეცნიერო ჟურნალში (მაჭარაშვილი 2014: 92-97), Research Gate-ზე ატვირთული ერთი სტატიის პრეპრინტი (მაჭარაშვილი 2020) და რამდენიმე მოხსენების თეზისები (მაჭარაშვილი 2012: 54-55); (მაჭარაშვილი 2015: 255-256); (მაჭარაშვილი 2016ა: 28); (მაჭარაშვილი 2016ბ: 196-197); (მაჭარაშვილი 2017ა: 18); (მაჭარაშვილი 2017ბ: 27-28); (მაჭარაშვილი 2018: 70-71, 151).

ამის დამატებით 2016 წელს გ. მაჭარაშვილს წაკითხული აქვს მოხსენება ვარშავის უნივერსიტეტში წმინდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (National and Ethnic Identities in the Georgia Folk Sources. 2016 the 15th Annual International Caucasian Session in Memory of St. Grigol Peradze), რომლის თეზისები, ჩანს, არ დაბეჭდილა, მაგრამ მისი დედააზრი ადვილი ამოსაცნობია სხვა ანალოგიური სათაურის მქონე პუბლიკაციების გათვალისწინებით.

ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისადმი კრიტიკულად განწყობილ დანარჩენ მეცნიერებისაგან გ. მაჭარაშვილი იმითაც განსხვავდება, რომ ის არაა წინააღმდეგი, დასავლური სამეცნიერო თეორია, კერძოდ, კი ეთნოსიმბოლიზმი, საქართველოს ისტორიის აღწერისათვის იქნეს გამოყენებული. პირიქით, ის ამას მიესალმება კიდეც, ოღონდაც მიუთითებს, რომ მ. ჩხარტიშვილი იგებს მცდარად (მისი აზრის უფრო ადექვატური გადმოცემა იქნება, თუ ვიტყვი: აყალბებს) აღნიშნულ თეორიას.

მაინც რა არ მოსწონს გ. მაჭარაშვილს ჩემს შემოქმედებაში?

მე საჭიროდ მიმაჩნია ვუპასუხო ამ კითხვას და წარმოვადგინო გ. მაჭარაშვილის კრიტიციზმთან დაკავშირებით ჩემი განმარტებანი არა იმიტომ, რომ ამ მკვლევრის პუბლიკაციები ქართული იდენტობის ისტორიის კვლევის დარგში თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: როგორც უკვე ითქვა, მისი შემოქმედება ამ დარგში სულ ოთხ ათეულ გვერდს შეადგენს და აქედან ბეჭდურად გამოქვეყნებული ალბათ სულ 15 გვერდია. განმარტებები მე მჭირდება იმისათვის, რომ მკითხველს უკეთ დავანახო საკითხზე ჩემი შეხედულებები. ახალი სოციალური თეორიის ისტორიოგრაფიულ

პრაქტიკაში გამოყენების პერსონალური გამოცდილების გაზიარება ხომ, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, ამ სტატიის მიზანია.

გ. მაჭარაშვილისათვის კატეგორიულად მიუღებელია ქართველი ერის კონსოლიდების დროდ XIX საუკუნის დასახელება. ის ამ თვალსაზრისისადმი უბრალოდ უარყოფითად კი არ არის განწყობილი, არამედ ამჟღავნებს დიდ აგრესიას იმ მკვლევართადმი, რომლებიც აღნიშნულ აზრს ავითარებენ.

ეს აგრესია მომდინარეობს იქიდან, რომ მოდერნულ ეპოქაში ქართველის ერის კონსოლიდების შესახებ შეხედულებას ის საზოგადოებას წარმოუჩენს როგორც წინამოდერნულ ეპოქაში ქართული კულტურის უარყოფას!

ამგვარად, გ. მაჭარაშვილი მისთვის მიუღებელ სამეცნიერო თვალსაზრისს ქვეყნისათვის დიდი ზიანის მომტან თვალსაზრისად აცხადებს და, კიდევ მეტი: მის პროტაგონისტებს არამეცნიერულ მოტივაციების ქონაში „ამხელს“. კერძოდ, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას ახმარს იმას, რომ მისი მკითხველები თუ მსმენელები დაარწმუნოს: XIX საუკუნით ქართველი ერის კონსოლიდების დათარიღების თვალსაზრისის მქონე მეცნიერები საჩოთირო ანგარებიან გარიგებებში არიან გარკვეულ პოლიტიკურ წრეებთან.[5]

ქართველი ერის მოდერნულ დროში წარმოშობის შესახებ აზრის გამზიარებელთა შორის გ. მაჭარაშვილს განსაკუთრებით აღაშფოთებს ქართველი ეთნოსიმბოლისტები („ჩვენი ეთნო-სიმბოლისტები“, როგორც ის ცინიკურად მოიხსენიებს მკვლევართა ამ ჯგუფს). პირველ რიგში ეს ცინიზმი მე მეხება, რადგან ქართველ ისტორიკოსთა შორის ეთნოსიმბოლისტური მიდგომის სამეცნიერო პრაქტიკაში გამომყენებელი მკვლევარი საქართველოში სულ თითზე ჩამოსათვლელია: ფაქტობრივ მე ვარ და ჩემი რამდენიმე მოწაფე. ამით იმის თქმა როდი მსურს, რომ დასავლურ თეორიებს საქართველოს წარსულის რეპრეზენტირებისათვის სხვა ქართველი მკვლევრები არ იყენებენ. ცხადია, იყენებენ და საკმაოდ ფართოდაც, მაგრამ, მათი უმრავლესობა ერის ფენომენის გააზრებისას მოდერნისტულ მიდგომას ეფუძნება.

გ. მაჭარაშვილის მიერ მე და „ჩემი ჯგუფის წევრები“ (ეს მისეული ტერმინია ჩემი ყოფილი დოქტორანტების, აწ უკვე კოლეგების, აღსანიშნავად) ბრალდებულნი ვართ შემდეგში:

ა) ქართველობას ვართმევთ მის უძველეს ისტორიას;

ბ) ამას ვაკეთებთ ეთნოსიმბოლიზმის სახელით, რომელსაც შეგნებულად ვაყალბებთ და ქართული მაგალითისათვის არ ვიყენებთ ამ თეორიის პოსტულატს პრემოდერნული ნაციების შესახებ;

გ) საგანგებოდ უგულებელვყოფთ ფოლკლორულ წყაროებს, რომლებიც ცხადს ხდიან იმას, რომ პრემოდერნული ქართული კულტურა იყო საჯარო.

პირადად, მე გ. მაჭარაშვილის მითითებით, ამის დამატებითაც მაქვს „დანაშაული“:

დ) მთელი წინამოდერნის განმავლობაში ქართველთა თვითსახელწოდების არსებობის ფაქტს თურმე უარვყოფ, რათა ქართველობა საკაცობრიო ისტორიის მიღმა დავტოვო.

დავიწყებ ბოლო „დანაშაულთან“ დაკავშირებით „თავის მართლებით“.

ზემოთ უკვე დავიმოწმე ჩემი ორი ნაშრომი „ქართული იდენტობის მთავარი მარკერი“ (ჩხარტიშვილი 2005) და „თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი“ (ჩხარტიშვილი 2006ა). რომლებიც სპეციალურად ქართული ერთობის თვითდასახელების საკითხისადმია მიძღვნილი. ჩემ სხვა არაერთ ნაშრომშიც ვეხები ამ თემას, მაგალითად, ზემოთ ასევე უკვე დასახელებულ ამ საკითხზე ჩემს პირველ სტატიაში (ჩხარტიშვილი 2002) და მონოგრაფიაშიც „ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში“ (ჩხარტიშვილი 2009ა). აღნიშნული პრობლემა ჩემამდეც იპყრობდა სპეციალისტთა ყურადღებას, მაგრამ მე მას მივუდექი იდენტობის ისტორიის რეპრეზენტირების საჭიროებებიდან გამომდინარე და შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით.

როგორც უკვე ითქვა, იდენტობა გულისხმობს ჯგუფის წევრობის განცდას. როცა ჯგუფის წევრები თავიანთ ერთად ყოფნას აცნობიერებენ და ამ მდგომარეობას გარკვეული სახელით აღნიშნავენ,

ეს, ცხადია, გამოკვეთილი თვითობის მაუწყებელია. ამიტომ მე საგანგებო ყურადღებით მოვეკიდე თვითსახელწოდებას, როგორც მარკერს. ჩემი ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი სტატიის სათაურიც ცხადყოფს, რომ მე თვითსახელწოდება კოლექტიური-კულტურული იდენტობის მთავარ მარკერად მესახება. ამ შემთხვევაში ჩემთვის ინსპირაციის წყარო იყო ე.დ. სმითი, რომლის ნაშრომიდან ამონარიდითაც იწყება ჩემი ეს სტატიები.

მაგრამ მაინც რატომ გახდა ამ საკითხის შესწავლა ჩემთვის, როგორც იდენტობის საკითხების მკვლევრისათვის, ასე აუცილებელი? ან რა შევმატე პრობლემის გადაწყვეტას მისი ახალ კონტექსტის განხილვის შედეგად?

ჩემი ამოსავალი ჰიპოთეზა გახლდათ შემდეგი: რადგან ქართული იდენტობის განგრძობადი განვითარება ანუ უწყვეტი იდენტობრივი ხაზი უძველესი დროიდან დღემდე, სხვათა შორის ისეთი ძველი ეპოქიდან, როგორიც დაიაენ–დიოხის არსებობის ხანაა (ჩხარტიშვილი 2013/2014: 207-221), ჩემთვის ცხადი იყო, მე დავუშვი, რომ ამ ფაქტს გამოხატულება უნდა ჰქონოდა ჩვენ-ჯგუფის თვითსახელწოდება-შიც, ეს ფაქტი, მართლაც, დაფიქსირდა. ქართული იდენტობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს და მრავალი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად დღემდე თვითიგივური რჩება. მისი განვითარების წინამოდერნულ და მოდერნულ პერიოდებს შორის წყვეტილი არაა. ამის საფუძველია კულტურული ბირთვის უცვლელობა. ქართული იდენტობის ამგვარი განგრძობადობა ქართველთა თვითსახელწოდებაშიც – „ქართველი“ – აისახება: ის ცვალებადობს საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ არასოდეს ისე არ იცვლება, რომ შეუძლებელი იყოს საბოლოო ფორმაში ამოვიცნოთ განვითარების წინა ეტაპი.

ამჯერად ამ საკითხზე უფრო ვრცლად ვერ მოვახერხებ საუბარს. ვფიქრობ. არცაა ამის საჭიროება. შესაბამისი გამოკვლევები გამოქვეყნებულია და მათი ელექტრონული ვერსიებიც ატვირთულია სამეცნიერო პორტალებზე. დაინტერესებულ მკითხველებს იოლად შეუძლიათ მათი მოძიება და იმაში თავად დარწმუნება, თუ რამდენად უსაფუძვლოა ბრალდება იმის თაობაზე, რომ მე ქართველებს თავიანთ თვითსახელწოდებას ვართმევ. წინამოდერნის ეპოქაში მე ქართველთა თვითსახელწოდების არსებობას კი არ უარვყოფ, როგორც ამას მაბრალებს გ. მაჭარაშვილი, არამედ მის ადრეულ ფორმას ვავლენ და განვითარებას ვაჩვენებ.

ახლა რაც შეეხება წინამოდერნულ ეპოქაში ქართული იდენტობის და კულტურის არსებობის ფაქტის ჩემ მიერ უარყოფის შესახებ ბრალდებას.

მე მგონი, ძნელი გასაგები არ იყო ზემოთ გამოთქმული ჩემი აზრი. მაგრამ უფრო ნათელი რომ გახდეს რამდენად უსაფუძვლოა ბრალდება წინამოდერნული ქართული კულტურისა და ისტორიის ჩემ მიერ უარყოფის შესახებ, ამისათვის მოვიხმობ კონკრეტულ ნაშრომებს კონკრეტული გვერდების მითითებით. ამ ნაშრომების ნაწილი უცხო ენაზეა და საზღვარგარეთ არის გამოცემული. ერთიანობაში მათი განხილვა, ვფიქრობ, საინტერესო სურათს წარმოადგენს. მივყვეთ ამ ნაშრომებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ნაციონალიზმის იდეოლოგიის შესახებ 2006 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ პოპულარულ სტატიაში მე ჯერ აღვნიშნავ იმას, რომ ერები თავიანთი არსით მოდერნულ ფენომენებად მიმაჩნია. მერე მკითხველს ვამცნობ იმას, რომ ზოგი მეცნიერი გამონაკლისის სახით დასაშვებად თვლის ვილაპარაკოთ ერებზე პრემოდერნულ ეპოქაშიც. ამის შემდეგ მკითხველებს ვესაუბრები იმაზე, რომ ქართული ერთობის ისტორია სათავეს უძველეს დროში იღებს და მისი განვითარება XI საუკუნეში აღწევს მაღალ ნიშნულს. მივუთითებ, რომ ამ მიზეზით ქართველოლოგები ქართველი ერის ფორმირებას უკავშირებენ XI-XII საუკუნეებს. ხაზს ვუსვამ, რომ ჩემთვის დამაჯერებელია ეს აზრი. აქვე შენიშნული მაქვს, რომ ამ დასკვნას მხარს უჭერს არამარტო საქართველოს ისტორიის კონკრეტული მონაცემები, არამედ თანამედროვე დასავლური სოციალური თეორიაც პრეინდუსტრიალურ ეპოქაში ადრეული ნაციების არსებობის შესახებ (ჩხარტიშვილი 2006გ: 29-30).

2008 წლით თარიღდება ჩემი სტატია ინგლისურ ენაზე, რომელიც ეძღვნება ქართული იდენტობის რელიგიურ მარკერს. ეს სტატია დაბეჭდვამდე რამდენიმე წლით ადრე საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების საფუძველზეა დაწერილი. ამიტომაც ის ინგლისურადაა, თუმც ქართულ სამეცნიერო ჟურნალშია გამოქვეყნებული. აქ მე აღვნიშნავ, რომ ქართულ ეროვნულ იდენტობას აქვს ძალიან ღრმა ფესვები წინამოდერნულ ეპოქაში. უძველესი დროიდან დღემდე მან განვლო კოლექტიური-კულტურული იდენტობის განვითარების ყველა საფეხური, რაც ნათელ ასახვას პოულობს ქართული ერთობის თვითსახელწოდებაში. ქართული ეროვნული იდენტობა მიეკუთვნება იდენტობათა იშვიათ ტიპს იმის გამო, რომ მას აქვს განგრძობადობა და მედეგობა ათასწლეულების მანძილზე. XI საუკუნე კი არის ქართული ადრეული ნაციის კონსოლიდების ხანა (ჩხარტიშვილი 2008: 224-225).

2009 წლით თარიღდება ჩემი მონოგრაფია, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე და რომელშიც ქართული იდენტობის განვითარება განხილულია რელიგიური მოქცევის ეპოქაში. ანუ მთლიანად ქართული იდენტობის განვითარების წინამოდერნულ ხანაზე ვსაუბრობ. ვინაიდან ნაშრომი ქართულადაა, ამონარიდს პირდაპირ მოვიყვან და არ გავაკეთებ პერიფრაზს. თუმც კი შევნიშნავ აქვე, რომ აქაც საუბარი მაქვს პრემოდერნულ ქართველ ერზე:

> ნაციის ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, უფრო მისაღები ჩანს, რომ ვისაუბროთ ნაციაზე, როგორც მოდერნულ ფენომენზე, რადგან სოციალურად ჰომოგენური საზოგადოება, რომელიც საჯარო კულტურის აუცილებელი წინაპირობაა, არსებითად მოდერნული ეპოქისათვის არის დამახასიათებელი. თუმც ე. სმითი გარკვეული პირობითობით საუბრობს პრემოდერნულ ნაციებზეც მათ რიცხვში იგი ასახელებს ებრაელებსა და სომხებს. ამ სიას მე დავუმატებდი ქართველებს. როგორც ცნობილია, X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნეში ხდება ქართულენოვანი სამყაროს მოქცევა ახალ, ადრინდელზე უფრო ფართო და მძლავრ, პოლიტიკურ ჩარჩოში. ქართული კულტურა ამ სახელმწიფოს მთავარ საზრუნავად იქცევა. XII საუკუნეში ქართული ეთნიკური ერთობა ვითარდება პანკავკასიური იმპერიის ფარგლებში: ამ იმპერიის მასშტაბით ქართული კულტურის ექსპანსია არის ქართული ჩვენ-ჯგუფის განვითარების უმთავრესი მახასიათებელი. აღნიშნულ პერიოდში. ასე რომ, რაღაც მიახლოებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართულ ნაციაზე (ჩხარტიშვილი 2009ბ: 29).

და იქვე:

> თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველი ერი ანუ ქართული ნაცია წარმოიქმნა შუა საუკუნეებში უკვე გამოთქმულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც ითქვა, ეს შეხედულება არსებითად მართებულია, მაგრამ აუცილებლად უნდა დაზუსტება, რომ სიტყვა ეხება პრემოდერნულ ქართულ ნაციას (ჩხარტიშვილი 2009ბ: 30).

2011 წელს არის გამოქვეყნებული ჩემი სტატია ქართული იდენტობის საკრალური ასპექტის შესახებ. ეთნიეებიც და ერებიც გაიაზრებიან საკრალურად და ამ სტატიაში აღნიშნულ ფაქტს ვუკვირდები ქართულ მაგალითზე სხვადასხვა ეპოქაში. ეს სტატიაც ეფუძნება სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებას. აქედანაც პირდაპირ მოვიყვან ამონარიდს, რადგან ისიც ქართულ ენაზეა:

> ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით ნაციები ახალი დროის პროდუქტებს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისს იზიარებენ ე.წ. მოდერნისტები, რომლებიც თვლიან, რომ ნაციები პრინციპულად ახალი დროის ფენომენებია და ახალ დროში პოლიტიკური ელიტების მიერ ინსპირირებული და მართული მობილიზაციის შედეგებს წარმოადგენენ, და ეთნოსიმბოლისტებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ, მართალია, ნაციები აღმოცენდებიან ახალ დროში, მაგრამ არსებული ეთნიკური კულტურის ჩარჩოებში და მთლიანად განპირობებულნი არიან ეთნიკური საფუძვლით. თუმც მიმართება ეთნიკურსა და ნაციონალურს შორის თავისებურია: ნაციონალური კულტურა არ არის ეთნიკურის უბრალო გამეორება, არამედ გარკვეული ფაქტების შერჩევა და რეინტერპრეტაცია. ე. სმითი თვლის, რომ გარკვეული პირობითობით შეიძლება საუბარი ნაციებზე წინა მოდერნულ ხანაშიც. ქართული შემთხვევისათვის მე სავსებით მართებულად მეჩვენება ეს აზრი (ჩხარტიშვილი 2011ა: 80, შენ.11).

შემდეგი ნაშრომიც არის სტატია. ის 2012 წელს არის გამოქვეყნებული. მის საფუძველს საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება წარმოადგენს. თავად სტატიაც უცხოეთის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ კრებულშია ჩართული. აქ ვსაუბრობ ქართული იდენტობის ღრმა ეთნიკურ ფესვებზე, მის დასაწყისს მივუთითებ სულ მცირე ძვ.წ. XV საუკუნიდან. ვსაუბრობ კოლხეთის სამეფოს ქართულ ეთნიკურ საფუძველზე. ძვ.წ. IV–III საუკუნეებში ქართლის სამეფოს წარმოქმნას განვიხილავ არა როგორც ცვლილებას ეთნიკურ რაობაში, არამედ მივუთითებ, რომ საქმე გვაქვს იგივე ეთნიკური ერთობის პოლიტიკური ცენტრის გადმონაცვლებასთან დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ეს აქცენტი არაქართველი მკითხველისათვის აუცილებელია, რომელმაც შეიძლება არ იცოდეს კავშირი აიეტის კოლხეთის სამეფოსა და ფარნავაზის ქართლის სამეფოს შორის. ხაზს ვუსვამ, რომ მომდევნო საუკუნეებშიც პოლიტიკური რუკის ცვლილების მიუხედავად ქართული სახელმწიფოს თუ სახელმწიფოების ეთნიკური საფუძველი იგივე რჩებოდა. აღვნიშნავ XI–XII საუკუნეებში ქართველი ერის წარმოშობას, თუმც აქვე ვაზუსტებ, რომ ეს იყო ქართული პრემოდერნული ერი, ქართული მოდერნული ერი კი წარმოიშვა XIX საუკუნეში (ჩხარტიშვილი 2012: 194-195, შენ. 4).

შემდეგი ნაშრომი 2013 წლით თარიღდება. ესაა საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში ინგლისურად გამოქვეყნებული გამოკვლევა. ის შეეხება ქართული ნაციონალიზმისა და მოდერნული ქართველი ერის ფორმირების საკითხს, მაგრამ აქაც საუბარი მაქვს ქართული წინამოდერნული ერის XI–XII საუკუნეებში ჩამოყალიბების შესახებ (ჩხარტიშვილი 2013ა: 191). აქვე განვიხილავ ე.დ. სმითის აზრს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ წინამოდერნულ ერთობას შეიძლება ეწოდოს ერი, რომ ისინი შეიძლება განხილულ იქნენ თანამედროვე ერების შესატყვისად. ე.დ. სმითის თვალსაზრისის გადმოცემისათვის დართული მაქვს შენიშვნა იმის შესახებ, რომ მე როგორც ისტორიკოსს, რომელსაც მაქვს წინამოდერნული პერიოდის კვლევის გამოცდილება, პრემოდერნული ერის კონცეპტი ძალიან გამოსადეგად მიმაჩნია და ვამტკიცებ, რომ არსებობდა წინამოდერნული ქართული ნაცია.

შემდეგი ნაშრომია ბროშურა, რომელიც 2013 წლით თარიღდება. აქ ვპასუხობ თსუ ასოცირებულ პროფესორს დ. შველიძეს, რომელმაც ყოვლად უსაფუძვლოდ გააკრიტიკა ჩემი ყოფილი დოქტორანტის ამჟამად წარმატებული ახალგაზრდა მკვლევრის და სტუ ასოცირებული პროფესორის ნ. სონღულაშვილის სადოქტორო ნაშრომი. დ. შველიძე მეცნიერთა სწორედ იმ ჯგუფს განეკუთნება, რომელიც ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისადმი ქართველი ერის კონსოლიდებასთან დაკავშირებით აგრესიულად არაპოზიტიურია. ის აგრესიულად არაპოზიტიური იყო ჩემი დოქტორანტის მიმართაც. ამიტომ მას მე ვრცელი პასუხი გავეცი აღნიშნულ ბროშურაში. ქვემოთ მოვიყვან ამ ბროშურიდან მხოლოდ იმ მონაკვეთს, რომელიც ამჯერად საინტერესო საკითხს ეხება:

> ეთნიკური ერთობების ერებად ჩამოყალიბება მოდერნიზაციის პროცესის დამახასიათებელ, თვისებრივ ახალ მოვლენებს (მაგალითად, როგორიცაა ბეჭდური მედიის გაჩენა) უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, პრემოდერნულ ერებზე საუბარი მხოლოდ პირობითად შეიძლება. […] იმის თქმა, რომ ქართული ერთობა ერად ახალ დროში ჩამოყალიბდა, სულაც არ ნიშნავს მისი ეთნიკური წარსულის უარყოფას, იმას, რომ ის გაჩნდა ცარიელ ადგილას; არ ნიშნავს ქართული ჩვენ-ჯგუფისა და ქართული თვითცნობიერების არარსებობას წინარე საუკუნეებში. ეს მხოლოდ იმ უდავო ფაქტს ნიშნავს, რომ ახალ დროში ქართველთა თვითცნობიერება გამოიკვეთა შესაბამისი გამოწვევების მიხედვით და ქართული ერთობის კონსოლიდაციის დონემ მიაღწია განსაკუთრებულ, მანამდე ნამდვილად არნახულ, ნიშნულს. ამგვარად, „ერი“ […] სპეციფიკური ტერმინია, რომელიც გამოიყენება ექსკლუზიურად ახალი დროის კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობების აღსანიშნავად. პრეინდუსტრიალ ხანაში ანუ ამ ტიპის ერთობების განვითარების სხვა ეტაპების შესატყვისად, მეცნიერების მიერ გამოიყენება სხვა ტერმინები. რაც შეეხებათ ეროვნულ მოღვაწეებს ანუ ნაციონალისტებს, ისინი უგულებელყოფენ კოლექტიური-კულტურული იდენტობის მქონე ერთობის სხვადასხვა მდგომარეობის სხვადასხვა ტერმინით აღწერის საჭიროებას სრულიად გასაგები მიზეზის გამო: ისინი ხომ მეცნიერებისათვის აუცილებელ სიზუსტეს არ ესწრაფვიან. ამიტომ ყველა ეპოქისათვის შესაძლებელია, რომ ნაციონალისტი პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე ქართულ ერთობის მისამართით მხოლოდ ერთ ტერმინს ანუ „ერს“ იყენებდეს, მაგრამ

> მეცნიერის პოზიცია, განსხვავებული უნდა იყოს. მაგალითად, ის რომ რომელიმე პოლიტიკური ლიდერი ან საზოგადო მოღვაწე ან რიგითი ქართველი ქართულ ერთობას ერად მოიხსენიებს ვახტანგ გორგასლის მეფობის და ილია ჭავჭავაძის ეპოქაშიც, ცხადია, სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველთა თვითშეგნების დონე V და XIX საუკუნეებში ერთნაირი იყო. ამ ტიპის მსჯელობა, რომ ისტორიზმს მოკლებულია და, შესაბამისად, სამეცნიერო თვალსაზრისით, გამოუსადეგარია, მე მგონი, საკამათო არ არის. [...] ქართულ სამეცნიერო წრეებში დროა დასრულდეს შესაბამისი თეორიული ცოდნის არქონით ნასაზრდოები ფსევდოპატრიოტული დისკურსი ქართველი ერის უხსოვარ დროში ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ქართული ერთობის, როგორც ეროვნული ერთობის, ფორმირება, ახალი დროის მოვლენაა, თუმც ქართული იდენტობის ისტორია საუკუნეთა სიღრმეში (აიეტის კოლხეთის მიღმა) იკარგება (ჩხარტიშვილი 2013ბ: 54-56).

აღნიშნული კუთხით საინტერესო შემდეგი ნაშრომი 2014 წლით თარიღდება. ის საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების საფუძველზე დაწერილ სტატიას წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო გამომცემლობის კრებულშია ჩართული. ეს სტატია რუსეთის იმპერიაში ქართველთა ნაციონალურ კონსოლიდაციას ეხება და ქართული ნაციონალიზმის ევროპულ მატრიცას. აქაც ხაზგასმულია XI–XII საუკუნეებში ქართული პრემოდერნული ნაციის არსებობის ფაქტი და დამოწმებულია ე.დ. სმითის თვალსაზრისი მოდერნული ნაციების ქმნადობის პროცესების თავისებურებასთან დაკავშირებით (ჩხარტიშვილი 2014ბ: 206-209, შენ. 9).

შემდეგია სტატია, რომელიც თარიღდება ასევე 2014 წლით. ის წარმოადგენს ინგლისურენოვან ნაშრომს, რომელიც ეფუძნება საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის პრეზენტაციას. ამ სტატიაში საუბარია ქართულ ნაციონალიზმისა და ქართველი ერის კონსოლიდების პროცესის კვლევისას მიდგომის არჩევაზე. აქაც მე ვუთითებ ე.დ. სმითის აზრს, იმის შესახებ, რომ კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული პრემოდერნული ერთობების ნაწილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერები. ხაზს ვუსვამ, რომ „პრემოდერნული ერის ცნება“ ძალიან საჭირო ცნებაა ნაციათქმნადობის პროცესის ნიუანსირებული აღწერისათვის. აღვნიშნავ პრემოდერნული ქართველი ერის არსებობის ფაქტს, თუმც ამავე დროს მივუთითებს მოდერნული ქართველი ერის არსებობის ფაქტსაც (ჩხარტიშვილი 2014გ: 291-292, შენ. 5).

შემდეგი სტატია არის ასევე ინგლისურ ენაზე. ის თარიღდება 2016 წლით. ეს გახლავთ საერთაშორისო ინტერნეტული ენციკლოპედიის სტატია. მოცულობით ის სულ ორ გვერდს შეადგენს, ასეთი იყო რედკოლეგიის მოთხოვნა. აქ ვეხები საქართველოს ისტორიაში ფაქტების სიუხვით გამორჩეულ ისეთ ეპოქას, როგორიც „ოქროს ხანაა“ ანუ დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის პერიოდს. და ამ პატარა მოცულობის ნაშრომშიც, რომლის ფოკუსი იდენტობრივი საკითხის კვლევა არაა, აღვნიშნავ ქართული იდენტობის განგრძობადობას, გარკვეულ საუკუნეებში პოლიტიკური ფრაგმენტაციის მიუხედავად. აქვე ჩართული მაქვს ჩემი თვალსაზრისი განსახილველ ეპოქაში ქართული პრემოდერნული ერის არსებობის შესახებ (ჩხარტიშვილი 2016).

შემდეგი ნაშრომი ეფუძნება საერთაშორისო კონფერენციაზე, წაკითხულ მოხსენებას. ეს კონფერენცია ჩატარდა 2016 წელს რუმინეთში და მიძღვნილი გახლდათ წმ. ანთიმოზ ივერიელისადმი: „The European and Caucasian Culture and Spirituality from Late 17th Century and Early 18th Century“. ამ კონფერენციის მასალების პირველი ტომი გამოვიდა, მეორეს გამოცემა, რომელშიც ჩემი ნაშრომის ჩართვა იგეგმება, რატომღაც, დაგვიანდა. ამიტომ 2018 წელს მე ის ავტვირთე Research Gate-ზე პრეპრინტის სახით და ამგვარად ხელმისაწვდომი გავხადე სამეცნიერო საზოგადოებისათვის. აქ შესავალ ნაწილში მოკლედ მაქვს ქართული იდენტობის ისტორია გადმოცემული. აქაც ხაზგასმით აღვნიშნავ ქართული პრემოდერნული ერის არსებობის ფაქტს (ჩხარტიშვილი 2018: 5).

ანუ, ფაქტობრივად, მთელი ამ წლების განმავლობაში შემთხვევას არ ვუშვებდი ხელიდან, რომ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ქართული იდენტობის ისტორიის (შესაბამისად კულტურის) პრემოდერნულ პერიოდში განვითარების შესახებ მემცნო.

კიდევ შემიძლია ჩემი შემოქმედებიდან მსგავსი ადგილები დავიმოწმო, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია. დარწმუნებული ვარ, ობიექტური მკითხველისათვის სრულიად ნათელია, რომ ქართული იდენტობის პრემოდერნულ პერიოდს მე მირაჟად არ მივიჩნევ და არც პრემოდერნული ქართველი ერის არსებობას უარვყოფ, როგორც ამაში ყველას დარწმუნება სურს გ. მაჭარაშვილს. პირიქით, თითქმის ყველა ნაშრომში საგანგებოდ აღვნიშნავ პრემოდერნული ქართველი ერის არსებობის ფაქტს. ამავე დროს ხაზს ვუსვამ იმ გარემოებასაც, რომ წინამოდერნული ერთობების ერებად სახელდება კულტურული განვითარების გარკვეულ დონეს და სპეციფიკურ ვითარებას გულისხმობს როგორც პირობას ანუ პირობითია.

ისიც უნდა შევნიშნო: არც პრემოდერნული ერის არსებობა და არც მისი წარმოშობის დრო ერის პრესტიჟთან კავშირში არანაირად არ არის. არავითარი წინამოდერნული ერი არ ფიქსირდება, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში (ილიას სიტყვით, რომ ვთქვათ, „იქ არ არის გუშინი"), მაგრამ ეს გარემოება ამერიკელი ერის პრესტიჟს და გავლენას თანამედროვე მსოფლიოში ვერაფერს აკლებს. პრემოდერნული ერის არსებობა არის ფაქტი, რომელიც ისტორიული განვითარების თავისებურებას ასახავს და არა ის კრიტერიუმი, რომლითაც უნდა განისაზღვროს დღეს ერის შეფასება ან თვითშეფასება.

მაგრამ ეს სხვათა შორის.

დავუბრუნდეთ, პრემოდერნული ქართველი ერის შესახებ აზრს, რომელიც, ჩემ მიერ იქნა პირველად გამოთქმული ქართულ სამეცნიერო სივრცეში. შეუძლებელია გ. მაჭარაშვილს არ შეემჩნია, თუ რამდენჯერ ვიმეორებ მე ამ აზრს. მაგრამ მისთვის, ჩანს, გაუგებარია მოდერნულ და პრემოდერნულ ერთობებს შორის ტოლობის ნიშანს რომ არ ვსვამ, რადგან მიუხედავად მისი დეკლარირებული ეთნოსიმბოლისტობისა, რეალურად ის პრიმორდიალისტია და განვითარებისა და ისტორიზმის გაგება უჭირს. ერების ფორმირების შესახებ დასავლურ სოციალურ თეორიებს შორის ეთნოსიმბოლიზმის ნიუანსების დაფიქსირება ყველაზე ძნელია: უფრო ადვილი გასაგებია პრიმორდიალიზმი და მოდერნიზმი, როგორც ორი პოლუსი, მაგრამ მათ შორის პოზიციის იდენტიფიცირება უფრო ძნელი. არ მიკვირს, რომ გ. მაჭარაშვილმა ის ვერ გაიგო ანუ გაიგო, როგორც მას შეეძლო – პრიმორდიალისტურად.

გ. მაჭარაშვილის მიერ ეთნოსიმბოლიზმის გაუგებრობიდან გამომდინარეობს მის მიერ ჩემი თვალსაზრისის გაუგებრობაც და ბრალდებაც იმასთან დაკავშირებით, რომ მე და „ჩემი ჯგუფის წევრები" სინამდვილეში „მოდერნისტები" ვართ, ეთნოსიმბოლიზმს კი ვაყალბებთ და მივაწერთ მოდერნისტულ იდეებს. ამიტომ უნდა გვეწოდოს „ფსევდოეთნოსიმბოლისტები" (მაჭარაშვილი 2020: 4).

სამეცნიერო მიმართულებას, რომელიც ცნობილია „მოდერნიზმის" სახელით, გ. მაჭარაშვილი განიხილავს, როგორც მკვლევართა გარკვეულ პოლიტიკურ წრეებთან საჩოთირო გარიგებების შედეგს. შესაბამისად, „მოდერნისტების" თვალსაზრისთან რომელიმე მკვლევრის თვალსაზრისის დამთხვევა მისთვის ამ მკვლევრის მაკომპრომენტირებელი ფაქტია.

ამ შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომში შეუძლებელია ე.დ. სმითის ნაშრომებიდან ამონარიდების უხვად მოხმობა, მაგრამ ორიოდ მათგანს მაინც წარმოვუდგენ მკითხველს, რომ ყველასათვის ნათელი იყოს საქმის ვითარება. აი, ამონარიდი ე.დ. სმითის ნაშრომიდან:

> The nation, as we have defined it, is a modern phenomenon and its civic features can only reach full flowering in the modern era, with its spesific modes of domination, production and comunication. At the same time modern nations have their roots in pre-mdern eras and pre-modern cultures. The origins of such nations must therefore be traced far back, since their ethnic features, though subject of considerebale reconstractions, stem often distant eras and antient traditions. Modern nations are closely, if often indirectly, related to older long-lived *ethnies* (ელი, სუნი 1996: 124).

ახლა წარმოვადგენ ამ ამონარიდის ჩემეულ თარგმანს:

> ერები, ჩვენი განმარტების თანახმად, მოდერნული ფენომენებია და მათი მოქალაქეობრივი ნიშნები სრულ გაფურჩქვნას აღწევენ მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ხასიათდება მართვის, წარმოებისა და კომუნიკაციის სპეციფიკური საშუალებებით. ამავე დროს თანამედროვე ერებს ფესვები აქვთ წინამოდერნულ ეპოქებში და წინამოდერნულ კულტურებში. შესაბამისად, ამგვარი ერების საწყისებს თვალი უკან სიღრმეში უნდა მივადევნოთ, რადგანაც მათი ეთნიკური ნიშნები, მრავალი გარდაქმნის მიუხედავად, შორეულ ეპოქებიდან და ძველი დროის ტრადიციებიდან მომდინარეობს. თანამედროვე ერები მჭიდროდ, თუმც ხშირად ირიბად, უკავშირდებიან უფრო ძველ დღეგრძელ *ეთნიებს*.

კიდევ ერთი ამონარიდი:

> All this suggests that the modernists are right to insist on importance of the differences between the type of nation found in the modern world and earlier collective cultural identities. At the same time, we should be careful not to create too great disjunction between “these premodern communities” and “modern nation”, nor too disallow in advance, as Hobsmawm does, any kind of continuity between premodern communities and modern nations (სმითი 2003: 107-108).

და მისი ჩემეული თარგმანი:

> ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მოდერნისტები მართალნი არიან, როცა მოდერნულ მსოფლიოში აღმოჩენილ ნაციის ტიპსა და ადრეულ კულტურულ იდენტობებს შორის განსხვავების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. ამავე დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა მეტისმეტად არ გავმიჯნოთ „პრემოდერნული ერთობები“ და „მოდერნული ნაციები“ და არც იმთავითვე გამოვრიცხოთ (როგორც ამას ჰობსბაუმი აკეთებს) რაიმე სახის განგრძობადობა (ჩხარტიშვილი 2004ა: 155).

ამ ამონარიდებით კარგად ჩანს ეთნოსიმბოლიზმის არსი: მისი განსხვავება როგორც პრიმორდიალიზმისაგან, ისე მოდერნიზმისაგან. ამავე დროს რაღაცით ორივე ამ მიდგომასთან მისი მსგავსებაც. სწორედ ეს შუალედურობა არის დამაბნეველი გ. მაჭარაშვილისათვის და ცდილობს ეთნოსიმბოლიზმის მოდერნისტული ნიშნები ჩააქროს და ეს თეორია სრულად პრიმორდიალიზმზე დაიყვანოს. ეს კი ამ თეორიის გაუმართლებელი პროფანაციაა.

დაბოლოს, ბრალდება ფოლკლორული წყაროების მიზანმიმართული უგულებელყოფის შესახებ.

იდენტობის კვლევისათვის ფოლკლორული წყაროები ნამდვილად საინტერესოა. მე მათ ჯერჯერობით არ შევხებივარ, არა იმიტომ რომ საგანგებოდ უგულებელვყოფ, არამედ უბრალოდ იმის გამო, რომ მათთვის ვერ მოვიცალე. ქართული იდენტობის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევისას იმდენ სხვადასახვა საკითხს შევეხე და იმგვარად მოცულობითად, რომ ეს, ვფიქრობ, გასაკვირი არაა.

ფოლკლორული წყაროები, საინტერესოა იდენტობის მკვლევრისათვის იმიტომ, რომ ისინი ცირკულირებენ მოსახლეობის შედარებით ფართო ფენებში, თანაც არაელიტური სოციალური ჯგუფების პერცეფციებს არეკლავენ. მაგრამ ისტორიულ რეპრეზენტაციებში მათ ფართოდ მოხმობას პრობლემას უქმნის მათი უთარიღობა. რომელი საუკუნის ქართული ერთობის დასახასიათებლად შეიძლება, მაგალითად, ვახტანგ გორგასალზე ცნობილი ხალხური ლექსის გამოყენება? ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა, სამწუხაროდ, შეუძლებელია. საუკუნეს კი არა ეპოქასაც ვერ მივუთითებთ დაბეჯითებით. ამიტომ შეუძლებელია ფოლკლორულ წყაროებზე დაყრდნობით ეთნიკური ცნობიერებიდან ეროვნულზე გადასვლის დროის თუნდაც მიახლოებით მითითება. ეს ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით გაკეთებული ზოგადი დასკვნაა, თუმც, ცხადია, ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ კონკრეტული ძიებები არ უნდა წარიმართოს იდენტობრივი კვლევებისათვის ამ წყაროების რესურსის სრულად გამოსავლენად. ამ რესურსისადმი გ. მაჭარაშვილის დიდი ოპტიმიზმის მიუხედავად, მე მაინც ვვარაუდობ, რომ ფოლკლორულ წყაროებს ქართველი ერის წარმოშობის ეპოქის განსაზღვრისას ექნებათ შედარებით მოკრძალებული მნიშვნელობა.

ბოლოთქმა

ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიას საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული სოციოლოგიის საფუძველზე წარმოადგენდნენ. მე კი ამ მიზნით XXI საუკუნის დასაწყისიდან ერთ-ერთი დასავლური თეორიის, კერძოდ, ეთნოსიმბოლიზმის გამოყენება დავიწყე. წინამდებარე სტატიაში ამ სფეროში ჩემს თითქმის ოცწლიან გამოცდილებას ვუზიარებ მკითხველებს, ვაჩვენებ, რომ ქართული იდენტობის ჩამოყალიბება არის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რომელიც განვითარების ეთნიკურ და ნაციონალურ დონეებს მოიცავს; ვაჩვენებ, რომ ქართული იდენტობა უნიკალურად განგრძობადი ფენომენია: საუკუნეების მანძილზე ის ცვალებადობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითიგივურობას ინარჩუნებს.

ამ სტატიაში ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისადმი გამოვლენილი აგრესიული კრიტიციზმის საკითხსაც შევეხე მოკლედ.

სამომავლოდ ვაპირებ უფრო ვრცლად განვიხილო ეს ყოველივე: როგორც ეთნოსიმბოლიზმის არსი და მის ფარგლებში განხორციელებული ჩემი რეპრეზენტაციები, ისე მეთოდოლოგიური სიახლის მიუღებლობის ფაქტები. ვფიქრობ, განსჯის საგნად ვაქციო სამეცნიერო სივრცეში გამოვლენილი მებრძოლი უმეცრების არა მარტო ცალკეული შემთხვევები, არამედ მისი ხელშემწყობი სოციალური კონტექსტიც წარმოვაჩინო სათანადოდ. ეს აუცილებელია ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობის დასახასიათებლად და არსებული პრობლემების გამოვლენისა თუ წარმატებით გადაჭრისათვის.

შენიშვნები

1 სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით არსებითად ერთიდაიმავე მიდგომის მიმართ რამდენიმე ტერმინის გამოყენების შემთხვევებს. სახელწოდებათა მრავალრიცხოვნება გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა მომენტზე აკეთებს აქცენტს.

2 ეს გარემოება ზოგი მკვლევრის მიერ, სამწუხაროდ, უგულებელყოფილია, მეტიც, არიან ისეთებიც, რომელთაც ეთნოსიმბოლისტური მიდგომით საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია საკუთარი სადოქტორო დისერტაციის მთავარ სიახლედაც კი აქვთ წარმოჩენილი: “Primary sources for this work have been studied elsewhere from different points of view. The novelty of this work, however, is that the material is re-examined with an ethnosymbolist approach” (ამირეჯიბი-მალენი 2011: 16). “The material examined in this chapter has been studied elsewhere from various points of view. The novelty of this chapter is that the material is re-examined from an ethnosymbolist approach” (ამირეჯიბი-მალენი 2011: 97).

3 ძველქართული ტერმინია და, ხატოვანი ასახვის ფორმას ნიშნავს.

4 ლიტერატურაში ვხვდებით „ერის“ არამართებული გააზრების შემთხვევებს. მაგალითად, გ. მაჭარაშვილი ფიქრობს, რომ „ერი“ თანამედროვე აზრით გამოიყენებოდა წინამოდერნულ ეპოქაში. და ამისათვის ერთადერთ არგუმენტად მოჰყავს ძველ ტექსტებში „ნათესავისა“ და „ერის“ სინონიმური გამოყენების ფაქტი (მაჭარაშვილი 2012: 54–55); (მაჭარაშვილი 2014: 92-97). ამ ფაქტის ამგვარი ინტერპრეტაცია მოკლებულია საფუძველს: ძველ ტექსტებში აღნიშნული სიტყვების სინონიმური გამოყენება მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ „ერს“, როგორც ჯგუფის აღმნიშვნელ ზოგად სიტყვას, კონკრეტული შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა საერთო წარმომავლობით მარკირებული ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობაც. ანუ გ. მაჭარაშვილის „არგუმენტი“ სწორედ მისთვის სასურველი აზრის საწინააღმდეგოა: ის იმას აჩვენებს, რომ წინამოდერნის ეპოქაში „ერს“ ჰქონდა (და ეს მოსალოდნელი იყო ამ მაგალითების გარეშეც) სწორედ არათანამედროვე მნიშვნელობა.

5 ამის შესახებ არაორაზროვნად მიუთითებდა გ. მაჭარაშვილი ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. იხ. (მაჭარაშვილი 2019).

დამოწმებანი

ამირეჯიბი-მალენი 2011: R. Amirejibi–Mullen. *Language Policy and National Identity in Georgia*. A thesis submitted for the degree of PhD to Queen Mary University of London.

ელი, სუნი 1996: *Becoming National*. *A Reader*. *Edited by G*. *Eley*, *R*. *Suny*. Oxford, Oxford University Press.

თარგამაძე 2018: ზ. თარგამაძე. *ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*. თბილისი, მერიდიანი.

მაჭარაშვილი 2012: გ. მაჭარაშვილი. „ერისა“ და „არა ერის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში, *ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები*. ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია. თეზისები. თბილისი. უნივერსალი.

მაჭარაშვილი 2014: გ. მაჭარაშვილი. „ერისა“ და „არა ერის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში, *ქართველოლოგია*, *ნოემბერი-დეკემბერი* 6, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაჭარაშვილი 2016ა: გ. მაჭარაშვილი. ფოლკლორული წყაროების მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობის კვლევისათვის. *ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. წარსული, აწმყო, მომავალი*. პროგრამა და თეზისები.

მაჭარაშვილი 2016ბ: გ. მაჭარაშვილი. ხალხური სიტყვიერება და ქართული ეროვნული იდენტობის კვლევა. *მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში*. თბილისი, თსუ გამომცემლობა.

მაჭარაშვილი 2017ა: გ. მაჭარაშვილი. „ერი“ თუ „ეთნიე“. *თსუ იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია*. პროგრამა და თეზისები. თბილისი.

მაჭარაშვილი 2017ბ: გ. მაჭარაშვილი. ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია ეთნოსიმბოლისტური და მოდერნისტული პარადიგმების მიხედვით. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები*. პროგრამა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი.

მაჭარაშვილი 2018: გ. მაჭარაშვილი. ქართული ეროვნული იდენტობა ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტების მიხედვით. *საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“*. თეზისები. თბილისი.

მაჭარაშვილი 2019: გ. მაჭარაშვილი. საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ (თბილისი, 2019 წლის 26 – 28 სექტემბერი) წაკითხული მოხსენების „წინამოდერნული ქართული კულტურა მირაჟი თუ სინამდვილე“ ვიდეოჩანაწერი გაკეთებული ავტორის მიერ და მის მიერვე ატვირთული ინტერნეტ-სივრცეში: https://www.youtube.com/watch?v=BezALgsEmbs&t=19s https://www.youtube.com/watch?v=ql9q1CLVEQM

მაჭარაშვილი 2020: გ. მაჭარაშვილი. წინამოდერნული ქართული კულტურა მირაჟი თუ სინამდვილე. ავტორის მიერ Research Gate-ზე ატვირთული პრეპრინტი: https://www.researchgate.net/publication/337951621_Premodern_Georgian_Culture_Mirage_or_Reality_in_Georgian_language_tsinamodernuli_kartuli_kultura_-_mirazhi_tu_sinamdvile

მაჭარაშვილი 2015: G. Macharashvili. Studies in Ethnicity and Nationalism (The Critical Survey). *International Congress I, Problems and Prospects of Kartvelology*. Abstracts. https://www.researchgate.net/publication/325069209

პატარიძე 2008: *ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა*. ლ. პატარიძის თარგმანი. თბილისი. ლოგოს-პრესი.

სმითი 1986: A. D. Smith. *The Ethnic Origins of Nations*. Oxford, Basil Blackwell.

სმითი 2000: A. D. Smith. *The Nation in History: Historiographical Debates about Ethnicity and Nationalism*. Polity Press.

სმითი 2003: A. D. Smith. *Nationalism: Theory, Ideology, History*. Polity Press.

სმირნოვი 2004: *Энтони Смит. Национализм и модернизм. Критический обзор современных теорий наций и национализма*. А. Смирнов–*Редактор*. Москва, Праксис.

ქადაგიშვილი, ჩხარტიშვილი 2014: S. Kadagishvili, M. Chkhartishvili. Georgian Self-Determination in the Eigtheenth Century (Saints and Collective Memory). *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*: Volume 1. Edited by A. Biagini and G. Motta. Cambridge, Cambridge Scholars Publishing.

ჩხარტიშვილი 1987: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები*

(„ცხორებაი წმიდისა ნინოისი“). თბილისი. მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1998: მ. ჩხარტიშვილი. ქართული მესიანიზმი. იდეის თაურსახე. *ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მე-80 წლისთავისადმი*. მოხსენებათა თეზისები. თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1999: მ. ჩხარტიშვილი. ქართული მესიანიზმი ადრექრისტიანულ ხანაში. *შარავანდი* (სალიტერატურო გაზეთი), 19 – 31 ოქტომბერი.

ჩხარტიშვილი 2002: მ. ჩხარტიშვილი. ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით. *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი* I (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისო სემინარის მასალები).

ჩხარტიშვილი 2003: M. Chkhartishvili. Informative value of hagiographical sources for study of ethnic identity. *Caucasica* (The Journal of Caucasian Studies) 7.

ჩხარტიშვილი 2004ა: *ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. მჩხარტიშვილის თარგმანი. თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

ჩხარტიშვილი 2004ბ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროების პუბლიკაციის ისტორიიდან (მიხაილ საბინინის „საქართველოს სამოთხე“). *ქართული წყაროთმცოდნეობა* X.

ჩხარტიშვილი 2005: მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*. თბილისი, არეტე.

ჩხარტიშვილი 2006ა: მ. ჩხარტიშვილი. თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI.

ჩხარტიშვილი 2006ბ: მ. ჩხარტიშვილი. წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში. *ქართული წყაროთმცოდნეობა* XI.

ჩხარტიშვილი 2006გ: М. Чхартишвили. *Идеология национализма и его универсалии в грузинской среде. Национализм* (Популярная книга для чтения). Тбилиси

ჩხარტიშვილი 2007: მ. ჩხარტიშვილი. ქრისტიანობა როგორც ქართული იდენტობის მარკერი. *ლოგოსი* IV.

ჩხარტიშვილი 2008: M. Chkhartishvili. On Georgian identity religious marker. *Studies in Medieval History of Georgia* IX.

ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. Georgian Identity: Stages of Development. *On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhrtishvili)*. Tbilisi, Universal.

ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*. თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2009გ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობა: როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. *კავკასიოლოგიური ძიებანი* I.

ჩხარტიშვილი 2011ა: მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი. *ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი შრომები*, 1.

ჩხარტიშვილი 2011ბ: M. Chkhartishvili. Holy Men and Making of Georgian Identity. *Proceedings of the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities of the Javakhishvili Tbilisi State University* 1.

ჩხარტიშვილი 2011გ: M. Chkhartishvili. Molding of Nationalist Ideology and Printed Media: Georgian Case Study. *Proceedings of the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities of the Javakhishvili Tbilisi State University* 2.

ჩხარტიშვილი 2012: M. Chkhartishvili. The Shaping of Georgian National Identity: Iveria and its Readers. *The Balkans and Caucasus: Parallel Processes on the Opposite Sides of the Black Sea.* Edited by I. Biliarsky, O. Kristea, A. Oroveanu. Cambridge, Cambridge Scholars Publishing.

ჩხარტიშვილი 2013ა: M. Chkhartishvili. Georgian Nationalism and the idea of Georgian Nation. *Codrul Cosminului Departamentul de Stiinte Umanesi Social-Politice* 19, 2. http://atlas.usv.ro/www/codru_net/page19_2e.html 191

ჩხარტიშვილი 2013ბ: მ. ჩხარტიშვილი. *როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში? არაკეთილგანწყობილი რეცენზენტის პასუხად*. თბილისი, ნეკერი.

ჩხარტიშვილი 2013/2014: მ. ჩხარტიშვილი. დაიენ / დიაოხი: ეთნიკური სტიგმა. *ქართული წყაროთმცოდნეობა* XV/XVI. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2014ა: M. Chkhartishvili. Representing Georgian Past: Problem of Nation-Formation. *Proceedings of International Conference "Representing History: Theoretical Trends and Case Studies"* dedicated to 90th Anniversary of Academician Mariam Lordkipanidze's Birth held by the Institute of Georgian History, Tbilisi State UniversityTbilisi State University Press.

ჩხარტიშვილი 2014ბ: M. Chkhartishvili. Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix. *Empires and Nations from the Eigtheenth Century to the Twentieth Century*, Volume I. Edited by A. Biagini and G. Motta. Cambridge, Cambridge Scholars Publishing

ჩხარტიშვილი 2014გ: მ. ჩხარტიშვილი. ქართველი ერის იდეა ნაციის ფენომენის შესახებ ევროპული დისკურსის ფონზე. *საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენციის „ევროპული ღირებულებები და იდენტობა" მასალები.* თბილისი, თსუ გამომცემლობა.

ჩხარტიშვილი 2015: M. Chkhartishvili. Kutsallık ve Kimlik: Gürcü Olay İncelemesi.*Yeni Türkiye Kafkaslar, özel sayısı* VII, 77.

ჩხარტიშვილი 2016: M. Chkhartishvili. Georgia, Kingdom of (fl. C12–13th). *The Encyclopedia of Empire*. EditorinChief John M. MacKenzie. Published Online: 11 JAN 2016; DOI: 10.1002/9781118455074.wbeoe322 http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781118455074.wbeoe322/abstract;jsessionid=C593790E8FAFC6A2726B6E7605C79EAB.f04t04?userIsAuthenticated=false&deniedAccessCustomisedMessage

ჩხარტიშვილი 2017: M. Chkhartishvili. Saint George of Mtatsminda and the Forging of Georgian Identity in the 11th Century. *Histoire, mémoire et dévotion. Regards croisés sur la construction des identitiés dans le monde orthodoxe aux époques byzantine at post-byzantine*. Editor R.G. Păun, La Pomme d'or, Seyssel.

ჩხარტიშვილი 2018: M. Chkhartishvili. Deed of Anthim the Iberian Seen in the Context of Georgian Identity Forging Preprint. April 2018 DOI: 10.13140/RG.2.2.29901.13281. See Research Gate: https://www.researchgate.net/publication/324363847

ჩხარტიშვილი 2019ა: მ. ჩხარტიშვილი. ქართველი ერი XIX საუკუნეში ეთნოსიმბოლისტური თვალთახედვით. *ქართული წყაროთმცოდნეობა* XXI. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2019ბ: მ. ჩხარტიშვილი. ქართველი ერის ზვიად გამსახურდიასეული ნარატივი. რეპრეზენტაცია და კომენტარები. *ქართული წყაროთმცოდნეობა* ტ., XXI.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა". *შრომები* . ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო.* თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე. რენანის „რა არის ერი?" *ქართული წყაროთმცოდნეობა* XIII/XIV. თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი და *სხვები* 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია, ს. ქადაგიშვილი. ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. *ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* 3.

ჩხარტიშვილი და *სხვები* 2015: M. Chkhartishvili, Z. Targamadze, S. Kadagishvili. Impulse of the Great War on Georgian Identity Development. The First World War. *Analysis and Interpretations*, Edited by A. Biagini and G. Motta, Volume 2, Cambridge, Cambridge Scholars Publishing.

ჩხარტიშვილი, ქადაგიშვილი 2011: M. Chkhartishvili, S. Kadagishvili. Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols. *Proceedings of the Institute of Georgian History at the Faculty of Humanities of the Javakhishvili Tbilisi State University* 4.

ჰათჩინსონი, სმითი 1994: *Nationalism*. Edited by J. Hutchinson, A. D. Smith. Oxford Reader. Oxford, Oxford University Press.

STUDYING GEORGIAN NATIONAL IDENTITY: ETHNOSYMBOLIST APPROACH

Mariam Chkhartishvili

In Soviet historiography formation of Georgian nation was represented on a ground of Marxian sociology. From the beginning of the 21st century for study of history of Georgian identity I began using western theory, namely, ethno-symbolist approach. In the present article I share my experience accumulated by me in this field during two recent decades with the readers. In particular, I demonstrate my views on history of Georgian identity. Main message of my results are as follows: formation of Georgian identity is a long-term process comprising ethnic and national levels of development. Georgian identity has been formed during the centuries. It has retained self-sameness until today. The long-term uninterrupted development is a feature that makes Georgian case unique. Georgian nation belongs to a rare type of continuous nations with very deep ethnic roots in pre-modernity.

In the paper I have also concerned though very briefly the aggressive criticism which comes from certain Georgian historians in address of my views on history of Georgian identity.

In future I plan return to all above mentioned issues more profoundly: I mean not only my representations based on ethno-symbolist approach, but also I am going to pay special attention to the difficulties which had faced my attempts to implement western social theory in Georgian scholarship. I intend to consider not only separate facts of the militant ignorance of some scholars, but the whole contexts so that characterize the modern state of Georgian historiography and identify the existed problems for solving them successfully in future.

არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (სოფელ ქობულეთის 2019 წლის ინტერდისციპლინური არქეოლოგიური ექსპედიციის გამოცდილება)

გურამ ჩხატარაშვილი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარა) ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდით დათარიღებული ათამდე ძეგლია დაფიქსირებული როგორც შავიზღვისპირა სოფლებში (კვირიკე, ჯიხანჯური, ხუცუბანი, ქობულეთი, მახვილაური), ისე გორაკ-ბორცვოვან თუ ალპურ ზოლში (ბერძენიშვილი, ნებიერიძე 1964: 7-16); (გოგიტიძე 1978); (გოგიტიძე 2008); (გრიგოლია 2001: 5-10). მათი აღმოჩენა და მეცნიერული შესწავლა XX ს-ის 60-80-იან წლებში მოხდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მათგანზე არ ჩატარებულა ინტერდისციპლინური კვლევები. უფრო მეტიც, ძეგლთა ასაკის განსაზღვრა მხოლოდ არტეფაქტთა ვიზუალური შესწავლით და ანალოგების მიხედვით ხდებოდა, რაც, დღევანდელი სამეცნიერო მიღწევების ფონზე, არადამაკმაყოფილებელია. ჩვენს მიზანს შეადგენდა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეგვესწავლა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ქვის ხანის ძეგლები. ამჯერად წარმოგიდგენთ სოფ. ქობულეთში განხორციელებულ ინტერდისციპლინურ არქეოლოგიურ კვლევა-ძიების შედეგებს, სადაც კარგად ჩანს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მნიშვნელობა არქეოლოგიისთვის.

2019 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი-სამეცნიერო საგრანტო პროექტის (ხელშეკრულება № 02-12/19) დაფინანსებით 33 წლის შემდეგ პირველად სოფ. ქობულეთში განახლდა საველე არქეოლოგიური სამუშაოები.[1] მასში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ უკრაინელი, რუსი და ამერიკელი მკვლევრები.

სოფ. ქობულეთის ქვის ხანის ღია ტიპის ნამოსახლარი მდებარეობს კურორტ ქობულეთიდან აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაშორებით. ნამოსახლარი განლაგებულია მდ. კინტრიშის ჩრდილოეთით, საშუალო სიმაღლის ბორცვზე (GPS N 41 48.178 E 041 53.066), რომლის ზედა ნაწილი წარმოადგენს არქეოლოგიურ ძეგლს. ძეგლის აღმოჩენა და მისი პირველი მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია ცნობილი არქეოლოგების ნინო ბერძენიშვილისა და ლამარა ნებიერიძის სახელებთან (ბერძენიშვილი, ნებიერიძე 1964: 7-16). ამის შემდეგ, არქეოლოგიური კვლევა-ძიება განაგრძო არქეოლოგმა სერგო გოგიტიძემ (გოგიტიძე 1978); (გოგიტიძე 2008), რომელმაც 1973-1986 წწ. არაერთი საველე სეზონური კვლევა ჩაატარა სოფ. ქობულეთში. მოპოვებულ იქნა დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელიც 30 000 ერთეულს აღემატებოდა. მათგან დაახლოებით 2 000 იარაღი იყო, დანარჩენი კი წარმოების ნაშთი. მონაპოვრები მკვლევარმა გვიანმეზოლით-ადრენეოლითური პერიოდით დაათარიღა, რომელიც საქართველოს არქეოლოგიური პერიოდიზაციის მიხედვით ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებით განისაზღვრება.

2019 წელს არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე დაიზვერა მთლიანი ტერიტორია. შეირჩა ადგილები, სადაც გაივლო რამდენიმე საკონტროლო თხრილი (1×2 მ) (სურ. 1). საინტერესო აღმოჩნდა თხრილი №3 (სურ. 2), რომელიც გავავლეთ ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, სერგო გოგიტიძის მიერ გათხრილი ძირითადი თხრილის ჩრდილოეთ მხარეს (სურ. 3). სამუშაოების შედეგად, გამოვლინდა ყავისფერი შეფერილობის უძრავი კულტურული ფენა (სიმძლავრე 0,45 მ), რომელშიც დაფიქსირდა კაჟისა და ობსიდიანის არტეფაქტები, სხვადასხვა ზომის და ფორმის ორმოები, ხის ნახშირები და სხვ.

იარაღთა დასამზადებლად, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოყენებული იყო კაჟი და ობსიდიანი. სულ დაფიქსირდა 1533 ერთეული მასალა. მათგან 262 იარაღია. იარაღებს შორის

ჭარბობდა რეტუშირებული ლამელები და მიკროლამელები, საჭრისები, საფხეკები, სატეხები და სხვ. (სურ. 4). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მონაპოვრებში საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი მცირე ზომის გვერდებდაბლაგვებული და თავწაკვეთილი მიკროლამელები (სიგანე 1-3 მმ), რომლებიც თავსდებოდნენ სპეციალურად ძვლის ან ხის ბუდეში და გამოიყენებოდნენ ნადირობაში ისრისპირის ჩასართებად (სურ. 4. 18). მსგავსი იარაღები ცნობილია როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის თანადროული ეპოქის ძეგლებიდან: ქვაჭარა (ბადერი და *სხვები* 1989: 93-105), მირნოე (საპოჟნიკოვი, საპოჟნიკოვა 2011: 119) და სხვ.

ინტერდისციპლინური კვლევების ჩართვას და მათი შედეგების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფ. ქობულეთის ქვის ხანის ადამიანის ყოფა-ცხოვრების და კლიმატური პირობების შესწავლისთვის. საქმე ის არის, რომ პირველად რეგიონის ქვის ხანის არქეოლოგიაში შესაძლებელი გახდა კაჟის და ობსიდიანის არტეფაქტებზე ჩატარებულიყო ტრასოლოგიური ანალიზი, რომელიც არქეოლოგიაში გულისხმობს იარაღის ზედაპირის მიკროსკოპულ შესწავლას. იარაღის სამუშაო პირზე არსებული, სავსებით კანონზომიერი, სპეციფიკური ნიშნები – ხაზები, ნაკაწრები, ღარები, დაბლაგვება, სიპრიალე და ა.შ. (სემენოვი 1957); (სემენოვი, კორობკოვა 1983) იარაღის ფუნქციის დადგენაში გვეხმარება (ხორცის საჭრელი დანები, სარანდავები, მარცვლეულისა და ბალახის სამკელი დანები, ტყავის, ძვლის სახოკ-საფხეკები და სხვ.). თვალსაჩინოებისთვის ყველაფერი მიკროფოტოებით ფიქსირდება. ქვის ინვენტარის ფუნქციონალურ-ტრასოლოგიური ანალიზის მიზანია უძველეს ნამოსახლარებზე მეურნეობის ფორმებისა და პრიორიტეტების დადგენა (ესაკია 2003: 136-146).

სოფ. ქობულეთში ტრასოლოგიური ანალიზის (კვლევა ჩაატარა ქეთევან ესაკიამ) შედეგად გაირკვა, რომ აქ მცხოვრები პირველყოფილი ადამიანის ძირითადი საქმიანობა (სურ. 5) იყო ნანადირევი ხორცის დამუშავება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ჯგუფით იყო წარმოდგენილი ძვლის/ხის და ტყავის დამუშავებისათვის საჭირო იარაღები (ესაკია და *სხვები* 2020); (ჩხატარაშვილი და *სხვები* 2020). ამდენად, ჩვენ მიერ გამოყენებულმა მეთოდმა ზუსტად განსაზღვრა მეურნეობის სახეები, რაც ქვის იარაღების ვიზუალური დათვალიერებით და ტიპოლოგიური ანალიზის გამოყენებით შეუძლებელი იყო.

ინტერდისციპლინური კვლევების ფარგლებში ჩვენს მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა სოფ. ქობულეთში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანის პალეოკლიმატური გარემო. ამ მიზნით გამოყენებული იყო პალინოლოგიური ანალიზი. სოფ. ქობულეთში უძრავი კულტურული ფენებიდან აღებულ იქნა პალინოლოგიური სინჯები (კვლევა ჩაატარა მაია ჭიჭინაძემ), რომელშიც დაფიქსირდა სითბოსმოყვარული მცენარეების (რცხილა, ცაცხვი, კაკალი, ძელქვა და სხვ.) არსებობა (ჩხატარაშვილი და *სხვები* 2020) (სურ. 6). როგორც დადგინდა, სოფ. ქობულეთში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი საკმაოდ კარგად იცნობდა სელს და მას ტანსაცმლის დასამზადებლად იყენებდა. აღებულ სინჯებში დადასტურდა სელის ქსოვილის ბოჭკოები (ჩხატარაშვილი და *სხვები* 2020), რომლის დაფიქსირება შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელი იყო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა-გურია) არქეოლოგიის ისტორიაში ესაა სელის ქსოვილის გამოყენების ჯერჯერობით ყველაზე ადრეული ფაქტი.

არქეოლოგიაში ძეგლთა გათხრების და არტეფაქტთა შესწავლის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ მათი ზუსტი ასაკი. არსებობს დათარიღების სხვადასხვა მეთოდები, რომელთაგან თანამედროვე არქეოლოგიაში განსაკუთრებით პოპულარულია რადიოკარბონული (რადიონახშირბადული) დათარიღება. იგი შემდეგ პრინციპზეა დამყარებული: როგორც ცნობილია, დედამიწის ატმოსფეროს გავლისას კოსმოსური სხივები წარმოქმნიან ნეიტრონებს, რომელთაც არა აქვთ ელექტრული დამუხტულობა და საკმაოდ ეფექტურად ურთიერთქმედებენ ნებისმიერი ატომის ბირთვებთან. დადგენილია, რომ კოსმოსური სხივების მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ნეიტრონები ატმოსფეროში აზოტთან ურთიერთობის შედეგად წარმოქმნიან ნახშირბადის რადიაქტიულ იზოტოპს

– C^{14} ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, რადიონახშირბადს. კოსმოსური სხივების ზემოქმედების შედეგად ატმოსფეროს ზედა ფენებში წარმოქნილი რადიონახშირბადი შემდეგ ნაწილდება ცოცხალ ორგანიზმებსა და მცენარეულობაში. არაცოცხალ საგნებში C^{14} რაოდენობა მისი მუდმივი დაშლის გამო განუწყვეტლივ მცირდება. ცოცხალ და არაცოცხალ ნიმუშებში C^{14}-ის შედგენილობის ურთიერთშედარებით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ რა დრომ განვლო ჩვენთვის საინტერესო ამა თუ იმ საგნის დაღუპვის შემდეგ (ლორთქიფანიძე 1979: 18). არქეოლოგიაში ამ მეთოდს ძირითადად ხის ნახშირის, ძვლის, კერამიკის, ტორფის და სხვა მსგავსი მასალის დასათარიღებლად იყენებენ.

სოფ. ქობულეთში უძრავ კულტურულ ფენებში აღმოჩნდა ხის ნახშირის ფრაგმენტები, რომელიც რადიონახშირბადული მეთოდის გამოყენებით იქნა შესწავლილი. ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა ნამოსახლარის ფუნქციონირების ასაკი 8670±100 BP (ჩხატარაშვილი, გლასკოკი 2020), რომელიც კიოლნის რადიოკარბონული კალიბრაციის სისტემის (CalPal) გამოანგარიშებით უდრის ძვ.წ. 7769±142 წელს. ეს არის უდიდესი მიღწევა აჭარის ქვის ხანის არქეოლოგიის ისტორიაში, როცა უკვე რადიოკარბონული მეთოდის გამოყენებით გავიგეთ ნამოსახლარის ასაკი. სამომავლოდ, დაგეგმილია ინტერდისციპლინური არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება როგორც სოფ. ქობულეთში, ისე აჭარის ქვის ხანის დანარჩენ ძეგლებზე.

როგორც ვხედავთ, სოფ. ქობულეთი ძვ.წ. VIII ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება, რომელიც საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა პერიოდიზაციის მიხედვით ადრენეოლითს მიეკუთვნება. თუმცა, ჩვენ მიერ განხორციელებულმა ინტერდისციპლინურმა არქეოლოგიურმა კვლევებმა, ასევე, ქვის არტეფაქტების ტექნო-ტიპოლოგიურმა და ტრასოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სოფ. ქობულეთი წარმოადგენდა ჯერ კიდევ მომთაბარე ადამიანთა სადგომს, რომელსაც სეზონურად (ცხოველზე ნადრობის პერიოდში) დროებით სტუმრობდა პირველყოფილი ადამიანი. ამას ადასტურებს როგორც ძველი, ისე ახალი გათხრებიდან მომდინარე მასალა, სადაც არ ფიქსირდება ნეოლითთან დაკავშირებული არანაირი არტეფაქტი. უფრო მეტიც, ძეგლი კონკრეტულად ნადირობასთან დაკავშირებული სადგომია, სადაც ნადირობის გარდა არც შემგროვებლობისთვის და მეთევზეობისთვის დამახასიათებელი იარაღები არ ჩანს. ამიტომ, ჩვენ ძეგლს ეპიპალეოლითური (ან მეზოლითური) ხანით ვათარიღებთ.

ამდენად, როგორც ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა, თანამედროვე არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო დარგების გამოყენებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ჩვენი ქვეყნის პრეისტორიული (და არა მარტო პრეისტორიული) საკითხების კვლევის დროს. სოფ. ქობულეთში ჩატარებულმა კვლევებმა დასაბამი უნდა დაუდოს რეგიონში ქვის ხანის ძეგლთა შესწავლას მულტიდისციპლინური მეთოდების გამოყენებით, რაც, მომავალში არაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის საწინდარი გახდება.

შენიშვნები

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ა. კახიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), გ. ჩხატარაშვილი (რაზმის უფროსი), ვ. მანკო (კონსულტანტი), ქ. ესაკია (ტრასოლოგი), მ. ჭიჭინაძე (პალინოლოგი), მ. გლასკოკი (გეოქიმიკოსი), მ. კულკოვა (გეოფიზიკოსი), თ. მოწყობილი (სტუდენტი), ნ. აფაქიძე (მძღოლი).

დამოწმებანი

ბადერი და *სხვები* 1989: Н.О. Бадер, Н.Н. Гурина, П.М. Долуханов, Л.В. Кольцов, Г.Ф. Коробкова, Г.Н. Матюшин, Г.И. Медведев, А.Н. Мелентьев, С.В. Ошибкина, Ю.Б. Сериков, А.Н. Сорокин, В.Ф. Старков, Д.Я. Телегин, В.И. Тимофеев, Л.Д. Церетели. *Мезолит СССР*, Москва, Издательство "Наука".

ბერძენიშვილი, ნებიერიძე 1964: ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე. *ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები*, ტ. I, თბილისი.

გოგიტიძე 1978: ს. გოგიტიძე. *სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა*, თბილისი, მეცნიერება.

გოგიტიძე 2008: ს. გოგიტიძე. *კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი)*, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გრიგოლია 2001: გ. გრიგოლია. პირველყოფილი ადამიანის უძველესი ნაკვალევი *აჭარაში, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები*, II, ბათუმი.

ესაკია 2003: К. Эсакия. Экспериментально-трасологический метод и эффективность экономики ранне-земледельческих хозяйств, *Петербургская трасологическая школа и Изучение культур евразии*, Санкт-Петербург.

ესაკია და *სხვები* 2020: К. Эсакия, Г. Чхатарашвили, А. Кахидзе. Комплексный анализ каменного инвентаря раннеголоцновой стоянки Кобулети, *Tyragetia*, Кешенев (იბეჭდება).

ლორთქიფანიძე 1979: ო. ლორთქიფანიძე. *არქეოლოგია და თანამედროვეობა (მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი)*. თბილისი.

მანკო 2015: В. Манко. Похождення кукрецькои культури, *Наукови студии*, вип. 8.

საპოჟნიკოვი, საპოჟნიკოვა 2011: И.В. Сапожников, Г.В. Сапожникова. Каменный век, Северо-Западного Причерноморья, *Stratum plus*, № 1, Санкт-Петербург, Кишинев, Одесса, Бухарест.

სემენოვი 1957: С.А. Семенов. Первобытная техника (опыт изучения древнейших орудий и изделий по следам работы), *Материалы и Исследования по археологии СССР (МИА)*, Москва-Ленинград, Издательство Академии наук СССР.

სემენოვი, კორობკოვა 1983: С.А. Семенов, Г.Ф. Коробкова. *Технология древнейших производств (мезолит–энеолит)*, Ленинград, Издательство "Наука".

ჩხატარაშვილი, გლასკოკი 2020: G. Chkhatarashvili, M. Glascock. Obsidian at Kobuleti (Western Georgia): Evidence for early human contact in Western Transcaucasia during the Mesolithic period, *Archaeological Research in Asia* (in press).


ჩხატარაშვილი და *სხვები* 2020: G. Chkhatarashvili, V. Manko, A. Kakhidze, K. Esakiya, M. Chichinadze, M. Kulkova, M. Streltcov. South-East Black Sea coast in Early Holocene period.




სურ. 1. სოფ. ქობულეთში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები (საკონტროლო თხრილები აღნიშნულია ნომრების მიხედვით).




სურ. 2. საკონტროლო თხრილი N 3 (ხედი სამხრეთიდან).




სურ. 3. სოფ. ქობულეთის გათხრების გენერალური გეგმა



სურ. 4. სოფ. ქობულეთის იარაღები. 1-5 საჭრისები; 6-8 გვერდამოღარული ლამელები და მიკროლამელები; 9-11 რეტუშირებული ლამელა და მიკროლამელა; 12-16 გვერდდაბლაგვებული მიკროლამელა; 17 ისრისპირის ჩასართი (რეკონსტრუქცია) (მანკო 2015: 33-62, სურ. 3. 7).



სურ. 5. ტრასოლოგიური ანალიზით განსაზღვრული საქმიანობა



სურ. 6. სოფ. ქობულეთში აღმოჩენილი მცენარეთა სპორები: 1 ცაცხვი (Tilia); 2-6 რცხილა Carpinus); 7-8 ძელქვა (Zelkova); 9-12 მურყანი (Alnus); 14 გვიმრა (Pteris); 15 ასტრი (Aster); 16 ფარსმანდუკი (Achillea) (ჩხატარაშვილი და სხვები 2020).

ARCHAEOLOGY AND NATURAL SCIENCES (EXPERIENCE OF INTERDISCIPLINARY ARCHAEOLOGICAL EXPEDITION IN KOBULETI VILLAGE IN 2019)

Guram Chkhatarashvili

In contemporary archaeology, branches of natural sciences are being actively implemented. The studies performed with their aid enable us to get thorough information about our past. The use of interdisciplinary research methods is especially important in the study of prehistoric matters, when it comes to the sites from the earliest periods (Stone, Bronze) of the past of humankind.

Implementing interdisciplinary research on Stone Age sites has increased especially since the 1990s, when a number of international expeditions were conducted with the participation of Georgian and foreign specialists in the research of stone age sites. Nowadays, archeological research without using natural sciences is incomplete and unsatisfactory.

In 2019, for the first time in the history of Adjara Stone Age archaeology, an international archaeological expedition was carried out in Kobuleti village. Specialists of natural sciences participated in the expedition alongside archaeologists. The purpose of the expedition was to use contemporary methods to study the living conditions of the primaeval humans living on the territory of Kobuleti village, establish the main fields of their economy, determine the age of the settlement etc. In order to achieve the set goals, laboratory work using natural sciences was carried simultaneously with the archaeological excavations.

Palynological samples were taken to determine the paleoenvironment of the primaeval humans. Palynology is a field of biology that studies the particles of plant dust and spores. It can be said that palynology has played a crucial role in reconstructing the vegetation and Paleoenvironment of the Pleistocene and Holocene periods.

Traceological (Use-Wear) analysis has been used to determine the economy used by humans in Kobuleti village. Traceology is a branch of forensic science that studies the traces left by a criminal. It was introduced to archaeology by a famous Russian scientist Sergei Semenov. Research using this method involves studying stone artifacts with a microscope.

To determine the exact age of the settlement, it was essential to use the radiocarbon method, which is one of the most popular methods of dating in modern archaeology.

The interdisciplinary archaeological work carried out in Kobuleti village has once again convinced us in the importance of using natural sciences in archaeological research.

წყაროთა წარდგინება
PRESENTATION OF SOURCES

სოფელი ჭორჭოხი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში

დავით ახლოური

ქსნის ხეობის ისტორიულ სოფელ ლარგვისიდან ქარჩოხის მიმართულებით მგზავრობისას, პირველად ჭორჭოხს უნდა ვესტუმროთ, მდინარეების ქსნისა და ცხრაზმულას წყალგამყოფ დასავლეთ კალთაზე მდებარე უძველეს ქართულ სოფელს, რომელიც ახალგორიდან დაახლოებით 25 კილომეტრითაა დაშორებული და მდებარეობს ზღვის დონიდან 1480 მეტრზე.

სოფლის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ადრე შუა საუკუნეების კვირაცხოვლის ეკლესია, ორქანობიანი გადახურვით; განვითარებული შუა საუკუნეების წმინდა გიორგის სალოცავი სოფლის დასავლეთით, ქედზე; სამხრეთ-აღმოსავლეთით შუა საუკუნეების ქაშუეთის ეკლესია; გარდამავალი ხანის ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით და დასავლეთით 1,5-2 კილომეტრზე მდებარე შუა საუკუნეების ეკლესია „არბო“. ასევე სოფლის აღმოსავლეთით 2 კილომეტრზე მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების კოშკი. ვრცლად იხ. (დადიანიძე 2008: 258-262).

რაც შეეხება ჩვენი კვლევის ძირითად საკითხს: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჭორჭოხში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1804 წელს ყოფილ ქსნის საერისთავოში ჩატარებული პირველი რუსული კამერალური აღწერა. ჩვენ ვსარგებლობთ ბეჭდური პირით, რომელიც დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აღნიშნული ისტორიული დოკუმენტი მუზეუმისთვის 1956 წელს გადაუცია სარგის კაკაბაძეს. წყაროს ახლავს მეცნიერის შენიშვნები და კომენტარები. როგორც იგი აღნიშნავს:

> აღწერა იძლევა ძვირფას ცნობებს სათანადო სოფლებისა და მხარეების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, არკვევს აგრეთვე ამ მოსახლეობის სოციალურ რაობას, საკომლო კერძო მფლობელობის შეხამებას სათემო მფლობელობასთან და სხვა. ცალკე მეკომურთა საკუთრებად ნაჩვენები მცირე რაოდენობის მიწა შეადგენს მათ მფლობელობას. სათიბი, საძოვარი, ტყე და ნაწილობრივ სახნავი მიწაც მთაში საერთო სათემო მფლობელობაში იმყოფებოდა (გსიემ 1956: 5).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაბეჭდ რუსულ ტექსტში სახელებისა და გვარების მითითებისას, მთელი რიგი შეცდომებია დაშვებული, მაგალითად, იასე ფოცხვერაშვილის ნაცვლად ოსიპ პოჩხორაშვილია მითითებული, ბალხამიშვილის ნაცვლად – ბალხამაშვილი, ქაწაშვილის ნაცვლად – ხაწაშვილი, ფოციტაშვილის ნაცვლად პუცეტაშვილი და ასე შემდეგ. შეცდომითაა სოფლის სახელიც, ჭორჭოხის მაგივრად – ქორჩოხი. ქვემოთ გთავაზობთ ჩემ მიერ რედაქტირებულ ვარიანტს, რომელიც შედარებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებთან, რაც გვეხმარება გვარების და ზოგჯერ სახელების დაზუსტებაში.

1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით სოფელ ჭორჭოხში მცხოვრები ქართველები:

1) ოსიპ ფოჩხორა შვილი (იესე ფოცხვერაშვილი – დ.ა.), 5 მამაკაცი და 3 ქალი, მის საკუთრებაშია 10 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა. გადახდილი აქვს 1/2 ანუ ნახევარი კოდი (დაახლოებით 5 ლიტრა) ხორბალი, 1 ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
2) გრიგოლ ფოჩხორა შვილი (ფოცხვერაშვილი – დ.ა), 6 მამაკაცი, 1 ქალი. ასევე გადახდილი აქვს 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
3) შალია საბია შვილი, 6 მამაკაცი, 1 ქალი. 7 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადახდილი აქვს სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
4) გოგია საბია შვილი, 6 მამაკაცი, 2 ქალი. 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს 4 ფუთი (1 ფუთი უდრის – 16, 38 კგ.) ხორბალი, 25 კაპიკი, ქათამი და

5 კვერცხი, სულ 41 1/2 კაპიკი.

5) ქიტესა საბიაშვილი, 5 მამაკაცი, 1 ქალი. 8 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს ლიტრა ნახევარი ხორბალი, 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 74 1/2 კაპიკი.

6) გლახა საბიაშვილი 4 მამაკაცი, 3 ქალი. 6 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს სულ 74 1/2 კაპიკი.

7) გლახა საბია შვილი 1 მამაკაცი, 4 ქალი. 1 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს 4 ფუტი ხორბალი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 16 1/2 კაპიკი.

8) შალუა (შალვა – დ.ა.) საბიაშვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ქათამი და 5 კვერცხი, სულ 12 1/2 კაპიკი.

9) გოგი საბიაშვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი. 1 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს სულ 12 1/2 კაპიკი.

10) ნინია ფოციტაშვილი 3 მამაკაცი, 3 ქალი. 4 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 8 თივა, გადახდილი აქვს 2 ლიტრა ხორბალი, 30 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 58 1/2 კაპიკი.

11) ბერი ფუცეტაშვილი (ფოციტაშვილი – დ.ა.), 3 მამაკაცი, 1 ქალი. 3 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს 4 ფუთი ხორბალი, 15 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 31 1/2 კაპიკი.

12) ჩიტო ბუთხუზიშვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადახდილი აქვს სულ 31 1/2 კაპიკი.

13) გლახა ბუთხუზიშვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი. 4 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 8 თივა, გადახდილი აქვს ლიტრა ნახევარი ხორბალი, 20 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 44 1/2 კაპიკი.

14) ხიზანა ბუთხუზიშვილი, 1 მამაკაცი, 1 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადახდილი აქვს 4 ფუთი ხორბალი, 10 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 26 1/2 კაპიკი.

15) შოთა ბალხამიშვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი. 1 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს 2 ლიტრა ხორბალი, 35 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 63 1/2 კაპიკი.

16) ბერო ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 4 მამაკაცი, 4 ქალი. 1 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს ლიტრა ნახევარი ხორბალი, 35 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 59 1/2 კაპიკი.

17) ნინია ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 5 მამაკაცი, 2 ქალი. 1 დღე ნახევრის სახნავი მიწა, 8 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 8 თივა, გადახდილი აქვს 3 ლიტრა ნახევარი ხორბალი, 70 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 10 1/2 კაპიკი.

18) ბალხამა ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 4 მამაკაცი, 2 ქალი. ნახევარი დღის სახნავი მიწა, 4 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს ლიტრა ნახევარი ხორბალი, 30 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 54 1/2 კაპიკი.

19) ბერუკა ბალხამიშვილი, 4 მამაკაცი, 4 ქალი. 15 დღის სახნავი მიწა, 15 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 30 თივა, გადახდილი აქვს 2 კოდი (20 ლიტრა) ხორბალი, 2 ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 3 მანეთი და 72 1/2 კაპიკი.

20) მახარაბელი ბალხამა შვილი (მახარებელი ბალხამიშვილი – დ.ა.), 1 მამაკაცი, 1 ქალი. 6 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 15 თივა, სულ გადახდილი აქვს 3 მანეთი და 72 1/2 კაპიკი.

21) კადია ბალხამაშვილი (ქიტია ბალხამიშვილი – დ.ა.), 6 მამაკაცი, 2 ქალი. 6 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს 6 ლიტრა ხორბალი, 1 მანეთი და 40 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 2 მანეთი და 1/2 კაპიკი.

22) გიორგი ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 3 მამაკაცი, 1 ქალი. 4 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს 2 ლიტრა ნახევარი ხორბალი, 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 82 1/2 კაპიკი.

23) ბერი ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 3 მამაკაცი, 2 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 9 თივა, გადახდილი აქვს 5 ლიტრა ხორბალი, ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
24) პეტრე ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 5 მამაკაცი, 4 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 9 თივა, გადახდილი აქვს ნახევარი კოდი (5 ლიტრა) ხორბალი, ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
25) ბერი ბალხამაშვილი (ბალხამიშვილი – დ.ა.), 4 მამაკაცი, 5 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 12 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
26) ტეტია ბალხამაშვილი (ქიტია ბალხამიშვილი – დ.ა.), 4 მამაკაცი, 6 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
27) კაცია ხაწაშვილი (ქაწაშვილი – დ.ა.), 6 მამაკაცი, 5 ქალი. 3 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს ლიტრა ნახევარი ხორბალი, 40 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 64 1/2 კაპიკი.
28) მახარაბელი ხაწაშვილი (მახარებელი ქაწაშვილი – დ.ა.), 2 მამაკაცი, 2 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს 5 ფუთი ხორბალი, 10 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 26 1/2 კაპიკი.
29) ოსიპ ხაწაშვილი (ოსია ქაწაშვილი – დ.ა.), 5 მამაკაცი, 1 ქალი. 3 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადახდილი აქვს 2 ლიტრა ნახევარი ხორბალი, 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 82 1/2 კაპიკი.
30) სიხარული ზაზანაშვილი (შერმაზანიშვილი – დ.ა.), 3 მამაკაცი, 1 ქალი. 9 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა, გადახდილი აქვს ნახევარი კოდი (5 ლიტრა) ხორბალი, ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 52 კაპიკი.

სოფელში ცხოვრობს სულ 120 მამრობითი და 73 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, მათ კუთვნილებაშია 136 დღის სახნავი და 188 დღის – სახნავად გამოუყენებელი მიწის ფართობი, თიბავენ 255 თივას, ხაზინისთვის გადახდილი აქვთ 31 მანეთი და 34 კაპიკი (გსიემ 1956: 63-67). საშუალოდ რომ განვსაზღვროთ, იმ დროისთვის ძროხა 4-5 მანეთი ღირდა, ცხვარი – 1 მანეთი, ქათამი 5 კვერცხთან ერთად - 12 კაპიკი და ასე შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭორჭოხის რამდენიმე მოსახლე მოხსენიებულია XVIII საუკუნის II ნახევრის ქსნის ხეობის გამოსავლის დავთარში, სადაც მითითებულია თუ რა გადასახადი ჰქონდა დაკისრებული თითოეულ კომლს, მაგალითად:

ქ. ბალხამას-შვილის დათუნას მამულს აძეს: პური ჩანახი თორმეტი, ცხვარი ერთი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. ბალხამის-შვილს ელისბარის მამულს აძეს: პური ჩანახი თოთხმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. ბალხამის-შვილის ბერის მამულს აძეს: პური ჩანახი თორმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

შემდეგ რამდენიმე კომლს არა აქვს მითითებული გადასახადის ოდენობა:

ქ. წიკლაურის ბერის მამულს აძეს.
წიკლაურის ქაწაშვილის გამიხარდის მამულს აძეს.

ბალხამის-შვილის მოურავის ხოსროს მამულს აძეს.

ბუთხუზი ქიტოს მამულს აძეს.

რაოდენობა ისევ კონკრეტდება აღწერის ბოლოს მითითებულ ორ კომლთან:

ქ. ბალხამას-შვილს შიოს მამულს აძეს: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. ბალხამის-შვილს კაციას მამულს აძეს: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი (ჯავახიშვილი 1974: 173-174).

აღნიშნული წყარო ბევრი რამითაა საყურადღებო. პირველ რიგში გვეძლევა საშუალება შევადაროთ XVIII და XIX საუკუნეების გადასახადების ოდენობა, შეიძლება ითქვას, რომ მამულით სარგებლობისთვის თითქმის ერთნაირია სახაზინოდ გასაღები თანხა, მცირე განსხვავებებით: „ტრადიციულია“, ქათამი და 5 კვერცხი, ასევე ნატურით გადასახადი ცხვრის, თხის, პურისა თუ ხორბლის სახით, ოღონდ ეგაა, XVIII საუკენეში რამდენიმე ოჯახი ვალდებულია ცხვარიც გადაიხადოს და თხაც, XIX საუკუნეში კი ზოგი ნაღდ ფულსაც იხდის. ჩანახი უდრიდა 8 კილოგრამს (ჯაფარიძე: 1973). მთლიანობაში, მეცხრამეტე საუკუნეშიც დაახლოებით იგივე საგადასახადო ვალდებულება ყოფილა, რაც XVIII საუკუნეში. ჩანს, ბალხამიშვილების სამი ოჯახი უფრო შეძლებულები არიან, მეტ მამულებს ფლობენ და გადასახადსაც განსხვავებულს იხდიან, ამავე გვარის, ბოლოს აღწერილი ორი ოჯახი შედარებით მცირედს იხდის. რაც შეეხება ოთხ ოჯახს: წიკლაურების, ბუთხუზის და ბალხამიშვილის, რომლებსაც არა აქვთ მითითებული გადასახადის ოდენობა, სავარაუდოდ, ისინი ჭორჭოხში შედარებით ახალი დასახლებულები უნდა იყვნენ. არ გამოვრიცხავ, რომ „ბალხამიშვილის მოურავის ხოსრო“ ახალდაბიდან (ამჟამად ბალაანი) გადმოსახლებულიყო, სადაც იმ დროისათვის ცხოვრობდა ქარჩოხის მოურავი აბრამ თინიკაშვილი (ბალაშვილების ერთ-ერთი წინაპარი). ბუთხუზების ოჯახი კი 1774 წელს ახალდაბაში ცხოვრობდა, ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევრის ქსნის ხეობის გამოსავლის დავთარი 80-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი, ყოველ შემთხვევაში, არაუადრეს 1774 წლისა. ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობების მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ახალდაბაში თინიკაშვილებთან ერთად ცხოვრობდნენ: ბალხამიშვილები, ბუთხუზები, მარტიაშვილები, ფოცხვერაშვილები. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: ქაწაშვილს მითითებული აქვს, რომ მისი ძირი გვარი წიკლაურია – „წიკლაურის ქაწაშვილის გამიხარდი“.

ჩვენ ასევე გვაქვს 1774 წლის აღწერის მონაცემები ჭორჭოხის შესახებ, რომლის მიხედვით სოფელში უცხოვრია 15 კომლს, აქედან 6-6 კომლი ქენქაძეები და ბალხამიშვილები არიან, ორი კომლი – ქაწაშვილი და ერთი კომლი წიპტაური (რომლის ძირი გვარი ასევე წიკლაურია) (თაყაიშვილი 1951: 42).

1783 წელს სოფლის დემოგრაფიული ვითარება მკვეთრადაა შეცვლილი, კომლების უმეტესობა არა ძველი გვარებით, არამედ მამიშვილობითაა მოხსენიებული, რაც ყველაზე საყურადღებოა, ქენქაძის მაგივრად ჩნდება ახალი გვარი საბია(ს)შვილი, წიპტაურებს გამოეყვნენ ფოციტაშვილები, ბალხამიშვილებს – შერმაზანაშვილები (თაყაიშვილი 1951: 9). საბიაშვილები, ფოციტაშვილები და შერმაზანაშვილები უკვე ცალკე გვარებად გვხვდებიან XIX საუკუნის აღწერაში.

ისევე როგორც ქსნის ხეობის გამოსავლის დავთარში, 1783 წლის ჭორჭოხის აღწერაში ვხვდებით ახალი გვარის ერთ ოჯახსაც – ბუთხუზებს, რომლებიც მოიხსენიებიან რუსულ კამერალურ აღწერაშიც. ასე რომ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გვაქვს ახალი რეალობა: ჭორჭოხის მოსახლეთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ბალხამიშვილები არიან – 12 ოჯახი, აქედან 45 მამრობითი და 35 მდედრობითი სქესის, შემდეგ საბიაშვილები – 7 ოჯახი, 33 მამრობითი და 15 მდედრობითი სქესის; 3-3 ოჯახი ქაწაშვილების და ბუთხუზების, ასევე ფოცხვერაშვილების – 2 ოჯახი (ბალხამიშვილების განაყარი შტოა და შემდეგ ისევ ბალხამიშვილებად დაეწერნენ), ფოციტაშვილების – 2 ოჯახი და შერმაზანიშვილების – 1 ოჯახი, რომელიც, ჩემი აზრით, აღწერაში შეცდომით ზაზანაშვილადაა მიწერილი. ბუთხუზების განაყარი გვარი გოჭაშვილია, ხოლო ბუთხუზები, გადმოცემის მიხედვით, ქსნის ხეობაში მთიულეთიდან არიან გადმოსულები (ქენქაძე 2010: 103).

გორის რაიონიდან მოსულებად მიიჩნევიან საბიაშვილების წინაპარი ქენქაძეები; მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ქსნის ხეობაში მოგზაურობისას გ. ჯალაბაძეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვით, ქენქაძეებს მეჯვრისხევის ბოლოს უცხოვრიათ, იქიდან

წამოსულან და ახალ საცხოვრისში წმინდა გიორგის ხატი გადმოუსვენებიათ (ჯალაბაძე 1975: 19). ვ. ქენქაძის მიხედვით, ქენქაძეების, საბიაშვილებისა და ჩოჩელების წინაპრები თორტიზაში ცხოვრობდნენ და მათი ძირი გვარი ქარუმიძე უნდა ყოფილიყო: „ეს სამი გვარი დღემდე სახლიკაცობენ ერთმანეთში, მკაცრად იცავენ ეგზოგამიას და ლოცულობენ სოფელ თორტიზის ქარუმიძეების საგვარეულო სალოცავში“ (ქენქაძე 2008: 82).

სოფელი ჭორჭოხი ოდითგან ქარჩოხის თემის ნაწილი იყო, ასეა დღესაც, თუმცა ზოგჯერ ისტორიული რეალობის შეცვლასაც ცდილობდნენ. ამის დასტურია 1934 წელს მაშინდელ სტალინირში (ცხინვალი) სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული ბროშურა „სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეების და მთების ახალი სახელწოდებები “, რომლის მიზანიც გახლდათ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა, 411 ტოპონიმი უნდა შეცვლილიყო, მათ შორის იყო ჭორჭოხის, რომელიც ამ სახელწოდებით ჯერ კიდევ სამთავნელის სარგოს წიგნში (X ს.) არის მოხსენიებული (კაკაბაძე 1929: 10). საკითხი განიხილა საბჭოთა საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, მაგრამ არ დაამტკიცა (სონღულაშვილი 2009: 35); (ვახტანგაშვილი 2017: 78); თუმცა, როგორც ჩანს, ქართველ ბოლშევიკებს გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა მაინც მოუხდათ, რასაც ადასტურებს 1937 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა კანონთა და განკარგულებათა კრებულში გამოქვეყნებული დადგენილებები, ერთ-ერთი მათგანი ჭორჭოხსაც ეხება (მუხლი 26-27):

> გამოეყოს ლენინგორის სასოფლო საბჭოს სოფლები: სარბიელი, ჯვარისუბანი, ბეკაში, *ჭორ-ჭოხი* (ხაზგასმა ჩვენია, – დ.ა.), ნაღომევი, ლომის-ხევი, ხოფა, ძეგლევი, ხუბათყაუ და კორი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სარბიელში, სარბიელის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით (განკარგულებათა კრებული 1937).

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი.

რა თქმა უნდა, ასეთი „სიახლეები“ ისტორიის გაყალბებისკენ იყო მიმართული და ძმობისა და მეგობრობის სანაცვლოდ ერთმანეთთან აპირისპირებდა ქართველ და ოს ხალხს. შეცვლილი თითოეული სოფლის სახელწოდება ხომ წარსულის დავიწყების მცდელობა და მომავალი თაობებისთვის თავგზის აბნევაა. „ყოველ მათგანში ერის, ადგილის ისტორიაა“ (ხარაძე 1996: 177).

დავუბრუნდეთ ისევ დემოგრაფიულ ვითარებას; 2002 წლის აღწერის მონაცემებით ჭორჭოხში 101 ადამიანი ცხოვრობდა, 48 მამაკაცი და 53 ქალი, მოსახლეობის 98 % ქართველები იყვნენ (აღწერა 2003: 120).

2008 წლის აგვისტოს ომამდე სოფელში 26 კომლი ცხოვრობდა ბალხამიშვილები – 10 კომლი, საბიაშვილები – 7, გოჭაშვილები – 5, პავლიაშვილები – 3 და ბალაშვილების – ერთი.

დღეს, სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია დევნილი საკუთარი მიწა-წყლიდან, უმეტესობა წეროვანისა და ფრეზეთის დასახლებაში ცხოვრობს მამაპაპისეულ სოფელში დაბრუნების მოლოდინით.

დამოწმებანი

აღწერა 2003: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბილისი.

განკარგულებათა კრებული 1937: საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა კანონთა და განკარგულებათა კრებული, №4, ტფილისი, 31 მარტი.

გსიემ 1956: გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.

დადიანიძე 2008: *შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები*, რედ. ცირა დადიანიძე, ტ. IV, თბილისი.

ვახტანგაშვილი 2017: მ. ვახტანგაშვილი. *ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში*, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.

თაყაიშვილი 1951: ე. თაყაიშვილი. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 45, თბილისი.

კაკაბაძე 1929: ს. კაკაბაძე. *საისტორიო კრებული*, წიგნი IV, ტფილისი.

სონღულაშვილი 2009: ა. სონღულაშვილი. *„სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!*, თბილისი.

ქენქაძე 2008: ვ. ქენქაძე. *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი*, თბილისი.

ქენქაძე 2010: ვ. ქენქაძე. *ქსნური ხალხური ფაბლიო*, თბილისი.

ხარაძე 1996: კ. ხარაძე. შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, *ოსთა საკითხი*, თბილისი.

ჯავახიშვილი 1974: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.)*, წიგნი II, თბილისი.

ჯალაბაძე 1975: გ. ჯალაბაძე. ქსნის ხეობის მოსახლეობა, *ქსნის ხეობა*, თბილისი.

ჯაფარიძე 1973: გ. ჯაფარიძე. *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს)*, თბილისი.

THE VILLAGE OF TCHORCHOKHI IN THE EARLY NINETEENTH CENTURY

Davit Akhlouri

Tchorchokhi is a village of Karchokhi gorge on the upper reaches of Ksani. It is one of the oldest settlements in Georgia and, along with several other villages in the Ksani gorge, is mentioned in the tenth century Georgian ecclestiastical document. Representatives of the then South Ossetian Autonomous Region (Soviet officials) tried to change this historical toponym several times. Fortunately, they failed to do so, but after the August 2008 war, the toponym under the consideration, along with names of other Georgian villages in Akhalgori municipality, was occupied. The paper reviews the geographical environment of the village of Tchorchokhi, its past and present, the avaiable churches. The special attention is paid to the description of demographic and economic situation in the nineteenth century. It is compared with beginning of the XXI century and shown how the village has been emptied after the occupation.

ბახტრიონის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი როგორც საისტორიო წყარო

გულიკო მჭედლიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების საცავში ინახება სოფელ ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამრევლოს აღსარების მთქმელთა დავთარი, რომელიც შეცდომით იყო მიერთებული სოფელ ჭართლის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლის აღსარების მთქმელთა დავთარს (ფონდი 10500). მომავალში არ არის გამორიცხული, აღმოჩნდეს ბახტრიონის აღსარების მთქმელთა დავთრის სხვა ნაწილებიც, ამიტომ ბახტრიონის დავთარი გამოვყავი ცალკე, გავუკეთე რაობა და არქეოგრაფიული აღწერილობა და მივანიჭე ახალი შიფრი სამივე დავთარს. ბახტრიონის აღსარების მთქმელთა სამი დავთარი დალაგებულია ქრონოლოგიურად დაღმავალი მიმართულებით, როგორც დამახასიათებელია ზოგადად სხვა აღსარების მთქმელთა დავთრებისათვის. პირველი დავთარი 1834 წელს არის შედგენილი და მისი შიფრია ხეც. ფ. Qd 12010, მეორე დავთარი 1833 წელს განეკუთვნება და მისი შიფრია ხეც. ფ. Qd 12011, ხოლო ბახტრიონის აღსარების მთქმელთა დავთარი 1832 წლით თარიღდება და მისი შიფრია ხეც. ფ. Qd 12012.

ეს დოკუმენტები ნაწილი უნდა იყოს იმ დიდი დავთრისა, რომელიც, ალბათ, რამდენიმე ათეულ წელს მოიცავდა. ნათელი არ არის რას უნდა გამოეწვია ამ სამი წლის დავთრის მიერთება ჭართლის წმ. გიორგის ეკლესიის დავთართან. ეს ორი სამრევლო ერთმანეთისაგან ხომ ტერიტორიულად დაშორებულია.

რაც შეეხება დავთრის, როგორც ისტორიული წყაროს, ღირებულებას: აღსარების მთქმელთა დავთარი წარმოადგენს სანდო ისტორიულ წყაროს, რომელიც, როგორც წესი, შედგენილია თანამედროვის მიერ და მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. აღსარების მთქმელთა დავთარი სხვა სახის ისტორიული დოკუმენტისაგან აღნაგობით განსხვავდება. აღსარების მთქმელთა დავთრის ფურცლები დახაზულია გრაფებად. დავთარს აქვს სათაური, სადაც აღნიშნულია ოლქი, ეპარქია, უეზდი, ის სოფელი და ეკლესია, სადაც მღვდელმა ჩაიბარა მრევლისაგან აღსარება. გრაფებში კი აღნიშნულია აღსარების მთქმელთა წოდება, ჩინი, გვარი, სახელი, მამის სახელი, სქესი, მითითებულია ოჯახის წევრთა ასაკი და ნაჩვენებია კომლთა რაოდენობაც. გრაფებში ისიც არის აღნიშნული ვინ ჩააბარა აღსარება და ვინ ვერა მცირეწლოვნობის, ავადმყოფობის, თუ სხვაგან ყოფნის გამო.

როგორც ამ მოკლე დახასიათებიდანაც ნათლად ჩანს, ამ სახის წყაროები მრავალგვარ მონაცემებს ინახავს კონკრეტული საზოგადოების შესახებ. ეს მრავალმხრივი საინტერესო და საყურადღებო ინფორმაცია, რომელსაც სხვა ისტორიულ დოკუმენტში ვერ ნახავთ, ვფიქრობთ, დააინტერესებთ ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, დემოგრაფებს, სოციოლოგებს, გვარის ისტორიის მკვლევრებს, ქართული ეკლესიის ისტორიის სპეციალისტებს და თუნდაც რიგით ქართველსაც, რომელსაც საკუთარი სოფლისა და გვარის ისტორიის ღრმად წვდომა სურს. თუმც, ამის მიუხედავად აღსარების მთქმელთა დავთრები არც გამოცემულია და არც შესწავლილია სათანადო სამეცნიერო დონეზე.

როგორც ცნობილია, სოფელი ბახტრიონი მდებარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ალაზნისა და ილტოს შესართავთან. აქ ციხე-სიმაგრე აგებულია XVIII ს-ის 50-იან წლებში, ირანის შაჰის, აბას II-ის ბრძანებით, კახეთში ჩასახლებული მომთაბარე თურქმანთა უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად. სოფელმა სახელწოდება მიიღო იქ მოსახლე ბახტარაშვილების გვარიდან. აქ გაიმართა ბახტრიონის ცნობილი ბრძოლა 1660 წელს, როდესაც აჯანყებულმა ქართველებმა დაანგრიეს ბახტრიონის ციხე და კოშკები, გაანადგურეს ყიზილბაშები. დღემდე შემორჩენილია ამ ციხე-სიმაგრის რიყის ქვით ნაგები სამი კოშკის ნანგრევი და გალავნის ნაშთები. აქვე იყო რიყის ქვით ნაგები წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

ქვემოთ განვიხილავთ ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დავთრებს.

1. დოკუმენტის სათაურია: „აღსარების მთქმელთა დავთარი თელავის უეზდის, სოფელ ბახტრიონის იოანე ნათლისცმელის ეკლესიის მრევლისა წოდებათა, ჩინთა, სახელის, მამის სახელის, გვარის, ოჯახის წევრთა სქესისა და ასაკის მითითებით“ (ფონდი 12012). იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მღვდელი არის: „სახელმწიფო გლეხთაგანი – იოსებ ქრისტესიას ძე დეკანოზოვი“.

დოკუმენტი წარმოადგენს დედანს. დაწერილია მხედრულად, დაზიანებულია, აქვს ყავისფერი ლაქები, ზოგი სიტყვა გადასწორებულია ან გადახაზულია. ხუთი ფურცელია. დოკუმენტის ზომებია: 35X22 სმ.

დავთარში შემდეგი სოციალური ფენებია წარმოდგენილი: „სამღდელონი“, „უჩინო აზნაურნი“, თავადნი, სახაზინო გლეხები, საბატონო გლეხები, შინამოსამსახურენი, ხიზანნი.

აღსარების მთქმელთა დავთარში მხოლოდ ერთი კომლი თავადი თედია ჩოლოყაევია მითითებული, აზნაურები: კობიევი, კოდალოვი, დებურიშვილი და სხვები. სახაზინო გლეხები: კალატოზიშვილები, მაზიტაშვილები, სესიაშვილები, შოთიაშვილები, კოზარაშვილები. ხიზნები: გლეხი: ქრისტესია სვიმონის ძე ყურცქვიტაშვილი, ხიზანი აზნაური იყო ნიკოლოზ სვიმონის ძე აბულაძე.

2. 1833 წლის დავთრის „აღსარების მთქმელთა სია თელავის უეზდის, სოფლის ბახტრიონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჩყლგისა წლისათვის“ (ფონდი 12011) მიხედვითაც მღვდელი იგივეა – იოსებ დეკანოზოვი, რომელიც 44 წლის ყოფილა დავთრის შედგენის დროისათვის და რომელსაც ოთხი შვილი ჰყოლია: იაკობი 15 წლის, ილარიონი 12 წლის, სოფია 8 წლის, დარია 6 წლის. მისი მეუღლე გარდაცვლილი ჩანს.

ამ წიგნის დავთარში აზნაურების ჩამონათვალში კობიაევის გვარი სჭარბობს. მაგალითად, ჩამოთვლილია შემდეგი „უჩინო აზნაურნი“: იოსებ მათეს ძე კოდალოვი, ფირან რევაზის ძე კოდალოვი, დიმიტრი ლუარსაბის ძე კობიევი, გლახა შანშეს ძე კობიევი, იოსებ იოანეს ძე კობიევი, ზაქარია ზაქარიას ძე კობიევი, იოსებ იოანეს ძე დებურისშვილი.

გლეხთა კატეგორიაში ყველაზე ბევრი სახაზინო გლეხია, საბატონო გლეხები არიან თავად თედია ჩოლოყაევის ყმები, უფრო ცოტაა საეკლესიო გლეხი.

3. იგივე მდგომარეობაა 1834 წლის დავთრის „აღსარების მთქმელთა სამრევლოთა საქართველოს ეპარხიისა, თეკლავის უეზდის, სოფლის ბახტრიონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა, ჩვენებითა, ჩინთა, წოდებათა, სახელთა, მამის სახელთა, გვარისა, სახლობათა მათთა და წელთა შობითგან, ჩყლდიის წლისათვის“ (ფონდი 12010) მიხედვითაც.

ეს დავთარიც დედანია. შედგება სამი ფურცლისაგან, ნაწერია ყავისფერი მელნით, ოდნავ დაზიანებულია, დალაქული. მღვდელი ისევ იოსებ დეკანოზოვია. იგივეა ჩამოთვლილი გვარები და სოციალური წოდებები.

ამ დავთარს აქვს ერთი საინტერესო მინაწერი: ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ სოფელ ხორბალას მკვიდრნიც: „სოფელ ხორბალას ახლად დანთლულთა პირთათვის ქისტი სულხო და მისი მეუღლე გაზი შვილებით“. შვილების სახელები არ წერია. როგორც ჩანს, ქისტი სულხო და მისი მუეღლე გაზი მონათლულან ქრისტიანად.

ამ დავთრის მონაცემების მიხედვით აღნიშნულ წელს სოფელ ბახტრიონში 902 სული ცხოვრობდა. კონკრეტულად შემდეგი წოდებები ფიქსირდება: თავადი – ჩოლოყაევი; აზნაურები – კობიევები, კოდალიევები, დებურაშვილები, პეტრიაშვილები; გლეხები: სესიაშვილები, ნარიჭამიაშვილები,

თევდორეშვილები, კოზარაშვილები, შოთიაშვილები, კალატოზიშვილები, გაზიტაშვილები, თანდილაშვილები, სუხიაშვილები, აკულიშვილები, მერაბაშვილები, წაწალაშვილები, გალელაშვილები, პავლიაშვილები, ხუციშვილები, ქვასროლიაშვილები, გამუნაშვილები, აზარიშვილები, ყურცქვიტაშვილები, მეღორიშვილები, გიგაშვილები, წითურები და სხვები.

ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის აღსარების დავთარი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი ონომასტიკონის აღსადგენადაც. ქალთა სახელებს შორის გავრცელებული ყოფილა ნინო, ქეთევანი, ელენე, მარიამი, ბახა, თეთრუა, სოფიო, დარია, ბარბარე, ახუა, თეკლა, ხორეშანი, ხაზუა, ნინა, როდამი, ანასტასია, თინათინი, მართა. მამაკაცთა სახელები კი შემდეგია: იოსები, ანდრია, გლახა, პაატა, პეტრე, ბეჟან, ფირან, თევდორე, ღვთისავარი, გიორგი, თედია, სვიმონი, მირზა, პავლე, სოლომონ, მათე, რევაზ, ფირანი, ზაქარია, პაპაუა, ნიკოლოზი, სვიმონი, მოსე.

დავთრებში ჩამოთვლილი კაცების რაოდენობა სჭარბობს ქალების რაოდენობას. ოჯახის წევრებიდან ქმარი მოხსენიებულია სახელის, მამის სახელითა და გვარით, ხოლო ცოლი, მხოლოდ სახელით და მამის სახელით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბახტირიონის აღსარების მთქმელთა დავთარში ბავშვებს წერდნენ ერთი წლის ასაკიდან, ხოლო ყველაზე ხნიერი კი – 76 წლისაა. მითითებულია კომლების რაოდენობაც. ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მონაცემების მიხედვით, 1834 წელს ბახტრიონში ცხოვრობდა 202 კომლი.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ აღსარების მთქმელთა დავთრების შესწავლა და სათანადო მეცნიერულ დონეზე გამოცემა, საშური საქმეა. ისტორიულ წყაროთა ეს სახეობა მრავალმხრივ საგულისხმო და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ამის ნათელი მაგალითი, ვფიქრობ, თელავის უეზდის სოფელ ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მრევლის აღსარების მთქმელთა ზემოთ განხილული დავთრებიც არის.

დამოწმებანი

ფონდი 10500: ხეც. ფ. Qd 10500.
ფონდი 12010: ხეც. ფ. Qd 12010.
ფონდი 12011: ხეც. ფ. Qd 12011.
ფონდი 12012: ხეც. ფ. Qd 12012.

ECCLESIASTICAL HISTORICAL DOCUMENTS AS SOURCES: THE COLLECTIONS OF THE CONFESSIONS BY THE PERISH OF ST. JOHN THE BAPTIST'S CHURCH IN THE VILLAGE BAKHTRIONI

Guliko Mchedlidze

In Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts are kept confessions by the perish of the St. John the Baptist's Church in the Bakhtrioni village located in Kakheti, in Telavi municipality, near the confluence of the Alazani and Ilto rivers. Above mentioned documents are originals, which were mistakenly attached to the collection of the confessions of St. George church in Chartali.

The collections of confessions differ greatly from the other types of historical docu-

ments. They contain graphs, information about perish, priests. The chronological data is also provided. In the columns of graphs are indicated confessional identity of the members of the perish, their social status, surnames, first names, father's names, age and sex of the family members. The number of families is also given. The age of family members is written in letters. The graphs also show who confessed and who received the Eucharist and who did not, who was not able to confess and for what reason: due to illness, infancy or currently not being at home.

The author of the paper demonstrates the evidences of the several documents (Qd 12010, Qd 12 011, Qd 12 012.) and discusses the importance of this information for the historical research.

RECEPTION OF ORIENT AND GEORGIA BY AN EUROPEAN SCHOLAR OF THE 17TH CENTURY

Maia Nachkebia

Illustrium, Ab Orbe Condito, Ruinarum (Notable Devastations since the Creation of the World) (Bisselii 1663) – the work of German Jesuit Ioannis Bisselii which I am going to introduce, I found working on the Slovak school drama inspired by the story of Georgian Queen Ketevan and entitled "Katherine (Ketevani), Queen of Georgians, Decorated with her own Blood, Presented on the Stage" (Mišianik 1981: 605-610).



CATHARINA
GURZIANORUM REGINA,
Proprio ſanguine purpurata
Theatro data.

Katerina
Kralowna Gurziańſka / wlaſtní krwe ozdo-
bena na diwadlo predſtawena.

HONORI
Perillustri ac Generoſi Domini
FRANCISCI ANTONIJ
GOSSINGER,

Sacræ Cæſ. Regiæque Majeſtatis Arcis Poſonienſis
Conclavium Curatoris: Rei Armamentariæ Capitanei, ac
Campi Navium Præfecti, nec non ædilis Scribæ, &c. Domini,
Domini ac Mœcenatis gratioſiſſimi.

Dum
Bene meritæ de re literaria Juventuti munificentiſſimè
præmia decerneret.
A Devinctiſſimo Societatis JESU Gymnaſio Skalicæ dicata.
Anno M. D. CC I. Menſe Junio.

Typis Academicis, per Joannem Andream Hörmann.

Survived only bilingual synopsis of school drama written in Slovakized Czech(*Katerina, královná gurziánská, vlastní krví ozdobená, na divadlo predstavená*) and Latin (*Caterina, Gurzianorum regina, proprio sanguine purpurata, theatro data*) languages, the school drama was written by an unknown Slovak Jesuit in 1701 and in the same year was presented at the stage of the Jesuit Gymnasium in Skalica (Minárik 1985: 280). The abovementioned drama depicts the story of the Georgian Queen Ketevan (ca. 1575-1624) who was martyred by Shah Abbas (1571-1629) in Shiraz on September 22 in 1624 for her devotion to Christian belief. Synopsis of the school drama consists of "short extract from the history", preface, three acts, two choruses, and epilogue. It should be pointed out that at the end of the "short historical extract" the Slovak Jesuit specifies authors of the sources which he had used composing his drama and introduces their titles. These sources are following: the above-mentioned work by Iohannis Bisselii and De *rebus gestis Schach-Abae (About Shah Abbas' Deeds)* by Adam Olearius (Mišianik 1981: 605).

Therefore, anonymous Slovak Jesuit's work was inspired by the story of Georgian Queen, who was martyred for her Orthodox belief and this information he obtained from the sources of the European authors of the 17th century, who dedicated their works to the Orient. Adam Olearius (1599-1671) is a well-known German traveler, scholar and diplomat who wrote *Detailed Description of the Travel of Holstain Mission to Moscowia and Persia (1647)*. Unlike Olearius, Bisseliis' work was unknown for Georgian scholars. His work shows how great was an interest of the 17th century Western Europe towards Orient and Georgia. About Ioannis Bisselii from the Society of Jesus (Societate Iesu) we have the following information: he was German Jesuit, was born in 1601 in Badenhauzen (Shvabia) and died in 1677 in Amberg. His abovementioned book was published twice. First within 1654-1664, the second time after his death in 1679 (Mi ianik 1981: 610). The fact that this book was published twice in such a short time interval shows on the one hand, that his work was very popular reading book in the second half of the 17th century, and on the other hand – the great interest of that times Europeans towards the Orient, resp. the Persia and Georgia.

I found the book *Illustrium, Ab Orbe Condito, Ruinarum,* written by German Jesuit Ioannis Bisselii in the Department of Rare Books in Moscow Lenin Library in 1989 and copied the fragment rewriting by hand as it was forbidden to make photocopies.

The subject of my article is presentation of the passage from Bisseliis' book, which covers pages 1035-1065. This extract contains information about historical persons, events, and geographical matters, to what Ioannis Bisselii paid attention.

Here we present English translation of relevant passages *from Illustrium, Ab Orbe Condito, Ruinarum,* particularly, from the "Ruina. regium Persidis", where about Queen Ketevan Bisselii writes:

> Shah Abbas pays great attention to his power and life; he enjoys the intercourse with his Christian spouse who is ranked among our saints. For example, he let her to go to the adherents of the Augustinian Order to the Isfahan residence in the royal City of Sedis and he himself moved in their circles with pleasure […] However, he committed a lot, what is connected with the persecution, punishment and destruction of Christians. Like his ancestors and descendants, he had three wives and hundreds of concubines simultaneously. However, not all of them were let to keep their salutary religion. Among slaves was Katerine the Georgian Queen, who strictly adhered the Christian cult, specifically Orthodox, moreover, she was famous for her beauty, origin and dignities […] That is the reason why Shah wanted to have a power over her and made her the fourth wife (as he already had three another). However, he saw, that she opposes to his wishes on the one hand the Saints and royal moral purity and on the other hand Christ's rule about marriage of one person with one. Nevertheless, Shah was not able to force her to refuse Christianity nor with threats, nor with songs, nor with kindness and by terrible torture she was driven to extremity; but Augustinians, who encouraged her with a crown of a saint martyr, supported her. In 1617, she was taken into the havens. After 12 years Shah finally followed her, but into other world (Bisselii 1663: 1061, 1062, 1063).

In my opinion, writing about Ketevan Bisselii was familiar with the work of Augustinian Friar Ambrosio dos Anjos. Inaccuracies in the fragments which narrate about Queen Ketevan make obvious that it is less possible that Bisselii has read work of Ambrosio dos Anjos, it is most probable he has heard about this information and this explain discrepancies in the text. Portuguese Friar Ambrosio dos Anjos was a member of Augustinian mission in Shiraz and wrote *A true account of the Glorious martyrdom of the Most Serene Queen Ketevan Dedopali in Shiraz Metropolis of the Kingdom of Persia by the Order of Shah Abbas on the Twenty-second day of September in the year 1624*. This record describes Queen Ketevan's relationship with Catholic Missionaries, her martyr-

dom, death, burial and recovery and subsequent dispersal of her relics (Flannery 2013: 202-203). Therefore, from this very important source we learn that he was familiar with the Georgian Queen Ketevan and sometimes visited her in Shiraz captivity. The fact is that the Portuguese missionaries fought to start their missionary activity in Georgia, and for this the most suitable way was to get closer to the Georgian royal person. The record of Ambrosio dos Anjos is a very important source, since the author was personally acquainted with Queen Ketevan and was eye-witness of her martyrdom. The author emphasizes that Ketevan went to the Shah on a diplomatic mission to prevent the Shah's invasion of her country. But Ketevan's requests were in vain, and the Shah ordered to send to Shiraz where she lived under the arrest. According to Ambrosio dos Anjos, Ketevan rarely left her home, only when she was called to the governor's palace or to the Shah's harem, where she went to see, comfort and strengthen the Georgian women who were there. Ambrosio dos Anjos notes that Ketevan urged the Georgians who were in Persia to remain faithful to Christ and was very worried when she was told that some of them, because of all sorts of promises or fear of torture, refused Christian faith. He also reports that Ketevan spent almost all of her time in prayer. People who knew her talked a lot about her responsiveness and virtue. She lived modestly and was treated like an ordinary woman. She had a priest who helped her in spiritual matters, but he was slandered and sentenced to death. Ambrosio dos Anjos writes that Ketevan helped them with donations, and her visit was always a great consolation for him (Tabagua & Bibileishvili 1987: 26-34).

During her captivity in Shiraz Queen Ketevan maintained good relations with Catholic missionaries and diplomats and at the same time with steadfastness in the Orthodox faith and courage, she indicated the only possible path for the country's development is Orthodoxy. This is evidence how diligently the Augustinian missionaries tried to convert her to the Catholic faith, and later, to create the impression that Ketevan was converted to Catholicism before her martyrdom. According to the calculations of the Portuguese missionaries, this would give the Augustinian missionaries an advantage over other orders to establish themselves in Georgia.

But later Ambrosio confessed that his claim of Queen Ketevan's conversion to Catholicism was unfounded:

> It is to be believed that this Queen is partaking of God's glory in the heaven, for although she belonged to the Greek rite, she was most cordially disposed towards the Holly Catholic Church and to all the Latin's, showing them every mark of affection and helping them as much as she could. She lived on such good term with us that it is impossible to believe that she was ill-disposed to the Holly Catholic Church (Lang 1956: 172).

One more issue interesting for Bisselii are military campaings of Shah Abbas:

> Moreover, he often and for a long time tormented with arms Georgians (Georgianis), who are Christians and live behind the Armenian mountains. He moved his troops against their king Tamer Khan, the son of Simonis Armenian, first time troops were leaded by warlike nobleman, second time, in his absence he gave such an order, which was impossible to fulfill due to invincible power of Tamer. On return to Persia, he killed everybody, although their only fault was that their arms were unhappy.
>
> After this he organized the third campaign, which was leaded by him personally, he invaded Georgia with a greater number of troops, seized it, and within the nine months ruined the country. Before this, in accordance with the oath which he made, in case of victory all Georgian captives: men and women shall be sold per Abis. Abis is a Persian coin that equals to eight

> European Dinaris. Shah Abbas wan a victory over Tamer; refractory tribe is subjugated. The great number of enslaved Georgians was brought to Persia, Ispahan. Today you can see there their ancestors and some Christians as well... (Bisselii 1663: 1061-1062).

It is obvious that under the Tamer Khan Biselii means King Teimuraz the First (1589-1663), the King of Kakheti in 1606-1616 and in 1625-1647 and the King of the Kingdom of Kartli-Kakheti in 1625-1633. It is worthy to note that Bisselii is not aware of fact that the Queen Keteavn was mother of King Teimuraz the First. Under the Simonis Armenian probably is meant Simon the First, the King of Kartli in 1579-1569 and 1579-1599. Presenting Teimuraz the First as the son of Simon Armenis is discrepancy.

As for the military campaigns against Georgia, Bisselii is well informed, he speaks about three invasions of Shah Abbas, which in general correspond to reality. From the sources it is known that in the first military campaign against Georgia Shan Abbas participated personally. But according to Bisselii revolt of Georgian of March 25, 1625 took place between first (1614) and second (1614-1617) invasions what does not correspond to the reality. Under the “warlike nobleman” presumably is meant Giorgi Saakadze. In this passage is mirrored the fact when in 1616, after an unprecedented massacre, arranged by Shah Abbas, Kakheti lost two-thirds of its population: a lot of people were killed by the enemy, and the rest of Georgians were captured and forcedly deported to the various parts of Persia to facilitate their forced assimilation. Bisselii also mentions Shah Abass’ Hormuz military campaign, he writes: "Recently he took away from Lusitanians an Island Armusiam (Ormus as ancient author call it) in order to avoid conversion of the best teams of Moslems into the cult of Christ".

Bisselii pays special attention to court intrigues and deeds of cruelty of Shah Abbas, he writes:

> He did not spare even his own son’s, Sephy Mirsa’s life who was appointed as his successor. He was a youth of many inborn and acquired dignities, whose mother was Christian. He was thrown down from the horse and speared by Bebutbek, the noble Persian. Sephy died. His dead body was put in a conspicuous place to be seen by all people and did not left him in a peace; but after a few hours, he was buried thanks to care of some high standing persons. After this Shah invited the noblest people of the country, offered them seats around the royal table, gave them to drink poison, and immediately ordered them to fight with death and than he was looking and asking, why they all are dying” (Bisselii 1663: 1047).


> As for Mirza’s death, there was no other reason than guiltless and naivety. One of the noblemen, who wished Mirsa to advent power as soon as possible, wrote a letter and put it stealthily into his chamber. Mirza himself gave this letter to father immediately, refusing such revolting and bloody content of the letter. However, in Sach-Abass’ hart was born suspicion about his son’s desire to inherit power prematurely and so, fatherly love had been grown into hatred towards the betrayal. Therefore, he killed him, to whom as the father he gave a life and although he was dear to him. Then he annihilated Bebutbek, the killer of Mirza and seized his property (Bisselii 1663: 1059-1060).

Bisselii except of the historical events pays a special attention to the toponyms. It is worthy of note that in this small passage which I introduce in this paper Bisselii speaks about the geographical names and traces their origin back to the old times. For example:

> Contemporary Persia (Lat. Persis) which gave the name to the entire Empire which belonged to Cyr (Lat. Cyro) and Cambis (Lat. Cambijseque) is called Farsistan (Lat. Farsia) what do not correspond to the generally accepted name. Parthia which is located in the North, near Hirkan

(Lat. Hyrkanos) and is new additions of Boter (Lat. Botero) is designated Arac but the correct is Eeac-Azem. Taking into consideration the fact of alteration, nowadays generation call it Servan, and the Mediam Aquilonare - Schirveny - on the other hand, in Anstralorem, which belongs to Late Middle Ages (they) call Adirbeitzan, others Hirkaniam Grigia (Lat Hyrcaniam alii Grigiam) and also Corcam, (Lat Corcam) and also Dargumentam - Strana, (Lat; Stranam); according to Ollearius - Kilan: Bakhtria (Lat; Bakhtrianam); Batter and Kharasan (Charassaam) or Khorasan (Lat Chorasan)" (Bisselii 1663: 1036).

It is also obvious from this small fragment of this voluminous work that the author used more then several different sources while writing his book. I came to this conclusion based on the fact that he mentioned several authors while speaking about toponyms. He lists such authors as Boter (lat. -Boter), Olearius, merchant Khondian Atlanti (Atlanti, Hondiam Mercatoris Atlantis), Buasard (lat. Boisardus), and Baronius. For the designation of Georgia and Georgians he used two different terms: "Gurz" and "Georgianorum" and this points to the fact that he used several sources while composing his work.


JOANNIS BISSELII,
è Societate IESV,
ILLUSTRIUM,
Ab Orbe Condito,
RVINARVM,
DECADIS IV.
PARS III.
Permissu Superiorum.
DILINGÆ,
Formis Academicis,
Apud IGNATIVM MAYER.
Anno M. DC. LXIII.

References

Bisselii 1663: I. Bisselii. *Illustrium, Ab Orbe Condito, Ruinarum, Decadis IV*, Pars II, Delingae, Formis Academicis, Apud Ignatium Mayer, Anno M. DC. LXIIL.

Flannery 2013: J. Flannery. *The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747)*, Leiden-Boston, Brill.

Lang 1956: D. M. Lang. *Lives and Legends of The Georgian saints*, London, Bradford & Dickens.

Mišianik 1981. J. Mišianik. *Antolgia Star ej Slovenskej Literatśry*, Bratislava, Veda.

Minárik 1985. J. Minárik Dejiny staršej slovenskej literatúry. Bratislava, Slovenské pedagogické nakladateľstvo.

Tabagua & Bibileishvili 1987: *რ. გულბენკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ*, ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

აღმოსავლეთისა და საქართველოს რეცეფცია XVII საუკუნის ევროპელი მეცნიერის მიერ

მაია ნაჭყებია

გერმანელი მეცნიერის, იოჰანეს ბისელიუსის ლათინურ წიგნს „მნიშვნელოვანი დამხობანი სამყაროს დასაბამიდან“, რომელიც 1663 წლით არის დათარიღებული, მივაკვლიეთ სლოვაკურ სასკოლო დრამაზე „ქეთევანი, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“ მუშაობისას. სასკოლო დრამის ავტორი არის სკალიცელი იეზუიტი. ნაწარმოები დაწერილია 1701 წელს და იგი ამავე წელს იქნა წარმოდგენილი სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე. პიესას საფუძვლად უდევს ქეთევან დედოფლის სარწმუნოებისადმი ერთგულების ამბავი. პიესა სრული სახით შემონახული არ არის, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სლოვაკიზებულ ჩეხურსა და ლათინურ ენებზე შესრულებულმა სინოფსისმა. სინოფსისში, კერძოდ კი „მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში“. ავტორი ასახელებს იმ წყაროებსა და ავტორებს, რომლებითაც ისარგებლა თავისი ნაწარმოების წერისას. ერთ-ერთი ავტორი არის იოჰანეს ბისელიუსი, რომლის ნაშრომიც აქამდე არ იყო ცნობილი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ჩვენ გავეცანით ბისელიუსის ნაშრომის შესაბამის მონაკვეთებს, სადაც საქართველოსა და ქეთევან დედოფალზეა საუბარი. ბისელიუსის ნაშრომში ქეთევანი მოხსენიებულია კათოლიკური ეკლესიის წმინდანად, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეესაბამება და, სავარაუდოდ, ეს ცნობა მას ამბროზიო დუშ ანჟუშის „ნამდვილის ცნობების“ გავლენით აქვს დაწერილი, თუმცა თავად პორტუგალიელმა ბერმა მოგვიანებით აღიარა, რომ ქეთევან დედოფლის გაკათოლიკება სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

ბისელიუსი ასევე ყურადღებას აქცევს საკარო ინტრიგებს შაჰის კარზე, მის სამხედრო კამპანიებს: სამ ლაშქრობას საქართველოში, ორმუზის დაპყრობას და აღმოსავლური სამყაროს ტოპონიმიკის საკითხებს.

სტატიის ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ თავისი ნაშრომის წერისას ბისელიუსი რამდენიმე ავტორის ნაშრომით სარგებლობდა.

წმინდა ნინოს „ცხოვრების“ ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი

დავით ყოლბაია

ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულია ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ღვაწლისადმი მიძღვნილი თხზულება შემდეგი სათაურით: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა, წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ (უორდროპის კოლექცია - MS. Wardr.e 2).

ხელნაწერი შეიცავს 73 ფურცელს (37r-73r). იგი შედარებით გვიანდელია: XVIII ს. მიწურულისა უნდა იყოს. გადამწერი დახელოვნებული ჩანს: ტექსტი შესრულებულია ლამაზი მხედრულით.

წმ. ნინოს „ცხოვრების“ ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ვერსია შეიძლება განვიხილოთ როგორც წმ. ნინოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია. მის შექმნას, რა თქმა უნდა, კონკრეტული მიზეზები ჰქონდა: უპირველეს ყოვლისა, ის, ცხადია, წმ. ნინოს ღვაწლის აღწერას ემსახურებოდა, მაგრამ ამავე დროს ის აშკარად მიზნად ისახავდა ძველი წყაროების სტილისტურ დახვეწას. „მოქცევაჲ ქართლისაჲსაგან“ განსხვავებით ტექსტში პირველი პირით თხრობა მესამე პირით თხრობით შეიცვალა, ცვლილებები განიცადა, აგრეთვე, ფრაზეოლოგიამ, ფაქტობრივმა მონაცემებმა: ზოგი რამ გამოტოვებულია, ზოგიც სხვა წყაროებიდან არის დამატებული. თუმცა უცვლელად მეორდება ძირითადი წყაროს კომპოზიცია, ზოგიერთი თავის თხრობის თანმიმდევრობაც.

ლეონტი მროველის წმ. ნინოს „ცხოვრებას“ ბევრ შემთხვევაში თითქმის ზუსტად იმეორებს მეტაფრასული „ცხოვრება“, იმეორებს მის გრძელ სათაურს, თუმცა ტექსტობრივად მიჰყვება არა მარტო მას, არამედ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცულ „ცხოვრებასაც“; სიუჟეტურ თანხვედრასთან ერთად ავრცობს წყაროს ტექსტს. წმ. ნინოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია, ისევე როგორც ლეონტი მროველის წმ. ნინოს „ცხოვრება“, დასაწყისშივე ასახელებს თხზულების აღმწერლებს: დედოფალს, სალომე უჯარმელს, ძის ცოლს მირიან მეფისა, ასულს თრდატ სომეხთა მეფისა, საუბრობს გიორგი კაპადუკიელზე, ზაბულონზე. მიუხედავად იმისა, რომ მეტაფრასული „ცხოვრება“ და ლეონტი მროველის „ცხოვრება“ თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, მათში მაინც შეინიშნება მეტაფრასის მიერ შეტანილი ცვლილებები: არის პერიფრაზირების, სიუჟეტების სხვაგვარი განლაგების შემთხვევები. ეს ორი ვერსია ენობრივი თვალსაზრისითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. საყურადღებოა, ასევე გეოგრაფიული ადგილების დასახელება. მეტაფრასულ რედაქციაში ცოტა სახეცვლილია სახელწოდებები თუ მათი ჩამოთვლის რიგი.

წინამდებარე ხელნაწერის ტექსტში საერთოდ არ არის ნახსენები ვარაზ-ბაქარის, თრდატის, ფარსმანის მეფობა. ტექსტი გვამცნობს ვახტანგ გორგასლის მეფობის მოკლე ისტორიას, ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დამტკიცებას, მირონცხების უფლების მოპოვებას, კათოლიკოსის კურთხევას. მეტაფრასის ცნობით, „პირველად იყვნეს ასნი სოფელნი სასყიდლად მირონისა“, ხოლო შემდეგ „განუწესეს ასი დრაჰკანი“. ხელნაწერში ვხვდებით უცნობი რედაქტორის მიერ შეტანილ შესწორებებს. ეს შესწორებანი იმაში გამოიხატება, რომ სიტყვის ზემოთ ჩამატებულია ესა თუ ის ასო. ლეონტი მროველის მიერ ჰაგიოგრაფიული თხზულების „გაისტორიებული“ ტექსტი

მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებს შემოუნახავთ.

ქვემოთ წარმოვადგენ აღნიშნული რედაქციის ტექსტს სრულად. ქართველთა განმანათლებლის ღვაწლისადმი მიძღვნილი ციკლის ისტორიის მკვლევრებისათვის, ვფიქრობ, ეს ტექსტი საინტერესო იქნება.

[37r]

ⵣⵁⵜⵛⵗⵅⵛ ⵣⵗⵒⵗⵛⵒ ⵣⵗⵇⵗⵛⵛ ⵚⵛ ⵣⵗⵝ ⵛⵛⵒⵒⵛ ⵛⵁⵅⵎⵛⵛ
†ართლისა, ჩ[მიდ]ისა და ნეტარისა დედისა ჩ[უე]ნისა ჩინო ⵣოციქულისა მიერ:

ⵝ[ირვე]ლად უკუე ვაკსენოთ ცხოვრება ჩ[მიდ]ისა და ნეტარისა დედისა ჩ[უე]ნისა და ყ[ოვლ]ისა ქართლისა განმამნათლებლისა ჩინო ⵣოციქულისა, რ[ომე]ლი ესე თჳთ მანვე ნეტარმან მოგვითხრა ქ[ამს]ა აღსრულებისა მისისასა, რ[ომე]ლი აღწერა მორწმუნემან დედოფალმან სალომე უჯარმელმან, ძის ცოლმან ⵣირიან მეფისამან, და ასულმან ⵒრდატ სომეხთა მეფისამან. რ[ომე]ლი ესე იკითხების ⵑანვარს ⵑⵚ: ⵒⵏⵄⵒ ⵣⵛⵣⵛⵁⵁ:

ⵚა იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს წმიდაჲ გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტესთვის კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე, მთავართა შესაბჲამი მონა ღ[მრ]თისა, სახელით ზაბულონ. და ესე წარვიდა ჰრომელ წ[ინაშ]ე მეფისა[1] მსახურებად და ნიჭისა მოღებაჲ მისგან.

და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იყო კოლასტრას შინა, და ესხნეს მას ორ შვილი, ძე და ასული და სახელი. სახელი ძისა მისისა იობენალი, ხ[ოლო] ასულისა სოსანა. და აღესრულნეს მეუღლენი იგი, დარჩეს დაჲ ძმანი იგი ობლად, და აღდგეს და წარვიდეს იგინი ქალაქად წმიდად იერუსალიმად. და იმედ ყუეს იმედი იგი ყოველთა ქრისტიანეთა წ[მიდა]ჲ აღდგომა, და შევედრნეს ესენი მუნ. ვინაცა ძმა ესე სოსანასი [37v] იობენალი შემთხჳა დევტალჲრობასა, ხ[ოლო] დაჲ იგი მისი სოსანა ჰმსახურებდა ნამფორსა სარაჲ ბეთლემელსა. ხ[ოლო] ესე ჭაბუკი კაბადუკიელი, სახელით ზაბულონ, რ[ომე]ლი ვახსენეთ შესავალსავე, მიიწია რომედ წ[ინაშ]ე მეფისა. და აღდგომილ იყვნეს მ[ა]ს ქ[ამს]ა ბრანჯნი ბრძოლად რომთა, ველსა ზ[ედ]ა პიტალანისასა. და მოსცა უფალმან ძალი ზაბულონს, ჭაბუკსა მას კაბადუკიელსა, უძლეველი, და ქმნა უზომო წინა აღდგომა მტერთა მ[ა]თ მ[იმა]რთა და იოტნა ბრანჯნი იგი. და შეიპყრა მეფე ბრანჯთა და ყ[ოვე]ლნი იგი მთავარნი მ[ა]თნი, და მიიყვანნა იგინი წ[ინაშ]ე მეფისა. ხ[ოლო] მეფემან განაწესა სიკუდილი მ[ა]თი ყ[ოვე]ლთავე. მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მ[ა]თ, ევედრებოდეს ზაბულონს და იტყოდეს. ვ[ითა]რმედ პ[ირვე]ლად უკვე მოგუცა სჯული თქუენი და შეგვიყვანენ ჩვენ ტაძარსა შ[ინ]ა ღმრთისა თქუენისასა, და მაშინღა იყავნ სიკუდილი ჩ[უე]ნი. რამეცა შენვე გვიპყრენ. და შენვე ჰყავ ესე ჩ[უე]ნ ზ[ედ]ა, და უბრალო იქმენ სისხლისაგან ჩ[უე]ნის, ახოვანო. ხ[ოლო] ზაბულონს ვ[ითარც]ა ესმა ესე, მსწრაფლ აუწყა იდუმალ ესე მეფესა და პატრიარხსა სიტყუა მ[ა]თი. და მოსცეს ნათელი კელსა ქუეშე ზაბულონისსა. და შეიყვანნეს ტაძარსა შინა ღ[მრ]თისასა, და [ა]ზიარეს საიდუმლოსა კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და უჩ[უე]ნნეს მ[ა]თ დიდებანი იგი [38r] წ[მიდა]თა მოციქულთანი. და შემდგომად ამისა აღიმსთუეს განთიად ბრანჯთა მათ და შეიმოსეს სამოსელი სამკლველოსა. და სისხლისა დასათხეველსა. დილეულ ადრე ადგეს ბრანჯთა მათ, და შეიმოსეს სამოსელი სამკუდრო, და განვიდეს ადგილსა კაცისა სამკლეველოსა და სისხლისა დასათხეველსა, ილოცვიდეს და მაღლობდეს ღმერთსა ნათლისღებისათვის და ზიარებისა, რომელი მი[ი]ღეს მათ. და იტყოდეს ესრეთ, ვითარმედ ჩვენ სიკუდილსა შინა უკდავ ვართ, რ[ამეთუ] ღირს გყვნა ღმერთმან ესე ვითარსა დიდებასა ხილვად. და მიღებად საგზალსა მას დაულევნელსა, კორცსა და სისხლსა ქრისტეს ღ[მრ]თ[ისა]ჲ უკუდავისასა, რ[ომე]ლი უმაღლეს არს ყოველთა მაღალთა და უქუესკნელს, ყოველთა უფსკრულთა და ქვესკნელთა, რ[ომე]ლი იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ხ[ოლო]

[1] 37r გვერდის მარჯვენა კიდეზე, ფანქრით მიწერილი აქვს - მაქსიმიანესა.

ვაი ნაშობთა ჩ[უე]ნთა, ნაყოფთა სიმწარისათა და მკჳდრთა ბნელისათა და კმობდეს მოვედინ მეკრლმე და აღიხვენ თავნი ჩვენნი. ხ[ოლო] ამას რაჲ ხედვიდა ბაბულონ, აღიძრა გონებითა და ტიროდა მწარედ. რ[ამეთუ] ვ[ითარც]ა ცხოვართა თავნი მათნი წარკუეთად მოსიკდიდ მიუპყრნეს, და ვ[ითარც]ა კრავთა შვილთა მათთა საწყალობელად იგლოვდეს.

მაშინ მოწყალე ქმნულმანა მათ ყოველთათ[ვ]ის შევიდა ბაბულონ წინაშე მეფისა. გამოითხოვნა იგინი მეფისაგან და ნიჭითა განუტევნა. ხ[ოლო] იგინი [38v] ევედრებოდეს ბაბულონს, რ[აჲთ]ა წარიყვეს ქუეყანასა მათსა და მისცეს შჯული ქრისტეს და ნათლისღებაჲ წყლითა ყ[ოველს]ა ერსა მათსა. ხ[ოლო] მან ისმინა ვედრებაჲ მათი, და მოითხოვა მღდელი პატრიაქისაგან. და ბრძანებაჲ მოიღეს მეფისაგან და წარვიდეს სიხარულით.

და ვითარ მიეახლნეს დღისა ერთისა სავალსა, მივიდა წინა ჰამბავი მათ, ვითარმედ მეფე ცოცხალი მოვალს, და ყ[ოვე]ლნი მთავარნი მისთანა. მაშინ შეიძრნეს ათნი საერისთაონი ხოლამჲ და ხოზაბჲ, ხილაჭა და ხენებაგი, ტიმგარაგი, ზაქაჲ, გაზაჲ, ზარგა, ზარდა, ზამრაჲ და თმონაგონი სამეფო. და მოეგებვოდეს მდინარესა ზ[ედ]ა დიდსა. ღდამარასა. და განყო მეფემან ერი იგი და ყოველი: და დაღგინა წყალსა მას იმიერ და ამიერ. და აკურთხეს მღუდელთა მ[ა]თ მდინარე იგი, და შთახდა ყ[ოველ]ი იგი ერი წყალსა მ[ა]ს, განიბანებოდეს და აღმოვიდოდეს აღმოსავალსა ერთსა: და დასდებდა ბაბულონ ჯელსა თჳსსა ყოველსა მ[ა]ს ერსა ათ დღე მუნ ყოფასა მ[ა]ს მისსა მდინარესა მ[ა]ს ზ[ედ]ა და აღმართნა კარავნი. და შეწირნეს მღუდელთა უსისხლო იგი მსხვერპლი და აზიარნეს ერნი იგი ქრისტეს საიდუმლოთა. დაუტევნა მღუდელნი და განაწესაა ყ[ოველ]ი წესი ქრისტიანობისა. და მისა შემდგომად იჯმნა [39r][2] მათთგან დაუტევა მშვიდობაჲ და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჰრომელვე. და განიზრახა გონებაჲსა თვისასა იერუსალიმად წარსვლა. და ვ[ი]თარ მიიწია იერუსალიმად, განუყო მონაგები თვისი გლახაკთა მცნებისათვის ღ[ვ]თი[სა]ჲ. და იხილა, რ[ამეთუ] პირველ ხსენებული იგი დევტალარი პატრიაქ ქმნილ იყო. და ფრიად დაიმგობრნეს ურთიერთარსა ბაბულონ და პატრიაქი იგი. მ[ა]შინ ჰ[რ]ქ[უ]ჲ სარა ნ[ი]აფორმან პატრია[რ]ქსა ესრეთ, ვითარმედ ესე ბაბულონ მამა და ემბაზი ბრანჯთა. კაცი სრული სიბრძნითა და ღ[მრ]თის მსახურებითა არს. ყოვლადვე, და მ[ი]ეც უკვე დაჲ ესე შენი სუსანა ცოლად მისდა. ვინაცა სთნდა წმიდასა პატრიაქსა განმზრ[ა]ხვა ესე სარაჲ ნ[ი]აფორისა. და მიცა ცოლად ბაბულონს. და წარვიდა თვისად ქალაქად კოლაჲსტრად.

და ესე წ[მიდა]ჲ ნინო მოძღვარი ქართლისა. მათგან იშვა იგი მხოლო[დ] თვინიერ სხჳსა შჳლისა. და აღზარდა დედამან მისმან სუსანა მსახურებაჲსა მას შინა გლახაკთასა. ხ[ოლო] ვ[ითა]რ იქმნა ნინო წლისა ათორმეტისა, მაშინ განყიდეს მშობელთა მ[ა]თ მისთა ყ[ოველ]ი რაცა აქუნდა და წარვიდეს იერუსალიმად. ხ[ოლო] მი-რაი-წივნეს იერუსალიმად მ[ა]ს ჟა[მსა] ბაბულონ დაიწერა ჯვარი პატრიარხისაგან. და იჯმნა [39v] ცოლისაგან თჳსისა. და შეიტკბო მკერდსა თჳსსა ასული თჳსი წ[მიდ]ა ესე ნინო. და დაავლტო პირი ნინოსი ნაკადულთა ცრემლთათა რ[ომელ]ნი იგი გარდამოსთხივნა თვალთაგან მისთა და რქვა: ხ[ოლო] მხოლოდ ასულო ჩემო, ესერა დაგიტეობ ობლად ჩემგან და მიგითვალავ მამასა მეცათასა და ყ[ოვ]ელთა მბრდელსა ღ[მერთს]ა, რ[ამეთუ] იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა. და ნუ გეშინის, შ[ე]ნ შვილო ჩემო. ხ[ოლო] შ[ე]ნ მარიამ მაგდანელისა შური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათჳს დათა მ[ა]თ ლაზარესთა. და უკეთუ შ[ე]ნ ეგრეთ შეიყუარო იგი, ვ[ითარც]ა მ[ა]თ შეიყვარეს, მ[ა]ნ ეგრეთვე მოგცეს შ[ე]ნ ყ[ოველ]ივე, რაცა ითხოვო მისგან.

ხ[ოლო] ესერა თქუა, დაუტევა ამბორის ყოფა საუკუნო და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მ[ა]თ თ[ან]ა ღმრთისათა არს ვ[ე]ლურ ქმნილთა და კაცთაგან განშორებულთა, რ[ომლ]ისა იგი საღა ყოფა უწყის ღ[მერ]თ[მა]ნ ყ[ოვლ]ისა მეცნიერმან და დამბადებელმან.

ხ[ოლო] დედა იგი ნინოსი მისცა პატრიარხმან მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა. და წმიდა ნინო მსახურებდა ნიამფორსა სომეხსა დვინელსა ორ წელ, და ჰკითხვიდა ყ[ოვლა]დვე ვნებათა მ[ა]თ ქრისტესთა. ჯუარცმისა, დაფლვისა და აღდგომისა მისისა, და სამოსლისა მის და ტილოთა და სუდრისა, და ჯუართასა და სხვათა ყ[ოვლ]თავე შემდგომითი შ[ემდგომა]დ

[2] ფურცლის ზედა კიდეზე არის მინაწერი - მეტაფრასი.

გამოეძიებდა, რ[ამეთუ] არა ვინ ყოფილიყო და არც არავინ იყო შ[ორი]ს იერუსალიმისა სწორ მისა მეცნიერებითა სჯულისა, ძუელსა და ახლისათა, [40r] ყ[ოვ]ლსავე ზ[ედ]ა მიწევნით. ხ[ოლო] იწყო უწყებად მისსა და ჰრქუა: ვხედავ, შვილო ჩ[ემ]ო, ძალსა შ[ე]ნს[ა] ვ[ითარც]ა ძალსა ლომისა მდედრისასა, რ[ომე]ლი იზახებს ყ[ოველ]თა ზ[ედ]ა ოთხ ფერხთა, გინა ვ[ითარც]ა ორბი დედალი, რ[ომე]ლი აღვიდის სიმაღლესა ჰაერთასა უფროს მამლისა, და ყ[ოვე]ლი ქუეყანა გუგასა შ[ინ]ა თუალისა მისისასა მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყენის, და განიცადის და განიხილის საჭმელი მისი ცეცხლებრ. ხ[ოლო] იხილის რა, მიუტევნის ფრთენი და მიიწის მ[ი]ს ზ[ედ]ა. ეგრეთვე სახედ ამისსა იყოს ცხოვრება შ[ე]ნი: წინამძღურებითა სულისა წმიდისათა.

Ⴅ[ოლო] აწ ვიწყო და მიგითხრა შ[ე]ნ ყ[ოვე]ლივე. როდეს იხილეს ღ[მერ]თი უკუდავ კაცთა მოკუდავთა ქ[ვე]ყანასა ზ[ედ]ა, რ[ომე]ლი მოსრულ იყო მოწოდებად წარმართათა, ვ[ითარც]ა თჳთ ინება ჴსნა სოფლისა, იწყო კეთილის ყოფად ჰურიათა, მკუდართა აღდგინებად, ბრმათა ახილვად, სნეულთა განკურნებად. რ[ომე]ლი ესე შეიშურვეს და შეიზრახნეს: და წარავლინეს სტრატიონტი ყ[ოვე]ლსა ქუეყანასა, სწრაფით მოსვლად ჰურიათა და ჰსთქუეს, რ[ამეთუ] აჰა, ესერა წარვწყმდებით, მოვედით და შემოკრებით ყ[ოვე]ლნი. მაშინ მოიწივნეს ყოვლით ქუეყანით და სოფელით კაცნი ურიცხვით, სწავლულნი და მეცნიერნი სჯულსა მოსესსა, რ[ომე]ლნი იგი ანტაკრად წინა აღუდგეს სულსა წ[მიდს]ა, და რა იგი ჯერ იყო ყოფად [40v] ქრისტესა მ[ა]თ აღასრულეს: რ[ამეთუ] ჯუარს აცუეს და სამოსელსა მისსა ზ[ედ]ა წილ იგდეს. მიეცა და ხვდა წილითა ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქელთა. ხ[ოლო] დაფლეს მ[ა]თ ქრისტე: ჰურიათა დაჰკრძალეს და დაბეჭდეს საფლავი იგი მისი: და იგი აღსდგა ვ[ითარ]ცა სთქუა პ[ირვე]ლ, და ტილონი იგი პოვნეს განთიად საფლავსა მ[ა]ს შ[ინ]ა ქრისტესსა. და მოვიდა პილატეცა და ცოლი პილატესი ქრისტეს საფლავად და ტილონი იგი ვ[ე]რ იპოვნეს მოითხოვნა ცოლმან პილატესმან და წარვიდა მსწრაფლ პონტოდ სახლად თჳსად და იქმნა მორწმუნე ქრისტესა. ხ[ოლო] შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მივიდეს კელთა ლუკა მახარებლისათა ტილონი იგი: და სხვანი იგი მან სადაცა თჳთ იგი უწყის:

ხ[ოლო] სუდარი არა იპოეს დაღაცათუ სთქვეს ვიეთმე პეტრესთვ[ი]ს. ვითარმედ ხელეწიფა ახ[უ]მადო და აქვს მასო. ად[გილი] განცხადებულად არა მიუთხრეს ვ[ითა]რ სხვა იგი. ხ[ოლო] ჯუარნი ამასვე ქალაქსა შ[ინ]ა იერუსალიმსა დამარხულ არიან გარნა ადგილი მ[ა]თი არავინ უწყის. და ოდეს ინებოს ღ[მერ]თმ[ა]ნ გამოჩნდენ იგინი.

ხ[ოლო] რ[ო]ცა ესმა ესე ყ[ოველ]ი წმიდასა ნინოს. სარა ნიაფორისაგან. მაშინ შეწირა ღ[მ]რ[თ]ისა მადლობა და აკურთხა და კუალად ჰკითხა მ[ა]ს. თუ სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა. სადა იგი მოსრულთა მ[ა]თ ურიათა წილ ხვდა და წარიღეს სამოსელი იგი უფ[ლ]ისა ჩუენისა იესო ქრისტესი. მიუგო და ჰრქვა სარა ნიამფორმან. ვ[ითარმე]ღ: არს აღმოსავალ კერძო ქალაქი სახელით [41r] მცხეთა, და ქუეყანა ქართლისა და სომხითისა მთეულეთი და საწარმართო. და არს იგი აწ ქ[ამთ]ა ამას სახელმწიფო ბერძენთა და უჟიკთა.

ხ[ოლო] მ[ა]თ ღეთა შ[ინ]ა მოვიდა დედაკაცი ვ[ი]ნმე ეფესოდ. თაყუანისცემად წ[მიდ]ისა აღგომისა. და ჰკითხვიდა დედაკაცსა მ[ა]ს სარა ნიამფორი. ვ[ი]ღ[რე] ელენე დედოფალი ჯერეთცა ეგე ვითარსავე ცთომილებასა და ბნელსა შ[ინ]ა არსა? ხ[ოლო] მ[ა]ნ ესრეთ სთქუა ვ[ითარმე]ღ: ვარ მე მხევალი მ[ა]თი და მახლობელი განზრახვასა მ[ა]თსა ყ[ოვე]ლსა ცხადსა და დაფარულსა. და უწყი მე მისი რ[ომელი] აქვს მ[ა]ს აწ დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისათჳს და ნათლისღებისათჲს.

ხ[ოლო] ესმა რა ესე დედაკაცისაგან წ[მიდ]ა ნინოს, ჰრქვა ნიამფორსა ესრეთ, ვ[ითა]რ[ცა] წარმგზავნე მე და მივიდე წ[ინაშ]ე ელენე დედოფლისა, ნუკუე და ვიახლო სიტყვის გებად ქრისტესთვის წ[ინაშ]ე მისსა. ხ[ოლო] ნიამფორმა აუწყა პატრიარხსა წადიერება ესე და საქმე ნინოსი. ხ[ოლო] პატრიარხმან მ[ა]ნ ძმამან ნინოს დედისაგან მოუწოდა წ[მიდ]ა მას ნინოს დისწულსა თვისა და დაადგინა იგი აღსავალსა წ[ინ]ისა საკურთხეველისასა. და დასხნა კელნი მისნი წმიდანი მჯართა ზ[ედ]ა მ[ი]სთა, სულთ ითქუნა ცად მ[იმა]რთ სიღრმით გულისა მისისათ და ჰსთქვა: უ[ფალ]ო, ღ[მერ]თო საუკუნეთაო, კელთა შ[ე]ნთა შეუვედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩ[ემ]ის[ა]სა. და წარვავლინებ ქადაგებად ღვთაებისა შ[ე]ნისა [41v] ახაროს აღდგომაჲ შ[ე]ნი სადაცა სათნო იყოს სრბა მისი. ექმენ ქრისტე ღმ[ერ]თი ამას მოგზაურ, ნავთ სადგური, მოძღუარ ენა მეცნიერ, ვ[ითარ]-

ცა იგი უწინარეს ამისსა მოშიშთა სახელისა შენისათა.

და უჯმნა დედისაგან თჳსისა ანბორის ყოფ[ი]თა განშორებისათა. და გამოსახა მ[ა]ს[ა] მ[ედ]ა სასწაული ჯუარსა და ესრეთ ლოცვითა ღმ[რ]თისა მ[იმა]რთ დავხევთა განუტევა: და წარემართა ჩ[მიდ]ა ჩინო დედაკაცისა მ[ი]ს თ[ან]ა ეფესოთ მოსრულსა. და ვ[ითა]რ მიიწივნეს სამეფოსა რომთასა, სახიდ დედაკაცისა მის რომლისა იგი თ[ან]ა მოგზაურ იქმნა, იხილეს მუნ დედოფალი ვინმე ნათესავი და ტომი მეფეთა სახელით რიფსიმე, და დედამძუმე მისი გაიანე. [ო]რნი ესე იმყოფებოდეს მონასტერსა შ[ინ]ა ქალწულთასა. და სურდა ქრისტეს აღსარებისათჳს და მომლოდინე იყუენეს იერუსალიმით ნათლისღებასა: მაშინ დედაკაცმან მ[ა]ნ წარუდგინა ჩ[მიდ]ა ჩინო და აუწყა საქმე მისი დედოფალსა რიფსიმეს, რ[ომე]ლი იგი იხილა რა ქრისტეს მოყვარემან რიფსიმე. სიხარულით შეიტკბო და შეიწყნარა სახედ თვის[ი]სა წმიდისსა წ[ინაშ]ე მისსა ჩ[მიდ]ა ჩინო კელთაგან მის დედაკაცისა თ[ან]ა მოგზაურისათა. და ესრეთ იმყოფებოდა რა მისთანა ჩ[მიდ]ა ჩინო. მასვე შ[ინ]ა წელიწადსა ნათელს იღო რიფსიმე რომლისათჳს არს იგი სუროდა. და მისთა გაიანეცა დედა მძუძემან მისმან. და სხვათა სახლეულთა [42r] მისთა რიცხვით ორმეოცდა ათთა სულთა ხელთა ქუეშე ჩ[მიდ]ა ჩინოსთა. და იყოფებოდა მონასტერთა მათასთა და მათთა ჩ[მიდ]ა ჩინო ორ წელ.

მათ დღეთა შ[ინ]ა წარავლინნა კეისარმან ძიებად ქალისა ქმნილ კეთილისა და მშვენიერისა რათამცა უპოვეს ღირსი ცოლად მისსა. და ვ[ითა]რ მოიწივნეს მეძიებელნი მონასტერსა მ[ა]ს ქალწულთასა. და იხილეს და განიცადეს რიფსიმე. და ცნეს მეფეთა ნათესაობა მისი ფ[რია]დ სთნდა მშვენიერება მისი, რ[ომ]ლისა ვერ სადა იხილეს მგსავსი. ხილვითა და მეცნიერებითა. და გამოსახეს სახე ვითარებისა და ხატებისა მისისა ფიცარსა მ[ედ]ა და წარგზავნეს წ[ინაშ]ე კეისრისა. რ[ომე]ლი იხილა რა კეისარმან ფ[რია]დ სთნდა და სიხარულითა აღივსო. და განაწესა აღსრულება ქორწილისა. განცხრომითა და კეთილთა სიმრავლითა, რ[ომ]ლისათასსცა მწრაფლ წარავლინნა მოციქულნი და განმგებელნი ყ[ოველ]თა მა[თ] საბრძანებელთა მისთა რ[ჲთ]ა ყ[ოველ]ნი ძღუნითა შემოკრბენ. და დიდითა სიხარულითა მოვიდნენ ბრძანებასა ამას ქორწილსა სამეფოსა.

ხ[ოლო] იხილეს რა ყ[ოვლა]დ წ[მიდა]თა მ[ა]თ დაფარულ იგი მანქანება მტერისა და ისარნი მისნი განჰურებულნი, რ[ომ]ლითა იგი ისწრაფდა სისრად წ[მიდა]თა ქრისტესთა, იურვოდეს, რ[ამეთუ] ჭურ რისხვისა [42v] იპოვა მეფ[ე] ვ[ითარც]ა იგი გუელი სამოთხესაჲ შინა მზრახველ ექმნა, ეგრეთვე აქა მსგავსად მისასა უსჯულო ესე, რომელსა აქვნდა შეგინებული თაყვანისცემა ბილწთა და საძაგელთა კერპთა.

ხ[ოლო] იხილეს რაჲ ნეტარმან რიფსიმე და გაიანე და სხვათა მათ მოწესეთა დედათა განსაცდელი ესე მოწევნულად მათ მ[ედ]ა, მაშინ მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმაჲ, და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რ[ომე]ლსა იგი იყუნეს განსწავლულ და გოდებით ტიროდეს შესწაუებისა მისთჳს წ[ინაშ]ე მეფისა უსჯუჰლოსა შუენიერებასა წ[მიდ]ისა რიფსიმესასა, რ[ომე]ლ-იგი გამოეხატათ წარგზავნეს და მისცნეს თავნი თვისნი ფიცხელისა მოღუაწებისა კანონსა ლოცჲთა და უმაღრებითა ღვთისათა დაუცადებელთა და მხურუალთა. და ერთობით განზრახვით ურთიერთარს ყ[ოვლ]თავე მ[ა]თ დაუტევეს ფარულად ქუეყანა იგი ორმოცდაცამეტთა სულთა და მოიწივნეს ლტოლვილნი არეთა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა მ[ა]ს რ[ომე]ლსა ჰრქვან ახალ ქალაქი. უაღრეს შენებულსა რ[ომე]ლ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა. და შევიდეს ტალავართა მ[ა]თ შ[ინ]ა საწნახელთასა, რ[ომელ]ნი იგი იყვნეს შენებულ ჩრდილოით კერძო და აღმოსავალით, და იზრდებოდეს მუნ შ[ინ]ა ყ[ოვ]ელთ საქმისა თჳსისა განვაჭრებითა.

[43r] **ხ**[ოლო] იხილა რაჲ კეისარმან, რ[ომელი] განერნეს ხელთაგან მისთა და ტრფიალებისაგან მისისა ბოროტისა წ[მიდის]ჲ რიფსიმე და სხვანი იგი მისთანიანი. აღივსო უნუგეშინისცემოითა მწუხარებითა. და წარავლინნა ყოველთა აღგილთა კაცნი მოძიებად მათდა. მაშინ მოიწივნეს მოციქულნი კეისრისანი წ[ინაშ]ე თრდატ მეფისა სომხეთასა. და მოართვეს წიგნი კესარისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ: თჳთმპყრობელი კეისარი საყვარელსა ძმასა და მეგობარსა და თ[ან]ამოსაყდრესა ჩემსა თრდატს გიკითხავ. უწყებულ იყვნ[ე]ნ შენი ძმობაჲ და ჩემთა აწ შემწეობაჲ, რომლისათვის იგი ყოვლადვე გვევნების შეცთომილისა მის ქრისტიანეთა ნათესავისა, რ[ამეთუ]

ყოვლადვე შეურახც იქმნების ჩუენი უფლება მათისაგან კრებულისა და საწუნელ არს ჩვენი ხელმწიფებაჲ მათგან. რ[ომელი] იგინი ჯვარცმულსა ვისმე მომკუდარსა მსახურებენ და ძელსა თაყვანისცემენ. და თავისა მათისაჲ სიკვდილსა უფლისაჲ მათისათვის დიდებაჲდ შეირაცხებენ. და არა ეშინის ურიათაგან. და მოკლულისა მისგან ურიათასა და ჯვარცმულისა ეშინის და შეცთომილი არიან. და მეფეთა აგინებენ. ღმერთათა შეურაცხჰყოფენ და ძალსაცა მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ნათლისასა [43v] არად შერაცხვენ, ა[რამე]დ შექმნულად იტყჳან მ[ა]თ ჯუარცმულისა მის მ[იე]რ და ესრეთ მოაქციეს ქუეყანა ვ[ი]დ[რე]მდის მამანი დედათაგან და დედანი მამათაგან ცოცხლივ განაშორნეს. დაღაცა თუ ქადებითა და სატანჯუელთა მოვსწყუვდენით, ა[რამე]დ კვლადცა უფროსღა განმრავლდეს. ხ[ოლო] აწ შემემთხუა მე ხილუა ნათესავისა მათგანისა ქალისა ერთისა ჭაბუკისა. და განვიზრახე მოყვანება მისი ცოლად ჩ[ე]მდა. ხ[ოლო] მას არცა თუ მეფესა ეთქვა გულმან მისმან სურჯლად ჩემდა, ა[რამე]დ საძულელად და არა წმიდად შემრაცხეს მე. რ[ომელნიც]ა მეოტი იქმნეს ფარულად ჩემგან. და კერძოთა ქუეყანისა შ[ე]ნისათა წარმოსრულ არიან. უწყებულ იყავ ძმაო შ[ე]ნდა. მოიძიე იგინი და ჰპოვნე რა მისთანანი იგი სიკუდილითა მოაკუდინნე. ხ[ოლო] რ[ომე]ლი იგი მათ შეჰაცთუნეს შუენიერი ხატითა სახელი რიფსიმე ჩუენდავე წარმოავლინე. და უკეთუ მ[ა]ნ გთნდეს იგი თავისა შენისათჳს იგულვე. რ[ამეთუ] არა იპოვა სხუა მსგავსი მისი იონთა სოფელსა შ[ინ]ა და ცოცხლებითმცა იყოფვი შ[ე]ნ და მსახურებასა შ[ინ]ა ღ[მერ]თთსა:

ხ[ოლო] აღმოიკითხა რაჲ თრდატ ბრძანება ესე კეისრისა, მყის იწყო მოსწრაფებით ძიება მ[ა]თი და [44 r] პოვნა რაჲ საწნახელთა მათ შინა პ[ი]რველ კსენებულთა. და იხილა რჲ რიფსიმე, იწყლა ტრფიალებისა გულისთქმითა და სიხარულითა დიდითა აღივსო. და დაამტკიცა მიყვანებაჲ მისი ცოლად თვისად. ხ[ოლო] ურჩ ექმნა რჲ თრდატს მეფესა ამისთვის წ[მიდ]ა რიფსიმე. მაშინ იწამა მის მ[ი]ერ წამებისა ღვაწლითა. და მისთან გაიანეცა დედა მძუძე მისი, და სხვანი მრავალნი მათთანაი ვითარცა იგი წერილ არს წიგნსა მას წამებისა მათისასა. და გვეუწყებინა სასწაულნი იგი რომელნი იქმნნეს ჟამსა წამებისა მათისასა მოქცევასა შინა სომეხთასა. რ[ომელი] განგებითა ღთჲისათა თრდატ მეფე ეშუად შეიცვალა. ხ[ოლო] რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმალნეს და ივლტოდეს, რ[ომე]ლთა თანავე მაშინ ესეცა ჩ[მიდ]ა ჩინო დამალულ იქმნა ეკალთა შ[ინ]ა ვარდისათა რ[ომე]ლი იგი ჯერეთ არღა გამომღებელ ქმნილ იყო ყუავილისა ჟამსა მას. და ესრეთ დამალულ იყო რა ჩ[მიდ]ა ჩინო, იხილა მ[ა]ნ მუნით გამო სახითა მთავარ დიაკონისათა შთამომავალი ზეცით ნათლისა ოლარითა მოსილი: დამპყრობელი საკმეველესა ჴელთა მისთა რ[ომ]ლისა კუამლის სახე სუნელება დაფარვიდა ცათა. და კ[უალა]დ იყო მისთა სიმრაულე ერთა ზეცისათა, რ[ამეთუ] მას ჟამსა [44v] განეყოფოდეს ხორცთაგან სულნი წ[მიდა]თა მათ მოწამეთანი, რ[ომე]ლნი იგი შეიერთნეს ბრწყინუალეთა მ[ა]თ ძალთა ზეცისათა. და ესრეთ ცად მიმართ აღიწეოდეს. რ[ომე]ლ იგი ესე იხილა ჩ[მიდ]ა ჩინო ღაღადყო ესრეთ: უფალო, უფალო, რად დამიტეობ შ[ორი]ს ასპიტთა და იქედნეთა. მაშ[ი]ნ ჴმა ესმა ზეგარდმო, რ[ომე]ლი ეტყოდა, ვ[ითა]რმედ: და ესრეთვე იყოს შენიცა წარყუანება სასუფეველად წ[ინაშ]ე ღმრთისა ჟამს ოდეს ეგე ეკალი რ[ომე]ლ არს გარემოის შ[ე]ნსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელი. ა[რამე]დ აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ კერძო. სადა იგი ფ[რია]დ არს სამკალი, ხ[ოლო] მუშაკი ყ[ოვლა]დ არა.

ამისსა შ[ემდგომა]დ წარჯდა მუნით ჩ[მიდ]ა ჩინო და მიიწია ორბანთად, საზღვართა სომხითისათა. და თუესა მეოთხესა რომელ არს მარტითგან ივნისი წარემართა და მიიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა იგი მიემთხჳა ტბასა მას დიდსა გარდამომდინარესა რ[ომე]ლსა ეწოდების ფარავანი. ხ[ოლო] მიხედნა-რა მუნით და იხილნა მთანი იგი ჩრდილოსანი დღეთა მათ ზაფხულისათა სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა, შეძრწუნდა ჩ[მიდ]ა ჩინო და სჰთქუა ესრეთ: უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან. და და[ჰ]ყო მუნ ორი დღე. და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა მას შ[ინ]ა მონადირეთასა [45r] რ[ომელი] მწყემსნიცა იყვნეს ადგილსა მასვე და ჴმილვიდეს რა საჯუმილავსა ღამისასა სამწყსოსა ზედა მათსა. ჰხადღდეს იგინი შემწედ, და მფარველად ღ[მერ]თთა მათთა არმაზს და ზადენსა და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა ოდეს მოვიდეს წ[ინაშ]ე თქუენსა მშვიდობით. და ამას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა, რო[მე]ლი ესე მცირედ რჲმე ესწავლა ჩინოსცა პ[ირ]ველვე ნიამფორისა მისგან. და ჰკითხა ერთსა მწყემსთა მათგანსა და ჰრქუა ენითა

სომხურითა. ვ[ითარმე]დ: რ[ომ]ლისა სოფლისანი ხართ. ხ[ოლო] მან მიუგო და ჰრქუა, ქინძარელნი, რაბატელნი და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა იგი ღ[მერ]თნი ჰხედავენ და მეფენი მეფობენ და ვ[ითარმე]დ ჰკითხა ჩ[მიდამა]ნ ჩინო. ვ[ითარმე]დ სადა არს ქალაქი იგი მცხეთა. ხ[ოლო] მან მიუგო ვ[ითარმე]დ გარდამომდინარე ესე ამის ტბასა? თანა წარჯლის ქალაქსა მას მცხეთისასა.

ჱ[ოლო] ჩ[მიდ]ასა ჩინოს შეუძნდა სიგრძე გზის მის და სიბრტყე მთათა მათ, რ[ომე]ლი იხილა და ამისთ[ვი]ს შეძრწუნებულმან სულთ ითქვნა და დაიდვა ლოდი ერთი სასთუნალ და ესრეთ მიიძინა გარდასადინელსა მის ტბისასა, და ვ[ითა]რ იგი ეძინა მას, მოვიდა კაცი ერთი ჩუენებით. ჰასაკითა ზომიერ, ხ[ოლო] თმითა ნახევართმოსან, და მისცა მან წიგნი დაბეჭდული ჩ[მიდ]ასა ჩინოს და ჰრქუა, მიართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შ[ინ]ა მცხეთას. მეფესა მას წარმართთასა, ხ[ოლო] ჩ[მიდ]ა ჩინო [45v] იწყო ტირილად და ჰრქუა მას ვედრებით, ვ[ითარმე]დ: უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი და არცა ენისა მეტყველად მეცნიერ ვარ და ვ[ითა]რ მივიდე უცხოსა ქუ[ეყა]ნასა და უცხოთა მათ თანა უცხო თესლთა. ჱაშინ კაცმან მან განუკსნა წიგნი იგი, რ[ომე]ლსა მ[ედ]ა ბეჭედი ჴესო ქ[რისტ]ესი, და წერილ იყვნეს მუნ შ[ინ]ა ენითა რომაელებრითა ათნი სიტყვანი, მსგავსადვე ფიცართა მათ ქჳსათა, ჱას ესე ზედა მისცა ჩ[მიდ]ასა ჩინოს კითხვად. და იყო დასაბამ სიტყჳათა ამათ ესე:

Ⴑადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდის დედაკაცი ესე;

Ⴛრცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, ა[რამე]დ თქუენ ყ[ოველ]ნი ერთ ხართ;

Ⴒარვედით და მოიმოწაფენით ყ[ოველ]ნი წარმართნი და ნათელსცემდით, მათ სახელითა ჱამისათა და ძისათა და სულისა ჩ[მიდ]ისათა;

Ⴍათელი გამობრწჳნებად წარმართთა მ[ედ]ა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა;

Ⴟ[ომე]ლ[მა]ნ თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარნეს, და რ[ომე]ლ[მა]ნ შემიწყნაროს, შეიწყნაროს, მომავლინებელი ჩემი;

Ⴟ[რამეთუ] ფ[რია]დ უყუარდა ჱარიამ უფა[ლსა], რ[ამეთუ] ისმენდა მისსა სიბრძნესა ქრის[ტე]სა;

Ⴍუ გეშინინ მათგან, რ[ომე]ლთა ჱოსწყჳდნენ კორცნი თქუენნი, ხ[ოლო] სულისა ვერ შემძლებელ არ[ი]ან მოწყუედად;

Ⴙრქუა მარიამ მაგდალინელსა ჴესუ: წარვედ, დედაკაცო, და ახარე ძმათა ჩემთა;

Ⴑადაცა მიხჳდეთ [46r] ჰქადაგებდით სახელითა ჱამისათა და ძისათა და სულისა ჩმიდისათა;

Ⴒ[ითარც]ა წარიკითხნა სიტყუანი ესე ჩმიდამან ჩინო, იწყო ვედრებად ღ[მრ]თისა მიმართ. და გულს კმა ჰყავ, ვ[ითარმე]დ ზეცით იყო ჩუენება ესე. და აღიხილნა თუალნი ზეცად. და ითხოვა მაღალთა შ[ინ]ა დამკჳდრებულისა. და ყ[ოვლ]ისა გარე შემცუელისა ღ[მრთ]ისაგან შეწევნა მისი. და წარემართა და მიპყრუა წიაღ ღრმა მდინარისა მისგან ტბისა მის გარდმომდინარისა, რ[ომე]ლი წარმდინარეობს დასავალით, მერმე ვ[ითარმე]დ იწყებს აღმოსავალით, სადა იგი შეემთხვა სიბნელე გზათა და სიფიცხე, შიშნი მჯეცთაგან და ფ[რია]დნი ჭირნი ვ[იდრეღ]ა მიწევნადმდე ადგილსა რ[ომე]ლსა იწყებს წყალი იგი აღმოსავალით დინებასა. და მიერიდგან იქმნა ლხინება მისთანა, რ[ამეთუ] ჰპოვნა მუნ მოგზაურნი რ[ომე]ლთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას რ[ომე]ლსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო, და უცხოთა ღ[მერ]თთა მსახური, რ[ომელი] თაყუანის ჰსცემდეს იგინი ღ[მერ]თად მათდა ცეცხლსა, ქუათა და ძელთა, რომისთჳსცა შეეურჯა სულსა ამის ჩ[მიდი]ისასა, და შევიდა ბაგინსა შ[ინ]ა ჰურიათასა, რათამცა ზრახვიდა მათ თანა ენითა ებრაულითა, რ[ომე]ლსა იგიცა მეცნიერ იყო და დაჰყუნა მუნ თჳსა ერთისა დღენი, და განიცდიდა საქმესა და ძალსა მის ქ[უე]ყნისასა.

ჱ[ოლო] აღიძრნეს დღესა შ[ინ]ა ერთსა ერნი დიდნი სიმრავლითა, მით ქალაქით წარმავალნი, დიდად ქალაქად და სამეუფოდ მცხეთად [46v] მოვაჭრებად სახმართა რათამე წ[ინაშ]ე არმაზ ღ[მრ]თისა მ[ა]თისა. და წარჰყვა ჩმიდა ჩინო მ[ა]თ თანა. ხ[ოლო] ვ[ითა]რ იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, და დაისადგურეს წიაღ მოგუთასა კიდსა მას მ[ედ]ა, იხილა მუნ მოგვები იგი ცეცხლის მსახურთა მათ ერთა და საცთური ჩ[მი]ჩ[და] ნინო, ჰსტიროდა წარწყმედასა მას მ[ედ]ა მათსა. და იგლოვდა უცხოებახა თჳსსა.

ზა აჰა ხუალისა დღე იყო ჯმა ოხრისა და საყჯრისა, და ზარი საშინელი, და გამოსვლა ერისა ურიცხვისა, ვ[ითარც]ა ყუავილთა, უწინარესვე შეძვრასა და გამოსვლასა მეფისასა. და ვ[ითა]რ-იგი მიიწია რა ჟამი, იყო სივლტოლვა, და მი[დამო]მ[ალვა] დაბნევა ყ[ოვლ]ისა კაცისა და შიშისა მისგან შეივლტოდეს და მიივლტოდეს საფარველსა შ[ინ]ა თჯსსა, და აჰა მყის გამოვიდა ჩაჩა დედოფალი და ნ[ელია]დ მისსა გამოვიდა სიმრავლე ერისა ნელიად, რ[ომე]ლთა შეამკუნეს ყ[ოველ]ნი გზანი და ფოლორცნი, სამოსელთა მიერ თჯთოფერითა, და ფურცლთაგან ხეთასა და ყუაჯლთა, და იწყო ყ[ოველმა]ნ ერმან ქებად მეფისა. მაშინ გამოვიდა ჱირვან მეფე, თუალთ შეუდგამითა ხილვითა. და ჰკითხა ჩ[მიდამა]ჩ ჩინო დედაკაცსა ვისმე ჰურიასა, ვ[ითარმე]დ: რაჲ არს ესე, ხ[ოლო] მან ჰრქუა მას, ღ[მერ]თი ღ[მერ]თთა მათთა არმაზ უწესს მათ, წინაშე მისა აღვსლად, რ[ომ]ლისა მსგავსი არა არს სხვა კერპი. და რა ეუწყა რა ჩ[მიდ]ასა ჩინოს, აღვიდა ხილვად არმაზ კერპისა, ერისა მისთანა, რ[ომ]ლითა აღივსნეს მთანი იგი, და განშუენდეს დროშათა მიერ და სამკაულთა, ვ[ითარც]ა ყუავილნი ველისანი, და შეუსწრო ჩ[მიდამა]ნ ჩინო [47r] ციხედ არმაზად. და დასდგა მახლობელად კერპისა მის ნაპრალსა ზღუდისასა და ჰხედვიდა საკვირველებასა მიუწვდომელსა. და ენით გამოუთქმელსა, ვ[ითა]რ იგი იყო ზარის აღსახდელი შიში და ძრწოლა მეფეთა მიერ, და ყ[ოვლ]ისა ერისა, წ[ინაშ]ე კერპთა მათ წარდგომილთა, რ[ომელი] იხილა მუნ ჩ[მიდამა]ნ ჩინო, მდგომარედ კაცი სპილენძისა, რ[ომელ]სა ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსა, და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროჲსა, და სამჯარნი, და თუალნი მისნი იყვნეს ზურმუხტისა და ბივრიტისანი, და ეპყრა ჯრმალი ჯელთა მისთა, ელვარედ ბრწყინვალე, რ[ომე]ლი იგი იქცეოვდა ჯელსა შ[ინ]ა მისსა, და შიშითა მისსა მიმთხუევასა. და სიკვდილისა მის მიერისათა, არავინ მალულად შეეხებოდის კერპსა მას, ა[რამე]დ ესრეთ განიკითხის თჯსაგან თავი თჯსი და ჰსთქვეს: ჴ[ითარმე]დ ჩემდა, უკუეთუ და-სამე-ვაკლდი დიდებასა დიდისა ამის ღ[მრთ]ისა არმაზისსა, ანუ შესამე-რაჲსამე ვსცეთ სიტყვად ებრაელთა თანა, გინა მოგვთა თანა სმენასა. და დამთხვეულ ვიყო მზისა მსახურთასა. და მათსა რ[ომე]ლნი იგი იტყვიან უმეცრებით დიდსა ვისმე ღ[მრთ]ისა, და ძესა ღ[მრთ]ისა მეცათასა. და იპოვოს რამე ჩემ შორის ესე ვ[ითა]რი ბიწი, და მცეს მე მახვილი იგი მისი, რ[ომ]ლისაგან ეშინის ყ[ოვ]ე[ლ]სა ქუეყანასა, და ესრეთ წინასწარვე განკითხვითა თავთა თჯსთათა. შიშით და ძრწოლით თაყუანისჰსცემდენ მას. და ვ[ითარმე]დ იყო მარჯუენით მისსა სხვა კერპი ოქროჲსა, სახითა კაცისათა, და სახელი მისი გაცი. [47v] და ეგრეთვე მარცხენით მისსა იყო კერპი ვერცხლისა სახითა კაცისათა მდგომარე, და სახელი მისი Ქაიმ რ[ომე]ლნი იგი ღ[მრ]თად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა. ჱაშინ ვ[ითა]რ ესე იხილა ნეტარმან ჩინო, იწყო სულთქმით და ცრემლით ტიროდა ღ[მ]რთისა მიმართ, ცთომათა მათთჯს ქუეყნისა ჩრდილოსათა, დაფარვისა მათგან ნათლისა, და უფლებისა მათ ზედა ბნელისა, რ[ომელი] მიხედნა მეფეთა მათ დიდ ძალთა, და [ყოვ]ე[ლ]თა მთავართა, რ[ომე]ლნი იგი ცოცხლივ შთაუნთქნეს ჯოჯოხეთსა. დაუტევა დამბაძებელი და ქუათა და ძელთა, სპილენძსა და რვალსა ღ[მრ]თად თაყუანისცემდეს. და შემოქმედად იგინი უწყოდეს ყ[ოვლ]ისა, და მოეხსენა ჩ[მიდ]ასა ჩინო მაშინ სიტყუა იგი, რო[მე]ლი ამცნო დედის მამან მისმან Ꭵობენალ პატრიარხმან ესრეთ. ვ[ითარმე]დ: მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ, და მიწევნად ხარ ქუ[ე]ყ[ა]ნასა უცხოსა და ნათესავთა დარაგეველ ზეფელ ბარკაღულ, რ[ომე]ლ არს ბრანჯულად კაცთა ღ[მრ]თის მბრძოლთა და მჯდომთა. და აღიხილნა ზეცად მიმართ და ჰსთქუა. Ოფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს მტერნი ესე შენნი. და მრავლითა სულგრძელებითა შენითა იქმ გონიერებად მოსვლასა მათსა. და ყ[ოველ]ი მტუერებრ და ნაცრებრ უჩინ ჰყავ განქარებადნი ესე ქუ[ე]ყ[ა]ნასა ზ[ედ]ა, ა[რამე]დ ნუ უგულებელს ჰყოფ კაცსა რ[ომე]ლი შეჰქმენ ხატად შენდა და რ[ომ]ლისათს ერთი სამებისაგანი განკაცენ, და აცხოვნე ყ[ოვლ]ი სოფელი, მოჰხედენ წყალობით ამათცა [48r] ზ[ედ]ა ნათესავთა და შეჰრისხენ სულთა მათ ბოროტთა და უჩინთა სოფლის მპყრობელთა მთავართა ბნელისათა და შთავაღენ აღგილთა ბნელთა, და მიჩუენე მე, Ო[ფალ]ო Ი[მერ]თო მამისა და დედისა ჩემისა მკევალსა ამას შენსა, და ნაშობსა მონათა შენთასა. და რათა იხილონ ყ[ოველ]თა კიდეთა ქ[უე]ყ[ნ]ისათა მაცხოვარება შენი, და რათა ჩრდილო ბღუარსა თანა იხარებდეს, და ყ[ოველმა]ნ ერმან შენ მხოლოსა ღ[მ]ერთსა თაყუანის გცეს, ŧ[რისტ]ე Ქესოს მიერ ძისა შენისა, რ[ომე]ლსა ჰშუენის მადლობით დიდების მიცემა ამინ.

ზა ვ[ითარც]ა დაასრულა ლოცვა ესე და ვედრება ჩ[მიდამა]ნ ჩინო, მყის წამისყოფთა ღ[მრთ]ისათა აღსდგეს დასავალით ქარნი და ჰაერნი ღრუბელთა თანა. ხილვითა საშინელითა, და კმითა ბარის აღსაკდელისა ქუხილისათა, და მიჰბურნა ნიავმან მზისა დასავალისამან სუნი ჯერკუალი სიმწარისა, და სიმყრალისა, რ[ომე]ლი ესე იხილა რა სიმრავლემან მან ერისამან მათ ზ[ედ]ა მომავალად. მაშინ იწყეს მსწრაფლ სირბილად, და შეივლტოდეს ქალაქად და საყოფელთა თჳსთა, და რამეთუ მცირედ დრო ჰსცა ი[მერ]თნცა განრინებამდე თჳთა მათთა, და ყ[ოვ]ლად ამისა არათამცა შეესწრნეს იგინი მომსვრელსა მას, საყოფელთა შ[ინ]ა თჳსთა. და ვ[ითა]რ განიბნინეს იგინი ყ[ოველ]ნი მეყვსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი მწარედ სასტიკი. და მოიღო სეტყვა ჰსწრაფ ქვისა ორთა მიერ ჴელთა მძლედ და ძლით სატყორცებელისა, აღგილსა მას ოდენ ზ[ედ]ა საყოფელსა კერპთასა, და შემუსრვით დააწულილნა იგინი, [48v] და დაირღუეს ბღუდენი იგი ქარისა მიერ სასტიკსა და შთაიბნივნეს კლდეთა მათ შ[ინ]ა. ხ[ოლო] ჩმიდა ჩინო ეგო უვნებლად დაცული ადგილსა მასვე სადა იგი კლდე შესრულ და მდგომარე იყო.

ჲ[ოლო] დღესა მეორესა გამოვიდა ჯორიან მეფე, და ყ[ოველ]ი იგი ერი ძიებად ღ[მერ]თთა მათთა და არა ჰპოვებდეს, რო[მ]ლისათ[ვი]ს დაეცა შიში და ძრწოლა, და განკჳრვებამან შეიპყრნა. და უმრავლესნი იგი ერნი იტყოდეს გულ-ფიცხელნი და მოუდრიკელნი ესრეთ ვ[ითარმე]დ: ქალ-დეველთა ღ[მერ]თი ითრუჯან, და ჩუენი ესე ღ[მერ]თი არმაზ ვ[ითარმე]დ ურთიერთას მტერ არიან. რ[ომელი] ამან არმაზ ოდესმე მას ზ[ედ]ა ბღუა მოაქცია, და აწ მან შური ი[ძ]ი[ს], და მოაწია ესე მას ზ[ედ]ა: ჲ[ოლო] რ[ომე]ლნიმე ესრეთ იტყოდეს, ვ[ითარმე]დ რ[ომ]ლისა ღ[მრ]თისა ძალითა თრდატ სომეხთა მეფე ეშვად შეიცუალა, და ვ[ითარმე]დ ეშვობისაგან კაცადმე მოაქცია, მან უკუე ღ[მერ]თ[ა]ნ ჰყო და მოაწია ესე, რ[ომელი] სხვა ღ[მერ]თი ვერ შემძლებელ არს ყოფად ამისსა, და ამას ესე ვ[ითა]რცა იტყოდეს მაშინ, ამისთჳს რ[ომელი] ვინადგან მეფე თრდატ, ქ[რისტ]ეს ძალითა ეშვად გარდაქცეულიყო, და ძალითა ქ[რისტ]ესითა ვ[ითარმე]დ კაცადვე შეცვალებულიყო, მიერიდგან ქება და დიდება ქ[რისტ]ესი რაღარა ფარულად ითქმოდა ქართლს შ[ინ]ა, რ[ომელი] მაღლსა ღ[ვთ]ისასა ეწყო აღმოსავლეთს.

ჲ[ოლო] მასვე დღესა რისხვისა და კერპთა მათ შემუსრვისასა, დასცხრა სეტყვა იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა ჩმიდა ჩინო კლდისა მისგან ნაპრალისა, და ჰპოვა თუალი ბივრიტი, აღიღო და წარმოვიდა [49r] წინა კერძო დასასრულსა მის კლდისასა ცხჳრისასა, სადა იგი ძველ იყო ძუელადმე ციხე და ქალაქი. და იხილა მუნ მდგომარედ ხენი შუენიერნი, რომელთა ბრინჯ უწოდიან, მაღალნი და რტ[ომრავალნი], რ[ომ]ლითაცა იგი საგრილსა ქუეშე გამოსახა სასწაული ჯ[უარ]ისა, და აღასრულნა მუნ დღენი ექვსნი, მაღლობით და ვედრებით ღ[მრ]თისა მ[იმა]რთ, წყალობით მიხედვისა და კხნისათჳს ერისა მის ეშმაკთა მიერ შეცთომილისა.

ჲ[ოლო] ოდეს იქმნა შემუსრვა ესე კერპთა იყო თუე მარტისაგან მეექვსე აგვისტო და დღე მეექვსე. რ[ომე]ლსა შ[ინ]ა ფერი იცუალა. ქ[რისტ]ემან, წ[ინაშ]ე თავთა მათ ჩ[მიდა] წ[ინასწა]რ-მეტყუელთა და მოწაფეთა თჳსთა. და ვ[ითა]რ იგი ვსთქუ იყოფებოდა ჩმიდა ჩინო საფარველსა რა ქუეშე ხეთასა, მაშინ მოვიდა მისსა სეფე ქალი ერთი, სახელით შროშანა, და იხილა მან ჩმიდა ჩინო მუნ ესრეთ მყოფი, განუკჳრდა და ჰკითხა მას სხვისა მ[იე]რ ბერძულ მეტყუელისა დედაკაცისა, ვინაობაჲ მისი. სხვისა ყ[ოვლ]ისავე თანა საქმისა მისისა, რ[ომე]ლი იგი ეუწყა რა ყ[ოველ]ივე ჩინოს მიერ თჳნიერ ხ[ოლო] უწყებისა მშ[ობელთა თჳსათასა, და იჩუმა ტყვეობა თავისა თჳსისა. მაშინ შროშანა თანა ლმობილ და მოწყალე ქმნილი უცხოებისათჳს მისისა ცრემლითა აიძულებდა ჩ[მიდ]ასა ჩინოს წარსვლად მისთანა სახიდ სამეფოდ, რ[ომე]ლი ესე არა ინება ჩ[მიდამა]ნ ჩინო, ა[რამე]დ და განეშორა რა და წარვიდა მისგან შროშანა. შ[ემდგომა]დ სამთა დღეთასა აღსდგა მუნით, განვლო მტკუარი, და მიიწია სამოთხესა მას მეფისასა [49v] სადა იგი არს სუეტი ღ[მრ]თივ აღმართებული და ეკლესია საკათალიკოსო, და იხილა მუნ სახლი მცირე სამოთხისა მის მცუელისა, და შე-რაჲ-ვიდა მას შ[ინ]ა, მიეგება დედაკაცი ცოლი სამოთხისა მის მცუელისა, სახელით ანასტოსი და მოეხჳა და ამბორის ყოფით შეიტკბო მან, ვ[ითარც]ა მრავლით ჟამიდგან მეცნიერმან და მეგობარმან, და დაჰბანნა ფერხნი და განუსხნა ცხებითა ბეთისათა, და დაუგო პური და ღვინო და დაჰყუნა მისთანა ჩ[მიდამა]ნ ჩინო დღენი და ჟამნი ცხრათა თუეთანი. ხ[ოლო] იყვნეს ესე ანასტასი და ქმარი მისი

უშვილო, რო[მ]ლისათ[ჯ]ს ფ[რია]დ მწუხარე იყვნეს იგინი, მაშინ იხილა ჩ[მიდამა]ნ ჩინო ჩუენებისა შ[ინ]ა ძილისასა კაცი ნათლითა შემოსილი, რ[ომე]ლი ეტყოდა ვ[ითარმე]დ: შეველ სამოთხესა მაგას, და ჰპოვო ქუეშე ნაძვთასა მცირე ბაბილო შემზადებული. გამომღებელად ყუავილთა სუნნელთა და მრავალფერთა შუენიერთა და აღიღე მიწა ადგილსა მისგან და [მი]ეც ჭამად მეუღლეთა მაგათ, და ესვას შვილი. ხ[ოლო] ჩ[მიდამა]ნ ჩინო ულოცა და ჰსცა ჭამად ცოლ ქმართა მათ, ჩუენებით უწყების მისაებრ და ჰშუენეს მათ ძე და ასულებ მრავალნი რომლისთჳსცა ჰრწმენა მათ ქ[რ]ი[ტ]ე ჩინოს მიერ და დაემოწაფნეს მას ფარულად. ჲ[ხოლო] ჩ[მიდამა]ნ ჩინო შ[ემდგომა]დ ცხრათა მათ თუეთა, რ[ომე]ლნი დაუყვნეს სამოთხის მცუელთა მათ თანა, ჰპოვა გარეგან ზღუდეთა მათ ქალაქისათა, სახედ ტალავრისა მცირისა [50r] მაყვალთა მიერ შემზადებული განგებითა ღ[მრთ]ისათა ადგილსა მას სადა იგი აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკკლესიასა სამთავარ ეპისკოპოსისასა, და ჰყო იგი საყოფელ და განსასუენებელ თჳსსა, და აღმართა მუნ შ[ინ]ა ჯუარი თჳსი მის მიერ შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთასა, რ[ომ]ლისა წ[ინაშ]ე განათევენ იგი ღამეთა მ[არა]დის მღჳმარებითა და ეგრეთვე შუაღამებ ღეთა დაუცხრომელითა ლოცვითა და ვედრებითა ღ[მრთ]ისთა და განკჳრვებულნი სიმრავლესა ზ[ედ]ა ღუაწლთა მისთასა მსახურებდეს მას მეუღლენი იგი მცუელნი სამოთხისა მის მეფისანი. და ესრეთ მუნ მყოფი ჩმიდა ჩინო მრავალგზის მივალნ უბანსა მას ჰურიათასა, ენისათჳს ებრაულისა და გამოძიებისათჳს კუართისა მის ღ[ვთ]ისა, რო[მ]ლისა იგი ესმინა იერუსალიმს, ნიამფორისა მისგან ვ[ითარმე]დ წარუღია იგი მცხეთელთა მათ ჰურიათა, რათამცა ყ[ოველ]ით კუართისა ჰსნცა. და ეუწყა კუართისა მის ვ[ითა]რება. ჱაშინ ჰპოვა მან ჰრქუა ერთი, სახელით ჩბიათარ მღუდელი და ასული მისი სიდონია და უქადაგა მათ სახარება ღვ[თ]ისა ჩ[უე]ნისა ჩესო ქ[რისტ]ესი, რ[ომე]ლთაცა იგი ჰრწმენა და დაემოწაფნეს მას. მათთანა სხვანიცა დედანი დაემოწაფნეს მას ჰურიანი, რიცხვი ექვსნი, ჰსწავლასა მას ჩ[მ]ი[დი]სა ჩინოსსა, თჳნიერ ნათლისღებისა, რ[ომელ] არა იყო მას ჟამსა მღელი, რათამცა ნათელ ჰსცა მათ, [50v] და იყვნეს იგინი ფარულად მოწაფე მისდა. ჱა აღსრულებდა ღ[მრ]თი[ს] ჴელითა ჩ[მიდ]ისა ჩინოსითა საკვირველებათა და კურნებათა მრავალთა, რ[ომელი] რეცა თუ მიზეზით წამალთა კმარებისათა მრავალნი განკურნა, და სენთაგან შეპურობილნი განათავისუფლნა უძლურებათაგან მათთა. ჱა ესრეთ იქცეოდა რა ქალაქსა მას შ[ინ]ა მცხეთასა ჩმიდა ჩინო, ჟამთა სამისა წლისათა, მათ დღეთა შ[ინ]ა იქმნა შესვლა მათი ჯირიან მეფისა, და ძმისწულის მისისა სპარსთა მეფისა საბერძნეთად, რ[ომე]ლნი ესე ჩონსტანტინე მეფემან ბერძენთამან იოტნა ძალითა ჭ[რისტ]ესითა და ჯუარისა მისისა წინამძღურებით ყოველით სპარსეთით მათით.

ჹქმული აბიათარ მღუდელისა, რ[ომე]ლი დაემოწაფა წმ[იდა]სა და სანატრელსა ჩინოს

ჯე აბიათარ მღუდელი, ვიყავ წილით ხუედრებული მის წელიწდისა, ოდეს ჩმიდა ესე და ნეტარი დედა ჩინო მოიწია მცხეთად, და მასვე უკუე ჟამსა მოწევნილ იქმნა ჩუენდა წიგნი ჩნტიოქიით, ჰურიათაგან მღუდელთა, რ[ომე]ლსა შ[ინ]ა წერილ იყო ესრეთ, ვ[ითარმე]დ: განხეთქა ღ[მერთმა]ნ სამ ნაწილად მეფობა ისრაილისა, რ[ომელ]ი აჰა ესერა ჩ[მიდა] წ[ინასწა]რ[მე]ტყ[უე]ლნი ჩვენნი დასცხრეს, და რომელსა სული ღ[ვთ]ისა აწუევდა მათ, და ჰსთქვეს, აღესრულა ყ[ოველი]ვე და განჯნიენით ჩვენ ყ[ოვ]ე[ლ]სა ქუ[ეყა]ნასა და რომთა დაიპყრეს ქ[უე]ყ[ა]ნა ჩ[უე]ნი [51r] და ვსტიროდით ჩვენ ერთურთ, რ[ომელი] ღღეს განვარისხეთ შემოქმედი ღ[მერ]თი. აწ განიხილენ შენ წიგნნი იგი ჯოსესი და სიტყვა იგი რ[ომე]ლი მან დასწერა ესრეთ, ვ[ითარმე]დ: რ[ომე]ლი იტყოდეს ქუეყანასა ზედა თავსა თჳსა ძედ ი[ვთ]ისა მიკვუედინ ანუ შებმა უკუე-ვსცეთით ნაზარელისა მისთჳს სიკუდილისა, რ[ამეთუ] ვხედავთ ოდეს პ[ირვე]ლთა მამათა ჩუენთა შესცოდიან რაჲ ი[მერ]თსა, და ყ[ოვლა]დ დაივიწყიან იგი. მაშინ მისცნის იგინი კელმწიფებასა ბოროტსა. ხ[ოლო] მოიქციან რა და ღაღადყვიან ი[ვთ]ისა მ[იმა]რთ მწრაფთ განარიინის იგინი ჭირისა მის. და ესე ესრეთგან ყოფილად და აღსრულებად შჯდ გზის უწყჯთ წერილისაგან. ხ[ოლო] აწ ვინაჲთგან კელნი შეასხნეს

მამათა მათ ჩვენთა, ძესა მას მწირისა მის დედაკაცისასა და მოჰკლეს იგი, აღიღო ი[მერ]თ[მა]ნ ჴელი ჩ[უე]ნ ზ[ედ]ა, და განხეთქა მეფობა ჩ[უე]ნი, განგვაშორნ[ა] ტაძარსა თჳსსა. და უგულებელს-ჰყო ნათესავი ჩ[უე]ნი ს[რულა]დ, და არს მათ ჟამიდგან სამასი წელი და უმეტესიცა, რ[ომე]ლ არა ისმინა ვედრება ჩ[უე]ნი, რომლისათჳს საგონებელ გვიჩნს ჩვენ, ვ[ითარმე]დ ნუ-უკუე და ზეცით იყო კაცი იგი, და განამრავლეს ესე ვ[ითა]რისა პირისათ[ჳ]ს მიწერა ჩვენდა. ხ[ოლო] მე ვ[ითარც]ა მესმა ესე, ვიწყე კითხვად დედაკაცის მის ჩინოსაგან ⱋ[რისტ]ესთ[ჳ]ს, თუ ვინა იყო იგი, ანუ რ[ომ]ლისა მიზეზისათჳს იქმნა ღმერთი კაც, ძე ი[ვთ]ისა, მაშინ აღაღო პირი თჳსი ჩ[მიდამა]ნ ჩინო, ვ[ითარც]ა რა ჯურღუმულმან აღმომდინარემან [51v] და იწყო სიტყვად, დასაბამითგან წიგნთა წიგნითა ზეპირით წარმოითქმიდა და განმარტებად ძალსა მათსა, რ[ომ]ლითა ვ[ითარც]ა მძინარესა განმაღჳძებდა მე და ვ[ითარც]ა დასულებულსა განმანათლებდა და აღმიჩენდა საწყალობელად მამათა ჩ[უე]ნთა და მარწმუნებდა ცვალებასა შჯულისასა, ვ[ი]დ[რემდის მრწმენა სიტყჳთა მისითა ჴესო ⱋ[რისტ]ე, ძე ი[მრთ]ისა ვნებულად და აღდგომილად, და ვ[ითარმე]დ მომავალად მეორედ დიდებით, და ვ[ითარმე]დ ჭ[ეშმარი]ტად იგი იყო და არს მოლოდება წარმართთა, და ღირს ვიქმენით მე და შჳლი ესე ჩემი სიდონი ჰოღებად საპკურებელსა მას განსაწმედელსა ცოდვათაგან, წყალსა ემბაზისასა, რ[ომელ]სა ინატრიდა ჩ[მიდა] წინასწარმეტყუელი ბავით, და ვერ ეწიფა და მესმა მე ჴმა ახლისა ჰსჯულისა, ერთა და მგალობელთა, რ[ომე]ლსა იგივე ბავით ინატრიდა და ღირს ვიქმენ ბიარებად ჭ[ეშმარი]ტსა ხორცსა და სისხლსა ქ[რისტ]ეს მის ღ[მრთ]ისასა, კრავსა ცოდვათა თ[ჳ]ს სოფლისათა შეწირულსა, რ[ომ]ლისა ტკბილ არს გემოს ხილვა მისი და ამას ზ[ედ]ა სარწმუნებასა ჰყავ ⵔ[ფალ]ო განსლვა ჩ[უე]ნი კორცთაგან ჩვენთა, და ვ[ითარმე]დ სხვანიცა სასწაულნი ვიხილენით თუალითა ჩუენითა მცხეთას შ[ინ]ა, ჩინოს მიერ აღსრულებული.

ჰეორედ თქმული მისივე ⵛბიათარ მღუდელისა ჳუართისთჳს ⵔ[ფლ]ისა ჩ[უე]ნისა ჴესო ⱋ[რისტ]ესა

ჰე ⵛბიათარ მოგითხრობ თქუენ თხრობასა მას, რ[ომე]ლი მეუწყა მე და ყურთა ჩემითა ვისმინე, დედის მამისა და მამის დედისა [52r] ჩემისაგან და რ[ომე]ლი წიგნთაგანცა უწყი. რ[ამეთუ] მ[ა]თცა პაპათა და მშობელთაგან თჳსთა მოთხრობით სმენოდა, და უწყოდეს ესრეთ, ვ[ითარმე]დ: ოდეს იგი ჰეროდე მეფობდა იერუსალიმს, მაშინ ჟამსა მას გუესმა ესრეთ, ვ[ითარმე]დ იერუსალემი სპარსთა დაიპყრესო. რომლისათ[ჳ]ს-იგი იქმნა გლოვა და წუხილი ჰურიათა ზ[ედ]ა ქართველთა, მცხეთელთა მკჳდართა, ბუდელთა მღუდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა და სობის კანანელთა თარგმანთა, რომლისათჳსცა ესე ყ[ოვე]ლნი აღიძრნეს წარსვლად, და შეწევნად იერუსალიმთა. ხ[ოლო] შ[ემდგომა]დ მცირედთასა ვითარმედ მოიწია ღაღადისი ნუგეშისცემისა, ვ[ითარმე]დ: სპარსნი იგი არა დაპყრობად იერუსალიმსა მოვიდესო, არამედ საჭურველთა წილ იქმნა ოქრო სამეფო, და მური მსწრაფლ მკურნალი წყლულისა, და გუნდრუკი სულნნელი, და ეძიებდეს ყრმასა ვისმე შობილსა თესლისაგან დავითისსა, რ[ომე]ლი რეცა ჰპოვეს, მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისა შობილი უჟამოდ უადგილოსა ადგილსა, ვ[ითარც]ა არს ჩუეულება გარეგან დაბისა მდგომარეთა კაცთა, და ესე მის ყრმისა მოვიდეს, თავყუანისცეს მას, და შესწირეს მისსა ძღუენი იგი პ[ირვე]ლ თქმული და წარვიდეს იგინი მშჳდობით, და იქმნა სიხარული დიდი სმენითა მის ჰურიათა ზ[ედ]ა ქართველთა. ჲ[ხოლო] შ[ემდგომა]დ ამისა გარდაჴდეს წელნი ოცდაათნი, მაშინ მოსწერა ანნა მღუდელმან იერუსალიმით, მამის მამისა [52v] ჩემისა ელიოზიას თანა ესრეთ, ვ[ითარმე]დ: იგივე რ[ომ]ლისა სპარსნი იგი მეფენი ძღუნითა მოვიდეს, აღზრდილ არს და ჰასაკისასა მოწევნილ არს იგი და თავსა თჳსსა ძედ ი[ვთ]ისა ჰხადის, აწ მოვედით ყ[ოველ]ნი სიკუდილსა მისსა, რათა აღვასრულოთ მცნება ძისა და ჰოსესი. ბა წარვიდა აქათ ელიოზ მამის მამა ჩემი კაცი მოხუცებული და ესვა მას დედა ტომისაგან ელი მღუდელისა და ამას ელიოზს ესვა დაჲ ერთი, ხ[ოლო] ევედრებოდა ელიოზს დედა მისი ესრეთ, ვ[ითარმე]დ: წარვედ, შვილო, წოდებასა მაგას მეფისასა და წესსა ჰსჯულსასა, გარნა რ[ომე]ლსა იგინი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ

შვილო ჩემო, რ[ამეთუ] იგი არს სიტყვა ჩ[ინას]წარმეტყუელთა და იგავი ბრძენთა, და საიდუმლო დაფარული ჰურიათაგან, და წარმართთა ნათელი და ცხოვრება საუკუნო. და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, და მუნ დაჰხუდეს ჯუარცმასა ქ[ფლ]ისასა. ჱ[ხოლო] რ[ა]ჟ[ამ]ს იგი დამსჭუალვიდეს ქ[ფალ]ი ჯუარსა მას ზ[ედ]ა და პასანიგმან კუერითა მით რკინისათა ჰსცა სამსჭუალთა მათ ზედა ღვთისათა იერუსალიმს, მაშინ ესმა კმა იგი სამსჭუალთა მათგან გამოსრული დედასა ელიოზისსა მყოფსა მცხეთას შ[ინ]ა და მეყვსეულად იკრჩხიალნა და ჰსთქუა: მშჯობით, მეფობაო ჰურიათაო, რ[ამეთუ] მოჰკალთ თავისა თქ[უე]ნისა მაცხოვარი და მკსნელი და იქმნენით ამიერიდგან მტერ და [53r] მკულელ შემოქმედისა, ვაჲ თავსა ჩემსა, რ[ომე]ლ არა მეუფდა მე უწინარეს ამისსა სიკუდილი, რაჲთამცა არღარა სმენილ იყო, ყურთა ჩემთა, და არცაღა შ[ემდგომა]დ ამისსა ღირს ვიქმენ მე ხილვად ნათლისა წარმართთა ზ[ედ]ა და მშჯობა ისრაილისა, და მყის შეისვენა მან, სრულჰყო რ[ომელ]ი სიტყვა ესე.

ჱ[ოლო] ჳართი იგი ქ[ფლ]ისა ჰხუდა წილითა მცხეთელთა მათ ჰურიათა და მოიღო იგი მცხეთად ელიოზ, და მიეგება დაჲ მისი ცრემლთა მიერ შესვარული და მიეხვია ყელსა ძმისა თჳსისა ელიოზისსა, და მოუღო მას სამოსელი იგი ჴესოსი. შეიტკბო მკერდსა თჳსსა. და მყის მასვე ჟამს სულნი წარჰჯდეს მას სამთა ამათ ტკივილთა: სიმწარითა ŧ[რისტ]ეს სიკუდილისათჳს და დედის თჳსისა და ზიარებისათჳს უარის მყოფელთათანა ŧ[რისტ]ესთა ძმისა თჳსისა. ჵაშინ იყო საკჳრველი დიდი მცხეთას შ[ინ]ა და შეშფოთება, რ[ომელ] განკჳრდა თჳთ მეფე ადერკ და ყ[ოველ]ი სიმრავლე ერისა და მთავართა და ჰსთნდა მეფესა ადერკს სამოსელი იგი გარნა საკჳრველებისა მისგან ზარგანჯდილ და შეშინებულ იქმნა იგი, და არა იკადრა გამღებად კელთაგან მის მკუდრისათა, რ[ომე]ლსა იგი მაგრად და სურვილით შემოემკრდა, და კელთა მქონებელი სამოსლისა მის დამარხა ძმამან მისმან ელიოზ, და იგი თჳსი, აღგილსა მას რ[ომე]ლი უწყის ქ[ფალმა]ნ. მხოლოდ მან და არავინ სხვამან თჳნიერ ამისსა, რ[ომე]ლ ესე უწყიან, ვ[ითარმე]დ: არს აღგილი იგი მახლობელ ნაძვისა მას ლიბანისა წარმოღებულისა და მცხეთას [53v] დანერგულსა და აღრძინებულისა.

ზა ესეცა მეუწყა მამისაგან ჩემისა, ვ[ითარმე]დ: არს სხვითა ძალითა შემოსილი, მრჩობილი იგი ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შ[ინ]ა და კელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე ქუათა უპოვნელად, ვ[იდრ]ე ჟამადმდე მისა: ჴ[ამეთუ] მრავალგზის იხილა ჩ[მიდამა]ნ ჩინო მამისა მ[იმა]რთ ჩემისა, რათამცა გამოვიწულილე მისგან. გულითა მკურვალედ აღგილი იგი სამოსლისა მის ხ[ოლო] მან ესემოდენ მრქვის ვ[ითარმე]დ: აქა არს აღგილი სამარხავი მისიო, რ[ომე]ლსა ზ[ედ]ა ენანი კაცთანი არა დაღუმნენ გალობად ი[მრთ]ისა მ[იმა]რთ, და არს აღგილი იგი, ვ[ითარც]ა აღგილი ჴაკობისი, კიბედ ხილული, და ზეცად აღწევნულნი.

ზა შ[ემდგომა]დ წელთა მრავალთასა, ძმისწულისა შვილმან ადერკი მეფისამან მეფემან ამაზაელ ძიება ჰყო სამოსლისა მის ჰურიათა თანა, და უძლო პოვნად და ცნობად მისსა, გარნა რ[ომე]ლ მასცა ესრეთვე მიუთხრა, რ[ომე]ლთაგან გამოიკითხჳდა, ვ[ითარც]ა ესერა ზემოთ ითქუა ნაძვისა მის მახლობელად ყოფა აღგილისა მის, რ[ომე]ლსა იგი დამარხულ იქმნა: ჱ[ხოლო] საცნაურ იყავნ ესეღა, ვ[ითარმე]დ სახლი ელიოზისი, რ[ომე]ლნი კვართი ი[მრთ]ისა და დამარხა მითურთ დაჲ თჳსი, იყო ქალაქსა დასავალით წინა მოგუთას, კიდსა ზ[ედ]ა.

ჵათ დღეთა შ[ინ]ა იხილა ჩ[მიდამა]ნ ჩინო სამგზის და ოთხგზისცა მას შ[ინ]ა ჩვენებით, რ[ომე]ლი იგი მუკლთა თჳსთა ზ[ედ]ა მიპყრდნობილმან მცირედ რაჲმე მთირული, რ[ომელი] ჰხედვიდა იგი ესრეთ, ვ[ითარმე]დ რეცა [54r] თუ მოვიდიან მფრინველნი ცისანი, ფრთითა შავნი, და შთავიდიან მდინარესა მას შ[ინ]ა, განიბანიან და განსპეტაკნიან, და აღვიდიან იგინი სამოთხესა მას შ[ინ]ა, პ[ირვე]ლ კსენებულსა ბაბილოვანსა, და მუნ შ[ინ]ა მოისთლებდიან ნაყოფსა მისსა, და ყუავილთა მათ იხმევდიან, და ესრეთ მოწლედ და სურვილით ჩ[მიდ]ისა ჩინოს და მივლენედ, რეცა თუ მისი არს სამოთხე იგი, და გარე მისსა მივრბიან იგინი შუენიერად ჟივილით კმითა. ჱ[ხოლო] ესრეთ რა აუწყა ჩ[მიდამა]ნ ჩინო მოწაფესა თჳსსა სიდონიასა, ასულსა ჵბიათარისსა, რ[ომ]ლისათჳს იგი მიუგო მან და რქუა ჩ[მიდ]ასა ჩინოს: უცხოო და აქა შობილო ტყუეო სიტყვისაებრ შენისა, და ჩვენ ტყვეთა მკსნელო, უწყი რა შენ, შენ ზედა მოიწია ახალი ესე ჟამი, და შენ ძლით ისმის ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა უბრალოსა სისხლისა დათხევა,

რომლითაცა იქმნა ჰურიათა სირცხჳლი. ცის-კიდეთა ქვეყნისათა განბნევა, მეფობისაგან დაცემა, და ტაძრისა მის ჩ[მიდ]ისა მიღება მათგან, ერისა უცხოსა წოდება და მიცემა მათდა დიდებისა მათისა. იერუსალიმ, ვითარ განგიმარტიან ფრთენი შენნი და შეიკრებ ყ[ოველ]თა ცის-კიდეთა ნათესავთა ფრთეთა ქუეშე შენთა. რ[ომელი] აჰა, აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმცა შესცვალოს ყოველი წესი ამის ქუეყანისა. და კუალადცა მიექცა წმიდისა ნინოს და რქუა: „ჩუენება ესე შენი მოასწავებს და ცხად ჰყოფს, ადგილსა ამას სულიერად სამოთხე შეცვალებასა და სამღთოღა მათ ნაყოფთა გამომღებლობასა უკუნისამდე. Ჲოლო ვითარ მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთით, ოტებული ჳოსტანტინე მეფისაგან, და ვიდრე მოსლვადმდე მისა [54v] განეცხადა ჩ[მიდ]ასა ჩინოს ქადაგება ☦[რისტ]ეს ჰსჯულისა, რ[ომელ]ი ეტყოდა კმამაღლად ვ[ითარმე]დ: გპოვენ მკჳდრნი ეგე ჩრდილოსანი ცთომისა შ[ინ]ა და გამოაჩინა ☧უარი იგი ნასხლევისა, და იქმოდა მის მიერ საკჳრველებათა დიდთა, რამეთუ განრღუეულნი განკურნის სენნი, თჳნიერ წამლითა, შეხებითა ჯუარისათა, და ვ[ითარმე]დ ქადაგებდეს მისთანავე მოწაფენი იგი მისნი, რ[ომე]ლნი პირველ ფარულად იყვნეს მოწაფე მისდა, რიცხვით შჳდნი დედანი, ნათესავნი ჰურიათანი, სიდონია, ასული Ⴑბითარისი, და სხუანი იგი ექუსნი, და სამოთხის მცუელნი იგი ურთიერთარს მეუღლენი და Ⴑბიათარ მღუდელი, ახალი იგი Ⴑავლე, რ[ომე]ლი უშიშად და დაუცხრომელად ქადაგებდა სჯულსა ☦[რისტ]ესსა, რ[ომელ]ი, ფ[რია]დ მეცნიერ და ძუელისა ჰსჯულისა, და ახალი ესე ჰსჯული ესწავა მას ჩ[მიდ]ისა ჩინოსაგან, და უმეტეს ჩინოსსა ამხილებდა ყ[ოველ]სა კაცსა და ასწავებდა, და ჰსჯულსა ქ[რის]ტ[წს]სა. Ⴓაშინ აღიძრნეს ჰურიანი Ⴑბიათარსა ზედა რათამცა ქუა დაკრიბეს მას. ხ[ოლო] Ⴓირვან მეფემან მიავლინნა მსახურნი და განარინა Ⴑბიათარ მოკულისაგან ჰურიათასა, რ[ომელ]ი აქუნდა Ⴓირვან მეფესა სურვილი ☦[რისტ]ეს ჰსჯულისა, ამისთ[ჳ]ს რ[ომე]ლ ასმიოდა მრავალნი ქ[რისტ]ეს მიერნი, საბერძნეთით და სომხითით, და არა დააბრკოლებდა იგი ქადაგებად ჩინოს და მოწაფეთა მისთა, არამედ ჰბრძოდა მტერი იგი ყ[ოველ]თა მართმორწმუნეთა ეშმაკი და ვერ დაამტკიცებდა აღსარებასა ☦[რისტ]ესსა, და ეგრეთვე ჩანა დედოფალიცა უმეტეს მისსა იყო გულფიცხელ და შეურაცხისმყოფელ ქადაგებასა მას ☦[რისტ]ეს ჰსჯულისასა ჭ[ეშმარი]ტსა: Ჲ[ოლო] ჩ[მიდ]ა ჩინო იყო ესრეთა და [55r] იღოცვიდა დაუცხომელად საყოფელსა მას მისსა მაყვალსა ქუეშე, და დაკჳრებულ იყვნეს წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მღჳმარებასა და უცხო უჩნდათ საქმე იგი. იწყეს გამოკითხვად მისსა ხ[ოლო] იგი აუწყებდა ძუელთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძნობდა უგულისჴმოთა მათ და შთაუგდებდა გულსა მათსა სიყვარულსა ქ[რისტ]ესსა. Ⴆა იყო ესრეთ სამ წელ, ვინაცა განაცხადა ქადაგება და დაიმოწაფნა, მაშინ იყო ვინმე ყრმაწული უფალი მძიმისა სენისა, და მიმოაქუნდა დედასა მისსა კარითი კარად, რათამცა ვინმე ჰპოვა მეცნიერ კურნებისა და ჰყომცა სარგებელი მისი და შეისწავეს იგი ყ[ოველ]თა და არაოდეს ჰპოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთჳს, და მკურნალთა ჰრქუეს დედაკაცსა მას, ვ[ითარმე]დ: რა სარგებელ ყოფს ყრმას მაგას და დედაკაცი იგი იყო გულფიცხელი წარმართი, და მარადის ჰსძაგებენ სჯულსა ☦[რისტ]ეანეთასა, და აყნებდის სხჳათაცა მისვლად და კითხვად ჩინოსსა: Ჲ[ოლო] ვ[ითარც]ა სასოწარკუეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წ[ინაშ]ე მისსა, ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა, მაშინ ჰრქუა ჩ[მიდამ]ნ ჩინო, კურნება რ[ომელ]ი კაცთაგან არს მე არა რა ვჰყო, ხ[ოლო] Ი[მერთმა]ნ ჩემმან ჰქმნას, რ[ომე]ლსა მე ვმსახურებ, ☦[რისტ]ემან მისცეს ყრმასა ამას კურნება, რ[ომელ]ი ყოველთაგან განწირულ არს და რ[ომე]ლსა კილიკსა ზ[ედ]ა მარადის იღოცავნ ჩმიდა ჩინო. მას ზ[ედ]ა დადებად ჰსცა სნეული იგი, და იწყო ვედრებად Ი[ვთ]ისა და მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი. განცოცხლებული და მხიარული მისცა დედასა თჳსსა, ხ[ოლო] დედამან ყრმისაგან აღიარა ☦[რისტ]ე და ჰსთქუა, არ არს სხუა Ი[მერ]თი, თჳნიერ ქ[რისტ]ე, რ[ომე]ლსა ჰქადაგებს ჩინო, და დაემოწაფა ჩ[მიდ]ასა ჩინოს, [55v] და შეუდგა ლოცვასა მისსა და აღიდებდა ღ[მერ]თსა. მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რ[ომ]ლისა კურნება ვერავინ შეუძლო. რამეთუ ყოველთა კელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შესძლეს კურნება, უღონო იქმნნეს და სასოწარკუეთილ. ხ[ოლო] აუწყეს ვიეთმე დედოფალსა, ვ[ითარმედ] დედაკაცისა მის ჰრომისა ტყჳსა მიერ, რომელსა ჰრქჳიან ჩინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სნეულნი განიკურნებიან. მაშინ უბრძანა მსახურთა თჳსთა, რათა მოიყვანონ ჩინო.

მივიდეს მსახურნი დედოფლისანი, და ჰპოვეს ჩინო ქოჩსა მას ქუეშე მაყვალთასა, ილოცვიდა ჟამსა მეექუსესა, და მიუთხრეს ბრძანება დედოფლისა. ხ[ოლო] ჩ[მიდამა]ნ ჩინო ჰრქუა, არა ბრძანებულ არს ჩემდა, სადა ბრძანება ჩ[უე]ნი არს, არა განვიდეთ მიერ, არამედ დედოფალი აქა მოვედინ ჩემდა საყოფელსა ამას ჩემსა, და ჭ[ეშმარი]ტად განიკურნოს ძალითა ქ[რისტ]ესითა. ხ[ოლო] მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი. მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: შემიმზადეთ მე ცხედარი და მიმიყვანეთ მისსა. მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ, და ძე მისი ჯევ, და სიმრავლე ერისა მისთანა. ზ[ითა]რ მივიდეს საყოფელსა მას ჩ[მიდ]ისა ჩინოსსა, და დასდვეს დედოფალი კილიკსა მას მისსა მ[ედ]ა. იწყო ჩ[მიდამა]ნ ჩინო ლოცვად და ვედრებად ღ[მრთ]ისა მყოვარჟამ, და მოიღო ჯუარი იგი, რ[ომე]ლი აქუნდა, შეახო თავსა, ფერჯთა და მკართა სახედ ჯუარისა, და მეყსეულად განიკურნა, და აღსდგა განცოცხლებული. და ჰრწმენა ქ[რისტ]ე და ჰსთქუა არა არს სხუა ღ[მერ]თი, თჳნიერ ქ[რისტ]ესა, რ[ომე]ლსა ჰქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი. [56r] და მიერიდგან შეჰქმნა იგი მეგობრად თჳსად შინაურად და მარადის ჰკითხავნ და გამიწულილავნ ჰსჯულსა ქ[რისტ]ესსა და ასწავებნ ჩმიდა ჩინო და ცბიათარ-ახალი შავლე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ი[მერ]თი ჭ[ეშმარი]ტი, ჰკითხვიდა დედოფალსა მეფე, ვ[ითა]რ იგი მეყსეულად განიკურნა და სიმრავლე იგი რ[ომე]ლთა ხილვა დაამტკიცებდეს სიტყვასა დედოფლისასა. ჱაშინ ჱირიან მეფე განკჳრდა, და იწყო გამოძიებად ჰსჯულსა ქ[რისტ]ესსა, და მრავალგზის ჰკითხავნ ჰურია-ყოფილსა ცბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყ[ოველ]სა. ზა ჩიგნიცა რ[ომე]ლი ჰქონდა ჱირიან მეფესა ნებროთისი, მასცა წიგნსა შ[ინ]ა ჰპოვა წერილი ესრეთ: აღშენებასა მას გოდოლისასა, კმა გეცით ნებროთის მიმართ რ[ომე]ლი ეტყოდა. მე ვარ ჱიხაილ, რ[ომე]ლი დაღგინებულ ვარ ი[მერთ]ისა მიერ მთავრობასა მ[ედ]ა აღმოსავალისასა, განვედ ქალაქით მაგით, რ[ომელსაც] ღ[მერ]თი დაჰფარავს, ხ[ოლო] უკანასკნელთა ჟამთა მივიდეს ჱეფე იგი ცისა, რ[ომ]ლისა შენ გნებავს ხილვა, შეურაცხი ერსა შ[ორი]ს შეურაცხსა, შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტყობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა, მან გიხილს შენ ჭირსა შ[ინ]ა და გიხსნეს შენ: ჱაშინ გულისკმა ჰყოფდა მეფე იგი ჱირიან, რ[ომელი] ძუელნი წიგნნი და ახალნი ემოწმებოდდეს, და ნებროთის წიგნნიცა დაამტკიცებდეს, და შეუქმნა სურვილი ქ[რისტ]ესა სჯულისა, და ჰბრძოდა მტერი იგი უჩინო, აყენებდა აღსარებასა ქ[რისტ]ესსა, გულსა შთაუგდებდა სასოებასა კერპთასა და ცეცხლისასა, ა[რამე]დ მ[არა]დის ევედრებინ დედოფალი აღსარებასა ქ[რისტ]ესსა. და იყო მეფე [56v] დედოფლის მოქცევიდგან წელიწადსა ერთსა ორგულებასა შ[ინ]ა, და ასწავებდა ერსა დაუცხრომელად ჩმიდა ჩინო და არავის აუწყებდა თუ ვინ ვარ, ანუ სადაჲთ მოვედ, და ტყვედ იტყოდა თავსა თჳსსა. შ[ემდგომა]დ ამისსა მოგვი იგი მთავარი სპარსი სახელით ხვარა, სნეულ იყო სულითა უკეთურთა და ფიცხლად იგვემებოდა და სიკუდილისა მიახლებულ იყო და იყო მთავარი იგი ნათესავი მირიან მეფესა. მაშინ ევედრა ჩ[მიდ]ასა ჩინოს დედოფალი. და მეფე იხილვიდა საქმესა მისსა მცირედ ორგულებით ეტყჳნ წ[მიდ]ასა ნინოს, რ[ომ]ლისა ი[ვთ]ისა ძალითა იქმნ კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოებით მიხვედ და შეუვრდი. და ზედა-აც მათ წყალობა შენი და მოგანიჭეს შენ ძალი კურნებათა, რათა მით ჰსცხოვნდებოდე უცხოსა ქ[უე]ყ[ა]-ნასა და დიდებულმცა არიან უკუ[ნისამდე], ხ[ოლო] წ[ინაშ]ე ჩ[უე]ნთან იყავ, ვ[ითარც]ა ერთი მაწოვნებელი შვილთა ჩუენთანი და პატივცემულ ქალაქსა ამას შინა, არამედ უცხოსა ამას სიტყუას ნუ იტყჳ, ჭრომთა მ[ა]თ შეცთომილთა სჯულსა, ნუცა გნებავს ყ[ოვლა]დ თქმად: ჴ[ამეთუ] აჰა ესერა ღ[მერ]თნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წჳმის მომცემელნი, ქ[უე]ყნით ნაყოფთა, გამზრდელნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყ[ოვლ]ისა დაფარულისა გამომეძიებელნი ყ[ოვე]ლნი ღ[მერ]თნი მამათა ჩუენთანი, ლაცი და ლაიმ. იგინი იყვნენ და სარწმუნებლად კაცთა მ[იმა]რთ, და უკეთუ განჰკურნო მთავარი ესე, გამგამდიდრო შენ, და გყო შენ მკჳდრ მცხეთასა შ[ინ]ა მსახურად არმაზისა. დაღაცათუ ჰაერითა და სეტყვითა მით მოიწია მის მ[ედ]ა შემუსრვა მისი, ა[რამე]დ იგი აღგილი უძრავი არს, ეგე არმაზ და ქალდეველთა [57r] ღ[მერ]თი ითრუჯან ყ[ოვლა]დვე მტერ არიან. ამან ბღვა შემოადგინის მ[ედ]ა, და მან ამას მ[ედ]ა ესე ვ[ითა]რი ურჯა მიაწიის, ვ[ითა]რ აქვს ჩვეულება სოფლისა მპყრობელთა, კმა გეყავნ ჩემგან ბრძანება ესე. ჱიუგო

ჩ[მიდამა]ნ ჩინო, შენ მეფე სახელითა †რისტესით და ვედრებითა დედისა მისისათა, და მის ყოველთა წმიდათა მოავლინენ შენ მ[ედ]ა ი[მერთმა]ნ ცისა და ქუ[ეყ]ნისა შემოქმედმან. დამბადებელმან ყ[ოვლ]ისა დაბადებულისამან, დიდისა და დიდებულებისა თჳსისა და აურაცხელისა მრავალ მოწყალებისაგან მოავლინენ შენ, ვ[ითარც]ა საჯუმილისაგან ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისა, და ჰსცნა და გულისხმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრმე ზღვისა და საძირკულისა, და სივრცე ქუ[ეყ]ნისა, და საფუძველი მისი და უწყებულ იყავნ მეფე ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხ[ილ]ნ[ი] ჴმითა ჰაერისათა, და იძრვინ ქუ[ეყა]ნა სიმძაფრითა მისითა და ჰრბინ მეხისტეხანი, და კუალსა მთასა ეგზების ცეცხლი გულისწყრომითა მათითა. ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუათა შ[ინ]ა, და შესძრის ყ[ოველ]ი ქ[უე]ყ[ა]ნა, ვიდრემდის დაირღუნიან მთანი მყარნი და კლდენი, და ქუანი და მეცნიერ გყუენ შენ ამას ყ[ოველ]სა მიწევნად, რამეთუ ი[მერ]თი არს ცათა შ[ინ]ა, უხილავ არს თავადი იგი დაბადებულთაგან, თჳნიერ ძისა მისისა, რ[ომე]ლი მისგან გამოვიდა, ქ[უე]ყ[ა]ნასა მ[ედ]ა გამოსჩნდა ვ[ითარც]ა კაცი, რ[ომე]ლნი აღასრულა ყ[ოველ]ი რ[ომ]ლისათ[ჳ]ს მოსრულიყო, და აღვიდა მათვე სიმაღლეთა ჯამისათანა, იხილა დაუსაბამოჲ იგი, რომელი მხოლო მაღალ არს და მდაბალთა ჰხედავს და მაღალნი იგი შორით იცნის. მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ი[მრთ]ისა მიხედვად, რ[ომე]ლი არს ქალაქსა ამას შ[ინ]ა სასწაული ერთი, სამოსელი [57v] ძისა ი[მრთ]ისა აქა არს, და ჲალენისა მის ელიასი ჰსთქვეს ვიეთმე აქა ყოფაჲ და მრავალნი სასწაულნი არიან, რ[ომე]ლნი ი[მერ]თ[მა]ნ გამოაჩინნეს, და აწ მე მთავარი ესე შენი განვკურნო სახელით †[რისტ]ეს ჩემისათა, და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვ[ითარც]ა იგი დედოფალი ჩანა განიკურნა სენისა დიდისა.

და რა იგი ვაუწყე მას ჰყოფს იგი, და მოვიდა ჩანა დედოფალიცა სამოთხესა მას შ[ინ]ა ნაძჯთა მათ ქუეშე. დააღგინა იგი აღმოსავალით, დაპყრობად სცნა ჴელნი, და ჰრქმა მას სამგზის. იჯმნის შენგან ეშმაკო და შეუდგების †[რისტ]ესა ძესა ი[მრთ]ისასა, და ჰსტირი და ჩინო სულთქმითა სულისა თჳსისათა და ითხოვდა ი[ვთ]ისაგან შეწევნასა კაცსა მას მ[ედ]ა იყვნეს მოწაფენი მისნი მუნვე ერთ დღე, და ორ ღამე და მსწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბოროტი და დაემოწაფა ჩინოს სახლეულით და ერითურთ მისით, და ადიდებდეს ჯამასა და ძესა და ჩ[მიდ]ასა სულსა, აწ და მ[არა]დის და უკ[უნით]ი უკუ[ნისამდე], ა[მე]ნ.

ჹ თქუმული სიდონიაჲსივე დედაკაცისა, რ[ომე]ლი იყო მოწაფე წ[მიდა]სი ნინოსი, რ[ომე]ლი ესე იხილა და დასწერა მოქცევა სასწაულითა ჯირვან ჯეფესა და შევრდომა ჩინოსი აღსარებისათჳს †[რისტე]სა ჯ[ვრ]ისა აღმართებისათ[ჳ]ს ეკლესიათა აღშენებისათ[ჳ]ს და მას მ[ედ]ა სასწაულთა მისთათას. თავი ჱ. ქ[უა]კ[ურთ]ხ[ე]ნ მამაო

ჱა იყო დღესა ერთსა გაფხულისასა თუესა ქვლისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხრანით კერძო, და მოუკდა უჩინო იგი მბრძოლი ეშმაკი და შთაუგდო სიყვარული კერპთა და ცეცხლისა, და იგონებდა ყ[ოველ]სა მსახურებას მათსა, მახვილითა [58r] მოწყუედასა ყ[ოველ]თა †[რისტ]იანეთა. და ჰრქუა მეფემან ოთხთა თანამზრახველთა მისთა: ღირს ვართ ჩუენ ღ[მერ]თთა ჩუენთაგან ბოროტის ყოფასა, რ[ამეთუ] უდებ ვიქმნენით მსახურებასა მათსა და მიუშჯთ ჩუენ †[რისტ]იანეთა გრძნეულთა ქადაგებად ჰსჯულსა მათსა ქუეყანასა ჩ[უე]ნსა, რ[ამეთუ] გრძნებითა ჰყოფენ საკჳრველებათა მათ. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნეთ ყ[ოველ]ნი მოსავნი ჯუარცმლისანი, უმეტესად შეუდგეთ მსახურებასა ღ[მერ]თთა მათ მპყრობელთა ქართლისათა, ვამხილოთ ჩანას, ცოლსა ჩემსა, შენანება და დატევება სჯულსა ჯუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიყუარული მისი და სხუათავე თანა წარვწყმიდო იგიცა. დაუმტკიცეს განზრახვა იგი თანამზრახველთა მათ, რ[ამეთუ] მჯურვალედ იყვნეს იგინი საქმესა მას, და ჰნებვიდა პ[ირვე]ლიდგან, და ვერ იკადრებდეს განცხადებულად. ხ[ოლო] მეფემან მოვლო ყ[ოველ]ი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ. და განვიდა თხემსა მთისასა. შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მათ

ზ[ედა] მზე და იქმნა ვ[ითარც]ა ღამე ბნელი, და უკუნი, და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი. და განიბნივნეს ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა. და დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მთათა მაღნართა შეშინებული და შეძრწუნებული. დასდგა ერთსა ადგილსა და წარეწირა სასოება ცხოვრებისა მისისა, და მოეგო თავსა ცნობასა. განიზრახვიდა ესრეთ გულსა შ[ინ]ა თჳსსა, აჰა ესერა ვხადე ღ[მერ]თთა ჩემთა და არა ვჰპოვე ჩემ ზ[ედ]ა ლხინება. აწ, რ[ომე]ლსა ჰქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარცმულსა და [58v] ჰყოფს კურნებასა მისითა სასოებითა, არამცა ძალ ედვაა კსნა ჩემი ამის ჭირისაგან, რ[ამეთუ] ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შ[ინა] და არა უწყი, თუ ყ[ოვლ]ისა ქუეყნისათ[ჳს] იქმნა დაქცევა ესე, და ნათელი ბნელად გარდაიქცა, და თუ ჩემთჳს ოდენ. Ჩწ, თუ ჩემთ[ჳს] არს ჭირი ესე, ღ[მერ]თო ჩინოსო, განმინათლე ღამე ესე, და მიჩვენე სოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯ[უარ]ისა და თაყუანისვცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ჩინოსსა სჯულსა ზ[ედ]ა ჰრომთასა. ესერა ყ[ოველ]ი წარმოთქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე. და გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან და დასდგა მას ადგილსა, განიპყრნა მჯარნი აღმოსავლით ცად მ[იმა]რთ, და ჰსთქუა, შენ ხარ ღ[მერ]თი ყ[ოველ]თა ზ[ედ]ა Ი[მერ]თთა და Ჷ[ფალ]ი ყ[ოველ]თა ზ[ედ]ა უფალთა, Ი[მერ]თი, რ[ომე]ლსა ჩინო იტყვის, და საქებელ არს სახელი შენი ყ[ოვლ]ისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქ[უე]ყ[ა]ნასა ზ[ედ]ა, რ[ამეთუ] შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმნათლე მე ბნელი ჩემი. აჰა ესერა მიცნობიეს, რ[ამეთუ] გინდა კსნა ჩემი და ლხინება მიახლებად შენდა უ[ფალ]ო ხ[ურთ]ხ[ეუ]ლო, ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯ[უარ]ისა რ[ომ]ლითა იდიდებოდის სახელი შენი, და იხსნებოდის საქმე ესე სასწაული უკუ[ნისამდე]. დაისწავა ადგილი იგი და წარმოემართა და იხილა ერთმან მან ნათელი და გამოერთო ერი გაბნეული. ხ[ოლო] მეფე ღაღადებდა: მიეცით დიდება Ი[მერ]თსა ჩინოსსა ყ[ოველმა]ნ ერმან, რ[ამეთუ] იგი არს Ი[მერ]თი საუკუნეთა და მას მხოლოსა ჰშუენის დიდება უკუ[ნისამდე]. Ჴ[ოლო] ჩანა დედოფალი და ყ[ოველ]ი ერი განვიდა მიგებებად მეფისა, რ[ამეთუ] ესმა პ[ირვე]ლ წარწყმედა, და კუალად მოსვლა მშვიდობით, და მიეგებოდს ქინძარას და ღართას. ხ[ოლო] ნეტარი ნინო დადგომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყლოვანსა მას შ[ინ]ა, ჩუეულებისაებრ [59r] მისისა, ჟამსა თჳსსა, და ჩუენ მის თანა ორმეოცდაათი სული. Ბა ვითარცა მოვიდა მეფე, იძვროდა ქალაქი, და კმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი მჯსნელი ჩემი. ვ[ითარც]ა ესმა თუ არა აქა მაყულოვანსა არს და ილოცავს, მოვიდა თჳთ მეფე და ყ[ოველ]ი იგი ლაშქარი, მივიდა და გარდაჯდა ცხენისაგან და ეტყოდა ჩინოს აწ ღირს ვარ სახელის დებად სახელსა Ი[მრთ]ისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა. ხ[ოლო] ჩმიდა ჩინო ასწავლიდა მსწრაფლ თაყუანისცემად აღმოსავლეთით, და აღსარებად ŧ[რისტ]ეს ძისა Ი[მრთ]ისა. Ბაშინ იქმნა გრგჳნვა და ტირილი ყ[ოვლ]ისა კაცისა, ოდეს სხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოვანთა. და ხუალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად Ბირიან მეფემან წ[ინაშ]ე ჩონსტანტინე მეფისა და წიგნი ჩინოსი ელენე დედოფლისა წ[ნაშ]ე აუწყა ესე ყ[ოველ]ი სასწაული ŧ[რისტ]ეს მიერი, რ[ომე]ლი იქმნა მცხეთას შ[ინ]ა Ბირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღუდელნი ნათლის-ღებისათ[ჳს]. ხ[ოლო] ჩმიდა ჩინო და მოწაფენი მისნი ჰქადაგებდეს ერსა მას ზ[ედ]ა დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩუენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა.

Ⴑქმული მისივე, აღშენებისათჳს ეკლესიისათ[ჳ]ს, Ბამაო Ლ[უაკურთ]ხ[ე]ნ

Ⴑდეს წარემართა ყ[ოველ]ი ერი ქ[რისტ]იანობასა მოსწრაფებით, ვიდრე მღუდელთა მოსვლამდე, ჰრქუა Ბეფემან ჩმიდასა ჩინოს, მესწრაფების მე აღშენებად სახლსა Ი[მრთ]ისასა სადა უშენოთ, ჰრქუა ჩინო სადაცა მთავართა გონება მტკიცე არს, ჰრქუა მას მეფემან, მიყვარენ მე მაყუალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ესრე ვყო, არა ვრიდო სამოთხესა ამას სამეფოსა, და ნაძჯთა ამათ სიმაღლესა და [59v] ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა სურნელებასა. რ[ამეთუ] ჩუენება რ[ომელ]ი იხილე. მფრინველთა მათ ფრთითა უშუერითა განბანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ, და ჰსხდომა მათი ხეთა მათ ზ[ედ]ა სამოთხისა-

თა და კმობა მათი კმითა ტკბილითა, ჭეშმარიტად სამოთხე ესე კორციელი წარავალი, შეგუეცვალა ცხოვრებად საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღ[მრთ]ისა სალოცველად ჩუენდა ვ[ი]დ[რე] მოსულადმდე მღუდელთა საბერძნეთით. და მეყუსეულად მოიღო ძალი და ასწავებდა ხუროთა, და მოჰკუეთა ნაძჳ იგი და ნაძჳსა მისგან შემზადნა შჳდნი სუეტნი ჴკლესიისანი. და ვ[ითა]რ აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართნეს ექუსნი სუეტნი თჳს თჳსად. ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკჳრველ იყო ხილვითა, საშუალ ჴკლესიისა შესაგდებლად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისსა, და აუწყეს მეფესა საკჳრველი იგი ყ[ოვლა]დ ვერ შეძვრა აღგილითა სუეტისა მის: ჱაშინ მოვიდა მეფე სიმრავლითა ერისათა. და მოიხუნეს მრავალ ღონენი მანქანანი, და სიმარჯჳთა და ერისა სიმრავლით ეცადნეს აღმართებად და ვერ შეუძლეს. და იყო დაკჳრვებულ მეფე და სიმრავლე ერისა, და იტყოდეს რაჲმე არს ესე, და ვ[ითა]რ იყო მწუხრი, წარვიდა მეფე სახლად თჳსად, შეწუხებული დიდად: ხ[ოლო] ჩმიდა ჩინო და ათორმეტნი მისნი მოწაფენი დედანი დააღგრეს სუეტსა მას თანა. ხ[ოლო] სანატრელი იგი ჰგოდებდა სუეტსა მას გ[ედ]ა და ადინებდა ცრემლთა: ჩ[ითარც]ა შუაღამე ოდენ იყო, წარმოიქცეს ორნი ესე მთანი, არმაზ და გაღენი, რეცათუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარმოქუნდა ქალაქი, [60r] და შეიქმნეს კმანი საზარელნი ტყებისა და გოდებისანი. ეგრეთვე არაგჳ გარდამოჴდა ციხესა გ[ედა], და იქმნებოდეს საზარელნი გრგჳნვანი. შეშინდეს დედანი მათ და ივლტოდეს. ხ[ოლო] ნეტარი იგი ღაღადებდა ნუ გეშინინ დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, და ერსა ყოველსა სძინავს: ჱ[ოლო] ესე რ[ომე]ლ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენებისთ, რ[ამეთუ] ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლს შ[ინ]ა. და წყალნი რომელ დაეყენნეს, სისხლი იგი ყრმათა, კერპა მიმართ შეწირვისა, დაეყენოს. ხ[ოლო] კმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, იგლოვენ იგინი თაჯთა თჳსსა, რ[ომე]ლ არიან იგინი მეოტ ამით აღგილით, ძალითა მაღლისათა ძალითა ტ[რისტ]ესითა და ჯუარითა მისითა. მოიქეცით და ილოცევდით ი[მრთ]ისა მ[იმა]რთ. მეყსეულად დასცხრეს კმანი იგი, და იყო არა რა.

ჳა სდგა და განიპყრნა კელნი და ილოცვიდა ი[მრთ]ისა მ[იმა]რთ და იტყოდა რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რ[ომე]ლსა წარმართებულ არს მეფე. კ[უალა]დ ვიდრე არა ეყივლა ქათამსა, სამთა კართა ქალაქისათა, დასცა გარსა ლაშქარმან ძლიერმან, დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრისათა, და შეიქმნა გარის სახდელი, გრგჳნვა, და ყივილი, და კლვაჲ, და სისხლი ჰსდიოდა, და აღივსო ყ[ოველ]ი აღგილი და მოვიდა მათდა სიმრავლე, გახილითა და მახვილითა, და სხუათა მათ შიშისაგან დახდნებოდეს კორცნი, და განილია სული მათი. ჰსტიროდეს ნათესავთა მათთჳს. ჳა მსწრაფლ ისმოდა, ჰჴმობდეს რა ძლიერად, მეფე სპარსთა ხუარა ბრძანებს, და მეფეთ მეფე ხუარან, ყ[ოველ]ი ჰურია განარინეთ პირისაგამ მახჯლისა. ესე რა მესმა, და მივეგე ცნობასა, [60v] და მევეგე თავისა ცნობასა; და შევორგულდით მე და ათინივე იგი ჩემთანანი, და მოახლოებულ იყვნენ მახჯლოსანნი გარემოს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს. ჳა ისმა კმა ძლიერი ჱირიან მეფე შეიპყრესო გარე მოიხილა მჯნემან მოყუარემან და ჰსთქუა ესე რ[ომ]ელ ყივის, ვიცი რ[ომ]ელ აწ სამე დიდად ჰსჭირს, და ვმადლობდით ი[მერ]თსა, ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის აღგილისა დიდებისა, და ნუგეშინის გუცემდა, ვ[ითარც]ა მოძღუარი კელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ტ[რისტ]ესი. ჱიექცა ერსა მას მომავალსა და ჰრქუა: სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარან, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად, რ[ომ]ელ დალეწეთ ქალაქი ესე, და მახჯლი დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოთ კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რ[ომე]ლსა თქვენ ევლტვით. ჳა განძრა კელი ჯ[უა]რის სახედ და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი. და იქმნა დაყუდება დიდი და დედანი იგი ნატრიდეს მას და აღიდებდეს ი[მერ]თსა. ხ[ოლო] ვ[ითარც]ა ცისკარი აღეღებოდა, და მიერულა ყ[ოველთ]ა დედათა მათ. ხ[ოლო] მე, სიდონია, მღჳძარე ვიყავი. და იგი დგა კელ განპყრობით. აჰა ესერა, გედა თჳსსა, და ჭაბუკმან მან შეჰყო კელი სუეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესა შინა. და განკჳრვებული მივეახლე მას და ვარქუ ესრეთ: დედოფალო, რა არს, ხოლო მან მრქუა მოიდრიკე თავი ქუეყნად და [61r] ტირილად იწყო გარისა მისგან. და მცირედისა ჟამისა შ[ემდგომა]დ აღსდგა და

აღმადგინა; და განვეშორენით მას ადგილსა.

Ჱ[ოლო] დედანი ვ[ითა]რ იყვნეს კ[იდ]ე აღარ იხილნეს და იხილნეს მათცა სუეტი იგი, ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას და აღშ[ო]რებულად ქუ[ეყ]ნით, ვ[ითა]რ ატორმეტ წყრთა, და ნელიად ნელიად ჩამ[ო]იცვალებდა ხარისხად თჳსად, მონაკუეთსა თჳსს ზ[ედ]ა ძირსა მისვე ნაძჳსასა. Ო[ითარც]ა რიჟუ რაჟუ ოდენ იყო, აღსდგა მეფე გულდებული ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა მას და დაწყებულსა მას ეკლესიასა, სადა-იგი მტკიცე იყო გონება მისი, იხილა ნათელი, ვ[ითარც]ა ელვა აღწევნილი ცად სამოთხით მისით. იწყო სრბად და მკჳრცხლ მოვიდოდა, და ყ[ოველ]ი სიმრავლე სახლისა მისისა და ყ[ოველ]ი ერი ქალაქისა მოვიდა, ვ[ითარც]ა იხილეს საკჳრველი იგი ნათლითა ბრწყინვალე სუეტი ჩამოვიდოდა ადგილად თჳსად, რეცა ვ[ითარც]ა ზეცით, და დასდგა ხარისხსა მას ზ[ედ]ა, და დაემყარა კელთ-შეუხებლად კაცთაგან, და ნეტარ იყო მას ჟამსა შ[ინ]ა, რ[ამეთუ], რა-იგი იქმნებოდა, შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი, და დიოდეს მდინარენი ცრემლთანი, მეფეთა და მთავართა, და ყ[ოვ]ელსა ერსა, და სულთქმითა სულისა მათისათა ადიდებდეს ი[მერ]თსა, და ნატრიდეს ჩ[ეტ]ა[რ]სა ჩინოს. და იქმნნეს სასწაულნი დიდნი მას დღესა შ[ინ]ა.

შ[ირვ]ელად მოვიდა ჰურია ბრმა შობიდგან, მიეახლა სუეტსა მას Ითივ-აღმართებულსა და იქმნა მხედველად მუნ ჰსთქუესვე, და ადიდებდა ი[მერ]თსა. მეორედ სეფე წული ყრმა იდვა რვისა წლისა, მოიღო დედამან მისმან სარწმუნოებით და დასდვა ცხედრითა წ[ინაშ]ე სუეტსა მას ნათლისასა, [61v] ევედრებოდა ჩინოს: მოჰხედენ დედოფალო, ძესა ამას ჩემსა, სიკუდილად მიახლებულსა, რ[ამეთუ] ვიცი ი[მერ]თი ი[მერ]თთა იგი არს, რ[ომე]ლსა შენ მსახურებ და ჩუენ გჳქადაგებ. მაშინ ჩინო შეახო კელი სუეტსა მას, დასდვა ყრმასა მას და ჰრქუა: გრწამს თუ ჴესო ქ[რისტ]ე, ძე ი[მრთ]ისა, ცხოვრებისათ[ჳ]ს ყ[ოვლ]ისა სოფლისა კორცითა მოსრული, განიკურნე ამიერითგან და აღიდებდი მას, ვისმან ძალმან განკურნა. და მსწრაფლ აღსდგა ყრმა იგი, ვ[ითარც]ა მრთელი, და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყ[ოვ]ელსა ერსა:

Ბა თჳთ[ო] სახენი სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს, ვ[იდრე]მდის მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სუეტსა მას, და დაჰფარა ხედვისაგან. და ეგრეთვე შეეხებოდეს ერნი სართულსა მას და განიკურნებოდეს მსწრაფლ, იწყო მეფემან და განასრულა ეკლესია სამოთხესა შ[ინ]ა. და ვ[ითარც]ა მიიწივნეს მოციქულნი Ჭირიან მეფისანი წ[ინაშ]ე კოსტანტინე მეფისა, და მიუთხრეს რაჲცა იქმნა, მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე, და დედა მისი Ქლენე დედოფალი: პ[ირვე]ლად ამისთ[ჳ]ს, რ[ამეთუ] მადლი ღ[მრთ]ისა მიეფინებოდა ყ[ოველ]თა ადგილთა და კელსა ქუეშე მათსა ნათელს იღებდეს ყ[ოველ]ი ქართლი და შ[ემდგომა]დ ამისთჳს განმხიარულდეს, რ[ამეთუ] დაიდასტურეს Ჭირიან მეფისაგან ს[რულია]დ მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყვარულისა მათისა. და ადიდებდეს და მადლობდეს ღ[მერ]თსა.

და წარმოგზავნეს მღუდელი ჭ[ეშმარი]ტი Ქოანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღუდელნი ორნი და დიაკონნი სამნი. და მოუწერა მეფემან ჩონსტანტინე Ჭირიანს წიგნი ლოცვისა და კურთხევისა ი[მრთ]ისა მადლობისა. და წარმოსცა ჯუარი და Ქატი Ჭაცხოვრისა, და მისთანა ნიჭი დიდი, და Ქლენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და [62r] ნუგეშინისცემისა. მოიწია ეპისკოპოსი, მღუდელნი და მოციქულნი მცხეთად, და აღივსო სიხარულითა მეფე და ყ[ოველ]ი ერი მათი, რ[ამეთუ] სურვიელ იყვნეს ყ[ოველ]ნივე ნათლისღებისათ[ჳ]ს. მაშინ მსწრაფლ განავლინა ბრძანება მირიან მეფემან ყ[ოველ]თა თანა, სპასალართა და ყ[ოველ]თა პირთა სამეფოსათა მოწოდებად წ[ინაშ]ე მისსა; და მსწრაფლ მოიწივნეს ყ[ოველ]ნი ქალაქად. მაშინ ნათელს იღო მეფემან კელსა ქუეშე წისა ჩინოსსა. და შ[ემდგომა]დ დედოფალმან და შჳლთა მათთა კელსა ქუეშე მათ მღუდელთა და დიაკონთასა. და შ[ემდგომა]დ მისსა აკურთხეს მდინარე მტკუარი. ეპისკოპოსმან შემზადა აღგილი ერთი, მიწურვილი კიდისა კარსა მოგუთისასა, სადა ყოფილ იყო სახლი ელიოზ მღუდელისა, და მუნ ნათელს ჰსცემდა წარჩინებულთა ერთა. და ეწოდა აღგილსა მას მთავართ სანათლო.

ხ[ოლო] ქუემოთ მისსა, მდინარისავე პირსა, ორგან ორნი იგი მღუდელნი და დიაკონნი ნათელ ჰსცემდეს ერსა. და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთას. მოსწრაფებით და ევედრებოდიან მღუდელთა, რათა პ[ირვე]ლად მას ვისმე ნათელ ჰსცემდეს ერსა. და ესრეთ სურვიელ იყო ერი

იგი ნათლიღებისათ[ჳ]ს, რ[ამეთუ] ესმინა ქადაგება წ[მიდ]ისა ჩინოსი, რომელსა იტყვნ: ყ[ოვე]ლ-[მა]ნ რ[ომე]ლ[მა]ნ არა ნათელ იღოს, არა ჰპოვოს მან ნათელი საუკუნო, და ამისთ[ჳ]ს მოსწრაფე იყვნეს ნათლისღებად ყ[ოველ]ნი იგი. და ესრეთ სახედ ნათელს იღეს ყ[ოველმა]ნ ქართლისა მან, თჳნიერ ხ[ოლო] არა ნათელს იღეს მთიულთა კავკასიანთა მოფენასა მას ნათლისასა, და დაად-გრეს ბნელსა შ[ინ]ა ჟამ რაოდენმე, და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელს იღეს: გარნა ვაბრა-შიანთა ნათელს იღეს ორმეოცდა ათმან სულმან და იქმნეს ქ[რისტი]ანე ჭეშმარიტ. ამისთ[ჳ]ს დიდ [62v] იქმნეს წ[ინაშ]ე მეფისა იგინი, და უბოძა მათ დაბა რომელსა ჰქჳან ციხე დიდი. ა[რამე]დ არა ნათელსიღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, არცა ერმან მისმან ნათელსიღეს, ა[რამე]დ კორციელად ოდენ მორჩილებდენ მირიან მეფესა: ჱაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპო-სი იოანე, და მის თანა წარჩინებული ერთი წ[ინაშ]ე კონსტანტინე მეფესა, და ითხოვა ნაწილი მღდლისა ცხოვრებისა, რ[ომე]ლი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ი[ვთ]ის-მსახურსა და ი[ვთ]ის მოყვა-რესა დედოფალსა მრავალნი, ყ[ოველ]თა ქალაქთა და ადგილთა, და ნათელ ჰსცემდენ ერთა, რათა მსწრაფლ ნათელს იღონ ყ[ოვე]ლ[მა]ნ სულმან ქართლისამან. და ითხოვნა ქჳთ-ხურონი მოძღვარ-ნი, აღსაშენებელად ეკკლესიათა.

ვ[ითარც]ა მიიწივნეს წ[ინაშ]ე ჩოსტანტინე ჩეისრისა, სიხარულით მოანიჭა ძელისა ცხოვრე-ბისა, და ფიცარნი იგი, რ[ომე]ლსა ფერხნი დაუმსჭუალნეს უ[ფალს]ა და სამსჭუალნი ჴელთანი. წარმოგზავნნეს მღუდელნი და ხურონი ფ[რია]დ მრავალნი. ჴ[ოლო] ჩოსტანტინე მეფემან მეფობასა შ[ინ]ა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ღ[მრთ]ისა და მისცა განძი დიდ-ძალი ეპისკოპოს-სა იოანეს და უბრძანა სადაცა ჯერ იყოს ადგილთა ქართლისათა, მუნცა აღაშენნენ ეკკლესიანი სახელსა მ[ედ]ა ჩემსა. და ნიჭი ესე დაამკჳდრე საზღუართა ქართლისათა.

ჱა წარმოვიდა ჩპისკოპოსი და მისთანა მოციქული. და ვ[ითა]რ მოიწივნეს ადგილსა, რ[ომე]ლსა ჰქჳან ერუშეთი, და დაუტევნა მუნ ხურონი საქმედ ჩკლესიისა, დაუტევნა განძი და სამსჭუალნი ჲ[ფლ]ისანი და წარმოვიდა მანგლისს. და იწყო შენებად. დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ჩკკლესიისა და [63r] დაუტევნა ფიცარნი იგი ჲ[ფლ]ისანი. მაშინ შეწუხდა მირიან მეფე ამისთჳს, რ[ამეთუ] პ[ირვე]ლ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, ა[რამე]დ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევნეს ნაწილნი. ხ[ოლო] მოვიდა წმიდა ჩინო და ჰრქუა, ნუ ჰსწუხ, მეფეო, რ[ამეთუ] ესრეთ ჯერ არს, სადაცა მოვიდოდიან, და ჰსთესვიდენ სახელსა ღ[მრთ]ისას. ხ[ოლო] არს ქალაქსა ამას შ[ინ]ა დიდებული იგი სამოსელი უ[ფლ]ისა. მაშინ მოიყუანა მეფემან ჩბიათარ და მის თანა ჰურია-ნი მრავალნი, და გამოიკითხა მათგან კუართისა მისთ[ჳ]ს. და მათ მიუთხრეს ყ[ოველ]ი, რ[ომე]ლი ზემო წერილ არს. და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი მირიან მეფემან და ჰსთქუა: კ[ურთ]ხ[ეუ]ლ ხარ შენ, იესო ქ[რისტ]ე ძეო ღ[მრთ]ისა ცხოველისაო, რ[ამეთუ] პ[ირვ]ელიდგანვე გინდა კსნა ჩ[უე]ნი ეშმა-კისაგან და ადგილსა ბნელისა. ამისთ[ჳ]ს სამოსელი იგი შენი წმიდა წარმოეც წ[მიდ]ით ქალაქით შენით იერუსალემით, ებრაელთა მათ, ღ[მერთ]ებისა შენისა უცხო ქმნილთა, და ჩუენგან უცხოთა ნათესავთა.

ჱა წარემართა მეფე და ყ[ოველ]ი ქალაქი მტკიცედ ქ[რის]ტიანობასა, იწყეს ხუროთა შენე-ბად ეკკლესიისა გარე უბანთა მაყლოვანთა მათ მ[ედ]ა, საყოფელსა წ[მიდ]ისა ჩინოსთა, სადა აწ არს ეკკლესია საეპისკოპოსო.

მაშინ ჰრქუა წ[მიდამა]ნ ჩინო: კ[ურთ]ხ[ეუ]ლ არს უ[ფა]ლი ჩ[უე]ნი ი[ეს]ო ქ[რისტ]ე და მამა უ[ფლ]ისა ჩ[უე]ნისა, რ[ომე]ლ[მა]ნ მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ცათაგან მაღალთა, თჳთ ძლიერი-საგან საყდრისა გარდამოსრული ქ[უე]ყნად მდაბლად, შობილი უეჭუელად თესლისაგან დავითის-სა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წ[მიდ]ისა და უბიწოსა, რ[ომე]ლი სათნო ეყო მას მიზეზთა, მიზეზი ცხოვრებისა ჩ[უე]ნისა, რ[ომე]ლ[მა]ნ ცასა ქუეშე ყ[ოველ]ივე განანათლა [63v] და მორწმუ-ნენი აცხოვნნა, რომელი იშვა ვ[ითარც]ა კაცი, ნათელი ყ[ოველ]თა, ხატი ღ[მრთ]ისა მამისა, და ვ[ითარც]ა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელს იღო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცუა, დაეფ-ლა და აღსდგა მესამესა დღესა, და ამაღლდა სიმაღლესა მამისა თანა, და კ[უალა]დ მოვალს დიდე-ბით, რომელსა ჰშუენის ყ[ოველ]ივე დიდება, პატივი და თაყუანისცემა თანა მამით და სულით წმიდით.

Ⴑღმართებისათჳს პატიოსნისა ჯუარისა

Ⴒ[ითარც]ა ნათელ-იღეს მეფემან, და დედოფალმან, და შვილთა მათთა, და ყ[ოვე]ლ[მა]ნ ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა მ[ედ]ა ბორცუსა შეუვალსა, და იყო ხე იგი შუენიერი ფ[რია]დ და სულნელი. და ესე საკჳრველება იყო ხისა მისგან, რ[ამეთუ] ისარ-ცემული ნადირი, რომელი მოვიდის და ჭამის ფურცელი მისი და გინა თესლი მისი, განერის სიკუდილისაგან, დაღაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის.

Ⴛსე დიდად საკჳრველ უჩნდის პ[ირვე]ლთა მათ წარმართთა, და აუწყეს ეპისკოპოსსა იოანეს ხისა მისთ[ჳ]ს. ხ[ოლო] ეპისკოპოსმან ჰსთქუა აჰა ესერა, ჭ[ეშმარი]ტად პ[ირვე]ლიდგანვე დამარხულ არს ქ[უე]ყ[ა]ნა ესე ღ[მრთ]ისაგან მსახურად თჳსად, და ღ[მრთ]ისა მიერ აღმოსცენებულ არს ხე იგი დამარხული ჯამისა ამისთ[ჳ]ს. რ[ამეთუ] აწ მოეფინა მადლი ღ[მრთ]ისაგან, აღმოსცენდა ხე იგი დამარხული ამის ჯამისა ამისთჳს. რ[ამეთუ] აწ მოეფინა მადლი ღ[მრთ]ისა ქართლსა, და მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რ[ომე]ლსა თაყუანისცეს ყ[ოვე]ლ[მა]ნ სიმრავლემან ქართლისამან. Ⴓა წარვიდეს რევ, ძე მეფისა, და ეპისკოპოსი, და სიმრავლე ერისა, და მოჰუკუეთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოთურთ, და ფურცლით შემოაქუნდა ქალაქად.

და შემოკრბა ერი ხილვად მწუანის ფერობასა მას და ფურცლიანობასა, ჟამსა გაფხულის პირისასა, ოდეს სხუა ყ[ოველ]ი ხე ჴმელ იყო, ხ[ოლო] ესე [64r] ფურცელ დაუცჳნებელი და სუნ ჰამო და სახილველად შუენიერი. და ძირსა მ[ედ]ა აღმართეს ხე იგი კართა ეკკლესიისასა სამხრით, სადა ჰბერვიდა ნიავი ჰამ ნელი, და ჰშლიდა ფურცელთა ხისა მისათა, და იყო ხილვა მისი შუენიერი, ვ[ითარც]ა სმენით ვიცით, ხისა მის ალვისა. ესე მოჰკუეთეს მარტსა ოცდახუთსა, დღესა პარასკევსა. და დაადგრა ხე იგი დღესა ოცდაჩვიდმეტსა ეგრევე, და არა შესცვალა ფერი ფურცელმან მისმან, ვ[ითა]რ მცა ჰსდგა ძირსავე მ[ედ]ა მისსა, თავსა მ[ედ]ა წყაროსასა, ვი[დრე]მდის ყ[ოველ]ნი ხენმან მაღნარისამან შეიმოსნეს ფურცლითა, და ხენი ნაყოფის გამომღებელნი შეიმოსნეს ყუავილითა. Ⴣაშინ თუესა მაისსა ერთსა შეიქმნეს ჯვარნი ესე, და შვიდსა ამის თჳსასა აღემართნეს დადებითა მეფეთათა, სიხარულით და წადიერებით ყ[ოვლ]ისა ერისა ქალაქისათა, და იყვნეს ეკკლესიასა შ[ინ]ა. Ⴙხილა ყ[ოვე]ლ[მა]ნ ერმან ქალაქისამან ყ[ოველ]თა მათ დღეთა, აჰა, ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისა ზეცით და მის მ[ედ]ა გარემოს, მსგავსად გვირგვინისა ვარსკულავითა, და დაადგრის მ[ედ]ა ეკლესიასა, ვ[იდრ]ე განთიადამდე. და რიჟურაჟეს ოდენ გამოვიდიან მისგან ორნი ვარსკულავნი: ერთი წარვიდის აღმოსავლით და ერთი დასავალით, და იგი თავადი ეგრეთ ბრწყინვალედ ნელიად ნელიად განვიდის მიერ კერძო ახლოს წყაროსა მას ზემო კერძო არაგუსა, და დასდგის ბორცუსა მას კლდისასა, წყაროსა მას მ[ედ]ა, რ[ომე]ლი აღმოაცენეს ცრემლთა მათ წ[მიდ]ისა Ⴍინოსთა, და მუნით აღიმაღლის ზეცად.

Ⴓა ესრეთ მრავალგზის იხილა ყ[ოვე]ლ[მა]ნ ერმან მაცხოვარება ღ[მრთ]ისა ჩუენისა. მაშინ იწყეს კითხვად ნეტარისა Ⴍინოსსა, თუ რაჲ რას, [64v] რ[ომ]ელი გამოვალს ბრწყინვალე ვარსკულავი, და ერთი წარვალს აღმოსავლით ვ[იდრ]ე კახეთის მთამდე, და დასავლით ვ[იდრ]ე სანახებამდე ამის ქალაქისა, ხ[ოლო] მან მ[ი]უგო მათ Ⴒ[მიდამა]ნ Ⴍინო და ჰრქუა მათ ოდეს გამბრწყჳნდენ მთიებნი იგი, ნახონ თუ სადა დადგენ, მუნცა აღემართნენ ორნი იგი ჯუარნი ესე ქ[რისტ]ესნი: Ⴣაშინ ჰყო მეფემან ეგრეთ და შეიცვნა თავნი მთათანი მიწყებით, ხ[ოლო] დღე ესე იყო პარასკევი, და შაბათი განთენდებოდა. იყო იგივე სასწაული, და იქმნა ეგრეთვე, ვ[ითარც]ა პირველ იქმნის. ხუალისა დღე მოვიდეს დასავლისანი, რ[ომ]ელნი ჰსდგეს მთათა მ[ედ]ა ქუაბთა თავისათა, და მიუთხრეს მეფესა, ვ[ითარც]ა გამოვიდა ვარსკულავი იგი, ამაღლდა და მიიწია მთასა მ[ედ]ა თხოთისასა, გარდასავალსა კასპისასა, დაადგრა დაბასა ბუდს კახეთისა ქ[უე]ყ[ა]ნასა.

Ⴣაშინ უბრძანა ნეტარმან Ⴍინო: წარიხუენით ორნი ესე ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა იგი ღ[მერ]თ[მა]ნ გახილვათ ძალი მისი, და ერთი მიეც სალომეს, მჴევალსა ქ[რისტ]ესსა, და აღმართოს უჯარმას ქალაქსა. რ[ამეთუ] ბუდი, დაბა კუხეთისა, არა წინა აღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რ[ამეთუ] ერისა სიმრავლე არს მუნ ბუდსა. კულა დაბა თჳთ იხილოთ სათნო იგი ადგილი ღ[მრთ]ისა. და ჰყვეს ეგრე ვ[ითარც]ა უბრძანა დედოფალმან.

Ⴔ[ოლო] ესე სასწაულითა მეცისათა ჩუენებით ჯუარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს, კელითა კაცობრივითა, და მივედით ბორცვსა მას ქუეშე წყარისა მას მ[ედ]ა ათიეს ღამე, და ილოცეს ღ[მრთ]ისა მიმართ, და ნეტარი ჩინო ცრემლითა შეაზავებდა წყაროსა მას, და იქმნებოდეს კურნებანი [65r] და სასწაულნი დიდნი. Ⴔ[ოლო] ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას მ[ედ]ა. და მივიდა ნეტარი იგი ბორცვსა მას მ[ედ]ა, დავარდა ქუათა მათ მ[ედ]ა, სტიროდა თჳთ იგი, და მისთანა მეფენი და მთავარნი, და ყ[ოველ]ი სიმრავლე ერისა, ვ[იდრე]მდის მთანი კმა ჰსცემდეს. და დასდვა კელი ერთსა ქუასა და ჰრქუა ეპისკოპოსსა: მოვედ, რ[ამეთუ] შენდა ჯერ არს. დასწერე ჯუარი ქვასა ამას. და მან ჰყო ეგრეთ, და მუნ აღემართა ჯუარი იგი დიდებითა მეფეთაგან. და მოდრკა ერი იგი ურიცხვი, და თაყუანისცეს ჯუარსა, და აღიარეს ჯუარცმული ჭ[ეშმარი]ტად ძე ღ[მრთ]ისა ცხოველისა. და ჰრწმენათ სამებით დიდებული ღ[მერ]თი. Ⴔ[ოლო] დიდნი იგი მთავარნი რ[ომე]ლნი არა განეშორებდეს ეკკლესიასა წ[მიდა]სა, და სუეტსა ნათლისასა, და ჯუარსა მას ცხოველსა, რ[ამეთუ] ჰხედვიდეს სასწაულთა მათ უზომოთა და კურნებათა მიუთხრობელთა. და დღესა კჳრიაკესა აღვსებისასა ზატიკსა ჰყო მირიან მეფემან და ყ[ოვე]ლ[მა]ნ მცხეთამან, შესაწირავი და დღე იგი განაწესეს ჯუარისა მსახურებად, აღვსებისა ზატიკი, ყ[ოვე]ლ[მა]ნ ქართლმან მოდღენდელად ღღემდე.

Ⴓა იყო რაოდენისამე დღისა შ[ემდგომა]დ, მარტჳლიისა უკანას, იხილეს სასწაული დიდად საშინელი, დღესა ოთხშაბათსა აჰა ესერა, სუეტი ნათლისა, სახედ ჯ[უარ]ისა, ჰსდგა ჯუარსა მას მ[ედ]ა, და ათორმეტნი ვარსკულავნი, სახედ გვირგვინისა გარემოს მისსა, ხ[ოლო] ბორცჳ იგი ჯუარისა კმოდა სახედ სუნნელისა და ჰხედვიდეს სასწაულსა ამას ყ[ოველ]ნი, და მრავალნი უღთოთაგანნი მოიქცეს და ნათელს იღებს მას დღესა შ[ინ]ა. ხ[ოლო] ქ[რისტ]ეანენი უფროს მორწმუნე იქმნებოდეს და ადიდებდეს ღ[მერ]თსა. Ⴋერმე კ[უალად იხილეს სხუა სასწაული ჯ[უარ]ისა, [65v] ვ[ითარც]ა რა ცეცხლი ჰსდგა თავსა მ[ედ]ა მისსა, შჳდ წილად მზისა უბრწყინვალესი, მ[ედ]ა დაადგრა მას ვ[ითარც]ა სახმილისა ნაბერწყალნი აღვლ[ე]ნ, ეგრე სახედ ანგელოსნი ღ[მრთ]ისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას მ[ედ]ა. ხ[ოლო] ბორცვი იგი ჯ[ურ]ისა იძვროდა ძლიერად და, ვ[ითარც]ა სასწაული იგი დასცხრებოდა, ეგრეთვე ძრვა იგი დასცხრებოდა. ვ[ითარც]ა იხილეს სასწაული იგი, დაუკჳრდა ყ[ოველ]თა, და უფროსად და უმეტესად ადიდებდეს ღ[მერ]თსა. და ვ[ითარც]ა იქმნებოდეს წლითი წლად სასწაულნი იგი, და ყ[ოველ]ი ერი ჰხედვიდეს შიშით და ძრწოლით მოვიდოდეს თაყუანისცემად გულსმოდგინედ. Ⴋას ჟამსა ჲევსა, ძესა მეფისასა, ესვა ყრმა წული მცირე, და იყო სნეულ, და მიწევნილ იყო სიკუდილად. რ[ამეთუ] იგი ოდენ მხ[ოლო] ესვა მათ, მოიღო და დასდვა იგი წ[ინაშ]ე ჯუარსა, ცრემლითა ითხოდა, უკეთუ მო[მი]ბოძო ყრმა ესე ცოცხალი, აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა. და მუნთქვესვე განიკურნა ყრმა იგი. განკურნებული და განცოცხლებული წარიყვანა. Ⴋერმე მოვიდა აღნათქუამისა აღმასრულებად და ჰყო მადლისა მიცემა დიდითა სიხარულითა. და გულსმოდგინებით აღაშენა კუბო ჯ[უარ]ისა მცხეთისა რევ ძემან მეფისამან, და წლითი წლად მოვიდის და აღასრულის აღნათქუამი იგი მსხვერპლისა. და მიერიდგან უფროს მოვიდოდეს ყ[ოველ]ნი უძლურნი და სნეულნი, განიკურნებოდეს და სიხარულით აღიდებდეს ჯუარსა წ[მიდ]ასა ქ[რისტ]ესსა.

Ⴇყო ვინმე მამაკაცი ჭაბუკი, და ორნივე თუალნი დაბრმობილ იყვნეს, ჰსჯდა იგი წ[ინაშ]ე ჯუარსა ქ[რისტ]ესსა, და შ[ემდგომა]დ შჳდსა დღისა აღეხილნეს თუალნი და ადიდებდა ჯუარსა პატიოსანსა.

[66r] Ⴋერმე დედაკაცი ერთი იყო, მ[არა]დის გუემული სულისაგან უკეთურთა ეგეოდენ, რ[ომე]ლ ძალი და გონება მისი მიეღო რვასა წელსა, და სამოსელსა მისსა დაიპებდა. და ვ[ითა]რ მოიყვანეს და წ[მიდ]ასა ჯუარსა შეამთხჳვეს, შ[ემდგომა]დ ათორმეტისა დღისა განიკურნა და თჳსითა ფერჴთა წარვიდა. და ადიდებდა ღ[მერ]თსა და თაყუანისცემდა პატიოსანსა ჯუარსა.

Ⴋერმე კ[უალა]დ იყო ყრმა მცირე და მეყვსეულად დაეცა და მოკუდა. აღიღო დედამან მისმან და დააგდო იგი წ[ინაშ]ე ჯუარსა ყრმა იგი მომკუდარი დილეულიდგან მიმწუხრადმდე. ხ[ოლო] დედა მისი ტირილით ილოცვიდა წ[ინაშ]ე ჯუარსა და სხუანი ეტყოდეს: წარიღე დედაკაცო და დამარხე, რ[ამეთუ] მომკუდარ არს, და ნუღარა აწყინებ, ხ[ოლო] მან არა წარიკუეთა სასოება,

ა[რამე]დ უფროს და უმეტეს საწყალობელად ჰსტიროდა და ილოცვიდა. მწუხრისა ოდენ ჟამსა სულიერ იქმნა, და თუალნი აღიხილნა. და შ[ემდგომა]დ შჯდისა დღისა განკურნებული, და განცოცხლებული წარიყვანა ყრმა იგი დედამან მისმან. და ადიდებდა ღმერთსა.

Ცხილეს რა სასწაული და კურნება ყ[ოვლა]დ წ[მიდ]ისა ჯ[უარ]ისა, მრავალნი უშვილონი მივიდოდეს და ითხოვდეს შჯლიერებასა, და შვილ მრავალ იქმნებოდეს, და შესაწირავთა და მაღლთა ჰყოფდეს. არა თუ რომელნი მოვიდიან მათ ოდენ მიიღიან კურნება, ა[რამე]დ რომელნი შორით ითხოვდიან შეწევნითა წ[მიდ]ისა ჯუარისა მცხეთისაგან, მუნთქუესვე შეწევნითა მისითა მიიღიან მაღლი, მძლე ექმნებიან მტერთა და მოსწრაფედ მოვიდიან შეწევნად მაღლისა. ჱრავალნი უკუე უღ[მრ]თონი ოდესცა ჭირსა შთაცჯვდიან, რაჟამს ჰხადოდიან წ[მიდ]ასა ჯუარსა, მუნთქუესვე განერნიან ჭირისაგან და მოვიდიან შემთხუევად პატიოსნისა ჯ[უარ]ისა, და მრავალთა ნათელ იღიან [66v] და სიხარულით ადიდებდიან ღ[მერ]თსა. მრავალნი უკუე, მრავალსა ჭირსა შთაცჯნულნი, ძალითა პატიოსნისა ჯ[უარ]ისათა განიკურნეს მრავალნი პირად პირადთაგან სატანჯუელთაგან მოივლტიედ ვედრებად და მყის განიკურნიან მუნ ღღენდელად დღემდე და ადიდებდეს მამასა და ძესა წ[მიდ]ასა სულსა, რ[ომ]ლისა არს დიდება, აწ და მ[არა]დის და უკუ[ნითი] უკუ[ნისამდე] ამინ.

ჩიგნი რ[ომე]ლი მოუწერა პატრიარქმან რომისამან და ბრანჯთა მეფემან ჩინოს და მეფესა მირიანს და ყ[ოვ]ელსა ერსა ქართლისასა.

ჱათ ღღეთა შ[ინ]ა მოვიდა წიგნი რომით, წ[მიდ]ისა პატრიარხისა, ჩინოს და მეფესა და ყ[ოვლ]სა ერსა შ[ინ]ა ქართლისასა. და მოუვლინა ბრანჯი დიაკონი ქებისა შესხმად, და კ[ურთ]ხევისა მიცემად, და ამის ნეტარისა ჩინოსგან ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად. აქუნდა წიგნი ბრანჯთა მეფისა ჩინოსთანაცა და ამის მამისაგან ნათელსეღო ბრანჯეთს ყოველსა, და ესე ყ[ოველ]ი მისმენილ იყო იერუსალემით და კოსტანტინეპოლით, ვ[ითარმე]დ ქუ[ეყა]ნასაცა ქართლისასა მიეფინა მზე სიმართლისა. ამისთჯს სანატრელი წიგნი მოუწერა, რათამცა ეუწყნეს აქანი იგი სასწაულნი, სუეტისა მის და მაყულოვნისა, და ძალი იგი კურნებისა. ესე ყ[ოველ]ი იხილა, და მოისმინა სასწაულნი სუეტისა მის მაყულოვნისა და ძალი იგი კურნებისა. ესე ყ[ოველნ]ი იხილა და მოისმინა სასწაულნი იგი ყ[ოველნ]ი რ[ომე]ლნი ქმნილ იყვნეს მცხეთას, დიაკონმან ბრანჯთამან, და განკჯრვებული ადიდებდა ღ[მერ]თსა. წარიღო წიგნები და წარვიდა.

ჱაშინ მეფემან ჰრქუა წ[მიდ]ასა ჩინოს და ეპისკოპოსსა: მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვილითა მოვაქცივნეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღ[მრთ]ისასა და ვათაყვანნეთ [67r] პატიოსანსა ჯუარსა. მაშინ ჰრქუა მას [წმიდა] ჩინო არა ბრძანებულ არს უ[ფლ]ისაგან მახვილისა აღება, ა[რამე]დ სახარებითა და პატიოსანითა ჯუარითა უჩვენოთ გზა ჭ[ეშმარი]ტი, მომყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღ[მრთ]ისამან გაგანახოლოს ბნელი იგი გულთა მათთა. და წარვიდეს წმიდა ჩინო და ეპისკოპოსი იოანე, და მათთანა წარიყვანა მეფემან ერისთავი ერთი. და მივიდეს და დადგეს წუბენს, და მოუწოდეს მთიულთა, პირუტყვის სახეთა მათ კაცთა, ჭართარელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქ[რისტ]იანეთა ჭ[ეშმარი]ტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხ[ოლო] მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზ[ედ]ა, და ძლევით შემუსრნეს კერპნი მათნი. Ცარდამოვიდეს მუნით და დასდგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხ[ოლო] მათ შეიწყნარეს და ნათელ იღეს. ხ[ოლო] ფხოელთა დაუტევეს ქ[უე]ყანა მათი, და გარდავიდეს თუშეთს. და სხვანიცა მთიულნი არა მოიქცეს, ა[რამე]დ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღება. ამისთ[ჯ]ს წაკრბეს იგინიცა და შესცთეს, და რ[ომე]ლნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან, და რ[ომე]ლნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასვე შ[ინ]ა ღღესამომდე.

Ჴ[ოლო] წმიდა ჩინო ჩავიდა კახეთს, და მოაქცივნა იგინიცა. მერმე გარდავიდა ქუელ დაბას,

და მოუწოდა მთავართა კუხეთისათა, ხ[ოლო] მათ პ[ირვ]ლივე უწყობულიყო სარწმუნოება ქ[რისტ]ესი, და ნათლიღება მეფისა. სიხარულით შეიწყნარეს სწავლა მისი, და მოიქცეს და ნათელიღეს კელითა იაკობ მღუდლისათა, და მუნით მივიდა ბოდის. [67v] და მოვიდა მისსა დედოფალი კახეთისა სუჯი და მისთანა მთავარნი და მკვიდრები და მონა-მხევალთა სიმრავლე, და წარმოუთხრა მათ ქ[რისტ]ეს საიდუმლოსა განგებულებანი და ასწავა სიტყვითა ტკბილითა სარწმუნოება ჭ[ეშმარი]ტი და სასწაულნიცა იგი აუწყნა, რ[ომე]ლნი იქნებოდეს სუეტისაგან ცხოველისა. ხ[ოლო] მათდა წ[ინაჲს]წ[ა]რ უწყებულ იყო ყ[ოველ]ი.

Ჲ[ოლო] მათ სიხარულით შეიწყნარეს სწავლა ნეტარისა ჩინოსი და ნათელ იღო დედოფალმან და კუ[ხ]თა მთავართა და მხევალთა მისთა, და ვ[ითარც]ა ესრეთ სრულ პ[ირვ]ელ ქადაგება მისი ნეტარმან ჩინო და სრულჰყო ღუაწლი თჳსი, ეუწყა სულისა მიერ ჩ[მიდ]ისა განსვლა მისი ხორცთაგან და მისწერა წიგნთა მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯისა, რ[ომე]ლსა წერილ იყო ესრეთ: ჴესო ჳ[რისტ]ეს მონასა ერთგულსა და აღმსარებელსა ჩ[მიდ]ისა სამებისასა, და თანა შავერთებულსა ჩ[მიდა]თა მეფეთასა მეფესა მირიანს, გარდამოგივლინოს ღ[მერ]თან ცვარი წყალობისა ზეცით და ყ[ოველ]სა პალატ-ბანაკსა ერისა შენისასა, და იყავნ მფარველ თქუენდა ჯუარი ქ[რისტ]ესი, და მეოხება ყ[ოვლა]დ ჩ[უენ]ისა დედისა მისისა, რ[ომელ] მე, აჰა, ესერა მოვლე ზოგი რაჲმე ქ[ვე]ყნისა, და შეიწყნარეს ქადაგება ქ[რისტ]ესი და მოიქცაეს და ნათელიღეს, და თაყვანისცეს დამბადებელსა ღ[მერ]თსა და შენდა ჯერ არს სიხარული, რ[ომელთა] ღეთა შ[ინ]ა შენთა მოხედნა ღ[მერ]თ[ა]ნ თჳსთა დაბადებულთა და აღმუბრწყინვა ნათელი თჳსისა მეცნიერებისა. აწ დაიცევით მართალი სარწმუნოება ქ[რისტ]ესი, რათა მისთანა ჰსუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა ცათასა, რ[ომელი] მე, აჰა, ესერა ვ[ითარც]ა ერთი სოფლად შემოსრული, განჯალ ცხოვრებისაგან, და წარვალ გზასა მამათა ჩუენთასა, ხსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შ[ინ]ა ღ[ვთ]ისა [68r] დედოფალი სუჯი, რ[ომელ]ი მოვიდა ჭ[ეშმარი]ტსა ქ[რისტ]ეს სარწმუნოებასა და დამუსრნა კერპნი და მოაქცია ერნი ღ[ვ]თის მსახურებად, და მოუწოდა ძმასა და ასულსა მისსა და ვ[ითარმე]დ არტერეონ მთავარსა ასწავა მართლისა სარწმუნოება და ყ[ოველ]თა ბუდეს შ[ინ]ა ნათელს იღეს სახელითა მამისათა და ძისათა და სულის წ[მიდ]ისათა.

Ჩწ წარმოგზავნეთ ჩემდა წმიდა მამათმთავარი, რათა მომცეს საგზალი სულისა საუკუნო. რომელი მოახლოებულ არს აღსასრული ჩემი. და მიიღო რა წიგნი იგი ნინოსი დედოფალმან სუჯი სურვილითა აღძრული, თაყვანისცემისათ[ჳ]ს სვეტისა ცხოველისა. თვით მისწრაფედ წარემართა, რათა იხილოს და თაყვანისცეს ცხოველსა სუეტსა და ჯუარსა ცხოველსა და ყოველსა მას სიშორესა გზისას ფეხით ვიდოდა და ცრემლითა დაალტობდა ქვეყანასა. და ვითარცა მიიწივნეს პირისპირ სუეტისა ცხოველისა, იხილეს რა წყალი იგი არაგვი უმეტეს ზომისა დიოდა. რომელი მირიან მხედარმთაგანმან წარვიდა და რომელნიცა შთავიდიან გარეშე უკუნიქციან დაყენებულნი სიმძაფრისაგან წყლისა მისგან დიდისა, Ჲ[ოლო] ვითარცა იგი [...]მიმავალი ღვთისა წყალთა ზედა ვიდოდა, ეგრეთვე ამან დედაკაცმან სავსემან სარწმუნოებითა ქრისტესითა. და სურვილითა სვუეტისა ცხოველისათა და მინდობილმან სარწმუნოებასა მას მარცვლისა მდოგვისასა აღიბეჭდა თავი თჳსი ჯვრითა ქრისტესითა, და აღვიდა ვ[ითარც]ა [...]. ხ[ოლო] ჰხედვიდეს იმიერ მთავარეპისკოპოსი იოანე და ყოველი ერი და ვ[ითარც]ა შევიდა წყალთა მათ შ[ინ]ა მართლ უკუნ იქცა მდინარე იგი. ხ[ოლო] იგი განვიდა ხმელად. მაშინ მიეგება მეფე და მთავარეპისკოპოსი შეპყრობილნი შიშითა და საკჳრუელებითა და შევიდეს Ⴇკლესიად წ[მიდისა] სუეტისა [68v] ცხოველისა და ილოცა ცრემლითა მჯურვალითა და შესწირა თავი თჳსი შვილითურთ და ყ[ოველ]ი მონაგები თჳსი და ქალაქიცა იგი მცირე ბარათიანი და დაბა დიდი ბოდისი და იხარებდა სულითა მაშინ გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოსი და მისცა მეფესა და წარიკითხა რა იგი, აღივსო ცრემლითა. Ოა მიავლინეს ეპისკოპოსი Ⴇოანე წარმოყვანებად. ხ[ოლო] წმიდა ჩინო არა ერჩდა. და წარვიდა თჳთ მეფე და დედოფალი ნანა, და სიმრავლე ერისა. და მოვიდეს მისსა, შეკრბა სიმრავლე ერთა ურიცხვთა. და ჰხედვიდეს ყ[ოველ]ი იგი ერი პირსა ჩინოსსა, ვ[ითარც]ა ზეცისა ანგელოზისასა, და მოსწყუედდიან ფესვსა სამოსლისა მისისასა, მიიღებდეს და ემთხუეოდეს სარწმუნოებით, და იძულებით ევედრებოდეს ყ[ოველ]ნი დედოფალნი, გარემოს მსხდომარენი, რ[ომე]ლთა გარდა-

მოსდიოდეს ცრემლნი თუალთაგან მათთა, განშორებისათ[ჯ]ს მოძღურისა მის და მოღუაწისა, და სნეულთა მკურნალისა კელოვანისა. და ეტყოდეს სალომე უჯარმელი. პეროჟავრი სივნელი და მათ თანა ერისთავნი და მთავარნი ჰკითხვიდეს, თუ „ვინაჲ ანუ სადათ, ანუ ვ[ითა]რ მოხვედ ქუეყანასა ამას მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადამე იყო აღზრდა შენი, დედოფალო; მაუწყე ჩუენ საქმე შენი. რასა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო, რ[ამეთუ] ესერა გჳსწავიეს შენ მიერ, ვ[ითარმე]დ ყოფილ არიან წინასწარმეტყ[უე]ლნი პ[ირვე]ლ ძისა ღმრთისა, და შ[ემდგომა]დ მოციქულნი ათორმეტნი. და ჩუენდა არავინ მოავლინა ღ[მერ]თ[მა]ნ, სხვა გარნა შენ, და ვ[ითა]რ იტყვი, ვ[ითარმე]დ: ტყუე ვარ, ანუ ვ[ითა]რ უცხო. ხ[ოლო] მაშინ იწყო სიტყუად ჩ[მიდამა]ნ ჩინო და ჰსთქუა: ასულნო სარწმუოებისანო, მახლობელნო დედოფალნო ჩემნო, გხედავ თქუენ, [69r] ვ[ითარც]ა პ[ირვე]ლთა მათ დედათა, ყ[ოველ]თა სარწმუნოებასა და სიყუარულისა ქ[რისტ]ესსა, და გნებავს გზათა ჩემთა ცნობა, გლახაკისა მკევლისათა. და გაუწყოცა, რ[ამეთუ] ესერა მოსრულ არს სული ჩემი კორკად ჩემდა, და მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ. ა[რამე]დ მოიხუენით საწერელნი და დაწერეთ გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა თქვენთა სარწმუნოება თქუენი, და შეწყნარება ჩემი, და სასწაულნი ღმრთისანი, რომელ გიხილვან.

ჰაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროჟავრი სივნელმან: იწყო სიტყუად ჩ[მიდამა]ნ ჩინო, ხ[ოლო] იგინი ჰსწერდეს. და წარმოუთხრა ყ[ოველ]ი, რომელი ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება მის წ[მიდ]ისა და ნეტარისა. და შეჰვედრა მეფესა იაკობ მღუდელი, რათა შემდგომად იოანესსა იგი იყოს ეპისკოპოს. ჱ[ოლო] იოანე ეპისკოპოსმან შეწირა მსხუერპლი ი[მრ]თისა და აზიარა ჩმიდა ჩინო კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელი იგი წარიძღუანა საგზლად საუკუნოდ და შეჰვედრა სული თჳსი მეუფესა ცათასა, და წარვიდა საუკუნეთ კეთილთა ესრეთ შემკულთა მოციქულებისა მაღლითა, და ბრწყინვალე ქალწულებითა და განშვენებული სიმრავლითა ღუაწლითა წარმოუდგა ჩ[მიდ]ასა სამებასა და მიართვნა ძღვნად სიმრავლენი ერთანი და ღუაწლთა მრავალთა განკაფული სოფლისა ამისგან საუკუნოდ აღვიდა ოცდამეათხუმეტესა წელსა ქართლს შემოსვლისა მისასა, და ჰ[რისტეს] ამაღლებიდგან სამას ოცდამეათვრამეტესა წელსა, და დასაბამიდგან წელთა ხუთი ათას შვიდას ოცდამეათვრამეტსა.

მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა, და ყ[ოველ]ი ქართლი, მიცვალებასა მისსა, [69v] მუნ მივიდოდეს სიმრავლე ერის ფ[რია]დისა და ურთიერთას დასთრგუნვიდეს, რ[ა]თა შეეხნენ ფესვსა სამოსლისა მისისასა. ხ[ოლო] მეფემან ძლით დააცხრო შფოთი იგი ერისა. და განიზრახა რათა გვამი მისი აღიყუანოს და დაკრძალოს მახლობლად სუეტისა ცხოველისა. და ვ[ითარც]ა ხელჰყვიან აღებად გვამისა მის ჩ[მიდ]ისა კელნი მათნი უქმ იქმნიან და ყ[ოვლა]დ [….]. მაშინ გულის კმაჰყვეს და დაკრძალეს მასვე ადგილსა ზ[ედ]ა კუხეთს დაბასა ბოდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თჳთ დაფვლა მეფისაგან, განგებითა ი[მრთ]ისათა და სიმდაბლისათ[ჯ]ს ჰქმნა ესე წმინდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხ იყო. და მწუხარე იყო მეფე და ყ[ოველ]ნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, ა[რამე]დ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისათჳს დაფლეს მუნ. და ეკლესია აღუშენეს და ეპისკოპოსი განაჩინეს მას ზ[ედ]ა. ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივჰსცეს ჩ[მიდ]ასა და ნეტარსა და განმანათლებელსა ქართლისა, კახეთის და ჰერეთისა, სამგზის სანატრელსა, ი[მრ]თივ დიდებულსა ჩინოს.

ჳა ვ[ითა]რ აღესრულა ესე ყ[ოველ]ი, ღმრთივ განბრძნობილმან მეფემან ჰირიან, განამტკიცა ყ[ოველ]ი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზ[ედ]ა სამებისა, ერთარსებისა, ღმრთისა დაუსაბამოსა, დამბადებელისა ყ[ოვლ]ისასა, და განმტკიცნეს სრულსა სარწმუნოებასა ზ[ედ]ა.

ჰაშინ ჳეისარსა კოსტანტინეს, რ[ომე]ლ ჰყვა მძევალი, ძე მირიანისი, რ[ომე]ლსა ერქუა ზაქარ, წამოგზავნა იგი მეფემან კოსტანტინე ნიჭითა დიდითა, და მოუწერა: ჰე, ჳოსტანტინე მეფე, თჳთმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პ[ირვე]ლ ეშმაკისაგან წარტყუენული და მერმე გამოჴსნილი დამბადებელისა მიერ, მოვსწერე შენდა ი[მრ]თივ-განბრძნობილისა და ჩემთანავე ახალნერგისა, მორწმუნისა მეფისა [70r] მირიანისა. იყავნ შენ თანა მშჳდობა და სიხარული, ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიჴმს მე შენგან მძევალი, ა[რამე]დ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ჰ[რისტ]ე, ჰე ი[მრთ]ისა, პ[ირვე]ლ

საუკუნეთა შობილი, რომელი განკაცნა კ̃სნისათჳს ჩუენისა, და ⵅუარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩუენდა წ̃ინამძღურად, გულითა მოსავთა მისთა, და შუამდგომლობითა ი[მრთ]ისა დამბადებელისათა, ვიყუნეთ ჩუენ სიყუარულსა ზ[ედ]ა ძმებრივსა. და შვილი შენი შენდავე მიმინიჭებია, იხილე და განიხარე, და ი[მრთ]ისაგან მივლინებული ⷦნგელოზი მშჳდობისა იყავნ შენ თანა, მარადის განსდევნენ ი[მერ]თმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღუართაგან შენთა.

ჰოვიდა ლაქარ, ძე მეფისა მირიანისი, და ჰოციქული ḳოსტანტინე მეფისა ḳეისრისა მცხეთას. აღივსნეს სიხარულითა ჰირიან მეფე და ნანა დედოფალი, და მადლობდეს ი[მერ]თსა, ნიჭითა სრულთა მომცემელსა. მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა, და მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომელსა მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს აკლდამასავე, რომელი თჳთ მასვე, რევს, აღეშენა. და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა:

ჳა მოიყვანა ძე თჳსი ლაქარ, და ცოლი მისი ჩანა, და ჰრქუა: აჰა, ესერა, მე წარვალ ვინაცა მოვედ, და ვმადლობ მრავალმოწ̃ყალესა ღ[მერ]თსა, დამბადებელსა ცისა და ქუეყანისასა, რ[ომელმან] წ̃არტყუენული ეშმაკისაგან მიჴსნა მე პირისაგან ჯოჯოხეთისა, და ღირს მყო მე [70v] მარჯუენით მისთანა. შენ, ნანა, უკეთუ გეცესღა მოცალება ცხოვრებისა ჩემისა შ[ემდგომა]დ, განყავ სამეფო განძი ჩუენი ორად, და მიიღე სამარხავსა ჩინოსსა განმანათლებელისა ჩუენისასა, ჟამთა შეცვალებისათ[ჳ]ს, რათა არა შეირყჳოს უკუ[ნისადმე] ადგილი იგი. რ[ამეთუ] მეფეთა საჯდომი არა არს, ა[რამე]დ მწ̃ირ არს. და ეგრეთვე დაჰვედრა ეპისკოპოსსა, რათა ადიდონ დაბა მის ადგილისა, რამეთუ ღირს არს პატივისცემასა.

ჴ[ოლო] ძესა თჳსსა ჰრქუა შვილო ჩემო, შეიცვალა ბნელი ჩ[ე]მი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად. შენდა მომიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა. ი[მერ]თ[მა]ნ, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან, დაგამტკიცენ შენ სრულსა სარწ̃მუნოებასა ზ[ედ]ა, იწ̃ურთიდი ყ[ოვლა]დ მცნებათა ძისა ღ[მრთ]ისათა, და დაადგერ ს[რულია]დ მათ ზ[ედ]ა და სახელსა ზ[ედ]ა ქ[რისტ]ესსა სიკუდილი ცხოვრებად გიჩნდინ, რ[ომ]ლითა წ̃არუვალი ცხოვრება მოიგო, და, სადა ჰპოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დასწ̃უენ, და ნაცარი შეასუ, რ[ომე]ლნი მათ ესვიდენ. და ეს შვილთაცა შენთა ამცენ, რ[ამეთუ] მე ვიცი იგი, რომელ კავკასიათაცა შ[ინ]ავე დაილევიან. ხ[ოლო] ამას შეუდეგ შენ გულითა შენითა, და თავი შენი შეჰვედრე ძესა ღ[მრთ]ისასა, პ[ირვე]ლ ჟამთა შობილსა, და განკაცებულსა, და ვნებულსა კ̃სნისათ[ჳ]ს ჩუენისა, და წ̃არძღუანებითა პატიოსნისა ჯ[უარ]ისათა ჰსძლო მტერთა, ვ[ითარც]ა აქუს ჩვეულება გულით მოსავთა შენთა.

ჳა პატივს ჰსცემდი სუეტსა მას ღმრთივ აღმართებულსა. და იყავნ ყ[ოვლ]ითურთ სასოება შენი მისსა მ[იმა]რთ, და იყავნ მისვლა შენი ძილად საუკუნოდ სარწ̃მუნოებასა ზ[ედ]ა წ̃[მიდ]ისა სამებისასა. და მოაყუანა შინა ჯუარი იგი ჩინოსი, რ[ომე]ლი პ[ირვე]ლიდგან აქუნდა, და ჩამოჰკიდა გვირგვინი სამეფო ჯუარსა მას, და მოიყვანა ძე თჳსი ლაქარ, და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა, [71r] და აღიღო გჳრგჳნი ჯ[უარ]ისაგან და დაადგა თავსა ძისა თჳსისასა. და აღესრულა მირიან მეფე, და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სუეტსა სამხრითს, ჩრდილოთ კერძო. და მას სუეტსა შ[ინ]ა არს ნაწ̃ილი ღ[მრ]თივ აღმართებულისა მის სუეტისა. და მეორესა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სუეტსა დასავალით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო. და დაჯდა მეფედ ძე მისი ლაქარ, და იყო მორწ̃მუნე, ვ[ითარც]ა მამა მისი. ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რ[ომე]ლნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა. და შთავარდა შ[ორი]ს მისსა, და სომეხთა მტერობა. რ[ამეთუ] სომეხნი ბაქარის ძმისწ̃ულისა, რევის ძისა, თრდატ მეფის ასულისწ̃ულისა მეფობასა ლამობდეს ქართლს.

ჴ[ოლო] ესე ლაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა მამის ძმისწ̃ულსა მისსა, დაემოყვრა და გაუცვალა ქ[უე]ყ[ა]ნა და სიძესა მისსა ფეროზს, რ[ომ]ელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისაგან, და მისცა მის წ̃ილლ სამშჳლდითგან მიმართ ქ[უე]ყ[ა]ნა, ვ[იდრ]ე თავადმდე აბოცისა. მაშინღა ნათელ იღო ფეროზ, და ერმან მისმან, და მოირთეს ძალი ხუასროსაგან, და ეწ̃ყვნეს სომეხთა ჯავახეთს, ჰსძლეს და აოტნეს სომეხნი. მაშინ მეფემან ბაქარ, შუამგდომელობითა ბერძენთა მეფი-

სა და სპარსთა მეფისათა, დასწერა კელით წერილი ძმისწულთა მისთა, და დედისა მათისა სალომესგან, ვ[იდრე]მდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რ[ომე]ლსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მათი იყოს მეფობა, არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა. ჰაშინღა მოიყვანა ძმისწულნი თჳსნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად. ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შ[ინ]ა [71v] აღასრულნა, და განმრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყ[ოველ]სა ქართლსა და რანსა შ[ინ]ა ეკკლესიათა მსახურებად. ამან აღაშენა ეკლესია წილკანისა. მოკუდა და დაეფფლა ძმისავე თჳსსა თანა. და დაჯდა ძე მისი მირდატ, და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შ[ინ]ა. და ამან აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შ[ინ]ა, რამეთუ კევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ შ[ინ]ა დაადგინნა მღდელნი. მოძღურად კლარჯთა, და ჰმატა შენება და შემკობა ერუშეთისა და წუნდისა ეკკლესიათა.

ჰაშინ, ამის მირდატის მეფობასა, იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისგან ნაწილისა განღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იყვის ნაწილი სუეტისა ცხოველისა, და არა აყენებდა ჰირდატ მეფე ნაწილისა განღებად, რ[ამეთუ] ეპისკოპოსმან, ჭ[ეშმარი]ტმან ლაკობ, ეგრეთ ჯერ იჩინა, და ჰსთქუა მინიჭებულ არს უ[ფლ]ისაგან, და ჯერ არს სუეტისა მის ღ[მრ]თივ აღმართებულისა ქმნა სახედ ჯ[უარ]ისა. და განეფინა ყ[ოველ]თა აღგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა.

ჰაშინ ამან მეფემან მირდატ მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარი და რ[ომე]ლი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარე მოქმნა ქჳტკირითა, და აღამაღლა ქჳტკირი პ[ირვე]ლ სუეტისა ოდენად, და თავსა ზ[ედ]ა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი ძელი განმაცხოველებელი, და ყ[ოველ]ნი დღენი ცხოვრებისა მისისანი უშფოთველად აღასრულა სარწმუნოებასა შ[ინ]ა დიდსა, და იგიცა წარვიდა კუალსა მამათა მისთასა, შემკული ღ[მრთ]ისა სათნოებითა, ხ[ოლო] რაჟამს მოხედვა ჰყო უ[ფალმა]ნ ქართველთა ზ[და]ა და ინება წ[მი]ნ[და] ღ[ვთ]ის მშობელმან, რ[ომ]ლისა ნაწილნი ვართა და ნათელ გვიღებიეს სახელსა ზ[ედ]ა ძისა და ღ[ვთ]ისა მისისა ქ[რისტ]ეს ღ[ვთ]ის წმ[იდ]ისასა [72r] მადლითა და შეწევნითა [...] მის ჩ[მი]ნ[დ]ისა ი[ვთ]ის მშობელისა დედოფლისა მ[არა]დის ქალწულისა ჰარიამისათა, არაოდეს მიდრეკილ არს გული ჩ[უე]ნი ურწმუნოებად სამებისაგან წ[მიდ]ისა ერთარსებისა. ჲ[ოლო] ბერძენნი მიიქცეს კერპთმსახურებად და დაეცნეს, ხ[ოლო] ჩვენი ესე კეთილი სარწმუნოება, რ[ომე]ლი მოგვცა გვიპყრეს მეოხებითა წ[მიდ]ისა ღ[ვთ]ის მშობელისათა და ზედა მდგომელობითა განმანათლებელისა ჩ[უენ]ისა წ[მი]ნ[დ]ისა ჩინო მოციქულისათა.


ჲ[ოლო] შ[ემდგომა]დ ჰირიანისა მეათე მეფე იქმნა ჴახტანგ გორგასლან, და [...] ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა და ქ[რისტ]ეს სარწმუნოება კეთილად დაიცვა, და შ[ემდგომა]დ რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და ჟამსა მას იყო ჰიხაილ მთავარეპიკოპოსად, და დაჯერეს ვ[ითარმე]ღ ვახტანგ ქ[რისტ]ეანობა დაუტევაო, ხ[ოლო] მან ირწმუნა, და მი-რა-ვიდოდა ჴახტანგ მოკითხვად მისსა, ფერხი შეხარა და კბილნი შეალეწნა, ხ[ოლო] მეფემან ჴახტანგ სიმშჯდით ღ[მერთ]ისათჳს და ითმინა იგი, და არა რაჲ ბოროტი შეამთხჳა, გარნა წარგზავნნა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრიარხისა კათოლიკოსი, და მათ წარმოავლინეს პეტრე კათოლიკოზად, ხ[ოლო] ვახტანგ აღაშენა ქუემო ესე დიდი ეკკლესია, და დასვა მას შ[ინ]ა პ[ირვე]ლად კათალიკოსად პეტრე, ღირსი და მდაბალი, და დაამდაბლა, პატივი სამთავროჲსა. მან ჴახტანგ აღაშენა ტფილისი, და მცხეთა ქალაქი მუნ მისცვალა, ამანვე დაიმორჩილნა ოვსნი, და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, და აღაშენა მას ზ[ედა]ა გოდოლი, და დააყენა მას ზ[ედ]ა [72v] შ[ინ]ა მცველნი მახლობელნი მის აღგილისანი და უწოდა მათ კარად დარიალანი და აწ თჳნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ხელეწიფების გამოსვლად ოვსთა და ყივჩაყთა. ამან ვახტანგ [...] სპარსთა და დაიმორჩილნა, რ[ომელი] იყო საზარელ და გოლიათი. და განთქმულ ყ[ოვლი]სა ქუეყანასა, რ[ომელ] იყო სიგრძე მისი ათორმეტი მტკაველი, და აწცა საცნაურ არს იგი სამოსლისა და აბჯარისა მისისაგან. ხ[ოლო] ფ[რია]დ შემკული ღ[ვთ]ის მსახურებითა დიდი ჴახტანგ.

ჳა მოკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შ[ინ]ა, მონა უფლისაგან მისისა რ[ომელ] იცოდა განახევი ჯაჭვისა ღლიასა ქუეშე და აღიპყრნა რა კრმალი თჳსი, რათა ჰსცეს კაცსა სპარსთაგანსა,

მიწამან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკლა, და †[რისტ]ესთ[ჯ]ს იწამა ქ[რისტ]ესმოყვარე იგი მეფე და არს საფლავი მისი წ[ინაშ]ე სვეტისა ცხოველისა. ხ[ოლო] შ[ემდგომა]დ მისსა მოიწივნეს სპარსთაგან ქართველთა მ[ედ]ა დიდნი ჭირნი, და ფ[რია]დნი სულნი მოსწყჳდნეს, და ქ[უე]ყანანი დაიპყრნეს, და მრავალნი იწამნეს სახელისათჳს †[რისტ]ესისა რ[ომელ]თანიმე წიგნნი აღიწერნეს და რ[ომე]ლთანიმე დაშთეს აღუწერელად, გარნა ყ[ოველ]ნი აღწერილ არიან წიგნსა ცხოველთასა. ☉ა მისსა შ[ემდგომა]დ გამოვიდა ჰერეკლე მეფე, და შეერთნეს ქართველნიცა, და შევიდა სპარსეთს, და შეწევნითა ი[მრთ]ისათა შემუსრა საპარსეთი, და ტაძარნი და ბომონი მათნი, და ხუასრო მეფე და ძელი ცხოვრებისა, რ[ომე]ლი წარეტყვნა სპარსთა, წარმოიყვანა, და ძლევა შემოსილი შემოვიდა სამეფოდვე. ☉ა მისსა შ[ემდგომა]დ განეფინა ქადაგება მაჰმედ უსჯულოსა, და მრავალი ერი შეუდგა მას. შ[ემდგომა]დ მისსა გამოვიდეს სპარსნი, და პონტომდე მოიწივნეს, და ყ[ოველ]ი კაბადუკა დაიპყრეს, და ვ[ითა]რ იგი იყო კურთხევა კათოლიკოზისა ანტიოხიით, ვერღარა ვის კელ-ეწიფებოდა სჯლად გზასა ანტიოქიასას [73r] ამისთჳს დიდი ზრუნვა აქუნდა ქართუელთა, ხ[ოლო] დღეთა თეოფილე ანტიოქელ პატრიარხისათა წარავლინეს მოციქულნი და მიუთხრეს ამის პირისათჳს, ხ[ოლო] თეოფილე ჰყო კრება საზოგადო და განაწესეს, რათა შეკრბებდიან ეპისკოპოსნი სამრეკლოსა მისისანი და აკურთხევდენ კათალიკოზსა, რ[ომე]ლიცა ჰსთნდეს მეფესა და ერსა და ამისა პირისათჳს დასწერა წიგნი, დაბეჭდულად წარმოგზავნა.

Ⴢ[ოლო] ვ[ითა]რ იგი: პ[ირვე]ლ იყვნეს ასნი სოფელნი სასყიდლად მირონისა, ამისწილ განუწესა ასი დრაჰკანი: ხ[ოლო] შ[ემდგომა]დ ამისა ვ[ითარმე]დ ესოდენ განაჩინეს, რათა სახელით ოდენ მოიხსენებოდეს პატრიარხი ანტიოხელი ქართლს.

ესრეთ განაგეს ქართლისა ეკკლესიათა წესი და ქცევა.
და ესრეთცა არს, ყ[ოველ] ღღეინდელად ღღემდე,
საღიდებლად ☧ამისა და ☧ისა
და ☧[მიდ]ისა სულისა, აწ და
მ[არა]დის და უკუ[ნითი]
უკუნი-
სამდე
ამი
ნ:
~
..
~
.



ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული წმინდა ნინოს „ცხოვრების“ ხელნაწერი

MANUSCRIPT OF THE *VITA* OF SAINT NINO IN THE BODLEIAN LIBRARY

David Kolbaia

To the deed of Saint Nino – the Illuminatrix of Georgians – are dedicated many hagiographical writings. They can be grouped as different redactions of the Saint's *Vita*. One of such redactions is kept in the Bodleian Library (Marjory Wardrop collection MS.Wordr.e.2). Manuscript is dated by ca. 18th century. In general, it follows the redaction composed by Leonti Mroveli (Georgian historian of the eleventh century) included in the collection of the old Georgian historical writings *Kartlis Tskhovreba.* Despite a palpable similarity of the text in question with the text by Mroveli, the former shows some discrepancies with the later. Just these specific features of the *Vita* kept in Bodleian Library attracted my attention and gave me motivation to publish full text of it.


This publication might be helpful for the researchers who study the hagiographical cycle dedicated to the deeds of Saint Nino and who aim to represent its full history.

წიგნების მიმოხილვა
BOOK REVIEWS

გარეჯისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული

ლადო მირიანაშვილი

გამოიცა 2019 წლის 18-20 აპრილს თბილისში გამართული, გარეჯისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „დავითგარეჯი: მულტიდისციპლინური კვლევა და განვითარების სტრატეგია“. კრებული გამოსცეს ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. კრებული მთლიანად ინგლისურენოვანია. ენობრივი თვალსაზრისით, ტექსტები კარგადაა გამართული, რაც კრებულის რედაქტორის – ორი ზ. სოლტესის დამსახურებაა.



კრებული შესავალი ნაწილისა და ხუთი ნაკვეთისაგან შედგება. შესავალ ნაწილში შესულია პროექტის ხელმძღვანელის, ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტის, საქართველოში ევროპა ნოსტრას წარმომადგენლის მაკა დვალიშვილისა და ევროპა ნოსტრას გენერალური მდივნის სნეშკა ქაიდვლიგ-მიხაილოვიჩის წერილები, აგრეთვე, ევროპა ნოსტრას ვიცე-პრეზიდენტის პიტ ჯასპაერტის წინასიტყვაობა.

კრებულის პირველი ნაკვეთი ევროპა ნოსტრასა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის მისიის ანგარიშს ეთმობა, რომელიც გაიანე კასნატიმ მოამზადა. ანგარიშში შეფასებულია გარეჯის მონასტრების, ძირითადად ინტერიერების, შელესილობისა და კედლის მოხატულობის მდგომარეობა და რეკომენდაციები გადაუდებელი სამუშაოების თაობაზე.

მეორე ნაკვეთში შესულია სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: გარეჯის ისტორიული გეოგრაფია, არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის მდგომარეობა, ნათლისმცემლის მონასტერში სამარხის გახსნის შედეგები, წმ. დავითის ლავრაში გათხრის დროს აღმოჩენილი სამონასტრო ჭურჭლის მიმოხილვა, სამონასტრო ცხოვრების წესი, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში დაცული ცნობები, უდაბნოს მონასტრის ერთ-ერთ ნაკაწრ წარწერაში მოხსენიებული პირების იდენტიფიცირება, ქოლაგირის მონასტრის ტაძარში გამოსახული ისტორიული პირების იდენტიფიცირება, დოდორქის მონასტრის ქვაბოვანი კომპლექსების ხუროთმოძღვრების აღწერა და ანალიზი, დოდორქის მონასტერში ახლადგამოვლენილი გუმბათოვანი სამლოცველოს ხუროთ-მოძღვრების და მოხატულობის ანალიზი, თეთრი უდაბნოს სამლოცველოს სააფსიდე გამოსახულების თეოლოგიური შინაარსი, ხელოვნების მუზეუმში დაცული, წმ. დავით გარეჯელის ხატების მიმოხილვა.

კრებულის მესამე ნაკვეთი ეთმობა გარეჯის მონასტრების საერთაშორისო კონტექსტში გააზრების საკითხებისადმი მიძღვნილ კვლევებს. აქ შესულია უცხოელ მეცნიერთა მოხსენებები, რომლებშიც გარეჯის მონასტრების ზოგადი გეგმარება, კლდოვანი ხუროთმოძღვრება და კედლის მოხატულობა უცხოური ანალოგების ფონზეა განხილული.

კრებულის მეოთხე ნაკვეთი გარეჯის ბუნებრივ მემკვიდრეობას – განამარხებულ ცხოველებს, ფლორისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას, აგრეთვე, გარეჯის ტერიტორიაზე მომხდარ ისტორიულ მიწისძვრებს ეთმობა.

კრებულის მეხუთე ნაკვეთში შესულია მოხსენებები, რომლებშიც გარეჯის მენეჯმენტისა და დაცვის, მათ შორის, კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკისა და სტაბილიზაციის საკითხებია განხილული.

კრებული მკითხველს შესაძლებლობას აძლევს ეზიაროს გარეჯის შესახებ დღეისთვის არსებულ ცოდნას მეცნიერების ფაქტობრივად ყველა დარგში და გაეცნოს ჩვენამდე მოღწეული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობასა და მისი დაცვის გზებს.

კრებულის ჩამოტვირთვა შემდეგი ვებ-მისამართიდან შეიძლება: https://www.gaccgeorgia.org/Symposium/Gareji%202019/Gareji%20NET.pdf

PROCCEDINGS OF THE INTERNATIONAL CONFERENCE DEDICATED TO DAVITGAREJI

Lado Mirianashvili

The Davitgareji conference proceedings have been published. They contain the papers presented at an International conference “Davitgareji – Multidisciplinary Study and Development Strategy” held on 18-20 April, 2019 in Tbilisi.

The volume consists of a prologue and five parts.

Europa Nostra and the European Investment Bank Institute mission report is presented in Part 1 of the Proceedings. Mainly the state of interior plastering and wall paintings is assessed, and actions necessary for safeguarding and development of the monastic complexes is proposed.

Part 2 of the volume contains scientific contributions which cover various aspects of the study: historical geography, archaeology, monastic life, hagiography, graffiti, architecture, wall paintings and icons.

Papers about rock-cut monasteries, their architecture and wall paintings conceived in an

international context can be found in part 3 of the collection.

Part 4 contains papers on natural heritage of Davitgareji.

Papers in part 5 of the volume concern the issues of site management and preservation.

The papers present an overview of all aspects of the study and latest scientific knowledge on Davitgareji.


The text can be accessed online at https://www.gaccgeorgia.org/Symposium/Gareji%20 2019/Gareji%20NET.pdf

ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე

ლადო მირიანაშვილი

დაფუძნდა ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო – მოამბე. ჟურნალი შედგება საინფორმაციო და სამეცნიერო ნაკვეთებისგან. საინფორმაციო ნაკვეთი იხსნება ირაკლი ფაღავას წერილით ქართული ნუმიზმატური საზოგადოების დაარსებისა და საქმიანობის ისტორიის შესახებ. ამავე ნაკვეთში დაბეჭდილია საზოგადოების წესდება, ბიუჯეტი და გზამკვლევი ავტორებისთვის.

ჟურნალის სამეცნიერო ნაკვეთში შვიდი სტატიაა დაბეჭდილი. ი. ფაღავას, დ. ბლიაძისა და პ. ჭუმბურიძის ერთობლივი სტატიით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის დავით IV აღმაშენებლის უშუალო მემკვიდრეების მიერ მოჭრილი ე.წ. ორმაგი (ანუ ერთზე მეტი წყვილი სიქის ანაბეჭდის მატარებელი) მონეტები. აღწერილია მეფეების დემეტრე I-ისა და გიორგი III-ს, აგრეთვე მეფე თამარისა და ვინმე გიორგის მიერ მოჭრილი მონეტები. ავტორები ასკვნიან, რომ სიქების ორ-ორჯერ დარტყმა იყო არა შემთხვევითობა, არამედ წინასწარ გამიზნული ქმედება. ამ ტიპის მონეტების მოჭრა საქართველოში დემეტრე I-ის ზეობის დროს უნდა დაწყებულიყო.



ი. ფაღავასა და ს. თურქიას ერთობლივ სტატიაში აღწერილია მეფე გიორგი IV ლაშას ახალი ტიპის სპილენძის მონეტა, რომლის ერთადერთი ცალია ცნობილი. ამ მონეტის შუბლზე დატანილი ასომთავრული ლეგენდა ტრადიციულად ორ სტრიქონად კი არ არის განლაგებული, არამედ მეტ-ნაკლებად მორკალული ერთი სტრიქონის სახითაა წარმოდგენილი.

ი. ფაღავასა და ბ. თურქაძის ერთობლივ სტატიაში აღწერილია მეფე გიორგი IV ლაშას უწესო ჭედვის სპილენძის მონეტა, რომლის ზურგის არაბულენოვან ლეგენდაში მომცრო ჯვარია ჩამატებული.

ავტორების ვარაუდით, ამგვარი მოდიფიკაცია უნდა ყოფილიყო უფრო კერძო (თავად ოსტატის) ინიციატივა, ვიდრე სახელმწიფო დაკვეთა.

ი. ფაღავას სტატია შეეხება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ რვამონეტიან საფულეს (მონეტების კომპლექსს), რომელშიც შემავალი ყველა მონეტა უწესო ჭედვისაა. ექვსი მონეტა მეფე თამარის მიერაა მოჭრილი, ერთი – ვინმე გიორგის მიერ (გიორგი III, გიორგი რუსი, ან გიორგი IV) და ერთიც გიორგი IV-ის მიერ. მონეტების საფულე დაახლოებით 1223-1226 წლების შუალედითაა დათარიღებული.

რ. სპანდერაშვილი და ი. ფაღავა ერთობლივ სტატიაში განიხილავენ ოსმალურ გაყალბებულ ოქროს მონეტას კახეთიდან.

ი. ფაღავას კიდევ ერთ სტატიაში საუბარია პლატონ იოსელიანის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა“ დაცული ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობების შესახებ. მათი ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ პ. იოსელიანს საკმაოდ ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული, რაც საეჭვოს ხდის ამავე ავტორის სხვა ცნობების სანდოობასაც.

რ. სპანდერაშვილის, ი. ფაღავასა და ს. თურქიას ერთობლივ სტატიაში აღწერილია ათონის ქართველთა მონასტრის, ივერონის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედალი. ეს თარიღი 1980 წელს აღინიშნა. მედლის შუბლზე გამოსახული არიან ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწენი – წმ. ექვთიმე ათონელი, წმ. გიორგი მაშენებელი-ათონელი, და წმ. იოანე ათონელი (განმარტებითი წარწერების მიმდევრობა სწორედ ამგვარია). ცენტრში ივერონის მესამე იღუმენის, წმ. გიორგი ათონელის ფიგურაა, რომელსაც ორივე ხელით ეკლესიის მოდელი უჭირავს. როგორც ცნობილია, ივერონის ღვთისმშობლის მიძინების მთავარ ტაძარში იხილვება წარწერა: „მე დავამტკიცენ სუეტნი მისნი და უკუნისამდე არა შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და მაშენებელი“. მედლის ზურგზე ივერონის ზოგადი ხედია. გამოსახულებებს ბერძნული წარწერები ახლავს. გრაფიკოსის გვარი უცნობია.

ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატიები შეიცავს სიახლეებს. ისინი ამდიდრებენ არსებულ ცოდნას ქართულ ნუმიზმატიკასა და ეგზონუმიაში.

BULLETIN OF THE GEORGIAN NUMISMATIC SOCIETY

Lado Mirianashvili

A new journal “Bulletin of the Georgian Numismatic Society” is out. The bulletin is divided into two parts: information section, and scientific section. The information section opens with an article about history of the Georgian Numismatic Society written by I. Paghava. Charter and budget of the Society, as well as a guide for the authors follow.

The second section contains seven papers dealing with Georgian coins, and a medal dedicated to the 1000th anniversary of the Georgian monastery on Mount Athos, struck abroad.

In the paper written by I. Paghava, D. Bliadze and P. Chumburidze, the authors discuss several specimens of medieval Georgian copper coins struck by kings Dimitri I, Giorgi III and Tamar (the latter monarch together with certain Giorgi). All specimens were produced by striking the flans with the same pair of dies several times, leaving at least two die imprints on each coin side. The authors argue that the pair of dies were applied to the flan several times purposefully, rather than

accidentally. These coins prove that the practice of applying the pair of dies to the flan several times was introduced already in the reign of King Dimitri I.

A unique irregular copper coin minted in the name of King Giorgi IV Lasha, constituting a new variety, is published by I. Paghava and S. Turkia. Asomtavruli Inscription on the obverse of the coin is curved on both ends, instead of being distributed in two lines. The authors argue convincingly that the coin was produced at the official state mint, and put into general circulation.

A paper by I. Paghava and B. Turkadze concerns King Giorgi IV Lasha's irregular copper coin with the effigy of the cross on the reverse with Arabic Legend. The authors assume that such coin die was possibly produced on the initiative of a celator or mint staff in general, rather than by the authorities.

I. Paghava describes a small hoard, comprising eight irregular copper coins of the 12th and early 13th centuries, minted by Georgian monarchs. The hoard was discovered in an unspecified location in Kvemo Kartli region of Georgia

A paper by R. Spanderashvili and I. Paghava concerns a counterfeit Ottoman gold coin from Kakheti, Georgia. X-ray fluorescence analysis has shown that the coin was produced from silver-copper alloy by casting, and plated with gold. The authors assume that this sample could be either produced locally or imported.

I. Paghava reviews numismatic and sphragistic data found in Platon Ioseliani's work "The Life of Giorgi the Thirteenth". The author notes a number of mistakes in the accounts left by P. Ioseliani. Seals of Iese, son of Ose are also studied.


R. Spanderashvili, I. Paghava and S. Turkia first time publish and discuss a bronze medal commemorating 1000 years of Georgian monastic activities on Mount Athos. The medal was minted in 1980 in Greece.

The above papers demonstrate novelty and importance to the Georgian numismatics and exonumia.

ჯოზეფ პატრიხის წიგნი „საბა, პალესტინური მონასტიციზმის ლიდერი“ (მეორე გამოცემა)

ლადო მირიანაშვილი

2020 წელს „დამბარტონ ოუქსის“ გამომცემლობამ ხელმეორედ გამოსცა ისრაელში მოღვაწე ცნობილი არქეოლოგის ჯოზეფ პატრიხის წიგნი „საბა, პალესტინური მონასტიციზმის ლიდერი: IV-VII საუკუნეების აღმოსავლეთის სამონასტრო ცხოვრების შედარებითი ანალიზი“ (პირველი გამოცემა 1995 წელს დაიბეჭდა). „დამბარტონ ოუქსი“ არის ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესტიჟული კვლევითი ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი, რომელიც ხელს უწყობს და აფინანსებს ბიზანტიოლოგიურ და კოლუმბამდელ კვლევებს საერთაშორისო მასშტაბით.



ზემოხსნებული წიგნი განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი მკითხველისთვის, რამდენადაც ის შეეხება ქართული სამონასტრო მოძრაობის ისტორიასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავანეს პალესტინაში – საბაწმინდის მონასტერს, რომელიც იყო ქართველი ბერების მოღვაწეობის ადგილი და ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი ჯვრის მონასტრის დაარსებამდე. მარტო ის რად ღირს, რომ საბაწმინდაში შვიდი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა წმ. ილარიონ ქართველი (IX ს.) და იქვე „დაყვნა წელნი მრავალნი“ გიორგი-პროხორემ (XI ს.), ჯვრის მონასტრის დამაარსებელმა.

წიგნი ხუთი ნაწილისგან შედგება. საწყის ნაწილში ჯ. პატრიხი მიმოიხილავს პალესტინაში, საბა განწმენდილამდე არსებულ მონასტრებსა და მათ ტიპებს. ავტორი ახსენებს პეტრე იბერიელსა და 444 წელს მის მოღვაწეობას ღაზას რაიონში სოფ. ტაბათასთან არსებულ ლავრაში. შემდეგ ჯ. პატრიხი მიმოიხილავს იუდეის უდაბნოში არსებულ სამონასტრო ცენტრებსა და მათ ტიპებს. ავტორი აღნიშნავს,

რომ იერუსალიმის პატრიარქსა და ბერებს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ დიდად განაპირობა 479 წლიდან ახალი მონასტრების მშენებლობის გააქტიურება პალესტინაში.

მომდევნო ქვეთავში ავტორი მიმოიხილავს აღმოსავლური მონასტიციზმის ზოგად თავისებურებებსა და პალესტინის ფარგლებს გარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებს, მათ შორის ნიტრიის, კელიისა და სკიტის მონასტრებს. მიმოხილვისას ჯ. პატრიხი ეყრდნობა რუფინუსისა და პალადიუსის ცნობებს. ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი პახომის მიერ დაარსებულ კვინობებს, მათ ორგანიზაციულ და ეკონომიკურ თავისებურებებს.

ავტორი ცალკე ქვეთავებს უთმობს სირიული მონასტიციზმისა და ბასილი დიდის წეს-განგებაზე დაფუძნებული სამონასტრო ცხოვრების თავისებურებებს. ჯ. პატრიხი ცალკე ეხება იუსტინიანეს კანონმდებლობას, რომელიც ცდილობდა სამონასტრო ცხოვრების უნიფიცირებას, მონასტრისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მოეწესრიგებას.

შემდგომი თავი მთლიანად საბა განწმენდილის ცხოვრების მიმოხილვას ეთმობა.

წიგნის მეორე ნაწილში წმ. საბასა და მისი მოწაფეების სამშენებლო პროექტებია განხილული. კერძოდ, ავტორი დეტალურად აღწერს წმ. საბას მიერ დაარსებულ დიდ ლავრასა და სხვა სავანეებს. ამ დროს, ჯ. პატრიხი, წერილობით წყაროებთან ერთად, მოიხმობს არქეოლოგიური კვლევის შედეგებს და ასკვნის, რომ ეს მონასტრები სულაც არ ყოფილა მკაცრად ასკეტური სავანეები: მათი მშენებლობისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მარტომყოფი ბერებისთვის ისეთი სენაკების შექმნას, რომლებიც მოხერხებული იქნებოდა ცხოვრებისა და მოღვაწეობისთვის. გარდა ერთი ბერისთვის განკუთვნილი სენაკებისა, ლავრაში იყო რამდენიმე სათავსოს მქონე კომპლექსებიც: საცხოვრებელ ოთახთან ერთად, ბერებს ჰქონდათ სამლოცველო, დამხმარე სათავსები და ინდივიდუალური ჭებიც კი, რომლებიც დამოუკიდებელ წყალშემკრებ ქსელთან იყო დაკავშირებული. მონასტერს ჰქონდა წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემაც, რომელსაც ორი აკვედუკი ემსახურებოდა. ჯ. პატრიხის აზრით, რამდენიმე სათავსოს მქონე კომპლექსების ერთ ნაწილში განსაკუთრებული პატივის მქონე ბერები ცხოვრობდნენ, მეორე ნაწილში კი რამდენიმე ბერი (არაუმეტეს სამისა) ერთობლივად მოღვაწეობდა. ესენი, შესაძლოა, ყოფილიყვნენ მოძღვარი და მოწაფე, სისხლისმიერი ძმები ან ერთი ეროვნების ბერები.

ჯ. პატრიხი წერს, რომ მონასტრის ძმობა ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის – ბერძნულ და სომხურენოვანი ბერების სახით იყო წარმოდგენილი. ამ კონტექსტში ავტორი არ ახსენებს დიდ ლავრაში მოღვაწე ქართველთა თემს, მიზეზი კი ისაა, რომ წიგნში განხილული მონასტრის ისტორია მხოლოდ IV საუკუნიდან VII საუკუნემდე პერიოდს მოიცავს: როგორც ცნობილია, ქართული მწიგნობრობის კერა საბაწმინდაში VIII-X საუკუნეებში შეიქმნა, ხოლო აქ ქართველების ეკლესიის არსებობის ფაქტი X საუკუნით დათარიღებულ ტიპიკონში არის ნახსენები. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ქართველები (იბერიელები) წმ. საბას ლავრაში მისი დაარსების დღიდანვე მოღვაწეობდნენ. კერძოდ, წმ. საბას „ცხოვრებაში“ ნახსენებია ვინმე ბესი მონაზონი თეუდოლოსი. ზოგიერთი მკვლევარი ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტში მოხმობილ ტერმინს „ბესი“, რომელიც ხალხის სახელწოდებაა, იბერიელებთან აიგივებს, სხვები კი მათ ჩრდილოეთ თრაკიელებად მიიჩნევენ. VI საუკუნის მეორე ნახევრის – VII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა ქართველი ბერი მარტვირი საბაწმინდელი.

ავტორი ცალკე საუბრობს საბაწმინდის ლავრასთან არსებულ კვინობზე და ასკვნის, რომ მისი მთავარი ფუნქცია იყო ბერების შემზადება ლავრაში ცხოვრებისათვის.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მოხმობით, ჯ. პატრიხი დეტალურად აღწერს ახალი ლავრის, ჰეპტასტომოსის, იერემიას, ფირმინუსისა და ნეელკერაბას ლავრების სტრუქტურებს. შემდეგ, შედარებითი ანალიზის მიზნით, ავტორი განიხილავს კელიასა და ე.წ. „ეპიფანეს მონასტერს“, აგრეთვე, ესნას დასავლეთით მდებარე ანაქორეტთა თემსა და ხოზიბას სენაკებს. ცალკ-ცალკე განიხილავს სენაკების მოწყობის წესს სხვადასხვა მონასტრებში და ეხება სამარტომყოფელო კოშკებს ჩრდილოეთ სირიაში.

შემდეგი თავი ეთმობა კვინობებს. ავტორი დეტალურად აღწერს კასტელიონს, სქოლარიუსსა და კიდევ რამდენიმე სხვა ზოგადსაცხოვრებელ მონასტერს. მოჰყავს მათი კვლევის ისტორია. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბას ზედამხედველობის ქვეშ მოქმედ ადრეულ მონასტრებს –

ეფთვიმესა და თეოკტისტეს კვინობებს.

წიგნში განხილულია, აგრეთვე, მონასტრების მმართველობის სქემა. ავტორი ჩამოთვლის ძირითად თანამდებობის პირებსა და მათ ფუნქციებს მონასტერში, ასახელებს შემოსავლის ძირითად წყაროებს.

ცალკე არის წარმოდგენილი წმ. საბას მმართველობის წინააღმდეგ მიმართული ამბოხებები. ავტორი ცდილობს გაარკვიოს წმ. საბას მიმართ ბერების დაპირისპირების მიზეზები. იმოწმებს რა ამბოხებულების მიერ იერუსალიმის პატრიარქისადმი მიწერილ წერილს, ჯ. პატრიხი აღნიშნავს, რომ გარდა ფინანსების განაწილების წესისა, ბერების უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ წმ. საბა სოფლელი იყო (a rural person), ხოლო მისგან განსხვავებით, თვითონ კეთილშობილი ჩამომავლობისა იყვნენ (სწორედ ასე მოიხსენებს ამბოხებულ ბერებს ჰაგიოგრაფი კირილე სკვითოპოლელი). ავტორი ასკვნის: მიუხედავად იმისა, რომ წმ. საბას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა, ბერები არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგომი სასულიერო პირის წარმომავლობას: ეს უკანასკნელი ბერის პირადი მოღვაწეობით მოპოვებულ ავტორიტეტსაც კი გადასწონიდა.

ჯ. პატრიხი განსაკუთრებით აღნიშნავს წმ. საბას დამსახურებას სამონასტრო ცხოვრების ლავრული წესის გავრცელების საქმეში. ამ ფაქტის წარმოსაჩენად ავტორი ერთმანეთს უდარებს წმ. საბას მიერ დაარსებულ მონასტრებში არსებულ ლიტურგიულ პრაქტიკას წმ. საბას წინამორბედების – ევფთვიმესა და გერასიმეს – მონასტრებში არსებულ ლიტურგიულ პრაქტიკას, ახდენს ამ მონასტრებში ცხოვრების წესის თავისებურებების შედარებით ანალიზს. ჯ. პატრიხი აჩვენებს, რომ წმ. საბა თავისი წინამორბედების გამოცდილებას ითვალისწინებდა, თუმცა საკუთარ ტიპიკონში მნიშვნელოვანი სიახლეებიც ჰქონდა შეტანილი. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული სამონასტრო ტიპიკონის გამოყენებით, რომლის ავტორობაც წმ. საბას მიეწერება, ჯ. პატრიხი ცდილობს აღადგინოს წმ. საბას სიცოცხლეში არსებული ტიპიკონი, რომელიც იმდენად პოპულარული იყო, რომ თევდორე სტუდიელმა ის, გარკვეული მოდიფიკაციის შემდეგ, საკუთარ მონასტერში დანერგა.

წიგნის ბოლო ნაწილში ჯ. პატრიხი იძლევა წმ. საბას ლავრის იღუმენების მოკლე ისტორიას, აგრეთვე, განიხილავს მათ ჩართულობას ორიგენიზმის დებულებების განხილვასთან დაკავშირებულ კამათში.

არქეოლოგიურ მონაცემებსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, ჯ. პატრიხმა შეძლო სათანადოდ გადმოეცა სამონასტრო მოძრაობაში წმ. საბას მიერ შეტანილი წვლილი და მისი მოღვაწეობის თანადროული სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი პალესტინაში. წიგნი წარმოადგენს განმაზოგადებელ ნაშრომს წმ. საბას მიერ გაწეული ღვაწლისა და ზოგადად ადრეული პალესტინური მონასტიციზმის თავისებურებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი 25 წლის წინ დაიწერა, მას აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

JOSEPH PATRICH'S BOOK "SABAS, LEADER OF PALESTINIAN MONASTICISM" (SECOND EDITION)

Lado Mirianashvili

The second edition of Joseph Patrich's book "Sabas, Leader of Palestinian Monasticism: A Comparative Study in Eastern Monasticism, Fourth to Seventh Centuries" was published in 2020 by Dumbarton Oaks, Trustees for Harvard University.

The book is of particular interest to the Georgian reader in that among others it gives an overview of history, layout and lifestyle of the Lavra of St. Sabas which was closely linked with early Georgian monastic movement: first Georgian monks settled in the Lavra already in the

beginning of the second half of the 6th century - beginning of the 7th century. In the 8th-10th centuries, prior to foundation of the Georgian Holy Cross monastery in the Nayot neighbourhood of Jerusalem, a strong community of Georgian monks lived in the Lavra of St. Sabas, where they have established a significant literary center.

The volume examines the historical framework and background of St. Sabas' life, his role as a founder of monasteries, and the contributions St. Sabas and his followers made to Palestinian monasticism.

The book consists of five parts. First the author gives an overview of pre-Sabaitic monasteries and their types in Palestine. This part is followed by a historical survey concerning characteristics of Eastern monasticism. Monasteries outside Palestine, including those of Mount Nitria, Kellia and Scetis, as well as the Pachomian coenobia are discussed. Separate paragraphs are dedicated to the Syrian monasticism and Basilian coenobitism. The author discusses Justinianic legislation focused on determining the place of the monastic movement in the structure of the Church in an attempt to subordinate this movement to the latter.

The following part of the book concerns St. Sabas biography and his activities.

Part 2 of the volume concerns the building projects of St. Sabas and his disciples. The Great Lavra and other Sabaite monasteries, including several anchorite settlements are reviewed: a historical survey, the layout, detailed description of the main structures, water supply system, the size and ethnic composition of the community are given. The text is illustrated with plenty of photos, ground plans and cross-sections that makes the content clearer and easily understandable.

Part 3 of the volume overviews administration of Great Lavra and of other Sabaite monasteries. Obligations of the abbot, steward and deputy are discussed. Next, economic affairs of the monasteries are reviewed such as baking of bread, carrying water, collecting firewood, cleaning, assisting cook, serving as attendants for elderly, etc. A special note should be taken of a calligrapher: producing manuscripts was an important task in the Lavra.

J. Patrich specifically addresses the issue of uprisings of the monks against St. Sabas. After reviewing the uprisings, the author agrees with Cyril of Scythopolis that the reason for them should be sought not only in dissatisfaction of the opponents with financial operations – the manner the funds were distributed, but also social differences existing in the community: on one side were the monks of noble descent, as Cyril calls them, and on the other was a rural person like St. Sabas.

J. Patrich examines Sabas' contributions to the Palestinian monasticism, focusing on his role as the founder and abbot.

The final part of the book contains a brief history of theological struggles that continued after St. Sabas' death, in which his followers played a decisive role.

It is to be noted that J. Patrich's study is largely based on the analysis of both the written sources and results of archaeological studies. This combination of written and material evidences makes it possible to draw reliable conclusions. Despite the fact that the book was written twenty five years ago, the study has not lost its relevance and remains beyond any competition in the field.


ქრონიკა
CHRONICLE

ახალი წიგნი საქართველოს დედაქალაქზე

ალექსანდრე დაუშვილი

2020 წლის 11 იანვარს ქალაქ თბილისის საკრებულოს ისტორიულ სააქტო დარაზში შედგა ოთარ ჯანელიძის, ალექსანდრე დაუშვილისა და მირიან ხოსიტაშვილის წიგნის „თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში“ წარდგენა. ნაშრომი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა. წიგნის რედაქტორია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი პროფესორი ზაზა აბაშიძე.

წარდგენას ესწრებოდნენ თბილისის ქალაქის საკრებულოს დეპუტატები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, სტუდენტები, თბილისის საზოგადოების წარმომადგენლები.



ნაშრომის განხილვამდე საკრებულოს დიდ ფოიეში გაიხსნა წიგნის ავტორების მიერ არქივებსა და წიგნთსაცავებში გამოვლენილი აქამდე უცნობი და შედარებით ნაკლებად ცნობილი ფოტო-დოკუმენტების ასლების გამოფენა. მათში ამეტყველებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის თბილისის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სპორტული ცხოვრება. ექსპოზიციამ თავისი შინაარსით, ექსპონატების სიუხვითა და სათანადოდ წარდგინებით დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა თბილისის საქალაქო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა დარჩიამ. მან მოკლედ მიმოიხილა ის საქმიანობა, რასაც ქალაქის სათათბირო ახორციელებს მეცნიერების, კულტურის, განათლების შემდგომი განვითარებისათვის, დაასახელა ახალი პროექტები, რომლებიც საკრებულოსა და მერიის ფინანსური მხარდაჭერით

განხორციელდა და ეხებოდა დედაქალაქის ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. მარიკა დარჩიამ მიულოცა წიგნის ავტორებს დასახული ამოცანის განხორციელება და დამსწრე საზოგადოებას დაპირდა, რომ თბილისის საკრებულოს ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ დაზოგავს, რათა მომავალშიც ქმედითი დახმარება გაუწიოს ქართველ მეცნიერებს საინტერესო ინიციატივების რეალიზების საქმეში.





წიგნის შესახებ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრეს ავტორებმა: პროექტის ხელმძღვანელმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ეთნოლოგიის დოქტორმა მირიან ხოსიტაშვილმა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ალექსანდრე დაუშვილმა.





პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ თავის გამოსვლაში ვრცლად ისაურა პროექტის განხორციელების ეტაპებზე, ნაშრომის სტრუქტურაზე, ძირითად შედეგებზე. მან მადლიერება გამოხატა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის, კინო-ფოტო არქივის, ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავების თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც ავტორებს შეუქმნეს ყველა პირობა, რათა საკმაოდ მოკლე დროში დიდი სამუშაო შეესრულებინათ. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ნაშრომის ინგლისურ ენაზე მთარგმნელის ელენე დოლაქიძის დამსახურებას. კარგმა თარგმანმა უზრუნველყო წიგნის ხელმისაწვდომობა უცხოენოვანი მკითხველისათვის. საგანგებოდ აღინიშნა დიზაინერის გიგი გელაშვილის წვლილი წიგნის გარეგნული იერსახის, მოპოვებული საარქივო და საგაზეთო მასალის მაღალი გემოვნებითა და საინტერესოდ განლაგებისათვის.

მირიან ხოსიტაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, რომ საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, წიგნის ელ-ვერსია განთავსდება ბიბლიოთეკის ვებგვერდზე

და ის უკვე ხელმისაწვდომი გახდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მცხოვრები მკითხველისათვის.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა 1918-1921 წლების თბილისის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტის გაშუქებას. განხილულია თავისუფალი საქართველოს დედაქალაქში თვითმმართველობის ფორმირების თავისებურებები და მისი განვითარების ეტაპები, გადმოცემულია ქალაქის თავის (მოურავის) ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორია და ამ თანამდებობაზე სხვადასხვა დროს მყოფი პირების (ნიკო ელიავა, ბენია ჩხიკვიშვილი) საქმიანობა, მათი მიღწევები თუ ნაკლოვანებანი.

ავტორებმა ახალი საარქივო მასალის, პერიოდული პრესის, მემუარების გამოყენებით წარმოაჩინეს თბილისის ეკონომიკური და ურბანული განვითარების სპეციფიკა, ურთულეს და საგანგებო პირობებში ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი მახასიათებლები, საქალაქო ტრანსპორტის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

იმ წლებში დედაქალაქის თვითმმართველობის მხრიდან დიდი ყურადღება ექცეოდა ქალაქში საგანმანათლებლო საქმიანობის ოპტიმიზაციას. თბილისის ხელმძღვანელობა, შეძლებისამებრ, ეხმარებოდა განათლების საქალაქო სისტემის ყველა რგოლს.



ნაშრომში ასევე არის ასახული ჯანმრთელობის დაცვის საკმაოდ განტოტვილი სისტემა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს ბევრი ლტოლვილი მოაწყდა, რომელთაც აქ სხვადასხვა ეპიდემიური დაავადება შემოიტანეს. წიგნში ნაჩვენებია ქალაქის საკრებულოს სპეციალური სამსახურების ძალისხმევა ამ მძიმე ფონის გასანეიტრალებლად.

თბილისი მუდამ მრავალეთნიკური და პოლიკონფესიური ქალაქი იყო, ამიტომაც წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა ეთნიკურ უმცირესობებს, მათთან ურთიერთობის ადგილობრივი გამოცდილების ინტერპრეტაციას, გამოკვეთილია არა მარტო მიღწევები, არამედ ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტური სიტუაციებიც.

ნაშრომში წარმოჩენილია თბილისის მრავალფეროვანი და მეტად შინაარსიანი კულტურული ცხოვრებაც. განხილულია საკითხები: თეატრალური თბილისი, ქართული კინოს ჩასახვა და პირველი ნაბიჯები, საკლუბო მუშაობა, მხატვრული თვითმოქმედების განვითარება, დედაქალაქის მესვეურთა საქმიანობის ასპექტები მოქალაქეთა შორის კულტურული ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით და სხვ.

აღწერილია კრიმინალური ვითარებაც, თბილისის ყოველდღიური ცხოვრებაც და აღნიშნულ წლებში მომხდარი სხვადასხვა საინტერესო ამბებიც.

თავიანთ გამოსვლებში პროფესორებმა პაატა ნაცვლიშვილმა, პაატა სურგულაძემ და რუსუდან დაუშვილმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო, მასში დედაქალაქის ცხოვრება მთლიანობაშია განხილული. მოცემულია ობიექტური კვლევა თბილისში მიმდინარე პროცესებისა ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს და მეტად საინტერესო პერიოდში.

წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და განკუთვნილია საკითხით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

წარდგენის დასასრულს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილემ მარიკა დარჩიამ დამსწრე საზოგადოებას საჩუქრად გადასცა განსახილველი წიგნის „თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში“ ეგზემპლარები, ავტორებს კი მომავალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.





NEW BOOK ABOUT THE CAPITAL CITY OF GEORGIA

Aleksandre Daushvili

On January 11, 2020, at the historical hall of the Tbilisi city Assembly was held a presentation of the book “The Capital of Free Georgia. Tbilisi in 1918-1921” authored by Otar Janelidze, Aleksandre Daushvili and Mirian Khositashvili. The work was prepared by Tbilisi City Assembly and the National Parliamentary Library of Georgia. Editor of the book is Professor Zaza Abashidze, the Director of the Georgian National Center of Manuscripts.

Presentation was attended by the deputies of the Tbilisi City Assembly, the staff of the National Parliamentary Library of Georgia, historians, philologists, students and representatives of the Tbilisi society.

Before the presentation of the book in the big hall of the Tbilisi city Assembly was opened an exhibition of copies of unknown and lesser-known photo-documents discovered by the authors of the book in archives.

The book presents of the very interesting facts of the cultural and urban life of Tbilisi. There are discussed the issues of theatrical life of Tbilisi, the birth and first steps of Georgian cinema, club work, development of artistic life, the activities of the authorities to popularize cultural knowl-

edge among citizens etc.


On a ground of a newly obtained archival data, also periodicals and memoirs are represented the daily life of Tbilisi, interesting stories that happened in the mentioned years, the specifics of urban developments, types urban transport, the criminal situation etc.

At the end of the event Marika Darchia, Deputy Chairperson of the Tbilisi Assembly, gave the copies of the book “Capital of Free Georgia. Tbilisi in 1918-1921” to the audience as a gift; as for authors: she wished them fruitful work and professional achievements in future.

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXI ტომის პრეზენტაცია

სოფიო ქადაგიშვილი
მარიამ ჩხარტიშვილი

2020 წლის 21 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXI ტომის პრეზენტაცია. ტრადიციად არა მხოლოდ ჟურნალის პრეზენტაცია იქცა, არამედ ყველა თაობის მეცნიერთა შეკრება, უკვე ჩამოყალიბებული წრისა, რომელიც ჟურნალის გარშემო ერთიანდება. ცხადია, ეს არ არის მხოლოდ ფორმალური შეხვედრები, ეს ის კავშირია, რომელიც ჟურნალის იდეას წარმოადგენს: თავი მოუყაროს პროფესიონალთა და შესაბამისი დარგით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენელთა სხვადასხვა თაობას ერთად.





ჟურნალის დიდი ხნის ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე არა ერთხელ თქმულა დაწერილა, ამიტომ ამჯერად ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენს რეალობაში „ქართული წყაროთმცოდნეობა“ გამოხატავს თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების მაჯისცემას. ამას მისი რუბრიკების მრავალფეროვნებაც მოწმობს. სამეცნიერო სტატიების გარდა, აქ შეხვდებით რეცენზიებს, პრეზენტაციების თუ კონფერენციების მიმოხილვებს, მილოცვებს, პოლემიკას, თვალსაზრისს. ეს უკანასკნელი არის რუბრიკა, რომელიც სამეცნიერო ეთიკის საკითხებს ეხება. რუბრიკა „მოგონება“ გვახსენებს და პატივს მიაგებს გარდაცვლილ მეცნიერთა ღვაწლს, ისტორიას უნახავს პიროვნული ურთიერთობის იმგვარ დეტალებს, რომელსაც სხვა რუბრიკაში წარმოდგენილ ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში, ცხადია, ვერ შეხვდებით.

ჟურნალის აღნიშნული ტომის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით თავად ავტორებს, რედკოლეგიის წევრებს და თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას.

სხდომა გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა. მან მოკლედ ისაუბრა ზოგადად ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორიის და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და მიუთითა იმ გამოწვევების თაობაზეც, რომელსაც ახლანდელი ვითარება აყენებს ინსტიტუტის, როგორც საქართველოში ისტორიის დარგში ერთ-ერთი უმთავრესი კვლევითი ცენტრის, წინაშე. მან კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მიუხედავად რთული ვითარებისა, ინსტიტუტში პერიოდული გამოცემების ბეჭდვა არ შეწყვეტილა და ამაში უდიდესია ცალკეულ პიროვნებათა დამსახურება, რომელნიც ენთუზიაზმით მუშაობენ. პირველ რიგში, ეს ითქმის ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ რედკოლეგიის შესახებ. რომელმაც, როგორც წინა წლებში, ახლაც შესანიშნავი ნომერი შესთავაზა სამეცნიერო საზოგადოებას.






გ. ჭეიშვილმა სიტყვა გადასცა ჟურნალის რედაქტორს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს. მ. ჩხარტიშვილმა მოკლედ დაახასიათა ჟურნალის ახალი ტომი, მადლიერება გამოხატა ინსტიტუტის ხელმღვანელობისადმი მხარდაჭერისათვის, მადლობა გადაუხადა ავტორებს თანამშრომლობისათვის, დამსწრე საზოგადოებას გამოჩენილი ინტერესისათვის, ჟურნალის გულშემატკივრობისათვის. ყველაზე თავდადებულ გულშემატკივრად მის მიერ მიჩნეულ იქნა პატარა იოანე გუნცაძე, რომელიც ისტორიკოსთა ოჯახიდან წარმომავლობს. მიუხედავად იმისა, რომ იოანე სულ ორი წლისაა, უკვე მეორედ ესწრება ჟურნალის პრეზენტაციას.




სიტყვები წარმოთქვეს ვალერი ვაშაკიძემ, ვახტანგ გოილაძემ, მამუკა წურწუმიამ, ლადო მირიანაშვილმა, სოფიო ქადაგიშვილმა.






მარიამ ჩხარტიშვილმა დამსწრეებს გააცნო რედკოლეგიის ახალი ინიციატივა: გამოვლინდეს ჟურნალის ყველაზე ერთგული ავტორი. ასეთად რედკოლეგიამ მიიჩნია ლადო მირიანაშვილი. აღინიშნა, რომ ბატონ ლადოს ჟურნალთან მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს. მისი საინტერესო, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული ნაშრომები ძალიან ამდიდრებს ჟურნალს. კონკრეტულად XXI ტომში მან გამოაქვეყნა ყველაზე მეტი სტატია, როგორც კვლევითი ხასიათისა, ასევე რეცენზია თუ ინფორმაცია. ამით დიდად შეუწყო ხელი საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო ცხოვრების სათანადოდ წარმოჩენას ჟურნალის ფურცლებზე. ლ. მირიანაშვილს გადაეცა საჩუქრები სამახოვრო წარწერებით.




ჟურნალის ახალი ნომრის პრეზენტაციის ოფიციალური ნაწილი ამით დასრულდა. თუმც შეკრებილი საზოგადოება არ დაშლილა, საინტერესო დისკუსიები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაგრძელდა ამ ჟურნალისათვის უკვე ტრადიციად ქცეული ფურშეტით, რომელიც ხელს უწყობს კოლეგების დაახლოებას და იდეების გაზიარებას.

2020 წლის დასაწყისში „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXI ნომრის პრეზენტაცია აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშნელოვანი ბოლო სამეცნიერო შეხვედრა რეალურ სივრცეში ახალი მსოფლიო ვირუსის მომძლავრების ჟამს. მიუხედავად საზოგადოებაში არსებული სტრესული განწყობებისა, მოხარულნი ვართ, რომ გვაქვს შესაძლებლობა, ჟურნალის 21-ე ნომრის პრეზენტაციიდან ერთი წლის შემდეგ ახალი ტომი წარმოვუდგინოთ ქართულ საზოგადოებას.





ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა“ კვლავაც დარჩება მნიშნელოვან სამეცნიერო მედიად საქართველოს ისტორიით და სხვა მომიჯნავე დარგებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის.





PRESENTATION OF THE SCHOLARLY JOURNAL "GEORGIAN SOURCE-STUDIES" (VOLUME 21)

Sopio Kadagishvili
Mariam Chkhartishvili

It is already tradition to host a presentation of a new volume of the scholarly journal at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Despite significant challenges that provoke 2020 it made possible to produce one of the interesting and impressive volumes of "Georgian Source-Studies". The Journal shares various of interesting sections: scientific papers, chronicles, book reviews, comments, memoriam etc.

The volume was published with the support of TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Presentation day gathered dozens of specialists, young researchers and students together. The event was opened by the director of The Institute of History and Ethnology George Tcheishvili. The issue was presented by the editor of the journal Mariam Chkhartishvili. Speeches were given by Valeri Vashskidze, Vakhtang Goiladze, Mamka Tsurtsumia, Lado Mirianashvili, Sopio Kadagishvili. Compliments and congrats were expressed by invited guests. The official part of the presentation finished with reward to the one of the authors Lado Mirianashvili for his long-term and fruitful collaboration with the journal.

The presentation ended with nice buffet that always makes favorable situation for cooperation of the colleagues and atmosphere to share new ideas among them.

ხსოვნა
IN MEMORIAM

ელენე ცაგარეიშვილის ხსოვნას

მზია სურგულაძე

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაკლდა მისი შესანიშნავი წევრი, წყაროთმცოდნე არმენოლოგი ელენე ცაგარეიშვილი.

ქალბატონი ელენე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) იმ პირველ თაობას ეკუთნოდა, რომელმაც უშუალოდ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა ძველი სომხური ენა და შეიძინა სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება. ილია აბულაძესთან გატარებულმა წლებმა საბოლოოდ განსაზღვრა მისი უდიდესი ინტერესი უმდიდრესი ძველი სომხური საისტორიო მწერლობისადმი, რომლის კვლევას იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე აგრძელებდა.





შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის კარგა ხანია სამაგიდო წიგნებად არის ქცეული ელენე ცაგარეიშვილის მიერ გამოცემული ძველი სომეხი ისტორიკოსების: იოანე დრასხანაკერტელის, არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებები ქართული თარგმანებითა და მდიდარი წყაროთმცოდნეობითი კომენტარებით. ასევე გამოსცა მან სტეფანოს ორბელიანის „ორბელთა ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და XVIII საუკუნის ქართველი ავტორის, პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“. ქალბატონი ელენე გულდასმით სწავლობდა საქართველოსთან დაკავშირებულ თემატიკას შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში. ყოველ ცნობას იგი უსათუოდ ფართო ისტორიულ კონტექსტს უძებნიდა და მხოლოდ ამ სახით აწვდიდა მკითხველს. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითებია მრავალი სტატია სებეოსის, ღევონდის, ფსევდო შაპუჰის, თომა არწრუნის და სხვათა შესახებ; ყოველ ამ ნაშრომში მჟღავნდება საინტერესო რაკურსები არაბების და ბიზანტიის კავკასიური პოლიტიკის შესაფასებლად.

დიდი შრომა გასწია ელენე ცაგარეიშვილმა შუა საუკუნეების ქართულ და სომხურ წყაროებში ქართველების და სომხების აღმნიშვნელი ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ამსახველი ტერმინების შესასწავლად. ამ ტერმინთა ტენდენციური ინტერპრეტაციები სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამხდარა სამეცნიერო დისკუსიების საგანი, რამდენადაც ისინი გამოყენებულია ისტორიული დემოგრაფიის საკითხების ტენდენციურად გაშუქების და ქართველ ისტორიულ

მოღვაწეთა სომხური იდენტობის მამტკიცებელ არგუმენტებად. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ელენე ცაგარეიშვილის გამოკვლევები, რომლებშიც მიუკერძოებელი მეცნიერის პოზიციიდან მოხმობილია უამრავი საილუსტრაციო მასალა საკუთრივ შუა საუკუნეების სომეხ ავტორთა თხზულებებიდან, გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ჯანმრთელობის შერყევის მიუხედავად ქალბატონი ელენე ფართომასშტაბიან კვლევას აწარმოებდა სომხურ წყაროებში ქართული ტოპონიმიკური მასალის გამოსავლენად. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო, მაგრამ მასალა, რომელსაც მან თავი მოუყარა, იმდენად საყურადღებოა, რომ რედაქტირების შემდეგ უსათუოდ იხილავს დღის სინათლეს.

ქალბატონი ელენე თავის კოლეგებთან – ციალა ქურციკიძესთან და მაია რაფავასთან ერთად დაახლოებით ერთი ათეული წელი თავდაუზოგავად მუშაობდა ილია აბულაძის დაუსრულებელი ნაშრომის, „ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“ სალექსიკონო მასალების შემოწმება-რედაქტირებაზე. ხშირად შფოთავდა, რომ ვერ მოესწრებოდა ძვირფასი მასწავლებლის ნაშრომის გამოცემას, მაგრამ, მოესწრო და ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ვალი მოიხადა მისი ხსოვნის წინაშე.

ქალბატონი ელენე თავადაც შესანიშნავი მასწავლებელი იყო და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალგაზრდა თანამშრომლებისათვის წლების განმავლობაში უძღვებოდა სემინარს ძველ სომხურ ენაში. მუდამ საქმეში ჩაფლული ქალბატონი ელენე არასდროდეს იშურებდა დროს თავისი უმცროსი კოლეგების დასახმარებლად, როცა ამას გარემოება მოითხოვდა. მასთან ურთიერთობა – ეს ნიშნავდა ზიარებას მაღალ ადამიანურ კულტურასთან და იმ საქმისადმი თავდადებასთან, რომლის სამსახური მისთვის პიროვნულ მოწოდებად იყო ქცეული.

IN MEMORIAM OF ELENE TSAGAREISHVILI

Mzia Surguladze

The outstanding researcher in field of source-studies Elene Tsagarishvili passed away. The field of her specialization was in Armenian sources of Georgian history. She belonged to the generation of Georgian scholars who were supervised by Ilia Abuladze.

Elene Tsagarishvili has translated several monuments of Armenian medieval historiography and published them with relevant commentaries and investigation. She worked on unfinished work (Georgian-Armenian and Armenian-Georgian documented vocabulary) by her eminent teacher and accomplished it with success.

Elene Tsagareishvili had attractive personality. She herself was very good teacher: during the years she directed seminar at the Georgian National Center of Manuscripts and taught the young researchers to old Armenian.

Elene Tsagarishvili ‘s death is a great loss for Georgian academic community.

გოჩა ჯაფარიძის გამოსათხოვარი

მარიამ ჩხარტიშვილი

„ჩემო ძვირფასო, ძალიან ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!“

ასე იწყება მიმდინარე წელს გოჩა ჯაფარიძის ფეისბუქის გვერდზე დადებული ჩემი მილოცვა მისი დაბადების დღის გამო. მე მას ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებდი. სამწუხაროდ, ეს სურვილი სურვილად დარჩა: სულ რამდენიმე თვეში გოჩა ჯაფარიძე – თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი – გარდაიცვალა. ის კაცობრიობის ახალ და სასტიკ გამოწვევას – კოვიდ-19 ემსხვერპლა.





მე მას ჩემ მეგობრად ვთვლიდი მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვყოფილვართ არც თანაკლასელები, არც თანაკურსელები, არც სამეცნიერო პროექტები გვიკეთებია ერთად. გასული საუკუნის მიწურულიდან უბრალოდ სისტემატურად ვხდებოდით სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებზე და ჩემში დიდი სიმპათიას აღძრავდა იგი თავისი საოცარი ერუდიციის გამო. 2006 წლიდან კი, როცა მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა დავიკავე და ჩვენ თანამშრომლები გავხდით, უკვე გაცილებით უფრო ხშირად გვიწევდა ერთად ყოფნა და ფაკულტეტის წინაშე მდგარი აკადემიური საკითხების გადასაჭრელად ერთობლივი საქმიანობა.

ამ დროიდან მე უკვე მის აშკარა თანადგომას ვგრძნობდი. ეს კი იმხანად განსაკუთრებით საჭირო იყო ჩემთვის, რადგან სრულიად მოულოდნელად ფაკულტეტის პროფესორთა ერთი ნაწილის მხრიდან აგრესიის ობიექტი აღმოვჩნდი. ეს ის ნაწილი იყო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების პოლიტიკას განათლების სფეროში და ამ პოლიტიკის კონტექსტში განიხილავდა ჩემს უნივერსიტეტში ყოფნას. ეს კოლეგები ყოველგვარი უღირსი ხერხებით ცდილობდნენ „ეჩვენებინათ“, რომ არ ვიმსახურებდი პროფესორობას, როგორც „უცხო“ და „არაუნივერსიტეტელი“, მიუხედავად იმისა, რომ მე უნივერსიტეტი დავამთავრე და სადოქტორო დისერტაციაც აქ დავიცავი და მშობლებიც თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ და არც „უნივერსიტეტელებზე“ ნაკლები სამეცნიერო ბიოგრაფია არ მქონდა. ეს უცნაური, აკადემიური სივრცისათვის სრულიად შეუფერებელი, ვითარება გრძელდებოდა წლების მანძილზე. გოჩა ჯაფარიძე, ცხადია, ის პიროვნება არ გახლდათ, ამაში მონაწილეობა მიეღო. ის დიდი ტაქტით მხარს მიჭერდა და მამხნევებდა. თუნდაც იმით, მაგალითად, რომ არ დააკლდებოდა ფაკულტეტზე ჩემ მიერ ორგანიზებულ არცერთ სამეცნიერო კონფერენციას თუ ჩემი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის პრეზენტაციას. თავის ავტორიტეტულ პოზიციას საჯაროდ დააფიქსირებდა და ამით ღონისძიებას წონას შესძენდა. არაერთი სხვაგვარი

თანადგომაც მახსოვს მისგან. ზოგი ფაქტის შესახებ მხოლოდ წლების შემდგომ შევიტყვე.

ძალიან გულისხმიერი იყო. არასოდეს ავიწყდებოდა ჩემთვის საკუთარი წიგნების ჩუქება. და მაინც დროდადრო გადაამოწმებდა: ესა და ეს წიგნი ხომ გაჩუქე, ხომ გაქვსო.

თუ რაიმე ღონისძიებაზე ერთად მოგვიწევდა ყოფნა და ცოტა მოგვიანებით უნდა წამოვსულიყავით, აუცილებლად დაინტერესდებოდა: შენ ვის მიყავხარო.

აი, ასეთი იყო: რაღაცნაირად სხვანაირად ყურადღებიანი. ამ აჩქარებულ დროში უკვე, სამწუხაროდ, ძნელია ამგვარი ადამიანის პოვნა. მას ახასიათებდა დიდი პროფესიული პასუხიმგებლობა: რუდუნებით, ნელა მუშაობდა. ძალიან აღიზიანებდა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. თავად ერთი სტატიის წერას ზოგჯერ მრავალ წელს ანდომებდა. ძალიან უკვირდა, თუ რომელიმე მკვლევარი საკითხზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას სრულყოფილად იცნობდა.

რამდენიმე წლის წინ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი ნომრის პრეზენტაციის დროს ჩვეულებისამებრ სიტყვით გამოვიდა. აქებდა ჟურნალს. მე იქვე ვუთხარი: თუ ასეთი საქებარია ჩვენი ჟურნალი, ერთი სტატია ჩვენთვისაც დაწერე, აქ მინდა დავბეჭდოთ-მეთქი. მომიბრუნდა და სევდიანად მითხრა: ნეკროლოგს დაბეჭდავო. მე გავუჯავრდი, აბა, რად გინდა-მეთქი, ასეთი საუბარი. მაშინ ჯანმრთელობას იმგვარი პრობლემები არ ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში არ ეტყობოდა), როგორც ბოლო პერიოდში და ამიტომ ნათქვამმა გამაკვირვა.

სამწუხაროდ, მართლაც, ასე გამოვიდა, ძვირფასო მეგობარო! შენი სტატიის მაგიერ, შენს გამოსათხოვარს ვბეჭდავთ.

ძალიან მტკივნეულია ეს ჩემთვის ... ნათელში იყავი!

* * *

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი უკვე წარმოებაში იყო, როცა რედკოლეგიაში ეს სამწუხარო ფაქტი შევიტყვეთ. აღნიშნული არის მიზეზი იმისა, რომ ღვაწლმოსილი მეცნიერის შემოქმედების დეტალური ანალიზის შემცველი ნეკროლოგის მომზადება ვერ მოხერხდა. ამიტომ ამ მოკლე გამოსათხოვარი წერილის ჩართვა გადავწყვიტე და ამის დამატებით ვბეჭდავ მის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებულ სამძიმრის სტატუსებსა და კომენტარებს. საკმაოდ ბევრია ასეთი. ყველა, ცხადია, ქვემოთ წარმოდგენილი ვერ იქნება, მაგრამ რაც არის, კარგად წარმოაჩენს გოჩა ჯაფარიძის განუმეორებელ პიროვნებას, მის ავტორიტეტს სამეცნიერო წრეებში და იმ საყოველთაო სიყვარულს, რომელსაც მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები მის მიმართ ამჟღავნებენ. ეს კომენტარები საჯარო სივრცეში იყო განთავსებული. ამიტომაც გამოქვეყნების უფლება არავისთვის არ მითხოვია. ვიმედოვნებ, არავის არ დარჩება საწყენად, რომ ის თბილი სიტყვები, რომლებიც გოჩა ჯაფარიძის მიმართ მისი გარდაცვალების შემდგომ თქვეს, შემორჩეს ამ ჟურნალის ფურცლებს, ჟურნალისა, რომლის ასეთი დიდი გულშემატკივარი იყო აწ განსვენებული დიდი მკვლევარი. ამონარიდებს სტატუსებიდან და კომენტარებიდან წარმოვადგენ ყოველგვარი სისტემატიზების გარეშე, იმ რიგით, როგორითაც ისინი მე შემხვდა ფეისბუქზე.

გრიგოლ ბერაძე:

არ ვიცი, როგორ გამოვხატო სიტყვებით ჩემი და თქვენი განუზომელი მწუხარება ... მოულოდნელად წავიდა ჩვენგან უკეთილშობილესი და უსაყვარლესი ადამიანი, დიდებული მამულიშვილი, უბრწყინვალესი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ჭეშმარიტი მშვენება და სიამაყე, პროფესორი გოჩა ჯაფარიძე. მარადიული და წარუშლელია სახელი და ღვაწლი მისი.

ნანი გელოვანი:

ძალიან მიმძიმს ამ სიტყვების დაწერა ჩემ დიდ მასწავლებელზე, მოამაგეზე და უფროს კოლეგაზე, ... გარდაიცვალა გოჩა ჯაფარიძე, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფართო მასშტაბის მეცნიერი, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის საკვანძო პრობლემათა მკვლევარი, მნიშვნელოვანი მონოგრაფიებისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, არაბისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების ყოფილი დეკანი, წლების მანძილზე აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გამგე, 1998–2010 წლებში საქართველოს საელჩოს დესპანი ეგვიპტეში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითსა და სპარსეთის ყურის ხუთ ქვეყანაში (საუდის არაბეთი, კატარი, ბაჰრეინი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტესა და სირიაში. ვემშვიდობებით ბატონ გოჩას, ღვაწლმოსილ მეცნიერს, კოლეგას და ახალგაზრდა თაობების აღმზრდელსა და გზის მაჩვენებელს.





დარეჯან გარდავაძე:

რა უსახური და უფერული იქნებოდა სამყარო, ასეთი ადამიანები რომ არ არსებობდნენ! ... სითბოს, სიკეთის, ცოდნის, სიყვარულის გამცემი ადამიანები, საოცრად ადვილად რომ იკვალავენ გზას ყველას გულებისკენ ... და აი, დასრულდა, ერთი დიდი, ნათელი ფურცელი დაიხურა ...

კახა კვაშილავა:

საშინელი ამბავი გავიგე. პროფესორი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, ჩემი უფროსი და უძვირფასესი მეგობარი და უბრალოდ ძალიან დიდი ადამიანი, ბატონი გოჩა ჯაფარიძე გარდაიცვალა ... სიტყვები არ მყოფნის, რაღაც რომ დავწერო ... თითქოს მსოფლიო დაცარიელდა ...

ალექსანდრე მიქაბერიძე:

დღეს შევიტყვე ჩემი უფროსი და უძვირფასესი მეგობრის, შესანიშნავი აღმოსავლეთმცოდნეს, ბატონი გოჩა ჯაფარიძის გარდაიცვალების ამბავი ... სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვხატო ჩემი მწუხარება ...

ანდრია თორელი:

ძალიან ცუდი და მძიმე ამბავი გავიგე. ... ძალიან მაგარი ქართველი, ერთ-ერთი დიდი

ისტორიკოსი და უბრალოდ – ძალიან კარგი ადამიანი – პროფესორი გოჩა ჯაფარიძე გარდაცვლილა. ... ვუსამძიმრებ ოჯახს და ახლობლებს ... ის პერიოდი, რა დროშიც ვირტუალურად, მაგრამ მაინც მქონდა მისი ცნობის პატივი, თბილად მოსაგონარი იქნება ჩემთვის ... . უფალმა განუსვენოს ...

გიორგი არქანია:

მიფიქრია მის სამუდამოდ წასვლაზე, გამიანალიზებია, რომ ეს დღეც ოდესმე დადგებოდა, თუმცა ჯერ ნამდვილად არველოდი და ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ასე ძნელად შესაგუებელი იქნებოდა შეგირდისთვის ოსტატის გარდაცვალება.

როდესაც მასწავლებლის მიცვალების შესახებ იგებ, მწუხარებასთან ერთად, სინანულის გრძნობაც გეუფლება, სინანულის იმის შესახებ, რომ ბევრი შეკითხვის დასმა ვერ მოასწარი, ბევრი რამ დარჩა პასუხგაუცემელი. მაგრამ, საბოლოოდ ხვდები, რომ ჭეშმარიტი მასწავლებლის მისია ისაა, შემეცნებისკენ სწრაფვა და კეთილსინდისიერი შრომა შეგაყვაროს და შემდეგ შენით გაიკვალო გზა. ეს მისია ბატონმა გოჩამ შეასრულა.

ამ ყველაფრის გაცნობიერების შემდეგ, გადაუდებლად მომინდა, რომ ჩანაწერებისთვის ჩამეხედა, მასთან მიმოწერა გამეხსენებინა, ფოტოები ამომექექა. მომინდა დავრწმუნებულიყავი, რამე ხომ არ დაიკარგა, რაც მასთან მაკავშირებდა, უკვე სამუდამოდ ... „შორიდან ვნახე გოჩა ჯაფარიძე, რომელთანაც ურთიერთობა მომიწევს. ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ უკვე დიდი პატივისცემა მაქვს მისდამი ...“ – ჩამიწერია 2014 წლის 15 სექტემბერს, სტუდენტური ცხოვრების პირველ დღეს.

მალევე ჩვენი პირველი შეხვედრა და საუბარიც შედგა. სემინარს ვესწრებოდი, მეორე თუ მესამე რიგში ვიჯექი და ვუსმენი, თუ როგორ ამოწმებდა პირველ რიგში მსხდომი პირველკურსელების ცოდნას. არ ვიცი საიდან სადაო, რატომღაც ეთიოპიაზე ჩამოვარდა საუბარი და რადგანაც აფრიკის ისტორია ყოველთვის მიზიდავდა, საუბარში ჩართვა გავბედე და ერთი-ორი საინტერესო ფაქტი შევაშველე. საუბრის მომენტში ვგრძნობდი, როგორ ეცვლებოდა სახე და მის თვალებზე კმაყოფილება და ინტერესი იკვეთებოდა. მახსოვს მისი სიტყვებიც, დიდწილად რომ განსაზღვრა ჩემი მომავალი.

სულ მალე მან თავის შეგირდად მიმიღო ...

ბაბუაჩემის გარდაცვალება და ჩემ ცხოვრებაში ბატონი გოჩას გამოჩენა ერთმანეთს დაემთხვა. ალბათ ამიტომ, მე ის ლექტორზე უფრო მნიშვნელოვან ადამიანად მივიღე. მისი გაცნობის შემდეგ, თითქოს, უფრო თამამად ვგრძნობდი თავს, მე – რეგიონიდან გუშინ გადმობარგებული პირველკურსელი, რომელსაც ბევრი რამის დაძლევა ელოდა წინ.

მას უკავშირდება ჩემი პირველი სტატია, სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი პირველი მოხსენება, საბაკალავრო ნაშრომი ... და სამომავლო გეგმები ...

სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მისთვის მიწერა, დარეკვა, რადგან არასდროს, არავის ტოვებდა უყურადღებოდ.

გოჩა ჯაფარიძის სამეცნიერო ღვაწლზე ბევრი დაიწერა და მომავალში უფრო მეტი დაიწერება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დღეს საქართველომ დიდი ისტორიკოსი დაკარგა. მე კი – დიდი მასწავლებელი და საიმედო მეგობარი. მადლობა ყველაფრისთვის, მუდამ მემახსოვრებით და მეყვარებით, და მიცემულ სიტყვას აუცილებლად შევასრულებ. მშვიდობით, ბატონო გოჩა ...

გურამ ლეგაშვილი:

ბატონი გოჩა უცნაურად გავიცანი და გახდა ჩემი პროფესორი, რადგან მოულოდნელად დაბრუნდა ქვეყანაში დიპლომატიური მისიიდან და საერთოდ არ ველოდი, რომ ის ჩემი ლექტორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სულ მადლობელი ვარ ამ შემთხვევითობის, იმიტომ რომ ჩემი პროფესიული ზრდის უზარმაზარი წილი, სწორედ ამ დიდი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის სახელს უკავშირდება! ჩემი ბაკალავრიატის დროს ნაცოდვილარი პირველი სამეცნიერო სტატია, ხომ დიდი გულისყურით

განიხილა და აი, სულ რომ ვერასდროს წარმოვიდგენდი, მალევე თავის ნაშრომში, დიდი არაბისტი ისტორიკოსების გვერდით, ჩემი მოსაზრებაც დაიმოწმა თბილისის საამიროსთან დაკავშირებით.

სულ მჯეროდა და ახლაც ასე მჯერა, რომ ბატონ გოჩას არაფერი რჩებოდა წაუკითხავი: მონოგრაფია, სტატია, ფეისბუქ პოსტი, სამეცნიერო იყო ეს თუ არასამეცნიერო, ყველაფერი აინტერესებდა და, ვგონებ, ამ პოსტსაც წაიკითხავს, ამაღამ დამესიზმრება და ჩვეული ხმით მეტყვის: „გვარამ“!

დეკანოზი ილია ჭიღლაძე:

ღმერთო, გული და გონება დარდით და მწუხარებით ამევსო, უდიდესი ინტელექტი და ტიტანი მეცნიერი დაკარგა საქართველომ, პროფ. გოჩა ჯაფარიძე 78 წლის ასაკში. კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ რა ნაშრომებიც დატოვა, ფუნდამენტური და სამაგიდოა საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ისტორიისთვის. ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს!

გიორგი ახალკაციშვილი:

უზომოდ, სასწაულად მიმძიმს ამ სიტყვების დაწერა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ტიტანი მეცნიერი, პატრიოტი, სასწაული ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე, როგორიც ბატონი გოჩა ჯაფარიძე იყო, ასე სწრაფად დაგვტოვებდა ...

ბატონი გოჩა ოთხი წლის წინ გავიცანი და მაშინვე დავმეგობრდით. პირველი ლექცია მქონდა ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიაში და ბატონი გოჩაც შემოვიდა აუდიტორიაში. მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ როგორც ლექტორს – არა. დაიწყო ლექცია და ბევრ საინტერესო საკითხს შევეხეთ. ზუსტად მის წინ ვიჯექი და როდესაც ჩემთვის ერთ-ერთ ნაცნობ თემას შეეხო, მე მისი სტატიიდან და წიგნიდან დავიწყე საუბარი. ერთი წუთი გაჩერდა, შემომხედა და სახელი, გვარი, კურსი და ფაკულტეტი მკითხა. მოუწოდა აუდიტორიას, რომ მე დიდი ნიჭი მაქვს მშრომელი და ნიჭიერი ახალგაზრდების შემჩნევისო და მე მომმართა, შენ უკვე შეგამჩნიე, რომ გაინტერესებს, ნაკითხი ხარ და აბა შენ იცი, მომავალში უნდა იყოჩაღოვო. უზომოდ გამიხარდა. იმ დღიდან სულმოუთქმელად ველოდებოდი ოთხშაბათ დღეს, რომ ისევ მის ლექციაზე მივსულიყავი. დამარიგებდა, აირჩიე თემა და იმის შესახებ დაწვრილებით იმუშავეო. დავწერდი სტატიას, მივუტანდი დაიწყებოდა საინტერესო რჩევა-დარიგებების მოსმენა. ნებისმიერ დროს შემეძლო მისთვის დამერეკა და ისიც ყოველთვის ხალისით მპასუხოდა ,,გისმენ ახალკაც“. თუ რაიმე საინტერესო სტატიას ნახავდა, რომელიც ჩემს სამეცნიერო ინტერესებს შეეხებოდა, გამომიგზავნიდა და თან დამირეკავდა – „ახალკაც, აბა მესენჯერი ნახე, სტატია (ხან წიგნი და პოსტი) გამოგიგზავნეო“. მეც ვნახავდი და მერე ამის შესახებ ბევრს ვსაუბრობდით. ლექციაზე ხომ საერთოდ, გაუთავებლად ვსაუბრობდით და ვსაუბრობდით ... არც ერთი ლექცია არ გამიცდენია არასდროს, რადგან არ მინდოდა, რომ მისი რომელიმე სიტყვა გამომრჩენოდა ... დამრჩა პასუხგაუცემელი კითხვები, რჩევისთვის მიმართვები და მისგან მოსასმენი დარიგებები ... ვერც წარმოიდგენთ, რამხელა ლიტერატურა მომცა, რამდენ რამეში გამიმართა ხელი და მხოლოდ ერთხელ, ამ სამწუხარო ამბით დამწყვიტა გული ... ისღა დამრჩენია, რომ მისი დარიგებები გავამართლო ... ის, ჩემი ლექტორობის გარდა, უფროსი კოლეგა და საუკეთესო მეგობარიც იყო და ბევრ საკითხში დამრიგებელი ... ვისაც მასთან უმუშავია, ვისთვისაც ის ასეთი ახლო მეგობარი გახდა, უდიდეს დანაკლისს იგრძნობს ... ძალიან მძიმეა ჩემთვის, მისი კოლეგებისთვის და ყველა სტუდენტისთვის, ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. ... ამ ადამიანმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამეცნიერო კვლევა-ძიებებს მიუძღვნა და ქართულ ისტორიოგრაფიას მრავალი საჭირო ნაშრომი აჩუქა ...

ბატონმა გოჩამ აღზარდა მრავალი წარმატებული სტუდენტი და ძალიან დიდი დანაკლისია მომავალი თაობებისთვის ... ვემშვიდობებით ბატონ გოჩას, უკეთილშობილეს ადამიანს, უზარმაზარ

მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სრულ პროფესორს, აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ ,,უკანასკნელ მოჰიკანს“ და ,,ქართველ მამლუქს“, დიპლომატს, რომელმაც წარმატებით შეასრულა ცხოვრებაში ყველა დაკისრებული მოვალეობა ... უღრმესი მადლობა ბატონო გოჩა ყველაფრისათვის ... დიდი მწუხარებით და გულისტკივილით გემშვიდობებით ... თქვენ ყოველთვის იქნებით ჩემ მახსოვრობაში, როგორც სასწაული ადამიანი, მეცნიერი და უდიდესი პიროვნება.

ჰიროტაკე მაედა:

ბატონო გოჩა ... თქვენი სახით გავიცანი საქართველო და ის იყო დიდი ბედნიერება ჩემთვის, როგორც დიდი აღმოსავლეთმცოდნე და ადამიანი. ძალიან დიდი მადლობა ყველაფრისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო, ვიზიარებ ამ დიდ მწუხარებას ...

გურამ ჩიქოვანი:

გოჩა ჯაფარიძის გარდაცვალება მოულოდნელი და დიდი დანაკლისია ყველასთვის. მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები გამოვხატავთ დღეს ჩვენს ღრმა მწუხარებას, ვიხსენებთ მას და გვაგონდება მასთან გატარებული წლები. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია, დიპლომატიური სამსახური – ყველგან, სადაც არ უნდა ემუშავა გოჩა ჯაფარიძეს, ღრმა კვალს ტოვებდა თავისი პროფესიონალიზმით, მომთხოვნელობით, საქმის ერთგულებით და პატიოსნებით. პირველ რიგში ის იყო მეცნიერი, რომელიც წარმატებით იკვლევდა საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებს და არაერთი ნაშრომი შექმნა ამ თემაზე. გოჩა ჯაფარიძემ არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა გზა მეცნიერებაში. ის იყო არაჩვეულებრივი სამეცნიერო ხელმძღვანელი და დიდ ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა მკვლევრების მომზადებას. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ჩვენ ერთად ვიმუშავეთ წლების განმავლობაში. იგი ინსტიტუტის პრორექტორი იყო და სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გამოირჩეოდა.

ჯაბა სამუშია:

დიდი ისტორიკოსი, მაგარი ადამიანი, ძვირფასი უფროსი მეგობარი წავიდა ჩვენგან. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს გოჩა ჯაფარიძეს. რამდენიმე დღის წინ ვისაუბრეთ რუსთაველის ფონდის საგამომცემლო გრანტის შესახებ. მომავალი წლის გეგმებზე მომიყვა.

ბატონო გოჩა, თქვენი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდა, თქვენი შრომები კი ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს.

ნოდარ ჩხაიძე:

უკვდავებაში გადააბიჯა პროფესორმა გოჩა ჯაფარიძემ.

უდიდესი დანაკლისია. ბრწყინვალე არაბისტი, ბრწყინვალე ისტორიკოსი და ძალიან კარგი პიროვნება იყო. მისი ნაშრომები კლასიკად დარჩება და მრავალი ათეული წლის შემდეგაც მათ გვერდს ვერ აუვლის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესებული ვერცერთი ადამიანი. არაჩვეულებრივი იუმორის მქონე და უაღრესად ყურადღებიანი კაცი იყო. ასობით სტუდენტი ჰყავდა, აბა, როგორ დავამახსოვრდებოდი ერთ-ერთი მათგანი. მაგრამ, მეც კი რამდენჯერ მიმიწერია, ან წყარო მიკითხავს ან დაზუსტება მდომებია რამის. ყოველთვის შეწუხებულა და დამხმარებია. არასოდეს ტოვებდა მონდომებულ ადამიანს უყურადღებოდ.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი:

ვინღა მკითხავს ახლა ყოველ ნახვაზე „სარაჯიშვილი რომ ხარ, მღერიო?“

წინა წელს ლექციის მერე იუმორნარევი ტონით, მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს გვითხრა: პანაშვიდზე მოდით იცოდე, თორე მეწყინება და იქიდან მესიჯს მოგწერთ. დღეს ჩემმა კურსმა პირველად გაიგო, თუ რას ნიშნავს ერთ-ერთი საყვარელი და პატივსაცემი ლექტორის დაკარგვა.

ირაკლი ფაღავა:

გარდაიცვალა პროფესორი გოჩა ჯაფარიძე (კოვიდ-19-ის კიდევ ერთი მსხვერპლი). დიდი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, არაბისტი, ნუმიზმატი.

სამწუხაროდ, არ მქონდა საშუალება მისი ლექციებისთვის მომესმინა, მაგრამ, მისი წიგნებითა და სტატიებით ვსწავლობდი, პირადად ურთიერთობის პატივსა და ბედნიერებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მგონი, მაინც მაქვს უფლება, ვიფიქრო – ჩემი მასწავლებელი იყო ... დიდი დარტყმაა ეს ჩემთვის პირადად. და არამარტო ჩემთვის, ცხადია.

მარი ქარდავა:

2011 წლის ოქტომბერში გაგიცანით, ბატონო გოჩა! ... ბედნიერება იყო თქვენი გაცნობა, თქვენ ლექციებზე დასწრება, სმენა, საუბარი, თქვენი რჩევების მოსმენა. მიყვარხართ, ბატონო გოჩა, და ზუსტად ვიცი ამ განსაკუთრებულ სიყვარულს სულ გრძნობდით ჩემ ყოველ სიტყვაში და გამოხედვაში ... თქვენი ღვაწლი და დამსახურება საქართველოს და უნივერსიტეტის წინაშე კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ის გულწრფელი სიყვარული, პატივისცემა და ცრემლები, რაც დაგვიტოვეთ, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

როზეტა გუჯეჯიანი:

ბატონი გოჩა – დიდი მეცნიერი, დიპლომატი, საზოგადო მოღვაწე ... ბოლოჯერ შევხვდით თურმე უნივერსიტეტის ღია კაფეში ... ისე მიყვარდა, ყველგან სურათებს ვუღებდი. მთელი ალბომი მაქვს მისი. მხოლოდ მე არა, ყველას ასე უყვარდა. მიჭირს ბატონ გოჩაზე წარსულ დროში საუბარი. წავიდა ჩვენი საამაყო უნივერსიტეტის გამორჩეული პლეადის საუკეთესო წარმომადგენელი. თანაგიგრძნობთ ყველას. ვემშვიდობებით მუდამ თბილსა და ყურადღებიან დიდ ადამიანს.

დავით ცხადაძე:

ბატონი გოჩა ჯაფარიძის კვლევებს, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიკოსისას, სპეციალისტები უჩემოდაც შეძლებენ შეაფასონ. ერთი კი ვიცი, რომ გარდაიცვალა ძალზე თბილი, გულისხმიერი და ნიჭიერი ადამიანი, არაჩვეულებრივი მთხრობელი და ასეთივე მსმენელი. დაწმუნებული ვარ, რომ ძალზე ბევრს დაწყვეტდა გულს ეს ამბავი.

კოკი ფერაძე:

ძალიან დიდი მეცნიერი, ჩემი დიდი მეგობარი, წავიდა და დაგვიტოვა უამრავი ნაშრომი და მოგონება რომელიც ცხოვრების ბოლომდე გაგვყვება.

ზურაბ პაპასქირი:

ქართული საისტორიო მეცნიერების დიდი დანაკარგი.

გარდაიცვალა გოჩა ჯაფარიძე – ქართული ორიენტალისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი, შუა საუკუნეების ხანის საქართველოსა და აღმოსავლური სამყაროს აღიარებული მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესიონალი დიპლომატი, სანიმუშო მოქალაქე, მართალი კაცი, ღირსეული მამულიშვილი ...

ციური ასპანიძე–მესხიშვილი:

არ შემიძლია, ეს ამბავი რომ არ გიამბოთ. ცხარე ცრემლით ვტირი.

ბატონი გოჩა ჯაფარიძე, ერთ დროს თსუ-ში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. … ჩემი ვაჟი ჯაბა მესხიშვილი კი – სტუდენტი. ჯაბას ოცნება იყო უმაღლეს დონეზე შეესწავლა იაპონური ენა … იმ დროისათვის გრანტები და სტიპენდიები არ არსებობდა. არც უფასო სწავლება იყო იაპონური ენის ასათვისებლად … გაჭირვებით ვიხდიდი სწავლის საფასურს. გადაუხდელობის გამო აკადემიურიც კი აიღო და თავისუფალ მსმენელად დადიოდა ერთი წელი … ბოლო კურსზე იყო ჯაბა. კვლავ ფინანსური პრობლემები … დეკანი, ბატონი გოჩა უზომოდ კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა, როცა გაიგო, რის გამო უნდა გარიცხულიყო ისევ ჩემი ჯაბა თსუ-დან … გამომიძახა როგორც დედა და მეუბნება: „მიდექ-მოდექ, ნათესავები შეაწუხეთ! ასეთი სანიმუშო და კარგი სტუდენტი იაპონისტებს არ ჰყავთ და როგორ შეიძლება ამისთვის სტუდენტი გავრიცხოთო?“ ტირილი დავიწყე … თავს ზემოთ ძალა აღარ მაქვს-თქო. ჩემი ასისტენტ-პროფესორის ხელფასი 300 ლარი, ვერ წყვეტდა ყველაფერს. გადაურეკა ბუღალტერიას … და გამოსთხოვა ფაკულტეტზე გამოყოფილი სტუნდენტთა დახმარების ფონდიდან – სრულიად ჯაბასთვის! გვაკლდება 50 ლარი. მეუბნება: „ახლა 50 ლარს კი იშოვითო“. მე ისევ ავტირდი. პურის ფულიც კი აღარ მქონდა და რომელ 50 ლარზე იყო ლაპარაკი?! … ამ დროს შემობრძანდა ქალბატონი ელიდა კვანტალიანი და გაოცებული კითხულობს: „რა ხდებაო?“ რომ გაიგო საქმის ვითარება, ამოიღო 50 ლარი და მაგიდაზე დადო, თან დასძინა: „ჯაბა იმსახურებს ამასო!“ ჩვენ ყველანი ავტირდით. ქალბატონი ქეთევან ლორთქიფანიძეც! გვიყურებს ბატონი გოჩა და უცებ ფართოდ გაშალა მკლავები: „კარგით, რა კაცო, კარგით! მეც ადამიანი ვარ და ნუ ამატირეთო!“ თან ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. ახლა, ვალი დაგიბრუნეთ ბატონო გოჩა და ცხარე ცრემლით ვტირი თქვენს გარდაცვალებას …

მაია პატარიძე:

ბოლოს „სამშვილდის განძის“ პრეზენტაციაზე იყო ჩემ გვერდით. მითხრა ეს წიგნი დროს გაუძლებსო. დიდი გულშემატკივარი და იმედი იყო ჩემი. მიდის ის თაობა, ვისგანაც ერთი სატელეფონო ზარითაც კი ამომწურავ და სანდო კონსულტაციას რომ მიიღებდი … ძალიან განვიცდი და დამწუხრებული ვარ … არადა, ბარათაევის წიგნის რედაქტორობაზე დავითანხმე … ვერც ონის მუზეუმს მოესწრო … ძალიან მიყვარხართ ბატომო გოჩა …

OBITUARY OF PROFESSOR GOCHA JAPARIDZE

Mariam Chkhartishvili

Distinguished Professor of Tbilisi State University Gocha Japaridze passed away. He was a groundbreaking scholar in field of oriental studies, history of Georgia and source-study. He will be remembered for his intelligence, sense of humor, integrity, humble good nature, and tenacity. His colleague Professor Mariam Chkhsrtishvili shares with the readers her feelings because of this great loss. There are published the excerpts from the posts by the friends, colleagues and students being placed on the FB wall of the late Professor. This material shows that Gocha Japaridze was respected in the academic circles for his erudition and attractive personal features. He will be greatly missed.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან უნდა გათალისწინებულ იქნეს, რომ ტერმინი *წყაროთმცოდნეობა* გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, შესაძლებელია *არქეოლოგიისა* და *ეთნოლოგიის* დარგში შესრულებული ნაშრომების წარმოდგენაც. ტერმინი *ისტორიოგრაფია* კი გამოიყენება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც წინამოდერნის, ისე ახალი დროის შესაბამისი ტექსტების კვლევისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს.

რეგიონის ან ეპოქის არჩევანის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: წარმოდგენილი სტატია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევითი სტატიების გარდა ჟურნალში შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თუ ტექსტოლოგიური კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებიც, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებული განსჯანი, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, მილოცვები, ნეკროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები.

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ჟურნალის ელ-ვერსია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

ჟურნალში სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. 30 მაისამდე წარმოდგენილი დაიბეჭდება მიმდინარე წელსვე, ამ თარიღის შემდგომ შემოსული – მომდევნო წელს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შესრულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია და მასში ქართული მასალა (ფოტოები, გრაფიკული გამოსახულებები და სხვა, შესაბამისი განმარტებებით ტექსტში ჩასმული და ცალკეც) როგორც word, ისე pdf ფორმატში რეზიუმეებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაეგზავნოს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

mariam.chkhartishvili@tsu.ge

პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან მისთვის ფეისბუკით სტატიის გაგზავნა არ არის რეკომენდებული. ასევე არ არის რეკომენდებული სტატიის გაგზავნა რედკოლეგიის სხვა წევრების ელექტრონულ მისამართებზე.

სტატიის ენა.

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში – რუსულად.

სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

სტატიის სათაური.

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

ავტორის სახელი და გვარი.

გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

ძირითადი ტექსტი.

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

შენიშვნები (სათაური).

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

შენიშვნები (ტექსტი).

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

დამოწმებანი (სათაური).

გამუქებული, ფონტის ზომა 12,

დამოწმებანი (ტექსტი).

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ფონტი.

სილფაენი ყველა ენისათვის.

აბზაცი.

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ, რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

ციტირება.

ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალით. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეიწიოს აბზაცის დონეზე, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაიწეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში […]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების

შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს, ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადოდ აღნიშვნასთან ერთად დამოწმებაში უნდა მიეთითოს საწყისი და საბოლოო გვერდები.

სასვენი ნიშნები.

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

მოცულობა.

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

რეზიუმე.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოურენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზუ უნდა ითარგმნოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

ლიტერატურის მითითების წესი.

დამოწმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამოწმებანი დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამოწმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

ლიტერატურის დამოწმების კონკრეტული მაგალითები.

ა) დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი 2009: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი ერთი ავტორის ნაშრომი:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო,* ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: 64)
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**

ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: M. Chkhartishvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. Dress and Identity: A Georgian Case Study, *Fashion Through History*: *Costumes*, *Symbols*, *Communication*, Volume I, Edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge Scholars Publishing, Newcastle

ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიდაიმავე წელს გამოცემული ნაშრომები:

ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili*. On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili),* Tbilisi, Universal.

ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში,* თბილისი, უნივერსალი.

გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამოწმება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამოწმება:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე,* მთ. რედ. ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე“ ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერიის 10 ნომრის მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა,* ტ., XII, თბილისი, უნივერსალი.

თარგამაძე 2019: ზ. თარგამაძე. *ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე),* სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
დამოწმება ტექსტში: (თარგამაძე 2019: 67).

თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმოწმებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.“, ან „კრ“.

ამასთან როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმოწმებთ რამდენიმე ავტორს, ტექსტში თითოეული დამოწმება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:

დამოწმება ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2009: 5); (თარგამაძე 2018: 205).

დ)უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამოწმების წესი:

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).
სექციაში **დამოწმებანი**:

ჩხარტიშვილი 2014: M. Chkhartishvili. Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, Volume I, Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:
სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება“ ან ლეონტი მროველი)
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**:

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

ვ) საარქივო მასალის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**:

ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

ზ) სამეცნიერო თარგმანის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**:

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია,* თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება:

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამოწმებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმოწმებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში

ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამოწმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

ნოსენკო: Е. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ-გვერდი: berkovich-zametki.com http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm (ნანახია: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამოწმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

ზ) ნაშრომის დამოწმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ავტორს ვიმოწმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამოწმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამოწმებისათვის.

GUIDELINES FOR AUTHORS

Coverage:

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term *source* is understood in the broadest sense of this word; accordingly, journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences, workshops etc.), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

Language:

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English,

or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

The length:

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

References:

For references and citation authors should use Chicago style: *author-date system* http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

References and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 40 titles. Notes should be as endnotes with maximum number 25 and placed before the references.

The authors are responsible to obtain copyrights for the used illustrative materials.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology.

შპს „პრინტჯეო”, 2020

თბილისი, 0131, დემეტრე თავდადებულის ქ.18, ☎: +995 32 222 06 08
E-mail: ichachanidze@mail.ru